

შინაარსი — CONTENTS

I

ლ. აზმაიფარაშვილი, -ჩი ელემენტური სიტყვაწარმოება ხუნძურ ენაში	9
L. Azmaiparashvili, Word-Formation with -či Element in Avar	19
ა. არაბული, კინობითობის ერთი მოულოდნელი სინტაგმატური უნარისათვის ქართული ენის დიალექტებში	20
A. Arabuli, Towards One Unexpected Syntagmatic Ability of Diminution in the Georgian Dialects	23
ნ. არდოტელი, ფარინგალური რიგის თანხმოვანთა (ჭ, ყ) კლასიფიკაციისათვის ქართულში	24
N. ArdoteLi, Towards the Classification of Pharyngeal Consonants (q, q) in Georgian	34
ფ. აფხაიძე, მეორე პირის ნაცვალსახელთა თავისებურებისათვის სალაპარაკო სინჰალაში	35
P. Apkhaidze, On the Peculiarities of the 2nd Personal Pronouns in Spoken Sinhala	41
ც. ბარამიძე, კაუზატორი და ეგზეკუტორი თაბასარანული ენის ტივაქის თქმის კაუზატიურ სინტაქსურ კონსტრუქციებში ...	45
Ts. Baramidze, Causator and Executor in the Causative Construction of the Tivak Sub-dialect of the Tabassaran Language	49
ც. ბენდელიანი, უძველესი -ედ სუფიქსი ქართველურ ტოპონიმში და სამეტყველო კოდების შერევის ნაშთები	51
Ts. Bendeliani, An Ancient -ed Suffix in the Kartvelian Toponymy and Traces of Mixing of the Speech Codes	61
ე. გაზდელიანი, მრავლობითი რიცხვის ზოგი სუფიქსის შესახებ სვანურ ენაში	62
E. Gazdeliani, On Some Plural Suffixes in Svan	70
ლ. გიგლემიანი, მანმნავებელი სუფიქსი -ორ მეგრულში	71
L. Giglemiani, A Noun-Verbilizing Suffix -or in Megrelian	74

გ. გოგოლაშვილი, ქართული, როგორც სახელმწიფო ენა	75
G. Gogolashvili, Georgian as a State Language	87
ტ. გურგენიძე, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ქართველურ ენებში	88
T. Gurgenidze, The Category of Inclusive-Exclusive in the Kartvelian Languages	101
თ. ვაშაკიძე, -ურ (→ -ულ) სუფიქსისათვის თანამედროვე ქართულში	102
T. Vashakidze, Towards the -ur(→ -ul) Suffix in the Modern Georgian .	107
მ. კობიაშვილი, ქალთა ხელსაქმის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის შესახებ მოხეურში	108
M. Kobiasvili, On Some Terms Denoting Women's Needle-Work in Mokhebian Dialect	111
რ. ლოლუა, შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული სტრუქტურის შესახებ	112
R. Lolua, Remarks on the Grammatical Structure of the Caucasian Albanian Language	128
ქ. მარგიანი - სუბარი, პერფექტული ფორმებისათვის სვანურში (ზემოსვანურის მონაცემების მიხედვით)	131
K. Margiani - Subari, Towards the Perfective Forms in Svan (according to Upper-Svan data)	145
ნ. მაჭავარიანი, ფრინველთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი	146
N. Machavariani, Semantical-Structural Analysis of Birds' Abkhaz Names	152
ლ. მინაშვილი, დიდი ენათმეცნიერის ტალანტის მრავალმხრივობა	154
L. Minashvili, Talent Versatility of the Great Linguist	161
ს. ომიადე, -ად/-დ მაწარმოებლის სიტყვათწარმოქმნელი ფუნქციის გააქტიურება თანამედროვე მასმედიის ენაში	163
S. Omiaze, Activating of Word-Originating Function of -ad/-d Formants in the Modern Mass-Media Language	167
ლ. სანიკიძე, -ჩ ^რ „სავრცობიანი“ ბრუნება ნახურ ენათა არსებით სახელებში	168
L. Sanikidze, Declension with -č ^r "Expanding" in the Nouns of the Nakh Languages	185

მ. საღლიანი, ზომა-წონის ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის ქართველურ ენებში	186
M. S a g l i a n i, Towards the Structural-Semantic Analysis of Measure and Weight Units in the Kartvelian Languages	202
ნ. სებისკვერადე, ენის შესახებ ქართულ ანდაზათა პრაგმატიკა	203
N. S e b i s k v e r a d z e, Pragmatics of Georgian Proverbs About a Language	206
მ. სუხიშვილი, ერთი ქართველური სამედიცინო ტერმინის შესახებ: მხუვერი „მსხმო მუწუკი“	207
M. S u k h i s h v i l i, On One Kartvelian Medical Term: Mxuewri "Pimples"	215
თ. თურგაიძე, ფუძისეული -ან დაბოლოება მედიუმთა ფორმებში	216
T. U t u r g a i d z e, A Stem -an Ending in the Forms of Middle Voice	222
მ. გლონტი, ცდის ლექსიკური ბუდისათვის	223
M. G l o n t i, Towards the Lexical-Semantic Entities of the Family of Word cda	230
ვ. შენგელია, ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხები. I-III	231
V. S h e n g e l i a, Issues of Descriptive and Historical-Comparative Studying of the Kartvelian and Abkhaz-Circassian Languages. I-III	236
მ. ჩაჩანიძე, სინქრონიის ცნების საკითხისათვის თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში	237
M. C h a c h a n i d z e, Towards the Conception of Synchrony in the Modern Lexicography	240
ნ. ციხიშვილი, ბრძანებითის ფორმები საშუალო ქართულში	241
N. T s i k h i s h v i l i, Imperative Forms in Middle Georgian	254
რ. ჭიკაძე, დროის გარემოება მიერთებითი კავშირის ფუნქციით კახური დიალექტის ტექსტების მიხედვით	255
R. T c h i k a d z e, Adverbial Modifier of Time in the Function of Linking Word According to the Texts of Kakhethian Dialect	261
რ. ჭკადუა, კონვერსიისათვის სვანურში	262
R. C h k a d u a, Towards the Conversion in Svan	267

ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ცისარტყელას აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ...	268
N. K h a k h i a s h v i l i, Towards the Vocabulary Denoting <i>Rainbow</i>	279
ც. ჯ ა ნ ჯ ა ვ ა, პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციონირების შესახებ მეგრულში	281
T. J a n j a v a, On the Functioning of the First Subject Personal Marker in Megrelian	284
ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, სინტაქსურ-სემანტიკური დიფერენციაციის ფორმობრივი გამოხატულების რამდენიმე შემთხვევისათვის თანამედროვე ქართულში	285
N. J o r b e n a d z e, Towards Some Cases of Formal Expressing of Syntactical-Semantical Differentiation in Modern Georgian	291

II

ჟ. ლ ა ზ ა რ ი, ქართული ენა: დუალური („აქტიური“) აქტანტი თუ ერგატიული? ანტი-იმპერსონალური ზმნების ტიპოლოგია, ზოგადენათმეცნიერული კვლევები. გრამატიკული ტიპოლოგია	292
G. L a z a r d, Georgian: Dual («active») Actancy or Ergative? Typology of Anti-Impersonal Verbs	322

III

ხ ს ო ვ ნ ა Memory

ო ტ ი ა კ ა ხ ა ძ ე	Otia Kakhadze	323
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი	Alexandre Magometov	325
ე ლ ი ზ ბ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე	Elizbar Lomtadze	328
გ ე ნ ა დ ი ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე	Genadi Burchuladze	330
გ უ რ ა მ თ ო ფ უ რ ი ა	Guram Topuria	332
ქ ე თ ე ვ ა ნ ლ ო მ თ ა თ ი ძ ე	Ketevan Lomtadze	334
ა ნ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე	Ana Kalandadze	337
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ო ნ ი ა ნ ი	Alexandre Oniani	342

ლევან ახაიჭარაშვილი

-ჩი ელემენტური სიტყვაწარმოება ხუნძურ ენაში

ხუნძურ ენაში საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ლექსემები, რომელთაც აუსლაუტში მოუდის **-ჩი**. იგი დამახასიათებელია ისეთი სიტყვებისათვის, რომლებიც აღინიშნება ადამიანის პროფესია-საქმიანობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა თუ სხვადასხვაგვარი თვისებები:

ზაჰმათ-**ჩი** „მშრომელი“ (ზაჰმათ „გარჯა“, „შრომა“), ვულუვ-**ჩი** „მოსამსახურე“ (ვულუვ „სამსახური“), ფასტან-**ჩი** „მეზოსტნე“ (ფასტან „ბოსტანი“), ჩაქმა-**ჩი** „მეჩექმე“ (ჩაქმა „ჩექმა“), თოქენ-**ჩი** „მედუქნე“ (თოქენ „დუქანი“), ჰოქო-**ჩი** „მეურმე“ (ჰოქო „ურემი“), ქუმექ-**ჩი** „დამხმარე“, „თანამემწე“ (ქუმექ „დახმარება“), ლალა-**ჩი** „მკალავი“ (ლალა „კალა“), შაშტი-**ჩი** „ჯალათი“ (შაშტი „კული“, „ნაჯახი“), ამრუ-**ჩი** „მბრძანებელი“ (ამრუ „ბრძანება“), შაყლუ-**ჩი** „მრჩეველი“ (შაყლუ „ჭკუა“, „გონება“), ანიშა-**ჩი** „მეოცნებე“ (ანიშა „ნატვრა“, „ოცნება“), ლალმადირ-**ჩი** „მფოთის ამტეხი“ (ლალმადირ „მფოთი“, „აურზაური“), ვასვას-**ჩი** „სკეპტიკოსი“ (ვასვას „ეჭვი“, „უნდობლობა“), ლაღლა-**ჩი** „ფარისეველი“ (ლაღლა „ლოცვა, რომლის დროსაც რამდენჯერმე იმეორებენ სიტყვებს „ლაღლა ილალაჰ“; საიდოვი 1967, 310). ბიხ-ინ-**ჩი** „მამაკაცი“ (ბიხ-ინ „ამირი“, „ხვალი“), ბაჰარ-**ჩი** „ვაჟკაცი“ (ბაჰარ- „ახალგაზრდა“, „ჩველი“), მისქინ-**ჩი** „ღარიბი“ (მისქინ- „საწყალი“)...

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ეს **-ჩი** ელემენტი თავისი დანიშნულებით ანალოგიურია მოქმედ პირთა სახელების მაწარმოებელი **-ჯან** სუფიქსისა (მაღიევა 1981, 58). მართლაც, თანამედროვე ხუნძურში ცნობილია არცთუ ცოტა შემთხვევები **-ჩი** და **-ჯან** მორფემათა სინონიმებად ხმარებისა. მაგალითად:

ჰოქო-**ჩი** || ჰაქი-**ჯან** „მეურმე“ (ჰოქო „ურემი“), ზურმა-**ჩი** || ზურმი-**ჯან** „მეზურნე“ (ზურმა „ზურნა“), ყალი-**ჩი** || ყოლო-**ჯან** „მედოლე“ (ყალი „დოლი“), ცევე-**ჩი** || ცევე-**ჯან** „წინამძღოლი“, (ცევე „წინ“), ჰერესაი-**ჩი** || ჰერესაი-**ჯან** „მატყუარა“ (ჰერესაი „ტყუილი“)... (ჩიდალაევი, ალიხანოვი, 1985, 48-49).

ამასთან ერთად, **ჩი** წარმოადგენს დამოუკიდებელ სიტყვასაც და „კაცს“, „ადამიანს“ ნიშნავს. ჯერ კიდევ პ.უსლარი აღნიშნავდა, რომ ხუნძურ ენაში მრავალი არსებითი სახელი ბოლოვდება ამ **ჩი** („კაცი“) სიტყვით, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც გერმანულ Mann-ს სიტყვაში Kaufmann, ინგლისურ man-ს სიტყვაში tradesman (ვაჭარი) და ა.შ. მრავლობითში ასეთი სახელების დაბოლოებაა **ჩაში** („კაცები“, „ადამიანები“),

მაგ., ნიზამჩი „ჯარისკაცი“ — მრ. რ. ნიზამჩაში „ჯარისკაცები“; ჰოიჩი „არამზად“ (ზედმიწ. „ძალი კაცი“) — მრ. რ. ჰოდჩაში „არამზადები“; დუჭაჩი „მლოცველი“ — მრ. რ. დუჭაჩაში „მლოცველები“ და ა. შ. მაგრამ სიტყვა ბაჰარჩი „ვაჟკაცი“ მრავლობითში არის ბაჰარზალ ვაჟკაცები“, ქაფურჩი „ურჯულო“ — ქაფურზაბი „ურჯულოები“, შოლოჯანჩი „ყმაწვილი კაცი“, „ჯველი“ — შოლოჯაბი „ყმაწვილები“, „ჯველები“ და სხვ. (უსლარი 1889, § 40, 44).

ვითარება თითქოს ნათელია: სიტყვაწარმოებითი **-ჩი** მორფემისა და „კაცის“, „ადამიანის“ აღმნიშვნელი ლექსემის იგივეობა, ერთი შეხედვით, აშკარაა. მაინც დაისმის კითხვა: სახელდობრ რა სახის სიტყვაწარმოებასთან გვაქვს აქ საქმე — დერივაციასთან თუ კომპოზიციასთან? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხსენებულ ლექსემებში მოცემული **ჩი** სუფიქსად უნდა განიხილებოდეს თუ ორი დამოუკიდებელი ფუძისაგან შედგენილი რთული სიტყვის ერთ-ერთ კომპონენტად?

გ. მადიევა მიიჩნევს, რომ **-ჩი** სადერივაციო სუფიქსად შეიძლება ჩათვალოს იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მისი შეცვლა ფორმაწარმოებითი აფიქსებით, ე. ი. მაშინ, როცა ამ სუფიქსს ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია; ასე, მაგალითად, სიტყვა ბიზინ-**ჩი** „მამაკაცი“ მხოლოდობითია, მაგრამ მრავლობითში გვექნება ბიზინ-**ალ**, სადაც **-ალ** წარმოადგენს რიცხვის მაწარმოებელ ფორმანტს; ასევე: ბაჰარ-**ჩი** „ვაჟკაცი“ სიტყვის მრავლობითის ფორმაა ბაჰარ-**ზალ**; მისქინ-**ჩი** „ღარიბი, საწყალი კაცი“ მრავლობითში იქნება მისქინ-**ზაბი**; სიტყვაში შოლოჯან-**ჩი** „ყმაწვილი კაცი“, „ჯველი“ **-ჩი** მრავლობითში შეცვლილია **-ბი** ფორმანტით: შოლოჯან-**ბი** და სხვ. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში **-ჩი** მართლაც სიტყვაწარმოებითი სუფიქსია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ფორმაწარმოებითი **-ალ**, **-ზალ**, **-ზაბი**, **-ბი** აფიქსებით (მადიევა 1981, 59).

გ. მადიევას ავე აზრით, **ჩი** არსებით სახელად ჩათვლება მხოლოდ მაშინ, თუ მრავლობითი რიცხვის ფორმა მისგანვე იწარმოება, მაგ., ქოლხოზ-**ჩი** „კოლმეურნე“ მრავლობითში გვექნება ჩაზი („კაცები“, „ადამიანები“) ფორმით: ქოლხოზ-**ჩაზი** „კოლმეურნეები“ და, მასადაამე, **ჩი** აქ წარმოადგენს არსებით სახელს; ასევე: ზაჰამათ-**ჩი** „მშრომელი“ — მრ. რ. ზაჰამათ-**ჩაზი**; ჯულუჯ-**ჩი** „მოსამსახურე“ — მრ. რ. ჯულუჯ-**ჩაზი**; ხიდანათ-**ჩი** „მოღალატე“ — მრ. რ. ხიდანათ-**ჩაზი**; ილჯი-**ჩი** „მეჯოგე“ — მრ. რ. ილჯი-**ჩაზი**. მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტსაც, რომ გარკვეულ შემთხვევებში **ჩი**-ს შეიძლება ჩაენაცვლოს „ქალის“ აღმნიშვნელი ფუძე **ჭაუჭუ**, მაგ., ქოლხოზ-**ჭაუჭუ** „კოლმეურნე ქალი“. მრავლობითში, შესაბამისად, გვექნება ფორმა **რუჩაბი** „ქალები“: ქოლხოზ-**რუჩაბი** „კოლმეურნე ქალები“. ავტორის თანახმად, განსხვავებულ ვითარებას ავლენენ ფორმები ჭაუჭუ-**ჭაუჭუ** „მრჩველი ქალი“, ქაფურ-**ჭაუჭუ** „ურჯულო ქალი“, რადგან მრავლობითი ამათ სხვაგვარად ეწარმოებათ: ჭაყილალ რუჩაბი „ჭკვიანი ქალები“, ქაფურალ რუჩაბი „ურჯულო ქალები“ (მადიევა 1981, 59).

დერივაციული და კომპოზიტიური სიტყვაწარმოების გამიჯვნის ეს საშუალება, რასაც გვთავაზობს გ. მადიევა, სადავოა რატომ უნდა მიიჩნეოდეს, მაგალითად, მხოლოდობითის ფორმაში მიცემული **-ჩი** სადერივაციო სუფიქსად

მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მრავლობითში მას ფორმაწარმოებითი აფიქსი ცვლის? განა მრავლობითში არსებული მდგომარეობა რამით გვიდასტურებს, რომ მხოლოდბითის **-ჩი** ლექსიკურ მნიშვნელობას მოკლებულია? ვფიქრობთ რომ არა და ამის საჩვენებლად მოვუხმობთ კონკრეტულ მაგალითებს.

თანამედროვე სალიტერატურო ხუნძურში „მამაკაცის“ აღმნიშვნელ სიტყვას ბიხ^{ნი}-**ჩი** (ამოსავალი ფუძე ბიხ^{ნი} „მამრი, ზვადი“) მრავლობითი რიცხვის ფორმანტად აქვს **-ალ**: ბიხ^{ნი}-**ალ** „მამაკაცები“, ანუ არ მოეპოვება **ჩამი** „კაცები“, „ადამიანები“. რატომ? იმიტომ, რომ ვიდრე მხოლოდბითში ეს **-ჩი** დაუმკვიდრდებოდა ფუძეს, მანამდის იგი I კლასის **-ავ** ნიშანს დაირთავდა სუფიქსად. ამ მხრივ საყურადღებო ფაქტია, რომ პ.უსლარს მამაკაცის სახელწოდებად სწორედ ბიხ^{ნი}-**ავ** ფორმა აქვს დადასტურებული (უსლარი 1889, განყ. II, 53). ამჟამად ეს ბიხ^{ნი} ფუძე უპირატესად III კლასის **-აბ** სუფიქსით გვხვდება ხოლმე გაფორმებული, მაგ., ბიხ^{ნი}-**აბ** ჰოდ „ზვადი ძალი“. თუ ამ ფუძეს II კლასის **-აფ** სუფიქსსაც დავურთავთ, გვექნება ბიხ^{ნი}-**აფ** „მამაკაცური თვისებების მქონე ქალი“.

სიტყვა ბიხ^{ნი}-**ავ** მრავლობითში იძლეოდა ისეთსავე ფორმას, როგორც ჩვეულებრივ დამახასიათებელია **-ავ**, **-აფ**, **-აბ** სუფიქსებით დაბოლოებულ სახელთა მრავლობითისათვის, ბიხ^{ნი}-**ალ**; შდრ. მაგ., ზედსართავი სახელი ლ^{იკ}-**ავ** (I კლ.) „კარგი“ — მრ. რ. ლ^{იკ}-**ალ** „კარგები“.

ასე რომ, **-ალ** ფორმაწარმოებით აფიქსს უშუალოდ **-ჩი**-ს ადგილი კი არ დაუჭერია მრავლობითში, არამედ **-ავ** კლასნიშნის სუფიქსისა. ეს **-ჩი** მხოლოდ მოგვიანებით გაუჩნდა ბიხ^{ნი} ფუძეს და **-ავ** სუფიქსის ნაცვლად გაბატონდა. არავითარი ცვლილება ამის გამო მრავლობითის ფორმაში არ მომხდარა.

ახლა ვნახოთ, მოეპოვება თუ არა **-ჩი** ელემენტს ლექსიკური მნიშვნელობა „მამაკაცის“ ამ სახელწოდებაში. ამისათვის ბიხ^{ნი} ფუძის შემცველ სხვა სიტყვათაშედეგნილობაც გავიხსენოთ.

-აბ სუფიქსიანი ფორმა ბიხ^{ნი}-**აბ** მსაზღვრელად უძღვის ხოლმე III კლასის სულიერ არსებათა (ცხოველთა, ფრინველთა...) სახელებს და მამრობითი სქესისადმი მათ მიკუთვნებულობას გამოხატავს: ბიხ^{ნი}-**აბ** ჰოდ „ზვადი ძალი“ (ჰოდ „ძალი“), ბიხ^{ნი}-**აბ** ბაწ „ზვადი მგელი“ (ბაწ „მგელი“), ბიხ^{ნი}-**აბ** ჰამა „მამალი ვირი“ (ჰამა „ვირი“), ბიხ^{ნი}-**აბ** თაჰი „მამალი კვიცი“ (თაჰი კვიცი“), ბიხ^{ნი}-**აბ** ლაბაწ „მამალი ლომი“ (ლაბაწ „ლომი“), ბიხ^{ნი}-**აბ** ცი „მამალი დათვი“ (ცი „დათვი“), ბიხ^{ნი}-**აბ** ტეჰერ „მამალი კრავი“ (ტეჰერ „კრავი“), ბიხ^{ნი}-**აბ** შანკ „მამალი კურდღელი“ (შანკ „კურდღელი“), ბიხ^{ნი}-**აბ** ჯაზ „მამალი ბატი“ (ჯაზ „ბატი“) და ა. შ.

მაგრამ ამდაგვარი შესიტყვებები ხუნძურში სავსებით თავისუფლად შეიძლება აიგებოდეს ბიხ^{ნი} ფუძეზე **-აბ** სუფიქსის დართვის გარეშე: ბიხ^{ნი} ჰოდ, ბიხ^{ნი} ბაწ, ბიხ^{ნი} ჰამა, ბიხ^{ნი} თაჰი, ბიხ^{ნი} ლაბაწ, ბიხ^{ნი} ცი, ბიხ^{ნი} ტეჰერ, ბიხ^{ნი} შანკ, ბიხ^{ნი} ჯაზ და ამათ გარდა კიდევ: ბიხ^{ნი} ბეჩე „მამალი ხბო“, „მოზვერი“ (ბეჩე „ხბო“), ბიხ^{ნი} ბოლ^{ონ} „მამალი ღორი“: „ტახი“ (ბოლ^{ონ} „ღორი“), ბიხ^{ნი} გამუშა „ხარკამეჩი“ (გამუშა „კამეჩი“), ბიხ^{ნი} ხაუხა „მამალი ბატკანი“ (ხაუხა „ბატკანი“), ბიხ^{ნი} ბურუტ „მამალი თიკანი“ (ბურუტ „თიკანი“), ბიხ^{ნი} გურგურ „მამალი ინდაური“ (გურგურ „ინდაური“), ბიხ^{ნი}

ჭოროლო „მამალი მწყერი“ (ჭოროლო „მწყერი“) და სხვ. ზოგი შესიტყვება უკვე გაკომპოზიტებულიცაა და ერთად იწერება მოქმედი ირთოგრაფიის მიხედვით.

სწორედ ასეთ კომპოზიტთა თუ შესიტყვებათა ანალოგიურადაა შედგენილი ბიხინ ჩი. მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა არის „მამრი ადამიანი“; შდრ. აგრეთვე ბიხინ ჯაჰაბა „მრუში, გარყვნილი კაცი“ (უსლარი 1889, განყ. II, 120), ზედმიწ. „მამრი კახა“.

ის ფაქტი, რომ **-ავ** სუფიქსით დაბლოებული ბიხინ-ავ ფორმას საზღვრული არ ახლავს, იმ გარემოებით აიხსნება, რომ სუფიქსი I კლასის კუთვნილებაა და იგი თავისთავად გულისხმობს „მამაკაცს“ კონკრეტული საზღვრულის გარეშე. მისგან განსხვავებით, **-აბ** სუფიქსიან ბიხინ-**აბ** ფორმას საქმე აქვს III კლასის არაერთ სახელთან და ყოველი მათგანი ცალ-ცალკე მოითხოვს მას მსაზღვრელად.

თვითონ **-ჩი** ლექსემა ხუნძურ ენაში გამოიყენება ხოლმე ზოგადად „ადამიანის“ (human) და არა მხოლოდ „მამაკაცის“ მნიშვნელობით, მაგ., ჩი ჭემერლი „ხალხმრავლობა“ (ზედმიწ. „ადამიანის სიმრავლე“), ჩი ჭემერაბ როსო „ხალხმრავალი (ზედმიწ. „ადამიანი ბერი“) სოფელი“, ჩი-**ა-ყ-ლი** „უკაცრიელობა“ (ზედმიწ. „უადამიანობა“), ჩი-**ა-ყ-ავ** (I კლ.), ჩი-**ა-ყ-ად** (II კლ.) „მარტოხელა“ (ზედმიწ. „უადამიანო“); ცო დასალა ბიცანა ბერცინაბ რაჭი, ჩი ტჰიჟარაბ ჭუჟალა დივე შვადილან „ერთმა გოგომ მითხრა ლამაზი სიტყვა, ხალხს რომ ეძინება იმ დროს მოდიო“ (სიმღერები 1971, 163) და სხვ. ამ ლექსიკური მნიშვნელობითაა იგი დამკვიდრებული „მამაკაცის“ სახელწოდებაშიც ბიხინ ფუძის საზღვრულად.

განვიხილოთ ახლა **-ჩი** ელემენტის შემცველი მეორე სიტყვა ჭოლოჯან-**ჩი** „ყმაწვილი კაცი“, „ჯეელი“. იგი მიღებულია **-ჯან** სუფიქსით ნაწარმოები ლექსემისაგან ჭოლო-**ჯან**, რაც ნიშნავს „მოზვერს“. მართო ის ფაქტი, რომ **-ჩი**-ს დართვით მისგან ახალი სემანტიკის სიტყვაა მიღებული, უკვე მოწმობს, რომ ამ ელემენტს ლექსიკური მნიშვნელობა აქვს და, კერძოდ, ადამიანის სახელწოდებას იგი ცხოველთა სამყაროსადმი განკუთვნილი სიტყვისაგან განარჩევს. არ არის გასაგები, თუ რატომაა ეს საგულისხმო გარემოება მხედველობიდან გამორჩენილი და ამის ნაცვლად რად არის ყურადღება გამახვილებული მრავლობითის ჭოლოჯან-**ბი** ფორმაზე. თუ მრავლობითის ჩვენებას დავემყარებთ და მხოლოდობითის **-ჩი**-ს ლექსიკურ მნიშვნელობას მოკლებულ სუფიქსად დავსახავთ მხოლოდ იმის გამო, რომ მრავლობითში მას ფორმაწარმოებითი **-ბი** ენაცვლება, მაშინ ასეთივე სადერივაციო სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული ჭუჟუ „ქალი“, რომელიც **ჩი**-ს მსგავსად დაერთვის ხოლმე **-ჯან** დერივატივით წარმოებულ ხსენებულ სიტყვას: ჭოლოჯან-**ჭუჟუ** „ყმაწვილი ქალი“.

სიტყვა ბაჰარ-**ჩი** „ვაჟკაცი“ წარმოებულია ზედსართავი სახელის ფუძისაგან ბაჰარ- „ახალგაზრდა“, მრავლობითის ფორმა ბაჰარ-**ზალ**. აქაც

¹ მაგ., бихинбече (ბიხინბეჩე) „მამალი ხბო“, бихинкьег/ер (ბიხინტეჟერ) „მამალი კრავი“, მრ.რ. бихинкьаг/и (ბიხინტაჟი) „მამალი კრავები“ (საიდოვი 1967, 92). ჩვეულებრივი შესიტყვება რომ ყოფილიყო იგი, მაშინ გვექნებოდა бихинал кьаг/и (ბიხინალ ტაჟი).

ფორმაწარმოებითი **-ზალ** შენაცვლებული უნდა იყოს არა უშუალოდ **-ჩი**-ს, არამედ კლასნიშნიან **-ავ** (I კლ.) სუფიქსს: ბაჰარ-**ავ**. **-ჩი** გამოყენებულია ზედსართავის ფუძის საზღვრულად, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა.²

ასევე, მისქინ-**ჩი** „ღარიბი კაცი“, მრ.რ. მისქინ-**ზაბი** ემყარება ზედსართავს მისქინ-**ავ** (I კლ.), მისქინ-**აჲ** (II კლ.) „ღარიბი“, „საწყალი“. **-ჩი**-ს რომ ლექსიკური მნიშვნელობა აქვს, ამას ნათელყოფს პარალელურად ხმარებული ფორმაც: მისქინ-**ჰუჟუ** „ღარიბი ქალი“.

კიდევ ბევრი მაგალითი შეიძლება მოიძებნოს იმის დასტურად, თუ რაოდენი სიძნელეები ახლავს **-ჩი** ელემენტის სუფიქსად გამოცალკევებას და სიტყვაწარმოების დერივაციულ და კომპოზიტურ სახეთა შორის ამ მხრივ გარკვეული ზღვარის დადგენას. ამ პრობლემის თაობაზე თვითონ გ.მადიევიც მართებულად შენიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში შეუძლებელია იმის თქმა, სად გვაქვს **-ჩი** სადერივაციო სუფიქსად და რომელ სიტყვაში გვევლინება იგი არსებითი სახელის როლშიო (მადიევა 1981, 59-60).

-ჩი ელემენტი სხვა არანაკლებ რთულ ვითარებასაც წარმოგვიდგენს ხუნძური ენის სიტყვაწარმოებაში.

ლ.ჟირკოვის აზრით, **-ჩი** თურქულ ენოვანი სამყაროდან, კერძოდ, ყუმიკურიდანაა შემოსული ხუნძურში. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს **-ჩი** სავსებით ემთხვევა თურქულ ენებში გავრცელებულ სიტყვაწარმოებით აფიქსს. იგი იმდენად შეუთვისებია ხუნძურ ენას, რომ მრავლობითი რიცხვი მისი მეშვეობით წარმოებულ სიტყვებს ისეთივე აქვთ, როგორც საკუთრივ ხუნძურ **ჩი**-ს („კაცი“, „ადამიანი“), ე. ი. **ჩაზი**. ამრიგად, ვხედავთ ისეთი აღრევის ფაქტს ენაში, რომ ველარ გადაგვიწყვეტია ნასესხებია ეს ელემენტი ხუნძურ სიტყვებში, თუ საკუთარი **ჩი**-საგან („კაცი“, „ადამიანი“) არის მიღებულიო (ჟირკოვი 1948, 28-29).

აქვე ასეთ ვარაუდსაც კი გამოთქვამს ლ.ჟირკოვი: მიუხედავად იმისა, რომ **-ჩი** აფიქსი ფართოდაა გავრცელებული თურქული წრის ენებში, მაინც მისი სემანტიკა ამ ენათა ნიადაგზე ვერ აიხსნება. აღმოვჩნდით რა იმ ფაქტის წინაშე, რომ **ჩი** „ადამიანის“ სემანტიკით მოიპოვება ხუნძურ (იაფეტურ) ენაში, ვსვამთ კითხვას: უწინარესად თვითონ იაფეტური სისტემის ენათაგან ხომ არ მოხვდა იგი თურქულ ენებშიო (ჟირკოვი 1948, 29).

სპეციალისტები შენიშნავენ, რომ ლ.ჟირკოვის მოსაზრება თურქულ ენათა **-ჩი** სუფიქსის კავკასიური წარმომავლობის შესახებ, ალბათ, იაფეტური თეორიისადმი გარკვეული ანგარიშის გაწევა იყო, თორემ სინამდვილეში ლაპარაკიც ზედმეტია ამ სიტყვაწარმოებითი ელემენტის დაღესტნიდან გავრცელებაზე. აფიქსი **ჩი** წარმოდგენილია მრავალ თურქულ ენაში, რომელთაც ვერ ექნებოდათ უშუალო შეხება დაღესტნურ ენებთან (ჯიდალაევი, ალიხანოვი, 1985, 52-53).

არნ.ჩიქობავა და ილ.ცერცვაძე წერდნენ: „ხუნძ. **ჩი** სუფიქსის ბგერითი მსგავსება თურქული ენის ანალოგიურ სუფიქსთან (თურქ.

² შდრ. სვანური მახე-ლჷჷჷ „ვაჰკაცი“, ზედმიწ. „ახალი კაცი“ (ლჷჷჷ „კაცი“, „ვაჰი“).

კაუჯ-**ჩი** „მენავე“, თულუხ-**ჩი**...) შემთხვევითია: ძირითადი და ამოსავალი სახე თურქული სუფიქსისა -**ჩი** არის (-**ჩი** ასიმილაციის შედეგად მიიღება); მერე: თურქ -**ჩი** (→ ჩი) ეტიმოლოგიურად გაურკვეველი ოდენობაა, ხოლო ხუნძ. -**ჩი**, როგორც ზემოთ ვნახეთ, დამოუკიდებელი სიტყვაა წარმოშობით და „კაცს“ ნიშნავს“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 172).

მაგრამ ფაქტობრივი ვითარება მაინც იმაზე მეტყველებს, რომ ლ. ყირ-კოვის მოსაზრება -**ჩი** ელემენტის თურქულენოვანი სამყაროდან ნასესხობის შესახებ მართებულია. ამას მოწმობს, უპირველესად, ის გარემოება, რომ, ხუნძურის გარდა, -**ჩი** მრავალ დაღესტნურ ენაშია გავრცელებული. მაგალითად:

ლაკურში: ავ-**ჩი** „მონადირე“ (ავ „ჯიხვი“, „ნადირი“), ჯალაღ-**ჩი** „მკალავი“ (ჯალაღ „კალა“), ბაკ-**ჩი** „მეთაური“ (ბაკ „თავი“), ქუმაგ-**ჩი** „დამხმარე“ (ქუმაგ „დახმარება“), პრაგა-**ჩი** „მეურმე“ (პრაგა „ურემი“), ბალაღ-**ჩი** „მომღერალი“ (ბალაღ „სიმღერა“), ჩაფხუნ-**ჩი** „მძარცველი“ (ჩაფხუნ „ძარცვა“).... (მურყელინსკი 1957, 225-226; ხაიდაყოვი 1961, 128);

დარგულში: ანჯ-**ჩი** „მებაღე“ (ანჯ „ბაღი“), ჯალაღ-**ჩი** „მკალავი“ (ჯალაღ „კალა“), დალაღ-**ჩი** „მომღერალი“ (დალაღ „სიმღერა“... (მაჰომედოვი, 1972, 16-17);

ლეზგიურში: ბაღმან-**ჩი** „მებაღე“, დალდამ-**ჩი** „მედოლე“ (დალდამ „დოლი“), ჩუნტუნ-**ჩი** „ქურდი“ (ჩუნტუნ- „პარვა“), ჯულულულ-**ჩი** „მოსამსახურე“ (ჯულულულ „სამსახური“), ქოლხოზ-**ჩი** „კოლმეურნე“... (ჰაიდაროვი 1966, 72-73).

თაბასარანულში: დემირ-**ჩი** „მჭედელი“ (დემირ „რკინა“), ჯულულულ-**ჩი** „მოსამსახურე“ (ჯულულულ „სამსახური“), ჩეჰმე-**ჩი** „მეჩეჰმე“ (ჩეჰმე „ჩეჰმეზი“), ქალხუნ-**ჩი** „კოლმეურნე“, თანქ-**ჩი** „ტანკისტი“, დაკლად-**ჩი** „მომხსენებელი“ (რუს. доклад „მოსხენება“) (მაჰომეტოვი 1965, 144) და სხვ.

აქ დასახელებულ და კიდევ სხვა დაღესტნურ ენებშიც -**ჩი** არ წარმოადგენს საკუთარ მასალას. სათანადო ენათა მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი ნასესხებია. როგორ გვაქვს ამ მხრივ საქმე თვითონ ხუნძურში?

დიდი ხნის მანძილზე ხუნძურს ურთიერთობა ჰქონდა და დღესაც აქვს ყუმიკურ ენასთან. დროთა განმავლობაში ხუნძურში ამ ენიდან შემოვიდა სიტყვათა გარკვეული წყება და მათგან ბევრს თან შემოჰყვა -**ჩი** სუფიქსიც. თვით ყუმიკურში იგი გვხვდება ვარიანტებით: -**ჩი** || -**ჩგ** || -**ჩუ** ||

-**ჩუ**. ეს სუფიქსი თურქულ ენებშიც ისეთსავე სიტყვებს აწარმოებს, რომლებიც ადინიშნება ადამიანის პროფესია, ხელობა, თვისებები, მიღრეკილებები და ა. შ. საკმარისია ხუნძურში არსებული ზოგი სიტყვა ყუმიკურისას შევუდაროთ, რომ -**ჩი** ელემენტის ნასესხობაც აშკარა გახდეს. ასე, მაგალითად:

ხუნძ. თუქენ-ჩი „გამყიდველი“ (თუქენ „მაღაზია“), შდრ. ყუმიკ. თუქენ-**ჩი** „იდ“ (თუქენ „იდ“);

ხუნძ. დალაღ-**ჩი** „მკალავი“ (დალაღ „კალა“), შდრ. ყუმიკ. კალაღ-**ჩგ** „id.“ (კალაღ „id.“);

ხუნძ. ბადრაჯ-**ჩი** „მედროშე“ (ბადრაჯ „დროშა“), შდრ. ყუმიკ. (ბადრაჯ-**ჩგ** „იდ“ (ბადრაჯ „id.“);

ხუნძ. არღან-**ჩი** „მეგარმონე“ (არღან „გარმონი“), შდრ. ყუმიკ. არღან-**ჩგ**

„იდ“ (არღან „id.“);

ხუნძ. ღალმაღირ-**ჩი** „სკანდალისტი“ (ღალმაღირ „მფოთი“, „სკანდალი“),
მდრ. ყუმბიკ. კალმაღალ-**ჩგ** „იდ“ (კალმაღალ „id.“, მდრ. ქართულში: აყალ-
მაყალი);

ხუნძ. ილჭი-**ჩი** „მეჯოგე“ (ილჭი „ჯოგი“), მდრ. ყუმბიკ. მგლკგ-**ჩგ** „id.“
(მილკგ „id.“);

ხუნძ. ჯულუჯ-**ჩი** „მოსამსახურე“ (ჯულუჯ „სამსახური“), მდრ. ყუმბიკ. კუ-
ლუკ-**ჩუ** „id.“ (კულუკ „id.“); და სხვ. (ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985, 50).

ამრიგად, გარკვეულია, რომ ხუნძურ ენაში საკუთარი **ჩი**-ს („კაცი“,
„ადამიანი“) გვერდით მართლაც არსებობს სხვა ენიდან შემოსული სიტყვაწარ-
მოებითი აფიქსი. ამჟამად ორივე ეს ელემენტი ისეა ერთმანეთში არეული
(როგორც ამას აღნიშნავდა ლ. ჟირკოვიც), რომ მათი გარჩევა ჭირს. სპეციალისტთა აზრით, ყუმბიკური **-ჩი** სუფიქსის გამოსაცალკავებლად და ხუნ-
ძური სიტყვაწარმოების სისტემაში მისი ადგილის დასადგენად უკვე საჭიროა
გამოწვლილვითი ანალიზი **ჩი**-ს გამოყენების ყველა შემთხვევისა (ჯიდალაევი,
ალიხანოვი 1985, 45).³

ბევრად ნათელი ვითარება სუფევს ამ მხრივ სხვა დაღესტურ ენებში,
სადაც საკუთარი და ნასესხები მასალა ადვილად განირჩევა. მაგ., ლაკურში
-ჩი ნასესხები აფიქსია (ქუმაგ-**ჩი** „დამხმარე“, მდრ. ხუნძ. ქუმექ-**ჩი**), ხოლო -
ჩუ საკუთრივ ლაკურ სიტყვას წარმოადგენს (ჰალმალ-**ჩუ** „ამხანაგი“, მდრ.
ხუნძ. ჰალმალ **ჩი** „ამხანაგი კაცი“) და იგი „კაცს“, „ადამიანს“ აღნიშნავს ხუნ-
ძურის მსგავსად (მურყელინსკი 1957, 225, 226; ღვინჯილია 1984, 42).

რაც მთავარია, ნასესხები **-ჩი** სუფიქსი იმდენად ორგანულად შეეთვისა
ხუნძურ ენას, რომ საკუთარ სიტყვადაც კი იქნა აღქმული და მისი ანალოგი-
ით ბევრ ლექსემას გაუჩნდა დაბოლოებად „ქალის“ აღმნიშვნელი ფუძე:
ჭუუუუ, მაგ., თვითონ ყუმბიკურიდან შემოსულ სიტყვასაც ჯულუჯ-**ჩი** „მოსამსა-
ხურე“ დაუბირისპირდა ფორმა ჯულუჯ-**ჭუუუუ** „მოსამსახურე ქალი“ და ეს მო-
ხდა სუფიქსის ხუნძურ ნიადაგზე გადააზრების წყალობით. ამჟამად სიტყვათა
პარალელური წარმოება **-ჩი** || **-ჭუუუუ** ელემენტებით გავრცელებული მოვლე-
ნაა, მაგ., ზაჰმათ-**ჩი** „მშრომელი კაცი“ — ზაჰმათ-**ჭუუუუ** „მშრომელი ქალი
(ზაჰმათ „შრომა“, „გარჯა“), ამრუ-**ჩი** „მბრძანებელი კაცი“ — ამრუ-**ჭუუუუ**
„მბრძანებელი ქალი“ (ამრუ „ბრძანება“), შაჰარ-**ჩი** „მოქალაქე კაცი“ — შაჰარ
— **ჭუუუუ** „მოქალაქე ქალი“ (შაჰარ „ქალაქი“), ბუსურმან-**ჩი** „მუსულმანი კა-
ცი“ — ბუსურმან-**ჭუუუუ** „მუსულმანი ქალი“ (ბუსურმან „მუსულმანი“), მი-
სქინ-**ჩი** „ღარიბი კაცი“ — მისქინ-**ჭუუუუ** „ღარიბი ქალი“ (მისქინ „ღარიბი“,
„საწყალი“), ჰობოლ-**ჩი** „სტუმარი კაცი“ — ჰობოლ-**ჭუუუუ** „სტუმარი ქალი“
(ჰობოლ „სტუმარი“, „ყონალი“), ლალ-**ჩი** „მონა კაცი“ — ლალ-**ჭუუუუ** „მონა ქა-
ლი“ (ლალ „მონა“, „ტყვე“), ანიშ-**ჩი** „მეოცნებე კაცი“ — ანიშ-**ჭუუუუ** „მეოც-
ნებე ქალი“ (ანიშ „ნატვრა“, „ოცნება“), ვასვას-**ჩი** „სკეპტიკოსი კაცი“ — ვას-

³ ნ. ჯიდალაევისა და ს. ალიხანოვის ნაშრომში ხუნძურის ფაქტები ძირითადად
ყუმბიკური ენის მონაცემების შუქზეა განხილული. ცხადია, არ უნდა გამოირიცხოს თურქული
ჯგუფის სხვა ენათა ზეგავლენაც.

ვას-**ჭუჭუ** „სკეპტიკოსი ქალი“ (ვასვას „ეჭვი“, „უნდობლობა“), ჰერესი-**ჩი** „მატყუარა კაცი“ — ჰერესი-**ჭუჭუ** „მატყუარა ქალი“ (ჰერესი „ტყუილი“), **ჭაყლუ-ჩი** „მრჩველი კაცი“ — **ჭაყლუ-ჭუჭუ** „მრჩველი ქალი“ (ჭაყლუ „ჭკუა“, „გონება“), მასხარა-**ჩი** „ხუმარა კაცი“ მასხარა — **ჭუჭუ** „ხუმარა ქალი“ (მასხარა „ხუმრობა“, „მასხრობა“)...

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ მრავლობითში ხშირად განზოგადებულად იხმარება ხოლმე **-ჩაჩი** („კაცები“) მაშინაც კი, როცა ქალებს შეეხება საუბარი, ნაცვლად ასეთ დროს უფრო მოსალოდნელი **-რუჩაბი** („ქალები“) ფორმისა.⁵

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნასესხებ სიტყვებში მოცემული ყუმიკური სუფიქსი **-ჩი** სრულიად ბუნებრივად დაქვემდებარებული ხუნძურ არსებით სახელ **ჩი**-ს („კაცი“, „ადამიანი“) პარადიგმას. მაგალითად:

ილვი-**ჩი** „მეჯოგე“ (შდრ. ყუმიკ. ფლკ-**ჩგ** „id.“). ჩი „კაცი“, „ადამიანი“:

ერგ. ილვი-**ჩი**დასა „მეჯოგემ“, შდრ. ჩი-დასა „კაცმა“

ნათ. ილვი-**ჩი**დასაულ „მეჯოგისა“, შდრ. ჩი-დასა „კაცისა“

მიც. ილვი-**ჩი**დასაე „მეჯოგეს“, შდრ. ჩი-დასა-ე „კაცს“.

მ რ ა ვ ლ ბ ი თ შ ი გვაქვს ილვი-**ჩაჩი** „მეჯოგეები“. ჩაჩი „კაცები“:

ერგ. ილვი-**ჩაჩაზ** „მეჯოგეებმა“, შდრ. ჩაჩა-აზ „კაცებმა“

ნათ. ილვი-**ჩაჩაზულ** „მეჯოგეებისა“, შდრ. ჩაჩა-აზ-ულ „კაცებისა“

მიც. ილვი-**ჩაჩაზე** „მეჯოგეებს“, შდრ. ჩაჩა-აზ-ე „კაცებს“ (ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985, 51).

როგორც აღნიშნავენ ნ. ჯიდალაევი და ს. ალიხანოვი, ხუნძების ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება, აგრეთვე პრესის, რადიოს ენა მოწმობს, რომ **-ჩი**-ს მეშვეობით ლექსემათა წარმოქმნა ცოცხალი და პროდუქტიული პროცესია ხუნძური ენის სიტყვაწარმოებაში (ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985, 51).

დაღესტნურ ენათაგან განსხვავებით, ამ თურქულმა სუფიქსმა ფეხი ვერ მოიკიდა ქართულში, რადგან ჩვენმა ენამ მას დაუპირისპირა სიტყვაწარმოების საკუთარი საშუალებები: **მე**-ბოსტნ-**ე**, შდრ. ხუნძ. ფასტან-**ჩი** „id.“ (ფასტან „ბოსტანი“); **მე**-დუქნ-**ე**, შდრ. ხუნძ. თოქენ-**ჩი** „გამყიდველი“ (თოქენ „მაღაზია“); **მე**-ჩქემ-**ე**, შდრ. ჩაქმა-**ჩი**; **მე**-ურმ-**ე** (< მე-ურემ-**ე**), შდრ. ლაკ. პრავა-**ჩი** „id.“ (პრავა „ურემი“); **მე**-ბალ-**ე**, შდრ. ლეზგ. ბალმან-**ჩი**; **მე**-კალ-**ავ**-**ი**, შდრ. ხუნძ. დალაფ-**ჩი**, ლაკ. დარგ. ჯალაფ-**ჩი** „id.“ (დალაფ „კალა“); **მე**-თა-**ურ**-**ი** (< მე-თავ-ურ-**ი**), შდრ. ლაკ. ბაკ-**ჩი** „id.“ (ბაკ „თავი“); **მო**-ნადირ-**ე**, შდრ. ლაკ. ავ-**ჩი** „id.“ (ავ „ჩინვი“, „ნადირი“) და სხვ.

⁴ განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ამ მხრივ, მაგალითად, თაბასარანული ენა, სადაც **-ჩი** დაბოლოება სიტყვაში შენარჩუნებულია იმ შემთხვევაშიც, თუ მოქმედ პირად ქალი იგულისხმება. ასეთ დროს **-ჩი** სუფიქსიან სახელს უბრალოდ, ამ სუფიქსის მოუცილებლად, საზღვრულად დაერთვის ხოლმე დიშექლი, ხფაირან შიუ „ქალი“: თელეფუნჩი დიშექლი „ტელეფონისტი ქალი“ (თელეფუნ-**ჩი** „ტელეფონისტი“), ფალჩი ხფაირ „მკითხავი ქალი“ (ფალ-**ჩი** „მკითხავი“) და სხვ. (მაპომეტოვი 1965, 144).

⁵ ამ მოვლენის შესახებ ნ. ჯიდალაევი და ს. ალიხანოვი წერენ: „Между прочим, во множественном числе и когда речь идет о женщине, чаще всего выступает чаг/и "люди", а не ручаби "женщины", что логически вполне оправдано и вместе с тем свидетельствует о наметившемся процессе некоторого обособления (лексикализации) всего композита“ (ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985, 47).

თურქული სიტყვაწარმოებითი აფიქსის შემცველი სიტყვები ქართულსაც უსესხებია, მაგ., სუფრაჯი (შდრ. სუფრა), სარაჯი (იგივეა, რაც „მეუნაგირე“; შდრ. გვარი სარაჯიშვილი), ლაფაჩი (ამჟამად წარმოადგენს გვარსახელს), ყაუხჩი (< თურქ. კაუჯ-ჩი „მენავე“; შემორჩენილია გვარსახელში ყაუხჩიშვილი), თოფჩი (= „მეზარბაზნე“), შემონახულია გვარსახელში თოფჩიშვილი... ამ სიტყვებში არსებული **-ჯი**, **-ჩი** ქართულში ცალკე მორფემებად არც აღიქმება; შდრ. **მე-თულუხჩ-ე** (<თურქ. თულუხ-ჩი) და სხვ.

დაღესტნური ენებისათვის კი ბუნებრივი აღმოჩნდა **-ჩი** სუფიქსით ახალ ლექსემათა წარმოება თვით რუსულის გზით შემოსული სიტყვებისგანაც, მაგ., ქოლხოზ-ჩი „კოლმეურნე“ (რუს. колхоз), დაკლად-ჩი „მომხსენებელი“ (რუს. доклад „მომხსენება“). გითარა-ჩი „გიტარისტი“ (რუს. гитара), თელეფონ-ჩი „ტელეფონისტი“ (რუს. телефон), თანქ-ჩი „ტანკისტი“ (რუს. танк) და სხვ.

დასასრულ, წარმოვადგენთ ზოგიერთ სხვა საინტერესო ნიმუშს ხუნძური ჩი ლექსემის („კაცი“, „ადამიანი“) მეშვეობით არსებით სახელთა წარმოებისა:

ჰოფ-ჩი (მრ.რ. ჰოფ-ჩაში) კომპოზიტი და მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა „ძალი კაცი“ (ჰოფ „ძალი“). ასე უწოდებენ ხუნძები არამზადა, ნაძირალა ადამიანს. ხუნძურ ენაში ჰოფ-ლ'ი „ძალობა“ ზოგადად გადმოსცემს ყოველგვარი ადამიანური სისაძაგლის, სიმდაბლის სემანტიკას და ისევე, როგორც სხვა მრავალ ენაში, იგი სალანძღავ სიტყვად გამოიყენება. შესაბამისად, ჰოფ-ჩი გვევლინება მყარ გამონათქვამად, რომელშიც ასახულია ენობრივი უზუსით დამკვიდრებული უარყოფით-შეფასებითი დამოკიდებულება ადამიანი-სადმი.⁶

ჩი-ს შემცველია აგრეთვე კომპოზიტი ლ'აავ-ჩი „მეგობარი“, „ძმაკაცი“. აქ მოცემულია ზედსართავი ლ'იკ-ავ „კარგი“, „კეთილი“, რომელიც ითქმის ხოლმე ასეთი სახითაც: ლ'აიფ-ავ. ზედმიწევნითი მნიშვნელობით ლ'აავ-ჩი არის „კარგი კაცი“; შდრ. ქართ. მო-კეთ-ე.

ასეთივე შედგენილობისაა შორისდებული ლ'ააჩი! „ყოჩაღ“ (< ლ'აიფავ ჩი! „კარგი კაცი!“).

ერთ სიტყვაში **ჩი** დართული აქვს ადგილობით ბრუნვათა II სერიის ელათივის (დაშორებითის) ფორმას: ინსაუჯა-ჩი „მემკვიდრე მამის მხრიდან“. ამოსავალია ფორმა ინსა-უ-ჯა-ა „მამისაგან“ (ზედმიწ. „მამას-თან-ით-გან“). ინსა-უ- ირიბი ფუძეა სიტყვისა ემენ „მამა“; შდრ. ერგ. ინსა-უ-ცაა „მამამ“, ნათ. ინსა-უ-ლ „მამისა“ და ა. შ.

რთული შედგენილობისაა ჭუჰაბუზულ-ჩი. ასე ეწოდება ჩვეულებითი სიმართლის მცოდნე პირს, ადგილობრივი ადათის (და არა მუსულმანური შარიათის) წესებით საქმის გამრჩევე მოსამართლეს. მრავლობითის ფორმაა ჭუჰაბუზულ-ჩაში ან ჭუჰაბი. პ. უსლარი აღნიშნავს, რომ ამ პირებს დიდი გავლენა ჰქონდათ მთიელებში შარიათის გავრცელებამდეო (უსლარი 1889,

⁶ კონკრეტულად ქალის სალანძღავ სიტყვად ხუნძურში იხმარება გვაჟი „ძუენა“ (იხ. უსლარი 1889, განყ. II, 64.

განყ. II, 222-223).⁷

ამ სიტყვაში **ჩი** უშუალოდ აქვს დართული მრავლობითის ჭუჭაბი ფორმის ნათესაობით: მრ.რ. ჭუჭაბი (**-ბი** რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტია), ნათ. ბრ. ჭუჭაბ-უზ-ულ. როგორც პ. უსლარი ვარაუდობს, ეს სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ზმნას ჭუჭა-ი-ზე „ამაყობა“ (უსლარი 1889, განყ. II, 223); შდრ. აგრეთვე ჭუჭა-ა-რა-ვ ჩი „ამაყი კაცი“.

ხუნძურს მოეპოვება აგრეთვე კომპოზიტები, რომლებშიაც **ჩი** ლექსემის მსაზღვრელებად გვევლინებიან ზმნისართები. ასეთებია, მაგალითად:

ცავე-ჩი „წინამძღოლი“, ზედმიწ. „წინ კაცი“ (ცევე „წინ“). პარალელურად გვხვდება **-ჯან** სუფიქსიანი ფორმაც ამავე მნიშვნელობით: ცევე-ჯან;

კომპოზიტი ცადაჯ-ჩი ნიშნავს „თანამგზავრ კაცს“, იგი მიღებულია ზმნისართისაგან ცადაჯ „ერთად“;

ხადუ-ჩი შედგება ზმნისართისაგან ხადუბ „შემდეგ“, „მერე“, ე. ი. „შემდგომი კაცი“, „მომდევნო კაცი“. ძველად ასე ეწოდებოდა რაიმე დანაშაულში ბრალდებული კაცის თავმდებ პირს, ჩვეულებისამებრ — ნათესავს, რომელსაც ფიციტ უნდა დაედასტურებინა, რომ ეჭვიმითანილი უბრალო იყო. სალიტერატურო ხუნძურში ეს სიტყვა ამჟამად აღნიშნავს „თანამემწეს“, „დამხმარე მუშახელს“, აგრეთვე „ხელქვეითს“ (საიდოვი 1967, 509) და სხვ.

ლიტერატურა

მაღიევა 1981 — Г. И. Мадиева, Морфология аварского литературного языка, Махачкала.

მაჭომედოვი 1972 — М.-Г.З. Магомедов, Именное словообразование в даргинском языке, Махачкала.

მურყელინსკი 1957 — Г. Б. Муркелинский, Словообразование в лакском языке (материалы), Ученые записки Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы, т. II, Махачкала.

მაჭომეტოვი 1965 — А. А. Магомедов, Табасаранский язык, Тбилиси.

ჟირკოვი 1948 — Л. И. Жирков, Словообразование в аварском языке, Языки Дагестана, вып. I, Махач-кала.

საიდოვი 1967 — Аварско-русский словарь, Составил М.-С. Саидов, Москва.

სიმღერები 1971 — Героические песни и баллады аварцев, Махачкала.

უსლარი 1889 — П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык, Тифлис.

ღვინჯილია 1984 — ლ. ღვინჯილია, **-ჩი** სუფიქსის შესახებ დადესტურ ენებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

⁷ იგულისხმება ის დრო, როდესაც შამილისა და მის წინამორბედ იმამთა (გიმრელი მუჰამადი, ჰამზათ ბეგი) ძალაუფლება ჯერ არ იყო დამყარებული დადესტანში.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 — არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.

ხაიდაყოვი 1961 — С. М. Хайдаков, очерки по лексике лакского языка, Москва.

ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985 — Н. С. Джидалаев, С. З. Алиханов, Генезис аварского словообразовательного элемента -чи, Сб., Тюркско-дагестанские языковые взаимоотношения, Махачкала.

ჭაიदारოვი 1966 — Г. И. Гайдаров, Лексика лезгинского языка, Махачкала.

LEVAN AZMAIPARASHVILI

Word-Formation with *-č'i* Element in Avar

S u m m a r y

The lexemes, which have *-č'i* in auslaut, are numerous in Avar. It is characteristic for such words, which denote a man's profession and activity, social status or other different features.

In Avar an element *-č'i* is an independent word and denotes 'a man', 'human-being'. As an analysis of a vocabulary material manifests, it often occurs as an element having an independent meaning in composites.

At the same time, in Avar there is a *-č'i* suffix of foreign origin which is considered to be a borrowing from Kumik (L. Zhirkov, N. Jidalaev, S. Alikhanov). It was such organically assimilated Avar, that it was perceived as an own word.

ამთავარი არაბული

კინოზიტობის ერთი მოულოდნელი სინტაგმატური
შნარისათვის ქართული ენის დიალექტაში

ქართული ენის დერივაციულ მოდელს შორის პროდუქტულობით გამოირჩევა ე. წ. კინოზიტობის წარმოება. აკაკი შანიძე მიუთითებს, რომ ამ სემანტიკის წარმოება სალიტერატურო ქართულში მაინცდამაინც გავრცელებული არ არის და ძირითად მაწარმოებლებად რამდენიმე სუფიქსია დასახელებული: **-ა, -იკ, -ილ, -უკ, -უნ** (მათ შორის ზოგი უკვე გადმონაშთის სახისაა). ამავე დროს, მკვლევარი გამოყოფს კინოზიტობის კატეგორიის ორ ნიუანსს: „კინოზიტითი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი მხრით ალერსის გამოსახატავად (ალერსობითი სახელი) და მეორე მხრით დამცირების მიზნით (დამცირებითი სახელი)“ (შანიძე 1880, 120).

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, კინოზიტობის წარმოება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქართულის დიალექტებში, ზეპიმეტყველებაში და საინტერესო საკვლევ მასალადაც გვევლინება (ტუსკია 2004, 33-37 და 119-123). დიალექტებში კინოზიტობის მაწარმოებელი სუფიქსები დიდი მრავალფეროვნებით, ფონეტიკური ნაირსახეობებით დასტურდება (ჯორბენაძე 1998, 600-601). სხვადასხვა კილოში, სახელდობრ, გვხვდება არაერთი მარტივი და რთული მაწარმოებელი: **-ა, -ია, -უა, -ინ-ა, -უნ-ა, -იკ-ა, -უკ-ა, -იკ-ელ-ა, -უნ-ელ-ა, -იტ-ა, -იჭ-ა, -უჭ-ა** და სხვ.

კინოზიტობა, ჩვეულებისამებრ, არსებითი სახელის წარმოებაა; თუმცა აკაკი შანიძეს მისი გამოვლენის შემთხვევები რიცხვითსა და ზედსართავ სახელებშიც აქვს შენიშნული დიალექტურ მეტყველებაში, კერძოდ, მთიულურ-მოხეურში (აქედან — ყაზბეგის გმირთა ენაში) (შანიძე 1880, 121).

დიალექტებში კინოზიტობად შეიძლება გაფორმდეს როგორც ნებისმიერი არსებითი სახელი, ასევე ყოველი ზედსართავი (აგრეთვე — რიცხვითი და მსაზღვრელი ნაცვალსახელი). კინოზიტობის ძირითადი მაწარმოებელია **-ა**, ყველა სხვა მაწარმოებელი მისი თანამონაწილეობით იქმნება (**-იკ-ა, უჭ-ა, -უნ-ელ-ა** და მისთ.). სახელი, რომლის ფუძე **ა**-თი ბოლოვდება, კინოზიტობის გამოსახატავად რთულ სუფიქსს იღებს: პატარა → პატარ**-ი-ა**, პატარ**-უკ-ა**... ცოტა → ცოტ**-ინ-ა**, ცოტ**-უკ-ა**... „კინოზიტობა“ შეიძლება მიენიჭოს როგორც „სიმცირის“, ისე „სიდიდის“ გამომხატველ ზედსართავს, რაც მას ხარისხის წარმოებასთან აახლოებს.

ასეთ დროს ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ რიცხვით, ზედსართავ სახელთა, აგრეთვე ნაცვალსახელთა კინოზიტობის ფორმები არსებით სახელთან მათს ფუნქციურ გათანაბრებას მიანიშნებს: ერთ**-ა**, ცოტ**-ინ-ა**, თეთრ**-ა**, შენ**-ა**...

ანუ ეს ფორმები ფუნქციური ტრანსპოზიციის შედეგია (შდრ. ცოცანიძე 1978, 85).

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ორი რამ: ა) კინობითის ამგვარი გამოვლენა მხოლოდ გარკვეული ჯგუფის დიალექტებისათვის არის ნიშანდობლივი; ბ) თვით საილუსტრაციო მაგალითები სულაც არ არის ერთი მეტყველების ნაწილის ფუნქციური ჩანაცვლების ტიპობრივი ნიმუში მეორე მეტყველების ნაწილთან. ასეთ შემთხვევაში ჩამნაცვლებელი მთლიანად კისრულობს ჩანაცვლებულის ფუნქციას. შდრ.: „**ორნი** კაცნი მივიდოდეს“ → **ორნი** მიდიოდნენ.

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში კი შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპობრივ ნიმუშთან გვაქვს საქმე: სინტაგმის ორივე წევრი წარმოდგენილია და მსაზღვრელი ანგარიშს უწევს, ეთანხმება საზღვრულის ფორმასა და შინაარსს. ასეთი რამ დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს არსებითად ყველა დიალექტისათვის; სახელდობრ:

ხვესურული:

„ჩქარა მადი, მაისაო, ცხვარმა ძუძუ გაივსაო, ბეწიკუამ ბატკანამა პირი ზისვრით გაივსაო“ (ჭინჭ. 420, 9).

„სხვათა ერბო-ყველაიო, დედის ჯელა ჯმელაიო“ (ჭინჭ. 439, 8)

„ბეწიკუან შუკუნანი ბროლი(თ) გამატენილანი“ (დიალ. 19, 22).

„ჭალაშიავ სიპან ავხაღენივ, გულ-ყვითელა ჩიტა ამაჩინდავ“ (დიალ. 39, 15).

„აი შვილა გაჩენილაი, ოჟაი, აკავანჩი ჩაწოლილაი“ (დიალ. 62, 26).
(იხ. ჭინჭარაული 1960, 82-83).

ფშაური:

„კარგუნელა ქალაია, მიწის გასამტვერებელი, კარგუნელა პირაი აქვ ვაჟის ჩასატოლებელი“ (რაზიკ. 125, 88).

„მზისთანდარას ჩამაუვლავ, მაგ ბეჩავას ქალასაო, აბრუნებს და ვერ აავსებს ერთას კვირტის ტარასაო“ (რაზიკ. 241, 247).

„პატარუნა ქალაი ვარ. ყანასა ვმკი ლულითაო...“ (რაზიკ. 214, 124).¹

მოხეური:

„ორაი ურემი პურაი ძლივ მადიოდა“ (ქავთ. გვ. 68).

„თეთრანი ცხორანი მყავ სულა; ჩაიარა ჩემმა თეთრა ბატკანამაო?“ (იქვე).

„ისრი გასიებულაი და ბატარია დედუფალაია, როგორც ლამაზაი გოგრიაი“ (იქვე).

„არ შევანდება შენაის სახლაის ერთის საათის მამრე დატოვება?“ (ქავთ. გვ. 69).

„ერთა თიკანა ხყვანდა“ (იქვე).

(იხ. ქავთარაძე 1985, 68-69).

¹ ეს თავისებურება ვაჟა-ფშაველას ენაშიც გამოვლინდა: „არ დამენახება მთვრალი კაცი. ბებერას კაცას კილევ უხდება, ვაჟკაცს კი აუშნოვებს“ (ვაჟა, IV, 237).

გუდამაყრული:

„ორანი ჯარანი ჰყრია, ვუშინ წავე, ვლივე, დავჯელო“ (დიალ. 81).

„ცხოვრობს: ორანი ცხოვრანი ჰყავს, ერთაი ძროხაი“ (იქვე).

„მამო, აბა ბატარია საპონაი გადმავდე, ცოტაი საპონაი, ცოტაი“
(იქვე).

თუშური:

„ანამ რაგვერ ვხედოვ ემაგ შენ ცოლ-შვილსავ, ემაგ შენ ქალა/სავ,
სვიოდ შენ ფერა/სავ“ (აზიკ. 42, 11)².

სავულისხმა, რომ ისეთი დიალექტისათვის, რომელიც ერთ-ერთ სპეცი-
ფიკურ ნიშნად სწორედ კინობითობის წარმოებას გვიჩვენებს, ანუ რაჭულისა-
თვის, ამგვარი სინტაგმატური წესი ფაქტობრივ არ არსებობს, თუმცა ზედსარ-
თავის კინობითობა უცხო არ არის. შდრ.: „გძელი რკინუკა იყო, იმითი გატე-
ნიდა... პატარა ბრტყელი კაჟუკა ქონდა.“ „ჩემი და პატარუკა ამხელუკა იყო.“

საზოგადოდ, მსაზღვარელ-საზღვრულის დონეზე კინობითობის გამოხატ-
ვის მხრივ დიალექტებში შეიძლება სამგვარი ტიპობრივი შემთხვევა გამოვყოთ:

ა) კარგი ბიჭ-უკ-ა (რაჭული);

ბ) კარგ-ა ქალი (თუშური);

გ) კარგ-ა ქალ-ა (ხევს., ფშ., მოხ., გუდ.).

ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ კინობითობის კატეგორია აღმოსავ-
ლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ჩვეულებრივი დერივაციის ფარგლებში
არ თავსდება და ის მსაზღვრელ-საზღვრულისთვის დამახასიათებელ სინტაგმა-
ტურ უნარს (შეთანხმების უნარს) ავლენს.

წარმოდგენილი მონაცემებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა:

1. ქართული ენის ცალკეული ქვესისტემებისათვის დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების გამოვლენა კინობითობის გრამატიკუ-
ლი კატეგორიის ნიშნით;
2. ეს ლოკალური მოვლენა გვაგაღებულეებს, კინობითობის კატეგორი-
ას სისტემური თვალსაზრისით სხვა კუთხით შევხედოთ;
3. ამგვარ შეთანხმებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ როგორც გარკვეულ არე-
ალურ თავისებურებაზე, რისი წყაროც ჯერ კიდევ საძიებელია.

ლიტერატურა

შანიძე 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბილისი.

ქავთარაძე 1985 — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი,
თბილისი.

ჭინჭარაული 1960 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი,

² თუშურში ამგვარი შეთანხმების მაგალითები ნაკლებად იძებნება

თბილისი.

ჯორბენაძე 1998 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, თბილისი.

ტუსკია 2004 — მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბილისი.

ცოცანიძე 1978 — გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი.

შემოკლებათა განმარტება

აზიკ. 1986 — მგოსანნი გლოვისანი, ტექსტები შეკრიბა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნ. აზიკურმა, თბილისი.

დიალ. 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

დოლ. 1975 — გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები (ლექსიკონითურთ), თბილისი.

რაზიკ. 1953 — ხალხური სიტყვიერება, III, პირველი სერია, II, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, თბილისი.

ქავთ. 1985 — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი.

ჭინჭ. 1960 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი.

AVTANDIL ARABULI

Towards One Unexpected Syntagmatic Ability of Diminution in the Georgian Dialects

S u m m a r y

In Georgian diminution is expressed by various suffixes. Their variety is especially overlooked in dialects: **-a**, **-ia**, **-ua**, **-in-a**, **-ik-a**, **-ik-el-a**, **-un-el-a**, **-it-a**, **-iĉ-a**, **-uĉ-a** and others. These suffixes are formed from a noun and the nouns equalized with it by so called diminution. At the same time, one strangeness is observable in the mountainian dialects, which differentiates diminutive forms from derivation. In particular, a determinatum can agree determinandum by a diminutive marker, e. g.:

Khevsurian: „kvao, kvao, mamarĉine, ſen-**a**-m zaŷl-**a**-m miĸbinao“.

Pshavian: „ḳargunela kalaia, miĉis gasamṭverebeli“.

Mokhebian: „or-**a**-i urem-**a**-i pur-**a**-i zliv madioda“.

These peculiarities give diminution a character of grammatical category in these dialects.

ნოღარ არღოტალო

**ფარინგალური რიგის თანხმოვანთა (ჯ, ყ)
კლასიფიკაციისათვის ქართულში**

ქართული ენის ფარინგალური რიგის თანხმოვანთა შესწავლა გულისხმობს ამ ფონემების კვლევას მთელი ენის მასშტაბით — გასათვალისწინებელია როგორც სალიტერატურო ენის მონაცემები, ისე დიალექტური თავისებურებანი. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია დიასისტემური მეთოდის გამოყენება, რომელიც მთლიანად ითვალისწინებს ენის, როგორც დინამიკურ ნიშანთა სისტემის, ყველა დონეს. ამგვარი მიდგომა იმითაც არის გამართლებული, რომ სალიტერატურო ენაში **ჯ** ამჟამად არ გვხვდება და სინქრონიულ დონეზე მისი დახასიათება შეიძლება მარტოოდენ ზოგი არქაული ტიპის დიალექტის (ხევსურულის, ფშაურის, თუშურის, ინგილოურის, ფერეიდნულის...) მონაცემთა მიხედვით.

როგორც ცნობილია, ფონემური სისტემის ანალიზი გულისხმობს ბგერისთვის პარადიგმატული სტატუსის დადგენას და სინტაგმატური კანონების (ფუნქციების) გამოვლენას. ცხრილებში ფონემათა განაწილების კანონზომიერებათა გამოსაკვლევად უპირატესი მნიშვნელობა პარადიგმატულ ანალიზს ენიჭება, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს თ. უთურგაიძე: „ენის ფონემატური სტრუქტურის შესწავლის პირველი საფეხურია მისი ბგერითი სისტემის პარადიგმატული ანალიზი, რაც გამოიხატება ბგერითი სისტემის ცალკეულ ელემენტთა აღწერით და ამის საფუძველზე იმ დიფერენციალური ნიშნების დადგენით, რომელთა მიხედვითაც ენაში ხორციელდება ფონემურ ერთეულთა იდენტიფიკაცია“ [უთურგაიძე 1973: 89].

*
* *
*

სპეციალურ ლიტერატურაში **ჯ**, **ყ** ფარინგალურ თანხმოვანთა წარმოების ადგილისა და გვარობის მიხედვით განაწილებისას თავს იჩენს აზრთა სხვადასხვაობა: ა) მკვლევართა ერთი ნაწილი მათ ხშულებად (*resp.* ხშულმსკდომებად, სპირანტოიდებად) მიიჩნევს [ახვლედიანი 1999: 89; ჩიქობავა 1967: 27; შანიძე 1980: 15, 18; ჩარგეიშვილი 1946: 539-540...], ბ) მეორე ნაწილი — აფრიკატებად [მარი 1925: 030; ტრუბეცკოი 1987: 248; გუდავა 1964: 23-24 და სხვ.]. ახლახან კვლავ დადგა დღის წესრიგში ფარინგალთა (ჯ,

ყ) სპირანტულობის საკითხი [გამყრელიძე 2000: 249-256], რომელიც ფაქტობრივად გ. ნებეირიძისა და თ. უთურგაიძის მიერ ოცდათხუთმეტი წლის წინ წამოყენებული დებულების დამატებითი დასაბუთების ცდას წარმოადგენს [შდრ. ნებეირიძე 1972: 31; უთურგაიძე 1976: 67].¹

თავდაპირველად ნ. მარის მახვილგონივრული მოსაზრებით, **ჭ, ყ** ფარინგალები გაერთიანდა აფრიკატებთან და მისი „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკისთვის“ დართულ ცხრილში კვადრატის შიგნით იქნა შეტანილი [მარი 1925: 030, ამის შესახებ იხ. უთურგაიძე 2003: 21]. ნ. მარის მიხედვით, აფრიკატები ორ ქვეჯგუფად იყოფა: ა) ასიბილატები, რომლებიც მიღებულია ხშულ-მსკდომთა შერწყმით ჰომოგენურ სიბილანტებთან და ბ) ასპირანტები, რომლებიც წარმოქმნილია წინაველარულ ხშულ-მსკდომთა და უკანაენისმიერ სპირანტთა შერწყმით. სწორედ ეს მეორე შემთხვევა იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას: **ქ[ჩ] > ჯ (q), [კ] ჰ > ყ (k)**.²

საგულისხმოა, რომ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისთვის ანალოგიური თვალსაზრისი წარმოდგენილია ნ. ტრუბეცკოის 1926 წელს დაბეჭდილ ნაშრომში [ტრუბეცკოი 1926: 7-36], რომელმაც სათავე დაუდო ფარინგალურ (ავტორის ტერმინოლოგიით — უკანაველარულ) თანხმოვანთა აფრიკატულობის თეორიას [იხ. აგრეთვე, ტრუბეცკოი 1987: 248-249]. ნ. ტრუბეცკოის ამ ნაშრომიდან მოკიდებული ფარინგალურ თანხმოვნებს, რომლებიც ამ ენებში რთულ კორელაციებს ქმნიან, მსგავსი კვალიფიკაცია ეძლევა არაერთი კავკასიოლოგის მიერ [ბოკარევი 1959: 15-16; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 38; გუდავა 1964: 23 და სხვ.].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტ. გუდავა ანდიურ ენათა ფარინგალებზე დაკვირვებისას ყურადღებას ამახვილებს მათ სპირანტისებურ რეკურსიაზე: „წარმოთქმაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არ შეიძლება მათი (ფარინგალების — ნ. ა.) მიჩნევა წმინდა ხშულ-მსკდომებად, მათი დამართვა სპირანტული ბუნებისა“ [გუდავა 1964: 23]. ამ დებულების გაზიარება ჭირს, ვინაიდან არა მარტო ქართულში, არამედ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც ფარინგალურ თანხმოვანთა სპირანტული და ხშული კომპონენტების განლაგება შებრუნებულია — შემართვა სპირანტისებური აქვს, დამართვა კი ხშულისებური [ახვლედიანი 1999: 317-318; გაფრინდაშვილი 1966: 157]. სწორედ ეს გარემოება — სპირანტულობისა და ხშულობის განსხვავებული თანამიმდევრობა — აძლევდა საფუძველს გ. ახვლედიანს აფრიკატთა ქვესისტემიდან გამოერიცხა საანალიზო ფონემური ერთეულები. ამგვარი ინტერპრეტაცია მართებული არ ჩანს, ვინაიდან მზარდი და კლებადი ღიაობის წყობის მონაცვლეობა ამ ფონემათა არსს ვერ ცვლის.

¹ აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე ამ აზრს, სპეციალურ დასაბუთების გარეშე, გამოთქვამდა ნ. იუშმანოვი და ქართ. ყ-ს „ყელხშულ ღრმადუკანაენისმიერ სპირანტად“ მიიჩნევდა [იხ. ახვლედიანი 1999: 322].

² ავტორის ინტერპრეტაციით, **ქ** + არშენახული **ც** > **ჯ**, არშენახული **კ** + **ჰ** > **ყ**.

I. ფარინგალური თანხმოვნები ფონეტიკურად

უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალთა რაობის დადგენისას წინამორბედი მკვლევრები უპირატესად ა. ჩარგეიშვილის რენტგენოლოგიური ექსპერიმენტის მონაცემებს ეყრდნობიან და /ჟ/ სპირანტიოდად მიაჩნიათ [ახვლედიანი 1899: 317-318; ჟღენტი 1949: 145, 148].

განვიხილოთ ზემოხსენებული ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები დაწვრილებით.

ა. ჩარგეიშვილი აღნიშნავს, რომ ყ-ს არტიკულაციისას ხახის უკანა კედლის შუა ხაზზე წარმოიქმნება 0, 5-1 სანტიმეტრის სიგანის ვერტიკალური ხაზი, რომელშიც ჯდება ენის ძირის ამობურცული ზედაპირი და ხდება „ყ“-ს იმპლოზია. იგი სავანგებოდ ჩერდება ხშვის აღწერაზე: „...უმეტეს ნაწილში ხშვა ენერგიულია, მაგრამ გამონაკლისს შეადგენს ღარის ფსკერი, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ენის ძირის ამობურცული მორგვი ჩაჯდა, მაინც რჩება უმნიშვნელო ნაპრალი. ეს ნაპრალი განკუთვნილია ლორწოიანი სითხისთვის, რომლის დახმარებითაც ჰაერი აწარმოებს სკდომას. ამას ადასტურებს შემდეგი სურათი: „ყ“-ს რამდენჯერმე წარმოთქმის დროს გამოსაკვლევი ობიექტის ხახის კედელზე არსებული სქელი ლორწოს ბადე აიწმინდა ზევითკენ და იქ დაგროვდა დაახლოებით 2-3 სანტიმეტრის სიმაღლეზე“. სამწუხაროდ, ავტორი არ გვეუბნება, თითოეულ წარმოთქმით რა ემართება ლორწოვან სითხეს. მასთან, „ყ“-ს მეტ-ნაკლებად გავრძელებულად წარმოთქმის შესაძლებლობა“ ნაკლებსარწმუნოა, ვინაიდან ყ-ს რეკურსია, როგორც თავადაც აღნიშნავს, სკდომით მიმდინარეობს. გარდა ამისა, ენის ძირის ზურგსა და ხახის კედლის ღარს შორის მანძილი იმდენად მცირე ჩანს, რომ მას ავსებს ლორწოიანი სითხე და ეს ლორწოს ბადე ერთგვარ დაბრკოლებად ეღობება ჰიპოფარინგსში არსებულ მცირე საფონაციო ჰაერნაკადს. რადგანაც ჰაერნაკადი ლორწოს აწმენდას იწვევს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლორწოს ზედაპირსა და ენის ძირის ამობურცული მორგვის ზედაპირს შორის გასასვლელი ადარ რჩება და ამიტომ საფონაციო ჰაერნაკადი სკდომის განსახორციელებლად მის აწმენდას იწვევს.

საგულისხმოა, რომ მოგვიანებით ლარინგოლოგ ს. ხეჩინაშვილისა და ფონეტიკოს გ. დოლიძის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმაც ყ-ს ხშულობა დაადასტურა: „ამრიგად ქართული ყ-ს წარმოთქმისას (გვულისხმობთ გ. დოლიძის წარმოთქმას) ენა ხშვას აწარმოებს რბილი სასის თითქმის მთელ ზედაპირთან“ [უთურგაიძე 1976: 66].

ჩვენი აზრით, მიზანშეუწონელია ყ-ს განყენებულად ანალიზი, რადგან **ჟ, ყ** ერთ ლოკალურ რიგს ქმნიან და ერთმანეთის მოუწყვეტლად უნდა განიხილებოდნენ. ა. ჩარგეიშვილი ფარინგოსკოპიული ანალიზის საფუძველზე ასკვნის: „თანხმოვნები „ყ“ და „წ“ იწარმოება ენის ძირისა და ხახის გვერდითი კედლების აქტიური ხშვის საშუალებით; ენის ძირზე წარმოშობილი მორგვი ჯდება ხახის კედელზე შექმნილ ღარში და შემდეგ სკდომას აწარმოებს ყიის ზემოთ მდებარე ჰაერის მარაგით“ (ჩარგეიშვილი 1946: 541).

ს. ჟღენტის გამოკვლევებითაც სვანურსა და ქართული ენის მთის დიალექტებში ფარინგალბი /ჟ/ და /ყ/, ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავე-

ბით, მიჩნეულია რადიკალურად ფარინგალურ ბგერებად [ჟდენტი 1965: 120-121].

საინტერესო შედეგი მოგვცა /ჭ/, /ყ/ ფარინგალთა სპექტრულმა და ოსცილოგრაფიულმა ანალიზმა, რომელსაც აწარმოებდა ივ. ლეჟავა. იგი წერს: „ჭ, ყ ბგერები ატარებენ როგორც სიბილანტური აფრიკატების, ისე ხშულ-მსკდომი თანხმოვნების დამახასიათებელ ნიშნებს. ჩქამის გრძლიობით და ინტენსივობით ისინი აღემატებიან ხშულ-მსკდომებს, მაგრამ ჩამორჩებიან სიბილანტ-აფრიკატებს“. ანდა: „სპექტრული სურათიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყ ბგერის არტიკულაციის დროს ხშვის დაწყების (უფრო დაბალი F₂-ით ხასიათდება) ადგილი უფრო ღრმად მდებარეობს, ვიდრე განხშვის დაწყებისას (უფრო მაღალი F₂-ით ხასიათდება)“ [ლეჟავა 1984: 90 — დისერტაცია]. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ავტორი ორივე ფარინგალურ თანხმოვანს აფრიკატების წყებაში მესამე რიგად აერთიანებს და ფარინგალურ-უფულარულ აფრიკატებს უწოდებს.

აკუსტიკური ანალიზის საფუძველზე /ყ/, ნ. იუმანოვის მსგავსად, მიჩნეულია აფრიკატიოდ [იმნაძე 1974: 80].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ წარმოების გვარობის მიხედვით /ჭ/, /ყ/ თანხმოვნები ხშული ფონემებია და უფრო მეტ სიახლოვეს აფრიკატებთან ამჟღავნებენ. თუ გავითვალისწინებთ ამ თანხმოვანთა და მათი ინტენსიური კორელატების მკაფიოდ გამოხატულ ტენდენციებსაც (სპირანტიზაცია, სპონტანური სახის ბგერათცვლილება, ინტენსივობის კორელაციის არსებობა და ა. შ.), რაც იბერიულ-კავკასიურ ენებში მეტად დამახასიათებელია სიბილანტ-აფრიკატებისათვის, მაშინ მათი გაერთიანება აფრიკატთა ქვეჯგუფში სავსებით შესაძლებელი იქნება. გარდა ამისა, ბგერათცვლილების ზემოხსენებული ტენდენციები იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ხშულ-მსკდომსა და აფრიკატს შორის სინტაგმატური ფუნქციები თვალსაჩინოდ განსხვავებულია [იხ. უთურგაიძე 1973: 111].

II. ფარინგალურ თანხმოვანთა გენეზისი

ისმის კითხვა: თუ ფარინგალური თანხმოვნები აფრიკატებია, მაშინ როგორია მათი წარმომავლობა?

თავდაპირველად ამ თანხმოვანთა გენეზისი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ. მარმა წარმოგვიდგინა. ძნელია გავიზიაროთ ქ [ჩ] > ჯ პროცესი იმის გამო, რომ /ჭ/ სპირანტულ კომპონენტს გულისხმობს შემართვაში, აქ კი ორი ხშულის შერწყმა გვაქვს. უფრო მართებული ჩანს [კ] ჰ > ყ, თუმცა ამ შემთხვევაშიც ავტორი ბოლომდე თანამიმდევრული არ არის. ჯერ ერთი, არშენახული [კ]-ს რეკონსტრუქცია ფუძენაში ჰიპოთეტურადაც სათუთა, მეორეც, კ+ჰ თანამიმდევრობას ამჟამინდელი ყ-ს შედგენილობა არ უჭერს მხარს. მართალია, „...ფარინგალურ თანხმოვნებში შემავალი სპირანტული კომპონენტი წარმოების ადგილის მიხედვით ფარინგალური რიგის სპირანტი უნდა იყოს“³ [ოსიძე

³ სისტემის სიმეტრიულობიდან გამოსვლით, არც ლარინგალური რიგის სპირანტი გამოირიცხება, შდრ. ტ + შ > ჭ.

2001: 72], მაგრამ **ყ**-ს სტრუქტურული წყობიდან გამომდინარე, მის შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთმიმართება ინვერსიული ივარაუდება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში თავჩენილი ფარინგალური ნაპარალოგები **ჭ** და **ჭა**, მაგრამ ქართველურ ფუძეენაში მათი არსებობის კვალი რელიქტურადაც არ ჩანს. ამიტომ ფარინგალურ აფრიკატთა გენეზისის რკვევისას წინამავალ სპირანტულ კომპონენტად უნდა ვიგულოვოთ **/ხ/** ან **/ჰ/**. თუ სისტემის სიმეტრიულობას დავემყარებთ, მაშინ უფრო მეტად სავარაუდოა სპირანტული ელემენტის შემქმნელ არქიფონემად დავსახოთ ლარინგალური სპირანტი **/ჰ/**. **/ხ/** ველარული სპირანტია და, ამდენად, უფრო წინ იწარმოება, რაც, ბუნებრივია, აძნელებს ფარინგალურ აფრიკატთა წარმოქმნაში მის მონაწილეობას. რჩება სპირანტი **ჭ**, რომლის ფუძეენისეულობა დამტკიცებულია. აქედან გამომდინარე, **/ჭ/** და **/ყ/** თანხმოვანთა გენეზისი ასე გვესახება: **ჭ + ქ > ჭ; ჭ + კ > ყ**. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა **/ჭ/** და **/ყ/** ამგვარი წარმომავლობისაა.

რაც შეეხება **/ჰ/**, **/ყ/** თანხმოვანთა წარმოების ადგილის მიხედვით კლასიფიკაციას, აქაც აზრთა სხვაობას ვაწყდებით. ხშირად არ არის ჯეროვნად გამოიჭნული სალიტერატურო ენაში თავჩენილი ცალეული **/ყ/** ძვ. ქართულისა და დიალექტური წყვილეულის (**ჭ**, **ყ**) **/ყ/**-სგან, რომლებშიც თვალსაჩინოდ განსხვავებული ვითარება გვაქვს.

გ. ახვლედიანი, ა. ჩარგეიშვილის ექსპერიმენტის შედეგთა გათვალისწინებით, **ჭ**, **ყ** თანხმოვნებს ფარინგალურ რიგში აქცევს [ახვლედიანი 1999: 89, 91]. ასევეა აკ. შანიძის ნაშრომებსა და შემდგომი პერიოდის ბევრ მკვლევართან.

საყურადღებოა, რომ გ. დოლიძის ექსპერიმენტმა ავტორისავე წარმოთქმული ლიტერატურული **/ყ/** უფრო წინა წარმოებისად მიიჩნია. გ. დოლიძე კითხვას სვამს: „ხომ არ არის მერყეობა საწარმოთქმო ადგილის მიხედვით ქართულში ყ ბგერის წარმოთქმისას...“ [იხ. უთურგაიძე 1973: 107-108]. სავსებით შესაძლებელია **/ყ/** უფულარულიც იყოს და ველარულიც, თუკი გავითვალისწინებთ მის ცალეულობას თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **/ჰ/** : **/ხ/** ფონემათა ნეიტრალიზაციის პროცესმა ზეპირმეტყველებაში ფეხი მოიკიდა IX ს.-ის დამდეგს და საუკუნის ბოლოსთვის წერილობით ძეგლებშიც კი **ჭ** ძალიან ხშირად **ხ**-დ რეალიზდება [არდოტელი 2000: 40]. აქედან მოკიდებული **/ყ/** ცალეულის სახით დასტურდება და, ბუნებრივია, **ჭ > ხ** პროცესის შემდეგ **/ყ/**-ს დისპერსიის ზონა და პალატალიზაციის შედეგად წინ გადაწევის შესაძლებლობა სათანადოდ გაიზარდა. ამ მოვლენაზე ს. ჟღენტი ამახვილებს ყურადღებას და მისი წინ გადაწევის ორ მიზეზს ასახელებს: 1) ლიტერატურულ წარმოთქმაში ფარინგალიზაციის შესუსტება და ნაწილობრივ მოშლა, რაც **ჭ**-ს დაკარგვით დასრულდა და 2) ლიტერატურულ წარმოთქმაში **/ყ/**-ს არტიკულაციის შესუსტება მისი უფრო „კეთილხმოვნად“ წარმოსაჩენად [ჟღენტი 1965: 121]. ს. ჟღენტის დაკვირვებით, „ლიტერატურულად წარმოთქმული ყ არტიკულაციურად უფრო წინ არის წარმოებული, ვიდრე სვანურისა და მოხეურის ფარინგალური ყ. ლიტერატურული ყ უფრო უფულარულია, ვიდრე ფარინგალური“ [ჟღენტი 1956: 134].

მართალია, გ. დოლიძე ველარულ ყ-ს გამოყოფს, მაგრამ ეს თვალსაზრისი დაზუსტებას საჭიროებს. ა. ჩარგეიშვილი წერს: „ჩემი აზრით, ის ავტორები, რომლებიც „ყ“-ს სთვლიან უველარულად ან პოსტველარულად, უმთავრესად აკუსტიკურ შეგრძნებას ეყრდნობიან. დაკვირვების დროს, მართლაც, მე ვისმენდი „ყ“-ს სასასთან ჩემ მიერ ზემოხსენებულ ნაპრალში ენის ზურგსა და რბილ სასას შორის და ზოგჯერ უკანაც, მაგრამ აქ ხშვა-სკდომას არ ჰქონდა ადგილი“ [ჩარგეიშვილი 1946: 541].

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ სვანურსა და ქართული ენის არქაული ტიპის დიალექტებში (ხევსურული, ფშაური, თუშური, ინგილოური, ფერეიდნული...), რომლებშიც მეტ-ნაკლებად დაცულია ფარინგალური არტიკულაცია და, შესაბამისად, /ჳ/ : /ხ/ ფონოლოგიური ოპოზიცია, ამ ენობრივ ერთეულებში /ყ/, როგორც წესი, ფარინგალურია.

აღნიშნავენ, რომ არტიკულაციური ფონეტიკის მიხედვით ფარინგსში ხშვა არ ხდება, რასაც დამატებითი დასაბუთება სჭირდება. როგორც ჩანს, ამით არის შეპირობებული /ჳ/-ს პოსტველარულ რიგში მოქცევა [გამყრელიძე 2000: 255]. თუ გავიზიარებთ ყ-ს ველარულობასა და ჳ-ს პოსტველარულობას, მაშინ საკითხავია, ბევრ იბერიულ-კავკასიურ ენაში, კერძოდ, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში დადასტურებული ფარინგალიზებული არაინტენსიური და ინტენსიური კორელატები ჳ' (ჳა), ყ' (ყა), როგორც ცნობილია, გაცილებით უკან იწარმოება, რაც მათ უტყუარ ფარინგალურობას ცხადყოფს. ზემოხსენებული დებულების სისწორე თეორიულადაც ნაკლებსარწმუნოა, ვინაიდან ერთ-ერთი დიდი საარტიკულაციო ორგანოს — ფარინგსის გამოტოვებით ლარინგსში ხდება ხშვა /ც/-ს (სპირანტოიდი — ნ. იმნაძე) საწარმოებლად. ცნობილი ფონეტიკოსი ს. კოძასოვი, ა. ლაუფერისა და ჯ. კონდახის დებულებაზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ ფარინგსის მესამე ეპიგლოტალურ ზონაში — ლარინგოფარინგსში „ვიწროვდება ქვემოფარინგალური გასასვლელი და ხორხში შესასვლელი სრულად იკეტება“ [კოძასოვი 1986: 19].

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ქართულში /ყ/-ს ნაპრალგანად მიჩნევას არაერთი დაბრკოლება ხვდება:

1) სპირანტთა სისტემისათვის მკვეთრი ისევე არ არის ნიშანდობლივი, როგორც აბრუპტივთა სისტემაში ნაპრალგანი არ გვხვდება. თ. გამყრელიძე ცდილობს უგულვებლყოს ნ. ტრუბეცკოის თვალსაზრისი ფარინგალთა ხშულობის შესახებ და მის მიერ შემოთავაზებული პოსტველარული /ჳ/ და ველარული /ყ/-ს სპირანტულობის თეორია განავრცოს არა მარტო ქართველურ (სვანურსა და ზანურ) ენებზე, არამედ ჩრდილოკავკასიურ ენათა კონსონანტურ სისტემებზეც, რომლებშიც /ჳ/ და /ყ/ ფარინგალურ თანხმოვნებად რეალიზდებიან და რთული სპეციფიკური სერიებით არიან წარმოდგენილი [გამყრელიძე 2001: 9-10].

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ არ შეეფერება სინამდვილეს ის აზრი, თითქოს ზოგ ანდიურ ენაში (ბაგვ., ჭამ., კარ. ენის ტოქ. დიალ.) დასტურდებოდეს ფონემური სტატუსის მქონე აბრუპტიული სპირანტები, მით უფრო მათი პოსტულირება ფუძენაში შესაძლებელი იყოს. ამ ენებში, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, გვხვდება მოდიფიკაცია ინტენსიური აბრუპტიული

აფრიკატებისა, რაც მათ სპირანტულ არტიკულაციაში გამოიხატება. მართალია, ტ. გუდავას ანდიური ენების თანხმომავანთა სინოპტიკურ ტაბულაში შეაქვეს მკვეთრ აფრიკატთა სპირანტული ალოფონები **სა** და **შა**, მაგრამ ამ თანხმომავანებს ფრჩხილებში აქცევს და მათი ბუნების შესახებ ამავე ადგილას განმარტებას გვაწვდის. კერძოდ, იგი ბავალური ენის თანხმომავანთა სისტემაზე მსჯელობისას ასკვნის: „ძლიერი აბრუპტიული აფრიკატები სპირანტებივით რეალიზდებიან“. ქვემოთ კი აღნიშნავს: „განსაკუთრებით გავრცელებულია **წ**, **ჭ** სიბილანტთა სპირანტიზაცია. ხსენებულ თანხმომავანთა სპირანტული წარმოთქმა ფონოლოგიურ მნიშვნელობას მოკლებულია“ [გუდავა 1964: 99]. ეგვევ მკვლევარი 1971 წელს ბავალური ენის თანხმომავანთა სისტემის განხილვისას კიდევ უბრუნდება ამ საკითხს: „მკვეთრი სპირანტები **წ** და **ჭ** გამოითქმის როგორც ძლიერი თანხმომავანები... გამოთქმაში **წ** და **ჭ** წმინდა სპირანტებია“ [გუდავა 1971: 13].

მართალია, ანდიურ ენათა სინამდვილეში სპირანტები სამეულეებრივ სისტემას ქმნიან, მაგრამ აქ ყრუ წვერთა დაპირისპირება ხდება არა ფშვინვიერობა-აბრუპტივობის მიხედვით, არამედ ინტენსიურობა-არაინტენსიურობის კორელაციის საფუძველზე.

რაც შეეხება ადილური და ყაბარდოული-ჩერქეზული ენების შიშინ-სინა აბრუპტიულ ნაპრალღვნებს, სპეციალისტები აფხაზურ-ადილურ ენათა სათანადო მონაცემების მოხმობით დამაჯერებლად ამტკიცებენ მათ მეორეულ წარმომავლობას. აფხაზურ ენაში, ქართველურ ენათა ანალოგიურად, **/ჟ/** ფონემამ სპირანტიზაცია განიცადა: **ჟ > ზ > ხ**. რაც შეეხება **/ჟ/-ს**, ისიც ანალოგიურ ცვლილებას დაემორჩილა, თუმცა საწინააღმდეგო მიმართულებით: **ჟ > ხ**. ამ სპონტანურ ფონეტიკურ ცვლილებათა შესახებ ქ. ლომთათიძე წერს: „**ჟ** ხშულს (ასევე **ჟ**-ს) სპირანტიზაციის გზით ენაში წარმოუქმნია სპირანტის ახალი სახეობა — **ხ**“ [ლომთათიძე 1976: 173]. ამ ტიპის (**ხ**) სპირანტი კი აკუსტიკურ-არტიკულაციურად ახლო იდგა ამოსავალ **ხ** სპირანტთან, რომელსაც თანდათანობით შეერწყა კიდევ. როგორც ჩანს, ამ კუთხითაც ფარინგალური თანხმომავანები სიბილანტ-აფრიკატების მსგავს ტენდენციებს ამჟღავნებენ.

მასასადამე, თუ გულდასმით გავაანალიზებთ იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალას, თვალნათლივ დავინახავთ სიბილანტ-აფრიკატთა ძირითადი სპონტანური ცვლილების — სპირანტიზაციის პროცესს, რომლის კერძო გამოვლინებასაც **წ (> ს)** და **ჭ (> შ)** ანდიურ ენებში გვიჩვენებენ. სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო ყრუ ფშვინვიერი **/ჟ/-ს** გასპირანტება, რომელსაც შუამავალ საფეხურად უნდა ჰქონოდა ანდიურ ენებში დადასტურებული ალოფონები: **ჟ > ზ > ხ**.

ყურადღებას იქცევს ადილურ ენათა ჩვენება, რომელიც ცხადყოფს აფრიკატთა სპირანტიზაციას. კერძოდ, გ. როგავა წერს: „რაც შეეხება ადილურ ენებს, აქ მოხდა სისინ-შიშინა აფრიკატების გასპირანტება, რის შედეგად ამ ენებში წარმოიქმნა მკვეთრი სპირანტები **ს^ა**, და **ს^ა**“ [როგავა 1973: 305-306]. ანდა: „შემდეგ კი, მეექვსე საფეხურზე მოხდა პირველადი **ჟ ხ ჟ** (**ჟ ← ხ**) აფრიკატების გასპირანტება: **ჟ** და **ხ** გადავიდნენ სათანადო შიშინა სპირანტებში — **ჟ → ჟ**, **ხ → შ**, ხოლო **ჟ-ს** შეენაცვლა სისინ-შიშინა მკვეთრი სპირანტი **ს^ა**“

[იქვე, გვ. 310]. ანალოგიურ დასკვნამდე მიდის ბ. ბაღყალი: „ამგვარადვე ამ რიგის აბრუპტიული წევრი ს, მომდინარეობს სისინ-შიშინა აფრიკატისაგან“ [ბაღყალი 1970: 182].

საგულისხმოა, რომ, არნ. ჩიქობავას მახვილგონივრული შენიშვნით, ბავალურის, ჭამალურისა და ყაბარდოულის ვითარება ერთგვარია. იგი წერს: „ამრიგად, ბავალურსა და ჭამალურში ინტენსიური მკვეთრი აფრიკატებისაგან მკვეთრი სპირანტები ჩნდება: ფონემები ეს არაა, მაგრამ რეალიზაცია აბრუპტიული სპირანტებისა აქვს: აქ ის პროცესი გვაქვს, რისი შედეგიც ყაბარდოულში აბრუპტიულ სპირანტ ფონემათა სახით არის მოცემული“ [ჩიქობავა 1979: 57].

2) მკვეთრი აბრუპტივი /ყ/ ფშინივიერ აბრუპტივ /ჰ/-სთან ერთად ერთადერთ ლოკალურ რიგს ქმნის და მათი დაცილება და სხვადასხვა ლოკალურ რიგში განხილვა გაუმართლებელია. თუ თანამედროვე სალიტერატურო ენასა და /ჰ/-ს უქონელ დიალექტებს ვაანალიზებთ, მაშინ ოდენ /ყ/-ს საკითხი დაისმის, თუკი მთლიანად ქართულ ენას განვიხილავთ, მაშინ /ჰ/ და /ყ/ ერთად უნდა მოვაქციოთ, ე. ი. იმ დიალექტებში, რომლებშიც ფარინგალური წყვილული დასტურდება, ფარინგალური რიგის თანხმობებს ერთი ლოკალური რიგი ექნება. სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა, /ყ/ გაერთიანდეს ველარულ სპირანტთა მესამე წევრად, ხოლო /ჰ/ — პოსტველარულთა (უველარულთა) ცალეულად [გამყრელიძე 2001: 251, 255].

თუ ფარინგალთა ამგვარი განდასება სინამდვილეს შეეფერება, მაშინ უნდა დამტკიცდეს, რომ ქართული ენის არქაული ტიპის დიალექტებში, მაგალითად, ხევსურულში **ჰ ყ**-სთან შედარებით ერთი ლოკალური რიგით უკან იწარმოება. თავისთავად ცხადია, /ჰ/-ს სპირანტთა ფშინივიერ სერიაში ველარ მოვაქცევთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რადგან ეს უჭრა /ხ/-ს უკავია. ამიტომ თ. გამყრელიძე იტყულებულია ფარინგალებს წარმოების ადგილი შეუცვალოს.

ამ თვალსაზრისით უფრო რთულად იქნება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა საკითხი, რადგანაც იქ ფარინგალურ რიგში /ჰ/-სთვის ადგილი ველარ მოიძებნება იმის გამო, რომ იგი დაკავებულია ყრუ სპირანტ /ჰ>/-ს მიერ.

3) თუ /ყ/-ს ნაპრალოვან ბგერად მივიჩნევთ, მაშინ აბრუპტივთა სისტემაში აღმოჩნდება ერთადერთი სპირანტი, რასაც ახსნა უნდა მოეძებნოს [ონიანი 2003: 26].

4) ვიდრე /ყ/-ს სპირანტულობის თეორიას დავამკვიდრებდეთ, დადგენას მოითხოვს /ყ/-ს სპირანტული კომპონენტის ხვედრითი წილი, ვინაიდან აფრიკატთა რაგვარობის განსაზღვრისას რელევანტურია ნიშანი „ხშული“. /ჰ/ და /ყ/ თანხმობებს კი, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, მოეპოვება როგორც ხშულობის ელემენტი, ისე ნაპრალოვანობის ელემენტიც. ამ ელემენტთა თანამიმდევრობა, ჩვენი შეხედულებით, არაარსებითია, მაგრამ რაგვარობისა და გენეზისის დასადგენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ:

1. აკუსტიკურ-არტიკულაციურად ფარინგალური რიგის თანხმოვნები /ვ/, /ყ/ უნდა მივიჩნიოთ აფრიკატებად და გავაერთიანოთ ცალკე მესამე რიგად აფრიკატა წყებაში ისევე, როგორც ეს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში არის ხშირად მიღებული. მათი რაგვარობის დადგენისას განმსაზღვრელია როგორც /ვ/ და /ყ/ თანხმოვანთა შედგენილობა და ნიშან-თვისებები, ისე მათი ცვლილების ძირითადი ტენდენციები.

2. წარმოების ადგილის მიხედვით, ქართულ სალიტერატურო ენასა და ჳ-ს უქონელ დიალექტებში /ყ/ უკანაველარულია, ხოლო ჳ-ს მქონე დიალექტებში — ზემოფარინგალური (resp. უფულარული). დასაზუსტებელია არტიკულატორულ ფონეტიკაში წარმოდგენილი თვალსაზრისი ფარინგალური ზონის ღიაობის შესახებ.

3. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ფაქტობრივად ქართული ენის ანალოგიური ვითარებაა სპირანტთა სისტემაში იმ განსხვავებით, რომ ზოგ ენაში (მაგ., ადიღეურში) დასტურდება მეორეული წარმომავლობის აბრუპტიული სპირანტები.

ლიტერატურა

არდოტელი 2000 — ნ. არდოტელი, ჳ-ს ტრანსფორმაციისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში. — ქართველური მემკვიდრეობა, IV. ქუთაისი, გამ-ბა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ახვლედიანი 1999 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თსუ გამ-ბა., თბილისი.

ბალყაროვი 1970 — Б. Х. Балкаров, Фонетика адыгских языков. Нальчик, Книжное изд.-во "Эльбрус".

ბოკარევი 1959 — Е. А. Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана. М., Изд.-во АН СССР.

გამყრელიძე 2000 — თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თუ გამ-ბა, თბილისი.

გამყრელიძე 2001 — თ. გამყრელიძე, აკად. ვარლამ თოფურიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის მასალები, „ქართული ენა“, თბილისი.

გაფრინდაშვილი 1966 — Ш. Г. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка. Тб., Изд.-во "Мецниереба".

გუდავა 1964 — Т. Е. Гудава, Консонантизм андийских языков. Тб., Изд.-во АН ГССР.

გუდავა 1971 — ტ. გუდავა, ბავგალური ენა, გამ-ბა „მეცნიერება“, თბილისი.

იმნაძე 1974 — ნ. იმნაძე, მეგრულის თანხმოვანთა კლასიფიკაციისათვის. — მეტყველების ანალიზის საკითხები, გამ-ბა „მეცნიერება“, თბილისი.

კოძასოვი 1986 — С. В. Кодзасов, Фаринго-ларингальное сужение в дагестанских языках. — Актуальные проблемы дагестанско-нахского языкознания. Махачкала.

ლექვა 1984 — ივ. ლექვა, თანხმოვანთა აკუსტიკური ანალიზი სვანურ ენაში. თბილისი. (დისერტაციის ხელნაწერი).

ლომთათიძე 1976 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარეობითი ანალიზი, I, „მეცნიერება“, თბილისი.

მარი 1925 — თ. უთურგაიძე, ნიკო მარი ქართული ენის ფონემატური სისტემის შესახებ. — გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №2. ქუთაისი, გამ.-ბა „ინტელექტი“, 2003.

ნებიერიძე 1972 — გ. ნებიერიძე, ენის რაობის საკითხი. — ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით). თუ გამ.-ბა, თბილისი.

ონიანი 2003 — ალ. ონიანი, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა. თსუ გამ.-ბა, თბილისი.

ოსიძე 2001 — ეკ. ოსიძე, ფარინგალური რიგის თანხმოვნების შესახებ მთის კავკასიურ ენებსა და ქართველურში. — არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XII, „ქართული ენა“, თბილისი.

ჟლენტი 1949 — ს. ჟლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები (ექსპერიმენტული გამოკვლევა). საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ.-ბა, თბილისი.

ჟლენტი 1956 — ს. ჟლენტი, ქართული ენის ფონეტიკა. თბილისი.

ჟლენტი 1965 — ს. ჟლენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები. გამ.-ბა „განათლება“, თბილისი.

როგავა 1973 — გ. როგავა, ბგერათშესატყვისობის საკითხისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში. — იკე, XVII, გამ.-ბა „მეცნიერება“, თბილისი.

ტრუბეცკოი 1987 — Н. Я. Трубецкой, Избранные труды по филологии. М., "Прогресс".

ტრუბეცკოი 1926 — N. Trubetzky, Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der Nordkaukasischen Sprachen, I. "Caucasica", fasc. 3. Leipzig.

უთურგაიძე 1973 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი. — მეტყველების ანალიზის საკითხები, IV. გამ.-ბა „მეცნიერება“, თბილისი.

უთურგაიძე 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. გამ.-ბა „მეცნიერება“, თბილისი.

უთურგაიძე 2003 — თ. უთურგაიძე, ნიკო მარი ქართული ენის ფონემატური სისტემის შესახებ. — გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №2. გამ.-ბა „ინტელექტი“, ქუთაისი.

შანიძე 1980 — აკ. შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თსუ გამ.-ბა, თბილისი.

ჩარგეიშვილი 1946 — ა. ჩარგეიშვილი, ქართული თანხმოვნების „ყ“ და „წ“-ს ბიომექანიკის საკითხებისათვის. — სმამ, ტ. VIII, №8.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 — არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თსუ გამ.-ბა, თბილისი.

ჩიქობავა 1967 — А. С. Чикобава, Грузинский язык. — Языки народов СССР, IV. Иберийско-кавказские языки. М., Изд.-во "Наука".

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თსუ გამ.-ბა, თბილისი.

NODAR ARDOTELI

Towards the Classification of Pharyngeal Consonants (*q*, *q̣*) in Georgian

S u m m a r y

The article discusses an actual problem of pharyngeal consonants by using of diasystematical method. Also these consonants are characterized and an attempt of interpretation of their genesis is shown.

It is true, that in the present article an investigation of pharyngeal consonants is carried out in Georgian and in the Kartvelian languages, though also the parallels are drawn between the mountainian Caucasian languages. In particular, from the Kartvelian languages the correlation of /*q*/ and /*q̣*/ completely is represented in Svan language and some archaic dialects of Georgian (Khevsurian, Phshavian, Tushian, Ingilo...), but in other Kartvelian languages, this local serie is not full owing to transformation of *q* (*q*>*x*).

Analysis of available data of Ibero-Caucasian languages assure us that /*q*/ and /*q̣*/ pharyngeals are occlusive consonants and they are more close with the affricates. If we will take into account the tendencies of spontaneous phonetic processes (spirantization, existence of correlation of intensity...) which are characteristic for the sibilant-affricates, then their unifying in the subgroup of affricates will be possible.

ფიქრია აფსაიძე

მეორე პირის ნაცვალსახელთა თავისებურებების
სალაპარაკო სინქალო

სინქალა ენა პირის ნაცვალსახელთა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სინქალას სალიტერატურო, სალაპარაკო სახეებსა და სხვადასხვა რეგისტრებში ნაცვალსახელთა სხვადასხვა ფორმები გამოიყენება. განსაკუთრებით ნაირგვაროვანია II და III პირის ნაცვალსახელები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნაცვალსახელთა პარალელური ფორმების ხმარება ერთგვარი სოციალურ-დისკრიმინაციული ეტიკეტის დაცვით ხორციელდება. სინქალა ენის შესწავლის დამწყებ უცხოელებს პირველ რიგში ასწავლიან სწორედ ნაცვალსახელთა პარალელური ფორმების ამსახველ ეტიკეტს და შემდეგ კი უკვე თვითონ ფორმებს.

აღსანიშნავია, რომ ნაცვალსახელთა პარალელური ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებანი სხვადასხვა სოციალური ნიშნით არის მარკირებული. თითოეული ნიშანი განსაზღვრულ სოციალურ სტატუსზე მიუთითებს.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სალაპარაკო სინქალაში არსებული ენობრივი ვითარების აღწერას II პირის ნაცვალსახელთა თავისებურებების მიხედვით. კვლევისათვის გამოყენებული ემპირიული მასალა ჩვენ მიერ არის მოპოვებული მხატვრული ტექსტების მიხედვით. კერძოდ, მხატვრულ კლასიკურ და თანამედროვე ტექსტებში შევამოწმეთ პერსონაჟთა შორის დიალოგის თვალსაზრისით შესაბამისი ეპიზოდები და სპეციალურად გამოვყავით II პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელური ფორმები. რამდენადაც ჩვენი კვლევის ინტერესს სალაპარაკო სინქალა წარმოადგენს, ამიტომ მხატვრული ტექსტებიდან შემოვიფარგლეთ მხოლოდ დიალოგის ეპიზოდებით. ამასთანავე, გამოვიყენეთ ამა თუ იმ მკვლევრის მიერ (გაიერი 1970; კარუნატილაკე 1998) სხვადასხვა მიზნით გამოყენებული სალაპარაკო და სასაუბრო სინქალას ის საილუსტრაციო მასალა, რაც ჩვენი ამოცანისთვის იყო გამოსადეგი. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც თვითონ მოვიპოვეთ სინქალელ ინფორმატებთან მუშაობის დროს. ამდენად, ნაშრომში დასმული საკითხის შესასწავლად მხოლოდ სალაპარაკო სინქალას ვითარებას ვითვალისწინებთ.

არსებობს II პირის ნაცვალსახელთა ხმარების ეტიკეტის 3 ძირითადი ტიპოლოგიური მოდელი, რომელიც II პირის ნაცვალსახელთა ფუნქციურ-სემანტიკურ თავისებურებებით არის შეპირობებული. კერძოდ:

1. II პირის აღმნიშვნელ თავაზიან და არათავაზიან (*resp.* ფამილარულ) მიმართვას სხვადასხვა სიტყვებით აღნიშნავენ (საილუსტრაციოდ ნაშრომში მოხმობილია მხოლოდ სინქალას მასალა).

2. არსებობს II პირის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ფორმა, რომელიც ოპოზიციას ქმნის რიცხვის კატეგორიის მიხედვით. ეტიკეტის დაცვისთვის ამოსავალია კონტექსტი, ხოლო რიცხვის კატეგორია ნეიტრალიზებულია. სწორედ კონტექსტის საფუძველზე მხ. რ-ის II პირის აღმნიშვნელი ფორმა იხმარება არათავაზიანი და არაოფიციალური მიმართვის დროს, ხოლო მრ. რ-ის აღმნიშვნელი ფორმა მთლიანად გამოხატავს მხოლოდ თავაზიანობას, პატივისცემას ადრესატის მიმართ და იხმარება, როგორც მხოლოდითის, ისე მრავლობითის აღსანიშნად. მაგალითად: ქართ. „შენ“ (არათავაზიანი, resp. ფამილარული) და „თქვენ“ (თავაზიანი), აგრეთვე, რუსულში: „ТЫ“ და „ВЫ“.

3. არსებობს II პირის აღმნიშვნელი მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც ნეიტრალიზებულია რიცხვის კატეგორიის თვალსაზრისით, ხოლო ეტიკეტური მარკერის როლში გამოყენებულია სხვადასხვა გრამატიკული საშუალებანი. მაგალითად, მორფოსინტაქსური ან ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ელემენტები. მაგ.: ინგლისურში **you** ამჟამად აღნიშნავს როგორც მხ., ისე მრ. რიცხვის II პირს. ეტიკეტური მარკერები კი არის მოდალური ზმნები: **could, would, can, will** ან ზრდილობიანი მნიშვნელობის მქონე მთელი ფრაზა: **would you... please?**

რაც შეეხება სალაპარაკო სინჰალას, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ I მოდელს შეესაბამება, აქ თავაზიანი და არათავაზიანი მიმართვა აღინიშნება სხვადასხვა სიტყვებით. ხოლო ეტიკეტის დაცვისას ამოსავალია სოციალური სტატუსი და საზოგადოებრივ-სოციალური ურთიერთობები.

სპეციალურ ლიტერატურაში (გუნასეკერა 1891, 174; გაიგერი 1938, 132) II პირის ნაცვალსახელთა 3 ჯგუფი სოციალური სტატუსის მიხედვით შემდეგნაირად არის გარჩეული:

1) დაბალი სოციალური ფენის (ან დაბალი კასტის) აღმნიშვნელი II პირის ნაცვალსახელები;

2) საშუალო სოციალური ფენის აღმნიშვნელი II პირის ნაცვალსახელები;

3) უმაღლესი სოციალური ფენის აღმნიშვნელი II პირის ნაცვალსახელები.

ჩვენს მიერ შესწავლილი ემპირიული მასალის მიხედვით სალაპარაკო სინჰალაში გამოყოფთ II პირის აღმნიშვნელ შემდეგ ნაცვალსახელებს. კერძოდ:

oyā – „შენ“, მხ. რიცხვი. აქვს თავაზიანი მნიშვნელობა „თქვენ“, მრავლობითის ფორმაში რიცხვის კატეგორია მარკირებულია მხოლოდითის ფუძეზე **-la** ნიშნის დართვით. (**oyāla**). **oyā**-ს თავაზიანი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც მას მიმართვისას გამოიყენებენ სოციალურად თანაბარ საფეხურზე მყოფი პირები. აგრეთვე ამ ფორმით შეიძლება მიმართოს მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირმა თავისზე უფრო დაბალი სოციალური სტატუსის მქონე პირს, მაგრამ არა პირიქით. განსხვავებულ სოციალურ საფეხურზე ყოფნის შემთხვევაში მოქმედებს ეტიკეტის წესები. სინჰალაში ეტიკეტურ განსხვავებას ქმნის არა მორფოსინტაქსური და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მარკერები, როგორც ეს ინგლისურშია (**you** შეიძლება გულისხმობდეს როგორც თავაზიან „თქვენ“-ს, ისე ფამილარულს – „შენ“), არამედ სოციალური სტატუსი იმ პირისა, ვისაც მიმართავენ. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩინობრივ, ასაკობრივ და კასტურ განსხვავებას. მაგ.: **oyā** ფორმით ვერ მიმართავს: სტუდენტი — ლექტორს, მოსწავლე — მასწავლებელს, ხელქვეითი — თავის უფროსს სამსახურ-

ში, ან დაბალი კასტის წარმომადგენელი მაღალი კასტის წარმომადგენელს. აგრეთვე უმცროსი ასაკის ადამიანი თავისზე ბევრად უფროსს ადამიანს. არათავაზიანი მნიშვნელობა „შენ“ შეიძლება გადმოცემულ იქნას სწორედ ეტიკეტის ზემოთ აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში.

um'ba- „შენ“, მხ. რიცხვი. შინაურული, ფამილარული „შენ“. გაიგერის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნაცვალსახელია II პირის ნაცვალსახელებს შორის. ნაწარმოები ჩანს საშუალო ინდოარიულიდან. **um'ba** < ***umhe**, რომელიც შეესაბამება პრაკრიტულ **tumhē**-ს. (გაიგერი 1938: 124). თანამედროვე სალაპარაკო სინჰალაში ეს ფორმა გამოიყენება საშუალო და დაბალი სოციალური ფენის მეტყველებაში. განსაკუთრებით დამახასიათებელია სოფლის მცხოვრებთა მეტყველებისთვის. ამ ფორმით მიმართავენ ოჯახის წევრებს, მეგობრებს, თანატოლებს. (თანაბარი ასაკის შემთხვევაში, ან უფროსები უმცროსებს). აგრეთვე ვხვდებით ცხოველთა მისამართითაც. მაგ.:

um'ba varen piso „შენ მოდი ფისო“. („შრილანკის თქმულებანი“ 1998: 36)

თუ **um'ba** ფორმით მაღალი სოციალური სტატუსის ან კასტის წარმომადგენელი მიმართავს სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომს, მაშინ იგი განსაკუთრებით დამამცირებელ, დამაკნინებელ სემანტიკურ ნიუანსს იძენს. **um'ba** დამკვიდრებულია მოსამსახურეების მიმართვის ფორმად.²

თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში **um'ba** ნაცვალსახელი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებული დიალოგის ეპიზოდებში მე-20 საუკუნის კლასიკოსი მწერლის მარტინ ვიკრამასინგჰასა და ჩვენი თანამედროვე მწერლის სუგადაპალა დე სილვას მიერ.

მაგ.: **um'ba kohomada danne?**

შენ საიდან იცი?

(მ. ვიკრამასინგჰა 1996: 24)

num'ba - „შენ“, მხ. რიცხვი. ეს ფორმაც სალიტერატურო სინჰალას ნაცვალსახელთა სისტემაში შედის. გაიგერის მიხედვით, **num'ba** ისევე როგორც **um'ba** საშუალო სოციალურ რანგზე მიუთითებს. წარმოშობით სუბსტანტივია, რომელიც ნიშნავდა: „პატივცემულო“-ს (გაიგერი 1938: 124). ქარტერის სინჰალურ-ინგლისურ ლექსიკონში, განმარტებულია, რომ მას აქვს ცოტათი უფრო თავაზიანი მნიშვნელობა **um'ba**- ფორმასთან შედარებით. როგორც ჩვენ დავაკვირდით, **num'ba** ძალიან ხშირად გვხვდება მარტინ ვიკრამასინგჰას ნაწარმოებებში. გამოიყენებულია მიმართვისას საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენელთა დიალოგის ეპიზოდებში. საილუსტრაციოდ ქვემოთ მოგვყავს:

num'baṭa mama samāva denava, ṭṭakī nisā.

შენ მე გპატიობ, რახან სიმართლე თქვი.

(ვიკრამასინგჰა 1940: 41)

² საინტერესოა, რომ როდესაც „ნაცარქექიას“ სინჰალურად ვთარგმნიდით, დევისა და ნაცარქექიას დიალოგებში სწორედ **um'ba** ფორმა გამოიყენეთ იმისათვის, რომ ნაცარქექიამ დევი დაამციროს და დააკნინოს. ეს ფორმა ჩვენ თვითონ ინტუიციურად ავირჩიეთ II პირის აღმნიშვნელ ნაირსახეობათა შორის და რედაქტორმა (ბუნებრივად ამ ენაზე მეტყველმა) იგი შესაფერად მიიჩნია.

num'ba han'donne kumak nisāda?

შენ რისთვის ტირი?

(იქვე)

ერთი განსაკუთრებით საინტერესო ნიუანსი, რაც num'ba-ს სემანტიკურ-ფუნქციურ თავისებურებას წარმოაჩენს სხვა ფორმებთან შედარებით არის ის, რომ ამ ფორმას გამოიყენებენ საალერსოდ, ინტიმურობის გამოსახატად. მაგ. შეყვარებული წყვილები, ცოლ-ქმარი სწორედ num'ba-ს ირჩევენ მიმართვისას, მაგრამ არა მესამე პირის თანდასწრებით, არამედ ცალკე, როცა მართო არიან. მაგ., სალაპარაკო სინჰალაში ფრაზა: მე შენ მიყვარხარ! **mamə oyāṭə ādereyi!** უფრო ინტიმურ მნიშვნელობას შეიძენს, თუ **oyā (oyāṭə დატ.)** ფორმას მასში num'ba-თი შეეცვლით. ეს მოვლენა დავადასტურეთ თანამედროვე სალაპარაკო სინჰალას სასაუბრო რეგისტრში.

სალაპარაკო სინჰალას რეგიონალურ ვარიანტებში მოუხრდებელი, არათავაზიანი „შენ“ გადმოიცემა სხვა ფორმებით, როგორებიცაა: **ohē, ohā, oyahā** „შენ“.

მაგ.: **ohetə oyə salli æti.**

შენ (დატ.) ეგ ფული გეყოფა.

ohetə sinhəla akuru liannə puluvəni.

შენ (დატ.) შეგიძლია სინჰალური ასოების წერა. (გაიერი 1936: 67)

mahattəya gedərə innəva nan, oheē mehetə ennə.

თუ ბატონი შინ იქნება, შენ აქ მოდი. (იქვე)

ohē „შენ“, **ohā** „შენ“, **oyahā** „შენ“ ფორმები ჩვენ მიერ დადასტურებული იქნა შრილანკის სამხრეთ სანაპირო რეგიონის მცხოვრებთა მეტყველებაში. **ohā** ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციასაც შეიძლება ითავსებდეს. ამ შემთხვევაში გამოიხატება მნიშვნელობა: „ეგ“. გულისხმობს პირს, რომელიც დაშორებულია მოსაუბრის პოზიციიდან.

ისტორიულად ძველი ფორმებია II პირის აღმნიშვნელი: **tī** „შენ“ (მდ. სქესი); **tō** „შენ“ (მამრ. სქესი). დასტურდება საშუალო კლასიკური ხანის სინჰალურ ძეგლებში. თანამედროვე სალაპარაკო სინჰალაში მხოლოდ დაბალი სოციალური სტატუსის პირებისა და ძირითადად სოფლელების მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს.

სალიტერატურო ლექსიკის ფონდს ეკუთვნის ფორმა **tamusē** „შენ“. იგი პატივისცემის გამოხატველი ფორმაა სალიტერატურო ენის მიხედვით, ნიშნავს: „პატივცემულო“-ს (გუნასეკერა 1891: 162). თანამედროვე სალაპარაკო ენაში მას შეურაცხყოფელი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, ამ ფორმით მიმართვა ფაქტობრივად ჩხუბში გამოწვევას უდრის. საკმაოდ უცენზურო ნიუანსიც ახლავს. იზიარება მხოლოდ დაბალი სოციალური ფენის მისამართით. ეს მაგალითი მოგვაგონებს ქართულში მიმართვის ძველ ფორმას „ვაჟბატონო“, რომელიც ამჟამად შეურაცხყოფის მნიშვნელობას გულისხმობს, განსახვევებით მდებარეობის აღმნიშვნელი ფორმისგან „ქალბატონო“, რომელმაც თავაზიანი მნიშვნელობა თანამედროვე ვაგებთან შეინარჩუნა.³

³ მაღლობას მოვასხენებთ პროფესორ მიხეილ ქურდიანს, რომელმაც ამ პარალელზე მიგვითითა.

მაღალი სოციალური სტატუსის ადამიანს სალაპარაკო სინჰალაში მიმართავენ თავაზიანი ფორმით: **obatumā** (-ā მამრ. სქესის მარკერი) და **obatumī** (-ī მდ. სქესის მარკერი). აღსანიშნავია, რომ ეს ფორმები კომპოზიციის გზით ჩანს ნაწარმოები. კერძოდ, ამ სიტყვის ფუძედ უნდა მივიჩნიოთ **oba**, რომელიც II პირის აღმნიშვნელი დამოუკიდებელი ნაცვალსახელია და რომელიც გამოიყენება მხოლოდ სალიტერატურო სამწერლობო ენაში. მას აქვს თავაზიანი მნიშვნელობა. სალაპარაკო სინჰალაში კი ეს ფორმა არ გამოიყენება. რაც შეეხება **tum** ნაწილს, იგი არის სპეციალური თავაზიანობის გამომხატველი ელემენტი, რომელიც შეიძლება დაერთოს ნაცვალსახელურ ფუძეს და აქციოს ის განსაკუთრებით თავაზიან ფორმად. იგი შეიძლება დაერთოს III პირის ნაცვალსახელსაც. მაგალითად: **etuma, metuma** „ის“ განსაკუთრებული პატივისცემის და მოწიწების ნიუანსით; აგრეთვე — საკუთარ სახელსაც, მაგ.: **jayatilakatumā** (=his honour Mr.Jayatilaka).

რელიგიური პირების მისამართით გამოიყენება **obavahansē** > **oba** „თქვენ“ (სალიტ. ფორმა) + **vahansā** (პატივისცემის გამომხატველი ფორმა. სიტყვა-სიტყვით: **vahan** „სანდალი“, „ფეხსაცმელი“ შდრ. პალი: **upāhanā** შდრ.: სანსკრიტი: **upāhansē** > **sey** „მანერა“ (გეიგერი 1938: 32; 17).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული II პირის ნაცვალსახელთა ფორმები შეიძლება მრ. რიცხვსაც აღნიშნავდეს, თუ ფუძეზე მრავლობითობის **lā** ნიშანი დაემატება. ქვემოთ მოცემული ოპოზიციები დასტურდება სამეტყველო პრაქტიკაში.

„შენ“	„თქვენ“
numʼbə	numʼbəlā
umʼbə	umʼbəlā
oyā	oyāla
tamuse	tamuselā
obatumā	obatumālā
obatumī	obatumīlā
obavahansē	obavahansēlā

დანარჩენი ფორმების **ohē, ohā, oyahā, tī, tō** ფორმების მრ. რიცხვში ხმა-რების შემთხვევები კი ვერ დავადასტურებთ⁴.

საკითხი, რომელიც ამ ნაშრომში განვიხილეთ, წარმოადგენს სინჰალური II პირის ნაცვალსახელების ფუნქციურ-სემანტიკურ მიმოხილვას. ვფიქრობთ, ამ ფორმების შეძლებისდაგვარად დაწვრილებითი აღწერა პირველ რიგში სინჰალას სტრუქტურული გრამატიკისთვის არის აქტუალური; ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ ფაქტს, რომ პრაქტიკულად გვხვდებოდა II პირის აღმნიშვნელი სხვადასხვა ფორმები, რომელებიც სისტემურად არ იყო აღწერილი სპეციალურ ლიტერატურაში. გვიანტერესებდა თუ რა ფუნქციურ-სემანტიკური სხვაობები არსებობდა მათ შორის. ჩვენს ხელთ იყო საკმაოდ თვალსაჩინო სპეციალური

⁴ საინტერესოა, რომ ეტიკეტის ვათვალისწინებით, ზემოთ განხილული ფორმებიდან ჩვენს მიერ პრაქტიკულად გამოყენებულ იქნა 3-4 ფორმა, როგორებიცაა: **oyā, obatumā, obatumī** და **obavahansē**. ეტიკეტის ფარგლებში, როგორც უცხოელი, შეზღუდული ვიყავით დანარჩენი ფორმების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობით.

ლიტერატურა, რამდენიმე თანამედროვე და ძველი მკვლევრის ნაშრომების ჩათვლით. სალაპარაკო სინჰალას ვითარებაზე მათში თითქმის არაფერი იყო ნათქვამი. მხოლოდ კარუნატილაკეს „სალაპარაკო სინჰალას შესავალში“ არის II პირის რამდენიმე ფორმა განმარტებული და წარმოდგენილია მათი ბრუნების პარადიგმაც.

ვიმედოვნებთ, ჩვენი ნაშრომი თარგმანის სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის სასარგებლო იქნება და გამოადგება მათ, ვისაც აინტერესებს ამ ენის პრაქტიკულად შესწავლა. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები შეუძლებელია სინჰალურად მეტყველება ეტიკეტის წესების დაცვის გარეშე. დამწყები შემსწავლელი, რომელიც მხოლოდ ლექსიკონს დაეყრდნობა უხერხულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს, თუ II პირის ნაცვალსახელთა ნაირსახეობებს თვითნებურად გამოიყენებს.

და ბოლოს, ვფიქრობთ, ეს სტატია იმ მკვლევრებსაც გამოადგებათ, რომელთაც ზოგადტიპოლოგიური და სოციოლინგვისტური ენობრივი პრობლემების გადასაჭრელად კერძო ენობრივი მონაცემები დააინტერესებთ. აქვე გვინდა წინასწარ აღვნიშნოთ, რომ რაოდენობრივი თუ ფუნქციურ-სემანტიკური ნაირგვაროვნებით II პირის გარდა, სინჰალაში III პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელებიც გამოირჩევიან. ეტიკეტი აქაც მოქმედებს და საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფის პრინციპებსა თუ მათი რანგობრივი დიფერენციაციის ენობრივ ასახვას სინჰალაში III პირის ნაცვალსახელთა სისტემაც თვალსაჩინოდ წარმოადგენს. ჩვენი ნაშრომი არის პირველი სტატია ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მომავალი კვლევის საფუძველზე აუცილებლად გაგრძელდება.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1989 — შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა ახალ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენები ზოგადტიპოლოგიური ენათმეცნიერების თვალსაზრისით, საქართველოს მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, თსუ და ლუნდის უნივერსიტეტის (შვეცია) სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი.

აფრიდონიძე 2002 — შ. აფრიდონიძე, ცოლ-ქმრის ურთიერთ-მიმართვისა და ერთმანეთის მოხსენიების ქართული ტრადიციები, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XII, თბილისი.

აფრიდონიძე 1985 — შ. აფრიდონიძე, ურთიერთობის გამომხატველი ზმნები და მათი ოპოზიციური ფორმები, თსუ შრომები, ტ. 262, თბილისი.

აფხაიძე 2001 — ფ. აფხაიძე, „ჯორჯიანუ ჯანა ქათაა ჰატაკ“ (7 ქართული ხალხური თქმულება) | გამოცემა, ნუგეგოდა, შრილანკა.

გაიერი 1970 — Gair W. James, Colloquial Sinhalese Clause structures, Janua Linguarum S.P 83, The Hague Mouton & Co.

გეიგერი 1938 — Geiger Wilhelm, PH.D, A Grammar of the Sinhalese language.

დისანაიაკა 1998 — Disanayaka J.B, Understanding The Sinhalese, Colombo, Sri Lanka.

ვიკრამასინგჰა 1996 — “სოფელთა გადატრიალება“(სინჰალური რომანი), შრილანკა.

ვიკრამასინგჰა 1941 — “ჩვენი სოფელი“ (ავტობიოგრაფიული მოთხრობა სინჰალურად).

კარუნატილაკე 1998 — Karunatilake W.S, An Introduction To Spoken Sinhala, 2nd edition, Colombo, Sri Lanka.

კვარაცხელია 2002— ზეპირი მეტყველების ფორმები და სოციალური პრესტიჟი, ბათ. უნივერსიტეტის შრ. ტ. II, ბათუმი.

სინჰალური ხალხური თქმულებები 1998 - Sri Lanka Folk Tales; Tamil-Sinhala (volume I) ICCO-The Netherlands. Publisher: participatory Development Forum .ISBN 955-9140-16-7.

ქარტერი 1999 — Carter Charles, Sinhalese English Dictionary, New Delhi* Madras.

ჯორბენაძე 1985 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენობრივი ეტიკეტი, გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, N 2.

წულეისკირი 1996 — ნ. წულეისკირი, ენა, როგორც საზოგადოებრივი ქცევის ფორმა, ქუთაისის აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I..

PIKRIA APKHAIDZE

On the Peculiarities of the 2nd Personal Pronouns in Spoken Sinhala

S u m m a r y

This work deals with the semantic-functional peculiarities of the 2nd personal pronouns. Sinhala has a large diversity of different pronouns. The different forms are used in Spoken and Literary varieties of Sinhala as well as in the colloquial register of the Spoken language or in regional varieties. The 2nd and 3rd personal pronouns are especially various. Using of parallel forms of different pronouns are practically regulated by means of so-called socio-discriminative etiquette. “However, the rules of etiquette and social standards have sometimes changed in course of time, and the same pronoun may have be used formerly otherwise than at present and differently in literary and in colloquial Sinhalese.” (Geiger 1938: 132)

Note: An empirical data for this study was obtained from dictionaries and infiction. In particular, the semantic peculiarities of the II personal pronouns obtained from the Sinhalese dictionary were verified according to their using in different dialogs of the texts. We owe to be grateful for some famous authors (Gair, Karunatilake, Geiger), as their different materials of Spoken Sinhala were also useful for us to carry

out our task. We cited them. Also, it should be mentioned that some part of information about our empirical data was obtained through the live enquiries of the Sinhalese informants on the Internet.

There are 3 main typological models of the usage of the 2nd personal pronouns which are determined by their functional-semantic peculiarities in different languages. They are as follows:

1. The polite and impolite forms of addressing are represented by different words (the corresponding illustrations are presented here from Sinhala).

2. There are 2 different forms which are opposed according to the number category. An initial point for choosing the right form in addressing depends on the context, whereas the category of number is neutralized. The impolite and informal addressing is expressed by the 2nd personal pronoun singular form, while the plural form completely expresses politeness and respect towards the addressee. It has both singular or plural meanings. For example: Georgian “**სენ**” (impolite, resp. familiar) and “**tkven**” (polite), also in Russian: “**ТЫ**” and “**ВЫ**”.

3. There is only one form to denote the 2nd person which is neutralized according to the number category, as for etiquette markers, different grammatical means can be used, such as morpho-syntactic or lexical phrases. For example, nowadays “you” in English means both singular or plural – 2nd person. Etiquette markers can be modal verbs: **could, would, can, will** or the whole phrase which has a polite meaning: “Would you... please?”

As for Spoken Sinhala which corresponds to above discussed 1st model, the polite and impolite addressing can be expressed by different words, whereas following etiquette, a social status and socio relationships must be foreseen.

We distinguish the following II personal pronouns in Spoken Sinhala. They are as follows:

oyā - “you”(sg). It has polite meaning: “you”. In its plural form the number category is marked by adding a suffix **-la**: **oyāla**.

oyā - has polite meaning when it is used in addressing by socially equal people. However, it can be used in addressing by socially higher people to socially lowers but not conversely. In case of unequal socio levels of society, etiquette rules must be maintained. In Sinhala etiquette differences aren't shown by morpho-syntactic and lexical phrases as in English but according to the social status of the person who is addressed. Other socio differences based on socio ranks, age, caste, etc., are also significant. For example, **oyā** form mustn't be used in addressing by student to his/her lecturer, pupil to a teacher, employee to - an employer, or a lower caste representative to - a higher cast representative. If these rules are broken then “an impolite meaning: “you” will be expressed.

um̃bā - “you”(sg). It has over familiar meaning. According to Geiger, it is an old form; seems to be derived from MInd: **um̃bā** < ***yumhē** which corresponds to **tumhē** in Pracrit and is more original as regards the initial consonant, cf. Sk. **yuṣm** (Geiger 1938, 124).

In modern spoken language this form is used in speech of middle or lower socio class in a single person. It is very common in villagers' speech. Family members (by

only elders to younger ones), friends, peers are used to address by **um̃bə**. Except for this, it can be used in addressing animals. It is quite common to be practically occurred in addressing servants at home by their employers. If a representative of higher status, class or cast addressees to a socially inferiors by **um̃bə** form, then an offensive meaning will be expressed.

num̃bə “you” (sg.). This form also belongs to the pronoun system of Literary Sinhala. According to Geiger, **num̃bə** is an original substantive with meaning: “Your honor”, “Your worship” (Geiger 1938:124).

In Charter’s Sinhalese -English dictionary it is explained with a bit more polite meaning than **um̃bə**. As we observed, **num̃bə** is commonly used in dialogues of Martin Wickramasinghe’s books and in practice it is used in addressing between representatives of socially middle class.

One more interesting semantic nuance which specifies semantic-functional characteristic of **num̃bə** is that it is used to express intima and affection; for example: couples in love, or generally a loving wife and a husband prefer using **num̃bə** in addressing each other not being in presence of another person but separately, when they are alone. Thus, in Spoken Sinhala the phrase: "I love you!" **mamə oyāṭə ādere-yi!** acquires more intimacy if the form **oyā** will be alternated in it by **num̃bə**. This fact was confirmed in the colloquial register of modern Spoken Sinhala.

The regional varieties of Spoken Sinhala’s uses impolite, arrogant forms with the meaning of: “you”(sg), they are as follows: **ohē, ohā, oyahā**. These forms are used in Sri Lanka’s south regional varieties.

Historically old forms are : **tī** (female) and **tō** (male). They occur in middle classical Sinhalese literary monuments. In modern spoken language they are used in addressing for inferiors though in classic books denoted equals and persons of rank. Today it can be found in villagers’ speech.

Pronoun **tamusē** belongs to the literary lexical fund of Sinhala language. It expresses politeness in literary language and means “Your honors”(Gunasekera 1892:162), but in modern colloquial register of Spoken Sinhala it has an offensive meaning. Moreover, using this form causes a reason for encouraging an addressee to incline for fight. It has quite unprintable meaning and is used only in addressing lower socio class. This example reminds us an addressing form “važbaṭono” in Georgian, which nowadays has an offensive meaning, while its female counterpart ”ḳalbaṭono” could maintain its polite meaning in modern using. But in Georgian we don’t have such a rigorously distinguished system of social diversity which is expressed in Sinhala language by using appropriate forms.

For addressing higher socio status or rank representative **obətumā** (**ā** male marker) and **obətumī** (**ī** female marker) are used. These forms are composed by : **obə** (the 2nd personal pronoun with very polite meaning, used only in Literary language) + **tum** which is a special element for expressing a politeness, it can be added to the 3rd person pronouns too, like: **etuma, metuma** (he-polite form) also to a proper nouns, like **Jayətiləkətumā** (=His honors Mr. Jayatilaka).

In addressing high religious persons, such as Buddhist monks **obəvahansē** is

used. It is formed as follows: **obā** (polite “you”) +**vahansā**; Literary: **vahan** “sandals”, shoes, cf. Pali : **upāhanā** cf. Sanskrit: **upāhansē** > **sey** ”manner” (Geiger 1938: 32;17).

Why did above discussed subject become the focus of our special interest?

We paid our attention to the existence of the different forms which denote the 2nd personal pronouns in the dictionary. But their using opportunities were not systematically described in that special literature which has been available for us at present. Of course, it is not beyond any doubt that several scholars had done a really significant work in studying pronouns (Geiger, Gunasekera) but our interest was focused on modern language situation.

Also, there is another important reason due to the benefit of learners of Sinhala. Anyone who will depend only on the dictionary and takes an arbitrary choice of the 2nd personal pronoun forms, will face to an awkward situation. It is not reasonable to use different forms without knowing etiquette.

Thus, this work is supposed to give some help for those who learn Sinhala and are eager to communicate properly. We think, this article could be also useful for those, who like to prepare translations into Sinhala and finally, it is helpful as a material for studying some socio linguistic issues. It is noteworthy that except these 2nd personal pronouns, the 3rd personal pronouns are specified in Sinhala according to their numerous numbers and semantic-functional diversity as well and they interestingly show how the society is socially distinguished or differentiated through the social status or ranks. This will be the subject of our next study.

ცირა ბარამიძე

კაუზატორი და ეგზეკუტორი თაბასარანული ენის ტივაქის თქმის კაუზატიურ სინტაქსურ კონსტრუქციებში


დადესტურ ენათა უმრავლესობაში გვაქვს სპეციალური მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალება კაუზატივის გამოსახატავად.

კაუზატივი თაბასარანულ ენაში იწარმოება ზმნის **დითუზ** (ტივაქის თქმაში **ჭ'ათუზ**) „გაშვება“, „იძულება“ დახმარებით. ძირითადი ზმნა წარმოდგენილია ინფინიტივის ფორმით. იცვლება ზმნა **დითუზ**. ეგზეკუტორი (რეალური სუბიექტი) კაუზატორის (ვერბალური სუბიექტის) მოქმედების იარაღია და თქმების მიხედვით დგას სხვადასხვა ბრუნვაში: სახ-ში, მიც-ში, ერგატივში, ადგილობით ბრუნვებში -**ხუ** „თან“, -**ქ** „ზე“ (ზედმიწვევით, ვერტიკალურ ზედაპირზე), აგრეთვე გადმოიცემა ფორმით, რომელიც მოქმედების იარაღს (ინსტრუმენტალისს) გამოხატავს.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ტივაქის თქმაზე, რომელიც თაბასარანული ენის ჩრდილო დიალექტს განეკუთვნება, მაგრამ ამ დიალექტისაგან განსახვავებულ თავისებურებებს გვიჩვენებს და ცალკე დგას.

როგორც აღვნიშნეთ, ტივაქის თქმაში კაუზატივი იწარმოება **ჭ'ათუზ** „გაშვება“, „იძულება“ ზმნის საშუალებით. ეს წარმოება ანალიზურია. ანალიზური კაუზატივი თაბასარანულ ენაში იწარმოება ამგვარად: ამოსავალს + მაკაუზატივებელი ზმნა (კაუზატივის მოდუსის ფუნქციით), რადგანაც მოდუსური ზმნები, ფაქტობრივად, მაკაუზატივებელ ელემენტებად გვევლინებიან და მათი სემანტიკური ფუნქცია მხოლოდ კაუზაციის მოდუსების დიფერენციაციაზე დაიყვანება, შეიძლება ამგვარი სახის **კომპოზიციის** ანალიზური კაუზატივი ვუწოდოთ. თაბასარანულში მოდუსური ზმნაა **ჭ'ათუზ** (ტივ. თქმა) „გაშვება“, „იძულება“— მაკაუზატივებელი სემანტიკით.

საერთო სახით კაუზაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ ამგვარად:



ანალიზური კაუზატივების **ამოსავალი** არ არის სახელური, იგი ზმნურია.

ანალიზური მოდელით იწარმოება როგორც პირველადი, ისე მეორეული კაუზატივები. კაუზატივის საფეხურს განსაზღვრავს ამოსავლის სემანტიკა:

ერთვალენტიანი ამოსავლიდან (შეიძლება ასეთ ზმნაში ასახული იყოს

სუბიექტის : I-კლასი, II-პირი, III-კლასი პრეფიქსით და პირი სუფიქსით ერთდროულად) წარმოიქმნება ორგანული პირველი საფეხურის კაუზატივები — ამ შემთხვევაში ამოსავლის სინტაქსური წყობა ასეთია: S დგას სახ. ბრუნვაში:

ბაგ დაჯანუტ — „ბიჭი დაწვა“

A სახ.

დადაი ბაგ დაჯანუტ ჯაღლთანუტ — „დედამ შვილი დააწვინა“

K-ერგ. E-სახ. ინფ. კაუზ. მოდ. ზმნა

კაუზაციის დროს I წინადადების S სახ. ბრუნვაშია შენარჩუნებულია, ოღონდ ახლა იგი ეგზეკუტორად იქცევა, ემატება კაუზატორი ერგატივში. ამოსავალი ზმნა იღებს ინფინიტივის ფორმას და, ამასთანავე, ემატება ზმნა ჯაღლთანუს. **დედა აწვენს ვაჟიშვილს** — შეიძლება გავიგოთ ორი მოდუსით, მოტივით:

- 1. აწვენს — თავის ნებას ასრულებს;
- 2. აწვენს — ვაჟს თავად არ შეუძლია დაწოლა და ეხმარება.

მე-2 შემთხვევაში ეგზეკუტორი სახელობითში კი აღარ დგას, არამედ მიცემითშია. ამგვარად, განსხვავებული კონსტრუქცია გამოხატავს განსხვავებულ მოდუსს: ისეთ კაუზაციას, რომლის დროსაც კაუზატორი უშუალოდ მოქმედებს, მანიპულირებს კაუზაციის ობიექტზე.

ერთვალენტური ამოსავლისათვის მოქმედებს შეთანხმების შემდეგი კანონზომიერება: სახ.-ში მდგომი სახელი ეთანხმება პირში ძირეულ ზმნას:

იზუ ჯანუ-ზა „მე დავიძინე“

S სახ. Iბ.

ხოლო კაუზატიურ კონსტრუქციაში მიც.-ში მდგარი სახელი ეთანხმება მეშველ ზმნას:

დედე იზუს ჯანუს ჯაღლთანუტ // ჯაღლთან-ის Iბ.

„მან მე დამაძინა“ (მაიძულა)

მოდუსი აქაც შესაძლებელია გაირჩეს განსხვავებული კონსტრუქციით, ეგზეკუტორი იქნება არა მიცემითში, არამედ — სახელობითში:

დედე იზუ ჯანუს ჯაღლთანუტ K. ერგ. E. სახ. ინფ. კაუზ. მოდ. ზმნა

„მან მე დამაძინა“ (საშუალება მომცა დამეძინა).

თუ ამოსავალი **ლაბილური** ზმნაა, ის ორგვარად იქნება წარმოდგენილი: **ერთვალენტური ამოსავლით** და **ორვალენტური ამოსავლით**.

ერთვალენტური ამოსავლით სინტაქსური წყობა არაკაუზატიურ წინადადებაში ამგვარია: S—სახ. ბრუნვაშია და ზმნაში შეიძლება აისახოს ობიექტის კლასი, სუფიქსით — სუბიექტის პირი:

ჩიჩი ერმი ლიკურდაჟა „ძმა კაცს კლავს“

S ერგ. O სახ.

შესაძლებელია სუბიექტის ნულოვანი რეალიზაცია:

3. 0 ერმი ლიკურდაცა „რალცა კაცს კლავს“

S უნდა იყოს ერგ.-ში, 0 სახ.-ში.

მესამე შემთხვევა ზედაპირულად ემსგავსება პირველს, ხოლო შინაარსობრივად — მეორეს.

სხვადასხვა მოდუსურ კაუზატიურ კონსტრუქციაში ორვალენტიან ზმნათა სინტაქსი განსხვავებული იქნება: თუ მამამ გამოიწვია კაცის სიკვდილი უშუალოდ, მაგალითად, შეუწყვიტა საკვები, ასეთ შემთხვევაში სინტაქსური წყობა იქნება ამგვარი: K. ერგ.-ში, E.-მიც.

აგადი ერმის კუს ჯაღლთანუტ

K. ერგ. E.-მიც. ინფ. კაუზ.

თუ კაუზატორის როლი სუსტია, მაშინ იგი დგას სახ. ბრუნვაში:

აგადი ერმის კუზ ჯაღლთანუტ „მამამ სიკვდილი გამოიწვია“

K.-ერგ. E.-სახ.

გაშუალებული კაუზაციის მნიშვნელობა უფრო რელიეფურად იხატება შემდეგ საფეხურზე — ლაბილური ზმნის სრული, ორივე ვალენტობით გამოყენებისას:

აგადი ჩოჩიჩის ერმი კუზ ჯაღლთანუტ

K.-ერგ. E.-მიც. 0 სახ. ინფ. კაუზ.

„მამამ ძმას კაცი მოაკვლევინა“

შეთანხმების თვალსაზრისით ლაბილურ ზმნებს განსაკუთრებული თვისებები არ გააჩნიათ და ეთანხმებიან ისევე, როგორც ერთვალენტიანი და ორვალენტიანი ზმნები.

ანალიზური კაუზატივის მეორე საფეხური იწარმოება სემანტიკურად ორვალენტიანი ამოსავალი ზმნიდან იმავე ყალიბით. ეს ტიპი ემთხვევა ლაბილურ ზმნათა ორვალენტიან გამოყენებას. ამოსავლისა სინტაქსური წყობა ორგვარია:

1. ჩოჩიჩი ჩოი ჰარიცი ირგურდაცა

S ერგ. 0 სახ.

„ძმა დას ტყეში ეძებს“

2. ბალი დაჯიდის ძილურდაცა

S ერგ. 0 მიც.

„ბიჭი ვირს ექაჩება“

ორივე სინტაქსური წყობა კაუზაციის დროს შეიცვლება შემდეგი სახით:

I. K.-ერგ., E.-მიც., P-სახ. ინფ. კაუზ.

II. K.-ერგ., E.-მიც., P-მიც.ინფ.კაუზ.

III. K.-ერგ., E.-ერგ., P-მიც.ინფ.კაუზ.

1. მამამ ძმას დის ძებნა აიძულა

აგადი ჩოჩიჩის ჩოი ჰარიცი არგუს ჯაღლთანუტ

K.-ერგ., E.-მიც., 0 სახ.

აგადი ჩოჩიჩი ჩოი ჰარიცი არგუს ჯაღლთანუტ

K.-ერგ., E.-ერგ., P-სახ.

2. აგადი ბალის დაჯიდის ძილუს ჳაპლთანუტ
K-ერგ., **E**-მიც., **P**-მიც.
 „მამა ბიჭს ვირის მოქაჩვას აიძულებს“
 აგადი ბალი დაჯიდის ძილუს ჳაპლთანუტ
K-ერგ., **E**-ერგ., **P**-მიც.
 ბალის დადად

თუ ეგზეკუტორის როლი დიდა და იძულების მოდუსურ სემანტიკას შეიცავს, ეგზეკუტორი ასეთ კონსტრუქციაში ერგატივშია — არ არის აკრძალული ორი წევრის მიცემითში ყოფნა კაუზატიურ კონსტრუქციაში.

როცა ამოსავალი ორვალენტიანი აფექტური ჳმნებია, ყურადღებას იქცევს მათი კონსტრუქცია : **S** მიც. **R** სახ.

ბალიზ დადად ალგურდაცა

ბიჭი დედას ხედავს.

ჳმნაში პრეფიქსით ან ინფიქსით აისახება ობიექტის კლასი, ხოლო სუფიქსით — სუბიექტის პირი.

კაუზატიურ კონსტრუქციაში სინტაქსური წყობა ამგვარად შეიცვლება:

აგადი ბალის დადად ალგუს ჳაპლთანუტ

მამამ ვაჟს დედის ნახვა აიძულა

თუ ამოსავალი სამვალენტიანი ჳმნაა, სინტაქსურად ეს ტიპი ემსგავსება ორვალენტის ამოსავალს;

აგადი ბალის კარკარ ლიწუნდაცა

მამა შვილს დანას აძლევს

დადადი აგეს ბალის კარკარ ლუს ჳაპლთანუტ

პიროვანი უღვლილებისას მეშველ ჳმნაში შეიძლება აისახოს ის რეციპიენტი, რომელთანაც იგი შეთანხმებულია, შეთანხმებული კი ეგზეკუტორია.

1. დადადი იზუს ბალის კარკარ ლუს ჳაპლთანუტ //ჳაპლთან-ის
K – ერგ. **E**- მიც. **R**- მიც. **O**- სახ.

„დედამ მე მაიძულა ბიჭისთვის დანა მიმეცა“

2. დადადი აგეს იზუს კარკარ ლუს ჳაპლთანუტ //ჳაპლთან-ის
K – ერგ. **E**- მიც. **R**- მიც. **O**- სახ.

„დედამ აიძულა მამა, ჩემთვის დანა მოეცა“

წარმოდგენილ სტატიაში თაბასარანული ენის მხოლოდ ერთი თქმის კაუზატიური კონსტრუქციებია განხილული. განსხვავებები ძალზე დიდა დიალექტებისა და თქმების მიხედვით. კაუზატიური კონსტრუქციების კვლევა თაბასარანული ენის დიალექტებსა და თქმებში მომავლის საქმეა.

ლიტერატურა

- ალექსევი 1985** — Алексеев М. Е., Вопросы сравнительно - исторической грамматики лезгинских языков. Морфология. Синтаксис. М., Наука.
- ბოგატირევა, ბოგუსლავსკაია 1982** — Богатырев К. К., Богуславецкая О. Ю., Определительные конструкции в двух говорах табасаранского языка// Табасаранские Этюды, М.
- დირი 1905** — Дирр А. М., Грамматический очерк Табасаранского языка. СМОМПК, თბილისი.
- კარუჩევა 2003** — Каручева Ш. У., Типы синтаксической связи слов в табасаранском языке в сопоставлении с русским. — Дагестанский лингвистический сборник. Вып. 11, институт языкознания РАН, Махачкала.
- კიბრიკი, პლუგიანი, რახილინა 1982** — Кибрик А. Е., Плугян В. А., Рахилина Е.В. Каузативная конструкция в табасаранском языке --Табасаранские Этюды, М.
- მაგომეტოვი 1965** — Магомедов А. А., Табасаранский язык, თბილისი.
- უსლარი 1979** — Услар П. К., Этнография Кавказа, Языкознание. VII. Табасаранский Язык, Тбилиси.
- ხანმაგომეტოვი 1970** — Ханмагомедов Б. Г.-К. Очерки по синтаксису табасаранского языка, махачкала.
- ბოუდა, 193** — Bouda K., Beitrage zur kaukasischen und sibirischen Sprachwissenschaft. 3. Das Tabasaranische, Leipzig.

TSIRA BARAMIDZE

Causator and Executor in the Causative Construction of the Tivak Sub-dialect of the Tabassaran Language

S u m m a r y

The article discusses the causative constructions of the Tivak sub-dialect – the northern dialect of the Tabassaran language. An analytical causative in the Tivak sub-dialect is formed as thus: an initial + a causating verb (with the function of causative modus; **q'astuz** is used as a modus verb. An initial of analytical causative is verbal. Initial as well as secondary causatives are formed by an analytical model. A stage of a causative is determined by the semantics of an initial: bi-valenced causative of the first stage is formed from one-valenced initial. A subject can be reflected in such verb.

The article deals with the labil verbs in a causative construction with one-valence initial. Bi-valenced and one-valenced labil verbs manifest different syntactic order in different modus causative construction.

In the case of three-valenced initial, if a role of executor is great and contains modus semantics, an executor is in ergative.

The article discusses the possible cases of changes of the causative constructions in the Tivak sub-dialect. Case changing of a causative and an executor takes place along with the changes of semes.

ციალა ბენდელიანი

**უკველესი -ედ სუფიქსი ქართულურ ტოპონიმიკაში
და სამეტყველო კოდების უბრუნის ნაშთები**

ქართველურ ტოპონიმიკაში, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **-ედ** სუფიქსი გვხვდება ერთადერთ შემთხვევაში: **ტბ-ედ-ი** (სათბის სახელია სამცხეში). მიკროტოპონიმი განხილული აქვს ბ. ჯორბენაძეს (ჯორბენაძე 1993, 113; მაგალითი მოაქვს ი. სიხარულიძის ნაშრომიდან „მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. II, 1964).

ბ. ჯორბენაძე წერს: „...ერთი შეხედვით, იგი -ეთ სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია (შდრ.: ტბ-ეთ-ი). სინამდვილეში აქ -ედ უძველესი სუფიქსი უნდა გვქონდეს, იმავე მნიშვნელობისა, რაც -იან (გამოხატავს მქონებლობის სემანტიკას): ტბ-ედ-ი — ზედმიწევნით: „ტბიანი“ (შდრ.: შტო-ედ-ი „შტოიანი“). ამდენად, ამ შემთხვევაში -ეთ და -ედ მსგავს (მაგრამ არა იდენტურ) მნიშვნელობას გამოხატავენ. ტბეთ-ი „ტბების“, ტბედ-ი „ტბიანი“ (ჯორბენაძე, დასახ. წიგნი, 113).

ტოპონიმიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული **-ედ** სუფიქსიანი ადგილის სახელის გარდა სხვა სახელი ცნობილი არ არის, მაგრამ ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, იგი უნდა გვქონდეს ქვემო იმერეთის სამგრელოსპირა ზოლში — ჰიდრონიმიში **ღალ-დ-ა**, ჰიდროგრაფიული ძეგლის სახელწოდებაში: **კლდე-იდ-ა**. უეჭველია **-ედ** სუფიქსით წარმოება გეოგრაფიულ სახელთან ახლომდგომ მეგრულ სახელში: **ხმელ-ედ-ი** (იხ. ყიფშიძე 1994).

ხმელედი მეგრულში ქართულიდანაა შესული, **-ედ** სუფიქსის გამო იგი ზანურში უძველესი ქართულის სუბსტრატს წარმოადგენს ანდა შემდგომში მომიჯნავე ქართულენოვან სამეტყველო კოდებთან \ სამწიგნობრო ენასთან ოდინდელი შერევის ფაქტია (იხ.ქვ.).

განვიხილავთ ცალ-ცალკე:

ა) ჰიდრონიმი **ღალ-დ-ა** (ღელის სახელი, ხონის რ-ნი, სოფ., კინჩხა)

ზან. (მეგრ.) **ღალ-ი** \ **ღალ-გ:** ქართ. **ღელ-ე**, ლაზ. **ღალ-ი**; დასტურდება ძველ ქართულში. გ. კლიმოვის მიერ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღდგენილია ***ღელე-** არქეტიპი (იხ. სარჯველაძე, ფენრიხი 2000);

სამეტყველო კოდების შერევის პირობებში ადგილი შესაძლებელია:

***ღალ-ედ-ი > *ღალ-(ე)დ-ისა**, სადაც

-ა სუფიქსი **-ედ** სუფიქსის მნიშვნელობის შემდგომ შეიძლება დართვოდ. რახან ჰიდრონიმი ზანურ-ქართულ ენობრივ სამეტყველო გარდამავალ

ზოლში მდებარეობს, სავარაუდოა ქართული შესატყვისის არსებობაც:

*** დელ(ე)-ედ-ი > *დელ(ე)-ედ-ა**, ადგილი, სადაც მრავალი დელეა;

შდრ. „**ღალი — დელი, მდინარე, შემოგარენი, ღალი-ძა** (სამურზ.), სიტყვასიტყვით: **მდინარის ნაპირი, ნო-რ-ღაღე**, ჰიდრ. **დელი**“ (ყიფშიძე 1994). სემანტიკურად **ღალ(ე)-ედ-ს : დელ(ე)-ედ-ს**, როგორც **დელიანის** აღმნიშვნელს, შეესაბამება ღალი „**შემოგარენი**“, ე.ი. **შემოგარენი დელიანი**.

ეს მართლაც ასეა, სოფლის შემოგარენში ცხრა დელეა: ჩორონჭყო, სუცუი, ლაშიდელე, თეთრი დელე, სილიდელე, მშრალი დელე, ონჭყვირი, შავი დელე, სუთეთრე, ხოლო თვით სოფელში ჩამოედინება ერთი დელე — **ღაღა**. ამ ვითარების გამო შესაძლოა იყოს: (სოფელი) „**დელიანი**“ \ „**დელიანი**“ (სოფელი). სოფლის შემოგარენში აღნიშნული ცხრა დელე და თვით სოფელში ჩამომდინარე ღაღა მდ. ოკაცეს ხეობაშია და სხვადასხვა ადგილზე ორივე მხრიდან ერთვის. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ღალ-დ-ა მათი საერთო ძველი სახელია მდ. ოკაცესთან მიმართებით: მდინარის ხეობა \ **მდინარე დელიანი \ დელეებანი მდინარე**; შემდეგში ჩანს სახელი ერთ დელეს მიკუთვნიებული. როგორც ვნახეთ, ამჟამადაც ცხრა დელის სახელი სოფელში ცოცხალია — იგივე შეიძლება ითქვას, რომ ცხრა დელის საერთო სახელი რომელიც პერიოდში უნდა ყოფილიყო — **ჩორონჭყო < ჩხოროწყუ** (ეს უკანასკნელი ტოპონიმი სამეგრელოში), ქვემოიმერულ-მეგრულ გარდამავალ სამეტყველო ზოლში **ჩორონჭყო** ბგერათშესატყვისი, მაგრამ გამარტივებული, დიალექტური ფონეტიკის მიხედვით წარმოქმნილი სახელია. ჩვენი აზრით, „ცხრა“ პირობითი რაოდენობაა, რადგან ზოგი მათგანი სეზონური დელეა. ამიტომ ღაღაც იმ ცხრა დელეში შემავალი უნდა ყოფილიყო. სახელდება ღალ(ე)-დ-ისა, რომელშიც ძველ -ედ სუფიქსს ვვარაუდობთ, მაინც მწიგნობრული გზითაა მიღებული: ეს და მიმდებარე სოფელი გორდი საუკუნეთა მანძილზე განათლებულ თავადთა — დადიანების საზაფხულო რეზიდენცია იყო, სადაც დიდ პატივს მიაგებდნენ ქართულ სამწიგნობრო ენას და მის სიძველეებს. ამ აზრს სხვა მაგალითებიც ადასტურებს (იხ. ქვ.).

ბ) ჩვენი ვარაუდით, **-ედ** სუფიქსიანია (შესაძლოა იყოს **-იდ** სუფიქსი) ჰიდროგრაფიული ძეგლი (იმავე სოფელში), რომელიც, ამასთანავე, მიკროტოპონიმიცაა და ორონიმიც: **კლდე-იდ-ა**;

არ გამოგვირიცხავს, რომ შეიძლება ორივე სახელი (ღალ-დ-ა და კლდე-იდ-ა) კომპოზიტი იყოს, რომლის მეორე კომპონენტია **დიდი**: ***კლდე(დ)იდი**, ***ღალ(დი)დ-ისა**, სადაც **-დ-** და **-დი-** ჩავარდა, დაერთო მაწარმოებელი **-ა**, შდრ.: ტობ. ნოღაიდა (\ ლოღაიდა) (სავაჭრო უბნის და მთის სახელი ქობულეთის რ-ნის სოფ. ხინოში), რომლის ამოსავლად მიჩნეულია *ნოღაიდა, რომელშიც დიდა სიტყვის გაცვეთის გზით არის -იდა მიღებული: ნოღა-იდა (იხ. ბედომვილი 1987, 67), მაგრამ ის სამეტყველო არეალი, სადაც ღალ-დ-ა და კლდე-იდ-ა მდებარეობს, ქართულ (ქვემოიმერულ)-მეგრული გარდამავალი ენობრივი სამეტყველო ზოლია, სადაც, ჩვეულებრივ, **დიდი** კომპონენტი გვხვდება და ყოველთვის შენარჩუნებულია, მაგ., ჰიდრონიმი სამეგრელოში **ღაღადიდი**, მსგავსივეა მეგრული ტოპონიმური სახელები — **ჭყონდიდი**, **ჭალადიდი**, **ზუგდიდი** (< ***ზუბდიდი**). ასევეა იმერულში, მაგ., ტოპონიმი **ივანდი**

დი (ონის რ-ში, ჩვენი აზრით, ***ვანდიდი**, რადგან იმავე რაიონის მთის ზონაში არის ჟამიანობისგან დაცლილი სოფელი **ნავანევი**), ამიტომ მოსალოდნელი არ არის, რომ სახელწოდებები კომპოზიციური იყოს.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ კლდედა ჩვეულებრივი კლდე არ არის, იგი უხსოვარ დროში მეწყერის შედეგად მთის მიწიანი (ტყიანი) ფერდობის ჩამონგრევის შედეგადაა მთის ზეგანზე წარმოქმნილი გრძელი და მაღალი კლდოვანი სვეტების მასივის სახით, ხოლო დაღდა სოფელში ჩამომავალი დეღეა, მაგრამ სიდიდით არ გამოირჩევა.

ასევე: ტოპონიმიაში არა, მაგრამ დასავლურ დიალექტურ არეალში, მაგ., გურულში —ედ სუფიქსიანი წარმოება გვხვდება (იხ. ქვ.). ამ საფუძველთა გამოც მივიჩნევთ მათ მარტივ, არაკომპოზიციურ სახელებად.

კლდე-იდ-ა-ს ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ, შესაძლოა, გვქონდეს არა **-ედ**, არამედ **-იდ** სუფიქსიანი წარმოება, დიაქრონიულ ჭრილში უნდა ყოფილიყო თანმიმდევრულად, ჯერ **-ედ** და შემდეგ **-იდ**, ან ერთი რომელიმე მათგანი. **-იდ** სუფიქსი ქართველურ ენებში არც ისტორიულად და არც შემდგომ ხანებში არ გვხვდება. არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ენაში გვაქვს **-დ**-იანი სუფიქსის ერთადერთი ხმოვნიანი ვარიანტი **-ედ**, „...-ად-, -იდ-, -უდ- არა ჩანს“ (ჩიქობავა 1942, 99). არნ. ჩიქობავა **-ედ** სუფიქსის შესახებ წერს, რომ მას „...ყველა შემოჩამოთვლილ სუფიქსზე ნაკლები სამოქმედო ასპარეზი აქვს, მისი ხმარება სპორადულია, და მას მაინც ვიპოვით ყველგან, სადაც ანალოგიური აფიქსებია მოსალოდნელი: მიმღობაში, რიცხვით სახელებში, ზედსართავებში, არსებით სახელებშიც“ (იქვე, 98).

ჩანს, რომ გვაქვს **-ედ** სუფიქსიანი ტოპონიმური სახელი, რომელიც ნაწარმოებია სუფიქსის არსებით სახელზე დართვით, ამის მაგალითია ზემოაღნიშნული — **ტბ-ედ-ი**, ვახუშტი ბატონიშვილს იგი ტბ-ეთ-ი ფორმით აქვს შეტანილი, მაგრამ მისივე განმარტებით, ივულისხმება ადგილი „ტბებიანი“ (იხ. ჯორბენაძე 1993, 113).

თუკი **-ედ** სუფიქსი **-იან** სუფიქსის მსგავსად არ გამოხატავს მქონებლობის სემანტიკას, სახელწოდება „ტბედი“ ალოგიკურია: ტბაში ან სადაც მრავალი ტბაა, სათიბი არ შეიძლება იყოს. ასევე: „**კლდეების**“ ზემოაღნიშნულ კონკრეტულ ადგილზე ნიშნავს იმას, რომ იმ მთაზე კლდეებია, მაგრამ სინამდვილეში კლდის მასივი მეწყერისგან ზეგანზეა წარმოქმნილი. აქვე მოვიტანთ ბ. ჯორბენაძის თეორიულ დებულებას ადგილის სახელთა ეტიმოლოგიის დადგენის შესახებ: „ნებისმიერი ტოპონიმის ეტიმოლოგიის დადგენისას ორი მომენტი აუცილებლად გასათვალისწინებელი: ენობრივი (ფორმის რეალურობა) და გარეენობრივი

(მოტივაციის შესაძლებლობა). თუ ერთ-ერთი არ საბუთდება, მაშინ ტოპონიმის მართებული ეტიმოლოგიის გარკვევა შეუძლებელი ხდება“. მას მაგალითად მოაქვს ტოპონიმი ცხამიჭალა, რადგან არ შეიძლება იყოს „თევზის ჭალა“, მაშასადამე, ცხამ- უნდა ჩაითვალოს მცენარის სახელად (ჯორბენაძე, დასახ. წიგნი, 160). ჩვენ ვითვალისწინებთ ამ მომენტებს.

ქართველურ ენებში ***-ედ** | ***-იდ** **ზმნური სუფიქსებია**, ისინი აღდგენილია ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის (სარჯველაძე, ფენრიხი 2000).

ზმნური **-ედ** სუფიქსის შემდგომად მიჩნეულია **-ეთ** სუფიქსი, მაგ., ზმნა-ში **წრ-ედ-ა** | **წრ-ეთ-ა**, რომელიც ბიბლიურ წიგნში დასტურდება (იხ. ფოგტი 1968, 289); ამ მონაცემს ქვემოთ შევხვებით.

ძველ ქართულში **-ედ** სუფიქსი უმეტესად ზმნურ ფორმებში გვხვდება, მაგ., მო-ქმ-ედ-ი, მო-რბ-ედ-ი (დასტურდება მხოლოდ ამ ფორმებში); სა-თხ-ედ-ი (შდრ. თხ-ევ-ა); ძველ ქართულშივე გამოიყენებოდა პირის ნიშნად მრავლობითსა და მხოლობითში, სხვადასხვა მწკრივში, მაგ., წერ-ედ (ისინი); წერ-დ-ედ (ისინი); წერ-ედ (მათ); სპორადულად პირველ შედეგობითში, მაგ., შე-გ-ი-რა-ცხ-ი-ედ; სხვა ზმნურ ფორმებშიც; წილობით სახელებში (იხ. მორფემ. ლექსიკ., 130-131)

მაგრამ ძველ ქართულში **ედ-** სუფიქსს ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც: გამოირჩეოდა არაპროდუქტიულობით, დაერთვოდა არსებით სახელს და გამოხატავდა მქონელობას, მნიშვნელობით იგივე იყო, რაც **-იან**, მაგ., კარ-ედ-ი, შტო-ედ-ი, შარავანდ-ედ-ი. ახალ ქართულში არის ცდა მისი გააქტიურებისა, მაგ., უჯრ-ედ-ი, ძირითადად გამოიყენება სამეცნიერო ტერმინოლოგიაში: თაღ-ედ-ი, გრძ-ედ-ი, კუთხ-ედ-ი, ჩონჩხ-ედ-ი (იხ. მორფემ. ლექსიკ., 130).

არნ. ჩიქობავა **ედ-** (ან რომელიმე მის ვარიანტს -ელ- II -ენ-) ვარაუდობდა ე.წ. პროფესიის აღმნიშვნელ წარმოებაშიც. მაგალითად, **მე-ნავ-ე** ტიპის არქეტიპში: * მე-ნავ-ელ- II *მე-ნავ-ენ- II * **მე-ნავ-ედ-** (იხ. ჩიქობავა, დასახ. წიგნი, 60).

წილობით სახელებს რომ **-ედ-** სუფიქსი აწარმოებს, ჩვენი საანალიზო ტოპონიმიური სახელწოდებისთვის მნიშვნელობა აქვს, რადგან შესაძლოა იგი გამოხატავდეს **ნაწილს** | **ნაწილობას**, კლდედა არის მეწყერის შედეგად ჩამონგრეული მთის ფერდობის (მიწის საფარის) შემდეგ დარჩენილი კლდოვანი მასივი მთის ზეგანზე, ე.ი. **კლდის მასივიანი მთა** ანუ — **მთის კლდიანი ნაწილია**.

სუფიქსთა ფუნქციური შესაბამისები ენის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ენობრივ და დიალექტურ წრეთა მიხედვით სხვადასხვაა. ისინი ფუძის საწარმოებელი საშუალებებია. ტოპონიმიაშიც სახელები ამავე კანონზომიერებით არის ნაწარმოები, ამიტომ მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა არ ხდება.

ენაში **-იდ** სუფიქსი ადგილის სახელთა საწარმოებლად არ გვხვდება, მაგრამ, სავარაუდოა, რომ იგი კონკრეტულ შემთხვევაში ამ ფუნქციას ასრულებს, ზმნური სუფიქსის არსებობას ამ შემთხვევაში თავისი საფუძველი აქვს — მთისთვის მეწყერის ზემოქმედებას ჩამოუცილებია ტყიანი მიწის ფერდობი და დიდი სიგრძისა და სიმაღლის კლდოვანი მასივია წარმოქმნილი. ეს გეომორფოლოგიური არეალი ცნობილია კარსტული თუ სხვა წარმომავლობის კლდეებით, ასევე, მღვიმეებით, სიფონური ტბებით (იხ. მარტაშვილი 1973).

ჯერ გამოვყოფთ **-ედ** სუფიქსს წინასწარი პირობის საფუძველზე, რომ სახელწოდება არ არის დიალექტური ფონეტიკური ვარიანტი: **კლდე-იდ-ა**, როგორც აღვნიშნეთ, მეწყერის შედეგად წარმოქმნილი კლდის მასივია იმავე სახელწოდების მთის ზეგანზე, ამჟამად ამ სახელით იხსენიებენ მთასაც და კლდის მასივსაც. ზეგანზე აღრე ყოფილა სახნავ-სათესი, საძოვრები, რომლებიც აღარ არსებობს. მაშასადამე, არის ყოფილი მიკროტოპონიმიც, მაგრამ კლდე-იდ-ა მთის სახელი არ არის, მთას ეს სახელი უნდა დარქმეოდა კლდიანი მასი-

ვის წარმოქმნის შემდგომ, მაგრამ დრო არ არის ცნობილი, სპეციალურ ლიტერატურაში მის შესახებ ცნობები არ არსებობს. იგი ასხის მთის კარსტული მასივის რაიონში მდებარეობს, მის ქვემოთ გამოკვლეულია არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი მღვიმე (ლ.მარუაშვილი, ჯ. ჯიშკარიანი), მრავალი მათგანი ჯერაც შეუსწავლელია.

უნდა ყოფილიყო: ***კლდ-ედ-ი < *კლდე-ედ-ი > კლდე-იდ-ა**, ანუ **მთა კლდ-იან-ი**. **-ედ** სუფიქსიც ამტკიცებს მთის სახელის სიძველეს. **კლდიანი მთა** გამარტივებული ჩანს, ჩამოცილებულია საზღვრული **მთა**, ხოლო მსაზღვრელს დართული აქვს **-იან** სუფიქსის ფუნქციური შესაბამისი **-ედ**, რომელიც გამოხატავს მქონებლობის სემანტიკას, ამ საფუძველზე ჩანს მიღებული **კლდე-იდ-ა**, მთისა და მასზე კლდოვანი მასივის აღმნიშვნელად (კლდეზე საშემე შურობია).

ფუძე **კლდე** ადგილის სახელწოდებებში გაუფორმებლად, აფიქსებით და წარმოების სხვა საშუალებებით, ფონეტიკური ვარიანტებით, გავრცელებულია საქართველოს მრავალ კუთხეში, მათ შორის ლეჩხუმსა და იმერეთში (რომელთა საზღვარზე მდებარეობს სოფ. კინჩხა), მაგ., უაფიქსოდ: **კლდე > კტე** (ლეჩხუმში, ცაგერის რაიონში), თანხმოვანთა ასიმილაციით: **დ > ტ: კლტითავი > კლდისთავი; ლ** ბგერის დაკარგვით: **ბერიკტე < ბერიკლდე** (ლეჩხუმში, ცაგერის რაიონში), **კტისძირი < კლდის ძირი** (ზემო იმერეთში, საჩხერის რაიონი) (მაგალითები მოგვაქვს: ჯორბენაძე 1993, 137).

იმავე ფუძის შემცველი სახელები ცნობილია საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში, მაგ., **კლდეკარი**, ამჟამინდელ ქართულ ტოპონიმიაში, მაგ., **კლდე** (ახალციხის რ-ნი), **კლდიანი**, **კლდეკარი** (გაგრის რ-ნი), **კლდისუბანი** (ამბროლაურისა და ხულოს რ-ნები), **კლდისთავი** (ქარელის რ-ნი), **კლდისწყარო** (ხაშურის რ-ნი), **კენჭაკლდე** (დუშეთის რ-ნი), წითელი კლდე (ხონის რ-ნი) (მაგალითებს ვიმოწმებთ: ზურაბიშვილი 1961, 135).

ფუძე ***კლდე-** ქართველურ ენათაგან აქვს ქართულს (**კლდე-, კლდე-ა, კლდ-ოვან-ი**) და მეგრულს (**კირდე- | კგრდე- | კირდა- კგრდა-, კირდე | კგრდე | კირდა | კგრდა**). „ამ ძირის ლაზური შესატყვისი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. არაა გამოვლენილი ამ ძირის უდავო სვანური ეკვივალენტიც“, საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილია ***კლდე-** არქეტიპი (იხ. სარჯველაძე, ფენრიხი 2000, 287).

ძველ ქართულში **ადგილის კლდიანობის** აღსანიშნად გამოიყენებოდა **-ოვან** სუფიქსი, მაგ., „სხუად დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა ხიყო მიწად“ (მამ.ცხ. ხანმ.); „რომელი-იგი კლდოვანსა დაეთესა, ესე არს“ (მათეს სახარ.) (იქვე).

უნდა არსებობდეს **კლდე** ფუძის შემცველი **-ეთ** სუფიქსიანი ადგილის სახელიც: **კლდე-ეთ-ი**, რაც ნიშნავს: „**კლდეების**“, შდრ. **ტბ-ეთ-ი** „**ტბების**“ (როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს), სადაც მრავალი კლდე ან ტბაა; -- **ოვან** და **-იან** სუფიქსები ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს.

როგორც ვთქვით, ჩვენი აზრით, ფუძე **კლდე-**ს ერთვის **-იან** სუფიქსის ფარდი უძველესი სუფიქსი **-ედ**, რომელიც ფონეტიკური ცვლილების გამო დაბინდულია (ან, როგორც აღვნიშნეთ, იგი წარმოადგენს **-იდ** სუფიქსს, რომელიც ენაში ადგილის სახელთა საწარმოებლად არ გვხვდება).

უნდა ყოფილიყო: ***-ედ-ი | *-ედ-ა --- *კლდ(ე)-ედ-ი | *კლდ(ე)-ედ-ა.**

თუ სინქრონიულ ჭრილში მოცემულია დიალექტური ფონეტიკური ვარიანტი: **კლდ-ეი-და, ეი** შეიძლება მიგვეღო დიალექტების პერიოდში **ეე** ხმოვანთა განმსგავსებით: **ეე > ეი**. ქვემოთმოხსენებულში ამ შედგენილობის ხმოვანთკომპლექსი მორფემათა ზღვარზე ამავე შედეგს იძლევა. არსებობს **ეი** კომპლექსის მიღების სხვა შესაძლებლობაც (იხ.ქვ.).

ჩვენ მიერ თუ **-ედ** სუფიქსის გამოყოფა მართებულია, ფორმისთვის **კლდეიდა** რომელი სუფიქსი შეიძლება იყოს ამოსავალი: **-ედ, -ედ-ი** თუ **-ედ-ა**, რადგან ენაში სამივე სუფიქსი გვაქვს:

კლდე-ედ-ი ნიშნავს **კლდ-იან-ს** (კლდის მქონეს) და არა **კლდისი-ს** ან **კლდეებისი-ს**; ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, **-ის** დაბოლოებიანი ტოპონიმი მხოლოდ მაშინ შეიძლება იწარმოოს, თუ თავისთავად ტოპონიმის ამოსავალი ფუძე ტოპონიმად უკვე არის გამოყენებული, მაგ., **ცხმორ-ი > ცხმორის-ი, აძვი-ი > აძვის-ი, აბ-ი > აბის-ი** (ჯორბენაძე, დასახ. წიგნი, 122). ზემოთ ვნახეთ, რომ საანალიზო არეალში გაუფორმებელი ფუძე მიკროტოპონიმად გვხვდება: **ატე < კლდე**. მიუხედავად ამისა, **კლდეიდას** აგებულება და მისი მთის ზეგანისადმი მიმართება, გულისხმობს **მთის მიერ** ამ კლდოვანი მასივის სწორედ **შქონებლობას**.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვიზიარებთ ბ. ჯორბენაძის აზრს ტოპონიმ „თბილისის“ ეტიმოლოგიის შესახებ: ტფილის-ი \ *ტაფ-ილ-ი (რომლის მნიშვნელობაა „ტაფობი“): *ტაფილ-ის [ადგილი] > *ტაფილ-ის-ი > ტფილის-ი (იქვე).

სინქრონიული მონაცემის — **კლდე-ე(ი)და —** სტრუქტურის დასადგენად განვიხილავთ რთულ სუფიქსებს, რაც ენაში არის:

რთული **-ედ-ა** სუფიქსი შედგება **-ედ** სუფიქსისგან, შეესაბამება **-იან** სუფიქსს (მაგ., კარ-ედ-ი, შტო-ედ-ი, შარავანდ-ედ-ი) , **-ა** კინობითის სუფიქსია; ეს სუფიქსი დადასტურებულია ხევსურეთში, მაგ., **კუდ-ედ-ა** „კუდიანი ჭია“, **სიბ-ედ-ა** „სიბით გადახურული სახლი“ (იხ. დასახ. ლექსიკონი 131).

ასეთივე წარმოება გვხვდება, მაგ., გურულში — **ჯაჭვ-ედ-ა** „რუხი ფერი-სა“ (ჯაჭვედაი დედალი „რუხი, ჭრელი დედალი, რომელსაც ტანზე მრგვალი თეთრი წინწკლები აქვს, ჯაჭვის მსგავსი“) (ალ. ლლონ.). ე.ი. ჯაჭვის (მსგავსი) რგოლებ-იან-ი; გურულშივე: **წვერედა | წვერედა** „წვერა, თევზია“ (ალ. ლლონ.). ამ უკანასკნელ ფონეტიკურ ვარიანტში **-ად** ბრუნვის ნიშანს სიტყვათწარმოებითი დანიშნულება აქვს (მდრ.: მორფემ. ლექსიკ., 130); ამათგან არც ერთი არ გვხვდება გეოგრაფიულ სახელებში.

ჩვენს მიერ გამოყოფილ **-ედ-ა** რთული სუფიქსის თავდაპირველი ვარიანტი უნდა ყოფილიყო მარტივი **-ედ**: **კლდე-ედ-ი**, რომლის მნიშვნელობა არის **კლდ-იან-ი**, ე.ი. მთა კლდიანი; ჩვეულებრივ, მთაზე კლდის არსებობა განსაკუთრებულად შეიძლება არც აღინიშნოს, მაგრამ კლდეიდა არის უძველეს ხანაში მთის დამეწყვრის შედეგად დარჩენილი კლდოვანი მასივი, რომლის უკან არის მთის ზეგანი, ეს უნდა იყოს სახელდების საფუძველი. როგორც აღვნიშნეთ, ეს სახელწოდება შესაძლოა სამწიგნობრო ენის გავლენით იყოს მიღებული და დავასახელებთ შესაძლო მოტივებიც, მაგრამ მყარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ გვიანდელია და სამწიგნობრო ენის გავლენა უდავოა.

სახელწოდებას **კლდეიდა** სოფლის მცხოვრებნი უმეტესად სალიტერატურო ნორმით წარმოთქვამდნენ, თუმცა სტრატეგიკაციული და სიტუაციური ვარიანტულობის მიხედვითაც.

ამასთან დაკავშირებით საუბრისხმოა არნ. ჩიქობავას მიერ შენიშნული, რომ „-ედ სუფიქსი ფართოდ აქვს გამოყენებული საბა სულხან ორბელიანს სიტყვათა განმარტებისას გამოთქმებში; მოვლენა წმინდა მწიგნობრულია; ყველგან -ედ სუფიქსი -ი-ან სუფიქსის მაგივრობას ეწევა, მაგალითად: „**ფიჩხი** — შტოედი შეშა“ (შტო-ედ-ი — შტო(ებ)-ი-ან-ი), **ფურცხვი** — ესე არს კ ა ვ ო ე დ ი რკინა...“ (კავო-ედ-ი — კავ(ებ)-ი-ან-ი) „**ბორჯღლი** — კაპებიანი, **ბორჯღლედი**“ (!). ბორჯღლედი კაპებიანის განსამარტავადაა დასახელებული“ და ა.შ. (იხ. ჩიქობავა, დასახ. წიგნი, 98).

-ედ სუფიქსის მწიგნობრულობა შესაძლოა ჩანდეს მეგრულში ქართულიდან (სავარაუდოდ — უძველესი ქართულიდან) შესულ ფორმაში **ხმელ-ედ-ი** (იხ. ქვ.).

-ა ტოპონიმთა მაწარმოებელია, რადგან კლდეიდა ტყიანი მთის ზეგანის სახელიცაა, სადაც სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები იყო. იგი გვიან ჩანს დართული (შესაძლოა, იყოს კნინობითის **-ა**, რადგან კლდე სოფლის თავშია და არა მალალ მთიანეთში). ამ საფუძველზე ჩანს წარმოქმნილი იშვიათი რთული სუფიქსი — **-ედ-ა**. ამ სუფიქსს სემანტიკური სიახლოვე აქვს **-ედი** სუფიქსთან, რომელიც გამოიყოფა ჯვარ-ედინ-ი ფორმაში (შდრ. ჯვარი, ჯვარ-ედ-ი); გამოხატავს მსგავსებას (იხ. დასახ. მორფემ. ლექსიკ., 131).

სივრცობრივად კლდის მასივი თითქოს ჯვარედს მართლაც ქმნის, ამიტომ საფიქრებელია, რომ უნდა არსებულიყო ფონეტიკური ვარიანტი: ***კლდე-ედ-ი**, სადაც ფუძისეული ე დაკარგულია, ან: ***კლდე-ედ-ი**, სადაც ორი ე განმსგავსების გარეშე დარჩებოდა, შდრ.: **კლდე-ეთ-ი**, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ტოპონიმთა მაწარმოებელმა სუფიქსმა **-ა**-მ. სავარაუდოა ისიც, რომ ფორმაში ***კლდე-ედ-ა** მომხდარია ფონეტიკური პროცესი დისტანციურად: სუფიქსისეული **ე-სა** და მაწარმოებელ **ა-ს** შორის: **ეა > ია**, მორფემათა ზღვარზე ასეთი პროცესი ქვემოიმერულში არის, მაგ., **შეაგროვა > შიაგროვა**, **შეანჯღრია > შიანჯღრია**, **შეალამაზა > შიალამაზა** და სხვ. ჩვენ ეს მოსაზრება უფრო მართებულად მიგვაჩნია (ვიდრე ზემოაღნიშნული).

სახელწოდებას აქვს ქვემოიმერული ფონეტიკური ვარიანტები: **კლდე-იდ-ე** \ **კლე-იდ-ა** \ **კლე-იდ-ე**; **-დ-** ჩვეულებრივ, ამ ფუძისგან ნაწარმოებ სახელებში არ იკარგება, უკანასკნელი ფონეტიკური ვარიანტები გამოწვევისი მსგავსი ფუძის შემცველ ქართველურ ტოპონიმურ სახელებში.

კლდე-იდ-ა დიალექტში ძალზე გავრცელებული **-ე** დაბოლოებითაც გვხვდება, მაგრამ არ არის ზემოაღნიშნულის მსგავსი ფონეტიკური პროცესები, მაგ., **კტიედე** \ **კვტიედე**, ამავე არეალში არის უაფიქსო მიკროტოპონიმი — **კტიე**, იკარგება ლ თანხმოვანი, ხოლო დ მკვეთრდება, რაც ამ ფუძის შემცველ სახელებში საქართველოს სხვა არეალებში არ გვხვდება. მაშასადამე, ამ არეალში ფუძე **კლდე** ფონეტიკურად განსხვავებულად იცვლება, ვიდრე საქართველოს სხვა დიალექტურ ზონებში, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ **დ-ს** დაკარგვა მაინც არ არის ჩვეულებრივი მოვლენა.

შესაძლოა ამის მიზეზი იყოს სახელწოდება **კლდე-იდ-ა**-ს სიძველე, ძველი სუფიქსის მქონებლობა, შესაძლოა შემდგომში სამწიგნობრო ენის გავლენაც, მიუხედავად დიალექტის ნორმით მომხდარი ფონეტიკური ცვლილებისა.

მაშასადამე, ქართულში **-ედ** ძველი სუფიქსით ნაწარმოები ერთადერთი მაგალითის **ტბ-ედ-ის** იდენტური წარმოებისაა:

ა) **ღალ-დ-ა < *ღალ-(ე)დ-ა, —ა** ადგილის სახელთა, მათ შორის ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა, მაწარმოებელია;

ბ) ***კლდე-ედ-ი || *კლდე-ედ-ა (> კლდე-იდ-ა)** იმავე **-ედ**, მაგრამ ტოპონიმთა მაწარმოებელი **-ა** სუფიქსის დართვით, რაც მიუთითებს, რომ **-ედ** უძველესი სუფიქსის მნიშვნელობა კი არ დაიბინდა, არამედ მთის ზეგანზე წარმოიქმნა მიკროტოპონიმები: სახნავ-სათესი, საძოვრები, ამიტომ გაჩნდა ახალი სუფიქსის დართვის აუცილებლობა. **-ედ-ა** სუფიქსით ნაწარმოები ადგილის სახელი ქართველურ გეოგრაფიულ სივრცეში, არც ისტორიულად და არც ამჟამად არ იპოვება.

გ) როგორც აღვნიშნეთ, ქართველურ ენებში, კერძოდ, მეგრულში გვხვდება **-ედ** სუფიქსი ტოპონიმურ სახელებთან ახლომდგომ სახელწოდებაში: **ხმელ-ედ-ი** „ხმელეთი“ (იხ. ყიფშიძე 1994), მეგრულში იგი ქართულიდანაა შესული: > **ხმელ-ეთ-ი**. უდავოა, რომ გვაქვს **-ედ \ -ეთ** სუფიქსები და არა **თ-** გამჟღერებით მიღებული **დ**.

ძველ ქართულში არის — **კმელი** „ქუეყანა“, ხმელეთი (ი. აბულ.). **კმ-ელ-ი** ზმნური წარმომავლობისაა — მიმღეობაა, რომელსაც პირველად უნდა დართვოდა **-ედ** სუფიქსი, შემდგომი უნდა იყოს **-ეთ** სუფიქსი: **კმ-ელ-ედ- > ხმ-ელ-ეთ-**; ძველ ქართულში **კმ-** რედუცირებული ზმნური ძირია.

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღდგენილია ***კამ-** და ***კმელ-** არქტიპები (გ. კლიმოვი); მეგრულში შეესატყვისება **ხომ-** (ხუმ < ხომ- მ-ს ზეგავლენით) და ლაზური **ხომ-**, მათი მნიშვნელობებია „შრობა; ხმობა“, „მშრალი“. ლაზურში **ხომ-ულ-ა** „მშრალი; ხმელეთი“ (სარჯველაძე, ფენრიხი, 2000). მეგრული ხომ- \ ხუმ- შეაპირისპირა იოს. ყიფშიძემ (ყიფშიძე, 1994);

ძველ ქართულ ტექსტებში **ქუეყანა** ზოგ შემთხვევაში ცალკე გვხვდება, ზოგ შემთხვევაში მას ახლავს მსაზღვრელი, მაგ., „ზღუასა გამოიყუანა ივინი, ვითარცა ვმელსა ქუეყანასა“ (ი. აბულ.). ამიტომ სავარაუდოა, რომ **კმელ-** მიმღეობა ადრეული ან პარალელური მოვლენაა „**ქვეყნის**“ აღსანიშნად, იმ ენობრივი კოლექტივის მიერ გამოყენებული, რომელიც ვრცელ წყალთან, ზღვასთან, დიდ ტბასთან ცხოვრობდა. ქართველურ ენებში, გარდა ქართულისა, სიტყვათშეხამება „**კმელი ქუეყანის**“ ანტონიმი, რომელიც აღნიშნავდა „**არაკმელ ქუეყანას**“ ანუ წყალს, არ გვაქვს. წყალი აღნიშნულია სხვადასხვა ლექსებით: მდინარე, წყარო, ხევი, ღელე, ნაკადული, ტბა, ზღვა (ბგერათშესატყვისებით).

ზანურში (მეგრულში) **ხმელ-ედ-ი** ფორმას სამწიგნობრო ენის გავლენა ემჩნევ. წარმომავლობით მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი **-ეთ** მას არ ერთვის, ე.ი. იგი ნიშნავს ძველ ქართულ „**ქუეყანა კმელებიან-**“ს, თავდაპირველად ქართულიდან მეგრულში ნასესხები უნდა ყოფილიყო **კმ-ელ-ედ-ი**, მეგრულში, როგორც ცნობილია, **კ > ხ** პროცესი უფრო ადრე დასრულდა, ვიდ-

რე ქართულში. საკუთრივ ზანურზე (მეგრულსა და, შესაძლოა, ჰანურზეც) მეტყველთა ენობრივი ცნობიერებით უნდა ყოფილიყო: — „**ქუეყანა მშრალი**“, ქართულში შემდგომში ჩანს დართული სიმრავლის აღმნიშვნელი **-ეთ** სუფიქსი, შეიძლება ითქვას: „**მრავალი გმელი მიწის \ ქუეყანის**“ აღსანიშნად, ენის ისტორიის რომელიმე ეტაპზე უნდა ყოფილიყო: **გმელ-ეთ-ი ქუეყანები \ მიწები**, ზან. „მშრალი მიწები“, შემდგომ საზღვრული ჩამოსცილდა და მივიღეთ თანამედროვე წარმოების სიტყვა: **ხმ-ელ-ეთ-ი**. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს **-ელ** და **-ეთ** სუფიქსთა თანმიმდევრობით.

ქართულენოვან არეალებთან და ქართულ სამწიგნობრო ენასთან ზანურის მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტების შედეგია სიტყვის **-ედ** სუფიქსიანი ვარიანტი, რომელიც გაქვავდა ძველი ქართულის ფორმით, არა მხოლოდ ფონეტიკურად (**დ** არ ყრუვდება ან **-ედ** არ იცვლება ქართული **-ეთ** ან ზანური **-ათ** სუფიქსებით), არამედ სემანტიკურად: **ხმელ-ედ-ი** ზანურენოვანის ცნობიერებით ნიშნავდა „**ხმელებიანს**“ ანუ „**გამშრალ, გამხმარ ნაწილს**“ **„ქუეყანისა“** — ეტიმ. **ქუე-** (\ქვედა) **ყანისა** (\ მიწისა).

უმეტესად დაჭაობებულ, ნოტიო და მუდამ სველ მიდამოთა პატრონი ზღვისპირელი ზანებისთვის, **ხმელედი**, მაღალფარდოვანი \ ამაღლებული სტილისაც იქნებოდა, იმის გამო, რომ მათთვის მუდამ სანატრელი და სანუკვარი იყო ყოველი მშრალი ნაჭერი მიწისა.

მნიშვნელოვანია თვით ფაქტი, რომ მეგრულში **-ედ** სუფიქსი გვაქვს გეოგრაფიულ სახელში: **ხმ-ელ-ედ-ი**. თუმცა იგი შესაძლოა უფრო გვიანდელი იყოს, ვიდრე ქართული (მიკრო)ტოპონიმები და ჰიდრონიმი: **ტბ-ედ-ი**, ***კლდე-ედ-ი**, ***ღალ-(ე)დ-ი**.

დღემდე ცნობილ უძველეს **-ედ** სუფიქსიანი ერთადერთი (მიკრო)ტოპონიმის — **ტბ-ედ-ის**, გარდა აღმოჩნდა კიდევ ორი მაგალითი: — ***ღალ-(ე)დ-ისა**, ***კლდე-(ე)-ედ-ი** (\ **კლდე-იდ-ა**); და გამოვლინდა იმავე დანიშნულების სუფიქსი მეგრულშიც: **ხმელ-ედ-ი**.

ახლა შევეცდებით გამოვყოთ **კლდე-იდ-ა**-ში ასევე უძველესი, მაგრამ ქართველურ ენებში, მათ შორის ქართველურ ტოპონიმიაში, აქამდე უცნობი **-იდ** სუფიქსი.

შესაძლოა, ფუძეს **კლდე** ერთვოდეს სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი**, **კლდე-ი**. ასეთი ფორმა შეესაბამება ძველი ქართულის ნორმებს, სადაც ე-ზე დაბოლოებული სახელები სახ. ბრუნვაში ირთავდნენ **ა**-ის, კლასიკურ ძველ ქართულში იგი იძლეოდა ედ დაღმავალ დიფთონგს. დასავლურქართულ დიალექტურ მეტყველებაში, მათ შორის ქვემოიმერულშიც, არის სრულხმოვანი **-ი**, იშვიათად გვხვდება ნახევარი **ი**, იქნებოდა: **კლდე-ი**. დავუშვათ, საანალიზო სახელწოდებაში მოცემულია ამოსავალი ფუძე სახ. ბრუნვის ფორმით, რა შეიძლება იყოს **-ედ** თანხმოვანი. ტოპონიმთა საწარმოებლად იგი არ გვხვდება.

დ თანხმოვანი არის ვნებითი გვარის სუფიქსი, მაგრამ ნაკლებად სარწმუნოა, რომ თავდაპირველად იყო ზმნა (**გა**)**კლდე-ვ-დ-ა** (მაგ., მთა) და შემდეგ ვ დაიკარგა. თუმცა შესაძლოა შემდგომ ეტაპზე გაჩენილიყო **-ი** ნიშნიანი სახელობითი: **კლდე-ი-დ**. ეტიმოლოგიის დადგენის ეს ვარიანტი ბოლომდე გარკვეულად არ გვეჩვენება.

უფრო დამაჯერებელია ის, რომ გვაქვს **ედ-** სუფიქსის იდენტური **-იდ** სუფიქსი, რომელიც არ არის დიალექტური ვარიანტი ისევე, როგორც **-ეთ** სუფიქსისა **-ით**, **-ოთ**, **-უთ**, **-ათ** სუფიქსები, რომლებიც მეტნაკლები პროდუქტიულობით აწარმოებენ ქართველურ გეოგრაფიულ სახელებს. აკ. შანიძე **-ით** სუფიქსის შესახებ წერდა: „საგანგებო კვლევას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმომავლობისაა **-ი-** **-ით-**ზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა: როკ-ით-ი, ღვანკ-ით-ი... ცხადია, აქ ზოგან მაინც, ფუძისეული ხმოვანი უნდა ვიგულისხმოთ, ხმოვანი, რომელიც ი დეტერმინანტის სახელობითის ფუძეზე შეზრდისა და ბრუნვის დაბოლოებად ქცევის შემდეგ სახელობითის ნიშნად უნდა ყოფილიყო გავებული (შანიძე 1941, 783). შდრ. ი ხმოვანი ჩვენს საანალიზო სახელში.

-თ ისტორიულად იყო სიმრავლის აღმნიშვნელი, რომელიც ტოპონიმურ სახელთა საწარმოებლად ხმოვნიანი ვარიანტებით არის დადასტურებული, მაგრამ **დ**, თუკი ჩვენს მიკროტოპონიმში არ არის ვნებითი გვარის ნიშანი, სხვა ფუნქცია არაფერი შეიძლება ჰქონდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიკროტოპონიმში ვნებითი გვარის **დ-**ნიშნის ამოსავალი ზმნის არსებობა სათუთა.

ნ.მარის საწინააღმდეგოდ, რომელიც **-ოთ** სუფიქსს **-ეთ** სუფიქსის დიალექტურ ეკვივალენტად მიიჩნევდა, ს. ჯანაშია მართებულად ასაბუთებდა, რომ ყოველ დასახელებულ შემთხვევაში ისინი ერთი და იმავე სუფიქსის ვარიანტებია (ჯანაშია 1959, 144)

ვასკვნივთ, რომ საანალიზო სახელწოდებაში გვაქვს: ა) უძველესი **-ედ** სუფიქსი: ***კლდ-ედ-ი** | ***კლდე-ედ-ი** (> **კლდეიდა**), ბ) შემდგომი პერიოდისაა მისი ეკვივალენტი **-იდ** სუფიქსი: **კლდე-იდ-ა**, გ) ხოლო **დ** უხმოვნო სუფიქსის არსებობა სათუთა დ) **-ედ** სუფიქსი დადასტურებულია მიკროტოპონიმში **ტბ-ედ-ი** (ბ. ჯორბენაძე), ჰიდრონიმში **დალ-დ-ა** < **დალ-(ე)დ-ი**ა და მეგრულში: **ხმელ-ედ-ი**. ეს უკანასკნელი გვაფიქრებინებს, რომ **კლდეიდა**-ში პირველადია **-ედ** სუფიქსი, რომელიც **-იდ** სუფიქსად შეიცვალა ტოპონიმთა მაწარმოებელი **ა-**ს დართვით.

თუ მომავალში კვლავ გამოვლინდება **-ედ**, **-ედ-ა**, **-იდ** ან **დ-** მაწარმოებელიანი ტოპონიმური სახელები, იგი მოგვცემს სუფიქსთა დადგენის, მათი ფუნქციების დაზუსტების, გავრცელების არელების განსაზღვრის და შერევის პირობების გარკვევის საშუალებას.

ლიტერატურა

- ჯორბენაძე, 1993** — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბილისი.
ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.
ყიფშიძე, 1994 — იოს. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი (ლექსიკონი), თბილისი.
სარჯველაძე, ფენრიხი, 2000 — ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ბედოშვილი, 1987 — გ. ბედოშვილი, ზოგიერთი ქართული გვარის წარმოშობის ისტორიისათვის, კრ. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ფოგტი, 1968 — ჰ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ქართულში, კრ. მიმო-მხილველი, 4-5, თბილისი.

მარტაშვილი, 1973 — ლ. მარტაშვილი, მღვიმეთმცოდნეობის საფუძ-ველები. ზოგადი სპელეოლოგია, თბილისი.

ზურაბიშვილი, 1961 — თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი.

შანიძე, 1941 — აკ. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, №8.

ჯანაშია, 1959 — ს. ჯანაშია, —თა \ —თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, ტ. III, თბილისი.

შემოკლებათა განმარტება

მორფემ. ლექსიკ. — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

ალ. ღლონ. — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ი. აბულ. — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

TSIALA BENDELIANI

An Ancient *-ed* Suffix in the Kartvelian Toponymy and Traces of Mixing of the Speech Codes

S u m m a r y

In a scientific literature on the Kartvelian toponymic names, only one micro-toponymia which is formed by an ancient *-ed* suffix, is known: **ქბ-ედ-ი** (B. Jorbenadze), which is situated in the South Georgia. The paper analysis Lower-Imerian names: hydronym **ყალ-დ-ა**, micro-toponym **კლდე-იდ-ა**, in which **-ed/*-id* suffixes are assumed: **ყალ-(ე)დ-ი*, **კლდ-(ე)დ-ი*.

It is noted in the special literature, that *-ed* suffix does not occur in Megrelian, but the name entered from Georgian is attested in Megrelian: **xmél-ed-i** (I. Qipshidze). It is possible, that it is the result of the contact of Zan with old Georgian literary language or mixing of speech codes with Georgian or its sub-dialects in the later period.

ელისაბედ გაზდელიანი

მრავლობითი რიცხვის ზოგი სუფიქსის უხასხავ
სმანურ ენაში

სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სხვადასხვა ნიშანთა შორის გამოყოფილია **-უ** და **-იადუ** სუფიქსები.

-უ მრ. რიცხვის ნიშანი სახელებში სხვა ნიშნებთან შედარებით იშვიათად იხმარება, მაგრამ ის მეტ-ნაკლები სიხშირით დადასტურდა ყველა დიალექტში. განსაკუთრებით მიმღეობებსა და ზედსართავებთან.

„აბსტრაქტულ სახელებისაგან **-წრ** (-ქართ იან)-ით წარმოებულ ზედსართავებთან ბალსზემოურში **-უ** დაბოლოება იხმარება“ (შარაძენიძე 1954, 192). „ბოლოკიდური **-არ** ელემენტის შემცველი მიმღეობებისა და ზედსართავი სახელების მრავლობითობა, ჩვეულებრივ, **-უ** ალომორფით გამოიხატება (თუმცა შესაძლებელია მასთან **-ალ** ალომორფის მონაცვლეობა)“ (ონიანი 1998, 102).

-უ მრ. რიცხვის ნიშანი შედარებით ხშირად გვხვდება ზედსართავებთან და მიმღეობებთან, რომლებიც ბოლოკიდურ პოზიციაში შეიცავენ **-რ**, **-ლ** სონანტებს წინამავალი სხვადასხვა ხმოვნით.

ეს ელემენტები შეიძლება იყოს: ა) ფუძის კუთვნილება, როგორც ბალსზემოურში ისე სხვა დიალექტებში.

მაგ.: მინე **ლგდგარუ** ჩვადწვერხ (ბზ. ქრ. 87) „თავისი მიცვალეზულები ისისხლეს“. ალ **ლგდგარუ** ლეჭვანვიდხ (ბზ. ქრ. 87) „ეს მიცვალეზულები ქვემოთ მოასვენეს (მოიყვანეს)“. მინე-მინე **ლგდგარუაუ** ლაქუნს ხეჭვდალხ (ბქ. 297, 3) „თავ-თავიანთი მიცვალეზულების სულებს (სასულებს) ეკითხებიან“. **ლგდგარუ** ლახორს ლოქ იჩოხ (ლშხ. ქრ. 242) „მიცვალეზულები იკრიბებიან (საკრებულოს აკეთებენ)“. **ლგდგარუა** ქუნარ ლოქ ხემშევარხ (ლნტ. 63, 19) „მიცვალეზულების სულები ესტუმრებიან“.

ზს., ლნტ. **ლგდგარ**, ლშხ **ლგდგარ** „მიცვალეზული“ და ზს., ლნტ. **ლგ^აწრ**, ლშხ. **ლუარ**, **ლუჟარ** „ცოცხალი“ ლექსემები ყველა დიალექტში მრ. რიცხვში უმეტესად **-უ** სუფიქსს დაირთავს. თუმცა შეიძლება დიალექტების მიხედვით **-წრ**, **-არ**; **-წლ**, **-ალ** სუფიქსებიც დაერთოს. ხშირია **უ** მრ. რიცხვის ნიშნიანი ფორმები სვანური პოეზიის გამოქვეყნებულ ტექსტებში, სადაც ქართულ თარგმანში მრ. რიცხვის ფორმები ხან ჩანს, ხან არა.

...**ლგფკალუ**... ილაფუნალხ წვრნი-მეშხად — „ქალბატონები იღებებიან წითელ-შავად“ (პოეზ. 132, 19). ისგვე ლწხეხვა **ლგფკალუს** ეცრი ლგქდუ

იღმეგაღს — „თქვენს ცოლებს ქალბატონებს ეცერის ამპარტავნები (ერთმანეთს) ეცილებიან“ (პოეზ. 132, 22). გიორგი წერეთელს **ლგფკმლუ** ხონჯრგდა დერუ (ლმხ. ქრ. 257). „გიორგი წერეთელს ქალბატონები ახლდა ორი“. არსენ ონიანის ხელნაწერ, გამოუქვეყნებელ ტექსტში შეგვხვდა შემდეგი წინადადება: „ჟი ხნდრახ ღვაჟარემ ი მინე ლამხვა **ლგფკმლუ** ჟახნლ (ლმხ.) „აწერიათ კაცების და მათი ცოლების — ქალბატონების სახელები“. ნა **საბრალუ**, ნა ლეჟრია! — „ჩვენ საბრალონი, ჩვენ საცოდავნი“ (პოეზ. კალა 14, 34). ამ **ურჯულუ** სავიარე — „ეს ურჯულოები სავები“ (პოეზ. კალა 14, 36). ეჩქადწმ შუწნიშ **ლუთჟერუ** (ბქ. ცხუმ)¹. „მაშინდელი სვანეთის ნასწავლები“. ბაბალარე ნაჭრენ კერძალ ი **ლგთნრუ** (ლმხ. IV, 276, 12) „ბაბუების შეძენილი (მიმატებული) ახლობლები და ნაცნობები“. ფედიან **ნადალუ** ანჯადხ (ლნტ. 51, 27). „ახლო ნათესავები მოვიდნენ“. **ლგფშნრუ** ხოჩულდ იზგაღს (ლმხ. IV, 174, 32). „გამრავლებულები უკეთესად ცხოვრობენ“.

ბ) ხშირად **-უ** მრ. რიცხვის სუფიქსის წინა **-არ, -არ, -ოლ, -ერ, -ელ** მრ. რიცხვის ნიშნებია. რომლებსაც, როგორც ჩანს, **უ**-ს დართვის შემთხვევაში მრავლობითობის აღნიშვნის ფუნქცია დაკარგული აქვთ და რიცხვს **-უ** ნიშანი გამოხატავს.

მაგ. მინე **დილარუ** ხატულის (ბზ. ქრ. 77) „მათი დედები ეძახიან“. ბოფშარს... **დილარუ** მურზაბეჟი ჟახომ ლემყალტინხ (ბზ. ქრ. 40) „ბავშვებს... დედები მურზაბეჟის სახელით აშინებდნენ თურმე“. **დილარუ** ი **მულარუ** მინეშ! „დედები და მამები მათი!“ (პოეზ. მულახი 160, 15). შნრწლს **დელარუ** ი ლატლარ იჩომდახ (ბზ. ქრ. 116) „დოლაბებს ელელები და ლატალელები აკეთებდნენ“. ხწქგხ მელხარს, ერე ხოჩა **თოფარუგ** ესერ ლანდინენხ (ბზ., 22, 24) „უთხრეს მულახელებს, რომ კარგი თოფებიცა გვათხოვეთო“. **გაჩარუგ** **ესერ** ლახწგენხ (ბზ.- 22, 10) „დანებმც მაჩვენეთო“. **დელარუ** ი აცვარ ამბვიხ (ბზ. ქრ. 77) „ელელები და აცელები ამბობენ“.

როგორც ცნობილია, **-ა, -ე** ხმოვანფუძიანი სახელები ბალსქვემოურში **-ოლ** მრ. რიცხვის ნიშანს დაირთავენ. **-ოლ** სუფიქსის წარმომავლობის შესახებ ბალსქვემოურში, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის „მიღებულია **-ალ-უ** სუფიქსისაგან... **უ**-ს წინამავალი **ა** მიუმსგავსებია ნაწილობრივ, თვითონ კი დაკარგულა. **-ალ-უ > ოლ-უ > ოლ**. ამჟამად ბალსქვემოურში სახელებთან ბალსწემოური **-წლ**-ის შესაბამისად **-ოლ** იხმარება (**მარე** „კაცი“, **მარ-ოლ** „კაცები“). მაგრამ **უ** დაცულია ზოგ სიტყვაში **ხოჩ-ოლ-უ** „კარგები“, **ხოშ-ოლ-უ** „უფროსები“ (შარაძენიძე, 154, 201). გარდა ზემოთ დასახელებულ ზედსართავებისა **-ოლ** მრ. რიცხვის ნიშნის შემდეგ **-უ** ხშირად გვხვდება **-ე**ზე დაბოლოებულ სახელებთან: **მენხფე** „გამხდარი“, **მენხფ-ოლ-უ** „გამხდრები“; **მერმე** „მეორე“, **მერმ-ოლ-უ** „მეორეები“; **მაშენე** „ყველაზე დიდი“, **მაშენ-ოლ-უ** „ყველაზე დიდები“; **მეზგე** „მოსახლე“, **მეზგ-ოლ-უ** „მოსახლეები“.

მაგალითები ტექსტებიდან: „კრებათე ხომ — **ხოშოლუ** გაროვ ანჯადხ (ბქ. ქრ. 189). „კრებაზე მხოლოდ უფროს-უფროსები მოვიდნენო“. ეჩეჟი **ხოხ-**

¹ მ. სალიანის მიერ ჩაწერილ ტექსტში.

² თოფ-არ-უ-გ, გაჩ-არ-უ-გ სახელებში ბოლო **გ < უ** „მცა“ ნაწილაკია.

გროლო გარ აჩადხ (ბქ. 206, 10) „იმაზე მხოლოდ უმცროსები ავიდნენ“; **მე-როლო** მოვახდ ესგინე (ბქ. 340, 27) „მეორეები (სხვები) მოახლედ დაიყენა“.

-**უ** მრ. რიცხვის ნიშანი შეგვხვდა ბალსქვემოურ ტექსტებში **-იერ > ერ** სუფიქსის მომდევნოდ. **დგნერუჟი** ალიაზრი გუნ მეკვბად ხოგხ (ბქ. ქრ. 180). „დღესასწაულებზე ესენიც ძალიან ფრთხილად არიან (უდგანან)“. **დგნგერუჟი** ამკწლიბხ გუნ ხენთხლალ მუშგნი მარე (ბქ. ქრ. 180). „დღესასწაულებზე ასეთებს ძალიან ერიდება სვანი კაცი“.

ლახშურ დიალექტშიც დადასტურდა **-იერ/-იელ** სუფიქსის მომდევნოდ **-უ** მრ. რიცხვის ნიშანი. ათხე **აშხანაშიერუ** დაბარ სასაშარემ ლი (ლშხ. IV, 207, 22). „ახლა აშხანაშისეულები ყანები სასაშლებისაა“. ალ ლიცს დე ლცხეკვ **ღესგიერუ**...ხარ (ლშხ. IV, 203, 31) „ამ წყალს არც ტყიანი ნაპირები (გვერდები) აქვს“. ეჩქად გელგანარე ვარგალემ ლემარ ალ **შარიელუ** (ლშხ. IV, 203, 31). მანამდე გელოვანების თავადების ყოფილა შარისეულები“. (შარი-ტოპონიმი). **-უ** მრ. რიცხვის ნიშანი ლაშხურში შეგვხვდა კნინობითი — **ილ** სუფიქსის მომდევნოდ **დერხი** „ზოგი“ განუსაზღვ. ნაცვალსახელთან. ათხენი ედჟი ხორის **დერხილუს** (ლშხ. IV, 175, 2) „ახლაც ისე ჰყავთ ზოგიერთებს“ ...ნაპრალთე ამერჯინის **დერხილუ** (ლშხ. IV, 159, 7) „ჩიტებზე (ფრინველებზე ხმარობენ (იმარჯვებენ) ზოგნი“.

ლენტეხურ დიალექტში **-უ** სუფიქსი მრ. რიცხვის ნიშნის შემდეგ დადასტურდა მხოლოდ **ხოშა** „უფროსი“ და **ხორჟა** „უმცროსი“ ზედსართავ სახელებთან. ღვრის ღვაჟარ ი **ხორველუი** (ლნტ. 61, 38) „მიდიან კაცები და **უმცროსებიც**“. **ხოშელუნქა** მასმა (ლნტ. 92, 37) „უფროსებისგან მსმენია“. გუშკვე **ხოშელუ** ი მინე ამახვ“ (ლნტ. 93, 25) „ჩვენი უფროსები და მათი მტერი“. რაც შეეხება **ხოჩა** „კარგი“ და **ხოლა** „ცუდი“ ზედსართავებთან უბირატესად **ხოჩ-ნლ** „კარგები“, **ხოლ-ნლ** „ცუდები“ ფორმები გვხვდება, მაგრამ გამორიცხული არ არის, არც **ხოჩ-ელ-უ** „კარგები“ და **ხოლ-ელ-უ** „ცუდები“. საინტერესოა, რომ ეს ზედსართავი სახელები ლენტეხური დიალექტის მრ. რიცხვში **-უს** გარეშე **ხოშ-ელ**, **ხორჟ-ელ** ფორმით არ დასტურდება. **-ელ** გრძელი ხმოვნით მრ. რიცხვის ნიშნად გვაქვს ლაშხურში: **ხოშ-ელ** „უფროსები“, **ხოხრ-ელ** „უმცროსები“.

გ) ვ. თოფურია, როცა ეხება ნაზმნარ სახელთა წარმოებას სვანურში წერს: „**მა *ა** აფიქსიან სახელს ხშირად დაერთვის **-ი-ან**, **ი-ერ**... ბოლოსართების (შესატყვისი ბზ. **წარ** ლშხ. **-წარ**, ბქ., ლნტ. **-წარ** სუფიქსი“ თოფურია 1967, 227). ბალსქვემოურ დიალექტში „აბსტრაქტულ სახელებისაგან **-წარ**(-იან)-ით წარმოებულ ზედსართავებთან მრავლობითში **-უ** დაბოლოება იხმარება“ (შარაძენიძე 1954, 192). დავამატებთ, რომ ამ რიგის ზედსართავი სახელები ბალსქვემოურში, განსაკუთრებით ხშირად ბალსქვემოურში, შედარებით ნაკლებად ქვემოსვანურ დიალექტებში, მრ. რიცხვის წარმოების დროს **-უ** ნიშანს დაირთავენ.

მაგ.: ბზ. **მწიდ-წარ** „მწიერი“ ბზ. **მწიდ-წარ-უ**, ბქ. **მწიდ-წარ-უ**, ლშხ. **მწიდ-წარ-უ** ლნტ. **მწიდ-წარ-უ** „მწივრები“. ბზ. **მაფნ-წარ** „მწყურვალი“, ბზ., ლშხ. **მაფნ-წარ-უ**, ბქ. **მაფნოუ-წარ-უ** „მწყურვალეები“. ბზ. **მუცხუ-წარ** „მცივანა“, **მუცხუ-წარ-უ** „მცივანები“. ბზ. **მაჯუმ-წარ** „მადლიერი“, ბზ. **მაჯუმ-წარ-უ**, ბქ. **მაჯუმ-წარ-**

უ/-არ-უ „მადლიერები“. ბზ. **მწსგ-წრ** „მოძულე“, ბზ. **მწსგ-წრ-უ**, ბქ. **მწსგ-წრ-უ/-არ-უ** „მოძულეები“. ბზ. **მაშდმ-წრ** „მთვრალი“, ბზ. ლშხ. **მაშდმ-წრ-უ**, ბქ. **მაშდმ-წრ-უ/-არ-უ**, ლნტ. **მაშტმ-წრ-უ** „მთვრალეები“. ბზ. **მწზგ-წრ** „ავადმყოფი (ტკივილიანი)“, ბზ. **მწზგ-წრ-უ**, ბქ. **მწზგ-წრ-უ/-არ-უ**, ლშხ. **მწზგ-წრ-უ**, ლნტ. **მწზგ-წრ-უ** „ავადმყოფები (ტკივილიანები)“. ბზ. **მწბზ-წრ** „მაძლარი“, ბზ. **მწბზ-წრ-უ**, ბქ. **მწბზ-წრ-უ/-არ-უ**, ლშხ. **მწბზ-წრ-უ**, ლნტ. **მწბზ-წრ-უ** „მაძლრები“. ბზ. **წიდ-წრ** „ჭუჭყიანი“, ბზ. **წიდ-წრ-უ**, ბქ. **წიდ-წრ-უ/-არ-უ** „ჭუჭყიანები“. **მწზგწრუ** იბრწლხ (ლშხ. IV, 194, 21) „დაავადებულები ბანაობენ“. წვენას ითრეხ **კვეშმწზგწრუ** (ლშხ. IV, 240, 25). „წვენს სვამენ ხველებით ავადმყოფები (გრიპიანები)“.

არსებით სახელებთან, „ქონების აღმნიშვნელია აგრეთვე **-წრ**, **-წრ**, **-წრ** (დისიმილაციით **-წლ**, **-წლ**, **-წლ**) სუფიქსი (თოფურია 2008, 33), რომელიც ქართული **-იან** სუფიქსის ბადალია და მათ მომდევნოდ ყველა დიალექტში მეტ-ნაკლები სიხშირით მრ. რიცხვში **-უ** სუფიქსი იჩენს თავს.

ბზ. **მუჭუ-წრ** „რქიანი“, ბზ. ლშხ. **მუჭუ-წრ-უ**, ბქ. **მუჭ-წრ-უ/-არ-უ**, ლნტ. **მუჭგ-წრ-უ** „რქიანები“. ბზ. **ყუყუ-წრ** „ჩიყვიანი“, ბზ. **ყუყუ-წრ-უ** „ჩიყვიანები“. ბზ.; **ზგსყ-წრ** „რწყილიანი“, ბზ. ლშხ. **ზგსყ-წრ-უ** „რწყილიანები“. ბზ. **ტიშ-წრ-უ** „ტილიანი“ ბზ., ლშხ. **ტიშ-წრ-უ**, ბქ. **ტიშ-წრ-უ/-არ-უ** ლნტ. **ტიშ-წრ-უ** „ტილიანები“. ბზ. **ძაგუ-წრ** „ბეწვიანი, ბალნიანი“, ბზ., ლშხ. **ძაგუ-წრ-უ** ბქ. **ძაგუ-წრ-უ/-არ-უ** ლნტ. **ძაგუ-წრ-უ** „ბეწვიანები, ბალნიანები“.

აღნიშნული ფორმები შეგვხვდა სვანური ენის პროზაულ და პოეზიის გამოქვეყნებულ ტექსტებში. მინ **ტიშწრუ**, მინ **ზისყწრუ** (ლშხ. ქრ. 273) „თქვენ ტილიანები, თქვენ რწყილიანები“. ...ხეიდახ **ყუყუწრუ** (ლშხ. IV, 207, 20) „ურევიათ ჩიყვიანები“. მაგ **კიცწრუ** მეღურალე — „ყველა ცომიანები მეღურალეები“ (**მეღურა** ტოპონიმი). მაგ **მუჭგწრუ** ბუჭუმწრალ — „ყველა რქიანები ბუჭუსანები“ (პოეზ. ლშხ. 210, 65). ლექვა ჩოღურ მაგ **ყუყუწრუ** — „ქვემო ჩოღური ყველა ჩიყვიანები“ (პოეზ. ლშხ. 204, 16) მაგ **ბაჯგწრუ** ბექოშწრალ — „ყველა მცირეჩიყვიანები ბექოსანები“ (პოეზ. ლშხ. 212, 75). მულახურ ლექსში: „სვანეთის ანუ ბალის მგელი“, დადასტურდა ამგვარ ფორმებთან **-უ** მრ. რიცხვის ნიშანი. მაგ **ბწჯგწრუ** ნაკ ლატლარე — „ყველა მცირეჩიყვიანები (ტექსტშია მცირეჩიყვიანი) ვაკის ლატალელები“ (პოეზ. 221, 41).

მრ. რიცხვის **-უ** ნიშანი დაერთვის ყველა დიალექტში ისეთ არსებით სახელებს, მიმღობებს და ზედსართავებს, რომელთა ბოლოკიდურ პოზიციაში **-რ**, **-ლ** ს შემცველი სხვადასხვა ელემენტები არ გვხვდება.

მაგ.: **ღგწრუ** ოშვწა დო ორის (ბზ. ქრ. 18) „ცხენოსნები რამდენიც იქნებიან“. **ღღგგგწრუ**... ლეფგწრდწრ გარ წარა ლედენი (ბზ. ქრ. 88) „საწმინდაგიორგიებს (წმინდა გიორგის მლოცველებს?) სავაცეები გვყოლია დასაკლავი“. ხვიმდ წაღ **ღღგგგწრუ** (ბზ. ქრ. 88) „ვართ ჩვენ საწმინდაგიორგიები“. **კირკალღუ** კიცწწწა ლი მგწყ... (ბზ. ქრ. 118). „რგოლები ცომისაგან არის გამომცხვარი“. სგაღ ლოქგ **საბღუ** იმ ლალ ჭგწგდ? — „თქვე საწყლებო, რა გეფერხულებათ?“ (პოეზ. 104, ჩუბ. 29). ჩუქან უშგვლა **ღღღღღუ** ხოსგდის — „ქვემოთ უშგულის ამაყები უყურებენ (პოეზ. ხალდე, 178, 21). **წამწაღუ** (მანწა — „სვილი, ჭვავი“) გოწხილს ტიხეს — „წასვილარები (ყანები) კოწა-

ხურს აღმოაცენენ“ (პოეზ. მულახი, 195, 7). ლუსყვირ — **ლუქდუ**, ხოლა **ფერშუ** — „პრანჭია ამპარტავენები, ცუდი ფერისანი“ (პოეზ. მულახი, 227, 150). ხოჩა ფურალე **პატრონუ** (ლშხ. ქრ. 267) „კარგი ძროხების პატრონები“. ქასკვეჯნენ ქორს **მერდეუ** (ლნტ. 51, 29). „გამოასვენებენ სახლში მყოფები“.

ქონების აღსანიშნავად სვანურში გვაქვს ქართულიდან შესული **-იან** სუფიქსი. **თველიან** „ჭკვიანი“ (← თველ „ჭკუა“) (თოფურია 1967, 202, 248). ამ ტიპის ზედსართავ სახელებსაც ყველა დიალექტის მრ. რიცხვში, შეიძლება **-არ**, **-არ**, **-ალ**, **-ალ** ბოლოსართების პარალელურად **-უ** ნიშანი დაერთოს.

მაგ. ბზ. **ცოდლიან** „ცოდვილიანი“, ბზ. **ცოდლიან-უ** || **ცოდლიან-არ**, ბქ. **ცუედლიან-უ** || **-არ** „ცოდვილიანები“ ბზ. **მანლიან** „გაგებულო, ჭკვიანი“, **მანლიან-უ**, ლშხ. **მანლიან-უ**, ლნტ. **მანლიან-უ** „გაგებულები, ჭკვიანები“. ბზ. **კიმჭიან** „ზიზლიანი“, ბზ. **კიმჭიან-უ**, ლშხ. **კიმჭიან-უ** „ზიზლიანები“. ბზ. **თხამიან** „მურიანი“ (მდრ. გურ. **თხამლი** „ჩირქიანი“ ლლონტი 1984). ბზ., ლნტ. **თხამიან-უ**, ლშხ. **თხამიან-უ** „მურიანები“. ბზ. **ჭერყლიან** „ლორმუცელა, გაუმადლარი“ ბზ. **ჭერყლიანუ** ბქ. **ჭერყლიან-უ** ლშხ. **ერყანიან-უ** „ლორმუცელები, გაუმადღვრები“. უმხვარდ ხოლა **ჭერყლიანუ** ლიხ დექერდა (ბქ. 253, 15) „ერთმანეთზე ცუდი ლორმუცელები (გაუმადღვრები) არიან ორივე“. **მადლიანუს** ხოჩა ჭიშხ ესეროდ ოხვიდახ (ბქ. 75, 25) „**მადლიანებს** კარგი ფეხი მოეტანოთ“.

ბალსზემოურში „**-უ** გამოყენებულია **-ა-ე** სუფიქსიან ზედსართავებთანაც“ (შარაძენიძე 1954, 192). „**-ა-ე** ბქ. **-ა**. გამოხატავს მოყვარულს ან თვისების მქონეს, პროფესიას (თოფურია 2002, 247). ეგვევ დაბოლოება აქვს **-ა** სუფიქსიან II ჯგუფის აბსტრაქტულ სახელებს და უდრის **-ია**-თი ნაწარმოებ ქართულ ფორმებს: **ჯეფამ** „კბენია“... ეს წარმოქმნა ძალიან გავრცელებულია, ხშირად იგი ადამიანის, გვარის დაცინვას, შერქმეულ მეტსახელს აღნიშნავს. ამ ფორმის შემცველი სიმღერაა ცნობილი“ (თოფურია 2008, 30). „**ამ** ზოგჯერ ერთი მთლიანი მაწარმოებელია (ქართული კინობითის ან ქონების აღმნიშვნელი სუფიქსის ბადალი ხელობისა თუ რალაც საგნის მოყვარულის გამომხატველი, ქართ. **-იან**, **-ია**, **-ას** სემანტიკის შემცველი“ (ჩანტლაძე 1998, 44).

„ქონების სახელთა ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ნაწარმოებია **-ამ** სუფიქსით.“¹ (ჭუმბურიძე 2007, 67). **ამ** სუფიქსში საკუთრივ ქონების მაწარმოებლად შეიძლება გამოიყოს **-ა**, რომელიც საერთოა ქართულთან, **ი** კი წარმოშობით სახ. ბრუნვის ნიშანია“ (ჭუმბურიძე 2007, 68).

ბზ. **-ამ** სუფიქსის ბადალი ლაშხურში არის **-ამ**, ხოლო ლენტეხურსა და ბალსქვემოურში **-ამ** < (ამ¹საგან მიღებული).

როცა ვ. თოფურია ეხება მრ. რიცხვის ნიშანთა განაწილებას სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, აღნიშნავს, რომ: „**-უ** სისტემატურად მოეპოვება **-ამ** სუფიქსიან სახელებს: **ქუთორამ** „ქურდი“ **ქუთორა-უ** ქურდები“ (თოფურია 2008, 28).

აღნიშნული დაბოლოების მქონე ზედსართავებს და მიმღებებს ბალსზე-

¹ ივარაუდება ბალსზემოური დიალექტი ე. გ.

მოურში შეიძლება დაერთოს, როგორც **-არ**, **-აღ**, ისე **-უ** მრ. რიცხვის ნიშნე-ბი. ბალსქვემოურში ყოველთვის **-უ** დაბოლოება გვაქვს. დღევანდელ ქვემოსვანურში ის თითქმის არ გვხვდება. ის დასტურდება სვანური პოეზიის ზემოთ აღნიშნულ ლაშხურ ლექსში.

მაგ. ბზ. **გეფა** „კბენია“ ბზ. **გეფა-უ**, ბქ. **გეფა-უ** ბქ. **გეფა-უ/-ა-უ** „კბენიები“. ბზ. **გეჭა** „გამძლე“, ბზ. **გეჭა-უ**, ბქ. **გეჭა-უ/-ა-უ** „გამძლეები“, ბზ. **ჭაჭკია** „ჩასკვნილი“, ბზ. **ჭაჭკია-უ**, ბქ. **ჭაჭკია-უ/-ა-უ** „ჩასკვნილები“. ბზ. **წვლა** „მწივანა“, ბზ. **წვლა-უ**, ბქ. **წვლა-უ/-ა-უ** „მწივანები“. ბზ. **ჭათა** „წყველის მოყვარული“ ბზ. **ჭათა-უ**, ბქ. **ჭათა-უ/-ა-უ** „წყველის მოყვარულები“. ბქ. **ჭადა-უ/-ა-უ** „დიდმუცელები“. ომ. **ფისრაუ** ცხეკიმ ნადირ — „ო, წყეულ-ნო ტყის ნადირნო“ (პოეზ. მულახი, 164, 71). ჭინჭორაუ მაცხვარშარ — „წელიჭამიები მაცხვარიშლები“ (პოეზ. ლენჯ. 196, 5). **წაქაუ** ფეჩვარ, **ყიმბაუ** ენშარ — „შრატის მოყვარულნი ფეჩუანი, ძვლიჭამიები ენაშელები“ (პოეზ. ლენჯ. 196, 8). მაგ **ქაქაუ** მელურალე — ყველა ფაფიჭამიები მელურლები (პოეზ. ლშხ. 204, 3). ჟიბე წანაშ მაგ **ბანძაუ** — „ზემო წანაში ყველა ბანჯგვლიანები“¹ (პოეზ. ლშხ. 204, 21).

-აღ დიფთონგი სხვა შემხვევაში იშლება ორ კომპონენტად (ფუძისეული ან სუფიქსისეული **-ა** ხმოვანი + სახ. ბრუნვის **-ღ < ი** მორფემა), თუმცა ეს პროცესი ყოველთვის არ არის ადვილი ამოსაცნობი“ (ჩანტლაძე 1998, 44).

„-აღ-ზე დაბოლოებული სახელები სვანურში სხვაც ბევრია (სადაც ა ფუძის ბოლოკიდური ხმოვანია და არა ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი ჭუმბურიძე 2007, 68).

ბზ. **-აღ**, ბქ., ლნტ. **-აღ** ლშხ. **-აღ**ით დაბოლოებული არსებითი სახელები ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში **-უ**’ს არ დაირთავენ. ბალსქვემოურში შეიძლება შეგვხვდეს, როგორც **-უ**, ისე **-ოლ**. მრ. რიცხვის ნიშნები.

მაგ. ბქ. **მულჟუ** „ყვავილი“, **მულჟუ-უ** „ყვავილები“. **დაშნა** „ხანჯალი“, **დაშნა-უ** „ხანჯლები“. **წინდა** „წინდა“ **წინდა-უ/-ა-უ** „წინდები“. **სტინა** „ნათლია“, **სტინა-უ/-ა-უ** „ნათლიები“. **გურნა** „ქვასანაყი“, **გურნ-ოლ/გურნა-უ/-ა-უ** „ქვასანაყები“. **კაკერა** „კერა“, **კაკერა-უ** — „კერები“.

სავარაუდოა, რომ **-უ** მრ. რიცხვის ნიშნის გამოყენება სვანური ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე უფრო ხშირი უნდა ყოფილიყო. ერთი **-უ**’ს შემცველი სუფიქსის შესახებ თ. შარაძენიძე შენიშნავდა: „**-აღ**უ ფართოდ ყოფილა გამოყენებული ბალსქვემოურში“ (შარაძენიძე 1954, 201). **-უ** მრ. რიცხვის ნიშნის სიძველეს, მხარს უჭერს მისი შედარებით ხშირი ხმარება სვანურ პოეზიაში. სადაც, როგორც ცნობილია, ბევრი არქაული ფორმაა დაცული.

რაც შეეხება **-იან**უ მრ. რიცხვის ბოლოსართს, თ. შარაძენიძე წერს: „ბალსზემოურ დიალექტში **-იან**უ გვხვდება ორივე გვარის მიმღობასთან. ვნებ.: **ლუთვერ** „სწავლული“, მრ. **ლუთვერიან**უ. **ლეღანტ** „საყვარელი“, მრ. **ლეღლიან**უ. მოქ. **მუთვარი** „მასწავლებელი“, მრ. **მუთვარიან**უ. **მოღანტ** „მოყვარული“, მრ. **მოღლიან**უ.

ბალსზემოურ დიალექტში **-იან**უ’ს გვერდით მესტიურ ტექსტში შე-

¹ ტექსტშია **ბანძელები**.

გვხვდება **-იწდუ** და **-წდუ**, სადაც **-ი** დაკარგული ჩანს.

მასწარმებელი ხანდაზმული ნიშნე **გვარშიადუ** ქედუშერ ღვაჟურს (ბზ. ქრ. 67) „ძალიან ემუქრებოდნენ ჩვენი გვარისანები ქედუსანების კაცებს“. ვობაშინ ვედნის შვანთე მინე **გვარშიადვი** ლათართე (ბზ. ქრ. 70). „ხშირად მოდიან სვანეთში თავისი მოგვარეების (გვარისანების) გასაცნობად“. ეჩქას **ფუსწადუ** ხენჩედან ლაწენალს (ბზ. ქრ. 42): „მაშინ პატრონებიც ჩაერევიან დასახმარებლად“. ხაჭთებ... ჟელი **ფუსწადუ** (ბზ. 43, 1) — „წყევლიან... ძაღლის პატრონები“.

ორიოდე შემთხვევა **-ედუ** სუფიქსის გამოყენებისა მრ. რიცხვში, ბალსქვემოთ დიალექტშიც დადასტურდა: **ფუსდედუ** „პატრონები“, **მკოედუ** „მოკეთებები“.¹

ლაშხური დიალექტის შესახებ თ. შარაძენიძე აღნიშნავს: „**-იწდუ** ლაშხურში საერთოდ არ იხმარება“ (შარაძენიძე 1954, 197). ავტორი ვარსკვლავით აღადგენს ***-იწდუ** ფორმას და ვარაუდობს, რომ შეიძლება ბალსხემოთურ **-იწდუ** სუფიქსში **წ**, **წ**ს აბლაუტი იყო.

საყურადღებოა, რომ თ. შარაძენიძის მიერ ვარსკვლავით აღდგენილი მრ. რიცხვის ნიშნის **-იწდუ** ფორმა დადასტურდა ლაშხურსა და ლენტეხურში (ლენტ. **-იედუ** სიგრძის გარეშე).

მაგ.: ლაშხური **ბილიედუეი**... ენბინან ვოქრე ლიმშადე (ლშხ. IV, 204, 20) „ცხენისწყლის ნაპირებზე დაიწყო ოქროზე მუშაობა. „ამშადეხ ალ... **ბილიედუეი** (ლშხ. IV, 20, 15). „მუშაობენ ამ ნაპირებზე“. ლიპრისდოლჟი **ნადლიედუ** ი ნათიარ... ჩუ ლეწიწ ლიხ (ლშხ. ქრ. 237). „ნათლობაზე ნათესავები და ახლობლები დასაპატიჟებელია“. **ნადლიედუ** ი ფედან ლანხუბურალ (ლშხ. ქრ. 236). „ნათესავები და ახლო მოძმეები“. ჩუ უწმად დანს ცურეს დე აქმარელს დე იშვენ **ვეზიედუს** (ლშხ. IV, 278, 5). „დაუპატიჟებლად არავის ტოვებენ, არც მოყვრებს და არც სხვა კარგებს“. ლენტეხურ დიალექტშიც შეგვხვდა **-იედუ** მრ. რიცხვის ნიშანი **ვეზირ** — „ვეზირი“ სახელთან „მა ახოგონავან **ვეზიედუს** (ლენტ. ქრ. 342). „რა მოუგონონ ვეზირებს“. ლახატულე **ვეზიედუს** (ლენტ. ქრ. 342) „დაუძახა ვეზირებს“.

რიცხვის ნიშნებს შორის ვ. თოფურია ასახელებს **-ედუ** სუფიქსს და მოჰყავს მაგალითი **ფუსნ-ედუ** „პატრონები, ბატონები“. ჩვენ: მასალაში ბალსხემოთურისათვის დადასტურდა **-წდუ** < **იწდუ** დან.

„მრავლობითობის გამომხატველად მიიჩნევა **-არუ**, **-ედუ**, **-იწდუ** ერთეულებიც. მაგრამ ყველა მათგანში მრავლობითობის გამომხატველი მხოლოდ **-უ** სუფიქსია“ (ონიანი 1998, 102).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ღიად რჩება **-უ**სა და **-უ**თი წარმოებული მრავლობითი რიცხვის საკითხი (შარაძენიძე 154, 198). ძლიერ ბუნდოვანია **-უ**ს ადგილი ამ სისტემაში“ (იქვე).

სავარაუდოა, **-იწდუ/-იწდუ** და **-უ** სუფიქსები ერთმანეთს უკავშირდებოდეს. შეიძლება, არსებობდეს **-უ** მრ. რიცხვის ნიშნის მიღების შემდეგი გზა: ბზ. **-იწდუ** > **-წდუ** > **უ**; ლშხ. **-იწდუ** > **-ედუ** > **უ**.

¹ მასალა მოგვაწოდეს რ. ჭკალუამ და ქ. სუბარმა.

ლიტერატურა

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები, I, თბილისი.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი.

თოფურია 2008 — ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბილისი.

ონიანი 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

შარაძენიძე 1954 — თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში (ბალსზემოთური კილოს მიხედვით), იკე VI, თბილისი.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჭუმბურიძე 2007 — ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი) თბილისი.

ტექსტები

შანიძე, თოფურია, გუჯეჯიანი 1939 — ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანი, სვანური პოეზია, თბილისი.

შანიძე, თოფურია 1939 — ა. შანიძე, ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოთური კილო, თბილისი.

დავითიანი, ქალდანი, თოფურია 1957 — ა. დავითიანი, მ. ქალდანი, ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები II, ბალსქვემოთური კილო, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 1967 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური პროზაული ტექსტები III, ლენტეხური კილო.

შანიძე, ქალდანი, ჭუმბურიძე 1978 — ა. შანიძე, მ. ქალდანი, ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენის ქრესტომათია, თბილისი.

ონიანი, ქალდანი, ონიანი 1979 — არსენ ონიანი, მ. ქალდანი, ა. ონიანი, სვანური პროზაული ტექსტები IV, ლაშხური კილო, თბილისი.

ELISABED GAZDELIANI

On Some Plural Suffixes in Svan

S u m m a r y

According to scientific literature, in the Upper-Bal dialect of Svan **-u** and **-iãdu** suffixes are distinguished along with other plural formers.

These plural suffixes are attested in all dialects: UB **-iãdu**, Lashkh. **-iëdu**, Lent. **-iedu**. LB. **-edu**. Each of them are rarely used in the present Svan. A suffix **-u** is more often occurs in four dialects. This suffix forms plural mostly with the adjective denoting property.

It is assumed, that through simplifying of the suffix UB **-iãdu**, Lashkh. **-iedu**, we got **-u** (on one hand UB. **-iãdu** > **ãdu** > **u**; Lashkh. **iëdu**, Lent. **iedu** > LB **-edu** > **u**).

It can be assumed that on its turn, **-iãdu**, **iëdu** is connected with: **hãdur**, **hãdwir**, **hedur** US; **jadur**, **jedur**, **edur** Lashkh; **ʃ'edur** "whole, undamaged" lexeme. Its initial function can be the denoting of whole, each without exception; e. g. any: **laxatudex vezriedus** meant not only viziers (plural) but each, all vizires without exception (cf.: old Georgian **vezirani govelni** - "All vizires").

ლელა გიგლავიანი

მავნაშაველი სუფიქსი -ორ მებრუნში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პირველადი (ძირეული) ზმნები ლაზურსა და მეგრულში შედარებით ნაკლები რაოდენობით გვაქვს; გაცილებით მეტია ნასახელარი ზმნები (მარი 1910, 41; ყიფშიძე 1914, 053).

საერთო ფუძის მქონე ზმნასა და სახელს ერთმანეთისაგან ზმნაში წარმოდგენილი ქცევის, კაუზატივის, ვნებითი გვარისა და თემის ნიშნები განასხვავებს, მაგრამ ეს ნიშნები არ შეიძლება მივიჩნიოთ სახელის ფუძისაგან ზმნური ფუძის მაწარმოებელ აფიქსებად, რადგან ისინი სხვა ფუნქციებს ასრულებენ, ამასთან, არანასახელარ (პირველად) ზმნებშიც გვხვდებიან (შანიძე 1953; შდრ. თოფურია 2002).

ზმნურ ფუძეთა გარკვეულ ნაწილში მეგრულ-ლაზური (ზანური) ენის მეგრული დიალექტი წარმოაჩენს **-ორ** სუფიქსს, რომელიც, სათანადო სახელურ და ზმნურ ფუძეთა შედარების საფუძველზე, სინქრონიულ დონეზე შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელისაგან ზმნის მაწარმოებელი აფიქსი; **-ორ** სუფიქსიან ზმნათა რაოდენობა შეზღუდულია:

დიდი „დიდი“ — **ადიდორენს** „ადიდებს“ და **იდიდორებუ** „დიდდება“ (შდრ. პარალელურად ხმარებული ადიდენს „ადიდებს“ და **იდიდებუ** „დიდდება“).

ჭიჭე „პატარა“ — **აჭიჭორენს** „აპატარავებს“ და **იჭიჭორებუ** „პატარავდება“ (შდრ. შესაბამისად **აჭიჭენს** და **იჭიჭებუ**).

უჩა „შავი“ — **აუჩორენს** „აშავებს“ და **იუჩორებუ** „შავდება“ (შდრ. **აუჩენს** და **იუჩებუ**).

კუნტა „მოკლე“ — **აკუნტორენსთ** „ამოკლებს“ და **იკუნტორებუ** „მოკლდება“ (შდრ. **აკუნტენს** და **იკუნტებუ**).

ჩიჩიე „ცული, გლახაკი“ — **აჩიჩორენს** „აგლახაკებს“, **იჩიჩორებუ** „გლახაკდება“ (შდრ. **აჩიჩენს** და **იჩიჩებუ**).

თხითხუ „თხელი“ — **ათხითორენს** „ათხელებს“ და **ითხითხორებუ** „თხელდება“.

ტიბუ „თბილი“ — **ატიბორენს** „თბება“ და **იტბორებუ** „თბება“ (შდრ. **ოტიბუნს** და **ტიბუ**).

თუ ზმნის ფუძეში წარმოდგენილია **რ** ბგერა, მაშინ **-ორ** შეიძლება **-ოლ**-ში გადავიდეს (დისიმილაცია):

გირძე „გრძელი“ — **აგირძორენს** || **აგირძოლენს** „აგრძელებს“ და **იგირ-**

ძორებს || **იგირძილებუ** გრძელდება.

ჩხე „ცხელი“ — არჩხიორენს || არჩხიოლენს „აცხელებს“ და **ირჩხიორე-ბუ** || **ირჩხიოლებუ** „ცხელდება“.

ზემოთ განხილულ ყველა შემთხვევაში ზედსართავი სახელისაგან ზმნის წარმოებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც **-ორ** სუფიქსი ზმნას არსებითი სახელისაგან აწარმოებს:

წინდა „ჭუჭყი“ — **აწინდორენს** „აჭუჭყიანებს“ და **იწინდორებუ** „აჭუჭყიანდება“.

ჩქიჩქუ „ბავშვი“ — **ანქიჩქორენს** „აბავშვებს“ და **ინქიჩქორებუ** ბავშვდება, (გურ.) **ეჩქიჩქორებუ** (გული) უჩვილდება“.

ცუჭი „ყური“ — **ველცუჭორუანს** „ყურად არ იღებს“.

შესაძლებელია **-ორ** სუფიქსი რიცხვითი სახელისა და ნაცვალსახელისაგან ნაწარმოებ ზმნეებში შეგვხვდეს (მაგ., **სუმი** „სამი“ — **ასუმორენს** || **ასუმენს** „ასამებს“ და ჩქიმი „ჩემი“ — **ანქიმორენს** || **ანქიმენს** „ჩემად აქცევს“, ზედმიწ. „აჩემებს“, თუმცა ასეთი ფორმები ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს.

საყურადღებოა, რომ **-ორ** (-ოლ) სუფიქსიან ფორმათა პარალელურად ერთსა და იმავე ფუძეებთან შეიძლება შეგვხვდეს **-არ**, **-ალ** და **-ელ** სუფიქსები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ როგორც **-ორ**-ის ფონეტიკურ ვარიანტებს.

- აუჩორენს** || **აუჩარენს** „აშავებს“
- აკუნტორენს** || **აკუნტარენს** „ამოკლებს“
- ადიდორენს** || **ადიდარენს** „ადიდებს“
- აწინდორენს** || **აწინდარენს** „აჭუჭყიანებს“
- აჭიჭორენს** || **აჭიჭარენს** „აბატარავებს“
- აჭიფორენს** || **აჭიფარენს** „აწვრილებს“
- არჩიოლენს** || **არჩიალენს** || **არჩიელენს** „ათეთრებს“.

ფეჭკრობთ, **-არ** სუფიქსი თავდაპირველად ა-ზე დაბოლოებულ სახელურ ფუძეთაგან (**უჩა**, **კუნტა**, **წინდა**... ნაწარმოებ ზმნურ ფუძეებში უნდა გაჩენილიყო და შემდეგ ანალოგიით სხვა ფუძეებში გავრცელებულიყო (შემდეგ სათანადო პოზიციაში: **-არ** → **-ალ**).

რაც შეეხება **-ელ**-ს, რომელიც წარმოდგენილია **არჩიელენს** ფორმაში, ის **-ალ**-ისაგან უნდა იყოს მიღებული მომდევნო **-ე**-ს გავლენით: **არჩიალენს** > **არჩიელენს** (რეგრესიული ასიმილაცია).

ცალკე უნდა განვიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც ასევე **-არ** || **-ორ** სუფიქსიანი წარმოება გვაქვს, მაგრამ ის, ზემოთგანხილულთაგან განსხვავებით, სხვა წარმოშობისად მიიჩნევა:

- ჭითა** „წითელი“ — **აჭითარენს** „აწითლებს“ და **იჭითარებუ** „წითლდება“.
- შხუ** „მსხვილი“ — **აშხუარენს** „ამსხვილებს“ და **იშხუარებუ** „მსხვილდება“.
- ჭიფე** „წვრილი“ — **აჭიჭარენს** „აწვრილებს“ და **იჭიჭარებუ** „წვრილდება“.

ამ ზმნეებში გამოვლენილი სუფიქსური ელემენტი სპეციალურ ლიტერატურაში განხილულია როგორც ზმნაში შემონახული სახელის ფუძის უძველესი მაწარმოებელი — დეტერმინანტი-სუფიქსი (ჩიქობავა 1938, 231; 232, 235; ჩიქობავა 1942, 37, 39). ფუძის დეტერმინანტად მიიჩნევს კ. დანელია **იფვი-**

თარებუ „ყვითლდება“ წარმოდგენილ -არ-საც (დანელია 1976, 17).

ოთხივე ზმნაში (აჭითარენს, აშხუარენს, აჭიფარენს, აყვითარენს...) -არ-ის პარალელურად იხმარება -ორ-იც (**აჭითორენს, აშხუორენს, აჭიფორენს, აყვითორენს...**) ფაქტობრივ, სინქრონიული თვალსაზრისით წარმოშობით დეტერმინანტი — სუფიქსი სახელისაგან ზმნის მაწარმოებელ მოქმედ სუფიქსს უტოლდება.

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: იმის გათვალისწინებით, რომ -ორ სუფიქსი (მისი ფონეტიკური ვარიანტებითურთ) ზ მ ნ უ რ ფ უ ძ ე ს ს ა ხ ე ლ უ რ ი ს ა გ ა ნ გ ა ნ ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ს, ამასთან, ის მოიპოვება ზმნის სხვადასხვა ფორმებში — როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ, როგორც მოქმედებითი ისე ვნებითი გვარის ზმნებში, სათავისო, სასხვისო და ნეიტრალური ვერსიის ფორმებში (მაგ., **აუჩორენს** „აშავებს“, იუჩარენს „იშავებს“, უუჩარენს „უშავებს“), არაკაუზატიურ და კაუზატიურ ზმნებში (მაგ., **აკუნტორენს** „ამოკლებს, **ოკუნტორაფუანს** „ამოკლებინებს“), გადაწყვება ზმნას სხვადასხვა დროსა და კილოში (მაგ., **აჭიჭორენს** „აბატარავებს“ **დაჭიჭორუ** „დააბატარავა“, **დუჭიჭორებუ** „დაუბატარავებია“, **დაჭიჭორას** „დააბატარავოს“, **დაჭიჭორი!** „დააბატარავე...“), მას შეიძლება მ ა ზ მ ნ ა ვ ე ბ ე ლ ი ს უ ფ ი ქ ს ი ეწოდოს.

ლიტერატურა

დანელია 1976 — კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში. — თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბილისი.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში. — შრომები, ტ. II, თბილისი.

მარი 1910 — Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Петербург.

ყიფშიძე 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

შანიძე 1953 — ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თბილისი.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

LELA GIGLEMIANI

A Noun-Verbilizing Suffix *-or* in Megrelian

Summary

In Megrelian-Laz (similar with Georgian) usually nominal stems are differ from the verbal stems formed from it by the markers of voice, version, causative and theme. But in the Megrelian dialects there are cases, when in the verbal stems, differently from nominal ones, **-or** suffix is represented: **didi** 'big' - **adidorens** 'makes it big', **ididoreme** 'It is became big', **çiçe** 'small' - **ažižorens** 'makes it small', **ižižorebu** - 'It is become small'; **çita** 'red' - **açitorens** 'makes it red', **içitorebu** 'It is become red'; **uça** 'black' - **uçorens** 'makes it black', **iuçorebu** 'It is become black'; **kuṇṭa** 'short' - **aṇṭorebs** 'makes it short', **iṇṭorebu** 'It is become short' and many others.

We think, the mentioned **-or** suffix can be called a noun-verbilizing suffix.

გიორგი გოგოლაშვილი

ქართული, როგორც სახელმწიფო ენა

პირველი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასასრულს — ქართლის სამეფო. ამ სამეფოს პირველი მეფე იყო ფარნავაზი, რომელიც მოღვაწეობს IV ს-ის დასასრულსა და III ს-ის I ნახევარში (ქსე, X, 1986, 232, 466). ლეონტი მროველის, XI ს-ის მემათიანის, ცნობით, ფარნავაზის დამსახურებაა ის, რომ ქართული ენა იქცა პირველი ქართული სახელმწიფოს სახელმწიფო ენად (დღევანდელი გაგებით). მემათიანე წერს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. **ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუნიერ ქართლისა:** და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ლეონტი მროველი 1955, 26). ამ ცნობას ქართული დამწერლობის შექმნის თაობაზე ასეც განმარტავენ: მანამდე არსებული ქართული დამწერლობა ფარნავაზმა სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადა (პატარიძე 1980).

ფარნავაზისდროინდელი ქართლი საქართველოს გულისხმობს: ფარნავაზმა „ჩაატარა სახელმწიფო რეფორმა — ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად (მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ვერისისა და შიდა ქართლის“ (ქსე, X, 232).

მართალია, მომდევნო საუკუნეებში ტერიტორიული მთლიანობა საქართველოსი დაირღვა, მაგრამ ენობრივი მთლიანობა შენარჩუნებული იქნა. X საუკუნეში საქართველო რამდენიმე სამეფო-სამთავროდ იყო დაშლილი, მაგრამ ამ პერიოდის მწერალი გიორგი მერჩულე წერს: „ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე 1960, გვ. 186). რეალობა ასეთია: **დაშლილი სახელმწიფო, მაგრამ ერთიანი „სახელმწიფო ენა“.** აქ ერთი მომენტიცაა არსებითი: ქართული ენა არის გააზრებული საქართველოს ეროვნული მთლიანობის ნიშნად... ასე იყო ეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების ეპოქაშიც და მაშინაც, როცა საქართველო პოლიტიკურად დაშლილი და დაქუცმაცებული იყო.

ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქცია არ მოშლილა და არ შეზღუდულა მაშინაც კი, როცა საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყანა განიცდიდა გარეშე მტრის ძლიერ პოლიტიკურ ზეგავლენას. გავიხსენოთ არაბების, მონღოლების, სპარსელების, ოსმალების მიერ საქართველოს მთლიანი თუ ნაწილობრივი ანექსიის ფაქტები. ქართული ენა რჩებოდა საქართველოს ოფიციალურ ენად საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ასე იყო XIX საუკუნემდე.

ქართული ენის სახელმწიფოებრივ ფუნქციას საფრთხე შეექმნა XIX საუკუნეში. სწორედ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა: რუსეთმა მოახდინა მისი სრული ანექსია; საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. იგი გახდა რუსეთის ნაწილი (დასავლეთ საქართველო ქუთაისის გუბერნიად იქცა, აღმოსავლეთ საქართველო — თბილისის გუბერნიად; თბილისი კავკასიის მთავარმმართველის (შემდგომში მეფისნაცვლის) რეზიდენციად გამოცხადდა. საქართველოში ოფიციალური (საქმისწარმოების, განათლების, სასამართლოს, ლეთისმსახურების...) ენას რუსული ენა წარმოადგენდა... ვიშორებთ: **ფარნავაზიდან მოყოლებული (ძვ. წ. IV-III საუკუნეები) ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართული ენა საქართველოს ტერიტორიაზე კარგავს სახელმწიფო ენის სტატუსს.** და ეს პერიოდი (ე. ი. როცა საქართველოში ქართულ ენას ჩამოერთვა სახელმწიფოებრივი ფუნქცია) თითქმის ერთი საუკუნე გაგრძელდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ფართომასშტაბიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საქართველოში ქართული ენისათვის თავისი კუთვნილი ადგილის დაბრუნება; რუსული ენის მიერ წართმეული ფუნქციონირების სფეროს აღდგენა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპის დასაწყისად ითვლება ილია ჭავჭავაძის წერილის — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედ“ — გამოქვეყნება 1861 წელს. რა იყო ილია ჭავჭავაძის მთავარი თეზისი: „სამი ლთაებრივი საუნჯე დავგრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?!“ (ილია 1958, გვ. 26).

სწორედ XIX საუკუნის II ნახევარში იწყება ქართული ენის მიერ დაკარგული სივრცის დაბრუნება: მთელ ქვეყანაში გაიხსნა ორ- და ოთხკლასიანი ქართული სამრევლო სკოლები, აღდგა ქართული თეატრი, გამოვიდა ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები...

1918 წლის იანვარში ქართული უნივერსიტეტის გახსნამ ქართული ენა აქცია სამეცნიერო ენად...

და ეს გზა — ქართული ენის მიერ სახელმწიფო ენის სტატუსის მოპოვებისა — დასრულდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წ. 26 მაისი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიღებული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

კონსტიტუციის I თავის მე-3 მუხლი:

„საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (საქ. კონსტიტუცია, 1921, გვ. 5).

ეს არის ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში **პირველი კონსტიტუცია** და **პირველი საკონსტიტუციო ჩანაწერი სახელმწიფო ენის შესახებ.**

სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოსა და მის კონსტიტუციას დიდი დღე არ ეწერა: როგორც ვთქვით, კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერ-

ვალს მიიღეს; ოთხ დღეში, 25 თებერვალს, რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა...

შეიქმნა **საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა**. ახლადშექმნილი საქ. სსრ-ის კონსტიტუცია მიღებული იქნა 1922 წელს. **ქართულს სახელმწიფო ენად** ეს კონსტიტუცია აცხადებს:

„თავი II. მუხლი 6.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა. ყველა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა რეზიდენციად — ქ. ტფილისი“ (აქტები 1983, 74).

აქ ყურადღებას მივაქცევთ სიტყვას **ითვლება**. ეს არ არის კონსტიტუციის ენა: ჩვეულებრივ წერენ: „სახელმწიფო ენა არის“. აქ წერია: „სახელმწიფო ენად ითვლება“. ვფიქრობთ, აქ მინიშნება უნდა იყოს სწორედ წინა კონსტიტუციაზე; ასევე სიტყვა **ითვლება** იგულისხმება დედაქალაქთან დაკავშირებულ ამ მუხლშიც. გააზრება ასეთი უნდა იყოს: დედაქალაქი იყო და იქნება თბილისი; სახელმწიფო ენა იყო და იქნება ქართული.

რა გვაძლევს ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს?

ბოლშევიკური ხელისუფლება თავიანთი კონსტიტუციის მიღებამდე საუბრობს ქართულ ენაზე, როგორც სახელმწიფო ენაზე. ჩვენ ხელთა გვაქვს **რევკომის** ერთი ასეთი **ბრძანება**: „**სახელმწიფო ენა საქართველოში**“. ბრძანება გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ ბოლშევიკური კონსტიტუციის მიღებამდე. მივიყვანთ ამ საინტერესო დოკუმენტის სრულ ტექსტს:

„მიუხედავად რევკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკად აასრულოს ეს ბრძანება. ქალაქ თბილისში მაინც იჩინეს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ: იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთი დაწესებულებიდან.

რევკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად არსულებულ იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია მშრომელთა უფლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა.

უკანასკნელ დროს, გამოჩნდნენ პროვოკატორები, რომლებიც შლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

რევკომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვოკაციული მოქმედებისათვის, რომელიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკად იქნებიან დასჯილნი“. ბრძანებულება გამოქვეყნდა 1922 წლის მარტის ბოლოს „კომუნისტის“ მე-11 ნომერში (აქტები 1983, 70).

ასე რომ, კონსტიტუციის მიღებამდე ბოლშევიკები საუბრობდნენ ქარ-

თულის, როგორც სახელმწიფო ენის, შესახებ და, რაც მთავარია, ძალიან მკაცრ ღონისძიებებს ატარებენ მის დასაცავად.

თავად ეს ნორმა — ქართული არის სახელმწიფო ენა — მომდევნო კონსტიტუციებშიც აისახა.

1927 წლის „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია“. თავი I. მუხლი 10:

„საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (აქტები 1983, 102).

1937 წლის „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია“. თავი XIII. მუხლი 156:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული“ (აქტები 1983, 159).

ამ კონსტიტუციაში 157-ე და 158-ე მუხლები განმარტავს: „კანონები და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქებისათვის ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე“ (აქტები 1983, 159). ეს 157-ე მუხლია. მომდევნო (158-ე) მუხლში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის კანონებზე და აქტებზე არის საუბარი — „ქვეყნდება ავტონომიურ რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე და ქართულ ენაზე“.

ეს კონსტიტუცია აღმოჩნდება ყველაზე დღევანდელი საბჭოთა საქართველოში. 1978 წელს გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუციის პროექტი. ამ პროექტში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 57-ე წელს კომუნისტური ხელისუფლება ცდილობს **გააუქმოს ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1978 წ. პროექტი. თავი VII. მუხლი 75:

„საქართველოს სსრ რესპუბლიკა **უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას** სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის“ (აქტები 1983, 192).

ჩანაწერი — „უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას“ — ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული არის სახელმწიფო ენა. იგი გათანაბრებულია საქართველოში არსებულ სხვა ენებთან. 75-ე მუხლის მეორე აბზაცში ვკითხულობთ: „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, **უზრუნველყოფილია** ყველა იმ ორგანოსა და დაწესებულებაში **რუსული, აგრეთვე სხვა ენების თავისუფალი ხმარება**, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“ (იქვე). და საგანგაშო დასკვნითი ნაწილი ამ მუხლისა: „**რამე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება**“ (იქვე).

ასე რომ, კონსტიტუციის პროექტის მიხედვით ქართულს ერთმეოდა სახელმწიფო ენის სტატუსი და **იგი უთანაბრდებოდა საქართველოში არსებულ სხვა ენებს.** ერთიც, **რუსული** „სხვა ენებისაგან“ განსხვავებულადაა წარმოდგენილი.

საქართველოში არსებულ სხვა ენებზე ყურადღება წინა კონსტიტუციაშიც იყო გამახვილებული.

დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციაში ეროვნული უმცირესობის ენების შესახებ საგანგებოდ არის მსჯელობა მე-4 თავის 129-ე მუხლში: „არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება, სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე“ (საქ. კონსტიტუცია 1992, 35).

ვფიქრობთ, აქ საინტერესოდ არის განსაზღვრული ეროვნულ უმცირესობათა ენების ფუნქციები:

ა) სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება,

ბ) განათლების სფერო და

გ) ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

პირველი ბოლშევიკური კონსტიტუცია (1922 წ.) ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ შენიშვნას აკეთებს:

თავი II. მუხლი 6. „**შენიშვნა:** ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“ (აქტები, 1983, გვ. 74).

როგორც ვხედავთ, ეს კონსტიტუცია ახდენს ეროვნულ უმცირესობათა ენების ფუნქციის ამაღლებას — „საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“ მათი გამოყენების დაკანონებას.

მომდევნო კონსტიტუციაში (1927, 1937) არსობრივად იგივე მეორდება, არის მხოლოდ რედაქციული სხვაობა; მაგალითად: 1937 წლის კონსტიტუცია: „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მოსახლე ნაციონალურ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებაში“ (აქტები, 1983, გვ. 159).

როგორც ვხედავთ, რუსული ამ კონსტიტუციებში (1922, 1927, 1937 წწ.) სხვა ენათა გვერდითაა და არაა გამორჩეული. ეს მოხდა მხოლოდ 1978 წლის კონსტიტუციაში: **ქართული, რუსული და სხვა ენები...**

ეს იყო იმ ეროვნული და ენობრივი პოლიტიკის გამოვლენა, როცა ენა არ მიეკუთვნებოდა არც უცხო ენებს, არც „სხვა ენებს“, იყო **რუსული ენა**. სასწავლო პროგრამების შედგენისას საუბრობდნენ **ქართულის, რუსულისა და უცხო ენების** შესახებ. უცხო ენებად მოიაზრებოდა ევროპული ენები. სხვათაშორის, როცა ქართულ სკოლებში შემოიღეს აღმოსავლურ ენათა (არაბული, სპარსული...) სწავლება, ენათა დიფერენცირება ასეთი იყო:

ქართული ენა (მშობლიური ენა),

რუსული ენა,

უცხო ენები (ევროპული ენები),

აღმოსავლური ენები...

იყო მცდელობა, რუსული ენისათვის **მეორე მშობლიური ენა** ეწოდებინათ. აი, ამგვარი ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკა იყო საქართველოში, როცა 1978 წელს შემოგვთავაზეს კონსტიტუციის ის ვარიანტი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორც ჩანს, ეს იყო სტანდარტული ვარიანტი, რომელიც ყველა (14-ვე) მოკავშირე რესპუბლიკას შესთავაზეს. ოღონდ აქ ერთი არსებითი სხვაობაა, მოკავშირე რესპუბლიკების წინა კონსტიტუციებში (რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი) სახელმწიფო ენა არ იყო გამოკვეთილი. ეროვნულ უმცირესობებზე საუბრისას რუსული არ გამოიყოფოდა 1978 წლამდე. მაგრამ გერბის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერში გამოჩნდება **რუსული ენა**. 1922 და 1927 წლების კონსტიტუციებში გერბზე სამენოვანი წარწერაა:

1922 წ. — მუხლი 133, „დისკოს გარშემო მოთავსებულია წარწერა სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და ფრანგულად: პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ (აქტები 1983, 95).

1927 წ. — მუხლი 112: „არეს გარშემო მოთავსებულია ქართული, რუსული და ფრანგული წარწერა...“ (აქტები 1883, 124).

1937 წ. კონსტიტუციუმი წარწერა ორენოვანია: მუხლი 159: „არეს გარშემო მოთავსებულია წარწერა ორ ენაზე — ქართულსა და რუსულზე...“ (აქტები 1983, 159).

1978 წლის კონსტიტუციის პროექტით შემოთავაზებული ვარიანტი **იყო მცდელობა ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევისა**.

ქართული საზოგადოება მზად აღმოჩნდა ამ შემოთავაზებისათვის: არ მიიღო. მეტიც, ამკარად და მკვეთრად დაუპირისპირდა.

საკმაოდ ხანგრძლივი საჯარო განხილვა მოეწყო კონსტიტუციის პროექტისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი და მწერალთა კავშირი იყვნენ მოთავენი ამ განხილვებისა. სტუდენტი-ახალგაზრდობა ჩაერთო აქტიურად და 1978 წლის 14 აპრილს, როცა დაინიშნა ამ პროექტის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში, მოეწყო გრანდიოზული მასობრივი დემონტრაცია. დემონტრანტები დაიძრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და მიადგნენ საკანონმდებლო ორგანოს.

ხალხის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო: საბჭოთა იმპერიამ უკან დაიხია. კონსტიტუციის პროექტში წარმოდგენილი 75-ე მუხლი შეიცვალა და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს, რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ (აქტები 1983, 268).

ქართული ენა კვლავ დარჩა საქართველოს სახელმწიფო ენად. მაგრამ ამ შესწორების შემდეგ 75-ე მუხლის მესამე აბზაცი წინააღმდეგობრივი გამოვიდა: „რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“; გაუგებარია: როცა არსებობს სახელმწიფო ენა, ცხადია, მას აქვს პრივილეგია და სხვა ენის უფლებები მასთან შედარებით შეზღუდულია. თუმცა ეს დეტალია. მთავარი მაინც რეალური ვითარება იყო: საბჭოთა კონსტიტუციას ერთი დიდი უბედურება სჭირდა: ფურცელზე ყველაფერი თითქოს კარგად ეწერა, სინამდვილეში სხვა ვითარება იყო; ვთქვათ: ეწერა, საბჭოთა მოქალაქეს აქვს სიტყვის თავისუფლება... ასე იყო სახელმწიფო ენის შემთხვევაშიც. იყო სფეროები, სადაც სახელმწიფო ენა, მარტივად რომ ვთქვათ, გამოდევნილი იყო; მაგალითად, უმაღლეს პარტიულ ორგანოში სამუშაო ენა იყო რუსული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომები რუსულად მიმდინარეობდა, მისი დოკუმენტაციაც რუსული იყო; ერთაშორისი ურთიერთობის ენა საქართველოში რუსული ენა იყო... მოკლედ: ქართული ენა არის სახელმწიფო ენა — დომინანტური ენა; რუსული ენა — ჰიპერდომინანტური ენა...

1978 წლის 14-მა აპრილმა, როგორც ჩანს, ხელისუფლება ჩააფიქრა და ამ თარიღის წლისთავზე, 1979 წლის 10 აპრილს, მიღებული იქნა საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება **„რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“**. ცნობა დადგენილების მიღების თაობაზე გამოქვეყნდა 12 აპრილს („კომუნისტი“, № 85, 1979), ხოლო დადგენილების ვრცელი მიმოხილვა გამოხმაურებებითურთ — მომდევნო დღეს („კომუნისტი“, № 86, 1979). წერდნენ: „ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება რესპუბლიკის ყოველმა მოქალაქემ უნდა აღიქვას, როგორც **საქმედ ქცევა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსისა**“ („კომუნისტი“, № 86, 1979).

ეს დადგენილება არ ეხებოდა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას; აქ მსჯელობა იყო სადისერტაციო ნაშრომთა რუსულად თარგმნის დაფინანსებაზე, გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა ჩართვაზე ამ საქმეში; „რესპუბლიკური ყურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ სისტემურად გამოაქვეყნონ მასალები და პრაქტიკაში დაწერონ მიზნობრივი გადაცემები ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებზე“ და სხვა.

როგორც ვხედავთ: კონკრეტული დავალებები მიეცათ ცალკეულ უწყებებსა თუ დაწესებულებებს.

რამდენადაც უცნაურად უნდა ჟღერდეს, საბჭოთა ხელისუფლება ქართულზე, როგორც სახელმწიფო ენაზე, აქტიურ ზრუნვას განაგრძობს: 1983 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ახალი დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების და შესწავლის სრულყოფის, ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. დადებითი შედეგი ამ დადგენილებებს აშკარად ჰქონდა; თუნდაც ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში „ყველა ფაკულტეტსა და ყველა სპეციალობაზე“ შემოდებულ იქნა ქართული ენისა და ქართული მეტყველების კულტურის კურსი და სხვა...

ცოტა მოგვიანებით ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაშინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით შემუშავდა და 1988 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა (გაზეთი „კომუნისტი“) **ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის** პროექტი. პროექტის განხილვამ 9 თვეს გასტანა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამამ პროექტის გამოქვეყნებისთანავე დაიწყო მუშაობა (მხედველობაში გვაქვს უწყებრივი რუსული დოკუმენტაციის გაქართულება, არაქართველთათვის ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფების გახსნა და მისთანანი)...

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს, გამოქვეყნდა 25 აგვისტოს.

მთავრობის დადგენილებაში ეწერა: „...2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი და დროული შესრულება. 3. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის ვადაში დაამუშაოს და წარუდგინოს საქართველოს მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩვენებით“ („კომუნისტი“, 25 აგვისტო: 1989).

ამ პროგრამას იმიტომ მივაქცევთ ასეთ ყურადღებას, რომ **ის არის გამოხატულება ქართულზე, როგორც სახელმწიფო ენაზე, ზრუნვისა**. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა უაღრესად სერიოზული დოკუმენტი იყო. ფაქტობრივ, **ეს იყო მცდელობა სახელმწიფო ენის სტატუსის უზრუნველყოფისა**. მოვიყვან ამ პროგრამის I თავს, რომელსაც ჰქვია „**ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი**“:

„1. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, უზრუნველყოფა, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

2. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს ქართული ენის ფუნქციონირებასა და სიწმინდის დაცვას; შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად.

4. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ქართული ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის საზედამხედველო და საკონსულტაციო კომისიების შექმნა.

5. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის (მათ შორის — სადისერტაციო ნაშრომების) შექმნისა და გამოცემის ორგანიზაცია.

6. რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა (ფინანსური და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა) ყველა დაწესებულებასა და საწარმოში.

7. „ქართული ენის დღის“ დაწესება (ამ დღეს შეჯამდება, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში, გამოიცემა ერთდროული გაზეთი „დედაენა“).

ეს პირველი თავია პროგრამისა. სულ ათი თავისაგან შედგებოდა. გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყველა სფერო. ყველა პუნქტს ჰყავდა შემსრულებელი და მაკონტროლებელი (ჩვეულებრივ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭო, მეცნიერებათა აკადემია...).

ვფიქრობთ, ქართულის, **როგორც სახელმწიფო ენის, შესახებ ზრუნვის სერიოზული გამოხატულება იყო ამ პროგრამის მიღება**. სამწუხაროდ, პროგრამამ დიდხანს ვერ იციოცხლა — გაჰყვა საბჭოთა ხელისუფლებას...

1994-95 წლებში იყო მცდელობა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გადამუშავებისა და აღდგენისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა...

1991 წელს საქართველომ აღიდგინა ეროვნული დამოუკიდებლობა.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული იქნა დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

კონსტიტუციის მე-8 მუხლი: „**საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა; აფხაზეთში აგრეთვე აფხაზური**“.

კონსტიტუციაში არ არის საუბარი, განსხვავებით წინა კონსტიტუციებისაგან, ეროვნულ უმცირესობათა (და სხვათა) ენების შესახებ. ივარაუდებოდა, რომ უნდა შემუშავებულიყო კანონი ენის შესახებ.

მომზადდა კიდევ ამ კანონის პროექტი, მაგრამ ამას წინ უძღოდა 1995 წ. ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა. კომისია შეიქმნა იმჟამად სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის 1995 წლის 27 იანვრის განკარგულებით. ეს იყო ახალი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ენის წინაშე გამოხატული ზრუნვის პირველი მაგალითი. ამ ფაქტს წინ უძღოდა 1994 წლის ოქტომბერში ბ. ჯორბენაძის საზოგადოების მიერ პრესითა და რადიოტელევიზიით გავრცელებული განცხადება; რომელშიც საუბარი იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ და მოუწოდებდა ხელისუფლებას, განეცოცხლებინა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. საპასუხოდ დაიბეჭდა მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის წერი-

ლი: „პრესაში გამოქვეყნდა ბ. ჯორბენაძის საზოგადოების გამგეობის განცხადება, რომ ბოლო წლებში საქართველოში მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დავიწყებას მიეცა და საჭიროა იგი დაუყოვნებლივ ამოქმედდეს...“ („თბილისი“, 4 ნოემბერი, 1994 წ.).

1995 წლის 27 იანვარს გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის განკარგულება: „უკანანსკნელი 5-6 წლის განმავლობაში ფაქტობრივად არ მოქმედებს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რაც დღევანდელ პირობებში არსებითად აფერხებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრებას, მის შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ შესწავლას.“

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განახლდეს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის თავმჯდომარეობით...“.

ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის მთავარი მიზანი იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, პრობლემების მოგვარება. სწორედ ამ კომისიის სხდომებზე განიხილებოდა „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ 1999-2003 წლებში. რამდენიმე ვარიანტი შემუშავდა. ყველა ვარიანტში კანონპროექტის **პირველი მუხლის პირველი პუნქტი** ასეთი იყო: „**ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ენის სტატუსს**, ადგენს მისი გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს სახელმწიფო და სხვა (არასახელმწიფო) ენების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს“. აქვე მე-4 მუხლში განსაზღვრული იყო **სახელმწიფო ენა და არასახელმწიფო ენა**:

„ა) **სახელმწიფო ენა არის** ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული ენა, რომელიც ისტორიული ტრადიციის შესაბამისად წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების, ქვეყნის მოქალაქეთა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან ურთიერთობის ძირითად საშუალებას.“

ბ) **არასახელმწიფო ენა** ამ კანონის მიხედვით ნიშნავს ნებისმიერ სხვა ენას, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები პირად ცხოვრებაში და საჯაროდ (გარდა საქართველოს სახელმწიფო ენისა და საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, საკუთარი დამწერლობის არმქონე იმ ენებისა, რომლებიც მხოლოდ საქართველოს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას შეადგენენ)“.

ამ კანონპროექტში ასეთი პუნქტიც იყო: „არასახელმწიფო ენების გამოყენება თავისუფალია, თუ ამით არ იზღუდება სახელმწიფო ენის კანონით დადგენილი სტატუსი“ (მუხლი 6, პუნქტი 5).

პროექტის განხილვისას განსაკუთრებით პრობლემებს ქმნიდა არასახელმწიფო ენების გაგება, ენათა დიფერენცირება, მიმართება უცხოური ენებისა და არასახელმწიფო ენებისა... განსაკუთრებით პრობლემური იყო ქართველური

თუ არასამწერლობო კავკასიური ენების გაცემა და მისთანანი. რამდენიმე წლის მანძილზე რომ არ მოხერხდა ამ კანონპროექტის მიღება, ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა.

კანონის ბოლო ვარიანტის (2002 წ.) განხილვისას განსაკუთრებით პრობლემური გახდა მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები. ფაქტობრივ, ამ დოკუმენტის მიხედვით, ოფიციალური საქმისწარმოების ენა ქართულია, მის გვერდით ეს ფუნქცია შეიძლება იკისროს ნებისმიერმა არასახელმწიფო ენამ:

„5. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო — **საკრებულო — უფლებამოსილია** მისი სრული შემადგენლობის უმრავლესობით **მიიღოს გადაწყვეტილება** ამ კანონით დადგენილი წესით საკრებულოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში, **სახელმწიფო ენასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობისათვის გასაგები სხვა ენის გამოყენების შესახებ.**

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ:

ა) **ჩაატარონ სხდომები** და სხვა ზეპირი მოსმენები შესაბამის **არასახელმწიფო ენაზე**;

ბ) საკრებულოს იურისდიქციის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ფიზიკურ პირთან **ზეპირი ანკა წერილობითი ფორმით** ოფიციალური ურთიერთობა დაამყარონ შესაბამის **არასახელმწიფო ენაზე**.

გ) შეიდა სარგებლობის საქმისწარმოება განახორციელონ და შეიდა სარგებლობის **დოკუმენტაცია შეადგინონ შესაბამის არასახელმწიფო ენაზე**.

დ) სხვა სახის საქმისწარმოების მასალები და დოკუმენტაცია, რომელიც არ არის მითითებული ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში, სახელმწიფო ენაზე შედგენის შემდეგ თარგმნონ და გამოიყენონ შესაბამის არასახელმწიფო ენაზე“ (ხაზგასმა ჩვენია).

ასე რომ, ამ კანონპროექტით საქართველოს ტერიტორიაზე უფლება ეძლევათ სახელმწიფო ენის ნაცვლად ოფიციალურად გამოიყენონ არასახელმწიფო ენა; ფაქტობრივ **სახელმწიფო ენის უფლება იზღუდება; მის ფუნქციას იტვირთავდა არასახელმწიფო ენა!**

ცხადია, ვითარებას არ ამსუბუქებდა მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან არასახელმწიფო ენაზე შესრულებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია თარგმნონ სახელმწიფო ენაზე.

განხილვის დროს აღინიშნა, რომ მე-12 მუხლის აღნიშნული პუნქტები **არა მარტო არაკონსტიტუციური, არაეროვნულიც იყო.**

კანონპროექტის განხილვა პარლამენტში გაგრძელდა. საჯაროდ გამოთქმული სერიოზული შენიშვნების გამო პარლამენტმა მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. დასკვნა უარყოფითი იყო. გაკეთდა არაერთი პრინციპული შენიშვნა. საბოლოო აზრი ასე ჩამოყალიბდა: **„პარლამენტში შესული კანონპროექტი „საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ“ ჭერ ძალიან შორს არის ასეთი პარამეტრებისგან. ამიტომ იგი სერიოზულად უნდა**

გადაისინჯოს ყოველგვარი აჩქარებისა და უცხო ფაქტორების ზეგავლენის გარეშე.

იქამდე კი ჩვენ გვაქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ... და ისიც საკმარისია ქართული ენის ღირსეულად მოვლისათვის.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ სახელმწიფო ენის შესახებ კანონის წინააღმდეგი ვართ. კანონი ენის შესახებ აუცილებლად საჭიროა, მაგრამ არა ასეთი. ამ დასკვნის საფუძველზე პარლამენტმა შეწყვიტა კანონპროექტის განხილვა.

ქართული ენა კონსტიტუციურად სახელმწიფო ენად რჩება, თუმცა მისი კონსტიტუციური სტატუსის განხორციელებას მრავალი პრობლემა ექმნება დღევანდელ საქართველოში. არის რეგიონები — აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ჯავახეთი, ქვემო ქართლის დიდი ნაწილი — სადაც ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ფაქტობრივად, ვერ ფუნქციონირებს.

პრობლემას ქმნის ისიც, რომ 1995 წელს შექმნილი ქართული ენის სახელმწიფო კომისია 2004 წლიდან აღარ ფუნქციონირებს.

1997 წელს შეიქმნა სახელმწიფო ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენის „აღმასრულებელი სამსახური“... 2004 წელს სახელმწიფო ენის სახელმწიფო პალატა დაიხურა, მიზეზი არცთუ ნათელია...

1995 წელს პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. არსებობდა სერიოზული დასაბუთება ამგვარი ქვეკომიტეტის არსებობის აუცილებლობისა. ბოლო ორი მოწვევის პარლამენტში ეს ქვეკომიტეტი აღარაა.

გარკვეული პრობლემები არის სახელმწიფო ენის გამოყენების თვალსაზრისით განათლების სფეროში; რეკლამის ენის თაობაზე და სხვა... ყოველივე ეს ერთ ფაქტზე მიანიშნებს: **მოქმედი კონსტიტუციის მხოლოდ მე-8 მუხლის არსებობა სახელმწიფო ენის პრობლემას ვერ მოაგვარებს.** უპირველეს ყოვლისა, **საჭიროა ადდგეს სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისია**, რომელიც შეიმუშავებს სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკას; რომლის წყალობითაც სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ენებს საქართველოში ყურადღება არ მოაკლდება.

ლიტერატურა

აქტები 1983 — საქართველოს კონსტიტუციური აქტების კრებული (1921 — 1978), თბილისი.

გიორგი მერჩულე 1960 — გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება: ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბილისი.

„თბილისი“ — ყოველდღიური გაზეთი „თბილისი“.

ილია 1958 — ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. III, თბილისი.

„კომუნისტი“ — ყოველდღიური გაზეთი „კომუნისტი“.

ლეონტი მროველი 1955 — ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველ მეფეთა: ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი.

პატარიძე 1980 — რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი.

საქ. კონსტიტუცია 1992 — საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, თბილისი.

ქსე, X, 1986 — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბილისი.

GIORGI GOGOLASHVILI

Georgian as a State Language

S u m m a r y

Since the time when the first Georgian state was founded (4th-3rd c.c. B.C.), Georgian as a state language (with the present interpretation) has been functioning incessantly till the 19th century.

In 1801 when Russia annexed Georgia, the Georgian language lost a state status. Only in the 20th c., in 1918 Georgian restored judicially its state language status.

The article deals with the fact, how a constitutional status of Georgian was defined in which constitution of Georgia in the 20th c., how its realization was assisted and what problems arose during realization of a constitutional status of the language in different times.

ტარიელ ბურბანიძე

ინკლუზივი-ექსკლუზივის კატეგორია ქართულურ ენებში

ინკლუზივი-ექსკლუზივის (resp. **in/ex**) კატეგორია სხვადასხვანაირად განისაზღვრება. **in/ex**-ის კატეგორიის წარმოშობის და რიცხვის კატეგორიასთან მისი მიმართების შესახებ სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოთქმული განსხვავებული თვალსაზრისები მიმოხილული გვაქვს ჩვენს ბოლოდროინდელ ნაშრომში (გურგენიძე 2009: 32-37), რომელშიც მხოლოდ ავტორთა გვარების დასახელებით შემოვიფარგლეთ. წინამდებარე სტატიაში აღარ გავიმეორებთ ამ ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებებს; სამაგიეროდ, იქ დასახელებულ ავტორთა ჩვენს მიერ მითითებული ნაშრომების დასათაურებები სრულად შევა ამ სტატიის ბოლოს დართული ლიტერატურის სიაში: (ასათიანი 1994), (ახმანოვა 1966), (ბენვენისტი 1974), (გურგენიძე 1984), (გურგენიძე 1999), (გურგენიძე 2006), (თოფურია 1967), (კლიმოვი 1981), (ლაიონზი 1978), (ლომთათიძე 1961), (მარუზო 1960), (მელიქიშვილი 1977), (მელჩუკი 1988), (ონიანი 1978), (სოკოლოვსკაია 1980), (ფორსჰაიმერი 1953), (შანიძე, 1973), (შანიძე 1976), (ჩიქოვაძე 1975), (ჩიქოვაძე 1939), (ჩიქოვაძე 1946). ზოგიერთ მათგანს ამ სტატიაშიც დავუბრუნდებით.

ქართველურ ენებში **in/ex**-ის კატეგორია ასეა წარმოდგენილი: თანამედროვე ქართულსა და მეგრულ-ჭანურში **in/ex**-ის კატეგორია არ გამოიხატება. თანამედროვე სვანურში **in/ex**-ის კატეგორია მორფოლოგიურად გამოხატულია ზმნურ სისტემაში (ქვემოსვანურის ობიექტური პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ზმნური ფორმების გამოკლებით). ეს დაპირისპირება თავს იჩენს აგრეთვე სვანური ენის კუთვნილებით ნაცვალსახელთა სისტემაში. ძველ ქართულში გვხვდება ზმნურ ფორმათა დაპირისპირების შემთხვევები, რომლებსაც შეიძლება მიეცეს **in/ex**-ის კვალიფიკაცია.

ა. შანიძის განსაზღვრით „ინკლუზიურ ფორმაში ჩართულია მე-2 პირი და ამორთულია მე-3, ხოლო ექსკლუზიურში ჩართულია მე-3 პირი და ამორთულია მე-2“ (შანიძე 1976: 65). „ინკლუზივის“ ა. შანიძისეულ განსაზღვრაში არ რჩება ადგილი იმ კომბინაციებისთვის, რომლებშიც პირველ და მეორე პირთან შესაძლებელია მესამე პირიც იყოს გაერთიანებული. ანალოგიური შენიშვნა გვაქვს სხვა ავტორების მიმართაც: (მარუზო 1960: 122), (ახმანოვა 1966: 173), (ასათიანი 1994: 42), (თოფურია 1967: 2), (გამყრელიძე, კიკნაძე, შალური, შენგელაია 2003: 216).

არნ. ჩიქოვაძეს განმარტებით „თუ „ჩვენ“ გამორიცხავს მეორე პირს, მას ეწოდება **ექსკლუზივი** (ლათინ. „გამორიცხვითი“), თუ მეორე პირს არ გამორიცხავს, **ინკლუზივს** ეტყვიან („ინკლუზივი“ — „ჩარიცხვითი“)“ (ჩიქოვაძე 1939: 140). უ. ჩიქოვაძის განსაზღვრით „ინკლუზივი არის ორი ან უფრო მეტი

პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შეიცავს, სულ ცოტა, მოლაპარაკესა და მსმენელს მაინც“ (ჩეიფი 1975: 315). ა. ონიანის აზრით „ინკლუზივის ფორმაში მესამე პირის მონაწილეობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასში შემავალი მეორე პირის მრავლობითი რიცხვი შეიძლება აერთიანებდეს III პირსაც, როდესაც ის არის არა ჩვეულებრივი, არამედ **დაახლოებითი მრავლობითი**“ (ონიანი 1978: 214). ვფიქრობთ, აჯობებდა ეხმარა ტერმინი — **მიახლოებითი მრავლობითი**. დ. მელიქიშვილის განმარტებით „ინკლუზივის ფორმაში I პირთან ერთად აღსანიშნი II პირიცაა. ინკლუზივის კატეგორია I პირთან ერთად აუცილებლად ჩარიცხავს II პირსაც, III პირი კი შეიძლება იგულისხმებოდეს, შეიძლება არა. ამგვარად, III პირის არსებობა ორივე ფორმაშია შესაძლებელი — ინკლუზიურშიც და ექსკლუზიურშიც“ (მელიქიშვილი 1977: 162). „ინკლუზივის“ ამგვარი განსაზღვრებები, ვფიქრობთ, უფრო სრულია, ვიდრე ზემოთ განხილულ ავტორთა განსაზღვრებები.

თითქმის ყველა ავტორი ჯერ „ინკლუზივს“ განსაზღვრავს, შემდეგ კი — „ექსკლუზივს“. არნ. ჩიქობავა კი ჯერ „ექსკლუზივს“ განსაზღვრავს, ხოლო შემდეგ — „ინკლუზივს“. თანაც, განსხვავებულადაა განსაზღვრული „ინკლუზივი“: თუ „ჩვენ“ არ გამორიცხავს მეორე პირს, მაშინ მას ეწოდება „ინკლუზივი“ — „ჩარიცხვითი“ (ჩიქობავა 1939: 140). განსახილველ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობა ასეთია:


ინკლუზივი < ლათ. **includo** („ჩაერთავ“, „ჩავრიცხავ“);

ექსკლუზივი < ლათ. **excludo** („გამოვრიცხავ“).


ტერმინ „ინკლუზივის“ თავდაპირველი მნიშვნელობა არნ. ჩიქობავასთან თითქოსდა მიჩქმალულია, რადგანაც აქ არ არის საუბარი მეორე პირის აუცილებელ ჩართვაზე „ჩვენ“ სიტყვით გამოხატულ სიმრავლეში. თუმცა შედეგი ადეკვატურია რეალური ვითარებისა.

თუ **A** სიმბოლოთი აღვნიშნავთ „ჩვენ“ სიტყვით გამოხატულ სიმრავლეს, მაშინ **ინკლუზიური** და **ექსკლუზიური** გამოყენება პირველი პირის მრავლობითი რიცხვისა აღვნიშნავთ შესაბამისად **Ain** და **Aex** სიმბოლოებით.

თუ **A** სიმრავლის ელემენტებში მეორე პირის **ჩართვის** თვისებას აღვნიშნავთ **x**-ით, გვექნება:



ხოლო თუკი **A** სიმრავლის ელემენტებში მეორე პირის **გამორიცხვის** თვისებას აღვნიშნავთ **y**-ით, გვექნება:



x და **y** თვისებები ერთმანეთის უარყოფას წარმოადგენენ: $+\mathbf{x} = -\mathbf{y}$, $-\mathbf{x} = +\mathbf{y}$.

როგორც ვხედავთ, არნ. ჩიქობავამ, სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, **in/ex**-ის დასახასიათებლად გამოიყენა **y** თვისება, ხოლო დანარჩენ ავტორებთან ამ მიზნით გამოყენებულია **x** თვისება. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ არნ.

ჩიქობავა ჯერ „ექსკლუზივის“ განმარტავს, შემდეგ კი — „ინკლუზივის“. შედეგი ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

მხოლოდითი (resp. მრავლობითი) რიცხვის I, II, და III პირის ნაცვალსახელებს აღვნიშნავთ შესაბამისად **a, b** და **c** (resp. **A, B** და **C**) სიმბოლოებით. თუ რაიმე **F** სიმრავლის ელემენტები სახელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში დგას, ამას პირობით აღვნიშნავთ შესაბამისად **(X)F, (Z)F** და **(Y)F** სიმბოლოებით. მაგალითად, **(X)A** აღნიშნავს იმას, რომ **A** სირავლის ელემენტები სახელობით ბრუნვაში დგას; **Y(A)** ნიშნავს, რომ **A** სიმრავლის ელემენტები მიცემით ბრუნვაში დგას; ხოლო **Z(A)** კი ნიშნავს, რომ **A** სიმრავლის ელემენტები მოთხრობით ბრუნვაში დგას. სულ გვექნება 18 შემთხვევა:

(X)a	(Z)a	(Y)a	(X)A	(Z)A	(Y)A
(X)b	(Z)b	(Y)b	(X)B	(Z)B	(Y)B
(X)c	(Z)c	(Y)c	(X)C	(Z)C	(Y)C

განვიხილოთ სვანური ენის მაგალითები:

- ხუ-ათური** „ვასწავლი (მე)“; **(X)a** (resp. **S₁**);
- ხუ-ათური-დ** „ვასწავლით (მე და ის||ისინი)“; **(X)Aex** (resp. **Sex**);
- ლ-ათური-დ** „ვასწავლით (მე და შენ||თქვენ)“; **(X)Ain** (resp. **Sin**).

ამ შემთხვევაში I პირი სახელობით ბრუნვაში დგას.

როცა I პირი მიცემით ბრუნვაშია, გვექნება:

- მ-ათური** „მასწავლის (მე)“; **(Y)a** (resp. **O₁**);
- ნ-ათური** „გვასწავლის (მე და მას||მათ)“; **(Y)Aex** (resp. **Oex**);
- გუ-ათური** „გვასწავლის (მე და შენ||თქვენ)“; **(Y)Ain** (resp. **Oin**).

სახელობით ბრუნვაში მდგარი მრავლობითი რიცხვის I პირი **in/ex**-ს განსხვავებული ფორმებით წარმოგვიდგენს სვანური ენის ყველა დიალექტში. რაც შეეხება მიცემით ბრუნვაში მდგარ მრავლობითი რიცხის I პირს, **in/ex** განსხვავებული ფორმებით მხოლოდ ზემოსვანურშია გამოხატული (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ დიალექტებში), ხოლო ქვემოსვანურში (ლაშხურში და ლენტეხურში) მხოლოდ ერთი ფორმაა წარმოდგენილი. ეს არის **გუ**- პრეფიქსიანი ფორმა.

ძველი ქართული ენის მაგალითები ასეთია:

- გან-მ-აძლიერ-ა** (მე); **(X)a** (resp. **O₁**);
- გან-მ-აძლიერ-ნ-ა** (მე და ის||ისინი); **(X)Aex** (resp. **Oex**);
- გან-გუ-აძლიერ-ნ-ა** (მე და შენ||თქვენ); **(X)Ain** (resp. **Oin**).

I პირი ამ შემთხვევაში სახელობით ბრუნვაში დგას.

როცა I პირი მიცემით ბრუნვაშია, გვექნება:

- მ-აქუს** (მე); **(Y)a** (resp. **O₁**);
- მ-აქუს** (მე და მას||მათ); **(Y)Aex** (resp. **Oex**);
- გუ-აქუს** (მე და შენ||თქვენ); **(Y)Ain** (resp. **Oin**).

არცერთი ქართველური ენა არ განასხვავებს **in/ex**-ს პირის ნაცვალსახელთა სისტემაში. მხოლოდ სვანური ენის მრავლობითი რიცხვის I პირის კუთვნილებით ნაცვალსახელშია წარმოდგენილი ეს ოპოზიცია:

- ნ-ი-შგუჲ-მ** „ჩვენი (ჩემი და მისი || მათი)“; **ex-** (ექსკლუზივი);
- გუ-[ი]-შგუჲ-მ** „ჩვენი (ჩემი და შენი || თქვენი)“; **in-** (ინკლუზივი);

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევის ნიშან-კვალი ძველ ქართულშია შემონახული (ობიექტურ პირებში). ახალმა ქართულმა ამისი არა იცის რა“. „მრავლობით რიცხვში სვანური ოთხ პირს არჩევს: პირველს **ინკლუზიურს**, პირველს **ექსკლუზიურს**, მეორეს და მესამეს (შანიძე 1973: 169). „ჩვენ“ სიტყვის გაგება შეიძლება ორნაირი იყოს: ინკლუზიური და ექსკლუზიური (შანიძე 1973: 41). იგი ვარაუდობს, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია საერთო-ქართველურია (შანიძე 1923-1924: 373-374), (შანიძე 1926: 335).

გ. დეეტერსის ვარაუდით **in/ex**-ის კატეგორია საერთო-ქართველურია, მაგრამ შემორჩენილია მხოლოდ სვანურში (დეეტერსი 1930: 27, 34). კ. დონდუასათვის სადავო არ არის ის, რომ **in/ex**-ის კატეგორია საერთო-ქართველურია, მისი კვალი ძველ ქართულშიც არის შემორჩენილი (დონდუა 1967: 275-296). გ. კლიმოვი ***გვ**-ს საერთო-ქართველურ საფეხურზე აღადგენს და შესაძლებლად მიიჩნევს იმას, რომ მისი უძველესი ფუნქცია (ინკლუზიურობა) შემონახული იყოს სვანურში (კლიმოვი 1965: 60).

ა. ონიანმა **/ხჟ/** პრეფიქსი სვანურში მიიჩნია ერთ განუყოფელ მორფოლოგიურ ოდენობად მისი არსებობის მთელ მანძილზე და ასეთი ჰიპოთეზა წამოაყენა: პირველი სავალდებულო პირის მორფემის საერთო-ქართველური არქექტივი **/*ხჟ/** უნდა იყოს (ონიანი 1978: 158-159). პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსისათვის ამოსავლად **/ხჟ/** მორფემა მიაჩნია აგრეთვე გ. კლიმოვს (კლიმოვი 1965: 225). ნ. მარი სუბიექტური პირველი პირის ამოსავალ ფორმანტად **ჰუ-** აფიქსს ვარაუდობს, რომელიც, მისი აზრით, სვანურმა შემოგვინახა **ხჟ-**ს სახით (მარი 1914: 22-23).

თ. გამყრელიძეს შემოაქვს ქართული ზმნის „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პირნციპი, რომლის შესაბამისად ზმნასთან დაკავშირებულ აქტანტთა პოტენციურად შესაძლებელ პრეფიქსულ ნიშანთაგან ზმნურ ფორმაში აქტუალურად გამოვლინდება მხოლოდ ერთი ნიშანი. პრექართულისათვის იგი ვარაუდობს პრეფიქსული მონოპერსონალიზმის შესაბამის ზმნურ სტრუქტურას პირველი სუბიექტური პირის **/S₁/** → ***ხჟ-** მარკერით (გამყრელიძე 1979: 46, 49).

ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით **ხ-ჟ** მიმდევრობა უნდა დაიშალოს **ხ-** და **ჟ** სეგმენტებად, რომელთაც შემდგომ სხვადასხვანაირი კვალიფიკაცია ეძლევა. ზოგი მკვლევარი **ხ-**ს ევფონიურ, ფონეტიკურ დანართად მიიჩნევს: (ბოპი 1847: 28), (ჩიქობავა 1946: 123), (მელიქიშვილი 1977: 163). დანარჩენები კი თვლიან, რომ **ხ-** სხვა წარმოშობისაა: (შუხართი 1895: 48), (თოფურია 1967: 7-8), (სუხიშვილი 1980: 58), (მაჭავარიანი 1986: 170). ამ მკვლევართა ერთი ნაწილი **ხ-ჟ** მიმდევრობისათვის ამოსავლად მიიჩნევს **ჟ-ხ** მიმდევრობას, ხოლო მეორე ნაწილი კი თვლის, რომ **ხ-ჟ** მიმდევრობა ამოსავალ ვითარებას ასახავს.

მ. სუხიშვილის აზრით, ამოსავალი **ჟ-ხ** (resp. **S₁O₃^o**) მიმდევრობა ფონოლოგიური სისტემის გავლენით შეიცვალა **ხ-ჟ** (resp. **O₃^oS₁**) მიმდევრობით, რამაც გამოიწვია პირის აფიქსთა რანგობრივი სტრუქტურის შეცვლა; ხოლო შემდეგ სვანურში **/ხჟ/** გააზრებულ იქნა სუბიექტური პირველი პირის ალომორფად (სუხიშვილი 1980: 58-59). ნ. მაჭავარიანის ვარაუდით **O₃+S₁** მიმდევ-

რობა მეტათეზისის შედეგად კი არ არის მიღებული, არამედ ნაშთია ძველად მოქმედი იმ გრამატიკული მოვლენისა, როცა გვართა მიხედვით ნეიტრალურ-ფუძიანი ზმნა ობიექტის კლასსა და სუბიექტის პირს გამოხატავდა (მაჭავარიანი 1986: 170).

in/ex შეიძლება გარჩეული იყოს როგორც ცალკე ზმნურ სისტემაში, ასევე ცალკე — ნაცვალსახელურ სისტემაში; ეს ოპოზიცია შესაძლებელია ერთდროულად წარმოდგენილი იყოს ზმნურ და ნაცვალსახელურ სტრუქტურებში. ჩვეულებრივ, ზმნურ სისტემაში აისახება სახელის (**resp.** ნაცვალსახელის) თვისებები: პირი, რიცხვი, კლასი... თუ ზმნაში აისახება რომელიმე ამ თვისებათაგანი, მაშინ, ბუნებრივია, სახელში (**resp.** ნაცვალსახელში) ეძებონ იმავე თვისების გამოვლენის კვალი. მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგალითად, არსებით სახელებში გრამატიკული კლასის კატეგორიის კვალის ძიება ხშირად უშედეგოდ მთავრდება. ანალოგიური სიტუაცია ივარაუდება **in/ex**-ის დროსაც. ზმნაში ამ კატეგორიის გამოვლენის შემთხვევაში, ბუნებრივია, ეძებონ მისი კვალი ნაცვალსახელურ სისტემაში; კერძოდ, პირის ნაცვალსახელებში.

თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმები საერთო-ქართველურში წარმოდგენილი იყო ***ნა** და ***ჩ-ჴე-ნ[ა]** ნაცვალსახელების სახით. ამათგან ***ნა** შერჩა მხოლოდ სვანურს, ხოლო ***ჩ-ჴე-ნ[ა]** ფორმა, რომლის კვალი სვანურში **გუ-შგჴე-მ || ნ-იშგჴე-მ** ფორმებში ჩანს, მხოლოდ ქართულმა და ზანურმა შემოინახა; ...; პარალელური ფორმების არსებობა მხოლოდ მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელში ბუნებრივად წარმოშობს საკითხს ამ ფორმებში მრავლობითობის ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტების ოდინდელი გარჩევისა ქართველურ ნაცვალსახელში; ...; ამათგან ***ჩ-ჴე-ნ[ა]** ფორმა ინკლუზიური უნდა ყოფილიყო, ხოლო ***ნა** ფორმა — ექსკლუზიური. არნ. ჩიქობავას დებულებებზე დაყრდნობით თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ პირის ნაცვალსახელში **in/ex**-ის კატეგორიის მოშლამ სვანურში საპირისპირო მოვლენა გამოიწვია: **in/ex**-ის კატეგორიის ჩამოყალიბება ზმნის სისტემაში, რის წყალობითაც ენაში ერთგვარი სტრუქტურული წონასწორობა დამყარდა. ამგვარი გარჩევა სვანური ზმნის სისტემაში შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართველურ ზმნაში პირის კატეგორია ჩამოყალიბდა და ისტორიულად არსებული კლას-კატეგორიათა ექსპონენტები რეინტერპრეტირებულ იქნენ როგორც პირის ნიშნები. პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის **მ-ი-შგჴე-ი** „ჩემი“ და **გუ-შგჴე-მ || ნ-ი-შგჴე-მ** „ჩვენი“ ფორმები გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც ზმნის სისტემაში მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების გარჩევა ჩამოყალიბდა (გამყრელიძე 1959: 45-50); ანუ, გამოდის, რომ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ინკლუზიური **გუ-შგჴე-მ** და ექსკლუზიური **ნ-ი-შგჴე-მ** ფორმები გვიანდელი წარმონაქმნია. თუმცა, თეორიულად არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ საერთო-ქართველურშივე **in/ex**-ის კატეგორია ერთდროულად წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც ნაცვალსახელურ სისტემაში (პირის და კუთვნილებით ნაცვალსახელებში), ასევე — ზმნურ სისტემაშიც.

ა. ონიანი ვარაუდობს პირის კატეგორიის არსებობას წინარექართველურ ზმნაში. ამიტომ, მისი აზრით, ინკლუზივ-ექსკლუზივი, რომლის არსებობაც თ. გამყრელიძემ ივარაუდა პირის ნაცვალსახელურ სისტემაში, ზმნის სისტემაშიც გარჩეული უნდა ყოფილიყო (ონიანი, 1965: 232).

ვ. თოფურიას მიაჩნია, რომ ინკლუზივი და ექსკლუზივი საერთო სვანური მოვლენაა. ქვემოსვანურმა დაკარგა ე. წ. ობიექტური პირველი პირის აღმნიშვნელი **ნ**-პრეფიქსი. ამან გამოიწვია **in~ex** ოპოზიციის მოშლა ქვემოსვანურის ობიექტურ პირველ პირში. მისი აზრით, „ინკლუზივ-ექსკლუზივი საერთო ენის, პრექართულის კუთვნილებაა“ (თოფურია 1967: 25-26).

თ. მეტრეველი იზიარებს ა. შანიძის ვარაუდს, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, რომელიც დღესაც მოქმედებს სვანურში, საერთო-ქართველური კატეგორია უნდა ყოფილიყო. მან დეტალურად გააანალიზა ძველი ქართული ენის ცალკეული ძეგლების მონაცემები, გაითვალისწინა რა ქართული ზმნის სტრუქტურა; კერძოდ, მისი უნარი, გამოხატოს თავისი ფორმით როგორც სუბიექტური პირი, ისევე ობიექტური პირიც (პირებიც): მრავლობით რიცხვში მდგარ 1-ლ ობიექტურ პირთან სუბიექტად შეიძლება გვექნოდეს მე-2 ან მე-3 პირი. სუბიექტურ მე-2 პირთან ობიექტის მრავლობითობა შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ 1-ლ და მე-3 ობიექტურ პირთა ურთიერთობას. ასეთ შემთხვევაში ფორმა, ცხადია, ექსკლუზიური შინაარსის იქნება, რადგან მე-2 პირი ობიექტის მრავლობითიდან გამორიცხულად იგულისხმება. მაგრამ თუ სუბიექტი მე-3 პირია, მაშინ ობიექტის მრავლობითში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც 1-ლი და მე-2 პირის ურთიერთობა, ისევე 1-ლი და მე-3 პირის ურთიერთობაც, ე. ი. ფორმა შეიძლება იყოს როგორც ინკლუზიური შინაარსისა, ისევე ექსკლუზიურისაც. ზემოთ აღნიშნულ პირთა შესაძლებელი კომბინაციების გათვალისწინებით **გუ**- და **მ**-პრეფიქსიან ფორმებს ავტორი აპრიორად მიიჩნევს ძველი ქართულის ადრეულ ეტაპზე მოქმედი ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ნაშთად (მითუმეტეს, რომ **გუ**-პრეფიქსიანი ფორმები ძველ ქართულში საერთოდ არ დასტურდება მხოლოდითი რიცხვის მნიშვნელობით). ენობრივი მასალის ანალიზის შემდეგ თ. მეტრეველი დაასკვნის, რომ ძველი ქართული ენის ცალკეულ ძეგლებში აშკარად ჩანს ნაშთის სახით შემორჩენილი ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალი (მეტრეველი 1980: 175-176, 190).

ვ. თოფურია სვანური ენის მაგალითებს ასე აანალიზებს:

Sex **ხუ** — **-დ**; **Oex** **ნ**;
Sin **ლ** — **-დ**; **Oin** **გუ**;

ლ- I და II პირის მაჩვენებელია, **-დ** კი — მრავლობითობისა; **Oin**-ის ნიშანია **გუ**, ხოლო **Oex**-ისა — **ნ** (თოფურია 1967: 1-2, 15).

სრული სურათის მისაღებად სვანურის სუბიექტური და ობიექტური უღვლილების ორიოდე ზმნის პარადიგმა წარმოვადგინოთ სამივე პირში და ორივე რიცხვში:

„ვიღებ“	{ Sin ლ-იკედ-დ Sex ხუ-იკედ-დ	„მყავს“	{ Oin გუ-აყა Oex ნ-აყა
S₁ ხუ-იკედ...		O₁ მ-აყა...	
S₂ ხ-იკედ...		O₂ ჯ-აყა...	
S₃ Ø-იკედ...	Ø-იკედ-ნ	O₃ ხ-აყა...	ხ-აყა-ნ

S₃ ხუთ ზმნაში გამოიხატება **ლ-** პრეფიქსით; ხოლო დანარჩენ ზმნებში მას არ გააჩნია საპეციალური აღნიშვნა (გამოიხატება ნულოვანი აფიქსით **∅-**):

	„ვარ“	{ Sin ლ-ი-დ Sex ხ-ი-დ
S₁	ხ-ი-...	
S₂	ხ-ი-...	ხ-ი-დ
S₃	ლ-ი-...	ლ-ი-ხ

ვარაუდობენ, რომ სვანურში **O₂**-ის გამოიხატველი **ჰ-** პრეფიქსი **გ-**ს გაპალატალეზით არის მიღებული, **Oin**-ის გამოიხატველი **გუ-** პრეფიქსი კი შეიცავს **O₂** და **O₁** პრეფიქსებს: **გუ** ← **გ** + **მ**; ხოლო ფონეტიკურად **გუ-**ს მიღება ***გმ-**საგან შეუძლებელი არ არის (ანალოგიურ დაშვებას მხარს უჭერს ძველი ქართლის **Oin**-ის ფორმებიც). **Sex**-ის გამოიხატველ **ხ-ი-** პრეფიქსის მიმართ ანალოგიური პროცედურა ვერ განხორციელდება. თუ დავუშვებთ, რომ **S₁**-ის გამოიხატველი **ხ-ი-** პრეფიქსის ამოსავალი ფორმაა **-*ხ-**, ხოლო **ხ-** ელემენტი შემდეგ განვითარდა, მაშინ ამ უკანასკნელის გარეგნული მსგავსება **S₂**-ის გამოიხატველ **ხ-** პრეფიქსთან მაინც არ მოგვცემს იმის უფლებას, რომ **Sex**-ის **ხ-ი-** პრეფიქსში ორი სუბიექტური პირის ნიშნის მექანიკური შეერთება ვივარაუდოთ. **Sex**-ში I და III სუბიექტური პირებია გაერთიანებული, ხოლო I და II სუბიექტური პირების კომბინაცია **Sin**-ის **ლ-** პრეფიქსით გამოიხატება მრავლობითობის **-დ** სუფიქსთან ერთად (თოფურია 1967: 26, 29).

არნ. ჩიქობავას აზრით „ინკლუზივის ფორმანტი მრავლობითობის ნიშანიც არის. მრავლობითობის სხვა სუფიქსი ასეთ შემთხვევაში ზედმეტია და უადგილო“. სახელობით ბრუნვაში მდგარი ობიექტის მრავლობითობა ძველი ქართლის ზმნაში **-ნ** სუფიქსითაა წარმოდგენილი. ამიტომ „გან-მ-აძლიერ-ნ-ა (მან ჩუენ)“ ფორმაში წარმოდგენილი **მ-** პრეფიქსი არნ. ჩიქობავას ექსკლუზიურობის (შესაბამისად, მრავლობითობის) გამოიხატველ აფიქსად არ მიაჩნია; ანალოგიურად უარყოფს იგი „გან-გუ-აძლიერ-ნ-ა (მან ჩუენ)“ ფორმაში წარმოდგენილი **გუ-** პრეფიქსის ინკლუზიურობას (შესაბამისად, მრავლობითობას), ვინაიდან ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია მრავლობითობის გამოიხატველი **-ნ** სუფიქსი. ხოლო ამ ფორმებში მოცემული **მ-** და **გუ-** პრეფიქსები გათანაბრებულია „გან-მ-აძლიერ-ა (მან მე)“ ზმნურ ფორმაში მოცემულ **მ-** პრეფიქსთან და ორივე განხილულია, როგორც სახელობით ბრუნვაში მდგარი მხოლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ნიშანი. დასკვნა ერთია: ძველ ქართულში **გუ-** პრეფიქსი არაა მრავლობითის პირველი პირის პრეფიქსი, როცა ეს პირველი პირი სახელობითშია. მაგრამ თუ **გუ-** პრეფიქსი არაა **სახელობითში** დასმულ ობიექტთან (**ჩუენ**) მრავლობითის პრეფიქსი, არც **მიცემითში** დასმულ ობიექტთან (**ჩუენ**) იქნება იგი ამ ფუნქციის მქონე (ჩიქობავა 1946: 100). ე. ი. არც **გუ-აქუს** || **მ-აქუს (ჩუენ)** ფორმებში გამოყენებული **გუ-** (resp. **მ-**) პრეფიქსები გამოიხატავენ მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის (**ჩუენ**) მრავლობითობას, ანუ, არ გამოიხატავენ ისინი ინკლუზიურობას (reps. ექსკლუზიურობას). ავტორს **მ-** და **გუ-** პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტურ ფენათა კუთვნილებად მიაჩნია. არნ. ჩიქობავა თვლის, რომ ქართულისა და მეგრულ-ჭანურისთვის **in/ex**-ის კატეგორია ისტორიულად უცხო იყო. მისი

აზრით „**გუ**“ სვანურშიც არ უნდა ყოფილიყო მრავლობითობის ფორმანტი, და, მაშასადამე, ის ვერ იქნებოდა ამ მრავლობითობის ერთ-ერთი ვარიანტი, ინკლუზიური: ის შეიძლება მხოლოდ შემდეგ ქცეულიყო ასეთ ფორმანტად, აღჭურვილიყო ამ ფუნქციით ისევე, როგორც ახალ ქართულში მოგვევლინა ობიექტის პირველი პირის **მრავლობითის** ნიშნად. **ხუ-ათური-დ** ორდინარული მრავლობითია **ხუ-ათური** ფორმისაგან ნაწარმოები. მრავლობითობას აქ **-დ** სუფიქსი გამოხატავს“. „სვანურის ექსკლუზიური ფორმისთვის გამოყენებულია მხოლოდობითის პრეფიქსი; ეს ფაქტია, მასთან ისეთი ფაქტი, რომელიც ამა თუ იმ სვანურ კილოს კი არ ახასიათებს, არამედ სვანურის ყველა კილოსთვის ნორმას წარმოადგენს. ამ ფაქტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს: ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმანტები აუცილებელი არაა თავის შემადგენლობაში შეიცავდეს სხვადასხვა პირის პრეფიქსთა კომბინაციას (პირველისა და მესამის, პირველისა და მეორისა...). საჭირო არაა ვეძიოთ ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმანტთა შედგენილობაში ორი პირის პრეფიქსი“. „არც **O₁** ინკლუზივის **გუ**- და არც **S₁** ექსკლუზივის **ხუ**- მრავლობითის პრეფიქსები არაა: ქართული-სა და სვანურის ჩვენება ამას მოწმობს“. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, **გუ**- და **ხუ**- პრეფიქსებში უნდა შედიოდეს **ჟუ**- პრეფიქსი პირველი პირისა... **გ**- და **ხ**- ორივე ფონეტიკური დანართი ჩანს (მორფოლოგიური ოდენობა არ უნდა იყოს): **გ-ჟუ←ჟუ**; **ხ-ჟუ←ჟუ**. ავტორის აზრით, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია სვანურში მეორეულია (ჩიქობავა 1946: 121).

ა. ონიანი სვამს კითხვას: არის თუ არა აუცილებელი, რომ ინკლუზივის (resp. ექსკლუზივის) პრეფიქსი ამავე დროს მრავლობითობის ნიშანიც იყოს? რიცხვი და **in/ex** ორი სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიაა, ამიტომ არ არის აუცილებელი ორივე ერთი ნიშნით აღინიშნებოდეს ზმნაში, ისევე როგორც აუცილებელი არ არის ერთი საერთო ნიშნით გამოიხატებოდეს პირი და რიცხვი. მართალია, როგორც ინკლუზივი, ისე ექსკლუზივი მრავლობით რიცხვს გულისხმობს, მაგრამ შესაძლებელია მრავლობითს თავისი ნიშანი ჰქონდეს, რითაც ის მხოლოდობის დაუპირისპირდება, ხოლო ინკლუზივს — თავისი, რითაც ის ექსკლუზივისაგან განსხვავდება (ონიანი 1965: 227). სუბიექტური პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებში (**ხუ-ათური-დ**, **ლ-ათური-დ**) წარმოდგენილი **-დ** სუფიქსი იმაზე მიგვიბრუნებს, რომ არც ექსკლუზივის {**ხუ**-} და არც ინკლუზივის {**ლ**-} არ არის მრავლობითი რიცხვის ნიშანი. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ პირველი სუბიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივი მკვეთრად არის გარჩეული. ეს კი აუცილებელი პირობაა ყოველი გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად. თანამედროვე სვანურის პირველ ობიექტურ პირში ინკლუზივ-ექსკლუზივი და რიცხვი ამჟამად ერთი და იმავე ფორმანტებით გამოიხატება (**ნ-ათური Oex** და **გუ-ათური Oin**). ა. ონიანი ვარაუდობს, რომ სვანურ ზმნაში ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის გაჩენამდე ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსებს მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა არ ეკისრებოდა. ე. ი. ამ მხრივ ისტორიულად ობიექტურ პირშიც ისეთივე ვითარება უნდა გვექონოდა, როგორც სუბიექტურ პირში გვაქვს თანამედროვე სვანურში — ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსები არც სუბიექტურ და არც ობიექტურ პირში არ აღნიშნავდნენ მრავლობითობას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სუბი-

ექტის ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებში (ასევე მეორე პირში) მრავლობითობა იმთავითვე სპეციალური სუფიქსით აღინიშნებოდა, ხოლო ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში საერთოდ არ აღინიშნებოდა — არც ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებში, არც მეორე და მესამე პირში (ონიანი 1965: 229). ავტორის აზრით, {გუ-} და {ნ-} პრეფიქსების ოდინდელი ფუნქცია მხოლოდ პირისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო, მრავლობითობის გამოხატვა კი გვიანდელი დანაკისრები ჩანს. ა. ონიანი იზიარებს ვ. თოფურისა ვარაუდს, რომ ექსკლუზივის **ნ-** პრეფიქსი მეორეულია და მიღებული უნდა იყოს **მ-**საგან (**ნ < *მ**). შეიძლება ეს მომხდარიყო მრავლობითი რიცხვის პირველი პირის **ნაჲ** („ჩვენ“) ნაცვალსახელის **ნ-** ელემენტის გავლენით. **გუ-** პრეფიქსში **გ-** ელემენტი ა. ონიანს ფონეტიკურ დანართად არ მიაჩნია. პირველი ობიექტური პირის რეკონსტრუირებული სახე, რომელიც წინარექართველურში უნდა ყოფილიყო მოცემული, ასე აქვს წარმოდგენილი:

მხ. რ. *მ;

მრ. რ. ინკლ. *გუ;

ექსკლ. *მ.

„რადგანაც მხოლობითი რიცხვის ფორმასთან შედარებით ექსკლუზივის შინაარსს ქმნის **S₁** მორფემის კომბინაცია მრავლობითობის სუფიქსთან, ხოლო ინკლუზივის პრეფიქსი **ლ-** არასდროს არ გვხვდება მრავლობითობის სუფიქსის გარეშე, ამიტომ არ არის შეუძლებელი ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემებში მრავლობითობის სუფიქსიც გავაერთიანოთ, მაგრამ, რამდენადაც მრავლობითობის სუფიქსი საერთოა ინკლუზივისა და ექსკლუზივისათვის, ამდენად, ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირების შექმნაში ის მონაწილეობას არ იღებს. **ლ** სუფიქსის ფუნქცია მხოლოდ მრავლობითობის გამოხატვაა. ამავე დროს წინასწარ ვიცით, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიცია მხოლოდ პირველი პირის მრავლობითი რიცხვში არის შესაძლებელი, ამ ფარგლებში კი საპირისპირო ფორმებს მხოლოდ პრეფიქსები ქმნიან. ამიტომ უფრო ბუნებრივია ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემათა შემადენლობაში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი არ გავაერთიანოთ. ეს ითქმის მით უფრო, რომ რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი ორი სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიაა (ონიანი 1978: 95-96).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დ. მელიქიშვილის აზრით „ინკლუზივის ფორმაში I პირთან ერთად აღსანიშნი II პირიცაა. ინკლუზივის კატეგორია I პირთან ერთად აუცილებლად ჩარიცხავს II პირსაც, III პირი კი შეიძლება იგულისხმებოდეს, შეიძლება არა. ექსკლუზივის ფორმა II პირს გამოირიცხავს, იგი I და III პირს გულისხმობს. ამგვარად, III პირის არსებობა ორივე ფორმაშია შესაძლებელი — ინკლუზიურშიც და ექსკლუზიურშიც. მნიშვნელობა ენიჭება იმას, არის თუ არა ჩარიცხული II პირი. თუ არის — ამას გამოხატვა ესაჭიროება, თუ არ არის — არა. აქედან ცხადია, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია განსაკუთრებული აფიქსით II პირის აღნიშვნას მოითხოვდა მისი არსებობის შემთხვევაში (ინკლუზივი), მისი არარსებობის აღნიშვნა კი, ცხადია, საჭირო არ იყო (ექსკლუზივი). აქედან ლოგიკურია დასკვნა, რომ ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივს კი — არა. ამგვარად, ისტორიულად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფორმა: ნიშნიანი — ინკლუზივისა და უნიშნო

— ექსკლუზივისა. ეს უკანასკნელი, ცხადია, დაემთხვეოდა მხოლოდითი რიცხვის ფორმას ორსავე უღვლილებაში (ობიექტურშიც და სუბიექტურშიც)“. ავტორის აზრით, „ობიექტურ უღვლილებაში ექსკლუზივის კატეგორიის ნიშნით გაფორმება მეორეული მოვლენაა. სუბიექტურ უღვლილებაში კი დაცულია ამოსავალი ვითარება: ექსკლუზივის ნიშანი არა აქვს, მაგრამ სვანურში იგი ფორმით მაინც განსხვავდება მხოლოდითის ფორმისაგან მრავლობითი რიცხვის სუფიქსით (მელიქიშვილი 1977: 162-165), (მელიქიშვილი 1980: 184-194).

ა. ონიანმა არ გაიზიარა დ. მელიქიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ექსკლუზივის არ უნდა ჰქონოდა ნიშანი (ონიანი 1978: 239-243), (ონიანი 1984: 192-202). თ. მეტრეველისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობაზე დამყარებით გამოტანილი დასკვნა დ. მელიქიშვილისა, რომ „საკუთარი ნიშანი, უნდა ჰქონოდა ინკლუზივის, ექსკლუზივის კი — არა, რადგან ენობრივი მასალის აღწერითი ანალიზი სწორედ რომ **საწინააღმდეგო** დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა. ენობრივი მასალის ანალიზი კი მსგავსი დასკვნის გამოტანისათვის აუცილებელია“ (მეტრეველი 1980: 190). რას გულისხმობდა იგი **საწინააღმდეგო** დასკვნაში, ბოლომდე ნათელი არ არის.

ი. მელჩუკმა აფიქსები დაახასიათა ორი თვისების მიხედვით:

x თვისება — ძირის წყვეტა აფიქსის მიერ;

y თვისება — აფიქსის წყვეტა ძირის მიერ.

x და **y** თვისებების გამოყენებით აფიქსთა სიმრავლეში გამოიყო ოთხი ქვესიმრავლე (მელჩუკი 1963: 27-40).

	x	y
ტრანსფიქსი	+	+
ინფიქსი	+	—
ცირკუმფიქსი	—	+
კონფიქსი	—	—

ცხრილიდან ჩანს, რომ **ცირკუმფიქსი** არის ძირის მიერ წყვეტილი აფიქსი, რომელიც თვითონ არ წყვეტს ძირს. ი. მელჩუკმა შეცვალა ტრადიციული ხმარება ტერმინისა **კონფიქსი**, რომელიც გულისხმობდა პრეფიქს-სუფიქსის ერთდროულ გამოყენებას და ამ ტიპის აფიქსებისათვის შემოგვთავაზა ტერმინი ცირკუმფიქსი, ხოლო მის მიერ კონფიქსით აღნიშნულ ქვესიმრავლეში შეიყვანა სამი სახის აფიქსები: პრეფიქსი, სუფიქსი, ინტერფიქსი. **ცირკუმფიქსი** (resp. ტრანსფიქსი) განიხილება როგორც ერთიანი, მთლიანი აფიქსი.

ჩვენ პირი და რიცხვი ერთ მთლიან გრამატიკულ კატეგორიად მივიჩნიეთ და ქართული ენის **ვ-არ-თ**, **ხ-არ-თ**, **გ-აქვ-თ**, **Ø-უ-ხარია-თ** ტიპის მაგალითებში **ვ-** — **-თ**, **ხ-** — **-თ**, **გ-** — **-თ**, **Ø-** — **-თ** განვიხილეთ როგორც ძირის მიერ წყვეტილი ერთიანი, მთლიანი აფიქსი, ანუ **ცირკუმფიქსი**, ამ ტერმინის ი. მელჩუკის მიერ შემოთავაზებული გაგებით (გურგენიძე 1969: 75-76). ასევე ერთ მთლიან გრამატიკულ კატეგორიად მივიჩნიეთ მრავლობითობისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიები და ამის საფუძველზე ვივარაუდეთ, რომ **მრავლობითობისა** და **in/ex-**ს გამომხატველი აფიქსები განხილულ უნდა იქ-

ნეს როგორც ერთიანი, მთლიანი აფიქსები; კერძოდ, ქართველურ ენათა კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით, რიგ შემთხვევებში — როგორც **ცირკუმფიქსები** (გურგენიძე 1983: 21). ზემოთ განხილული მაგალითები ჩვენ მიერ ასე აღიწერება:

Oin	გან-გუ-აძლიერ-ნ-ა (მე და შენ თქვენ) ...	(X)Ain ;
Oex	გან-მ-აძლიერ-ნ-ა (მე და ის ისინი) ...	(X)Aex ;
Sin	ლ-იკედ-დ „ვიღებთ (მე და შენ თქვენ)“ ...	(X)Ain ;
Sex	ხჟ-იკედ-დ „ვიღებთ (მე და ის ისინი)“ ...	(X)Aex ;
S₂^{მრ}	ხ-იკედ-დ „იღებთ (თქვენ)“ (X)B ;
S₃^{მრ}	ღ-იკედ-ხ „იღებენ (ისინი)“ (X)C ;
S₃^{მრ}	ლ-ი-ხ „არიან (ისინი)“ (X)C ;
O₂^{მრ}	ჯ-აყა-ხ „გყავთ (თქვენ)“ (Y)B ;
O₃^{მრ}	ხ-აყა-ხ „ყავთ (მათ)“ (Y)C .

ქართული ენის მსგავსად, პირი და რიცხვი დანარჩენ ქართველურ ენებშიც განიხილება, როგორც ერთი მთლიანი გრამატიკული კატეგორია.

ჩვენ მიერ განხილული ავტორებიდან მხოლოდ არნ. ჩიქობავა ვარაუდობდა, რომ მრავლობითობისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ერთია. მისი აზრით „ინკლუზივის ფორმანტი მრავლობითობის ნიშანიც არის. მრავლობითობის სხვა სუფიქსი ასეთ შემთხვევაში ზედმეტია და უადგილო“ (ჩიქობავა 1946: 100). როგორც ზემოთ ვნახეთ, არნ. ჩიქობავამ თავისი მსჯელობით მოხსნა **in/ex**-ის კატეგორიის საკითხი ძველ ქართულში. **ცირკუმფიქსის** დაშვებამ ჩვენ საშუალება მოგვცა მოგვეხსნა ის წინააღმდეგობა, რასაც ხედავდა არნ. ჩიქობავა. ზემოთ მოვიყვანეთ ვრცელი მსჯელობა ა. ონიანისა, რომელიც მიიჩნევდა რომ „არ არის შეუძლებელი ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემებში მრავლობითობის სუფიქსიც გავაერთიანოთ“, მაგრამ, ვინაიდან მას **in/ex** და რიცხვი (*resp.* მრავლობითობა) ორ სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიად მიაჩნდა, ამიტომ უარყო ეს შესაძლებლობა (ონიანი 1978: 95-96).

ლიტერატურა

ასათიანი 1994 — რ. ასათიანი, ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), თბილისი.

ახმანოვა 1966 — О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, Москва.

ბენვენისტი 1974 — Э. Бенвенист, Общая лингвистика, Москва.

ბოპი 1847 — F. Bopp. Die Kaukasischen Glider des Indoeuropäischen Sprachstamms, Berlin.

გამყრელიძე 1959 — თ. გამყრელიძე, სიბილიანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

გამყრელიძე 1979 — თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენ-

ტობა“, — საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გივი მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე, თბილისი.

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

გურგენიძე 1969 — ტ. გურგენიძე, სახელის ბრუნვის ფორმათა მიხედვით პირის ნიშნების განაწილება ქართულ ზმნაში, თსუ ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა XV სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

გურგენიძე 1983 — ტ. გურგენიძე, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვისათვის ქართველურ ენათა ზმნურ სისტემაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XL სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

გურგენიძე 1984 — ტ. გურგენიძე, მრავლობითობის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში და მისი წარმოების ზოგადი პრინციპები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბილისი.

გურგენიძე 1999 — ტ. გურგენიძე, ინკლუზივ-ექსკლუზივის გაგებისათვის მრავლობითი რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელებში. — არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, X, მასალები, თბილისი.

გურგენიძე 2006 — ტ. გურგენიძე, მრავლობითი რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელთა აგების თეორიული საფუძვლები, — საენათმეცნიერო ძიებანი, XXII, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.

გურგენიძე 2009 — ტ. გურგენიძე, ზოგი რამ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XX, მასალები, თბილისი.

დეეტერსი 1930 — G. Deeters. Das Kharthwelische Verbum, Leipzig.

დონდუა 1967 — К. Д. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском, რჩეული ნაშრომები, I, თბილისი.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი.

კლიმოვი 1965 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

კლიმოვი 1981 — Г. А. Климов, К категории инклюзива-эксклюзива в картвельских языках. - ВЯ, №6, Москва.

ლაიონზი 1978 — Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику. Москва.

ლომთათიძე 1961 — ქ. ლომთათიძე, საურთიერთო კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I, ზმნის საურთიერთო კატეგორია ზანურში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი.

მარი 1914 — Н. Я. Марр, Определение языка второй категории ахемедских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, С.-Петербург.

მარუზო 1960 — Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, Москва.

მაჭავარიანი 1986 — ნ. მაჭავარიანი, ობიექტისა და სუბიექტის პირის ნიშანთა განლაგებისათვის ქართულ და აფხაზურ ზმნებში, — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბილისი.

მელიქიშვილი 1977 — დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

მელიქიშვილი 1980 — დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო, — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

მელჩუკი 1963 — И. А. Мельчук, О "Внутренней флексии" в индоевропейских и семитских языках, ВЯ, №4, Москва.

მელჩუკი 1998 — И. А. Мельчук, Курс общей морфологии, том II, часть II, глава II, §4, Москва.

მეტრეველი 1980 — თ. მეტრეველი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში, — თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 23, თბილისი.

ონიანი 1965 — ა. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის საკითხისათვის ქართველურ ენებში, — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბილისი.

ონიანი 1978 — ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.

ონიანი 1984 — ა. ონიანი, ქართველურ ენათა დიაქრონიული მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

სოკოლოვსკაია 1980 — Н. К. Соколовская, Некоторые семантические универсалии в системе личных местоимений. - Теория и типология местоимений, Москва.

სუხიშვილი 1980 — მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, — იკე, ტ. XXV, თბილისი.

ფორხჰაიმერი 1953 — P. Forchheimer. The category of person in language, Berlin.

შანიძე 1923-1924 — ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში, წელიწდეული, თბილისი.

შანიძე 1926 — ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, ფრანგული რეზიუმე, თსუ, მოამბე, ტ. VI, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი.

შანიძე 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შუხარტი 1895 — H. Schuchardt. Über den passiven Charakter der Transitivs in Kaukasischen Sprachen, Wien.

ჩეიფი 1975 — У. Л. Чейф, Значение и структура языка, Москва.

ჩიქობავა 1939 — არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკული ნაწილი, თბილისი.

ჩიქობავა 1946 — არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, — იკე, ტ. I, თბილისი.

TARIEL GURGENIDZE

The Category of Inclusive-Exclusive in the Kartvelian Languages

S u m m a r y

An analytical category of inclusive-exclusive (resp. **in/ex**) is represented in Svan verbal system and in the possessive I pers. pl. pronoun. The remains of this category are seen in Old Georgian verbal system.

Contradictory views are expressed on age-old existence of this category in the Common-Kartvelian, also on interrelation of a **number** and **in/ex**.

According to the accepted view, these are different grammatical categories. But we consider them as one whole grammatical category which in some cases is expressed by an united whole affix - by a **circumfix** (an affix discontinued by the root, but the root not discontinued by it).

We believe that our description will partially eliminate oppositions that are seen by different authors in discussing this category.

თამარ შაჰაშიძე

-ურ (→ -ულ) სუფიქსისათვის თანამედროვე ქართულში

„-ურ (რაე- ნარეგ ფუძეებთან დისიმილაციით: -ულ) -ელ-ის ბადალია და აღნიშნავს არა-ადამიანთა სადაურობას: ონ-ურ-ი, ქალაქ-ურ-ი, გორ-ულ-ი... -ურ-ის დართვისას (ისე როგორც -ელ-ის დართვისას) გეოგრაფიულ სახელს, რომელსაც ბოლოში ეთ და ის აქვს, შეიძლება ეს ეთ და ის ჩამოშორდეს ძველი წარმოების თანახმად: დუმ-ეთ-ი: დუმ-ურ-ი მსხალი; კუმ-ის-ი: კუმ-ურ-ი ლეღვი... -ურ (→ -ულ) ზოგჯერ ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს ზოგ-ზოგ კილოში (კახურში, ფშაურში...): „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუშოური ქალია“ (ვაჟა, „ბახტრიონი“)... ეს -ურ საყოველთაოდ გატარებულია ზმნიზედებისაგან ნაწარმოებ სახელებში: სადა-ურ-ი, აქა-ურ-ი, მანდა-ურ-ი..., რომლებიც ადამიანზედაც ითქმის და არა ადამიანზედაც. მსგავსადვე გაურჩევლად ითქმის: გურ-ულ-ი (გურული ქალი, გურული სიმღერა), რადგანაც ადამიანთათვის წესებრივად ნაწარმოები გურიელი მართოდენ გურიის ყოფილ მფლობელთა საგვარეულოს მიეკუთვნება. ასევე გაურჩეველია ქუთათ-ურ-ი (ქუთათელი ქუთაისის მიტროპოლიტთა ტიტულად იქცა)... აღნიშნული -ურ (→ -ულ) სუფიქსი გვარების მაწარმოებლადაც არის გამოყენებული: ბექა-ურ-ი, ცაბა-ურ-ი, წიკლა-ურ-ი... წარმომავლობის სუფიქსი -ურ(→ -ულ) გეოგრაფიულ სახელთაგან სადაურობას გვიჩვენებს, მაგრამ იგივე სუფიქსი სხვა სახელთაგან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით: კაც-ურ-ი, ქალ-ურ-ი, ბავშვ-ურ-ი...“ (შანიძე 1973: 128). -ურ (→ -ულ) სუფიქსი წარმომავლობას გამოხატავს ძველ ქართულშიც (მ- პრეფიქსთან ერთად): მ-დაბ-ურ-ი, მ-ეგვპტ-ურ-ი... (სარჯველაძე 1997: 183). -ურ სუფიქსი გვაქვს „ვეფხისტყაოსანშიც“: „მეფემან ჰკადრა: წასრულა მზე დაუდგრომლად, მთვარულად... მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“.

თანამედროვე ქართულში -ურ (→ -ულ) ერთ-ერთი ყველაზე აქტიური აფიქსია. უცხო წარმომავლობის სახელებთანაც (გარკვეული სახის თვისებაზე მისანიშნებლად) სწორედ -ურ (→ -ულ) ფორმანტი გამოიყენება: პრაგმატ-ულ-ი, კომპიუტერ-ულ-ი, პრიორიტეტ-ულ-ი...). -ურ (→ -ულ) სუფიქსიანი ფორმები მრავლად დასტურდება სამედიცინო ლიტერატურაშიც (სულფამიდ-ურ-ი, ფარმაცევტ-ულ-ი...).

მთარგმნელობითმა პრაქტიკამ განაპირობა უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემის საჭიროება. თვისების აღმნიშვნელი სახელები უმთავრესად -ულ სუ-

ფიქსით იწარმოება. უცხო წარმომავლობის სახელს ხშირად თავისივე აფიქსი ახლავს. ეს ვერ ზღუდავს **-ულ** სუფიქსს და ახალი შინაარსის სახელს დაუბრკოლებლად აწარმოებს: დერივაცი-**-ულ**-ი, ორგანიზატორ-**-ულ**-ი (ტუსკია 2004: 68).

თანამედროვე ქართულში **-ურ (→ -ულ)** დაერთვის: ა) საზოგადო არსებით სახელებს (ადამიან-**-ურ**-ი, ამხანაგ-**-ურ**-ი, ოჯახ-**-ურ**-ი...), ბ) ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს, აგრეთვე — ზედწოდებებს (რუსთველ-**-ურ**-ი, ბართაშვილ-**-ურ**-ი, ვახტანგ-**-ურ**-ი, პლატონ-**-ურ**-ი...), გ) ადგილის სახელებს (თბილის-**-ურ**-ი, ქუთაის-**-ურ**-ი...), დ) ზედსართავ სახელებს (ლაჩრ-**-ულ**-ი, გაიძვერ-**-ულ**-ი, ახალგაზრდ-**-ულ**-ი...), ე) რიგობით რიცხვით სახელებს: მეორე-**-ულ**-ი, მეოთხე-**-ულ**-ი (პერიოდი) გეოლ., ვ) წილობით რიცხვით სახელებს (მეოთხედ-**-ურ**-ი, მერვედ-**-ულ**-ი...), ზ) ზმნისართებს (აქა-**-ურ**-ი, იქა-**-ურ**-ი...), თ) თანდებულს: თანა-**-ურ**-ი „არაძირითადი; რაც თან ახლავს მთავარს (მრეწველობის **თანაური** ნაწარმი...)“. **-ურ (→ -ულ)** სუფიქსი დასტურდება წარმოქმნილ სახელებსა (ჭკვიან-**-ურ**-ი...) და კომპოზიტებთანაც (დაძმ-**-ურ**-ი...).

აღსანიშნავია, რომ **-ურ (→ -ულ)** სუფიქსი წარმოქმნილ ფორმათაგან ძირითადად გვხვდება მქონებლობის (ჭკვიან-**-ურ**-ი, ერთფეროვნ-**-ულ**-ი...), ხელობის (მეცხვარ-**-ულ**-ი, მეზღვაურ-**-ულ**-ი...), წარმომავლობისა (ქართველ-**-ურ**-ი, მთიულ-**-ურ**-ი...) და მცენარეთა კრებითობის (ფიჭვნარ-**-ულ**-ი...) აღმნიშვნელ სახელებთან, აგრეთვე — ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილ ფორმებთან (გულითად-**-ურ**-ი, უკრედ-**-ულ**-ი...), ხოლო თავად **-ურ (→ -ულ)** სუფიქსიანი სახელი ხშირად დაირთავს აბსტრაქტულობის **-ობა** სუფიქსს (ქალ-**-ურ-ობა**, აქა-**-ურ-ობა**...).

ბუნებრივია, ყველა ფუძე ერთნაირად ვერ იგუებს ამა თუ იმ აფიქსს. სახელთა ერთი ნაწილი **-ურ** სუფიქსს საერთოდ არ დაირთავს, მაგალითად, ფერის გამომხატველ ფუძეებთან **-ურ**, როგორც წესი, არ დასტურდება, განიკლისია წით-**-ურ**-ი ფორმა, რომელშიც **მ**- პრეფიქსია დაკარგული (**მ**-წით-**-ურ**-ი). აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ ესა თუ ის სახელი **-ურ (→ -ულ)** სუფიქსით ფორმდება მხოლოდ კომპოზიტებში, შდრ.: დამე — დღედამ-**-ურ**-ი; გული — ორგულ-**-ურ**-ი; უტყვი — პირუტყვ-**-ულ**-ი; წერა — ფერწერ-**-ულ**-ი; პირი — ზედაპირ-**-ულ**-ი, კოკისპირ-**-ულ**-ი, ორპირ-**-ულ**-ი; ქვემ — ქვეშქვემ-**-ურ**-ი, იატაკ-ქვეშ-**-ურ**-ი...

-ურ (→ -ულ) სუფიქსი, ჩვეულებრივ, იწვევს ფუძის კუმშვასა (მონასტერი — მონასტრ-**-ულ**-ი, მგელი — მგლ-**-ურ**-ი, ობოლი — ობლ-**-ურ**-ი...) და კვეცას (მეფე — მეფ-**-ურ**-ი, დედა — დედ-**-ურ**-ი...). იკვეცება ერთმარცვლიანი ფუძეებიც (და — დ-**-ურ**-ი, ძმა — ძმ-**-ურ**-ი, ყმა — ყმ-**-ურ**-ი...). სხვა შემთხვევებში ერთმარცვლიან ფუძეებთან **-იურ(← -იგურ)** ფორმანტი დასტურდება (ცა — ც-**იურ**-ი, მზე — მზ-**იურ**-ი, დღე — დღ-**იურ**-ი, ტყე — ტყ-**იურ**-ი...). ეს სუფიქსი (**-იურ**) ე-ზე ფუძედაბოლოებულ ერთმარცვლიან ფორმებთან უფრო ხშირად დაჩნდება.

ზოგჯერ **-ურ** (→ **-ულ**) სუფიქსთან უკვეცელი ფუძე გვაქვს: პროზა — პროზა-**ულ**-ი, ზღვა — ზღვა-**ურ**-ი (1. ზღვის მხრიდან მონაბერი ქარი; 2. ზღვასავით ბევრი). დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა **-ურ** სუფიქსი ა-ზე დაბოლოებულ სახელს ერთვის (ამ შემთხვევაში ფუძე არ იკვეცება) და აწარმოებს მასდარს: ხმა — ხმა-**ურ**-ი.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ **-ურ** სუფიქსიანი სახელით გამოხატულია არა თვისება ძირეულ საგანთან მიმართებით, არამედ მიიღება ახალი ლექსიკური ერთეული, მაგ., მიწა — მიწ-**ურ**-ი „მიწაში გაკეთებული სადგომი, ბინა“; ჭა — ჭ-**ურ**-ი „ქვევით ამოშენებული ორმო“, შდრ. მოხეტრში: **ზექური** „სათამაშო კოჭის ჩაღრმავებული მხარე“. აქვე აღვნიშნავთ, რომ **ჭაური** ფორმა ნიშნავს მიწის ზედაპირზე ამომავალ — შახტის ვერტიკალურ ნაწილს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **-ურ** სუფიქსიანი სახელები ასევე გამოიყენება ვაზისა და ხეხილის ჯიშების სახელწოდებებად: ხოტეგ-**ურ**-ი, წობენ-**ურ**-ი... აქვე დავძენთ, რომ **-ურ** (→ **-ულ**) სუფიქსიანი ფორმები წარმოგვიდგება ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების სახელწოდებებად: დავლ-**ურ**-ი (1. ერთ-ერთი ქართული ცეკვა; 2. ხმალში გამოწვევა, ორთაბრძოლა). გვაქვს აგრეთვე **დავლური ომი**, რაც თავდასხმით ომს ნიშნავს; ფერხ-**ულ**-ი (ცეკვა, რომლის შესრულებისას მოცეკვავენი წრედ ბრუნავენ ფეხების სათანადოდ აყოლებით); ლამპრ-**ულ**-ი (სვანური საფერხულო ცეკვა ლამპებით); სუფრ-**ულ**-ი (ქართული ხალხური სიმღერა, მღეროდნენ სუფრაზე); მაყრ-**ულ**-ი (სიმღერა, რომელსაც მაყრები მღერიან); ფანდურ-**ულ**-ი (სიმღერის სახეა, რომელსაც ფანდურზე დაკვრისას მღერიან) და სხვ.

-ურ სუფიქსი გამოიყოფა საკრავთა სახელებშიც. შდრ.: **ჩანგი** (სპარს. სიმებიანი მუსიკალური საკრავი) და **-ურ** სუფიქსიანი ჩანგ-**ურ**-ი // ჩონგ-**ურ**-ი (ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი). აქვე აღვნიშნავთ, რომ **ჩონგური** ინგილოურში კაკლის ერთ-ერთი ჯიშის სახელწოდებაა. **-ურ** სუფიქსი გამოიყოფა **ფანდურ**- ფორმაშიც, რომელიც ასევე მუსიკალური საკრავია (სამსიმიანი), შდრ. სპარს. **ფანდი** (წესი). ეს უკანასკნელი (ფანდი) ჭიდაობის ერთ-ერთ ხერხსაც აღნიშნავს. არ არის გამორიცხული, მოჭიდავეთათვის სწორედ ამ ტიპის საკრავზე (ფანდურზე) ასრულებდნენ გარკვეული სახის მუსიკალურ ნაწარმოებებს.

-ურ სუფიქსი გამოიყოფა (**სა**- პრეფიქსთან ერთად) **სალამურ**- ფორმაშიც. ამ საკრავით ალბათ სატრფიალო სიმღერებს ასრულებდნენ თავდაპირველად. შდრ. **ლამუნ**-ი (მასდარის ფუძე) „ტრფიალი, ალერსი“. საინტერესოა, რომ **სალამურა** (წყლის ცხოველი), რომელსაც აქვს წაგრძელებული სხეული — ლაყუჩებზე შეიდ-შვიდი ხერელით, ძალიან მოგვაგონებს სალამურს.

სემანტიკურად **-ურ** (→ **-ულ**) სუფიქსიანი სახელები თანამედროვე ქართულში გამოხატავს: არაადამიანთა წარმომავლობას (**თბილისური**, **ქართლური**, **კახური**...); ამა თუ იმ პირისთვის (ან საგნისთვის) დამახასიათებელ თვისებას, ხშირად — მსგავსებას (**ბრიყვეული** „ბრიყვისთვის დამახასიათებელი; ბრიყვის მსგავსი“; **ბავშვური** „ბავშვისთვის დამახასიათებელი; ბავშვის მსგავ-

სი“...), დანიშნულებას (**ლიტერატურული** კაფე, **სპორტული** კლუბი...).

ქართული ენის დიალექტებში **-ურ** (→ **-ულ**) სუფიქსი ძირითადად გამოიყენება ადამიანთა თუ არაადამიანთა წარმომავლობის გამოსახატავად. თვისების აღსანიშნავად ეს ფორმანტი ნაკლებად დასტურდება.

როგორც ზემოთ ითქვა, კახურსა და ფშაურში სადაურობის სახელები წარმოების თვალსაზრისით დიფერენცირებული არ არის. ანალოგიური ვითარება გვაქვს რაჭულშიც: ლებ-**ურ**-ი კაცი, ლებ-**ურ**-ი ყველი (ჯორბენაძე 1989: 439). მოხეურში **-ურ** ფორმანტი (სადაურობის გარდა) კუთვნილებას გამოხატავს: ყაზბეგ-**ურ**-ი ადგილი არის „ყაზბეგიანთ ადგილი“ (ქავთარაძე 1985: 75). მესხურ-ჯავახურში (და ზოგ სხვა დიალექტშიც) ზმნისართებისაგან მიღებული წარმომავლობის სახელები ორმაგი **-ურ-ელ** სუფიქსითაა ნაწარმოები (აქა-**ურ-ელ**-ი, მანდა-**ურ-ელ**-ი...). მესხურშივე **-ურ** და **-ელ** სუფიქსებმა შეიძლება განასხვავოს მამაკაცი და ქალი: ერკოტ-**ულ**-ი ქალი, მაგრამ ერკოტ-**ელ**-ი კაცი (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 398), იმერულში წარმომავლობის **-ელ** და **-ურ** ხშირად არ განარჩევენ ვინ და რა ჯგუფის სახელებს: ხონ-**ელ**-ი ქათამი, ვან-**ელ**-ი ბჟოლა, რაჭვ-**ელ**-ი ნიგოზი (ჯორბენაძე 1989: 485). გურულშიც წარმომავლობის **-ელ** აღნიშნავს როგორც ვინ, ისე რა ჯგუფის სახელებს: ლან-ჩხუთ-**ელ**-ი კაცი, ლანჩხუთ-**ელ**-ი სიმინდი (ყლენტი 1936: 32).

მეგრულში **-ურ** თანაბრად გამოხატავს ადამიანისა და არაადამიანის წარმომავლობას: ბანძ-**ურ**-ი **ბანძელსაც** ნიშნავს და **ბანძურსაც**, შდრ.: გურ-**ულ**-ი: ა) გურული ქალი, ბ) გურული ვაშლი. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ დასავლურ დიალექტებში „**-ურ** სუფიქსის გამოვლენა მეგრულის გავლენით აიხსნება“ (ჩიქობავა 1942: 139). საინტერესოა, რომ მეგრულში აღნიშნული ტიპის სახელთა (**სანაკური** კოჩი...) მრავლობითი რიცხვის ფორმებთან დასტურდება **-არ** (→ **-ალ**) ფორმანტი: სანაკ-**არ**-ეფ-ი „სენაკელები“, ჩხოროწყუ-**ალ**-ეფ-ი „ჩხოროწყუელები“. გამონაკლისია აბაშ-**არ**-ი ფორმა, რომელშიც **-არ** ფორმანტი მხოლოდითივე დაჩნდება. აქვე აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ მეგრულში **-ურ** სუფიქსს უნარი აქვს ფუძის კვეცისა: ხაბუმე — ხაბუმ-**ურ**-ი...

სვანურში სადაურობას აწარმოებს **მგ-** — **-ერ** ცირკუმფიქსი: **მგ-ზნ-ერ** „მეგრული“, **მგ-ლაშ-ერ** „ლაშხური“... სვანურშივე გვაქვს **ლუ-** — **-უ** აფიქსებიანი ფორმები, რომლებიც ქართული **-ურ** სუფიქსიანი სახელების ბადალია: **ლუ-ზნ-უ** სვლგინ „მეგრული სულგუნი“, **ლუ-ს-უ** ვანარ „ოსური ხარები“. ოდენ **-ურ** სუფიქსი სვანურში გვაქვს უქონლობის სახელებთან: ხეხ-**ურ** / ეფხ-**ურ** „უცოლო“ (თოფურია 1977: 77). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულ **-ურ** სუფიქსს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **-ურ** (უქონლობის სახელთა ანალიზის საფუძველზე): კულ-**ურ**-ი „უკულო“, ნიც-**ურ** / ლიც-**ურ** „უწყლო“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 453). ქართულ **უ-** — **-ურ** ცირკუმფიქსს ასევე კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **უ-** — **-ურ** (უქონლობის სახელთა ანალიზის საფუძველზე): უ-გუნ-**ურ**-ი, უ-სუს-**ურ**-ი, შდრ. უ-ჭკომ-**ურ**-ი „უჭმელი“, უ-შუმ-**ურ**-ი „უსმელი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 450-451).

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქართულსა (ძველსა და ახალში) და ქართული ენის დიალექტებში, აგრეთვე მეგრულსა და სვანურში **-ურ** (→ **-ულ**) აქტიური აფიქსია. თანამედროვე ქართულში ოდენ **-ურ** (→ **-ულ**) სუფიქსი გამოხატავს არაადამიანთა წარმომავლობას (**თბილისური...**), ამა თუ იმ პირისთვის (ან საგნისთვის) დამახასიათებელ თვისებას, მაგ., მსგავსებას (**ბავშვური...**), დანიშნულებას (**სპორტული კლუბი...**). ქართული ენის დიალექტებში **-ურ** ძირითადად არაადამიანთა ან ადამიანთა (ზოგ დიალექტში) წარმომავლობის აღსანიშნავად გამოიყენება. მეგრულში **-ურ** თანაბრად მიგვანიშნებს ადამიანთა თუ არაადამიანთა წარმომავლობაზე (**ბანძური** „ბანძელი“, „ბანძური“...), ხოლო სვანურში ოდენ **-ურ** სუფიქსი უქონლობის ფორმებში დაჩნდება (**ფეხურ** „უცოლო“...).

-ურ (→ **-ულ**) სუფიქსი საერთოქართველური ფორმანტი ჩანს.

ლიტერატურა

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, შრომები, III, თბილისი.

ჟღენტი 1936 — ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფილისი.

სარჯველაძე 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

ტუხკია 2004 — მ. ტუხკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქავთარაძე 1985 — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

TAMAR VASHAKIDZE

Towards the *-ur*(→ *-ul*) Suffix in the Modern Georgian

S u m m a r y

In Georgian (in old and new) and in the Georgian dialects, also in Megrelian-Svan **-ur**(→ **-ul**) is an active suffix. In the modern Georgian only **-ur** suffix expresses the origination of non-human being (**tbilisuri** “Tbilisian”...), a characteristic feature of this or that person (or a thing); e. g. likeness (**bavšvuri** “childish”), function (**sporṭuli ḳlubi** “a sport club”). In the Georgian dialects **-ur** is mainly used to express the origin of human (in some dialects) or non-human beings. In Megrelian **-ur** points to the origin of human as well as non-human being (**banzuri** “Bandzian”...), but in Svan a suffix **-ur** occurs in the forms of lack (**jex-ur** “unmarried (man)”).

A suffix **-ur**(→ **-ul**) seems to be a Common-Kartvelian formant.

მაია კობიაშვილი

ქალთა ხელსაქმის აღნიშვნელი ზომიერთი ტერმინის შესახებ მოხურობა

ქალთა ხელსაქმე საქართველოს მთის რეგიონებში საკმაოდ განვითარებულია. ჭრა-კერვის, ქარგვის, ჩეჩვა-დართვისა თუ ქსოვისათვის დამახასიათებელი ლექსიკა წლების განმავლობაში ივსებოდა ძირეული ქართული თუ ნასესხები ტერმინებით.

მთის სხვა მაცხოვრებლების მსგავსად, მოხვევე ქალებიც მშვენიერი მქსოველები და მქარგავ-მკერავები იყვნენ. ხელსაქმის თითოეულ სახეობას თავისი განსაკუთრებული ლექსიკა ახასიათებს, რომელთაგან ნაწილი პარალელს ჰპოვებს ქართული ენის მთის სხვა დიალექტებში, ნაწილი კი, აგრეთვე, მთის კავკასიურ ენებში.

ქართული ენის მოხურობის დიალექტში გავრცელებული ხელსაქმის აღნიშვნელი ბევრი ტერმინი დარგობრივად გაწყობილ-დალაგებული წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილ „შინამრეწველობის მასალებსა“ და ივ. ქავთარაძის მოხურობის დიალექტის ლექსიკონში. სამწუხაროდ, დღეს ივ. ჯავახიშვილისეულ მასალებში დადასტურებული ქარგვისა და კერვის ლექსიკის უმეტესობა აღარ იხმარება, აღარც კი ახსოვთ, მაგალითად: **ყუმბილა** „მატყლისაგან გაკეთებული მრგვალი დილი“ (ქავთარაძე 1985: 352), **კანდოლა** „მოკლე ახალუხი პატარა გოგონებისთვის“ (ჯავახიშვილი 1983: 148), **ხარდგა** „კანდოლების მოსართავი ორნამენტური ნაჭრები“ (ჯავახიშვილი 1983: 148), **ყალანქარი** „თეთრძირიანი, ყვავილოვან-ფოთლოვანი ნაჭერი“ (ჯავახიშვილი 1983: 148), **ყისინა** „პლედის მაგვარი შალის წამოსასხამი, თბილი და მსუბუქი, რომელიც იკრებოდა ერთი ყუმბილად თელთან“ (შანიძე 1984: 429), **შილა** „წითელი ფერის მატერია“ (ჯავახიშვილი 1983: 147), **დილდუმიკილა** „საგულეს შესამოსელი, გასალამაზებელი“ (ჯავახიშვილი 1983: 148), **ყაითანი** „ჩოხის სამასრეს შემოვებული არშია“ (ჯავახიშვილი 1983: 151), **კუჭნაოჭიანი** „ქალის საგულე, უკან ნაოჭებიანი“ (ჯავახიშვილი 1983: 148)...

ჩეჩვა-დართვისა და ქსოვის ლექსიკის დიდი ნაწილი კი დღესაც ცოცხალია და არც ახალი თაობისთვის არის უცხო, თითქმის ყველამ იცის ისეთი ტერმინები, როგორცაა **შამბანურა** „ჭაჭვისებური ნაქსოვი ზოლი, წალმანუკულმა მონაცვლე თვლებით“ (ჯავახიშვილი 1983: 152), რომელსაც ხშირად წალმანუკულმართასაც ეძახდნენ, **შიბა** „ქსოვის გარკვეული სახეობა“ (ჯავახიშვილი 1983: 152), **სთვა** „რთვა“, **ნასთი** „ნართი“, **ტარ-კუთშტავი** „ტარზე წამოცმული ქვის ან ხის რგოლი“ (ქავთარაძე 1985: 328), **ნაქცი** „ნაზამთრი ბატკნის უხარისხო მატყლი“ (ქავთარაძე 1985: 293), **კრაველი** „ბატკნის

მატყლი“ (შანიძე 1984: 344), **შატი** „მარყუჭი, კილო (ლილისათვის) (ჯავახიშვილი 1983: 151)...

საინტერესო იქნება ამ ლექსიკის შესწავლა მათი ისტორიულ-ეტიმოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისით, რადგან ბევრი მათგანი, მართალია, დაფიქსირებული აქვს აკ. შანიძეს, ივ. ჯავახიშვილს, ივ. ქავთარაძეს..., მაგრამ მათი წარმომავლობის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ამჟამად ჩვენ გამოვყავით ჩეჩვა-დართვასთან დაკავშირებული ლექსიკა, რომლის ნაწილი საკუთრივ ქართულია და საერთო მთის დიალექტებისათვის (კრაველი, კუიშტავი, ძახვა...), ნაწილი კი ნასესხები (რუდა, ჩონგა...). ბევრ მათგანზე თავისი აზრი გამოთქმული აქვთ აკ. შანიძეს, ივ. ქავთარაძეს, ალ. ჭინჭარაულს, თ. უთურგაძეს, მ. სუხიშვილს, ირ. ქერქაძეს... საგულისხმოა, რომ ზოგიერთი სიტყვა იმავე მნიშვნელობით ან მცირეოდენი შინაარსობრივი განსხვავებით მთის კავკასიურ ენებშიც არის დადასტურებული.

ამჯერად არ ვისაუბრებთ იმ ტერმინებზე, რომელთა შესახებაც არაერთ მეცნიერს გამოუთქვამს აზრი, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რამდენიმე ნასესხებ სიტყვაზე.

რუდა (|| **რუნდა**) — გაჩეჩილი მატყლის მოზრდილი გუნდა, რომელსაც გრძელი, მსხვილი, ფუმფულა ძაფის სახეს აძლევენ, რომ მერე ჩონგები იოლად გაკეთდეს. „მატყლი იჩეჩება საჩეჩელზე, შემდეგ გაჩეჩილი მატყლი უნდა გამაირუდას, მამრე რუდები ჩონგებად უნდა გამაიშოს“ (მასალა ჩვენია). ამ სიტყვის წარმომავლობა ბუნდოვანია; შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი ნასესხებია რუსულიდან, სადაც **руда** „სისხლს, სისხლისფერს, მადანს“ აღნიშნავს.

საინტერესოა, რომ **rūd** (|| **rod**) დადასტურებულია ოსურსა და მთის ზოგ კავკასიურ ენაში (დარგულური, რუთულური, აღულური, თაბასარანული, ლეზგიური), სადაც „მსხვილ ნაწლავს“ ან „ნაწლავებს“ აღნიშნავს. ოსურში მნიშვნელობას ემატება „ძეხვი“-ც. როგორც ვ. აბაევი და ვ. ვიკანდერი მიუთითებენ, საანალიზო სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს საერთო ირანულ ***rauta** ფუძეს, შდრ.: სპარს. **rūda**, ფეხ. **rot**, **rōtik**, „მიგნეული, ნაწლავები“, ქურთ. **ruwī** „ნაწლავები“..., ირანულს გარდა, საინტერესოა, რომ იგივე ძირი დასტურდება შვედურში **rudda**, ანგლოსაქსონ. **rēada**, ინგლ. **read** „ფარშით დატენილი კუჭი“. ირანულიდან (ალანურის ან სპარსულის გავლენით) სიტყვა შესულია მთის კავკასიურ ენებში: დარგ. **rud**, რუთულ. **rud**, აღულ. **rud**, თაბასარ. **rad**; ლეზგ. **rad** „ნაწლავი“. ვიკანდერი თვლის, რომ ირანულში ***rauta** „ნაწლავები“ და ***rauta** „მდინარე“ (სპარს. **rōd**, ფეხლ. **rōt**) სიტყვების თანხმიანობა შემთხვევითი არაა, დამაკავშირებლად გვევლინება წარმოდგენა რაღაც მომდინარე ხვეულებზე“. (ვიკანდერი 1941: 56-57, აბაევი 1973: 428).

სავარაუდოა, რომ იგივე ძირი მოხეურში შემოვიდა ოსურის ან რომელიმე კავკასიური ენის გავლენით, მაგრამ მნიშვნელობის ცვლით. მოხეურში **გამორუდვა** ნიშნავს მატყლის ისეთ გამოშვებას, დახარისხებას, რომლის დროსაც მატყლი გრძელ, ფუმფულა ძაფად გამოდის, რომელიც შეიძლება ნართადაც დაიხვიოს, და რომელიც თავისი სიგრძითა თუ ფორმით ჰგავს გრძელ ნაწლავს.

ჩონგა (|| **ჩონგა**) — მკლავზე დახვეული დასართავი მატყლი. იგივე სიტყვა იმავე მნიშვნელობით დადასტურებულია მთიულურში. სავარაუდოა,

მოხეტურში შემოსული იყოს ოსურადან. ოსურში ძირი ნასესხებია სპარსულიდან. სპარს. **čang** „თათი“ — ოსურ. **cong** „ხელი, ტოტი“. მოხეტურ-მთიულურში ჩონგა სწორედ ხელზე (მკლავზე) წამოსაცმელი დახვეული მატყლია დასართავად გამზადებული.

მესამე საანალიზო ერთეულმა იმდენად მიიქცია ჩვენი ყურადღება, რამდენადაც მატყლთან არის დაკავშირებული და ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში არაერთხელ იჩინა თავი. ეს არის **გობანი**, რომელსაც მოხვევები მხოლოდ მატყლისაგან აკეთებენ. „გობნისთუი კი ნაქცსაც იყენებდიანკე, ეხლა აღარას ბედივნობენ — მატყლსაც იყენებენ და ნაქცსაც“ (მასალა ჩვენია). იგივე სიტყვა იმავე მნიშვნელობით გვხვდება რაჭულშიც.

სავარაუდოა, მოხეტურში ეს სიტყვა შემოსული იყოს ოსურის გზით, სადაც **goban** („ლეიბი“) იმავე ლეიბის აღმნიშვნელი სიტყვაა. “ როგორც ჩანს, მიეკუთვნება „მრგვალი“, „ფუმფულა“ სიტყვების ჯგუფს... შდრ. **gʷybyn** „მუცელი“, **gæbæt** „რუმბი“, შდრ. რაჭ. **gobani**, მოხ. **gobani**, ვაინახ. **guen** (კანონზომიერად ***goben**-იდან) „ლეიბი“, **g̃aiba** „ბალიში“... (აბაევი 1958: 521).

საინტერესოა, რომ მეგრულში **გვაბანა** არის „თბილი ტანსაცმელი ტომარის მსგავსი“, „თბილი ქვეშაგები“. გ ვ ა ბ ა ნ ა და გ ო ბ ა ნ ი აშკარად ერთ წყაროს გულისხმობს.

არის კიდევ რამდენიმე ტერმინი, საინტერესო თავისი აგებულებითა თუ წარმომავლობით. მსჯელობას მათ შესახებ უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ.

ლიტერატურა

- აბაევი 1958** — Абаев В. И., Историко-этимологический словарь, II, Москва.
აბულაძე 1973 — ძველი ქართული ენის ლექსიკონი.
ანდრონიკაშვილი 1966 — ნარკვევები ირანულ-ქართული ურთიერთობიდან, თბილისი.
დალი 1935 — Даль В., Толковый словарь, т. IV, Москва.
თედეევი 1988 — თედეევი ოლღა, ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.
იმნაიშვილი 1970 — ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ.: I, თბილისი.
სულხან-საბა 1991, 1993 — ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991, ტ. II, თბილისი.
სუხიშვილი 1998 — ჩიქობავას საკითხავები, IX, თბილისი.
უთურგაიძე 1976 — ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა, თბილისი.
ქავთარაძე 1985 — ქართული ენის მოხეტური ლექსიკონი, თბილისი.
ჯავახიშვილი 1983 — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. III, ნაწ. I, 1983, თბილისი.
ქინჯარაული 2005 — ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.
ვიკანდერი 1941 — Wikander, Vayu. Uppsala-Leipzig.

MAIA KOBIAHVILI

**On Some Terms Denoting Women's
Needle-Work in Mokhebian Dialect**

S u m m a r y

Women's needle-work is sufficiently developed in the mountain regions of Georgia. Vocabulary typical of cutting-out, embroidering, scutching-spinning or knitting was supplemented with basic Georgian or borrowed terms. Each direction of needle-work is characterized by special vocabulary, some of which produce a parallel to other mountainian dialects of Georgian language, and some – to the mountainian Caucasian languages.

We set an object to study this vocabulary with its historico-etymological and semantic meanings, because many of these terms are mentioned by A. Shanidze, I. Javak-hishvili, I. Kavtaradze..., but nothing is mentioned about their origins.

At present we chose the vocabulary of scutching and spinning, a part of which is Georgian and Common for dialects (e. g. **kraveli**; **kwishtavi**; **dzakava**...), and another part (**ruda**; **chonga**) is borrowed. It's noteworthy that some of the words are evidenced in the mountainian Caucasian languages, with the same meanings or with a little contextual differences.

რომან ლოლუა

**შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული
სტრუქტურის შესახებ**

ალბანური ლექციონარის აღმოჩენა 1995 წლის ნოემბერ-დეკემბრით თარიღდება. იმ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება მუშაობა მის ამოკითხვაზე.

2003 წელს გამოქვეყნდა ზ. ალექსიძის მონოგრაფია „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“, რომელიც ალბანური ლექციონარის შესახებ წინასწარ შენიშვნებს შეიცავს. ავტორი აღნიშნავს: “დღეისათვის მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია ალბანური “ლექციონარის” 40-მდე საკითხავის სათაური და იდენტიფიცირებულია 14 საკითხავი. თითოეული საკითხავიდან ჯერჯერობით ზუსტად დადგენილია მხოლოდ რამდენიმე მუხლის შესატყვისი ქართულ, სომხურ, ბერძნულ და სხვა ენებზე” (ალექსიძე 2003: 126).

ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ ალბანური ლექციონარის ამოკითხვის საქმეში ჩაერთვნენ ყ.-პ. მაე, ი. გიბერტი და ვ. შულცე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ საკითხის შესახებ რაიმე ხელშეხება შედეგი არ გამოქვეყნებულა. დღესდღეისობით ხელთ გვაქვს მხოლოდ ათამდე საკითხავის სათაურთა თარგმანი (ალექსიძე 2003: 132-133) და ერთი ამოკითხული ტექსტიც (II კორინთელთა 11, § 24-27; N/Sin 13, 76r- 77v – შულცე, “Toward a History of Udi”, ელექტრონული ვერსია, 2005).

ჩვენს მიერ დამუშავდა არსებული ალბანური მასალა. მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია ალბანური ლექციონარის საკითხავთა შემდეგი მუხლები: ეფესელთა 5, § 25-28 (N/Sin 13, 28v- 27r); I კორინთელთა 12, § 28-29 (N/Sin 13, 26r- 31v); საქმე მოციქულთა 12, § 1-2 (N/Sin 13, 56v- 57r); ებრაელთა 11, § 17-18 (N/Sin 13, 5r- 2v); მათე 17, § 1-5 (N/Sin 13, 13v- 10r); ებრაელთა 3, § 1-5 (N/Sin 55, 23r- 16v).

ამოკითხულ მასალაში შემდეგი მოვლენები შევნიშნეთ:¹

¹ შენიშვნები: ქვედა ხაზით მარცვლისა ან სიტყვის ფარინგალიზაციას აღვნიშნავთ, მაგ. წიფას.

() ფრჩხილებით – გრაფემის დაუდგენელ ფონემურ მნიშვნელობას.

[] ოთხკუთხედი ფრჩხილებით – აღდგენილ გრაფემებს (დაქარაგმებულ სიტყვებში, წაშლილ მონაკვეთებს... ასევე, ალბანურ ლექციონარში ხმოვნები, განსაკუთრებით აფიქსებში, ხშირად არ აღინიშნება გრაფიკულად, მათ შორის არც ქარაგმით, მაგ. **კ-ჟ-კ-ჩ-ჩ-ჩ-ჩ** ეკლესია[ა]-ხ[ო](კ) ეკლესია-აბლ.).

1. ფონეტიკა

დადგენილად შეგვიძლია ჩავთვალოთ ალბანური ანბანის 30 გრაფემის ფონემური მნიშვნელობა, ესენია: №1 **ა** (ა); №2 **ბ** (ბ); №3 **გ** (გ); №5 **დ** (დ); №6 **ე** (ე); №7 **ვ** (ვ); №9 **ზ** (ზ); №11 **თ** (თ); №13 **ი** (ი); №14 **ს** (ს); №15 **ლ** (ლ); №17 **ჩ** (ჩ); №21 **ც** (ც); №23 **ძ** (ძ); №29 **წ** (წ); №30 **ჭ** (ჭ); №31 **ხ** (ხ); №33 **ყ** (ყ); №35 **ო** (ო); №39 **რ** (რ); №40 **ჲ** (ჲ); №41 **ვ** (ვ); №42 **ქ** (ქ); №43 **ხ** (ხ); №44 **ც** (ც); №45 **ძ** (ძ); №47 **წ** (წ); №50 **ჭ** (ჭ); №51 **ყ** (ყ); №52 **ქ** (ქ).

ხმოვნებისა და სიბილანტთა აღნიშვნა ორ-ორი გრაფემით განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ფარინგალიზაცია (ჩვენი აზრით, მარცვლისა ან მთლიანად სიტყვის თვისება) ალბანური ანბანის შემდგენის ან შემდგენთა მიერ აღქმულ იქნა, ერთ შემთხვევაში – როგორც ხმოვნის თვისება, მეორეში კი – როგორც სიბილანტისა. ამას ადასტურებს ის, რომ ალბანურ ხელნაწერსა თუ ეპიგრაფიკულ მასალაში “მეორე რიგის” ხმოვნები (resp. ფარინგალიზებული ალოფონები) სიბილანტებთან ერთ მარცვალში არ გვხვდება³.

კავკასიის ალბანურის ფონოლოგიური სისტემა რეკონსტრუქციის შედეგად ასეთი სახით წარმოგვიდგება:

გოკალიზმი⁴:

	წინა რიგის	შუა რიგის	უკანა რიგის
ღია		ა	
საშუალო	ე		ო
ვიწრო	ი		უ⁵

² ეს გრაფემა, ჩვენი აზრით, ასევე ფარინგალიზებული ალოფონის აღმნიშვნელად (გ) უნდა გამოიყენებოდეს.

³ მეორე რიგის “ხმოვანი” გრაფემები [V²] (**ღ**, **ქ**, №25 “არ”, **წ**, **ჭ**) კავკასიის ალბანურში ისეთი სტრუქტურის ფარინგალიზებულ მარცვლებში გვხვდება, როგორცა: CV², V²C, V², CV²C, V²S!...

მეორე რიგის სიბილანტები [S²] (**ღ**, **ქ**, **წ**, **ჭ**, №28 “ჩაი”, **ყ** ან №32 “ჯაი”, **ღ**, **ქ**, **წ**) S²V¹, CS²V¹, S²V¹C... სტრუქტურის ფარინგალიზებულ მარცვლებში გვხვდება.

⁴ თითოეულს ფარინგალიზებული ალოფონი აქვს: ***ე**, ***ე**, ***ე**, **ე**, **ე** (* ვვარაუდობთ).

⁵ **უ** ბგერა და მისი ფარინგალიზებული ალოფონი (**უ**) დიგრამებით გადმოიცემოდა **ო-ი** (№35+№50); **უ-ი** (№47+№50).

კონსონანტიზმი⁶:

	ხშული			აფრიკატი			სპირანტი		სონორი
	მყლერი	ფშვინგ.	აბრუბტ.	მყლერი	ფშვინგ.	აბრუბტ.	მყლერი	ყრუ	
ლაბიალური	ბ	ფ	პ				ვ		ჟ, მ
დენტალური	დ	თ	ტ	**ძ	*ც	*წ	ზ	ს	ნ, რ
ალვეოლარული				*ჯ	ჩ	*ჭ	*ყ	შ	ჯ
შუაენისმიერი									ღ
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ				ღ	ხ	
ფარინგალური		*ჭ	ყ						
ლარინგალური			*ც					ჰ	
ლატერალური				*ღ	*ლ'	*ტ'			

ხშულთა და აფრიკატთა სამეულეებრივი სისტემა და უკანაწარმოების თანხმოვანთა სიმცირე სხვა ლეზიურ ენებთან შედარებით აახლოვებს კავკასიის ალბანურის ფონოლოგიურ სისტემას უდიურთან.

ვოკალიზმის სისტემა უდიურში, კავკასიის ალბანურთან შედარებით, გართულდა (წარმოიქმნა უმლაუტირებული და ე.წ. ირაციონალური ხმოვნები), ხოლო კონსონანტიზმის სისტემა გამარტივდა (დაიკარგა ლატერალები, ლარინგალური **ც**, ბილაბიალური **ფ**; ერთადერთი თანხმოვანი, რომელიც უდიურს დაემატა არის დენტოლაბიალური **ძ**). ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში, როგორც ჩანს, პოზიციური იყო, უდიურში კი ფარინგალიზაციამ დისტინქციური ფუნქცია შეიძინა.

ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკური პროცესებიდან დასტურდება: ხმოვანთა შემართვა: ანა-კე “რომელიც” > ჰანა-კე (როგორც ჩანს, გავრცელებული მოვლენაა); დიფთონგიზაცია: ვიჩი-ეხ “ძმას” > ვიჩი-ეფხ *ფ-ე-ი > ფ-ე-ი “თქვა” (ნამყო-კონკრეტული); ასიმილაცია: იჩი-აფ “თავისი” > იჩი-ეფ (ნაწილობრივი) > იჩი-ი (სრული), ბ[იხაჯუ]ლ-ოფ “ლმერთისა” > ბ[იხაჯუ]ლ-ეფ, ს-ომ “ერთხელ” < *სა-ომ; რედუქცია: ტურ-ღ-ოხო(ც) “მდინარეთაგან” < * ტურ-ულ-ოხო(ც); სპირანტიზაცია: ბუ-ჟანა “სიყვარული” > ხი-ბუ “მოყვარე”; უხ “ექვსი” < *უყ.

⁶ შენიშვნები: * ვვარაუდობთ; ** ძ აფრიკატი, როგორც ჩანს, მოშლის პირასაა მისული. უკანაენისმიერ (გ, ქ, კ; დ, ხ), ფარინგალურ (*ჭ, ყ), ლარინგალურ (ჰ) თანხმოვნებსა და სიბილანტებს (ძ, ც, წ; ზ, ს; ჯ, ჩ, ჭ, ყ, შ) აქვთ ფარინგალიზებული ალოფონები. სავარაუდოდ, ფარინგალიზებული ალოფონები უნდა ჰქონდეთ ლაბიალურ, დენტალურ თანხმოვნებსა და სონორებს. ამათგან, დაფიქსირებულია ბ და ნ ბგერები.

ბოხ-ეს “შენება” < *ბოყ-ეს, -ხა (ნაწილაკოვანი კავშირებითი I-ის [კატეგორიული] ფორმანტია) < -*ყა; თანხმოვანთა მონაცვლეობა: ანე/ჰანე “ეგ” – ჰამა-ტუნ-კე “მაგიც”, ელიზია-კონტამინაცია: ანა-ხ “მაგათ” < *ანე-უხ.

2. მორფოლოგია სახელთა ბრუნვა

სახელობითი ბრუნვა. ∅ (უნიშნო) – აღნიშნავს სუბიექტს გარდაუვალ ზმნასთან, მაგ., მუსხევს ჰუხუნ ნე “მოსე სარწმუნოა” (ზედმიწ. “სარწმუნო იგი”– N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 5)...

გვევლინება პირდაპირ ობიექტად გარდამავალ ზმნასთან, მაგ. ბიადან ა ყან ხიბ ტალავარ “გავაკეთოთ აქ? ჩვენ (ერგ.) ხუთი ტალავარი (კარავი) (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4)...

წოდებითი ფორმა ალბანურს არა აქვს და ამ ფუნქციას სახელობითი ითავსებს, მაგ. უხსონ ბუყანაბიდან ანე ჩიბუხ “ქმარო, შეყვარე ეგ ცოლი [Pl. tantum]” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 25)...

სახელობითის ფორმა ზოგჯერ, გენტივის ფუნქციითაც გვხვდება, მაგ. უხსონ ბუყანაბიდესა იჩად ჩიბუხ იჩად მარმინ ჰა(ჰ)ინკე “ქმარო, შეყვარებას (მიც.) თავისი ცოლისა, როგორც თავისი ხორცისა”, შდრ. ანალოგიური ქართული მონაკვეთი “ქმართა ცოლთა თვსთა სიყუარული, ვითარცა ხორცთა თვსთად” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 28)...

პურიუნ მაკობას ვიჩიებ იოჰანან “რათა მოეკლა (აბს.) იაკობი (მიც.), ძმა (მიც.) იოანესი (სახ.)” (N/Sin 13, 56v-57r; საქმე მოციქულთა 12, 2).

ერგატივი. ძირითადი ფორმანტია -ენ. ასრულებს რეალური სუბიექტის როლს გარდამავალ ზმნასთან, მაგ. ე(ჰ)აჰეყაინ იესუს-ენ პეტროსას “წაიყვანა (ან “გადაიყვანა”) იესომ პეტრე (მიც.)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1).

ქ[რისტო]ს-ენ ბუყანაბიდად ჰა(ჰ)ინკ ეკლესიას “როგორც ქრისტემ შეყვარა ეკლესია (მიც.)” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 25)...

უდიური ერგატივის მსგავსად ალბანური ერგატივიც ინსტრუმენტალისის ფუნქციით არის აღჭურვილი, მაგ. ბ[იხაჯულ-ენ] ავა “ღმერთით მყოფი (არსებული)” N/Sin 55, 23r-16v, ებრაელთა 3, 5)...

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებია -აჲ, -ოჲ, -ეჲ, -ან, -უნ... და უდიური გენტივის მსგავსი ფუნქციები აქვს, მაგ. ონე ღარ ბეზ-ი ბუყანადო “ეს შვილია ჩემი საყვარელი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4).

ჰეფესუნ-[ო]ჲ ბეშ-ი ქ[რისტო]ს-ან იესუს-ან “აღსარებისა ჩვენისა იესო (ნათ.) ქრისტესი” N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 1).

როგორც უდიურში, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი -უნ დერივაციულ აფიქსადაა გამოყენებული, მაგ. გოხ-უნ “დიდი”, ჰუხუნ-უნ “სარწმუნო”, “ჰეშმარტი”.

მიცემითი ბრუნვის ძირითადი ფორმანტებია -ა, -ან > -ეხ (უკანასკნელი ძირისეული ი/ჲ შემდეგ გვხვდება). მიცემითი ბრუნვა, მიცემით-სუბიექტიან ზმნებთან (verba sentiendi) სუბიექტს აღნიშნავს, მაგ., კე ბუყაე(ყ?)ე ვა “თუ გნებავს შენ (მიც.)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 3)...

მიცემითი ბრუნვით, სახელობითთან პარალელურად, პირდაპირი

ობიექტი აღინიშნება⁷, მაგ. ე(ჭ)აჰყაინ დ[ესუსენ **ბეტროს-ახ** უნ **იაკობ-ახ** უნ **იოჰანან-ახ ვიჩი-ეს** ოა “წაიყვანა (ან “გადაიყვანა”) იესომ **ბეტრე** (მიც.) და **იაკობი** (მიც.) და **იოანე** (მიც.) **ძმა** (მიც.) მისი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1)...

ასევე, მიცემითი ბრუნვით ირიბი ობიექტი აღინიშნება, მაგ. ბიამა **ჟან** ნიბ ტალავარ. სა **ვა**, სა **მუსეის-ა**, სა **ელია** (< ***ელია-ა**; ა+ა=ა) “გავაკეთოთ ჩვენ (ერგ.) ხუთი ტალავარი. ერთი **შენ** (მიც.), ერთი **მოსეს**, ერთი **ელიას**” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4)...

მიცემითი ხშირად გამოყენებულია გარემოების ფუნქციით, თანდებულის დაურთველად, მაგ. მარაკესუნუხ **ქალაქა** “ჭირის ნახვანი **ქალაქში**”, მარაკესუნუხ **კმაბანა** “ჭირის ნახვანი **უდაბნოში**” (N/Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 26).

თანდებულებიან ბრუნვათაგან უეჭველად დადგენილია **აბლატივი**. ის მიცემითზე დაყრდნობით იწარმოება უდიური აბლატივის მსგავსად და მისი ფორმანტია **ოხ-ო(ც)/ო(ც)**. აბლატივის ქართული –**გან** თანდებულის მსგავსი ფუნქცია აქვს, მაგ. მარაკესუნუხ **აბაზაკულ-ოხო(ც)** “ჭირის ნახვანი **ავაზაკთაგან**”. მარაკესუნუხ **ჰეთანოსულ-ოხო(ც)** “ჭირის ნახვანი **წარმართთაგან**” (N/Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 26).

კავკასიის ალბანურის აბლატივი უდიური აბლატივის მსგავსად შედარებით ხარისხსაც გამოხატავს, მაგ. **ეკოს-ახო(ც)** იხოფო კუ ბაალ ნენ “**სახლზე** (აბლ.) მშენებელს (სახ.) [მეტი] პატივი ექნება (ზედმიწ. პატივი იყოს მით (ჩგ. ნაცვ. – ერგ-ინსტრ.)” – N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

კავკასიის ალბანურში ატრიბუტულ სახელთა ბრუნებისას ბრუნვის ფორმანტს წინ ერთვის **ტ-** ელემენტი უდიურის მსგავსად, მაგ. ჰამა-**ტუნ** “იმის”, ჰამოს-**ტან**-კე “ვისგანმე” (ნათესაობითი ბრ. ფორმა). ეს ელემენტი შესაძლოა **ტე** “ის”, “იგი” ნაცვალსახელისაგან მომდინარეობდეს (ჭეირანიშვილი 1971, 69), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამდგვარი ნაცვალსახელი კავკასიის ალბანურში ვერ შევნიშნეთ.

მასუბსტანტივებელი სუფიქსია **-ო**, მაგ., იხოფ-**ო** “მშენებელი”, ბუყანაფ-**ო** “საყვარელი”. **-ო** სუფიქსი ამდგვარ ფუნქციას უდიურშიც ასრულებს, მაგ., ბიყალ-**ო** “მშენებელი”, ბუყალ-**ო** “საყვარელი”...

⁷ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კავკასიის ალბანურში ორი (ალექსიძე 2003, 152) ან სამი მიცემითი (შულცი 2005) უნდა გვექონდეს. “მეორე” მიცემითის, ან ზ. ალექსიძის მიხედვით, მიცემითი I –ის ფორმანტია **-ახ** და ის პირდაპირ დამატებას უნდა აღნიშნავდეს. ეს მოსაზრება შემოწმებას საჭიროებს. ზ. ალექსიძე **-ა** ფორმანტიან მიცემითს ადგილობრივ ბრუნვად მიიჩნევს, ხოლო “ძირითადი” მიცემითის ფორმანტად **-უნ** სუფიქსი აქვს აღნიშნული (ალექსიძე 2003, 152). ორივე შემთხვევაში ეს უმართებულოდ მიგვაჩნია. **-ა** ფორმანტიანი მიცემითში დასმული სახელი გრძობა-აღქმის აღნიშვნელ ზმნებთან სუბიექტს, აგრეთვე ირიბ დამატებასაც გამოხატავს და, შესაბამისად, ნამდვილად მიცემით ბრუნვას წარმოადგენს, ხოლო **-უნ** უეჭველად ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია. ვ. შულცი კი მეორე დატივის უდიურ მასალაშიც გამოყოფს, რასაც ასევე არ ვეთანხმებით. უდიურში **-ა** ფორმანტიან და **-ახ** ფორმანტიან მიცემითს იდენტური ფუნქციები აქვს. ორივე ერთნაირად იხმარება სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტების აღსანიშნავად და ლოკატივის მნიშვნელობით. ასევე საყურადღებოა მიცემით-სუბიექტიანი ზმნების **-ზახ**, **-მახ**, **-ვახ**, **-ჯახ**, **-ტუხ**, **-ყოხ** პირის ფორმანტები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისტორიულადაც უდიურში ერთი მიცემითი უნდა გვექონოდა.

მრავლობითის ფორმანტია **-უხ/ -უღ** (საფიქრებელია, რომ **-უღ** მეორეულია, იგი გამჟღერების შედეგადაა მიღებული). ბრუნებისას მრავლობითის სუფიქსი ყოველთვის წინ უსწრებს ბრუნვის ფორმანტს.

ამრიგად, განხილული მასალის მიხედვით, კავკასიის ალბანურის სახელთა ბრუნების სისტემას დიდი სიახლოვე ახასიათებს უდიურთან, როგორც ფორმანტთა მხრივ, ასევე ბრუნვითა ფუნქციების მხრივაც. ერთგვარ თავისებურებას იჩენს სახელობითი ბრუნვა.

რიცხვითი სახელი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები ლექციონარში ნაკლებად გვხვდება. ეს განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ, როგორც წესი, რიცხვი ასობგერათა საშუალებით აღინიშნება.

რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან დაფიქსირებულია **სა** “ერთი”, **ხიბ** “სამი”, შდრ. უდიურის **სა** “ერთი”, **ხიბ** “სამი”.

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება **-არ** სუფიქსით გართულებულ ან მისსავე სუბლექტურ ფუძეზე **-უნ/-ინ** წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის დართვით, მაგ., **სერბა-უნ** “პირველი”, **ხიბ-არ-უნ** “მეორე”, **პურან-ინ** “მესამე”, შდრ. პალიმფსესტში დაფიქსირებულს: **სა** “ერთი”, **ხიბ** “სამი”. უდიურში რიგობით რიცხვით სახელს სუფიქსი **-უმ-ჯი/-უნ-ჯი** აწარმოებს, თუმცა დასტურდება **-უნ** სუფიქსიანი წარმოებაც, მაგ. **სა-უნ** “პირველი”, **ჰა-უნ** “მეორე”, **ხიბ-უნ** “მესამე”...

ჭერობის რიცხვითი სახელი იწარმოება **-ომ** სუფიქსის დართვით, მაგ. **ს-ომ** < ***სა-ომ** “ერთხელ”, “ერთგზის”; **ხიბ-ომ** “სამჯერ”, “სამგზის”; **ხუ-ომ** “ხუთჯერ”, “ხუთგზის”.

თვლის სისტემა კავკასიის ალბანურში, როგორც ჩანს, ოცობითი იყო. ამას ადასტურებს ფორმა **ზ(ს?)ჟჟ - პ[?]ა-ყ[?]** “ორმოცი” – შდრ. უდიურს: **ჰა-ყო** (ვართ./) **ჰა-ყა** (ნიჯ.) “ორმოცი” (ზედმიწ. “ორი”+ “ოცი”). ეს რიცხვითი სახელი ისეთ წინადადებაში გვხვდება, რომ მისი ლექსიკური მნიშვნელობა შეგვიძლია დადგენილად ჩავთვალოთ – ვაჩარ[ულ]ონო(ც) ხუმ **პ[?]ა-ყ[?]** სა ჰიმიყანა ჰეყ[-] “ებრაელთაგან ხუთჯერ **ორმოცსა** ერთს (სახ.) მოკლებული” (N/Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 24), შდრ. ქართულს: “ჰურიათაგან ხუთ გზის ორმოცსა ერთ მოკლებული ცემაჲ მივიღე”.

ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელები.

I	I	II	II
მხ.	მრ.	მხ.	მრ.
სახ. ზუ	სახ. ყან	სახ. იან?	სახ. ?
ნათ. ბეზი	ნათ. ?	ნათ. ვი	ნათ. ?
მიც. ზა/ზახ	მიც. ?	მიც. ვა/*ვახ	მიც. ?

მესამე პირის ნაცვალსახელთა საკითხი ბოლომდე არ არის გარკვეული. ვფიქრობთ, რომ პალიმფსესტში III პირის ნაცვალსახელია მხოლოდობითში **ონე**, ხოლო მრავლობითში **ონე-უნ**, მაგ., **ონე** ილუკაპა მატუნ კეჰე “ვიდრე ის იმას იტყოდა” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 2);

ჰამბოკედი **ონე-უნ** “აიყვანა **იხინი**” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4).

ჩვენებითი ნაცვალსახელები შემდეგი სახით წარმოგვიდგება: **ონე** (I პირთან), მაგ., **ონე** ღარ ბეზი ბუყანადო “**ეს** შვილია ჩემი საყვარელი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 5);

ანე (II პირთან), მაგ., უბსონ ბუყანაბიდან **ანე** ჩიბუხ “ქმარო, შეიყვარე **ეგ** ცოლი” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25);

ნე (III პირთან), მაგ., მუსემს ჰუახუნ **ნე** “მოსე სარწმუნოა (ზედმიწ. “სარწმუნო იგი”) (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი. პირველი პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა ფორმა იმავე პირის ნათესაობითში დასმულ პირის ნაცვალსახელთა ფორმას ემთხვევა, მაგ., **ონე** ღარ **ბეზი** ბუყანადო “**ეს** შვილია **ჩემი** საყვარელი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 5);

ჰეფესუნ[ო]დ **ბეში** “აღსარებისა **ჩვენისა**” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 1), შდრ. უდიური **ბეზი** “ჩემი” და **ბეში** “ჩვენი.

III პირის კუთვნილებით ნაცვალსახელად მხოლოდობითში დასტურდება – **ოდა**. როგორც ჩანს, ეს ფორმა სამივე პირთან უნიფიცირებულია, რაც გვაფიქრებინებს მის III პირის ნაცვალსახელისგან (**ონე**) წარმომავლობას, მაგ. დოჰანანახ ვიჩიხ **ოდა** “იოანე (მიც.) ძმა (მიც.) **მისი**” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 2);

მუსემს ჰა(ჭ)ინკე ლუ(ს)უ კოსა **ოდა** “როგორც (ვითარც) მოსე, ყველა **მის** სახლში (მიც.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 2).

II პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა საკითხი არ არის გარკვეული.

კუთვნილებით ნაცვალსახელად უნდა მივიჩნიოთ **იჩა** “თავისი”. აქ სამი ფონეტიკური ვარიანტი გვაქვს: **იჩა** > **იჩე** (ნაწილობრივი ასიმილაცია) > **იჩი** (სრული ასიმილაცია), მაგ. უბსონ ბუყანაბიდეა **იჩა** ჩიბუხ **იჩა** მარმინ ჰა(ჭ)ინკე “ქმარო, შეყვარებას **თავისი** ცოლისა, როგორც (ვითარც) **თავისი** ხორცისა (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 28);

იჩე ბულ თ[ა]ფადე “**თავისი** თავი მისცა” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25).

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. ამგვარი ფუნქციით გვესახება **ლუ(ს)უ** “ყველა” და **(ც)ეხ** “ყოველი”, მაგ., მუსემს ჰუახუნ **ნე** **ლუ(ს)უ** კოსა **ოდა** “მოსე სარწმუნოა (ზედმიწ. სარწმუნო იგი) **ყველა** მის სახლში (მიც.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 5).

(ც)ეხ კოს ბოხოხა “**ყოველი** სახლი უეჭველად შენდება (კატეგ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 3).

მიმართებითი ნაცვალსახელი. საფიქრებელია, რომ ამდაგვარი ფუნქცია აქვს – *ანა/ *ჰანა “რომელი” (აღდგენილი სახელობითის ფორმა), მაგ., პო[ც?]ე ე(ც)ეხ ბიად **ჰანა-(ც)** “ხოლო **რომლისგან** (აბლ.) ყოველივე გაკეთდა” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

ბუყანაბა **ჰანა-მ** ოენ “**რომელს** (ნათ.) უყვარს ის...” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 28).

ზმნა

ზმნის დრო-კილოგებიდან დადგენილია: **აწმყო**, მისი მაწარმოებელია **-ა** სუფიქსი, მაგ., ჰუანუნ ჰანამოქე **ბა-ა** “რომელიც სარწმუნო **არის**” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 1).

აწმყოს მაწარმოებელი ხშირად იკვეცება, როცა ზმნის ფუძე **ა** ხმოვანზე არის დაბოლოებული, მაგ., იხუგოხუნ აბუ იჰ[ე]ანაკე **ვა** მუსედსახ[ო(ც)] “რამეთუ მეტი დიდების მქონე **არის** მოსეზე (აბლ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4). აქ საფიქრებელია ***ვა-ა** > **ვა**, შდრ. წინა **ბა-ა**. შდრ. აგრეთვე, უდიურის აწმყოს მაწარმოებელი **-ა**, მაგ., ბაქ-ს-**ა**-ნე “არის”....

ალბანურ ლექციონარში დასტურდება ფორმა, რომელიც სავარაუდოდ, **აწმყო-კონკრეტულად** უნდა მივიჩნიოთ, მაგ., კე **ბუყაე(ც?)ე** ვა “თუ **გსურს (გნებავს)** შენ (მიც.)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 3), შდრ. ანალოგიური ქართული მონაკვეთი – “და თუ გნებავს” (კავკასიის ალბანურში ეს ზმნა კომპოზიტივიც გვხვდება, შდრ. **ბუყანა**-ბიფეს “სურვილის კეთება” > “შეყვარება”; **ბუყანა**-ბა “სურვილის ქონა” > “ყვარება”; შდრ. აგრეთვე, უდიური **ბუყე-ეს/ბუყე-ესუნ/ბუყე-სუნ** “ყვარება”, “ნდომა”, “წადილი”, “სურვილი”, “მოსურვება”).

აწმყო-კონკრეტულის მაწარმოებელი აფიქსი უნდა იყოს **(ც?)ე/ჰე**, რომელიც, წარმოშობით, საფიქრებელია, რაიმე მეშველ ზმნას უნდა წარმოადგენდეს.

ალბანურ ლექციონარში შესამჩნევია ნამყო დროის სამი ფორმა. პირობითად ვუწოდებთ მათ **ნამყო I-ს**, **ნამყო II-ს** და **ნამყო III-ს**.

ნამყო I იწარმოება აწმყოს ფორმაზე **მ/ი** სუფიქსის დართვით, მაგ., ქ[რისტო]სენ **ბუყანაბი-ა-მ** ჰა(ჰ)ინკ ეკლესიას “როგორც (ვითარც) ქრისტეს (ერგ.) **შეუყვარდა** ეკლესია (მიც.)” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25);

პო(ც?)ე ე(ც)ეხ **ბი-ა-მ** ჰანა(ც) “ხოლო რომლისგან ყოველივე **გაკეთდა**” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

ნამყო II იწარმოება ზმნის ძირზე **ე/ე** სუფიქსის დართვით, მაგ., იჩე ბულ **თ[ა]ფად-ე** “თავისი თავი **მისცა**” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25);

ჰაიბოკ-ე ოენუხ “**აიყვანა** ისინი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1).

ამ ფორმებს თავისი წარმოებითა და ფორმანტებით პარალელები ეძებნება უდიურის ნამყო-უწყვეტელთან და ნამყო-წინარეწარსულთან. უდიური ნამყო-უწყვეტელი ასევე აწმყოს ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **მ/ი** სუფიქსის დართვით. განსხვავება ის არის, რომ უდიურში აწმყო და ნამყო-უწყვეტელი დროები **-ეს** ფორმანტიან მასდარის (მასდარი I) ფორმაზე იწარმოებიან, მაგ., **ბ-ეს-ა-(ნე)** “აკეთებს”, **ბ-ეს-ა-(ნე)-მ** “აკეთებდა”, მაშინ როდესაც კავკასიის ალბანურში აწმყოსა და ნამყო I-ის ფორმანტები უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის.

კავკასიის ალბანურის ნამყო II კი უდიურის ნამყო წინარეწარსულის იდენტურად იწარმოება, შდრ., უდიური **ქარნ-ეს/ქარნ-ესუნ** “ცხოვრება” (მასდარი) > **ქარ-(ზუ)-ნ-ე** “ვიცხოვრე”, “მიცხოვრია”.

ვეფიქრობთ, რომ ნამყო I იმპერფექტი უნდა იყოს, ხოლო ნამყო II პერფექტი. ნამყო I-ზე მოყვანილი მაგალითები თითქოსდა სრული ასპექტის გაგებას გვაძლევს, მაგრამ შესაძლოა აქ უწყვეტი მოქმედება გვქონდეს (ქრისტეს შეუყვარდა და უყვარს დღესაც; ღმერთისგან გაკეთდა და არსებობს დღესაც).

ნამყო III იწარმოება ნამყო I-ის ფორმაზე –**ნ** სუფიქსის დართვით. ზოგჯერ ეს ფორმა ნამყო II-ს მსგავს კონტექსტში იხმარება, მაგ., **ე(ჭ)აჭყე-ა-ნ** დ[ესუ]სენ პეტროსას უნ დაკობას უნ დოჰანანას ვიჩიებ ოდა. **ჰაიბოკ-ეი** ოენუხ **“წაიყვანა** (ან **გადაიყვანა**; ნამყო III !) იესომ პეტრე (მიც.) და იაკობ (მიც.) და იოანე (მიც.) ძმა (მიც.) მისი. **აიყვანა** (ნამყო II !) ისინი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1).

სავარაუდოდ, აქ აორისტი უნდა გვქონდეს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ამ ფორმით ზოგჯერ, დროში გაურკვეველი მოქმედება აღინიშნება, მაგ., ქულ **ბი-ა-ნ** “ხელი **მიჭყო** (ზედმიწ. “აკეთა”?)” (N/Sin 13, 56v-57r; საქმე მოციქულთა 12, 1), ანდა შესაძლებელია სულაც მყოფად აღნიშნავდეს, მაგ., **ბი-ა-ნ** ა ჟან ხიბ ტალავარ **“გავაკეთოთ** აქ? ჩვენ (ერგ.) ხუთი ტალავარი (კარავი) (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4)...

ეჭვს აღძრავს ის, რომ უდიურში აორისტის ორივე ფორმა (აორისტი I –უსრული ასპექტისა და აორისტი II – სრული ასპექტისა) უშუალოდ ზმნის ფუძისაგან და არა ნამყო-უწყვეტელის ფორმისაგან იწარმოება, მაგ., **ბ-ი-ნე** “აკეთა” (აორისტი I), **ბ-ე-ნე** (აორისტი II). კავკასიის ალბანურში აორისტის არსებობის შესახებ ვარაუდი უნდა შემოწმდეს.

მყოფადი იწარმოება ზმნის ფუძეზე –**ალ** სუფიქსის დართვით, მაგ., ეფუხ მუ(წ)ურ **ბა-ალ** ანკე ოენ “რათა წმინდა **ჰყოს** (ზედმიწ. **იყოს** რომელიც) ის” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 26);

ეკოსახო(ც) იხოდო კუ **ბა-ალ** ნენ “სახლზე (აბლ.) მშენებელს (სახ.) [მეტე] პატივი **ექნება** (ზედმიწ. პატივი **იყოს** მით; ჩგ. ნაცვ. –ერგ–ინსტრ.”– N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

საფიქრებელია, რომ ხშირ შემთხვევაში, მყოფადი სუბლექტური ფორმებითაც იწარმოება, მაგ., ზუ ვა **ბალა** “მე (ერგ.) შენ (მიც.) **გავაკეთებ**”? (წარწერა №4 მანდალზე), **ო(ჭ)რ** “**იქნება**”?.

უდიურის ნაწილაკოვან-კავშირებითი I–ს ანალოგი, ანუ კატეგორიული (ამ კილოს მაწარმოებელი –**ხა** არც ნაწილაკის და არც კავშირის ფუნქციით კავკასიის ალბანურში ჯერჯერობით არ დასტურდება) იწარმოება –**ხა** ფორმანტის დართვით, მაგ., (ც)ეხ კოს **ბოხო-ხა** ანაკე **ბოხო-ხა** ჰამოსტანკე “ყველა სახლი **უეჭველად შენდება**, რომელიც **უეჭველად შენდება** ვისგანმე” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4), შდრ. უდიური ნაწილაკოვან-კავშირებითი I–ს მაწარმოებელი –**ყა**, მაგ., ბი-ყა-(ნ) “**უეჭველად** გააკეთოს”.

ბრძანებითი კილო იწარმოება აწმყოს ფორმაზე –**ნ** სუფიქსის დართვით, მაგ., უბსონ **ბუყანაბი-ა-ნ** ანე ჩიბუხ “ქმარო, **შეიყვარე** ეგ ცოლი [pl. tantum]” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 25).

სახელწმნური ფორმები

მასდარი. უდიურის მსგავსად, კავკასიის ალბანურსაც მასდარის ორი

ფორმა აქვს. **მასდარი I** იწარმოება ზმნის ფუძეზე **-ეს** სუფიქსის დართვით, მაგ., უსბონ **ბუყანაბი-ეს**-ა იჩად ჩიბუხ იჩად მარმინ ჰა(ჭ)ინკე “ქმარო, შეყვარებას (მიც.) თავისი ცოლისა, როგორც თავისი ხორცისა”, შდრ. ანალოგიური ქართული მონაკვეთი “ქმართა ცოლთა თჳსთა სიყუარული, ვითარცა ხორცთა თჳსთად” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 28).

მასდარი II იწარმოება **-ეს** ფორმანტიან მასდარზე (მასდარი I) **-უნ** სუფიქსის დართვით, მაგ., **მარაკ-ეს-უნ-უნ** ჭალაქა “ჭირის ნახვანი ქალაქში”, **მარაკ-ეს-უნ-უნ** კუბანა “ჭირის ნახვანი უდაბნოში” (**მარაკ-ეს-უნ** –კომპოზიტი; მარ “ჭირი”, შდრ. უდ. მარ “ჩირქი” + **აკ-ეს-უნ** “ნახვა”, შდრ. უდ. **აკ-ეს-უნ/აკ-ეს-უნ** “ნახვა”, “ხედვა”– Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 26).

იდენტურად იწარმოება და იგივე ფუნქციები აქვს მასდარს უდიურში, შდრ. მასდარი I-ს მაწარმოებელია **-ეს**, ხოლო მასდარი II-სი **-ეს-უნ**, მაგ., **ბ-ეს/ბ-ეს-უნ** “კეთება”.

მიმღეობა. განიჩევა ორი ტიპის მიმღეობა, რომლებიც, საფიქრებელია, მხოლოდ გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტთა დისტრიბუციით განიჩევიან. პირველი ყოველთვის სუბსტანტივია (მასუბსტანტივებელი **-ო** სუფიქსის დაურთველად) და იწარმოება ზმნის ძირზე გრამატიკული კლასის სუფიქსის დართვით⁸, მაგ., იხოგოხუნ **ა-ბუ** იჰ[ე]ანაკე ვა მუსედსახ[ო(ც)] “რამეთუ მეტი დიდების მქონე არის მოსეზე (აბლ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 2);

ოენკე ბ[იხაჯუ]ლ[ენ] **ა-ვა** “ისიც ღმერთით **მყოფია (არსებულია)**” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4);

კე **ხი-ბუ** [-?] იჩეა ბულ ბუყანაბა ოენ “თუ **მოყვარეა** [ცოლისა], იმას (სახ.) თავისი თავიც (სახ.) უყვარს” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 28).

მიმღეობის მეორე ტიპს ახასიათებს ის, რომ კლასის ფორმანტი მასში სუფიქსისა და პრეფიქსის სახითაც გვხვდება, მაგ., ეკოსახო(ც) **ი-ხო-ო-ო** კუ ბაალ ნენ “სახლზე (აბლ.) **მშენებელს** (სახ.; შდრ. ბო-ხო-ხა “შენება”-კატეგ.) [მეტი] პატივი ექნება (ზედმიწ. პატივი **იყოლ** მით; ჩვ. ნაცვ. – ერგ–ინსტრ.”– N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4);

ონე ღარ ბეზი **ბუყანა-ო-ო** “ეს შეილია ჩემი **საყვარელი** (შდრ. **ბუყანა** “ყვარება”)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 5).

ეს ორი მიმღეობა, საფიქრებელია, ნამყო დროისაა (თუმცა აწმყოშიც გამოიყენება) და საკუთარი მაწარმოებელი, როგორც ჩანს, არა აქვს.

აბსოლუტივი. უდიურში არსებული ოთხი აბსოლუტივიდან კავკასიის ალბანურში დასტურდება ორი:

პირველი უდიური აბსოლუტივი I–ს მსგავსი მნიშვნელობით იხმარება და მას აწარმოებს **-ნუნ/*უნ** სუფიქსი, მაგ., **პური-ნუნ** აკობახ ვიჩიხ მოჰანან “**რათა მოეკლა (მოსაკლავად)** იაკობი (მიც.), ძმა (მიც.) იოანესი (სახ.)” (N/Sin 13, 56v-57r; საქმე მოციქულთა 12, 2), შდრ. უდიური **პური** “მკვდარი” და

⁸ როცა ზმნა მარკირებულია კლასის აღმნიშვნელი პრეფიქსით, ამ მიმღეობის წარმოებისას ის პრეფიქსი მას არ გადაყვება, მაგ., **ბი-ეს** “კეთება” > ***ბი-ბი** > **ი-ბი** “მკეთებელი” (წარწერა მანდალზე №2); **ბუყანა** “სურვილი”, “ყვარება” > **ხი-ბუ** “მოყვარე”.

აბსოლუტივი I-ს მაწარმოებელი **-ან**.

მეორე აბსოლუტივი უდიუთი აბსოლუტივი IV-ს მსგავსი მნიშვნელობისაა და მისი მაწარმოებელია **-ნაუნ/*აუნ**, მაგ., უხ **არე-ნაუნ** ე(ჭ)აჰყადან ე[ესჟ]სენ პეტროსახ... “ექესი [დღის] **გასვლისას** წაიყვანა (ან გადაიყვანა) იესომ პეტრე (მიც.) (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1), შდრ. უდიუთი **არე-ნე** “მოვიდა”, **არ-ი** “მოსული” და აბსოლუტივი IV-ს მაწარმოებელი - **ტან/ატან**.

ამ ორი აბსოლუტივის ფორმანტა ფონეტიკური სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ ერთი და იმავე წარმომავლობის ფორმასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ზმნის უღვლილება

ვ. შულცემ წამოაყენა დებულება კავკასიის ალბანური ზმნის პიროვანი უღვლილების შესახებ და წარმოგვიდგინა პირის ნიშანთა სისტემა. მისი აზრით, უდიუთის მსგავსად, კავკასიის ალბანური ზმნა მონოპერსონალურია (მხოლოდ სუბიექტის პირს აღნიშნავს) და მას შემდეგი პირის ფორმანტები უნდა ჰქონოდა: I მხ. **-ზუ**; II მხ. **-ნუნ**; III მხ. **-ნ(ე)**; I მრ. **-ჟან**; II მრ. **-ნან**; III მრ. **ნ-ღურ** [გარდაუვალ ზმნებთან] **ნ-ღრონ** [გარდამავალ ზმნებთან] (შულცე 2004, 437).

მკლევრის აზრით, კავკასიის ალბანურს პიროვანი უღვლილების ისეთივე სისტემა უნდა ახასიათებდეს, როგორც უდიუთს, იმ განსხვავებით, რომ უდიუთში პირის ფორმანტი ენკლიტიკა ან ენდოკლიტიკა, ხოლო კავკასიის ალბანურში ის ყოველთვის ენკლიტიკას წარმოადგენს⁹ (შულცე 2004; შულცე 2005).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში პირის მიხედვით ზმნის ცვლილების ერთი ფაქტიც ვერ შევნიშნეთ და, შესაბამისად, ვ. შულცეს მიერ წარმოდგენილი პირის ნიშნებიც ვერ დავადასტურეთ.

საინტერესოა, რომ ვ. შულცე თავის მიერ მოყვანილ ალბანურ მასალაში¹⁰ “პირის ფორმანტს” ზმნაში მხოლოდ ორჯერ აფიქსირებს (sic!). პირველი მაგალითის – ისკაპოსენ **ბიამა-ნ** “ეპისკოპოსმა **გააკეთა**” (“**კეთება**”-ნამყო-III მხ. ვ. შულცეს მიხედვით –შულცე 2005, 16) შესახებ უნდა ითქვას, რომ აქ ჩვენი აზრით, აორისტის ფორმა უნდა იყოს და **-ნ** აორისტის მაწარმოებლად გვესახება. უეჭველია, რომ ეს აფიქსი არ წარმოადგენს პირის ნიშანს. ამას ადასტურებს ის, რომ ზოგჯერ ამ ფორმას სუბიექტი I ან II პირში აქვს, მაგ., **ბიამა-ნ** ა უნდ ხიბ ტალავარ “**გავაკეთოთ** აქ? ჩვენ (ერგ.) ხუთი ტალავარი (კარავი) (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს “**გქმნეთ** აქ სამ ტალავარ”... ზმნაში პირის უღვლილება რომ გვქონოდა, როგორც წარმოუდგენია ვ. შულცეს, მაშინ ეს წინადადება ასეთი სახის იქნებოდა: **ბიამა-ნ[V]-ჟან** (ან **ბიამ-ე-ჟან**; -ე ვ. შულცეს აზრით, აორისტი II-ს მაწარმოებელია) ა (**ჟან**) ხიბ ტალავარ.

-ნ სუფიქსი, აორისტის გარდა, ბრძანებითი კილოს მაწარმოებლადაც

⁹ ვ. შულცე იზიარებს ა. ჰარისის თეორიას იმის შესახებ, რომ უდიუთში პირის ფორმანტები კლიტიკებს წარმოადგენენ და არა აფიქსებს – ჰარისი 2002.

¹⁰ “მინგეჩაურის” წარწერები და ალბანური ლექციონარის Sin 13, 76r-77v; II კორინთელთა 11, 24-27; დაახ. 100 სიტყვის შემცველი, მათ შორის 15 ზმნის დრო-კილოიანი ფორმაა

გვესახება, მაგ., უბსონ **ბუყანაბია-ნ** ანე ჩიბუხ “ქმარო, **შეიყვარე** ეგ ცოლი [pl. tantum]” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 25). თუ დავუშვებთ კავკასიის ალბანური ზმნის პიროვან უღვლილებას, მაშინ ასეთი წინადადება უნდა მიგვეღო: უბსონ **ბუყანაბია-ნ[V]-ნუნ** ანე ჩიბუხ.

ასევე არ არის დამაჯერებელი ვ. შულცეს მიერ წარმოდგენილი მეორე მაგალითიც – ზუ ღი უნ შუ ბგლალიდოხ **მარღი-ზუ-ჰე** “მე დღე და ღამე სიკვდილს ვითმენდი” (“**მოთმენა**”–**I მხ.** –აორ. II ვ. შულცეს მიხედვით – შულცე 2005, 9; იქვე, 20). აქ საეჭვოა, როგორც წინადადების თარგმანი (შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს “ღამე და დღე უფსკრულთა შინა დაყავ”– II კორინთელთა 11, 25), ასევე წარმოდგენილი ზმნის ფორმა – **მარღი-ზუ-ჰე** (მას პარალელი არ მოეპოვება, შდრ. უდიური **ფორთბ-ეს/ფორთბ-ესუნ** “მოთმენა” > ზუ **ფორთ-ზუ-ბ-ე** “ვითმენდი”). აქედან გამომდინარე, **ზ/ზუ**, რომელიც ვ. შულცეს აზრით I პირის ფორმანტია მხოლოდობითში, შესაძლებელია ძირისეულად მივიჩნიოთ, მაგრამ მართებულად სხვა ახსნა მიგვაჩნია: წინადადების პირველი წევრი **ზუ** “მე”, წინამავალ წინადადებას უნდა მივაკუთვნოთ – **ხიბომ ნცაჟიჟაცე ჰე** “სამგზის მოვხვდი გემის შეჯახებაში”, რომელშიც არც ქვემდებარე, არც დამატება და არც ზმნის “პიროვანი” ფორმა არ გვაქვს¹¹ –sic ! (შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს – “სამ გზის ნავი დამექცა”), ხოლო მეორე **ზუ**, ასეთ შემთხვევაში, “ჩვეულებრივ” I პირის ნაცვალსახელად უნდა მივიჩნიოთ. ნაცვალსახელ **ზუ** “მე”–ს მომდევნო **ჰე** ელემენტი, რომელიც ვ. შულცეს აზრით აორისტი II–ს მაწარმოებელია¹², მეშველ ზმნას უნდა წარმოადგენდეს, შდრ. ანალოგიურს წინამავალ წინადადებაში.

შეგვიძლია დავუშვათ, რომ III პირი კავკასიის ალბანურში ჩამოყალიბების პროცესში იყო და ხშირად არ აღინიშნებოდა ზმნაში, მაგრამ ვერანაირ ახსნას ვერ მოგუძებნით იმას, თუ რატომ არ ირთავს ზმნა I და II პირის ფორმანტებს (იხ. მოყვანილი მაგალითები). აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ კავკასიის ალბანური ზმნა პირის კატეგორიას არ განარჩევს.

გრამატიკული კლას-კატეგორიის საკითხი

ევგ. ჯეირანიშვილმა უდიურში გამოავლინა თავკიდური უფუნქციო, ზმნის ძირთან შეზრდილ ელემენტთა მთელი წყება, კერძოდ: **ა-, ე-, უ-, უჰ-, ბა-, ბი-, ბო-, ბოჰ-, ბუ-** და სხვა. ეს ელემენტები, ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქვევებული ფორმანტები უნდა იყოს (ჯეირანიშვილი 1956; ჯეირანიშვილი 1971, 112-113).

ვფიქრობთ, რომ კავკასიის ალბანურ ზმნას ჯერ კიდევ ახასიათებდა კლასოვანი უღვლილება და ჩვენს ხელთ არსებულ ალბანურ მასალაზე დაყრდნობით, ევგ. ჯეირანიშვილის მიერ წარმოდგენილ კლასის ფორმანტთა სიას (თუმცა საეჭვოა, რომ **ა-, ე-** პრეფიქსები კლასის ნიშნები იყონ) შეგვიძლია მივუმატოთ **ვ, ვა > ო, ო, ოა** აფიქსები.

¹¹ წინამავალი წინადადება, ვ. შულცეს მიხედვით, ჯერობის რიცხვითი სახელისგან [**ხიბომ**] “სამგზის”, ზმნისა [**ნცაჟიჟაცე**] “გემის შეჯახება”-ნამყო და მეშველი ზმნისაგან [**ჰე**] “ყოფნა”-ნამყო I შედგება.

¹² ამდგარი ფორმა და, შესაბამისად, მისი მაწარმოებელიც, კავკასიის ალბანურში ვერ დავიმოწმეთ.

დღეს ლეზგიური ქვეჯგუფის ათი ენიდან შვიდი ენა გრამატიკულ კლას-კატეგორიას განარჩევს. ლეზგიური ენებისათვის დამახასიათებელია კლასის ფორმანტთა სიმრავლე¹³. საფიქრებელია, რომ კლასის ფორმანტთა ასეთი სიმრავლე კავკასიის ალბანურსაც ახასიათებდა.

მიუხედავად მასალის სიმცირისა და სხვა შემაფერხებელი ფაქტორებისა (ალბანური ლექციონარის მასალაში გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი ძირითადად ნივთია ან მოვლენა, ხოლო გარდაუვალი ზმნის სუბიექტი – ადამიანი [მამაკაცი], რაც კლასების რიცხვისა და მათ ნიშანთა განსაზღვრას ართულებს), მაინც თვალში საცემია ზოგიერთი ზმნის კლასების მიხედვით ცვლა, მაგ., ჰუახუნ ჰ[ანამო]კე ბა-ა (!) [ბიხაჯულ]ოა იჩეა “რომელიც სარწმუნო (ჰემმარიტი) არის (III კლ.) [იესო ქრისტე] თავისი ღმერთისა” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 2); შდრ. ანალოგიური ქართული მონაკვეთი “იესო ქრისტე, რომელიც სარწმუნო არს შემოქმედისა თჳსისა”;

ეფუხ მუ(წ)ურ ბა-ად (!) ანკე ოენ “რათა წმინდა ჰუოს (ზედმიწ. “იესო რომელიც”) ის [ეკლესია]” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 26);

მაგრამ: იხუგოხუნ აბუ იპ[ენ]ანაკე ვა (!) მუსეისახ[ო(ც)] “რამეთუ მეტი დიდების მქონე არის (I კლასი) [ღმერთი] მოსეზე (აბლ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4);

შდრ. აგრეთვე – ბ[იხაჯულ]ენ ა-ვა (!) “ღმერთით მყოფი (არსებული – მიმღეობა)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4). აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრისტე (როგორც ღმერთის ძე), ეკლესია III კლასში შედის და ამ კლასის ერთ-ერთი ფორმანტია ბა < *ბ, ხოლო ღმერთი I კლასის სახელია და ამ კლასის ერთ-ერთი ფორმანტია ვა < *ვ.

ამასვე გვაფიქრებინებს ფ-ესუნ “თქმა” ზმნის ჩვენებაც: ო-ფეა ანამო [-?] ისაკახო(ც) “გეწოდოს (ზედმიწ. “გეთქვას რომლის”) [ნათესავი] ისაკისაგან (აბლ.)” (N/Sin 13, 5r-2v; ებრაელთა 11, 18), შდრ. ანალოგიური ქართული მონაკვეთი “ისაკისაგან გეწოდოს შენ ნათესავად”. აქ საფიქრებელია I კლასის ფორმანტის ფონეტიკური ცვლილება *ვა > ო.

მაგრამ: ფეი [-?] ჰიმი ზუ “ვიტყვი [?] ? მე” (N/Sin 13, 76r-77v; II კორინთელთა 11, 23), შდრ. ანალოგიური ქართული მონაკვეთი “უგუნურესადრე ვიტყვ უფროდსლა მე”.

როგორც ჩანს, კლასის მიხედვით იცვლება ამ ზმნის პარალელური ფორმაც, მაგ., ოენ ილუკაჰა მატუნ კეჰე (!) “ვიდრე ის მაგას იტყოდა (ზედმიწ. მაგი თქვა)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4);

[-?] ა(ყ)ეგახო(ც) უ-კაჰე (!) “[?] ღრუბელიდან (აბლ.) თქვა” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “და ჳმად იყო ღრუბლით გამო და თქუა”.

¹³ ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ხინალულური ენის მდგომარეობა: I (მხ.) – აწ, აფ, აი, დუ, რ; (მრ.) – ვა, ბ, ფ, დურ, აი, რ; II (მხ.) – დწ, რ, ს, ზ, ზა, ზწ, ქ, ც; (მრ.) – ვა, ვი, ბ/ფ, ფ, რ, დურ; III (მხ.) – ვ, ვა, ვწ, ბ, ბი, ა, აწ, დ, დწ, ყ, რ, რი; (მრ.) – ვა, ბ, ბი, ბ/ფ, ა, აა, აწ, აფ, აი, ყ, რ, რი; IV (მხ.) – აფ, აი, ბ, ბი, დ, დწ, ყ (მრ.) – აფ, აი, ბ, ბი, ფ, ყ, დ, დწ (დემერიევი 1967, 667).

[–?] ანაო **ა-კეჰე** (!) “ [?] რომელზე (ნათ.) **ითქვა**” (N/Sin 13, 5r-2v; ებრაელთა 11, 18), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “ რომლისა მიმართ ითქუა”.

კავკასიის ალბანურში კლასოვანი უღვლილება რომ უნდა გვქონოდა, ამას ადასტურებს მიმდებარის წარმოებაც, მაგ., **ბო-ხო-ხა** “შენება”-კატეგ. > **ი-ხო-ო** “მშენებელი”; **ბუ-ყა-ნა** “სურვილი”, “ყვარება” > **ხი-ბუ** “მოყვარე”; **ბი-დ-ეს** “კეთება” > ***ბი-ბი** > **ი-ბი** “მკეთებელი”...

წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამ ზმნების თავკიდური ელემენტები არ არის გაქვავებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა **ბო-ხო-ო**, **ბუ-ხი-ბუ** და ა.შ.

ირიბ მტკიცებულებად იმისა, რომ ალბანურ ლექციონარში კლასების მიხედვით ცვლა უნდა გვქონდეს, გამოდგება უდიუური ენის ჩვენება. უდიუურში პირის ნიშანი ხშირად ინფიქსად გვევლინება და ასეთ შემთხვევაში, ის სწორედ გაქვავებული კლასის ფორმანტის შემდეგ გვხვდება, მაგ., **ბუ-ყეს/ბუ-ყესუნ** “ყვარება”... – **ბუ-ტუ-ყსა** “უყვარს”..., შდრ. ალბანური **ბუ-ყანა** “ყვარება”...; **ბა-ქეს/ბა-ქსუნ** “ყოფნა”... – **ბა-ნე-ქსა** “არის”, შდრ. ალბანური **ბა** “ყოფნა”; **ბი-ყეს/ბი-ყესუნ** “აშენება” – **ბი-ნე-ყსა** “აშენებს”... დღეს ამდაგვარი ფორმანტები ზმნის ძირთან ერთ მორფემას წარმოადგენს და მხოლოდ თვისტომ ენების მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლასის გაქვავებულ ნიშნებთან გვაქვს საქმე. ვფიქრობთ, ეს ვითარება უნდა აიხსნას მხოლოდ იმით, რომ კავკასიის ალბანურს/უდიურს კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებამდე გარდამავალი ეტაპი უნდა გაეგლო კლასოვან-პიროვანი უღვლილების სახით. როგორც იყო ნაჩვენები, ალბანური ლექციონარის ენაში პიროვანი უღვლილება არ დასტურდება, მაშასადამე კლასოვანი უნდა გვქონოდა.

ჩვენი ვარაუდით, ალბანურში კლასის ფორმანტთა განაწილების სქემა შეგვიძლია ასეთი სახით წარმოვიდგინოთ:

I კლასისა (მამაკაცის) ***გ** > **ვა** ფონეტიკური ვარიანტებით: **ო** < ***ვა**, **უ** < ***გუ**, **უ** < ***გუ** ...

II კლასისა (ქალის) ?

III კლასისა (ნივთის) ***ბ** განმოვანებით: **ბა**, **ბი**, **ბო**, **ბო**, **ბუ**, **ბუ** ...

IV კლასი (ნივთის) ?

მრავლობითში ?

ბუნებრივია, გრამატიკული კლასების რაოდენობისა და ფორმანტთა საკითხი საკვლევი¹⁴.

ფორმაუცვლელი სიტყვები

კავკასიის ალბანურის ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილთა საკითხი ნაკლებადაა გარკვეული. აღსანიშნავია მაქვემდებარებელი კავშირების ხშირი გამოყენება და სიმრავლე.

¹⁴ მათ შორის, I და III კლასების ფორმანტთა საკითხიც. ოთხ კლასს კავკასიის ალბანურისათვის აღვადგენთ იმის გათვალისწინებით, რომ დღეს, შვიდი ლეზგიური ენიდან, რომლებშიც გრამატიკული კლასები განირჩევა, ექვსში (თაბასარანულის გამოკლებით) წარმოდგენილია ოთხკლასოვანი სისტემა.

მაქვემდებარებელ კავშირთა უმეტესობა ნაცვალსახელური ან ზმნიზედური წარმოშობისაა. მაწარმოებლად, ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება ასევე მაქვემდებარებელი კავშირი **კე** “რომ”, “თუ” და, სავარაუდოდ, ნაწილაკი **-ალ**. კავშირი **კე** “რომ” ერთვის ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას, აქცევს მას კავშირად და კომპოზიტიში ქართული ნაწილაკების **-ც**, **-კი**, **-თუ** მსგავს მნიშვნელობას იძენს, მაგ., მუსედს **ჰა(ჭ)ინ-კე** ლუ(ს)უ კოსა ომა “**როგორც (ვითარც)** მოსე, ყველა მის სახლში (მიც.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 2);

ქ[რისტო]სენ ბუყანაბიამ **ჰა(ჭ)ინ-კ[ე]** ეკლესიას “**როგორც (ვითარც)** ქრისტეს (ერგ.) შეუყვარდა ეკლესია (მიც.)” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25);

(ც)ეხ კოს ბოხოხა **ანა-კე** ბოხოხა ჰამოსტანკე “ყველა სახლი უეჭველად შენდება, **რომელიც** უეჭველად შენდება ვისგანმე” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4);

იხუგოხუნ აბუ **იპ[ე]ანა-კე** ვა მუსედსახ[ო(ც)] “**რამეთუ** მეტი დიდების მქონე არის მოსეზე (აბლ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

მაერთებელი კავშირის ფუნქციით იხმარება **უნ** “და”, მაგ., ე(ჭ)აჰყუან ი[ესუ]სენ პეტროსახ **უნ** აკობახ **უნ** მოჰანანახ. “წაიყვანა (ან გადაიყვანა) იესომ პეტრე (მიც.) **და** იაკობ (მიც.) **და** იოანე (მიც.)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1).

* * *

კავკასიის ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენამდე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საფუძვლიანი მოსაზრება უდიურისა და კავკასიის ალბანურის გენეტიკური კავშირის შესახებ. მაშინ, ის მკვლევრები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ მოსაზრებას, ძირითადად ისტორიულ წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მასალას იშველიებდნენ.

დღეს უკვე ლინგვისტური მასალის გამოყენებითაც შეგვიძლია ვამტკიცოთ იგივე. უდიურის მორფოლოგიური სტრუქტურა (ლეზგიური ქვეჯგუფის სხვა ენათაგან განსხვავებით) ძალიან ახლოსაა კავკასიის ალბანურთან და გამოიყვანება ამ უკანასკნელისაგან (განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ კავკასიის ალბანურშიც და უდიურშიც პირდაპირი ობიექტი სახელობითი გარდა მიცემითი ბრუნვითაც აღინიშნება. ეს არც ერთ სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენას არ ახასიათებს). გარდა ამისა, უდიური ენისა და კავკასიის ალბანურის გენეტიკურ კავშირს ადასტურებს: ორივე ენის ფონოლოგიური სისტემა და ალბანურ ხელნაწერსა თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში წარმოდგენილი ტიპური უდიური სიტყვაფორმები (თუმცა, უდიურისა და კავკასიის ალბანურის ლექსიკა საკმაოდ განსხვავებულია), მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით, უდიური არ მომდინარეობს უშუალოდ კავკასიის ალბანურის იმ დიალექტისაგან, რომელზედაც შეიქმნა ლექციონარი.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: კავკასიის ალბანურში შეინიშნება ფარინგალური თანხმოვნების სპირანტიზაცია ანლაუტში და აუსლაუტში, მაგ., **უნ** < ***უჭ** “ექვსი”; **ნა** < ***ყა** (კატეგორიული კილოს ფორმანტია და ასევე [საფიქრებელია] მოდალობის აღმნიშვნელი

ნაწილაკი); **ხო** < ***ყო** (“შენების” აღმნიშვნელი ზმნის ძირია, შდრ. ბო-ხო-ხა [კატეგორიული] და ი-ხო-ო [მიმღობა]); **ხი-ბუ** < ***ყი-ბუ** “მოყვარე” (შდრ. ბუ-ყანა “ყვარება”, “სურვილი”)... უდიურში კი ეს პროცესი არ განვითარდა, შდრ. უჭ “ექვსი”; **ყა** (კატეგორიულობის ფორმანტი, მოდალობის აღმნიშვნელი ნაწილაკი, კავშირი “და”); ბი-ყ-ეს/ბი-ყ-ესუნ “შენება”; ბუ-ყ-ეს/ბუ-ყ-ესუნ “ყვარება”, “სურვილი”. ძნელი წარმოსადგენია, რომ ფარინგალური თანხმოვნების მომხდარი სპირანტიზაციის შემდეგ უდიურში ადგილი ჰქონოდა უკუპროცესს ***ხ** > **ჭ** და ***ხ** > **ყ**.

საყურადღებოა, “ყოფნის” აღმნიშვნელი ზმნის ჩვენებაც. მას კავკასიის ალბანურში დაკარგული აქვს ძირისეული თანხმოვანი (და საერთოდ ძირიც) ***ყ** > ***ჯ** > **ღ** (**ბა** [III კლ.] და **ვა** [I კლ.] “ყოფნა”). უდიურს კი ძირისეული თანხმოვანი შენარჩუნებული აქვს, შდრ. ბა-ქ-ეს/ბა-ქ-ესუნ “ყოფნა”. თუ დავუშვებთ, რომ უდიური პირდაპირი შთამომავალია კავკასიის ალბანური “ლიტერატურული” დიალექტისა, მაშინ უდიური ფორმა ბა-ქ-ეს/ბა-ქ-ესუნ მხოლოდ თვისტომი ენებიდან მისი სესხებით აიხსნება (შდრ. რუთულური მი-ქ-ის / რი-ქ-ის / ვი-ქ-ის / დი-ქ-ის “ყოფნა” [გრამატიკული კლასების მიხედვით]; არჩიული ვი-ქ-ირ / დი-ქ-ირ / ბი-ქ-ირ / ი-ქ-ირ “ყოფნა”; წახური გხ-ად / მი-ხ-ად / ვუ-ხ-ად “ყოფნა”), რაც დაუჭერებლად გვეჩვენება.

ლიტერატურა

ალექსიძე 2003 –ალექსიძე ზ., კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი.

დეშერიევი 1967 – Дешериев Ю. Д., Хиналугский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки, Москва.

შულცე 2004 – Schulze W., Review of Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, 2004, udilang.narod.ru/papers/Schulze_review.pdf, ელექტრონული ვერსია.

შულცე 2005 – Schulze W., “Toward a History of Udi”, 2005, udilang.narod.ru/papers/Schulze-History-of-Udi.pdf, ელექტრონული ვერსია.

ჯეირანიშვილი 1956 – ჯეირანიშვილი ევგ., გრამატიკული კლასის გაქვავებული ნიშნები ზმნებსა და “ნაზმნარ სახელებში”, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII, თბილისი.

ჯეირანიშვილი 1971 – ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომატია, ლექსიკონი), თბილისი.

ჰარისი 2002 – Alice C. Harris., Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, Oxford.

ROMAN LOLUA

Remarks on the Grammatical Structure of the Caucasian Albanian Language

S u m m a r y

Indicating of vowels and sibilants by means of two graphemes must be conditioned by considering pharyngealization (in our opinion, the feature of one syllable or a word) by the creator or creators of the alphabet as a feature of vowels on one hand and – as that of a consonant (sibilant) on the other hand. This is proved by the fact that in Albanian manuscripts and epigraphes the “second row” vowels (resp. pharyngealized allophones) do not occur together with sibilants in a syllable.

The vowel system is regular: there are 5 “simple” vowels (**a, e, i, o, u**) and their pharyngealized allophones (**a, e, i, o, u**).

We suppose the existing of triple system of occlusives and affricates (**b, p, p̣; d, t, ṭ; g, k, ḳ; q, q̣; ʔ; c, c̣; ʃ, č, č̣; *ḍ, *ṭ, *p̣**) and pairing system of spirants (**z, s; ž, š; ɣ, x; v; h**). The sonorants are represented as follows: **w, j, m, n, l, r**.

Backlingual (**g, k, ḳ; ɣ, x**), pharyngeal (***q, q̣**) laryngeal (**h**) consonants and sibilants (**ç, *ç̣, *ʒ, *ʒ̣, *č, *č̣, *z, *ẓ, *s, *ṣ, *š, *ṣ̌**) have pharyngealized allophone. Apparently, labial and dental consonants and sonorants must have pharyngealized allophones. Among them **h** and **n** sounds are fixed.

As it is seen, pharyngealization in Caucasian Albanian must have been positional, whereas it gained a distinctive function in Udi.

Undoubtedly that five cases are defined.

The nominative case is unmarked. It denotes a subject with an intransitive verb, a direct object with a transitive verb, combines the function of vocative case and sometimes it functions as the genitive case.

The main marker of the ergative case is **-en**. It functions as a real subject with a transitive verb and sometimes it has the function of instrumentalis.

The formants of the genitive case **-aj, -oj, ej...**, **-an, -un...** and its functions are identical to those of the genitive case in Udi.

Main formants of the dative case are: **-a, -ax > -ex...** The dative case with “verba sentiendi” verbs denotes a subject, a direct object (parallel with the nominative case), an indirect object and sometimes it is used in the function of locative.

The assumption about the dative II (Aleksidze 2003; Schulze 2005) needs to be checked.

The formant of ablative is **-ox-o(c)/-o(c)...** It has the similar function as that of Georgian postposition **-gan** and in addition it expresses the comparative degree.

The plural formant is **-uy/-ux**. During the declension it always proceeds a case formant.

Caucasian Albanian declension of nouns is close to Udi from the viewpoint of formants as well as functions of cases.

Cardinal numerals are few in the lectionarium. As a rule, a number is indicated by means of letters and sounds.

Ordinal numerals are formed by adding either the **-ar** suffix to the complicated stem, or the **-un/-in** formant to its suppletive stem.

The marker of iterative numerals is the **-om** suffix.

Apparently the numeral system in Caucasian Albanian was vigesimal.

The first and the second person forms of pronouns and their declension is the same as in Udi, not regarding some minor phonetic differences.

The third person pronouns are: **oen** "he /she" and **oen-ux** – "they".

Demonstrative pronouns are: **o-ne** (with the first person); **a-ne** (with the second person) and **ne** (with the third person).

The forms of the first and second person demonstrative pronouns coincides with the forms of personal pronouns in the genitive case.

The third person possessive pronoun is represented by **oja** - "his/her".

lu(s)u "every" and **(c)ex** "each" function as attributive pronouns.

Relative pronoun is **ana/hana** "which".

From the tenses and mood of a verb it is found out that:

Present – is formed by adding the **-a** suffix to the verb stem.

Present- concrete – is formed by adding the **he/ 'e** auxiliary verb to the stem.

Past I (continuous) – is formed by adding the **-j** suffix to the present form.

Past II (concrete) – is formed by adding the **-e/-ej** suffix to the verb form.

Past III (aorist) – is formed by adding the **-n** suffix to the past I form.

Future – is formed by adding the **-al** suffix to the verb stem.

The imperative mood is formed by adding **-an** suffix to the verb stem.

The categorical mood is formed by adding the **-xa** suffix to the verb stem.

In the aspect of deverbatives it is ascertained that:

Masdar I – is formed by adding the **-es** suffix to the verb form.

Masdar II – is formed by adding the **-un** suffix to the form of masdar I.

Two types of participles and two forms of absolutive are evidenced in Caucasian Albanian.

Conjugation of verbs according to a person (Schulce 2004; Schulce 2005) is not attested.

It is assumed that class conjugation is preserved in Caucasian Albanian. Class I formants are: ***v > va>o; u < *vu; u < *yu**, and class III is presented by vowelizing **b** – **ba, bi, bo, bo, bu, bu...**

The markers of class I, class IV and their plural forms need to be studied.

Abundance of subordinating conjunctions and their frequent using is noticeable (**ke** "that", "if"; **hačin-ke** "as", "just as"; **ana-ke/hana-ke** "which/who"; **oen-ke** "he/she/it/that too", **iheana-ke** "since"...).

Coordinating conjunction is **un** "and".

The morphological structure of Udi (unlike other languages of the Lezgian subgroup) is close to Caucasian Albanian and is originated from the latter (it is noteworthy, that a direct object is denoted not only by the nominative case, but by

native in Caucasian Albanian and Udi. None of the Ibero-Caucasian mountainian languages is characterized by this feature).

In addition to it, the genetic relation between Caucasian Albanian and Udi is proved by the phonological system of these languages and the typical Udi word-forms represented in the Albanian manuscripts or epigraphs (however, it must be noted that the Udi vocabulary and that of Caucasian Albanian are quite different from each other).

We have a basis to assume that a direct source of the Udi language was not the Caucasian Albanian dialect, on which the lectionarium was created (resp. “literary dialect” of Caucasian Albanian). The following circumstances give us to note this: in Udi the pharyngeal consonant (**q, q**) corresponds to the spirant (**x**) of Caucasian Albanian in anlaut and auslaut. A similar situation is found while comparing some lexemes of Caucasian Albanian with those of Udi.

ქათამან მარბიანი-სუბარი

**პერფექტული ფორმებისათვის სვანურში
(ზემოსვანურის მონაცემების მიხედვით)**

თურმეობითი ზოგადად მეტად რთული ორგანული გრამატიკული დროა სვანურში. იგი, ქართულთან შედარებით, უფრო მეტ სემანტიკურ დატვირთვას ამჟღავნებს, რაც მწკრივთა მიხედვით მათი აფიქსაციის მრავალფეროვნებასაც განაპირობებს.

სვანურში III სერიის თურმეობითები (რეზულტატიური I და II) სემანტიკურად მეტ-ნაკლებად შეესაბამება ქართულის სათანადო მწკრივებს, წარმოებით კი საკმაოდ განსხვავდება;

I თურმეობითის (resp. ნამყოსრულის) მაწარმოებელი სუფიქსი ყველა ზმნასთან არის -ა-: **მიგ-ა** „მიშენებია“, **წმხატუ-ა** „დამიხატავს“, **წმიღრ-ა** „დამიწერია“, **წმთორ-ა** „შემისწავლია“... -ა ბოლოსართის წინ ხშირად ჩაერთვის -ენ/-ენ სუფიქსი:

წამთქუა „სჩვევია“ — **წა/ამთქუ-ენ-ა** „სჩვევია“ = „სჩვეოდა თურმე“;

წაფრა (ბზ.), **წალფარა** (ბქ.) — **წაფრ-ენ-ა/წალფარ-ენ-ა** „ჰფარებია, ეფარა თურმე“;

ეს მწკრივი, ჩვეულებრივ, მეორე სერიის ფუძეს იყენებს, ზოგჯერ კი პირველი სერიისასაც;

აწმყო	წყვეტილი	ნამყოსრული
იქუთერ „იპარავს“	წდქუით „მოიპარა“	წოქუითა/წოქუთერა „მოუპარავს“

აქჩენი „ჭრის“ **აქწჩ** „დაჭრა“ **წოჩქენა** „დაუჭრია“

ცნობილია, რომ „ქართულ ენაში თურმეობითის მწკრივებს სახელი დაერქვა **უნახაობის ელემენტის მიხედვით** (ხაზი ჩვენია. ქ. მ.). ამ მწკრივთა ფორმები გადმოგვცემს ისეთ მოქმედებებსაც, რომლის შედეგი ჩანს (ან ჩანდა) და ამ შედეგის მიხედვით გააზრებულა თვით მოქმედება. ამიტომ მათ შედეგობრივიც (რეზულტატიური) შეიძლება ვუწოდოთ“ (შანიძე 1973:223).

მაშასადამე, თურმეობითთა სემანტიკაში მნიშვნელოვანია აქტი, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება თუ არა: „ნახულის ფორმა გადმოგვცემს პირდაპირ, უშუალოდ მოპოვებულ ცნობას მოქმედების შესახებ, უნახავისა კი ისეთს, რომელიც ისე მომხდარა, რომ მოუბარი იმ დროს იქ არ ყოფილა, ანდა, თუ ყოფილა და დასწრებია, ცნობიერება მაინც არ ჰქონია... ამიტომ, თუ ნახულის ფორმა საზოგადოდ ცნობიერია, სამა-

გიეროდ, უნახავის ფორმა **უცნობელი** (ხაზი ჩვენია. ქ. მ.) იქნება“ (მანიძე 1973:211).

როგორც ცნობილია, გარდამავალი ზმნის I თურმეობითი ქართველურ ენებში ემთხვევა შესაბამისი სტატიკური ზმნის აწმყოს.

სტატიკ. ვნებითი: **ანთია ხანტაჟა** „ახატია“ **ქარუნ** (მეგრ.) „წერია“

თურმეობითი I: **აუნთია ხონტაჟა** „დაუხატავს“ **მიქარუნა** „მიწერია“

ნ. ნათაძე I თურმეობითის პირვანდელ მნიშვნელობად „აწმყო სრულის“ სემანტიკას მიიჩნევს და მწკრივის სხვა ნიუანსებს შემდეგ განვითარებულად თვლის.

I თურმეობითი ქართულში ხშირად არ შეიცავს „თურმეს“ გაგებას: „ისეთი გამოთქმები, როგორცაა „ეს სურათი გინახავს“? „მოსკოვში არ ვყოფილვარ“, სრულებით მოკლებულია თურმეობითის გაგებას და მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება დასრულებულად ივარაუდება ამ მომენტისათვის“ (ნათაძე 1955:87).

დ. მელიქიშვილის აზრით, III სერიის მწკრივები: I რეზულტატივი, II რეზულტატივი და III კავშირებითი თანამედროვე სახით შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია. ისინი წარმოშობით სტატიკური ზმნების (შესაბამისად — (უძვ. პერმანსივის) აწმყოს, წყვეტილის და II კავშირებითის) ინვერსიამნილი ფორმებია, რომლებიც დღეს დინამიკური გარდამავალი ზმნების პარადიგმის გაგრძელებაა (მელიქიშვილი 2001:48).

სვანური უღლების რეზულტატიურ I-ში (ნამყოსრული) აქტისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებში. თუ ქართულში **უკრფია — მოუკრფია, უშენებია — აუშენებია** ფორმები მხოლოდ ასპექტური ოპოზიციას და ეს ფორმები უნახაობის აქტს კონტექსტის გარეშე ცალსახად არ გულისხმობენ („თურმეს“ გაგებას გარკვეულ წინადადებებში ვერ ინარჩუნებენ), სვანურში საკითხი სხვაგვარად დგას: უზმნისწინო ფორმებთან აქ ანალოგიური მდგომარეობაა — ერთი და იგივე ზმნური ფორმა, კითხვითი, უკუთქმითი თუ წართქმითი, კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება ატარებდეს უნახაობის სემანტიკას ან მოკლებული იყოს მას:

სი ცოდ მწკ ჩიჩუმინა, აჯად ჩუმედ, მიშეჟაურ (სვ. პრ. ტ. I 1939:68);

„შენ ყველა ცოდვა ჩაგიდენია (ან: ცოდვას სულ სჩადიოდი), კიდევ ქენი, უჩემოდ“;

(მდრ. **ალა კისდ ხოლამდ ჩიჩუმინა** — „ეს მართლაც ცუდად გიქნია“).

ეშ ჩიჩუმინგა ისამა, ჩირტყუა ისამა? (იქვე, 65);

„ხომ არაფერი გიქნია, ხომ არაფერი გადაგიყლაპავს?“

წგინან ლანდ დესა მწკდა;

„შინიდან წერილი არ მომსვლია“.

მწკ მითიანლა, დეშ ოთეპუ (იქვე, 83);

„სულ ვცდილობდი („მიცდია“), ვერ დავიძალე“

ძირითადპრევერბიანი (**ან-**, **ად-/ა-**, **ეს-/ას-**, **ლა-**) ან რთულპრევერბიანი (**ჩუათ-**, **ჩუან-**, **ჟან-**, **ჟეს-**...) ზმნები კი მხოლოდ უნახაობის აქტის გამომხატველად გვევლინება აღნიშნული მწკრივის ფორმაში:

ფაყს აპენა ქუითარს (იქვე, 54);

„ფაყში დასწევია ქურდებს“.

მზგ აშხუეი ლიუეეს დემ ათმუნდენას (იქვე, 151);

„ყველას ერთბაშად დაძინება ვერ გაუბედავთ („ნდობიან“)“.

შუკუეი ჩუათბურენას (იქვე);

„გზაში დაჰლამებიათ“.

ონსიბა ი ნეფხუნა ჩ'ონქუიცა¹ (შ. გუჯეჯიანი, სოფ. ომარიშალი);

„მოუქნევია და ცხვირი ჩამოუჭრია (<„ჩა-მო-უ-ქუც-მა-ც-ებ-ი-ა“).

თუირქარს თერანლ ჩუათგენენას ი მერმა ლადანლ ბუბნის ე'ონურმალა (იქვე);

თურქები დაბრმავებულან („თვალეები დასდგომიათ“) და მეორე დღეს ბუბნის დაუჭერია“.

უკანასკნელ ილუსტრაციებში უნახაობის აქტი უდავოა, უფრო მეტიც, უზმნისწინოთაგან განსხვავებით, ისინი ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ უნახავს ან „უცნობელს“ (ა. შანიძე) გამოხატავენ, მათ არ ძალუძთ ისეთ კითხვით, უარყოფით თუ წართქმით წინადადებებში მონაწილეობა (უპრევერბოთაგან განსხვავებით), რომლებიც უნახაობას, „უცნობელობას“, „თურმეს“ გულისხმობენ:

მიშგუა თესგუებინ ხუან ხაჰნა, ხაბურენას, ხოსპა, ხოქუიცა, ხანგენა, ხორმალა...

„ჩემს თვალწინ ხშირად დასწევია, შემოლამებიათ, მოუქნევია, მოუჭრია, დასდგომია, დაუჭერია...“

მაგრამ არ შეიძლება:

მიშგუა თესგუებინ ხუან აჰნა, ათბურენას, ონსიბა, ონქუიცა, ეხგენა || ეხგენენა; ოხგრმალა...

ან, თუ ასეთი კონტექსტი შეგვხვდა, იგულისხმება, რომ სუბიექტს ცნობიერება არ ჰქონია (ეძინა, გონებაგაფანტული იყო...). ამასთან, აღნიშნული მოვლენა ეხება ძირითად- და რთულპრევერბიან ზმნებს; ოდენ წინდებულთანდებულნი (გ. თოფურია) ფორმები მსგავს უნარს (უნახაობის უპირობოდ გამოხატვა) ვერ ამჟღავნებენ.

ამგვარად, აქტისა და პრევერბიანი ფორმების ურთიერთმიმართება უმთავრესად I შედეგობითი იკვეთება. ცნობილია, რომ „პრევერბის ძირითადი ფუნქცია სვანურშიც, როგორც სხვა ქართველურ ენებში, მოქმედების მიმართულების ან საგნის ადგილმყოფობის აღნიშვნაა. შემდეგ მას დაეკისრა სრული ასპექტის გამოხატვა, მყოფადსრულის წარმოება და აგრეთვე ზოგი ძირის მნიშვნელობის ცვლა“ (თოფურია 2002:179). პრევერბი მხოლოდ რეზულტატიურში არ ერთვის ზმნას, ამიტომ არალოგიკური იქნებოდა ამ მწკრივში აქტის გამოხატვა მის ფუნქციად მიგვეჩნია. ჩვენი აზრით, სვანურში აქტის კატეგორიის მიხედვით ასეთი ოპოზიცია პრევერბიანი და უპრევერბო ფორმებისა ენის განვითარების ქრონოლოგიაში ჰპოვებს სათავეს; შესაძლოა, ნამყოფის უპრევერბო ფორმები ენის განვითარების იმ ეტაპს ასახავენ, როცა მწკრივი „აწმყო სრულის“ (ნ. ნათაძე) სემანტიკას იზიარებს და სხვა, დამატებითი ნიუ-

¹ ილუსტრაციები, რომელთა პუბლიკაციაც მითითებული არ არის, ჩვენ მიერ კოდორის ხეობაში მოპოვებული მასალებიდანაა და მალე დაიბეჭდება.

ანსები ჯერ არ შეუძენია. ამიტომაც იგი უპირობოდ (კონტექსტისგან დამოუკიდებლად) ვერ გამოხატავს უნახაობას — აქტი კონტექსტზეა დამოკიდებული.

ი. ჩანტლაძე ასპექტის კატეგორიის ისტორიასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სვანურში არსებულ პრევერბთა ორი რიგიდან (ძირითადი და მეორეული, ზმნისართული) „დღეს სრული ასპექტის გაგებას პირველი რიგი იძლევა, ხოლო მიმართულებას ე. წ. წინდებულ-თანდებულები გამოხატავენ“. მკვლევარი ასპექტის ჩამოყალიბების გზას ამგვარად წარმოგვიდგენს: **ხოფიშუდა, ჩუ ხოფიშუდა, ოთფიშუდა, ჩუ ოთფიშუდა > ჩ'ოთფიშუდა** „ჩა-უშვია“ (ჩანტლაძე 1983:11).

დ. მელიქიშვილის აზრით კი „მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათა აწმყოს ინვერსიამქნილმა ფორმებმა დინამიკური გაგება მიიღეს (ზმნისწინი დაირთეს და გააგრძელეს გარდამავალი ზმნების პარადიგმა), მათ წარსული (პერფექტი-რეზულტატივის) დროის გაგება შეიძინეს — გამოხატავენ მოქმედების პროცესს წარსულში“ (მელიქიშვილი 2001:54). მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათაგან განვითარებულმა დინამიკურმა შინაარსმა ფორმალური გამოხატულებაც პოვა (**მიწერიეს** ტიპის ფორმებს დაერთო **ზმნისწინი**; (ხაზი ჩვენია ქ. მ.), განვითარდა ერთ-ერთი ძირითადი (დღეს ყველაზე გამოკვეთილი) შინაარსობრივი ნიუანსი — უნებლიობა-უნახაობა, თურმეობითობა, ე. წ. უნახავი ან უნებლიე აქტის გაგება (მელიქიშვილი 2001:23).

ვფიქრობთ, მკვლევართა ამ მოსაზრებების საფუძველზე აიხსნება პრევერბიან-უპრევერბო ფორმათა აქტის მიხედვით დაპირისპირების ფაქტი სვანურში; კერძოდ, ნამყოსრულის უპრევერბო ფორმები განეკუთვნება უფრო ადრეულ ეტაპს, ისინი ჯერ არ გათავისუფლებულან აწმყოსეული გაგენისაგან — მართალია გამოხატავენ მოქმედების პროცესს წარსულში და შედეგს აწმყოში, მაგრამ უნახაობის გამოხატვა გრამატიკულად არ ძალუძთ, აქტს კონტექსტი განაპირობებს. შემდეგ ეტაპზე კი, როცა მათ ზმნისწინი დაირთეს, წარსულ დროსთან ერთად უნახაობის უპირობოდ გამოხატვის უნარი შეიძინეს (ამისთვის სემანტიკური საფუძველი უკვე შემზადებული იყო უპრევერბო ფორმების მიერ).

შეიძლება ითქვას, პრევერბმა სვანურში, ქართულთან შედარებით, ამჯერადაც მეტი შესაძლებლობა გამოავლინა და სრულად შეითავსა უნახაობა-უნებლიობის კატეგორიულად გამოხატვის ფუნქცია რეზულტატივში: თუ ქართულში **უკრეფია — მოუკრეფია** ოდენ ასპექტური ოპოზიციას, სვანურში ზმნის პრევერბიანი ფორმები საანალიზო მწკრივში მხოლოდ „თურმეს“ გაგებისად გვევლინებიან. უპრევერბოთა გამოყენების არეალი რომ უფრო ფართოა (გვხვდება როგორც უნახაობის, ისე ვეიდენციალური სემანტიკის გამოსახატავად), ესეც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფორმა თურმეობითად ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული და კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება გამოხატოს ან არ გამოხატოს აქტი.

სვანური პოეზიის ნიმუშებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, არქაულობით გამოირჩევა, უხვად გამოიყენება ნამყოსრულის ფორმები, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან, ცოტა არ იყოს, უჩვეულო სახით:

ხოდან „დაუდვიათ“: **ღუინლი კუპრან ეჩიუ ხოდან** (სვ. პოეზ. 1939:46,15) — „ღვინის ტიკები იქ დაუდვიათ“;

ხატენას „დაბრუნებით“: **მელნარს მეცქილ უეშგდ ხატენას** (იქვე 48,55) — „მულახელებს მოციქული უკან დაბრუნებით“;

ხოშეუიფა „გაუძვრია“: **თუეფდ ბიდ ჩი ქა ხოშეუიფა** (იქვე 48,69) — „თოფისთვის ბუდე ყველას გაუძვრია“.

როგორც ვხედავთ, მოცემული კონტექსტები ერთჯერად, მომენტობრივ მოქმედებებს გულისხმობენ, ყველა ჩამოთვლილ ზმნურ ფორმას დღევანდელ სვანურში უსრული ასპექტის გაგება აქვს, ხოლო უნახაობის აქტის დასტურად კონტექსტის მოშველიებაა აუცილებელი; ამიტომ ეს ფორმები თანამედროვე სვანურში ასე აჟღერდებოდა: **ესუდან** „დაუდვიათ“, **ლახტენას** „დაბრუნებით“, **ქოშეუიფა** „გაუძვრია“.

პოეზიაში ასევე ვაწყდებით პრევერბიან და უპრევერბო ფორმებს გვერდიგვერდ, პარალელურად:

როგუ ში ხოზურას, ჩი ოთემან (იქვე, 48:61);

„ცერცვი მოუგროვებით, უშოვიათ“;

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში მართებული იქნებოდა:

ში ხოზურას, ჩი ხოთმან — „უგროვებით, უშოვიათ ხოლმე“;

ან:

ში ოხზორას, ჩი ოთემან — „მოუგროვებით, უშოვიათ“

(მომენტალურად).

ჩი ოთღალტან დოლ ი ჰებუდ, სგა ხაცადან მეზგალოთემსგა (იქვე 74,4).

„დაუღალატებით დოლი და ჰებუდი, შეჰპარვიან მოსახლებს“;

თუ **ჩი ოთღალტან**, ანუ მომენტობრივად დაუღალატებით, მაშინ შეპარვაც, ცხადია, ერთჯერადი უნდა ყოფილიყო: **„სგა ახცადან“** („შეჰპარვიან“) და არა მრავალგზისობის ნიუანსის შემცველი **„სგა ხაცადან“** („შეჰპარვიან ხოლმე“), მაგრამ ეს თანამედროვე გაგებით. აქ ალბათ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პოეზიაში სხვადასხვა ეპოქის სიმღერათა ტექსტებია და ამიტომაცაა ერთმანეთის გვერდით ძველი (უპრევერბო) და ახალი (პრევერბიანი) ფორმები.

ამასთან, შესაძლოა, ამ არქაულ ტექსტებში ენის განვითარების გარკვეული ეტაპიც აისახებოდეს, როცა ზმნისწინიანი ფორმები ყალიბდებოდა და იძენდა დამატებით ფუნქციებს (ასპექტი, აქტი...), პრევერბიან და უპრევერბო ფორმათა აღრევაც ამ გარდამავალ ეტაპს უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა, სამწუხაროდ, სვანური ხალხური პოეზიის ნიმუშების დათარიღება და, მითუმეტეს, მათი ქრონოლოგიურ ჭრილში დალაგება ყოველთვის არც ისე ადვილია.

ნამყოსრულისაგან ნამყოწინარეწარსულს აორისტში გამოყენებული ვნებითის მაწარმოებელი განასხვავებს. ესაა **-წნ** თავისი დიალექტური ვარიაციებით. მოქმედებითი გვარის ზმნას ის მხოლოდ რეზულტატიურ II-ში აქვს (**მიხტაჟ-წნ** „დაუმეხატა“, **მიშხ-წნ** „დამეწვა“), დინამიკურ ვნებითს კი

მხოლოდ აორისტში (**წითხატუ-წნ** „დავიხატე“, **წითუშიწ-წნ** „დავიწვი“) (თოფურია 1967:178).

იგივე **-წნ** სუფიქსი გამოყენებულია სტატიკურ ზმნათა გარკვეული ჯგუფის ნამყო დროის საწარმოებლად. ეს სწორედ ის სტატიკური ზმნებია, რომელთაც აწმყოში თურმეობით I-თან საერთო **-ა** ბოლოსართი აქვთ:

ხუღუ-ა „აქვს“, **ხუღუ-წნ||ხუღუ-წნ-და** (ბზ.) **ხუღუ-ან-დ||ხუღუ-ან-დ** (ბქ.) „ჰქონდა“.

ხმთქუ-ა „სჩვევია“, **ხმთქუ-წნ||ხემთქუ-წნ** (ბზ.) **ხემთქუ-ან||ხემთქუ-უნ** (ბქ.) „სჩვეოდა“.

ხაყნ-ა „ჰქვია“, **ხეყნ-წნ||ხეყნ-წნ-და** (ბზ.), **ხეყნ-ან||ხეყნ-გნ** (ბქ.) „ერქვა“.

ნ. ნათაძის აზრით, ის ფაქტი, რომ **,-წნ** სუფიქსი არსად სხვაგან არ გვხვდება უღვლილების სისტემაში, ამ სამი ნაკვთის ფუძეთა იგივეობაზე მიუთითებს“. აქედან გამომდინარე (და ქართულ და მეგრულ მონაცემთა გათვალისწინებით), მკვლევარს გარდამავალი ზმნის თურმეობითი I ქართველურ ენებში ისტორიულად სტატიკური ზმნის სასხვისო ქცევის აწმყოდ მიაჩნია, თურმეობითი II კი ამ ზმნათა ვნებთის ნამყოდ (ნათაძე 1955:94).

ა- პრეფიქსიან გარდაუვალ და აწმყოს სტატიკურ ფორმებს ნამყოსრულში მწკრივის ბოლოსართის წინ ხშირად ჩაერთვის **-ენ/ენ** სუფიქსი:

ხაფრ-ენ-ა (ბზ.), **ხაღფარ-ენ-ა** (ბქ.) „ჰფარებია“, **ხაფრ-ენ-წნ** (ბზ.), **ხაღფარ-ენ-ან** (ბქ.) „ჰფარებოდა“.

მსგავსი მოვლენა ქართულშიც შეინიშნება. რომელია უფრო ძველი: **ჰგონია** თუ **ჰგონებია**, **ხმთქუა** თუ **ხმთქუ-ენ-ა**, ამის განხილვას აქ არ შევუდგებით, ორივე ნამყოუსრულია და აღრინდელი პირველი ფორმები უნდა იყოს — აღნიშნავს ვ. თოფურია (თოფურია 1969:176).

ა. ონიანის აზრით, რადგანაც I თურმეობითის მაწარმოებელი ასეთ ფორმებშიც არის **-ა** ამიტომ **-ენ**, **-ენ** მწკრივის ნიშანი კი არაა, არამედ ფუძის ერთ-ერთი ვარიანტის კუთვნილება (ონიანი 1998:203).

ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ელემენტი მაინც სუფიქსია, გაჩენილი მას შემდეგ, რაც სტატიკურმა აწმყომ, როგორც ნ. ნათაძე აღნიშნავს, „მნიშვნელობის ევოლუციის შედეგად, თურმეს გაგება შეიძინა“, თუმცა, მისივე აზრით, ფაქტმა „ასახვა ვერ პოვა ფორმაში რომელიმე მაწარმოებლის სახით, თუ არ ჩავთვლით, ერთი მხრივ, პრევერბის დართვას სამსავე ქართველურ ენაში, რაც არსებითი არ არის, და, მეორე მხრივ, სხვაობას ქცევის აღნიშვნაში სვანურში, რაც აგრეთვე ფუძეს არ ეხება“ (ნათაძე 1955:98).

ა. არაბული კი აღნიშნავს, რომ „I თურმეობითს მნიშვნელობის მხრივ დიდი ცვლილებები არ განუცდია... შესამჩნევია მხოლოდ, რომ ის უფრო მეტად მიეკედლა ნამყო დროს“ (არაბული 1984:150).

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სვანურ გარდამავალ ზმნებში **-ენ-** სუფიქსის ჩართვა I თურმეობითში (ნამყოსრულში) სემანტიკაზე გავლენას ახდენს: თუ ოდენ **-ა** მაწარმოებლიანი ფორმები წარსული მოქმედების შედეგს

ასახავენ აწმყოში (მხოლოდ უზმნისწინონი!), **-ენ**-იანი მონაცემები გამოხატავენ წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს წარსულშივე და ეს ლექსემები, პირველთაგან განსხვავებით, უპირობოდ ორგანულად შეიცავენ „თურმე“-ს გაგებას, უნახაობას, პირველნი კი უნახაობის გამოსახატავად **ენწარ** (ბზ.) / **ენწარი** (ბქ.) („თურმე“) ნაწილაკს დაირთავენ;

ენწარი ოსწარი ხოშხა (ბქ.) „თურმე ჩოხაც უკერავს“

შდრ. **ობწუ ოსწარ ხოშხა!** „ბევრი ჩოხა უკერავს“!

მაგრამ **ოსწარი ხა/წმწხ-ენ-ა** „ჩოხაც უკერავს თურმე (ჰქონია ნაკერი)“.

ეჭუიშ ლირდე ხად, ერე ობწუ ჭიმ ხომა „ისეთი ცხოვრება

ჰქონდა, რომ ბევრი მარილი უჭამია“

შდრ. **ობწუ ჭიმ ხა/წმწხ/ნა** (ბზ., ბქ.) — „ბევრი მარილი უჭამია თურმე (ჰქონია ნაჭამი)“.

ასევე: **ხოწუა** „უნახავს, ნახაბი ჰყავს“ — **ხაწუნა** „უნახავს თურმე (ჰქონია ნახაბი)“;

ხოშუა „უსვამს, დალეული აქვს“ — **ხაშუნა** „უსვამს თურმე (ჰქონია დანალევი)“;

ხოკუიშა „გაუტეხავს, განატეხი აქვს“ — **ხაკუიშენა** „გაუტეხავს თურმე (ჰქონია განატეხი)“;

ხოკუდა „წაუკითხავს, წაუნაკითხი აქვს“, — **ხაკუდენა** „წაუკითხავს თურმე (წაუნაკითხი ჰქონია)“;

ხორმა „დაუჭყერია, დანაჭყერი აქვს“ — **ხაჩრმენა** „დაუჭყერია თურმე (დანაჭყერი ჰქონია)“...

იგივე მდგომარეობაა ე. წ. მედიოაქტიურ ზმნებთან:

აჩგლდწარი „ჩაღანდრობს“, — **ხოჩგლდარა** „უჩაღანდრია (ნაჩაღანდ-რევი აქვს)“ — **ხაჩგლდარ-ენ-ა** „უჩაღანდრია თურმე (ნაჩაღანდრევი ჰქონია)“;

იშდრწლ „თამაშობს“ — **ხოშდრალა** „უთამაშია (ნათამაშები აქვს)“ — **ხაშდრალ-ენ-ა** „უთამაშია თურმე (ნათამაშები ჰქონია)“;

წარი (ზს.) „იმყოფება“ — **ქახორდუნა** „ყოფილა, ნამყოფია“ — „ყოფილა, ნამყოფი ყოფილა“.

წიწმწხგი (ბზ.) **წმწხ** (ბქ.) „წაიღებს“ — **ხომა** „წაუღია“ — **ხაღ-ენ-ა** „წაუღია თურმე (წანაღები ჰქონია)“.

იქუთერ (ზს.) „იპარავს“ — **ხოქუითა||ხოქუთერა** „მოუპარავს, მონაპარი აქვს“ — **ხაქუით-ენ-ა||ხაქუთერ-ენ-ა** — „მოუპარავს თურმე (მონაპარი ჰქონია)“.

იშგუემ (ბზ.) „ითხოვს, ნათხოვი აქვს“ — **ხოშგუემინა** „უთხოვია, ნათხოვი აქვს“ — **ხაშგუემანენა** „უთხოვია თურმე (ნათხოვი ჰქონია)“...

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კატეგორიის ზმნებში **-ენ**- სუფიქსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს: ასეთი ზმნები წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს წარსულშივე აფიქსირებენ [ამ ასპექტით ისინი II თურმეობითსა და III ხოლმეობითს (ძველ ქართულსა და ზოგიერთ მთის კილოში) ემსგავსებიან] და უპირობოდ გამოხატავენ მოცემული მომენტისთვის გაუცნობიერებლო-

ბის, უნახაობის (I პირში) და სხვისგან მოსმენილის (თუ II და III პირზეა საუბარი) შინაარსს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისიც, რომ ძირითად პრევერბიან ზმნებში საანალიზო ფორმანტი არ ჩანს:

ოხკოდანა (ბზ.), **ოხკოდა** (ბქ.) „წაუკითხავს“, **ლოხშუა** (ზს.) „დაუღუგია“, **ოთგრმა** „დაუჭერია“, **ლოხშდირალა** (ზს.) „წაუთამაშია“, რაც ადასტურებს პრევერბიან ფორმათა გენეზისთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას.

ამრიგად, სვანურში თურმეობითი I-ის (ნამყოუსრულის) მიერ განვლილი გზა ასე წარმოგვიდგება:

სტატიკურმა ზმნამ გადინამიკურების შემდეგ პრევერბის დართვამდე შეიძინა სწორედ **-ენ-** სუფიქსის (მისი წარმომავლობა ჩვენთვის ნათელი არ არის) დახმარებით „თურმეს“ სავარაუდო, უნახავი მოქმედების (მდგომარეობის) სემანტიკა და „დააღწია“ თავი ევიდენციალობას, შემდეგ კი პრევერბის დართვით ეს პრობლემა (აწმყოსთან საზიარო სემანტიკა: **ხოწუა** „ნანახი აქვს“) გადაიჭრა — ზმნამ შეიძინა სრული ასპექტის გაგება, რაც უთუოდ წარსულ დროს განაპირობებდა, ხოლო ახალი ფორმა ასევე (**-ენ-**იანთა მსგავსად) გათავისუფლდა აწმყოსეული „მემკვიდრეობისაგან“ — სპეციალური ფორმანტი აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას, პრევერბიანმა ფორმამ თავისთავად გაითავისა უნახაობის აქტი.

აწმყო: **ხოხტაჟა** „უხატია“ (ის მას) > **ხოხტაჟა** „უხატავს მას ის, დანახატი აქვს“ (შედევნი აწმყოშია და ამიტომაც ევიდენციალურია) > **ხახტაჟენა** „უხატავს თურმე მას ის, დანახატი ჰქონია“ (შედევნი წარსულშია და ამიტომ სავარაუდო, მოცემულ მომენტამდე გაუცნობიერებელი, სხვისგან გაგონილი) > **ოთხატჟა** „დაუხატავს თურმე“ (ფორმა, რომლისთვისაც უცხოა ქართულისებურად ნანახი ან უეჭველი მოქმედება-მდგომარეობის გამოხატვა).

გარდა აღნიშნულისა, **ხოხტაჟა** — **ხახტაჟენა**-ა ფორმებს შორის საგრძნობია დაპირისპირება ერთგზისობა-მრავალგზისობის მიხედვითაც. უკანასკნელის შინაარსი შეუთავსებელია სრული თუ უსრული ასპექტის შინაარსთან. როგორც ცნობილია, ზოგჯერ ზმნას შესაძლებლობა აქვს აღნიშნოს მოქმედების განგრძობითობა-წყვეტილობა და ერთგზისობა-მრავალგზისობა. ასეთი ფორმები ზმნით გამოხატული მოქმედების მიმდინარეობაზე გვაძლევენ წარმოდგენას, მაგრამ დამოუკიდებელი მორფოლოგიური კატეგორიის წონა და მნიშვნელობა არ მოეპოვებათ. მსგავსი მოვლენა მსოფლიოს მრავალ ენაშია დადასტურებული და აღინიშნება ტერმინით **Aktionsart** (რუსული **способ действия**). ზ. ჭუმბურიძემ მის აღსანიშნავად ქართულში შემოიტანა ტერმინი **მოქმედების სახე**. მისი აზრით, ქართულში მოქმედების სახედ უნდა იქნას მიჩნეული განგრძობითობა-წყვეტილობა, რის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირდებიან უწყვეტელი და უზმნისწინო (უსრულასპექტიანი) წყვეტილი (წერდა — წერა, ხატავდა — ხატა...), ასევე ხოლმეობითობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (ჭუმბურიძე 1986:32). ვფიქრობთ, სვანურის I თურმეობითში სუფიქსიანი (**-ენ**) და უსუფიქსო წარმოების გარდამავალი ზმნები **მოქმედების სახით**

(ერთგზისობა-მრავალგზისობა, წყვეტილობა-განგრძობითობა) უპირისპირდებიან ერთმანეთს: **ხომა** „უჭამია“ — **ხამენა** „უჭამია ხოლმე თურმე“ („ნაჭამ ჰქონია“); **ხოდგარა** „მოუჟკლავს“ — **ხადგარენა** „მოუჟკლავს ხოლმე თურმე“ („ნაკლავ ჰქონია“).

მაშასადამე, გარდამავალი ზმნების I თურმეობითში უპრევერბო ფორმათა ორი რიგი გამოიყოფა: უსუფიქსონი და **-ენ**-სუფიქსიანები.

1) უსუფიქსო ფორმები ევიდენციალურია, რადგან გამოხატავენ წარსულში მომხდარის შედეგს აწმყოში (**ხოხტაჟა** „დაუხატია, დანახატი აქვს“) და „თურმეს“ გაგებას მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით იძენენ, უფრო კი **ესნწარ** („თურმე“) ნაწილაკის დართვის შედეგად (**ესნწარ გუელერშაპ ხომა** „თურმე გველემაპი უჭამია“, მაგრამ შდრ. **ალას ხუჟა გუელერშაპ ხომა** „ამას ბევრი გველემაპი უჭამია (აქვს ნაჭამი)“, იმ მოქმედებისა, რომლის მოწმეც თავად მთქმელია, ან ამაში დარწმუნებულია.

2) **-ენ**-სუფიქსიანები გადმოსცემენ წარსულში მოქმედების (მდგომარეობის) შედეგს ნამყოშივე, რომლის მოწმეც მთქმელი არ ყოფილა, მოცემულ (თქმის) მომენტამდე ფაქტი გაცნობიერებული არ ჰქონია (თუ თავად I პირია სუბიექტი) ან სხვისგან გაუგონია (თუ სუბიექტი II ან III პირია) და, ამდენად, ზმნა ევიდენციალურს კი არა, საეჭვო-სავარაუდო, **უნახავი** მოქმედების შინაარსს შეიცავს. ამასთან, ეს უკანასკნელი უსუფიქსოებს უპირისპირდებიან **მოქმედების სახით** (ერთგზისობა-მრავალგზისობა, წყვეტილობა-განგრძობითობა).

III ჯგუფს მოცემულ მწკრივში ძირითადპრევერბიანი გარდამავალი ზმნები შეადგენენ, მათი სემანტიკა ცალსახად „თურმეს“ გულისხმობს და სხვაგვარ კონტექსტში მონაწილეობაც არც კი ძალუძთ.

-ენ-იანი ფორმები სტრუქტურით ორპირიან გარდაუვალ და სტატიკურ ზმნათა თურმეობითი I-ის ფორმას ემთხვევა:

აწმყო:	თურმ. I
ხაშხა „აკერია“	ხა აშხა ხა აშხბე ჭენა „ჰკერებია“
ხეშხი „ეკერება“	ხა/აშხა ხა/აშხბე/ენა „შეჰკერვია“
აშხი „კერავს“	ხა/აშხბე/ენა „უკერავს, შენაკერი ჰქონია“

ოღონდ გარდამავალი ზმნისთვის **-ენ**-იანი ფორმა ერთადერთია მოცემული სემანტიკისთვის („ნაკერი ჰქონია“); უსუფიქსოდ ის დაკარგავს ოთურმეჟ-ს გაგებას (**ხოშხა** „შენაკერი აქვს და მე ეს ვიცი“). დანარჩენ ზმნებში კი (სტატიკური და ორპირიანი გარდაუვალი ზმნები) მონაცვლეობა სუფიქსიან და უსუფიქსო ფორმებისა მართლაც თავისუფალია ზმნათა უმრავლესობაში, ოღონდ **-ენ**-იანი (ე. წ. გრძელი) ფორმები დღეს უფრო ბუნებრივად ყდერს და ხშირადაც გამოიყენება, უფრო მეტიც: ისინი ზმნისწინიან ფორმებშიც (**ახშხებენა** „შეჰკერვია“, **ესშხებენა** „დაჰკერვია“) ინარჩუნებენ მას

-ენ-ის შედარებით მყარი პოზიცია აღნიშნული ტიპის ზმნებში განპირობებული უნდა იყოს სტატიკურ აწმყოთა ფორმებთან იდენტურობის თავის არიდებით.

ჩვენ აზრით, არ გამოირიცხება, რომ მოცემულ შემთხვევაში **-ენ**-**-ენ**-სწორედაც ამ საჭიროების საფუძველზე განვითარებულიყო, თუმცა პარალელური ფორმები დღემდე არსებობს (შდრ. **ხარა||ხარენა** „ჰქონია“;

ჩუათგენა||ჩუათგენენა „დასდგომია (თვალეები)“, **ლახხუია||ლახხუიენა** „შეხვედრია“, **ლახლუენა||ლახლუერენა** „შეჰფიცვია“...), რაც ანალოგიით შეიძლება აიხსნას.

საანალიზო სუფიქსი ნამყო წინარეწარსულში ხშირად არის უგულვებელყოფილი, განსაკუთრებით — ბალსზემოურ დიალექტში: როგორც (შედარებით ცოტა) მასალა გვიჩვენებს, **-ენ-**, ჩვეულებრივ, დაცულია ბეჩოურში (**ჩუათგანენ-ან** „სუნი სცემოდა“, **უ'აჯკვლთხ-ენ-ან** „აგმალვებოდა“ (ასევე, ზოგადად, ჩუბეხეურში ქ. მ.), ბალსზემოურში კი არა ჩანს: **ათკარ-ან** „გალებოდა“, **ათგან-ან** „სუნი სცემოდა; დახვნოდა“ (თოფურია 1967:174).

ინტერფერენციის პროცესმა, რომელიც კოდორის (resp. დალის) ხეობაში მცხოვრებ ბალსზემოელ-ბალსქვემოელთა მეტყველებაში აშკარაა, არც თურმეობითებს აუარა გვერდი. კოდორელი ბალსზემოელები ნამყო წინარეწარსულის ფორმებში **-ენ-/-ენ-** ელემენტს არა თუ არ უგულვებელყოფენ, შეიძლება ითქვას, მათს მეტყველებაში სუფიქსიანი ფორმების გამოყენება სისტემურიც კია, უსუფიქსოებს მხოლოდ აქა-იქ თუ შევხვდებით:

აარად ხეკუეს ბზათ ხუღუნენ-ენ-ხ — „იარალი მზად უნდა ჰქონოდათ“;

ამის ესერ მამ ფას ხან, ეჯესერ ხეკუეს ჩუ ხახლენენ-ხ — „ამას რა ფასიც ადევს, ის უნდა გცოდნოდათო („სცოდნოდათ“)“;

ასევე, პრევერბის **ა-**, რომელიც ბალსქვემოურში **ო'**დ არის წარმოდგენილი, ხშირად კოდორში ჩასახლებული ბალსზემოური კილოს წარმომადგენლების მეტყველებაშიც იჩენს თავს და ბალსზემოური **ამჰკეჟელი** „გაწყვეტილან“, **ჩუალმინელი** „დამწვარა“ ლექსემების ნაცვლად გვხვდება გრძელი ხმოვნებით გაფორმებული თურმეობითის ბალსქვემოური ფორმები: **ომჰკეჟელი**, **ჩუოლშინელი**...

თურმეობითის სიძველეზე მიუთითებს იდიომატიკა სვანურში; ისეთ გამოთქმებში, რომლებიც დალოცვას, წყევლას, ნატვრას გულისხმობს, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში კავშირებითის ფორმები იხმარება (ბედნიერად **გველოს!** მიწა **გაგისკადეს!** **გამრავლებულიყავით!**) სვანური კი აქაც არქაულობას ავლენს, ძველი ქართულისთვის ჩვეულ **-მცა(ა)** (**-უ||-უჟ** (ბზ.), **-ოღუ**, **-ოჟ** (ბქ.) ნაწილაკიან კონსტრუქციას იმეორებს და კვლავაც თურმეობითის ფორმებს იყენებს:

ხოჩა ლირდჟუ ოთვიდახ!

„კარგი ცხოვრებამც გაუტარებიათ!“

მიჩა ლადელუ ესერ ესქემა მიჩა მარხის!

„ჩემი დღემც შეჰმატებიაო ჩემს მარხეს! („მისი დღემც შეჰმატებიაო მის მარხეს!“).

ჟოდ ეჯმარს დო ლეწედ, ეჩქად ნომანუ ლოგზიგა!

„ვიდრე იმათ ვნახავთ („არ ვნახოთ“), მანამ არაფერიმც („არამც“) აგვტყენია!“

ჟოდ ეჩაჟ დოსა გჟუნენს; ეჩქად ნოსამაჟ აჯმარცხახ (სვ. პრ. ტ. I:87)!

„ვიდრე იქამდე არ წავსულიყავით, მანამ ნურფერიმც დაგმარცხებიათ!“

სვანურ ენაში რელატიურ-გარდამავალ და ბრუნვაცვალებადსუბიექტიან აბსოლუტურ ზმნებს (ავტოაქტივებს, resp. მედიააქტივებს) მოეპოვება ინვერსიული ფორმები, რომელთა ზუსტი შესატყვისობა მწკრივის სახით

ქართულში არ არის. ამიტომაც, საჭიროების შემთხვევაში, ქართულად I თურმეობითის ფორმით ან აღწერითად თარგმნიან: **ხედგარი** „მოუკლავს მას ის“ ან „ნაკლავი ექნება ალბათ“; ამავე ფორმებს **-ოლ** (ბზ.), **-ი** (ბქ.) აფიქსით კი II თურმეობითს შეუსატყვისებენ ხოლმე: **ხედგაროლ** (ბზ.), **ხედგარიი** (ბქ.) „მოეკლა მას ის“ ან „ნაკლავი ექნებოდა ალბათ“ (მდრ. თურმ. I — **ხოდგარა**, თურმ. II — ბზ. **ხოდგარან**, ბქ. **ხოდგარაან**), რაც მათს რეალურ სემანტიკას არ შეესაბამება.

ვ. თოფურისას „სვანურ ზმნაში“ ეს ფორმები მსგავსი სემანტიკით არ ჩანს, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ 30-იან წლებში, როდესაც ეს წიგნი იქმნებოდა, გამოყენებულ მასალაში ვერ მოხვდებოდა და ვერ იქნებოდა ფიქსირებული ყველა ნიუანსის მქონე ლექსემა..

აღნიშნული მონაცემები აქტიური ზმნებია, სინთეზური წარმოებისაა და პერფექტულია: **ხემი** (ბზ.) **ხემი** (ბქ.) „ალბათ უჭამია მას ის“, **ხემოლ** (ბზ.), **ხემიი** (ბქ.) — „ალბათ ეჭამა მას ის“. ისინი გადმოგვცემენ წარსული დროის **სავარაუდო, დაუზუსტებელ** მოქმედებას დინამიკაში, სტატიკური შედეგით — პირველ შემთხვევაში (**ხემი**) აწმყო-მყოფადში, მეორე შემთხვევაში (**ხემოლ, ხემიი**) — წარსულშივე.

როგორც ცნობილია, ქართველოლოგთა ერთი ნაწილი (ნ. ნათაძე, დ. მელიქიშვილი, ა. არაბული, მ. ბერიძე...) III სერიის მწკრივებს ისტორიულად სტატიკურ ზმნებს უკავშირებს. დ. მელიქიშვილის აზრით, „I რეზულტატივი, II რეზულტატივი და III კავშირებითი წარმოშობით სტატიკური ზმნების აწმყოს, წყვეტილისა და II კავშირებითის ინვერსიაქმნილი ფორმებია, რომლებიც დღეს დინამიკური გარდამავალი ზმნების პარადიგმის გაგრძელებაა. ამ ფორმებს ერთ ჯგუფში აერთიანებს წარმოების წესი და ინვერსიული კონსტრუქცია“ (მელიქიშვილი 2001 : 48). სვანურ მასალაზე ეს ასე აისახება:

სტატიკური	გარდამავალი
აწმყო ხობტაჟა „უხატია ის მას“	I თურმ. ხობტაჟა „უხატავს მას ის“
წყვეტილი ხობტაჟან „ეხატა ის მას“	II თურმ. ხობტაჟან „ეხატა მას ის“
II კავშ. ხობტაჟენს „ეხატოს ის მას“	III კავშ. ხობტაჟენს „ეხატოს მას ის“

სტატიკურთა რომელი მწკრივების ინვერსიით შეიძლება მიგველო საანალიზო ფორმები? შევაგსოთ პარადიგმა:

სტატიკური	გარდამავალი
მყოფადუსრული ხესტაჟი	საანალიზო ფორმა ხესტაჟი
„ეხატება ის/ის მას“	„ალბათ უხატია მას ის“
პირობითუსრ ხესტაჟოლ/-იი (ბზ., ბქ.)	საანალიზო ფორმა ხესტაჟოლ /იი (ბზ., ბქ.)
„ეხატებოდა ის/ის მას“	„ალბათ ეხატა მას ის“

როგორც გამოირკვა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი პირველი ფორმა (**ხესტაჟი**) შესაბამისი სტატიკური ზმნის მყოფადუსრულის მოდელს იმეორებს, მეორე (**ხესტაჟოლ/-იი** (ბზ., ბქ.) კი პირობითუსრულისას. გარდა ამისა, ეს რეზულტატიური ფორმები სემანტიკურადაც სრულ ჰარმონიაშია აღნიშნულ მწკრივებთან: ერთი გულისხმობს წარსულის სავარაუდო

მოქმედების პირობით შედეგს აწმყო-მყოფადში, მეორე კი ასევე პირობით რეზულტატს, ოღონდ წარსულშივე:

ბზ. **ხებნდი** („ალბათ უღვრია“): **ალას მახუა ქიმ ხებნდი მიჩა გელა ბედვი** — „ამას რამდენი ცრემლი უღვრია ალბათ თავისი შვილის გამო“ (მდრ. **ქიმ ხობიდა** — „ცრემლი უღვრია“, კონტექსტის მიხედვით ნახული ან უნახავი, მაგრამ არა სავარაუდო!).

ბზ. **ხემი** („ალბათ უჭამია“): **ლაშედღუნლ ეჭლა ხაბუახ ნიშგუემეძე სუჭირო, ერე ეჩაბუნსდ ესერ ქა ლეჭუნდწლი ხარ, ეშუნა დიამარ ხემი**“ (სვ. პრ. I 1939:8:31) — „ქელეხი იმიტომ მიაჩნიათ ჩვენში საჭიროდ, რომ „საიქიოში ჩამოსარიგებელი აქვსო, ვისი პურიც კი ალბათ უჭამია ამქვეყნად“;

ბზ. **ხემვერი** („ალბათ II იქნებ გაუგია“): **ამკლიბ დინას როქუ ხუეთხელი მი ი ეჩი მუთური მაწგხ, ჰ'წს მა ხემვერი ეჭ დინწუ** (იქვე 146:18:19) — „ამნაირ გოგოს ვეძებ მე და იმისი მასწავლებელი მჭირდება, თუ ვინმეს რამე იქნებ გაუგია იმ გოგოსი“;

ბზ. **ხედგარი** („ალბათ მოუკლავს“): **ტარიელს აშირთეფი ღუაშ ჩუ ხედგარიუ** — ტარიელს ასამდე ჯიხვი ალბათ მოეკლა;

ბქ. **ხეცხუბიუ** („ალბათ მოეტაცებინა“): **არზომან გურჩიანს ერუეშდ სიმაქ ეჭდა ხეცხუბიუ, ქა მეკუჰე ლწსუ** — „არზომან გურჩიანს ოცი ასული მაინც მოეტაცებინა ალბათ, განთქმული იყო“.

აღნიშნულ ფორმებს ასევე თავისუფლად აწარმოებენ ავტოაქტივები (resp. მედიოაქტივები):

ბზ. **ხებგრიელი** („უჭიდავია ალბათ“): **მანობეი ალ მარა ხუნა ხებგრიელი** — „ახალგაზრდობაში ამ კაცს ბევრი უჭიდავია ალბათ“;

ბქ. **ხეხელლიუ** („ეგლო ალბათ“): **ბანჩას მისა დრეუფი თანდინარქა მასარდ ხეხელლიუ!** — „ბანჩას თავის დროზე უღელტეხილებზე ბევრი ეგლო ალბათ“.

საანალიზო ზმნებს პრევერბიანი ფორმები არა აქვთ; სწორედ ამიტომ ისინი დიურატიულობას გამოხატავენ (იგივე ითქმის ზემოთ განხილულ უპრევერბო -ენ- სუფიქსიანთა შესახებაც | თურმეობითში). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნათა ფორმები: **შდუ'უ'ე** „თოვს“ — **ხეშდუ'უ'ი** „უთოვია ალბათ“; **ხეშდუოლ** (ბზ.), **ხეშდუიუ** (ბქ.) „უთოვა ალბათ“. მსგავსი სემანტიკის ზმნებში უფრო გამოკვეთილია მოქმედების დიურატიულობა და გამორიცხულია მომენტობრიობა. ცნობილია, რომ „დიურატიული ასპექტის ზოგ ნაკვეთს მრავალგზისი მოქმედების გამოხატვაც შეუძლია“ (მაჭავარიანი 1974:129), თუმცა ითვლება, რომ ხოლმეობითი, როგორც გრამატიკული კატეგორია, დღევანდელ სვანურში აღარ გვაქვს (სწორედ | ხოლმეობითის ბადალ მწკრივს უწოდა ვ. თოფურამ პირობითი). საანალიზო ფორმებში **ნიუანსურად** სწორედ პირობითობა-ხოლმეობითობის სინთეზია, თანაც, ბოლოსდაბოლოს, ხოლმეობითის -ი ხომ დიურატიული ასპექტის უძველეს მაწარმოებლადაა მიჩნეული ქართველურ ენებში, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

საანალიზო ფორმათა შინაარსიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მათს

შემცველ წინადადებებში ნათქვამის მიმართება სინამდვილისადმი ვარაუდის, შესაძლებლობის, დაუზუსტებლობის გამომხატველია. ქართულში მსგავს ვითარებაში მოდალური სიტყვები მოიშველიება, სვანურში, კი როგორც დავრწმუნდით, აღნიშნული სემანტიკა სინთეზურ ფორმებშია ჩადებული. მათი აღწერითი ფორმები თავად სვანურში უდრის **I და II თურმეობითის ფორმები** + ნაწილაკი **მგრან** (ბზ.), **მაჟუშული** (ბქ.) „აღბათ“:

ხედგარი = **ხოდგარა მგრან** — „მოუტკლავს აღბათ [ხოლმე]“;
ხეტმური = **ხოტმურა მგრან** „უტყავებია აღბათ [ხოლმე]“, თუმცა გადმოქართულებისას, რაგვარობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგჯერ სხვა მოდალურ ლექსემებსაც („იქნებ“, „ეგებ“, „ნეტავ...“) მოირგებს:

ალას ლწდი მანგჟუშ ხნში (ბზ.) — „ამას დღეს არაფერი უჭამია აღბათ“, შდრ. **ალას ლწდი მანგჟუშ ხნშია?** — „ამას დღეს არაფერი უჭამია ნეტავ?“

ალ ლეხიას მაზუ ხეფუი, ანჯაბიჟომშ? (ბქ.) — ამ ლობიოს რამდენი უდუღია ნეტავ, მოიხარებოდა? — შეკითხვა რიტორიკულია; სიზუსტის (და არა პირობითობის) შემთხვევაში კი ნამყოსრული შეცვლის მას:

ალ ლეხიას მაზუ ხოფუა? — „ამ ლობიოს რამდენი უდუღია (IIრამდენი იდუღა?“

მასასადამე, ზმნათა აღნიშნულ ფორმებს გამოკვეთილი სემანტიკა და საკუთარი წარმოება აქვთ, რაც განაპირობებს მათ სათანადო მწკრივებად გამოყოფის აუცილებლობას. რაც შეეხება მწკრივთა დასახელებას, მხედველობაში მისაღებად მიგვაჩნია შემდეგი ფაქტორები: ა) საანალიზო ფორმათა პირველი რიგი — **ხემარი** „უმზადებია აღბათ“ — პერფექტულობაში გათვალისწინებულ დროთა მიხედვით (ნამყო — აწყო) I შედეგობითს ეკედლება, მეორე რიგი კი — **ხემაროლ**, **ხემარიჟუ** (ბზ. ბქ.) „ეგებ ემზადებინა“ (ნამყო — ნამყო) — II შედეგობითს; ბ) სემანტიკურ განსხვავებას I და II შედეგობითსა და აღნიშნულ ფორმათა შორის პირობითობა ქმნის; 3) საანალიზო მონაცემებში აქტის ნიუანსი, კავშირებითის მსგავსად, გათვალისწინებული არ არის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სახელდებისას პირობითობასთან ერთად უმჯობესია, შედეგობითობა ფიგურირებდეს და მათ პირობით-შედეგობითი I და პირობით-შედეგობითი II ეწოდოს.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, სვანურში III სერიაში ხუთი პერფექტული დრო გამოიყოფა: თურმეობითი (შედეგობითი) I, პირობით-შედეგობითი I, თურმეობითი (შედეგობითი) II, პირობით-შედეგობითი II და კავშირებითი III. პარადიგმა კი ასეთ სახეს მიიღებს:

თურმეობითი (შედეგობითი) I

ხოშხა „უწვავს მას ის“ **ხოშარა** „უმზადებია მას ის“ **ხოშდარალა** „უთამაშია“

პირობით-შედეგობითი I

ხეშხი „უწვავს მას ის“ **ხემწარი** „უმზადებია აღბათ“ **ხეშდარწლი** „უთამაშია აღბათ“

თურმეობითი (შედეგობითი) II

ნა/ოშხან „დაეწვა მას ის“ **ნომარან** „ემზადებინა“ **ნა/ოშდარალან** „ეთამაშა მას [ის]“

პირობით-შედეგობითი II

ხეშროლ „დაეწვა ალბათ მას ის“ **ხემაროლ** „ემზადებინა ალბათ“
ხეშდარალოლ „ეთამაშა ალბათ მას [ის]“

კავშირებითი III

ხოშხან „დაეწვას მას [ის]“ **ხომარან** „ემზადებინოს“ **ხოშდარალან** „ეთამაშოს მას [ის]“.

ლიტერატურა

არაბული 1984 — ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბილისი.

ბერიძე 1998 — მ. ბერიძე, სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფისა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოების საკითხისათვის, საენეთმეცნიერო ძიებანი, VII, თბილისი.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები, I, თბილისი.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი.

მაჭავარიანი 1974 — გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

ნათაძე 1955 — ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VII, თბილისი.

ონიანი 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

სვანური პოეზია 1939 — თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები 1939 — I, თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები 1957 — II, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჩანტლაძე 1983 — ი. ჩანტლაძე, ასპექტის კატეგორიის ისტორიიდან სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIX სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენების თეზისები, თბილისი.

ჭუმბურიძე 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.

KETEVAN MARGIANI-SUBARI

Towards the Perfective Forms in Svan

(according to Upper-Svan data)

S u m m a r y

Generally, Perfect is a complex organic tense in the system of Svan conjugation. Comparing with Georgian, it manifests more semantic loading, that conditions the varieties of affixation according to screeves.

Two kinds of non-preverbal forms of transitive verbs are distinguished in I Perfect: without suffix and with **-en-** suffix.

The forms without suffix are evidential: they express the result of past in present (**xoxwa** 'He/she has drawn it') and it has the understanding of act according to contex, more exactly, as a result of adding **esnār** ("supposly") particle.

The forms with **-en-** suffix express the result of past in past and fix, that a witness of this action was not a narrator; an act is doubtful without a contex.

The transitive verbs with main-preverb are meant in the II order of the mentioned screeves. Their semantics also expresses an unseen action and in other contex these verbs do not occur (differently from Georgian; cf.: "**mtebi bevrjer damixaṭavs**" "I have drawn mountains many times").

The verbal forms, which are not fixed among the screeves well-known up today, are evidenced in Svan (**xextäwi** "Perhaps he/she would have drawn it"; **xextäwiw** "Perhaps he/she has drawn it"). These verbs are perfective, resultative – they express conditional action of the past with static conditional result in present (I form) or in past (II form). The forms are inversive. They would have passed the same way, as the other screeves of III series. These verbs repeat the models of future-perfect (**xextäwi** "He/she will have down it") and conditional-perfect (**xextäwiw** "Perhaps he/she would have had drawn it") of relevant static verbs (they are semantically close with them) and we believe, that they are their inversed forms. Semantically they are: **II Perfect + particle ~albat~** "perhaps".

Thus, the above mentioned verbs have:

- a) specific semantics – conditionality, which differs them from I and II Perfects;
- b) own form;
- c) resultativeness;
- d) inversiveness.

We think, that all these make essential to separate them into screeves and to give a place in III series. As in the contex of these forms (owing to conditionality) an act is not meant. According to our view, it is better to mention conditional-resultative in their names (instead of perfect) and name them **conditional-resultative I** and **conditional-resultative II**.

ნანა მაჭავარიანი

**ფრინველთა აფხაზური სახელწოდებების
სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი**

ენის ლექსიკური ფონდის ამა თუ იმ უბანში ადამიანთა ყოფის სხვადასხვაობაა უკუფენილი. ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს იმ მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევებაში შეინიშნება.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი ფრინველთა სახელწოდებებს მოიცავს.

სემანტიკური თვალსაზრისით ფრინველთა ლექსიკა შეიძლება დაიჭოს: შინაურ და გარეულ ფრინველთა მდებრობით, მამრობით და ნაშიერთა სახელწოდებებად.

ცალკეა გამოსაყოფი ფრინველთა სადგომის, სხეულის ნაწილების, ხშიარობისა და დაავადებების აღმნიშვნელი ლექსიკა, რომელიც მრავალ საინტერესოს იძლევა ფრინველთა სახელწოდებების შესწავლისა და ზოგადად, ენობრივი ერთობის ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური ასპექტების გათვალისწინებისათვის.

ფრინველის ზოგადი სახელწოდებაა **ა-ფსაა // ა-ფსაატ°**, ამ სიტყვის ეტიმოლოგია ეკუთვნის ქეთევან ლომთათიძეს. მკვლევრის აზრით, ლექსემის ძირი უნდა მომდინარეობდეს ტაპანთურში დადასტურებული **აფმარა** „ფრენა“ ძირისაგან, რომელიც პირაქეთა დიალექტების (აბჟუურისა და ბზიფურის) **აფსაა-ს** საესებით თანხვედნილია: „-ს დაკარგვის ნიადაგზე ვიღებთ აა-ს. რაც შეეხება **-ტ°** სუფიქსს, იგი აფხაზურსა და აბაზურში ძალზე პროდუქტიულია, გამოხატავს კუთვნილებას, გამოიყენება ნაზმნარ არსებით სახელებში სამოქმედო, მოქმედებისათვის განკუთვნილი სახელის საწარმოებელ აფიქსად. მაგ.: **აშტ°გ** „დასაკლავი“, **აჟაწატ°** „გასაკეთებელი“ და სხვ. **ა-ფსაატ°** სიტყვის მნიშვნელობა უნდა იჭოს „საფრენი“, „ფრენისა“, „ფრინველი“. (ლომთათიძე 1945 : 311)

ფრინველთა სახელწოდებებს აფხაზურში განიხილავს თ. გვანცელაძე. მას გაანალიზებული აქვს ფრინველთა სახელები: ა)გარეგნობის, ბ)საცხოვრებელი ადგილის გ)ცხოვრების ნირის, დ)გამოცემული ხმის, მიხედვით შერქმეული, კომპოზიტები, ნასესხები ლექსემები...შე მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფრინველთა სახელწოდებების დიდი ნაწილი მოტივირებულია. (გვანცელაძე 1982 : 5-8)

ჩვენს ხელთ არსებულ ფრინველთა ლექსიკაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიჭოფა სხვადასხვა მოდელები:

• ფრინველთა სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით: **ა-ყვზ** „ბატი“, **ა-ბყა** „წერო“ **ა-კტგ** „ქათამი“, **აყართ** „კრუხი“, **აწვს** „ჩიტი“, **აქა** „შევარდენი“, **აპგჰ** „მტრედი“, **ა-ტგ** „ბუ“, **ა-ჩა** „მწვერი“, **ა-ლაჰა** „ჭორანი“, **ა-ხ-შ** „ქორი“, **ა-ხ-აჟ** „ჩხიკვი, ჟაფარა“, **აქანა** „იხვი“, **ა-კუკუ** „გუგული“, **ა-ჭარასა** „გვრიტი“. არასა „თხილი“? **ა-გაგუშ** // **ა-კაკუშ** // ბზიფ.: **ა-შიში** „ინდაური“.

• ფრინველთა სახელწოდებების დიდი ნაწილი მიიღება კომპოზიციით:

ა-მშაგნყვზ „გედი“, რომელშიც **ა-მშაგნ** „ზღვაა“, **(ა)ყვზ** „ბატი“. სიტყვასიტყვით: „ზღვის ბატი“.

ა-შაშაღჯჩ „წიწკანა“, რომელშიც **ა-შაშა** „ქონია“, **(ა)ღჯჩ** „ქურდი“. ზედმიწევნით: „ქონის ქურდი“.

ა-ძთას „ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩეკი, წყალჩიტა“, რომელშიც **აძ < აძგ** „წყალია“, **-თა-** ლოკალური პრეფერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, **-ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწვს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყალად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

ა-ძგცა „ყანჩა“, აქაც: **ა-ძგ** „წყალს“ უნდა ნიშნავდეს, **ა-ცა** „ტყავს, კანს“, ზედმიწევნით: „წყლის ტყავი“.

ა-ძგკტგ „გარეული იხვი“, **ა-ძგ** „წყალია“ **ა-კტგ** „ქათამი“ სიტყვასიტყვით: „წყლის ქათამი“.

ა-დგრგანწვზა „ბოლოქანქალა“, **ა-დგრგან** „ტაფა“, **ა-წვზა** „კული“ ზედმიწევნით: „ტაფის კულა“.

ა-ყარმაწვს „ბულბული“. ქ. ლომთათიძის აზრით, სიტყვა შედგება აჭარმა „სვია, ფშალა“ სახელისა და აწვს „ჩიტი“ ლექსემებისაგან. ავტორი სახელწოდებას უკავშირებს ქართულ ყარანას (ლომთათიძე 1944 : 122) სიტყვასიტყვით: „სვიის ჩიტი“.

ა-ჯწვს „მერცხალი“, **აჯ** „ძროხა“, **ა-წვს** „ჩიტი“ ზედმიწევნით: „ძროხის ჩიტი“. (მაჭავარიანი 2008 : 153)

არდგნა „შოშია“, ამ სიტყვის ეტიმოლოგია მოცემული აქვს ქ. ლომთათიძეს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“, გვ. : 158: ავტორს **-არ-** ელემენტი ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელ ტერმინებში დადასტურებულ **აღ-** ელემენტის ვარიანტად მიაჩნია (იქვე : 95) ხოლო **დ** ელემენტი **ა-დგ** „მინდორ“ სიტყვას უკავშირდება. მკვლევარი სიტყვის ეტიმოლოგიის სხვა ვარიანტსაც გვთავაზობს: ბერძნულიდან ქართულში შემოსულ სიტყვად მიიჩნევს. გურული გაიდონა < იადონიდან ხომ არ არისო? (იქვე : 158)

აყარდგნა „შოშია“ აქ **აჟ** ნიშნავს „ძველს“ **ა-** ფუძისეულია. ძველი, (ბებერი) შოშია?

ანცარწვს „ბულბული“, რომელშიც **ანცა** „ღმერთია“, **-რ** მესამე პირის მრავლობითობის გამომხატველი კუთვნილების ნიშანი, **(ა)წვს** „ჩიტი“. ზედმიწევნით: „ღმერთის (მათი) ჩიტი“. ლექსემაში სახეზეა **-რ** მესამე პირის მრავლობითობის გამომხატველი კუთვნილების აფიქსი. აფხაზურს არ მოეპოვება

ბრუნვათა სისტემა, ენა ცდილობს კუთვნილება თავისი შესაძლებლობის ფარგლებში გამოხატოს. საინტერესოა, რომ ამჟამად **ანცა** „დმერთს“, მხოლოდითი რიცხვის გაგება აქვს, ეტიმოლოგიურად კი, როგორც ქეთევან ლომთათიძემ დამაყურებლად დაასაბუთა, ამ სახელწოდების ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იქოს „დედები“, (ლომთათიძე 1978 : 145) რასაც ნათლად ადასტურებს ამ სიტყვის შემცველი კომპოზიტი, რომელშიც ჩანს მსაზღვრელი სიტყვის მესამე პირის კუთვნილების **-რ** ნიშანი სწორედ მრავლობით რიცხვში. შდრ.: **ა-შააცა** „გამჩენი, შემოქმედი, შემქმნელი“, < **ა-შაარა** „შექმნა, გაჩენა“, რომელსაც მხოლოდითი რიცხვი არა აქვს. აფხაზურში ღვთაების აღმნიშვნელ ტერმინთა მრავლობითი რიცხვით წარმოდგენა წარმართობის (მრავალღმერთიანობის) დროიდან უნდა იღებდეს სათავეს. თუმცა ცნობილია, რომ ბიბლიაში შემოქმედი თავის თავს მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს:

და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა მსგავსებისა (დაბ. 1, 26); და თქუა უფალან ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა (დაბ. 3, 22); თქუა უფალან ღმერთმან: უ...მოვედით, გარდავიდეთ და შეუბრინეთ მათ ენანი მუნ (დაბ. 11, 6-7) წმინდა ბასილი დიდის განმარტებით, ეს არის მინიშნება თავად სამ პირზე, წმინდა სამებაზე (ექუსთა დღეთა, მე-9 საუბ.) ამ თვალსაზრისით აფხაზურს შემოუნახავს არქაული ვითარება.

ა-კეტრგზ-შ „ქორი“, „ქათმის ქორი“.

ა-წლარკუკუ „კოდალა, ხეკოდალა, ხეკაკუნა“, აწლა „ხე“, აკუკუ „გუგული“, ზედმიწევნით: „ხის გუგული“.

ა-ლაპარაწგ „ჩამურის ჩიტი, ბელურა, ჰივჭავი“ შდრ.: აბალრეფ.

ა-ლაპარა „ჩამური, საცეხველი“, **აწგ** „ჩიტი“.

ა-შაპგზაწ „სავათი“ სიტყვასიტყვით: „ფეხი რომელსაც ცალი (ერთი) აქვს. ზ- სამიმართებო პრეფიქსია.

აძგშა „ძერ-ქორი“, **შა** უნდა იყოს **აშაკკა** „თეთრი“ ზედსართავის ნაშთი. ზედმიწევნით: „ქორი თეთრი“. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გამოთქმა: დძგშაძა დშაღღეტ „ძერ-ქორივით გაჭადარავდა“.

ა-ხულფწგ // **ა-ხულმწგ** „ღამურა, მღამიობი“, **ა-ხულფ** „ღამე“, **ა-წგ** „ჩიტი“; სიტყვასიტყვით: „ღამის ჩიტი“.

ა-ხდაწგღრაა „ყელჭრელა“ **ა-ხდა** „კისერი, ყელი“, **ა-ღრაა** „ჭრელი“ ზედმიწევნით: „ყელჭრელა“ **წ** ელემენტი ხომ არ არის აწგს „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი? * **ა-ხდაწგღრაა** ზედმიწევნით: „კისერჩიტჭრელი“.

ა-პგწწრაფშ „გულწითელა“, ბზიფ.: **ა-პგწწრაყაფშ**, რომელშიც **ა-პგწწრა** „ღილია“, **აფშ** < **აყაფშ** „წითელი“.

ა-შხაც // **ა-შხც** „არწივი“, აშხა „მთა“, ბუნდოვანია სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

ა-ტვარვარ // **ა-ტვვვვვვვ** „ჭოტი“, **ა-ტვ** „ბუ“, ბუნდოვანია სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

ასევე ბუნდოვანია შემდეგი კომპოზიტების მნიშვნელობა:

ა-რხგნა „რუხი შაშვი“.

ა-ხ-შცბა „მიმინო“.

ა-ბჟოუბჟიკ // ა-შაამგნ-აჟ „ოფოფი“.

ა-ჭნგშა „თევზიყლაპია, ჭარო, ფოცხვი, დედა-მთვრალა“.

ა-მამგრჯაგ^o „ძერა, ყურბი“.

კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს, მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი კი მოსდევს საზღვრულს. აფხაზურს ბრუნების სისტემა არ გააჩნია, ქართულად აფხაზურის მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა.

• მამრობითი სქესის ზოგიერთი ფრინველის სახელწოდება დაირთავს მამრობითობის აღმნიშვნელ სიტყვა-სუფიქსს **-არბად** „მამალი“, რომელიც დამოუკიდებელი მნიშვნელობითაც იხმარება (ზოგადად) მამლის აღლსანიშნავად. მამლის მნიშვნელობით ეს სიტყვა **-დ** სუფიქსის გარეშეც გვხვდება: **არბა** „მამალი“, რომელსაც კრებითობის მნიშვნელობაც აქვს: **არბა ჭგრთუეიტ** „მამლები ყვიან“. **ა-კ^oტგ** „ქათამი“ (ზოგადი სახელწოდება), **ა-კ^oტარბად** „ქათამ-მამალი“. სწორედ ამ სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **-დ** ნახევარსუფიქსი. საუთლისხმოა, რომ აღნიშნულ **-დ** ელემენტს დაირთავს **ა-კ^oტად** „კვერცი“ ლექსემაც. შესაძლოა ეს ელემენტი ზოგადად „აღმოცენების“ სემანტიკის შემცველი იყოს. შდრ. **ა-დ^oარ** „ღერო“, **ა-დ^oარ-ა** „აღმონაცენი“. შდრ. აგრ. ქართული: ღერო, ღერძი...

• მდედრობითი სქესის ზოგიერთი ფრინველის სახელწოდება დაირთავს მდედრობითობის აღმნიშვნელ სიტყვა-სუფიქსს **არცგნა**, რომელიც ცალკეც იხმარება „დედლის“ მნიშვნელობით: **ა-კ^oტგ** „ქათამი“ (ზოგადი სახელწოდება), **ა-კ^oტარცგნა** „დედალი“, სიტყვასიტყვით: ქათამ-დედალი“.

აღნიშნული სიტყვების ეტიმოლოგიას ვხვდებით ქ. ლომთათიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. მკვლევარი ერთმანეთთან მიმართებაში განიხილავს **არბად** „მამალი“ და **არცგნა** „დედალი“ ლექსემების სტრუქტურას და გამოაქვს დასკვნა, რომ ისინი აგებულებით იდენტური უნდა ყოფილიყვნენ: **-ც** ელემენტი დედლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ხოლო **-დ** ელემენტი მამლისა. გარდა ამისა, **არცგნა** სიტყვაში **ნა-** ელემენტი „დედას“ აღნიშნავს, ხოლო **არბად** სიტყვაში **ბა-** ელემენტი „მამას“. შდრ.: **არ-ცგ-ნა / არ-ბა-დ** ოღონდ ელემენტების თანამედევრობაა სხვადასხვაგვარია: **არ-ცგ-ნა / არ-ბა-დ** < **არ-დ^oგ-ბა**, (ლოთათიძე 1976-77 : 96)

აქაც, როგორც ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში, მსაზღვრელი ვითარებითი ზედსართავის როლში გვევლინება და მოსდევს საზღვრულს. აფხაზურ ენაში არსებული მოდელი საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, აქაც დაცულია. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. საზღვრულ-მსაზღვრელის წჭობა ისეთივეა, როგორც ძველ ქართულში: მართვე“ არწივისა“.

• ნაშიერთა სახელების გადმოსაცემად ფუძეს ერთვის **-ს** დემინუტივის სუფიქსი, რომელიც თავად **ა-წვს** „ჩიტი“ ლექსემიდან მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს. **ა-წვს** „ჩიტი“, სახელწოდება ასევე გამოიყენება ზოგადად ნაშიერთა (არა მარტო ფრინველთა) სახელწოდებებშიც, ეს ფაქტი, როგორც აღნიშნავს მკვლევარი, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლების ტენდენციის მაჩვენებელია. **ა-კ⁰გ⁰შ < ა-კ⁰ტ⁰წვს** „წიწილა“. ამის გამო თვით ჩიტის ნაშიერისათვის **ა-წვს** ფუძეს დაერთო საგანგებოდ სინორჩის აღმნიშვნელი **ფშაქა: ა-წვს ფშაქა** „ჩიტის ბარტყი“. (ლომთათიძე 1991 : 48) **ა-რბაღ⁰ქგ⁰შ, ა-რბაღ⁰ნ⁰ქგ** „ყვინჩილა, მამლაყინწა“, **ა-კ⁰ტარშაარც** „ვარია, წრიაპი“, **შა** ელემენტი **ა-შაარა** „შექმნა, გაჩენასაგან“ მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1976-1977 : 96) **ა-ყარგლ** „ყვერული“.

ნაშიერთა **-ს** სუფიქსიან სახელებს მრავლობითში **-ს** ჩამოსცილდება და მის ადგილს იჭერს კრებითობის სუფიქსი **-რა: აწვს** „ჩიტი“, **აწა-რა** „ჩიტები“.

• ფრინველთა გარეულობის აღსანიშნავად ფუძეს ერთვის **აბნა / აბგნ** „ტყე“ ლექსემა: **ა-ბგნკ⁰ტგ** „ხოხობი“, რომელშიც **აბგნ** „ტყეა“, **აკ⁰ტგ** „ქათამი“, სიტყვასიტყვით: „ტყის ქათამი“.

არსებითი სახელით გამოხატული მსაზღვრელი მიმართებითი ზედსართავის როლში გვევლინება და წინ უსწრებს საზღვრულს. აფხაზურისათვის დამახასიათებელი მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა დაცულია.

• ფრინველთა სიმრავლე აღინიშნება კრებითობის **-რა** სუფიქსით: **ა-კ⁰ჭა-რა** „წიწილები“... ან ნივთთა (არაგონიერთა) მრავლობითობის **-ქა** სუფიქსით: **ა-ყგზ-ქა** „ბატები“. ზოგჯერ ეს სუფიქსები ერთადაა წარმოდგენილი: **აკ⁰ჭა-რა-ქა** „წიწილები“, **აჟ⁰წ-არ-ქა** „მერცხლები“, (თუმცა, გვხვდება **აჟ⁰წ-არ**, **აჟ⁰წ-ქა** ფირმებიც). ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, დაჩრდილულია წინამავალი **-რა** კრებითი მრავლობითი სუფიქსის ფუნქცია და ფუძე ხელმეორედ არის გაფორმებული ნივთთა კატეგორიის **-ქა** მრავლობითობის სუფიქსით.

• ფრინველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ფრინველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის **-რთა / -თრა** სუფიქსი: **აწვს-თრა // აწვს-თგვრა** „ჩიტის ბუდე“, **აკ⁰ტგ-რთა // აკ⁰ტგ-წა-რთა** „საბუდარი“, **ა-ფწ⁰არგლა-რთა** „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფწ⁰არგლარა** „ფრინველის დაჯდომა ღამის გასათევად, დაბუდება“. **-რთა / -თრა** სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს **ათრა** „სორო“ ფუძისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება. ამ შემთხვევაშიც კონკრეტული სახელის განზოგადებასა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს **აწვს** „ჩიტი“ ლექსემის შემთხვევაში იყო. (იხ. ზემოთ, გვ.: 5).

• ფრინველთა ხმიანობის აღსანიშნავად გამოიყენება ხმაბაძვითი სიტყვა: **ა-ჭგრჭგრ-რა** „ჭიკჭიკი“ და სხვ. უდრ.: ქართ. ჭიკჭიკი...

• ქართულიდან ნასესხები უნდა იქოს შემდეგი სახელწოდებები: **ა-კუკუ** „გუგული“, **ა-ჭენჭა** „პატარა ჩიტი, რომელიც ღობეში ძვრება“ შდრ.: „ჭინჭრა-ქა“, **ა-უარბა** „არწივი, ორბი“, შდრ.: „ორბი“, **ა-უარბაჟ** „ძერა“ შდრ.: „ორბი“, **ა-კაფკაფ** „მთის კაკაბი, შურთხი“, შდრ.: „კაკაბი“, **ა-მალადურ // ა-მლადურ** „მოლადური“, **ა-შაჟარდენ** „შეგარდენი“, **ა-ბადრეი // აბადგრ** „ბელურა“, **აჟ°რან** „სვავი“, შდრ.: „სორანი“, **აგ°ად** „გედი“, **ა-კ°ტგ** „ქათამი“ შდრ.: კვატა, **ა-პ°გპ** „მტრედი“, შდრ.: ხოხობი, **ა-ტგ** „ბუ“ შდრ.: „ტოროლა“.

• რუსულიდან ნასესხებია **ა-პოპუგაი** „თუთიჭუში“.

• ქათმის ავადმყოფობის აღსანიშნავად იხმარება ლექსემა **მგრზა** „ქათმის ერთგვარი სენი“, რომლის წარმოშობა ჩვენთვის ამჯერად ბუნდოვანია.

• ფრინველთა სხეულის ნაწილები: **ა-ხძგ // ამწ°გჟჟა** „ფრთა“, **ა-პგბ° // აკ°აფა** „კურტუმი“, **ა-ყგრყგდა** „ხორხი“, **ა-ყგრყგ** „ყანყრატო, ყელი, ხორხი, საყლაპავი“, **აშაპხც** „კლანჭი, ბრჭყალი, ჭანგი“, **ა-წგხ°ა** „კული“, **აწგწ°ლად** „ფრინველთ კუჭი“, **ა-ხ°** „ბუმბული, ღინღლი“, **ა-ხ°და** „კისერი“, **ა-ჩგყ°** „ჩინჩახვი“, **ა-ხჩქურთულ // ა-ხცგხურთულ // ა-ხგმბგმბგლ** „ქოჩორი“, **ა-ხცც°კუ-კუნ** „საქოჩრე, კორტოხი, კინკრიხი“.

სიხშირის მიხედვით ფრინველთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზეა კომპოზიტები, მეორეზე ოდენ-ფუძიანი წარმოება, მამრობითი და მდედრობითი სქესის მორფოლოგიური ასახვა ფრინველთა სახელებში არ არის სისტემატური.

ლიტერატურა

ბიბლია 1989 — საქართველოს საპატრიარქო.

გვანცელაძე 1982 — თ. გვანცელაძე, ფრინველთა სახელწოდებანი აფხაზურში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია.

ლომთათიძე 1945 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური აფსაა//აფსაატ° „ფრინველი“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, სმამ, ტ. VI, №4, თბილისი.

ლომთათიძე 1991 — ქ. ლომთათიძე, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლების ტენდენციის შესახებ (ნაშეიერთა სახელთა მიხედვით), ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ლომთათიძე 1976-1977 — ქ. ლომთათიძე, „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“, თბილისი.

ლომთათიძე 1944 — ქ. ლომთათიძე, ბულბულის სახელწოდება ყარანას გამო, სმამ, ტ. №1, თბილისი.

ლომთათიძე 1978 — ქ. ლომთათიძე, კვლავ აფხაზური ანც°ა („ლვაება“) სიტყვის ფუძის აგებულების შესახებ. „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, №3, თბილისი.

მაჭავარიანი 2008 — ნ. მაჭავარიანი, „მერცხალი“ ლექსემა ენათმეცნიერულ ლიტერატურაში და ამ სიტყვის ეტიმოლოგიის კიდევ ერთი ცდა, იკე, XXXVI, თბილისი, 153.

წმიდა ბასილი დიდი 1996 — ექუსთა დღეთათვის, საქართველოს ეკლესიის კალენდარი.

ჯანაშია 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

NANA MACHAVARIANI

Semantical-Structural Analysis of Birds' Abkhaz names

S u m m a r y

Different life of human being is mirrored in this or that area of a language fund. Different life defines those peculiarities and diversity which are observable in **inner fragmentation** of a lexical fund of different languages.

A great part of a **basic** Abkhazian lexical fund is the names denoting birds.

According to semantic viewpoint, bird vocabulary can be divided into the names female and male of domestic and wild birds and posterities.

The vocabulary denoting **dwelling place, anatomic parts of body, sound and disease** of birds is to be distinguished separately. This vocabulary is noteworthy from the viewpoint of studying a birds' vocabulary and generally, ethnological and culturologic aspects of language **unity**.

Different models are distinguished in a birds vocabulary from the structural viewpoint:

1. Names of birds are given with an **unsigned** stem: **a-psaa** "bird" (general name), **a-gaz** "goose", **a-pqa** "crane".

2. A great part of birds' names are formed through composition: **anc-arcs** "nightingale", word-in-word "God's (their) bird", in which **anc-a** is "God", **-r** is a possessive marker of III person plural, **(a)cs** "bird", **a-mšəngəz** "swan", word-in-word: "sea-goose", in which **a-mšən** is "sea", **(a)gaz** – "goose", **a-ššəy'əč** "greenfinch", in which **a-ššə** is "fat", **(a)γ'əč** "thief".

3. A word-suffix **-arbay** "**cock**" denoting male, is added to some male birds' name. This word-suffix is also used independently (generally) to denote a cock: **a-ktə** "hen" (general name), **a-ktərbay** "**hen-cock**".

4. A word-suffix **arcna** denoting female is added to some female birds' name: **a-ktə** "hen" (general name), **a-ktərcna** "mammal", word-in-word "hen-mammal".

5. A suffix **-s** of diminutive is added to a stem to denote the names of posterities: **a-cs** "bird", this name is generally used in the names of posterities (and **not only of birds**): **a-ktəš** < **aktəcs** "chick". In the names of posteriors with **-s** suffix in plural this

-s is changed into **-ra** (**collective suffix**): **a-ḥs** “bird” – **a-ḥa-ra** “birds”.

6. Multiplicity of birds is expressed by a collective suffix **-ra**: **aḥḥa-ra** “chickens”... or by **ka** plural suffix of things (of insentients): **a-ḥaz-ka** “geese”. Sometimes these suffixes occur together: **a-ḥḥa-ra-ka** “chicken”...

7. A suffix **-rta** / **-tra** is added to a stem denoting a bird, to express a dwelling place of birds: **a-ḥstra** “bird’s nest”, **a-ḥḥa-rta** “bird’s laying box”.

8. Onomatopoeic words are used to denote the sound of birds: **a-ḥḥarra** “twittering” and others.

The article deals with the attempt of systematization of birds’ Abkhazian names. Besides mentioned names the words denoting anatomic parts of birds body and some words entering the **semantic fields** of a birds’ vocabulary are **also discussed**, motivation of some names is manifested, **borrowed stems are distinguished**.

According to frequency, in the name denoting birds, composites are on the first place, on the second one – only-stem formation, morphologic reflecting of female and male is not systemic in the birds’ names.

ლადო მინაშვილი

დიდი ენათმეცნიერის ტალანტის
მრავალმხრივობა

არნოლდ ჩიქობავა ფართო საზოგადოებრივ პოპულარიზაციის მეცნიერი ბრძანდებოდა, რამდენადაც მას სპეციალისტის განათლება ჰქონდა მიღებული მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგში; ოღონდ ბევრისაგან განსხვავებით მრავალმხრივ ცოდნას თვითმიზნური დემონსტრირებისათვის როდი მიმართავდა. მას მკაცრად ჰქონდა შემოსაზღვრული თავისი კვლევა-ძიების, მეცნიერული მოღვაწეობის სფერო. სხვებზე უკეთ იცოდა, „როცა სპეციალისტი მონათესავე დარგების ვითარებაში საფუძვლიანად ერკვევა, მას შორს გახედვის შესაძლებლობა აქვს და ეს სპეციალურ საკითხებზე მსჯელობას სინათლეს მატებს“. დიდი მეცნიერი აქვე ამატებდა: „როცა სპეციალისტი ღრმად ფლობს საკვლევ მასალას, მისი მსჯელობა დამაჯერებელია და საინტერესო არა მხოლოდ სათანდო დარგის სპეციალისტისათვის“. თქმულის ძალიან თვალსაჩინო ნიმუშია თვით მისი ნაშრომები: არნოლდ ჩიქობავას დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა საინტერესოა არა მარტო ენათმეცნიერთათვის, არამედ ფილოსოფოსთათვის, ფსიქოლოგთათვის, ისტორიკოსთათვის, პედაგოგის დარგის მკვლევართათვის და, რა თქმა უნდა, ლიტერატურისმცოდნეთათვის არის ეს მემკვიდრეობა, პირველ ყოვლისა, დიდად საინტერესო და ღირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიკის, ლიტერატურისმცოდნეობით საკითხებში ჩინებულად ერკვეოდა, ბატონი არნოლდი დიდი კულტურის მქონე ადამიანისთვის ნიშანდობლივი თავმდაბლობით აცხადებდა: „ლიტერატურისმცოდნეობა ჩემგან შორს არის, მაგრამ ქართული ლიტერატურა ისევე ახლოსაა, როგორც ყოველი ქართველი მკითხველისათვის“. არნოლდ ჩიქობავამ საკუთრივ ლიტერატურის თვალსაზრისითაც ბევრი იღვაწა, ლიტერატურისმცოდნეობის სფეროშიც ძალიან დიდია მისი დამსახურება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მომზადებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის დასახელებაც სრულიად საკმარისია ქართული მწერლობისათვის მისი უდიდესი ღვაწლის ცხადსაყოფად. როგორც თავის დროზე აღინიშნა, „განმარტებითი ლექსიკონი ჩვენი მწერლობისათვის იყო უპირველესი საჩუქარი“ (გრ. აბაშიძე).

არნ. ჩიქობავას მეცნიერულ ინტერესებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართული სალიტერატურო ენის, მწერლის სტილის პრობლემების შესწავლას. მხატვრული ლიტერატურის შესწავლის დროსაც არ ტოვებდა იგი ენათმეცნიერის პოზიციას. მწერლობა მას აინტერესებდა, პირველ ყოვლისა, ენობრივი თვალსაზრისით. ამ თვალთა ზომავდა იგი რუსთველსაც და სულხან-საბა ორბელიანსაც, ილიასაც და აკაკისაც, ვაჟასაც და გალაკტიონსაც, გიორგი ლეონი-

ძესაც და სიმონ ჩიქოვანსაც. ხალხურ, ცოცხალ მეტყველებასთან კავშირი სალიტერატურო ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისად მიაჩნდა. „საკითხავი აქ ისდაა — წერდა იგი, — როგორ გამოიყენებს მწერალი ამ კავშირს, როგორ შეუხამებს ერთმანეთს ისტორიული ტრადიციით ნაანდერძევს და ცოცხალი ხალხური მეტყველების უშუალო წყაროდან მომდინარეს. ეს ეხება ენის ყველა მხარეს და მაინც **ლექსიკა** და **ფრაზეოლოგია** ამ მხრივ გამოირჩევა. ლექსიკა-სა და ფრაზეოლოგიას მწერლის ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქ გამოჩნდება, რა სათქმელი ჰქონდა მწერალს და როგორ შეძლო მისი თქმა. მხატვრული სტილი შემოქმედის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, ხოლო სტილს რაობა-რაგვარობაში ლექსიკა-ფრაზეოლოგიას გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის. მწერლის ენის შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის შესწავლას გულისხმობს“. დიდი ენათმეცნიერის ამ და ამ რიგის სხვა მონაზრებებს მეთოდოლოგიური ხასიათი აქვს.

განსაკუთრებით ფასეულია ლიტერატურისმცოდნეობისათვის არნ. ჩიქობავას ნაშრომები სტილის პრობლემის, საერთოდ, და, კერძოდ, მხატვრული სტილის შესწავლის თვალსაზრისით.

როგორც ვარკვევით მიუთითებენ, სტილის საკითხები ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემათა ცენტრში იდგა და ამჟამადაც დგას. მხატვრული ლიტერატურა ხელოვნების სხვა დარგებისაგან იმით გამოირჩევა, რომ მისი გამოხატვის საშუალებას ენა წარმოადგენს. ამდენად ლიტერატურის, კონკრეტულად მხატვრული ქმნილების სტილის შესწავლა მეოცე საუკუნის მანძილზე პრაქტიკულად ერთი მიმართულებით, ერთი ნიშნით წარიმართა, — კერძოდ სტილისტური დახასიათების გზით, ხოლო იგი, ეს კვლევა, დაუქვემდებარდა ლინგვისტურ ინტერესებს. მხატვრული ნაწარმოები განიხილებოდა, როგორც ტექსტი, ფაქტობრივად ლიტერატურულ-ესთეტიკურ მიზნებს მოწყვეტით. ყურადღების ცენტრში დადგა ლიტერატურული ნაწარმოები არა როგორც ვარკვეული პიროვნული ბიოგრაფიის მქონე ავტორის შემოქმედების ნაყოფი, არამედ როგორც ენობრივი ფაქტი. როგორც მიუთითებენ, „ნაშრომები სტილისტიკაში ძალიან ხშირად დაქვემდებარებულნი არიან ვიწრო აღწერით ამოცანებს“ (უელეკი და უორენი).

საკუთრივ ლინგვისტური ამოცანით შემოსაზღვრული კვლევის ლიტერატურული ვარგისიანობის საჩვენებლად ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ის შეფასება, რომელიც ცნობილმა ენათმეცნიერმა ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ გაუკეთა აღიარებული ენათმეცნიერის რომან იაკობსონის წიგნს ფუტურისტ ველიმირ ხლენიკოვის პოეზიის შესახებ. რომან იაკობსონი ნაშრომში ალაგებდა თავის კვლევა-ძიებით პრინციპებს. მიუხედავად რიგი ბრწყინვალე ენათმეცნიერული დაკვირვებისა, რომლებსაც იმთავითვე გახაზავდა ტრუბეცკოი, იგი საყვედურობდა იაკობსონს მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების გაუთვალისწინებლობას. აღნიშნავდა, რომ შეუძლებელი იყო სხვადასხვა ესთეტიკური პოზიციის მქონე ავტორის ერთ რიგში დაყენება: „**Кроме формы и содержания** (აქ შინაარსზე საუბარია ლინგვისტური გაგებით — ლ. მ.) **во всяком поэтическом произведении есть еще и эстетический подход, который собственно и делает произведение поэтическим. Если форму можно изучать**

независимо от содержания, и содержание независимо от формы, то изучать то и другое независимо от эстетического подхода нельзя... В вашей книге вы как-будто пытаетесь охарактеризовать творчество Хлебникова. Но если по прочтении вашей книги поставить себе вопрос, чем отличаются футуристы от Пушкина, то окажется, что отличие только в „степени“, а не в принципе. Между тем, это наверно не дает правильного представления об индивидуальных особенностях футуризма. Если бы Пушкин прочел Хлебникова, он просто не считал бы его поэтом. И произошло бы это конечно не потому, что футуристы применяют известные приемы не в той пропорции, к которой привык Пушкин, а в силу радикального различия в эстетических подходах“. ტრუბეცკოის აზრით, რ. იაკობსონის წიგნი თუმცა შეიცავდა ბრწყინვალე დაკვირვებებს ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით, მაგრამ აქ საქმე გვქონდა მხოლოდ პოეტის წიგნიდან ამ დანიშნულებით მოხმობილ საილუსტრაციო მასალის კრებულთან, ნაცვლად პოეტის შემოქმედების გარკვეული ასპექტით დახასიათებისა (Роман Якобсон, Работы по поэтике, М.-Л., 1987 წ. გვ. 14).

უნდა გარკვევით ითქვას, რომ სწორედ არნ. ჩიქობავა იყო ის დიდი მეცნიერი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჯერ კიდევ XX ს. 20-იანი წლების მიწურულს, ან 30-იანი წლების დასაწყისში განაცხადა, რომ ოდენ ლინგვისტური ინტერესებით მხატვრული ტექსტის კვლევა სრულიადაც არ წარმოადგენს ამ ნაწარმოების შესახებ ესთეტიკური შთაბეჭდილების შექმნის პირობას. მან ერთმა პირველთაგანმა მკაფიოდ მოითხოვა მხატვრული ნაწარმოების მიმართ ენათმეცნიერული და ლიტერატურისმცოდნეობითი მიდგომების გამიჯვნა. ბატონ არნოლდს ხშირად უყვარდა ბუფონიდან მომდინარე აზრის გამეორება: „სტილი ეს თვით ადამიანია“ (ბუფონი ამბობს: „სტილი თვით ადამიანისაგან მოდის“). არნოლდ ჩიქობავამ ერთერთმა პირველმა მხატვრული ნაწარმოები დაუკავშირა უშუალოდ მისი ავტორის პიროვნებას, მის მხატვრულ ინტერესებს, ესთეტიკურ პრინციპებს, არნ. ჩიქობავას სიტყვებით, „პოეტური სტილისტიკა შეისწავლის მხატვრული ნაწარმოების ენას, როგორც მხატვრული შინაარსის გამოვლინების საშუალებას, მისი საგანია პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქცია“.

ქართულ სინამდვილეში სტილის პრობლემებზე ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი გრიგოლ კიკნაძე თავის „მეტყველების სტილის საკითხებში“ ენათმეცნიერთაგან საგანგებო ყურადღების საგნად სწორედ არნოლდ ჩიქობავას მოსაზრებებს იხდის, მის ამოსავალ დებულებებზე დაყრდნობით ავითარებს თავის თვალსაზრისს სტილის რაობის, ენათმეცნიერული და პოეტიკური სტილისტიკის საზღვრებისა და ამოცანების დადგენის ურთულეს პრობლემებზე მსჯელობისას.

აღსანიშნავია, რომ თვითონ არნოლდ ჩიქობავამ მოგვცა მხატვრული მეტყველების სტილის ანალიზის თვალსაჩინო ნიმუში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა „მგზავრის წერილები“ და „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“ პერსონაჟების მეტყველების მაგალითზე. სწორედ აქ გლახა ჭრი-აშვილის მეტყველებაზე დაკვირვებისას გამოთქვა მან სახელმძღვანელო დებუ-

ლება „მეტყველების კულტურის“ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, „მეტყველების კულტურა“ სუსტობს იქ, სადაც აზროვნების კულტურა მოიკოჭლებს, და „მაშასადამე, მეტყველების კულტურისათვის“ ბრძოლა „აზროვნების კულტურისათვის“ ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია“. რამდენადაც ღრმა მოაზროვნის ეს სიტყვები დიდი სინათლით ხასიათდება, იმდენად გაძნელდა ჩვენში „მეტყველების კულტურის“ მესვეურთა მიერ მისით ხელმძღვანელობა, პრაქტიკულად მისი ამოქმედება.

არნ. ჩიქობავას მდიდარ სულიერ მემკვიდრეობას ამშვენებს შესანიშნავი ესეები, სტატიები, რომლებიც ქართველ მწერალთა ღვაწლის დახასიათებას ეძღვნება, მომეტებულად სამწერლო ენის განვითარების თვალსაზრისით.

ბუნებრივია, მეცნიერის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა შოთა რუსთველის პოემა. რუსთველის ენის საკითხებს, „ვეფხისტყაოსნის“ განუზომელ როლს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში არნ. ჩიქობავამ რამდენიმე წერილი მიუძღვნა. დიდი მეცნიერის დახასიათებით, „ვეფხისტყაოსანი“ დიდებული ჰიმნია ძლიერი, მართალი და ლამაზი ადამიანური განცდებისა, უბადლო თავისი ლექსის მუსიკალობით, მდიდარი შესანიშნავი აფორიზმებით. საუკუნეები ქმნიან პერსპექტივას, სადაც სრულად დაჩნდება ეს მწვერვალი ქართული პოეტური შემოქმედებისა, საპატიოდ სახსენებელი მსოფლიო ლიტერატურის შედეგთა შორის“.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ არნ. ჩიქობავას მიერ ნათქვამი „ვეფხისტყაოსნის“ იდეათა სამყარო, გმირთა სულიერი განცდები ფართო გასაქანს იძლევა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური რეფლექსიებისათვის და მაინც „ვეფხისტყაოსანი“, პირველ ყოვლისა, მხატვრული, პოეტური ნაწარმოებია“, სადღეისოდაც ყურის მიგდებას საჭიროებს. სწორედ ამ აზრითაც არნ. ჩიქობავას დაუძღვევლად მიაჩნია დიდი ილიას ნაკვლევ-ნააზრევი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. არნ. ჩიქობავას აზრით, ილია ჭავჭავაძემ დამაჯერებლად დაასაბუთა რუსთველის ქმნილების მსოფლიო მნიშვნელობა. ილია ჭავჭავაძის ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ რაობაში არსებითს, ნიშანდობლივს გამოავლენს და მით ფასეული ჩანს დღესაც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში.

სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლის შეფასებისას არნ. ჩიქობავა საგანგებოდ გვითვალისწინებს მისი „ქართული ლექსიკონის“ მნიშვნელობას და სწორედ დიდი ლექსიკოლოგისათვის ნიშანდობლივ დასკვნას აკეთებს — „ვეფხისტყაოსნთან“ ერთად და მის გვერდით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი („სიტყვის კონა“) ძველი ქართული გონითი (სულიერი) კულტურის ძვირფასი ძეგლიცაა და უდიდესი მიღწევაც“.

ილია ჭავჭავაძის მძლავრი ფიგურა, ილიას განუზომელი როლი ქართული ლიტერატურისა და საერთოდ, ქართული აზროვნების ისტორიაში არის არნ. ჩიქობავას რამდენიმე ბრწყინვალე სტატიის საგანი.

უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის დამსახურებად ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების თვალსაზრისით ტრადიციულად იმას თვლიან, რომ „მას, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელს, ადარ აკმაყოფილებდა ანტონ I-ის სქოლასტიკური, არქაული სტილი... ი. ჭავჭავაძემ **მოითხოვა** ქართული ენის

გაწმენდა, გასადავება, დრომოკმული ფორმების განდევნა მართლწერიდან“. ი. ჭავჭავაძის ამ მხრივ დამსახურებაზე საუბრისას, ნაცვლად ამ გავრცელებული, ტრადიციული შეხედულებისა, სახელმძღვანელოდ უნდა ჩაითვალოს არნ. ჩიქობავას სრულიად მართებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ყველაზე დიდი ამავი სალიტერატურო ქართულ ენას ილია ჭავჭავაძემ დასდო თავისი მხატვრული შემოქმედებით, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა და პუბლიცისტმა“.

ბატონი არნოლდი დიდი თვალსაჩინოებით გვითვალისწინებს ილიას უდიდეს დამსახურებას ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესწავლა-დადგენაში. იგი წერს: „ახლა სალიტერატურო ნორმების საკითხს შეისწავლის სამეცნიერო დაწესებულება, ხოლო ილიას დროს სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხების მოგვარება საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობის საქმე იყო. მოთავეობას ილია ჭავჭავაძე კისრულობდა. ეს ითქმის ახალი ტერმინების შესახებ, რაც სალიტერატურო ენას სჭირდებოდა, ქართული ლექსიკის შესწავლისა და ლექსიკონის შედგენის ღონისძიებათა შესახებ. ამასაც ილია ჭავჭავაძე უწოდებდა“.

არნ. ჩიქობავასებური სიცხადით ძნელად თუ ვინმეს უგრძობინებია ჩვენთვის, რაა ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქართული ენის ღირსების დაცვის თვალსაზრისით: „ენის უფლებებს იცავდა ილია ჭავჭავაძე და ამით თავის ხალხს, მშობელ ქვეყანას ესარჩლებოდა. ენის საკითხი ერის სასიცოცხლო საკითხებს უკავშირდება... ერის კულტურული ცხოვრება ენას საჭიროებს განვითარების იარაღად. ერის მეობას პირველ ყოვლისა ენა არკვევს (და შემდეგ ხალხური სიმღერა, ხალხის განცდათა მესაიდუმლე“). არნ. ჩიქობავას სიტყვებით, ილია არა მარტო მწერალი-კლასიკოსია, „არამედ მწერალი მოქალაქე. მას თავისი ხალხი უყვარდა ოთარაანთ ქვრივის პირუთვნელი სიყვარულით. ის თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა კატკოვებისაგან იმ შეუღრეკელობით, რაც თავისი სიმართლეში დარწმუნებულ ადამიანს ახასიათებს“.

აკაკის ღვაწლის გამოსახატავ ყველაზე ტევად აზრად დიდ ენათმეცნიერს მისი საყვარელი პოეტის გიორგი ლეონიძის ლექსის სტრიქონები ეხატება:

„შენ მოგვიზომე სამშობლო
შენი ჩონგურის სიმებით“,

ვაჟა-ფშაველას როლზე საუბრის დროს არნოლდ ჩიქობავა ეხება იმ სრულიად გაუგებარ შეფასებას, რომელიც 1951 წელს მიეცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, კერძოდ მის ენას და სათანადოდ მიუზღავს გრიგოლ კიკნაძეს, იმ მეცნიერს, რომელმაც პირველმა, მისი სიტყვებით, „ცხადი გახადა, რომ ეს შეფასება არაობიექტური იყო“.

არნ. ჩიქობავას სიტყვებით, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა ის გაუთიშავი სამეულია, რომელიც ახალი ქართული ლიტერატურის დიდებას ქმნის. ისინი ახალი ქართული ლიტერატურის სამ დედაბოძს წარმოადგენენ. ხოლო მათი შემოქმედება კი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ურყევი საფუძველია.

საგულისხმოდ გვესახება მეცნიერის აზრი უკვდავი „დედა ენის“ ავტორზე. ი. გოგებაშვილი მას ილია ჭავჭავაძის სტილის მოღვაწედ ესახება. ერთგან არნ.

ჩიქობავა „დედა-ენის“ შევსება-გადახალისების საკითხსაც შეეხო და დღესაც, ახალი სახელმძღვანელოების მოზღვავება-მოძალების ვითარებაშიც რომ არ დაუკარგავს აქტუალობა, ისეთი მოსაზრება გამოთქვა; ერთგვარი დროის შესაბამისი ცვლილებების შეტანა წიგნში მან საჭიროდ კი სცნო, მაგრამ „ამოსაღები ადვილად ამოიღეს, ძნელი აღმოჩნდა შევსება. თვალში საცემი იყო განსხვავება გოგებაშვილის ტექსტებსა და დანართ ტექსტებს შორის, თუმცა მისი ავტორები ცნობილი პედაგოგები იყვნენ, ახალი მასალა გოგებაშვილის კონდიციამდე ვერ აიყვანეს“.

ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტთაგან თავისი ჯავარიანი სიტყვით, ბარაქიანი ხალხური მეტყველების საგანძურიდან რომ მოედინება, არნ. ჩიქობავას განსაკუთრებით ხიბლავდა გ. ლეონიძე. ხშირად უყვარდა სხვადასხვა ვითარებაში მისი სტრიქონების მოშველიება. დიდად ინტერესდებოდა ს. ჩიქოვანის პოეზიით, მისი საყურადღებო ექსპერიმენტებით ქართული სიტყვის სფეროში.

გარდა მწერლებისა, არნ. ჩიქობავას შექმნილი აქვს შესანიშნავი პორტრეტები, წერილები ჩვენი ლიტერატურის, კულტურის, მეცნიერების დიდი მოამბეების — ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ს. ჯანაშიას, ვ. თოფურისა, ნ. ბერძენიშვილის, გრ. კიკნაძის შესახებ. იგი იყო გამორჩეული ესეისტი, პორტრეტისტი.

მაგალითისათვის ძალიან მოკლედ შევჩერდებით ორიოდ ესეზე. ი. ჯავახიშვილის ღვაწლზე საუბრისას არნ. ჩიქობავა წერს: „ქართველი ხალხის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ურყევი რწმენა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ უნივერსიტეტის დაარსება ეთავა მაშინ და ამ ურყევემ რწმენამ და შეუდრეკელმა ნებისყოფამ შეაძლებინა ი. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის დაარსება თავს ედო და დიდი საქვეყნო საქმე განეხორციელებინა“.

კ. კეკელიძის დამსახურებაზე მსჯელობისას ბატონი არნოლდი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას წყაროებისადმი მეცნიერის დამოკიდებულებაზე. იგი წერს: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ პირველწყაროების ღრმა ცოდნასა და ფაქიზ ანალიზზეა დაფუძნებული. კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ქართული ფილოლოგიის ქვაკუთხედს ქმნის. მარტოოდენ პირველი ტომიც რომ ავიღოთ, იგი ერთი სპეციალისტის სასიცოცხლო საქმეს უტოლდება. კორნელი კეკელიძის სამეცნიერო აზროვნებას პირველწყაროთა ღრმა ანალიზი... ახასიათებს. მეცნიერება არ არის ფაქტების გროვა, მაგრამ ვერავითარი გონებამახვილი აზროვნება ვერ იქცევა მეცნიერულ ცოდნად, თუ ის არ ემყარება მტკიცედ დადგენილ ფაქტებს. ამ ფაქტების დადგენა ჰუმანიტარულ დარგებში იმდენადვე ძნელია, რამდენადაც აუცილებელი“.

გრიგოლ კიკნაძის დახასიათებისას არნ. ჩიქობავა საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მის დიდსა და მრავალმხრივ ცოდნაზე დართულ სინთეზურ ნიჭზე. არნ. ჩიქობავა დიდი მოაზროვნის სითამამით ჭვრეტს ქართველი მეცნიერის ნაღვალს, როცა გრ. კიკნაძის წიგნებზე საუბრისას სიამაყით აღნიშნავს: „ასეთი გამოკვლევები დაამშვენებდა ლიტერატურისმცოდნეობას რაგინდარა ენაზე“.

არნ. ჩიქობავა თავის სტატიებსა და წერილებში ყველგან ძალზე ფაქიზად შეახსენებს ლიტერატურის მკვლევართ, რომ მწერლობა მხატვრულ-ენობრივი ფენომენია და მისი კვლევისას არ უნდა გავიჭრათ შორეულ აბსტრაქციებში

და ასოციაციებში, არ უნდა მოვწყდეთ მხატვრული ენის წიადს, როგორც ჭეშმარიტ საყრდენს.

არნ. ჩიქობავას ესეების და პორტრეტების დასახასიათებლად უნდა ითქვას, რომ ისინი მჭევრმეტყველების, ე.ი. აზრისმეტყველების დიდებულ ნიმუშებს წარმოადგენენ. აზრი მის ნაწერებში „მკვეთრ გამოთქმებშია ჩამოსხმული“. არც ერთი ზედმეტი სიტყვა. იგი ფორმულებით მეტყველებს. ნათქვამს მიღმა ყოველთვის იგულისხმება დიდი ცოდნა, მზაობა ნებისმიერი თეზისური წინადადებების გაშლა-განმარტებისათვის. ამაშია, პირველ ყოვლისა, ძალა მისი სიტყვისა. იგი ყოველთვის დასახასიათებელ ობიექტზე ლაპარაკობს და არასოდეს თავის მიმართებაზე ობიექტთან, ან საერთოდ თავის თავზე.

არა მარტო სიტყვის უჩვეულო გრძნობით, არამედ თავისი პიროვნებით, ცოცხალი ურთიერთობებით ბატონი არნოლდი დიდ ზემოქმედებას ახდენდა ქართველ მწერლებზე, ლიტერატორებზე. იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თავს ცოცხალ ლიტერატურულ პროცესებს. მას სჯეროდა, რომ გალაკტიონს, გ. ლეონიძეს, კ. გამსახურდიას თავისი ღირსეული მემკვიდრეები ჰყავდათ და მომავალშიც გამოუჩნდებოდათ.

ბატონი არნოლდი თავშეკავებული დეღვით სიხარულს ვერ ფარავდა თავისი სასიქადულო მოწაფის, ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის ლექსების მოსმენისას თუ კითხვისას. ანა კალანდაძის ღრმად ინდივიდუალურ პოეზიაში იგი ხედავდა სალიტერატურო ენისა და ცოცხალი ხალხური მეტყველების შერწყმის ბედნიერ ნიმუშს, რაც ქართული პოეზიის მაგისტრალური ხაზის გაგრძელებად ესახებოდა.

ბატონი არნოლდი დიდ სიხარულს გვრიდა ყოველი ახალი ნიჭის გამოჩენა ქართულ პოეზიაში. სხვებსაც სიამოვნებით უზიარებდა თავის კმაყოფილებას. ახალგაზრდა პოეტების ჭეშმარიტად განცდილ სტრიქონებს უკითხავდა მათ, აქეზებდა, „ეგრე იარე და მეტს მიაღწევო“, — უთვლიდა. გასაგებია, დიდი მეცნიერის შექება და წახალისება რას ნიშნავდა ახლადგამოჩენილი ნიჭისათვის.

საზოგადოდ ძლიერი პიროვნების ნიშან-თვისებებით აღჭურვილი, გარეგნულად მკაცრი, შეუვალი, დაუნდობელი მოკამათე, თითქოს ერთბაშად რბილდებოდა, როცა საქმე ქართულ მწერლობას შეეხებოდა, როცა მეცნიერი მწერლებზე იწყებდა საუბარს. თუ ქართული სალიტერატურო ენა მისი კვლევის უმნიშვნელოვანესი სფერო იყო, ქართული მწერლობა მისი სულის მოთქმას წარმოადგენდა.

ბატონი არნოლდის მეგობრების წრე მკაცრად იყო შემოსაზღვრული და ამ წრეში ენათმეცნიერებთან ერთად, პირველ ყოვლისა, იყვნენ მწერლები და ლიტერატორები.

როცა უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას კაბინეტი დაარსდა (1962 წ.) არნ. ჩიქობავა გვერდში ამოუდგა ამ კაბინეტის დამაარსებელს, თავის უმცროს მეგობარს გრიგოლ კიკნაძეს. არნ. ჩიქობავა და მისი მოწაფეები შეუდგნენ კაბინეტში ვაჟას უმდიდრესი ლექსიკის შესწავლის დიდ საქმეს. ბატონი არნოლდის ძალზედ საინტერესო შესავალი წერილი უძღვის კაბინეტში ალექსი ჭინჭარაულის მიერ მომზადებულ დიდად საჭირო წიგნს „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“. ბატონი არნოლდი ამ კაბინეტთან არსებული ვაჟას მუდმივი სემი-

ნარის აქტიური წევრი ბრძანდებოდა. მისი ყოველი გამოჩენა, მონაწილეობა მსჯელობაში სემინარის ხელმძღვანელისა და საზოგადოდ ყველა დამსწრისათვის ერთგვარ მეცნიერულ ზეიმს წარმოადგენდა.

რაც დრო გადის, არნ. ჩიქობავას ნაზრების უშუქი არა თუ კლებულობს, არამედ მატულობს, თანდათან თვალსაჩინოვდება მისი სულიერი მემკვიდრეობის მკაცრი შინაგანი ორგანიზებულობა, სიმდიდრე, მრავალფეროვნება.

გოეთეს დრამის „გიოც ფონ ბერლიხინგენის“ ერთი მოქმედი პირი ამბობს: „ვინ იმ შთამომავლობას, რომელიც შენ არ დაგაფასებს“. ეს ბოლო სიტყვებია ამ დრამისა. გოეთეს აზრით, წარსულის მოღვაწის, გმირის ნამოქმედარი შთამომავლობამ უნდა დაასრულოს, თუ მისი კეთილშობილური სახე შეინახება და გადაეცემა თაობებს.

ფაქტია, რომ არნ. ჩიქობავას მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების თაობა, საერთოდ მთელი ინსტიტუტი, რომელიც მის სახელს ატარებს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერ დაარსებული კავკასიურ ენეთა კათედრა — ამჟამად კავკასიოლოგიის ინსტიტუტი — სიცოცხლისუნარიანია, აქტიურად მოქმედებს და დიდი მეცნიერის კეთილშობილურ სახეს, მის მდიდარ მემკვიდრეობას უფლის, იაზრებს და თაობებს გადასცემს.

LADO MINASHVILI

Talent Versatility of the Great Linguist

S u m m a r y

The great linguist Arnold Chikobava played an important role even in study of literature. It is enough to name the eight volumes of “Monolingual Dictionary of Georgian Language” prepared under his direct guidance and participation as the proof of his enormous merit in the Georgian literature, let alone many other things.

Studying the Georgian literary language, the problems of a writer’s style took the essential role in Arnold Chikobava’s scientific interests. The great scientist believed the connection with the people’s living language to be of vital importance. From his point of view vocabulary and phraseology play special part in a writer’s language. They reveal what a writer wanted to say and how he managed to say it.

Academician Arnold Chikobava's works are of great value in the study of literature for studying the problems of style, generally and particularly the literary style.

During the 20th century the studies of literature and the studies of literary style in particular was carried out in single direction, by the single sign – stylistic characterization was subordinated to linguistic interests. Works of literature were discussed as a text without any literary and aesthetic purposes. Academician Arnold

Chikobava was the great scientist who was the first to state that studying a text only with linguistic purposes does not serve as the means for creating aesthetic impression on this work. He demanded to identify linguistic and literary approach towards works of literature. He was the first to connect works with their author, his personality, his literary interests.

The great scientist reminds experts in literature that writing is a literary-linguistic phenomenon and while studying it we should not separate from the depth of a language serving as a real support and go deeply into the boundless spaces of free associations and abstractions.

Mr. Arnold Chikobava made a deep influence on Georgian writing and literature, and literary processes, in general not only by his works but also by his personality, relations.

სალომე ოშიაძე

**-ად/-დ მაწარმოებლის სიტყვათწარმოქმნელი ფუნქციის
გააქტიურება თანამედროვე მასშობის ენაში**

ლიტერატურაში (მანიძე 1973, ღამბაშიძე 1986, კვარაცხელია 1990) აღნიშნულია ტექნიკურ ტექსტებსა და მთელ სამეცნიერო სტილში -ად/-დ მაწარმოებლის სიტყვათწარმოქმნელი ფუნქციის გააქტიურება. ამასვე ადასტურებს სუფიქსური სიტყვაწარმოების შესწავლისას შეუცვლელი წყაროს — ინვერსიული ლექსიკონის მონაცემები. მასში შესულია საწკისის ფუძე + ად/დ სტრუქტურის 150-ზე მეტი სიტყვა (გამოსხივებადი, შეხორცებადი, დნობადი, დრეკადი, ბრუნვადი, აღქმადი, დაყვანადი...), რომელთა დიდ უმრავლესობას ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დამატებით ცნობად მიწერილი აქვს: სპეც. — სპეციალური; წიგნ. — წიგნური; ტექ. — ტექნიკა (ტექნიკური) თუ სხვა კონკრეტულ დარგთა სახელწოდებები.

-ად სუფიქსს თვისების მაწარმოებლად მიიჩნევენ. ამის ნათელი მაგალითია არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები: თვალ-ი — თვალ-ად-ი; ტან-ი — ტან-ად-ი; ფერ-ი — ფერ-ად-ი; პურ-ი — პურ-ად-ი და სხვ. თვისების აღნიშვნა ზედსართავი სახელის ზოგადი მახასიათებელია, და ამდენად, როდესაც სუფიქსს არსებითი სახელისაგან ზედსართავის წარმოება შეუძლია, მისი თვისების მაწარმოებელ სუფიქსად შეფასება ბუნებრივი და უტყუარია, მაგრამ უფრო საინტერესოა და ამ კვალიფიკაციას მეტად ამყარებს ის შემთხვევები, როდესაც -ად სუფიქსი მსაზღვრელი სახელისაგან არსებით სახელს აწარმოებს და ეს არსებითი სახელი საგნის აღნიშვნასთან ერთად ამ საგნის გარკვეული თვისების გამოხატვასაც ითავსებს: ხმ-ი-ად-ი (უსაფუვროდ გამომცხვარი პური) ნაწარმოებია ხმელისაგან, რომლის ერთი მნიშვნელობაა მტკნარი, უმარილო; ე. ი. ხმიადი არსებითი სახელია, რომელიც ნეიტრალური ნომინაციის შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ აქსიოლოგიური შეფერილობისაა — ხმიადი უბრალოდ პური კი არ არის, არამედ უსაფუვრო პურია ანუ მსაზღვრელ-საზღვრულის შინაარსის მომცველია, შდრ. ფრ-ი-ად-ი: *ფრ-ელისაგან არის მიღებული, რომლის ფუძე „უ-ფრ-ოს-შია“ დამოწმებული (მანიძე 1973, გვ. 145), ფრიადი ცოდნის შესაფასებელი ისეთი ნიშანია, რომელზე მაღალიც არ არსებობს, ანუ მხოლოდ ნიშანი კი არ არის, არამედ — უმაღლესი ნიშანია.

-ად/-დ სუფიქსის საწყისის ფუძეზე დართვითაც მსაზღვრელი სახელები იწარმოება და ამ შემთხვევაშიც ეს სუფიქსი, რა თქმა უნდა, თვისების გამომხატველია, მაგრამ თვისების ხასიათის მხრივ ერთ სიბრტყეზე ვერ განვითარებთ არსებითთაგან და საწყისთაგან -ად/-დ სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს. არსებითთაგან ნაწარმოები ზედსართავებით გამოხატული თვისება აღნიშვნის

მომენტშიც რეალიზებულია, მაგალითად, ტანადი, თვალადი და სხვ., ხოლო საწყისის ფუძეზე -დ (<ად) სუფიქსის დართვით იმ თვისების გამოხატვა ხდება, რომელიც აღნიშვნის მომენტში არ არის რეალიზებული, მაგრამ **შესაძლებელია**, მაგალითად **ხსნადი ყავა** დასახელების მომენტში გრანულებს, წვრილ მკვრივ მარცვლებს წარმოადგენს, რომლებიც წყლის დასხმის შემთხვევაში გაიხსნება, გულადი კი ის არის, ვინც შეფასების მომენტშიც მამაცია და საერთოდაც.

ინვერსიული ლექსიკონიდან ამოწერილი ზემოთ ხსენებული ფორმების ანალიზმა ცხადყო, რომ მათს სემანტიკურ სტრუქტურაში წარმმართველია შესაძლებლობის ელემენტი. თუ ამ ფორმათა მსაზღვრელ ბუნებას შევინარჩუნებთ, ისინი მიმღობის, როგორც საგნის ნიშნის გამომხატველი სიტყვის, საშუალებით შემდეგნაირად უნდა განვმარტოთ: ფუჭებადია ის, რაც **შეიძლება** გაფუჭებული გახდეს; განვითარებადია ის, რაც **შეიძლება** განვითარებული გახდეს; კუმშვადია ის, რაც **შეიძლება** შეკუმშული გახდეს, უფრო ბუნებრივად კი: შეიძლება გაფუჭდეს, შეიძლება განვითარდეს, შეიძლება შეიკუმშოს. როგორც მოქმედების შესაძლებლობა-შეუძლებლობის სემანტიკის გამომხატველ ზმნებს სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ შესაძლებლობის ვნებითს // ვნებითის პოსიბილიტივს (აკ. შანიძე); პოტენციალისსა (არნ. ჩიქობავა) თუ პოსიბილურ პასივებს (დ. მელიქიშვილი), ასევე შეიძლებოდა ამ ფორმებისათვის პოსიბილიტიური გვეწოდებინა, მით უფრო, რომ ისინი საწყისის, ანუ ზმნურ ფუძეს ემყარებიან.

ის, რომ საწყისის ფუძე + აღ/დ მოდელი ხმარების ინტენსივობის გამო სამეცნიერო ენის მახასიათებლად გვევლინება, ბუნებრივია, არ გამოირიცხავს მის გამოყენებას საერთო სალიტერატურო ენაში. თუმცა ნებისმიერი ამგვარად ნაწარმოები სიტყვა ნეიტრალურ კონტექსტშიცა და ცალკე აღებულიც სტილისტიკური შეფერილობის მქონეა.

ჩვენი ინტერესის სფეროს განეკუთვნება ამ სტრუქტურის ახალგაჩენილი ფორმები (ცნობადი, ყურებადი, სმენადი, გაყიდვადი, გაკეთებადი, მიულწევადი...), რომლებსაც უგუფებად განვიხილავთ.

პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ ის მსაზღვრელი სახელები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ სტრუქტურაში შემავალი საწყისით გამოსახატავი მოქმედების შესაძლებლობას ვარაუდობენ:

განხორციელებადი (პროექტი, პროგრამა, იდეა, ჩანაფიქრი...) — ის, რაც შეიძლება განხორციელებულ იქნეს, განხორციელდეს.

გაკეთებადი (ტელეგადაცემა, საქმე, სამუშაო...) — ის, რაც შეიძლება გაკეთებულ იქნეს, გაკეთდეს.

დაძლევადი (სირთულე, პრობლემა, ამოცანა...) — ის, რაც შეიძლება დაძლეულ იქნეს, დაიძლიოს.

შესრულებადი (დაპირებები, გეგმები, ჩანაფიქრი...) — ის, რაც შეიძლება შესრულებულ იქნეს, შესრულდეს.

მოგვარებადი (ურთიერთობა, პრობლემა, კონფლიქტი...) — ის, რაც შეიძლება მოგვარებულ იქნეს, მოგვარდეს.

ახსნადი (ქმედება, მოვლენა, ნაბიჯი...) — ის, რაც შეიძლება ახსნილ იქ-

ნეს, აიხსნას.

მოსწრებადი (სამუშაო, საქმე ...) — ის, რაც შეიძლება მოსწრებულ იქნეს, მოესწროს.

მეორე ჯგუფი შექმნა იმ მსაზღვრელმა სახელებმა, რომლებიც პოსიბილიტივის გარდა სხვა მნიშვნელობებსაც გამოხატავენ, სახელდობრ:

გაყიდვადია პროდუქტი, რომელიც არათუ **შეიძლება** გაყიდულ იქნეს, არამედ **კარგად გაიყიდება**, რაც თავის მხრივ მოიცავს იმ შინაარსსაც, რომ **ბევრი შეიძველი** ეყოლება.

ყურებადი ფილმი — ამ ყალიბის სხვა ფორმათა მსგავსად **ყურებადის** განმარტება „შეიძლება“ მეშვეობით — ყურება შეიძლება — მართებული ვერ იქნება იმიტომ, რომ „ყურება შეიძლება“ ითქმის არცთუ კარგ ფილმზე, ყურებადი ფილმი კი კარგი, სასიამოვნო საყურებელი ფილმია. ზოგიერთ კონტექსტში ამ ფორმით მაყურებლის სიმრავლე აღინიშნება.

სმენადია მუსიკა, რომელიც საამო მოსასმენია, თუმცა აქაც სემანტიკურ ელემენტთაგან დომინანტური მსმენელთა სიმრავლეა.

კითხვადიც ის ნაწარმოებია, რომელიც კარგად იკითხება და ბევრი მკითხველი ჰქავს (**წერადი** ფორმაც მოვისმინეთ აბიტურიენტებისა და სტუდენტებისაგან. მათთვის **წერადი თემა** ის თემაა, რომელსაც ბევრი ირჩევს დასაწერად).

მესამე ჯგუფის სახელებში პოსიბილიტიურობა ჩამქრალია, მოქმედება სამომავლოდ შესაძლებლად კი არ წარმოგვიდგება, არამედ აღნიშნის პარალელურად ვითარდება, განხორციელების პროცესშია:

მომხარებადი პროდუქტი უკვე მოხმარების პროცესშია და ამავე დროს მომხმარებელთა სიმრავლის ნიუანსიც არის გამოხატული.

მოთხოვნად პროდუქტზეც უკვე არის მოთხოვნა და თან მოთხოვნის ინტენსიურობაც ასახულია.

კონტროლირებადი ტერიტორია კონტროლირებული, გაკონტროლებული ტერიტორიაა.

მასმედიის ენაში ამ ფორმათა მოჭარბებას ბევრი აღნიშნავს და მათ გამოყენებას უმართებულოდაც მიიჩნევს, მაგრამ რეკომენდებული ალტერნატივები ყოველთვის ადეკვატური არ არის: ხან წამყვანი სემანტიკური ნიუანსია დაკარგული, ხან კი მრავალკომპონენტური სტრუქტურა შეთავაზებული: **განხილვადი საკითხები** არ უდრის არც „განსახილველ საკითხებს“ და არც „საკითხებს, რომლებიც განიხილება“, ამ შესიტყვებით გამოსახატავ მნიშვნელობას ზუსტად გადმოგვცემს შემდეგი წინადადება — „ამ საკითხების განხილვა შეიძლება“, მაგრამ, როგორც ჩანს, ვრცელ კონსტრუქციას კომპაქტურ ერთეულს ამყობინებენ. თუმცა ამგვარ ფორმათა წარმოება ყოველთვის აუცილებლობით არ არის შეპირობებული და მხოლოდ აღნიშნული მოდელის გააქტიურებას შეიძლება მიეწეროს, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა **ცნობადი**, რომელიც სიხშირის თვალსაზრისით ყველა დანარჩენ ახალგაჩენილ ფორმას მნიშვნელოვნად აღემატება. ამ ფორმით გადმოსაცემ შინაარსს **ნაცნობი** ან **ცნობილი** ზუსტად გამოხატავს. **ცნობადი სახე** ან „ნაცნობი სახე“, ან „ცნობილი სახე“ და სხვა არაფერი. არადა, სწორედ ამ შესიტყვებაში **ცნობადმა** მთლიანად ჩაა-

ნაცვლა **ნაცნობიცა და ცნობილიც**. ჩვენ მიერ შესწავლილ მედიატექსტებში კონტექსტის მიხედვით მოსალოდნელი ნაცნობი სახისა თუ ცნობილი სახის ნაცვლად ყველგან **ცნობადი სახე** შეგვგვდა.

განხილულ ფორმათა გაჩენას შესაძლოა რამდენიმე მიზეზი თუ პირობა ჰქონდეს:

1. შესაძლებლობის სემანტიკის გამოხატვის სურვილი და ენაში არსებული სათანადო ფორმობრივი ყალიბი. ამ ფორმათა ნაცვლად შეთავაზებული ენობრივი ერთეულები — წარსულისა თუ მომავალი დროის მიმღებები და ზმნის პირიანი ფორმები ყოველთვის ვერ გამოხატავენ იმ სემანტიკურ ნიუანსს, რის გამოც ამ ფორმებს პოსიბილიტიურები ვუწოდეთ.

2. გამოსახატავის შინაარსი სრულად კი აისახება ვრცელ კონსტრუქციებში, მაგრამ ეკონომიურობისკენ სწრაფვა ერთწევრა ერთეულს ანიჭებს უპირატესობას.

3. უცხო ენათა გავლენა. ბევრ ევროპულ ენაში შესაბამისი სემანტიკური ნიშნის გამოსახატავად კომპაქტური მიმღებური ფორმები არსებობს.

აღსანიშნავია, რომ 60-70 წლის წინ გაჩენილ და სამეცნიერო ტერმინოლოგიურ სისტემებში დამკვიდრებულ ზოგიერთ ერთეულს საერთო სალიტერატურო ენაში მოექცნებოდა სემანტიკური ეკვივალენტი, მაგრამ ეს ფაქტი დამბრკოლებელი არ გამხდარა კვლავწარმოქმნისთვის (საერთოდ მეცნიერულ ცნებას ყოფითი ცნებისაგან გამიჯვნა ახასიათებს). მაგალითად მოვიყვანოთ ვნებითი გვარის მე-პრეფიქსიანი მიმღებებს, რომელთა პარალელურად გაჩნდა იმავე მნიშვნელობის გამომხატველი საწყისის ფუძე + აღ/დ ყალიბის ფორმები: მერყევი — რყევადი (რაც/ვინც ირყევა); მერხევი — რხევადი; მემსხვრევი — მსხვრევადი; მეტეხი — ტეხადი (რაც ადვილად ტყდება). ყველა იმ დროს გაჩენილი ახალი ერთეული სამეცნიერო ტერმინად საგანგებოდ შეიქმნა და ეს მაგალითი ჩვენ მიერ გაანალიზებულ ფორმათა მასმედიის ენაში დამკვიდრებას ვერ გაამართლებს, რადგან ტერმინოლოგიური ლექსიკა სპეციფიკური ფუნქციის მქონეა.

ლიტერატურა

კვარაცხელია 1990 — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი.

ღამბაშიძე 1986 — რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

შანიძე 1973 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

SALOME OMIADZE

**Activating of Word-Originating Function of *-ad/-d* Formants
in the Modern Mass-Media Language**

S u m m a r y

The paper discusses an infinitive stem + new-originated participle forms of **ad/d** structure into three groups in the mass-media language (realizable, watchable, fulfilable, knowable...). The viewpoint on originating of the conditions of these forms is represented.

ლათავრა სანიძემ

-ჩ'V' „სამრცობიანი“ ბრუნება ნახურ ენათა
არსებითი სახელებში

ჩაჩხურ-ინგუშურში არსებითი სახელთა ბრუნების ერთ-ერთი სახეობაა **-ჩ'V'**- „სავრცობიანი“ ბრუნება (უსლარი 1888: 37-38; შიფნერი 1964: 24-25; იაკოვლევი 1960: 28; ზ. მალსაგოვი 1963: 23-27; კ. ჩოქაევი 1987: 203-206...).

-ჩ'V'- „სავრცობით“ იბრუნება: 1. დამოუკიდებელი („გაარსებითებული“) და დამოკიდებული ზედსართავი და რიგობითი რიცხვითი სახელები, კუთვნილებითი, ჩვენებითი... ნაცვალსახელები, მიმღეობები;

შენიშვნა: როგორც ცნობილია, ჩაჩხურსა და ინგუშურში ატრიბუტული მსაზღვრელისაგან ფორმით განსხვავდება საზღვრულთან დაუკავშირებელი ატრიბუტული სახელები. ჩ ა ჩ ხ უ რ შ ი დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელი იწარმოება დამოკიდებული (მსაზღვრელი) ატრიბუტული სახელისაგან **-ჩ'ი'გ**, **-ჩ'ი'გ** სუფიქსებით (შდრ. ინგლისური, მაგალითად: **The red pencil is longer than black one** (წითელი ფანქარი უფრო გრძელია შავზე), სადაც **one** ახლავს დამოუკიდებელ ზედსართავ სახელს. მაგალითი მოგვყავს სმირნიცკიდან (სმირნიცკი 1959: 152): ა) დამოკიდებული ზედსართავი სახელი — ხ ა ზ ა (სთავ) „ლამაზი (კაცი)“, დამოუკიდებელი ზედსართავი სახელი — ხ ა ზ ა-**ნიგ**... ბ) დამოკიდებული რიცხვითი სახელი — შ ტ ო ლ დ ა (შუთ) „მ ე ო რ ე (წელი)“, დამოკიდებული რიცხვითი სახელი — შ ტ ო ლ დ ა-**ნიგ**... გ) დამოკიდებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი — ს ა ნ (აზ) „ჩემი (ხმა)“, დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი სა-ნიგ (< ს ა ნ **ნიგ**)... დ) დამოკიდებული ჩვენებითი ნაცვალსახელი დ ე ტ ო რ ა (ყურნალ) „ი ს (ყურნალი)“, დამოუკიდებელი ჩვენებითი ნაცვალსახელი — დ ე ტ ო რ ა-**ნიგ**... ე) აწმყოსა და ნამყო დროის მიმღეობათა მაწარმოებელია **-ჩ'ი'გ** სუფიქსი (**-ნიგ** და **-ჩიგ** სუფიქსების შესხაებ იხ. იმნაიშვილი 1945: 483-489; სანიკიძე 2001). მაგალითად, ახა „ხვნა“ ზმნისაგან აწმყო დროის დამოკიდებული მიმღეობაა **ონუ'ნ'**, დამოუკიდებელი მიმღეობა — ო ხ უ-**ჩგ**; ნამყო დროის დამოკიდებული მიმღეობაა **ჰ ხ ნ ა**, დამოუკიდებელი მიმღეობა — **ჰ ხ ნ ა-არგ**; ვ) მყოფადის მიმღეობის დამოუკიდებელი ფორმა რთული შედგენილობისაა: იგი შედგება დამოკიდებული მყოფადის მიმღეობის მეშველზმნაჩამოშორებული ფორმისა და **დარ** (კეთება) მეშველი ზმნის აწმყო დროის **-ჩიგ**-სუფიქსიანი დამოუკიდებელი მიმღეობის **დეე-ჩგ** < დეე-რიგ ფორმისაგან. დამოკიდებული მყოფადის მიმღეობის ფორმა

ჟოხუტონ, მყოფადის მიმღობის დამოუკიდებელი ფორმა — ჟოხუტონ დე-რგ... ზ) ჩანური ენის ზოგ დიალექტში დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელების -ნიგ და -რიგ-სუფიქსებიანი წარმოების ნაცვლად დარ — მეშველი ზმნითა და დე-რგ — მიმღობით შედგენილი რთული ფორმებია გავრცელებული (დუტაევი 1975: 107).

ინგუშურ ენაში დამოუკიდებელი ზედსართავი ან არ განსხვავდება დამოკიდებულისაგან, ან იწარმოება დამოკიდებულისაგან დარ (< დე) დამხმარე ზმნის მეშვეობით დამოკიდებულისაგან დარ — ქერდა (მწვ) „ახალი (პური)“, დამოკიდებულისაგან დარ — ქერდა || ქერდა-დარ...

ინგუშურში, ისევე როგორც ჩანურში, დამოუკიდებელი რიგობითი რიცხვითი სახელები, კუთვნილებითი და ჩვენებითი... ნაცვალ-სახელები, დამოუკიდებელი ზედსართავების მსგავსად, დამოკიდებულისაგან არის ნაწარმოები. მაგალითად: დამოკიდებულისაგან კუთვნილებითი ნაცვალსახელი ვაე (დამე) „ჩვენი (სამშობლო)“ — დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი ვაე || ვაე - ვარ...

ინგუშურ ენაში აწყო-მყოფადისა და ნამყო დამოუკიდებელ მიმღობას აწარმოებს -რ, -რიგ სუფიქსები. ახა „ხვნი“ ზმნისაგან აწყო დროის დამოუკიდებელი მიმღობაა ოახგ, მყოფადის დამოუკიდებელი მიმღობა — ოახგ-რგ, ნამყო დამოუკიდებელი მიმღობა — ვხა-რ.

ჩანურსა და ინგუშურში მეშველზმნიანი დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელების აღწერით ფორმებში დამხმარე ზმნისაგან ნაწარმოები დამოუკიდებელი მიმღობა იბრუნება, დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელის დანარჩენი (ძირითადი) ნაწილი უცვლელი რჩება.

2. სადაურობა-წარმომავლობის, ეროვნების, საქმიანობის აღმნიშვნელი -ჟო, -რჟო, -ლჟო, -ხჟო, -დე, -ი- სუფიქსებიანი სახელები;

3. ზოგი საკუთარი და ნასესხები არსებითი სახელი: ჩან. ზუდა „დედაკაცი“, ჩან.-ინგ. ჟერჟო „ქვრივი (ქალი)“, ჩან. სთდე „ცოლი“, ჩან. ლულახუო, ინგ. ლოლახუო „მეზობელი“, ჩან. მაღრა, ინგ. მარ „ქმარი“, ჩან. სალთი, ინგ. სალთდე „ჭარისკაცი“, ჩან. ინგ.- დუოთალა „მეგობარი“, ჩან. ყუნახ „ვაჟკაცი“, ინგ. ყუნახ „მამაკაცი“... (უსლარი 1888: 37; იაკოვლი 1960: 28; ჩოქაევი 1987: 203-206; ზ. მასლაგოვი 1963: 26-27).

-ჩV-სავრცობიან ბრუნებაში -ჩV გვაქვს ერგატისა და ირიბ ბრუნებში, ნ, რ, ლ სავრცობების მსგავსად. მრავლობით რიცხვში ბრუნებისას -ჩV, ჩვუ-ლ ე ბ რ ი ვ, არ ჩანს. მაგალითად:

ჩანური	მს. რ.	მრ. რ.
სახ.	ბელხალჟო „მუშა“	ბელხალჟო-დ
ერგ.	ბელხალჟო-ჩ-ჟო < ბელხალჟო-ჩუ-ჟო	ბელხალჟო-შ-ა
ნათ.	ბელხალჟო-ჩუ-ნ	ბელხალჟო-დ-ნ

მიც.	ბელხალტო-ჩუნ-ნა	ბელხალტო-შ-ნა
მოქმ.	ბელხალტო-ჩუნ-ცა	ბელხალტო-შ-ცა
გამსჭვ.	ბელხალტო-ჩუნ-ხ	ბელხალტო-დ-ხ
შედარებ.	ბელხალტო-ჩუნ-ლ	ბელხალტო-დ-ლ
ადგ. I	ბელხალტო-ჩუნ-გა	ბელხალტო-შ-ქა

ინგუშური

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ხაბტო „დარაჯი“	ხაბტო-დ
ერგ.	ხაბტო-ჩ-ტრ	ხაბტო-შ-ა
ნათ.	ხაბტო-ჩუნ-ნ	ხაბტო-დ
მიც.	ხაბტო-ჩუნ-ნა	ხაბტო-დშ-თა
	ხაბტო-ჩუნ-ნა	
მოქმ.	ხაბტო-ჩუნ-ცა	ხაბტო-შ-ცა
გამსჭვ.	ხაბტო-ჩუნ-ახ	ხაბტო-დგ-ხ
	ხაბტო-ჩუნ-ხ	
შედარებ.	ხაბტო-ჩუნ-ლ	ხაბტო-დგ-ლ
ადგ.	ხაბტო-ჩუნ-გა	ხაბტო-შ-ქა

-ნიკ და **-რიკ** სუფიქსები ერგატივში, ირიბ ბრუნვებსა და მრავლობით რიცხვში, ჩვეულებრივ, არ გადაჰყვება. მაგალითად:

ჩაჩნური	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ლევა-ნიკ „მაღალი“	ლევა-ნაშ
ერგ.	ლევა-ჩ-ტრ	ლევა-ჩ-ნრა ლევა-ჩუნ-შ-ა
ნათ.	ლევა-ჩუნ-ნ	ლევა-ჩუნ-რ-ან ლევა-ჩი-დნა
მიც.	ლევა-ჩუნ-ნა	ლევა-ჩა-რ-ნა ლევა-ჩუნ-შ-ნა...

ბ ა ც ბ უ რ (წოვა-თუშურ) ენაშიც დამოუკიდებელი ატრიბუტული სახე-
ლები (ზედსართავები, რიგობითი რიცხვითი სახელები, კუთვნილებითი ნაცვალ-
სახელები... მიმღებები) **-ჩV-** სავრცობიან ბრუნებას განეკუთვნება (შიფნერი
1856: 44, 50, 62; გაგუა 1983: 247-249... ჭრელაშვილი 1960: 188-189).

შენიშვნა: 1) ა) ბ ა ც ბ უ რ შ ი, ჩაჩნურისა და ინგუშურისაგან განსხვავებით, ატრიბუტული სახელი, დამოკიდებული (მსაზღვრელი) და დამოუკიდებელი, ფორმით ერთმანეთისაგან განსხვავებული არ არის. მაგალითად: ატრიბუტული (დამოკიდებული) მსაზღვრელი — წეგე^ნ (ბუბუკ) „წითელი (ყვავილი)“, დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელი — წეგე^ნ „წითელი“. **-ნიკ** სუფიქსით გაფორმება დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელებისა ისევე, როგორც **დარ** („კეთება“) მე-შველი ზმნითა და ამავე ზმნის მიმღებობით (იხ. ზემოთ) საერთო-ნახურ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. დამოუკიდებელ ატრიბუტულ სახელთა გადმონაშთია **-რიკ**-სუფიქსიანი სახელები ბაცბურში.

2) დამოუკიდებელი მიმღებებიდან ბაცბურში წარმოდგენილი **-რიკ**-სუფიქსიანი ფორმა ჩაჩნურ-ინგუშური **-რიგ**-სუფიქსიანი მიმღებების ფარდია: **-რიგ** და **-რიკ** სუფიქსები ფუნქციურად და მატერია-

ლურად ერთსა და იმავე ელემენტს წარმოადგენს, კანონზომიერი ფონეტიკური შესებატყვისობანია. ბაცბურში **-რიკ** არ არის მოქმედი სუფიქსი, არც დროის გაგება მას არ ახლავს. გარდა **-რიკ** სუფიქსისა, ამავე ფუნქციით ბაცბურში დასტურდება **-ლაკ** და **-ლიკ** სუფიქსები (მარდ-ლაკ „მწიხლავი“, აფუმ-ლიკ „მატყუარა“...). **-რიკ**-სუფიქსიანი სახელების ბრუნებაში **-ჩV**-სავრცობი არ გვხვდება. მაგალითად: მხ. რ. სახ. ვულრიკ „მყვირალა“, ერგ. ვულრიკ-ეს, ნათ. ვულრიკ-ენ, მიც. ვულრიკ-ენ... (დემერიევი 1953: 77).

-რიკ-სუფიქსიანი მსაზღვრელიც იბრუნვის **-ჩV**-სავრცობის გარეშე. მაგალითად: ჰა ა ღ ბ ო რ ი კ ს ტ ა კ ო ვ ნიფსაჲ ვა, ლე — ცო, ბჴა შარგუჲჴ ებწო „მოშურნე კაცი მართალია, თუ — არა, ყოველთვის თავისკენ ეწევა (იხრება)“ (ქადაგიძე 1984: 911). აქ ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც მართული მსაზღვრელის შემთხვევაში, **-ჩV**-სავრცობი ბრუნებისას არ შეინიშნება (მართულ მსაზღვრელს მეორე ფუძეში ნათესაობითის დაბოლოებაც ჩამოშორდება), თუმცა პარალელურად ბრუნვითა **-ჩV**-იან ფორმებსაც ადასტურებენ (ჭრელაშვილი 1960: 189);

შენიშვნა: 2) ნახურ ენებში პრეპოზიციული წყობის მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას **-ჩV**-სავრცობი დაჩნდება ერგატივსა და ირიბ ბრუნებში. მხოლოდ ორი ფორმაა გარჩეული: პირველი — სახელობითისა, მეორე — **-ჩV**-სავრცობიანი (მეორე ფუძე) უბრუნველი ფორმა ყველა დანარჩენი ბრუნებისა. მაგალითად: ჩაჩნ. სახ. დიქა^რ სთაგ, ერგ. დიქა-ჩუ სთაგ-ა, ნათ. დიქა-ჩუ სთაგ-ან, მიც. დიქა-ჩუ სთაგ-ანა...

სადაურობა-წარმომავლობის, ეროვნების, საქმიანობის... მაწარმოებელი სუფიქსები ბაცბურ ენაშიც გამოიყოფა. ბაცბურში **-ლოვ**, **-ხოვ** არაპროდუქტიული სუფიქსებია.

ბაცბურ ენაში, ჩაჩნურ-ინგუშურისაგან განსხვავებით, **-ჩV**-სავრცობი **-Vგ**, **-ლოვ**, **-ხოვ**-სუფიქსებიანი სახელების ბრუნებისას, ჩვეულებრივ, არ შეინიშნება. მაგალითად: სახ. ბაც-ავ „ბაცბი (წოვა-თუში)“; ერგ. ბაცვ-ას, ბაცვ-ეს; ნათ. ბაცვ-ენ, ბაცვ-ად; მიც. ბაცვ-ენ, ბაცვ-ადან...

შენიშვნა: ი. დემერიევი **-ჩV**-სავრცობიან ბრუნებას განაკუთვნებს კოლხოზლოვ „კოლმეურნე“; კურორტლოვ „დამსვენებელი (აგარაკზე)“ ტიპის სახელების ბრუნებას და მოჰყავს პარადიგმა ამ სახელთა ბრუნებისა (დემერიევი 1953: 70).

სხვა არსებით სახელთაგან **-ჩV**-სავრცობიანი ბრუნებისა მხოლოდ რამდენიმე სახელი: ფსტუდნო „დედაკაცი“, „მეუღლე“ — მრ. რ. ფსტეჲ, ფსტი (ფსტუ „მეუღლე“ **ნ** სავრცობით იბრუნება); ყელ^რრენ „ცხვარი“, „ნერბი“ (გაგუა 1983: 246-247), აგრეთვე სახელები: კორბაკბუდნო („მენახშირე“, ზედმიწ. „ნახშირ(ის)მწველი“), გოგბახუდნო („მეველე“, ზედმიწ. „გარსმსვლელი“), რომელთა შედგენილობა გამჭვირვალეა: მათს ერთ ნაწილში მიმღეობის ფორმასთან გვაქვს საქმე — ბაკბუდნო ბაკბარ („წვა“) ზმნისა და ბახუდნო ბახარ („ვლა“) ზმნის აწმყო დროის მიმღეობებს წარმოადგენს.

ბრუნების ნიმუში: სახ. ფსტუდნ^რ „დედაკაცი“

ერგ. ფსტუდნ-ჩო-ვ

ნათ. ფსტუდნ-ჩო^ნ (< ფსტუდნ-ჩო-ნ)

მიც. ფსტუდნ-ჩო-ნ...

ზოგი სახელი, რომელიც ჩაჩნურსა და ინგუშურში **-ჩV-** საგვრცობიანია, ბაცბურში არ იბრუნება **-ჩV-** სარგვობით. მაგალითად: „ქვრივი“, „მტერი“... სახ. ყერ^რ „ქვრივი“, ერგ. ყერ-ოს, ნათ. ყერუ-დ^ნ (< ყერო-ინ), მიც. ყერ-ო-ნ...

-ჩუ- საგვრცობიან სახელთა ბრუნებისას მეორე ფუძეში **-ჩუ** დაერთვის **ნ**-ბოლოთანხმოვანჩამოშორებულ ფორმას, მაგალითად: ჩაჩნ. დამოკიდებული ატრიბუტული სახელი წე^ნ (< წენ) ბადრაჯ „წითელი დროშა“ — ერგ. წე-ჩუ ბადრაჯტ^რ... დამოუკიდებელი ფორმა წენიგ — ნათ. წე-ჩუ-ნ || წე-ჩუნ-ან... ბაცბ. დამოკიდებული ატრიბ. სახ. მოსი^ნ (< მოსინ) კნათ „ცუდი ბიჭი“ — ნათ. მოსი-ჩო^ნ კნათ-ე^ნ, დამოუკიდებელი ატრიბ. სახ. მოსი^ნ (< მოსინ) — ნათ. მოსი-ჩო^ნ...

შენიშვნა: ბაცბურში დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელის ბრუნების დროს ფუძისეული ხმოვანი იკუმშება (ან ხდება მისი მეტათეზისი): წეგ^ნ „წითელი“ — ნათ. წეგ-ჩო^ნ < წეგე-ჩონ, დამოკიდებული ატრიბუტული სახელის ბრუნებისას კი ფუძისეული ხმოვანი არ განიცდის რედუქციას (ან მეტათეზისს): წენ^ნ ბუბუკ „წითელი ყვავილი“ — ნათ. წეგე-ჩო^ნ ბუბკ-ე^ნ... თუმცა დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელების ბრუნებაშიც გვხვდება უკუმშველი ფორმები, მაგალითად: ყონ^ნ „ახალგაზრდა“ — ერგ. ყონო-ჩო-ვ || ყონ-ჩო-ვ, ნათ. ყონო-ჩო^ნ || ყონ-ჩო^ნ...

ი. დ ე შ ე რ ი ე ვ ი ს დაკვირვებით, ზოგჯერ ბრუნებისას სახელობითი ბრუნვის (ფუძის) ბოლოკიდური **ნ** თანხმოვანი რჩება მსაზღვრელის მეორე ფუძეში **-ჩო** საგვრცობის წინ: ბაცბ. ვაჯო^ნ (< ვაჯო^ნ) სტაკ „ბებერი კაცი“, ერგ. ვაჯუ^ნ-ჩო^ნ სტაკ-ოვ, ნათ. ვაჯუ^ნ-ჩო^ნ სტაკ-ე^ნ, მიც. ვაჯუნ-ჩო^ნ სტაკ-ონ... (დე-შერიევი 1963: 451).

მეორე ფუძეში ზემოთ აღნიშნული **ნ** თანხმოვნის შემორჩენის შემთხვევა დავადასტურებთ პოეტ ი. ლონგიშვილის ბაცბურ ენაზე დაწერილ ლექსებში — ყარჭი^ნჩო^ნ (მეორე ფუძეა ყარჭი^ნ („შავი“) ზედსართავი სახელის): დალეს თხა სე^ნ კუბ ოთბიე^ნ, გოგინა 'არჭი^ნჩო^ნ ფსტეგარე^ნ „ღმერთმა დღეს (ჩემი) კუბო დადგა, გარშემო (მყოფ) შაოსან ქალებთანა“ (ლონგიშვილი 2001: 249).

ნ თავს იჩენს **ჩო** საგვრცობის წინ აგრეთვე კითხვით-კუთვნილებითსა (ჰაადნ „ვისი?“ სტინ „რისა?“ იხ. ჭრელაშვილი 2002: 151) და კითხვით (მიჩრე^ნ „სადაური?“) ნაცვალსახელებში. მიჩრე^ნ ნაცვალსახელთან **ნ -ჩო**-ს წინ ერგატივში, მიცემითსა და გარდაქცევით ბრუნებშია (იხ. ჭრელაშვილი 2002: 144). მიჩრე^ნ ნაცვალსახელის საზღვრულთან ერთად ბრუნებისას **-ჩო**-ს წინ **ნ** არ ჩანს.

ბაცბურში **ნ -ჩო**-ს წინ ოჯუ^ნ „მისი“ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნებაშიც გვხვდება ა. შიფნერთან: ერგ. ოჯუდნ-ჩო-ვ, როცა ის საზღვრულს არ ახლავს (შიფნერი 1856: 50).

ნ-ს გამოენა **-ჩო**-სთან რომ შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს და **-ჩო**, საფიქრებელია, ერთოდა **-ნ**-ზე დაბოლოებულ დამოუკიდებელი ატრიბუტული

სახელის ფორმას, სადაც შემდეგ ინლაუტში **ნ** დაკარგულა, ამას მოწმობს ანალოგიური ვითარება სხვა შემთხვევაში: **ნ**-ს რედუქციასთან გვაქვს საქმე აგრეთვე დამოუკიდებელ ატრიბუტულ სახელთა (მიმღეობათა) ბრუნებისას ბაცბურში: ა წ მ ყ ო დროის დამოუკიდებელი მიმღეობების ბრუნვათა მეორე ფუძეში **-ჩო**-ს წინ **ნ** არ დასტურდება (იხუნდნ „მიმავალი“, II ფუძე — იხო-ჩო < იხოდნ-ჩო...>). ნ ა მ ყ ო ს მიმღეობის ბრუნებისას **ნ** -ჩო-ს წინ მეტწილად წარმოდგენილია (თივენრ „დასვენებული“, მეორე ფუძე — თივენ-ჩო...), მაგრამ შედარებით იშვიათად იგი არ ჩანს (ხილ'ენრ „ნამყოფი“, მეორე ფუძე — ხილ'ენ-ჩო...), მაგალითები მოგვყავს ა. შიფნერის ნაშრომიდან (შიფნერი 1856: 44). ასეთივე ვითარება დასტურდება დავით და ნიკო ქადაგიძეების ლექსიკონსა (ქადაგიძე 1984) და თანამედროვე ბაცბურ ენაშიც.

შენიშვნა: აწმყოს მიმღეობის **ნ** დაბოლოებასა და ნამყოს მიმღეობის **ნ** დაბოლოებაში **ნ**, **რ** განიცდის სრულ რედუქციას (-ნნ(< ნი) > Ø, -ნრ(< ნო) > Ø.

-ჩჩო -ჩო-ს პარალელურად თავს იჩენს ერთი და იმავე ზმნისგან ნაწარმოები დამოუკიდებელი მიმღეობის ბრუნების დროსაც. მაგალითად: დუწინრ „სავსე“ — მეორე ფუძე — დუწინრ || დუწინრ (დუწინ'ნ'ჩო თადღინ დეხკარ დეწე „სავსე ხურჯინებს (თავის) შეკვრა (მოკვრა) უნდა“ (ქადაგიძე 1984: 238).

დამოუკიდებელი მიმღეობის ბრუნებისას **ნ** თანხმოვანი დაკარგულია, უ**-ნ**-ო ფორმები გვიანდელია.

ჩაჩნურ-ინგუშურში, ბაცბურის მსგავსად, უნდა ვივარაუდოთ, რომ **-ჩნ** **ნ**-ბოლოთანხმოვნიან ატრიბუტულ სახელს დაერთოდა. **ნ** თანხმოვანი ჩაჩნურში, ჩვეულებრივ, ამოვარდნილია დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელების ბრუნებისას, მაგრამ ზოგჯერ იგი შემონახული გვაქვს: ასეა პ. უსლართან: სადნოგ „ჩემი“ — მეორე ფუძე — სადნოგ... (უსლარი 1888: 52). ი. არსახანოვან ჩაჩნური ენის ავითრ დიალექტში: სეწვერგ „ჩემი“, მეორე ფუძე — სეწჩა... ჰაწვერგ „შენი“, მეორე ფუძე — ჰაწჩა... ცუწჩა (არსახანანოვი 1959: 52), გალანჭოყური დიალექტის ვედნოურ თქმაში: სადნოგ „ჩემი“, მეორე ფუძე — სადწჩა (არსახანოვი 1969: 150), შდრ. სალიტერატურო ჩაჩნ. სადნოგ „ჩემი“, მეორე ფუძე — სადჩუ... ჰადწჩა „შენი“, მეორე ფუძე — ჰადჩუ...

ამდენად, ნახური ენების ატრიბუტულ სახელთა ბრუნებაში **-ჩნ**-ს წინ უნდა აღვადგინოთ **ნ**, **ნ**-ს გარეშე ფორმები მეორეულია, **ნ**-ს დაკარგვის შედეგი. **-ჩნ** დაერთოდა **ნ**-ბოლოთანხმოვნიან მსაზღვრელს ერგატივსა და ირიბ ბრუნებში (შდრ. გაგუა 1983: 250).

ნ ა ხ უ რ ე ნ ე ბ ს ა და დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ შ ი **-ჩნ** დასტურდება **ჩუ**, **ჩო**, **ჩუო**, **ჩა**, **ჩ**, **ჩუ**, **ჩო**, **ჩწ**-ს სახით.

-ჩნ სავრცობი ნახური ენების არსებით სახელებში იმავე ფორმითა და ისეთივე ცვლილებებით გვხვდება, როგორც ატრიბუტულ სახელებში.

-ჩუ გვაქვს ჩაჩნურ სალიტერატურო ენასა და ჩაჩნური ენის ბარის კილოში როგორც დამოუკიდებელ ატრიბუტულ სახელთან, ისე მსაზღვრელთან მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში (სახ. ლეწა (ქდერთ) „მალალი (ღობე)“, მეორე ფუძე — ლეწა-ჩუ-, სახ. ლეწანიგ, მეორე ფუძე — ლეწა-ჩუ-...) იაკოვლევი 1960: 40-41; მაციევი 1961: 586-687;

დემერიევი 1967: 196-197; ალიროევი 1999: 64-65...).

ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტში **-ჩუ** შეინიშნება დამოუკიდებელ ატრიბუტულ სახელებთან მხოლოდობითი რიცხვისა და მრავლობითი რიცხვის პარალელურ ფორმებში (ალიროევი 1962: 51-52; ფარეულიძე 1985: 128).

ინგუშურში **-ჩუ** დამახასიათებელია დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელების ბრუნებისათვის მხოლოდობით რიცხვში (სახ. მაღრა^ნვარ^ნ „გულადი“, მეორე ფუძე — მაღრა-ჩუ- (ზ. მალსაგოვი 1963: 31; დოლაქოვა 1967: 216).

-ჩო-ა ბაცბურში როგორც დამოუკიდებელ, ისე დამოკიდებულ ატრიბუტულ სახელებთან მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში (მხ. რ. ყონო^ნ „ახალგაზრდა“, მეორე ფუძე — ყონ-ჩო-; ყონო^ნ (ვოჰ) „ახალგაზრდა (ვაჟი)“, მეორე ფუძე — ყონ-ჩო- (< ყონო-ჩო; მრ. რ. სახ. ყონნი, მეორე ფუძე — ყონჩო- (მიფნერი 1856: 44-45; დემერიევი 1953: 186-187; გაგუა 1983: 247-249...).

-ჩო ბაცბურში გამოვლენილია მართულ მსაზღვრელთანაც (ჭრელაშვილი 1960: 189).

-ჩო (ჩუო) არის გავრცელებული ჩაჩნური ენის რიგ დიალექტებში: ჭებერლოურში (სახ. ხაზ^ნ „ლამაზი“, მეორე ფუძე — ხაზა-ჩო-, სახ. ხაზანიგ, მეორე ფუძე — ხაზაჩო- (მაციევი 1965: 52; იმნაიშვილი 1966: 293); გალანჭოყური დიალექტის თქმებში — მელქიურში (სახ. ჰაადრახუო „მეწისქვილე“, მეორე ფუძე — ჰაადრახუო-ჩო-) სალამოვა 1985: 22); ნაშხოურში (სახ. დიქავერგ. „კარგი“, მეორე ფუძე — დიქა-ჩო- (არსახანოვი 1969: 106); შაროულ დიალექტში (არსახანოვი 1969: 83-84); ლამაკიურში (არსახანოვი 1969: 134-135); თერლოს თქმაში (არსახანოვი 1969: 116, 119); ითუმკამლურში (გაგაბოვა 1987: 10).

-ჩო ვლინდება ინგუშურის სახელთა ბრუნებისას მხ. რიცხვის ზოგი ბრუნვის პარალელურ ფორმებში (მაღრა^ნვარ^ნ „გულადი“, მიც. მაღრა-ჩუნ-ნა || მაღრა-ჩო-ა, გამსჭვ. (вещественный) მაღრა-ჩუნ-ახ || მაღრა-ჩო-ხ (ზ. მალსაგოვი 1963: 31; დოლაქოვა 1967: 16-17...)). **-ჩა** დასტურდება ჩაჩნური ენის ზოგ დიალექტში: აჯიურში (სახ. სულდე „ხუნი“, მეორე ფუძე — სულდე-ჩა- არსახანოვი 1959: 48); გალანჭოყური დიალექტის ვედენოურ თქმაში (სახ. სადნიგ „ჩემი“, მეორე ფუძე — სად^ნ-ჩა- (არსახანოვი 1969: 150). სალიტერატურო ჩაჩნურში ჩა > ჩა-ს შესახებ იხ. ქვემოთ.

ინგუშურში **ჩა** ჩანს მსაზღვრელთან როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას (მხ. რ. სახ. ქვერდა (მწვ) „ახალი (პური)“, მეორე ფუძე — ქვერდა-ჩა-; მრ. რ. ქვერდა (მაჯაშ), მეორე ფუძე — ქვერდა-ჩა- (მალსაგოვი 1963: 31; დოლაქოვა 1967: 216...)).

ჩუა შეიძლება გვქონდეს მხოლოდ ქისტურის სახელთა ბრუნებაში (სახ. ჭუმ-ვერ „პატარა“, მეორე ფუძე — ჭუმ-ჩუო- (< ჭუმ-ჩუა), მდრ. გამსჭვთ. ჭუმ-ჩუა-ხ (ალიროევი 1962: 51-52; ფარეულიძე 1985: 127-128).

ამრიგად, **ჩო, ჩუ, ჩა** საგვრცობები დაჩნდება ინგუშურსა და ჩაჩნურში, **ჩუ** და **ჩა** არ არის დადასტურებული ბაცბურში, სადაც მხოლოდ **ჩო** საგვრცობი გვაქვს.

ქისტურს **ჩო, ჩუ, ჩა** საგვრცობების ამოსავალი სახე -ჩუა შემუონახავს (ქისტურში წარმოდგენილია ჩუა > ჩუო > || ჩუ > ჩო).

კანონზომიერი ფონეტიკური პროცესების — **ჟა > ჟო > ჟ** და **ჟა > ჟო > ჟ**-ს (ფონეტიკურ პროცესების შესახებ იხ.: იმნაიშვილი 1977: 137, 152, 153, 177; მაჰომეტოვი 1974: 236-237) შედეგად.

ჩაჩნურსა და ინგუშურში, ერთი მხრით, ჩჟა > ჩჟო (იმნაიშვილი 1940: 147) || > ჩუ, მეორე მხრით, -ჩჟა > -ჩჟო > ჩო. გარდა ამისა, -ჩო, -ჩუ (< ჩჟა) > ჩა : **ო > ა, უ > ა** საკმაოდ გავრცელებული ბგერათმონაცვლეობაა ჩაჩნურსა და ინგუშურ ენებში (იმნაიშვილი 1977: 60, 65; ჩუხუა 1992: 109-110).

ჩაჩნურსა და ინგუშურში **-ჩა**-ს მიღება **-ჩჟა**-საგან სხვა გზითაც იყო შესაძლებელი: **ჩჟა > ჩა, ჩ** თანხმოვნის ლაბიალიზაციის მოშლის შედეგად (ჩუხუა 1993: 108-109, 116).

ბაცბურში **-ჩჟა > -ჩო**-ს, **ჟა > ო**-ს, რაც ამ ენისათვის ასევე დამახასიათებელი კანონზომიერი ფონეტიკური პროცესია (შიფნერი 1856: 28; მიქელაძე 1978: 115...).

თავის მხრივ, უფრო გვიან **-ჩუ, -ჩო, -ჩა** სავრცობებიც განიცდიან ფონეტიკურ ცვლილებებს: **-ჩო > ჩო**-ს (ნაწილობრივი რედუქციით) მსაზღვრელის მეორე ფუძეში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ბაცბურში (კაწკო^ნ (დოჰ) „პატარა (ქალი“), მეორე ფუძე — კაწკუ^ნ-ჩო (< კაწკო^ნ-ჩო). **-ჩო > -ჩ** ბაცბურ ენაში სრული რედუქციის შედეგია (დაზენ „კარგი“, ერგ. ლაზი-ჩო-ვ, ნათ. ლაზი-ჩო^ნ... თანაობ. ლაზი-ჩ-ცი^ნ || ლაზი-ჩო-ცი^ნ...).

შენიშვნა: თანაობითი ბრუნვის **-ცი^ნ** დაბოლოება სხვა შემთხვევებშიც იწვევს წინამავალი ხმოვნის რედუქციას ბაცბურში (სახ. ნეკ, თანაობ. ნეკ-ცი^ნ < || ნეკე-ცი^ნ).

ქისტური მეტყველების მაისტურ თქმაშიც წარმოდგენილია **-ჩ < -ჩუ** სახელთა ბრუნებისას, რედუქციის შედეგად (სახ. ჯდერჟა „ქვრივი“, ნათ. ჯდერჟაჩ (< ჯდერჟო-ჩუ-ენ (ფარეულიძე 1985: 129) და სხვ.

ნათესაობითის, მოქმედებითისა და მიმართულებითი **ლ**-ის ბრუნვათა ფორმებში **-ჩვ** სავრცობის ხმოვანი **ჟ, ო, ა** უმლაუტების სახით გვხვდება.

-ჩუ გვაქვს სალიტერატურო ჩაჩნურში (წდენიგ „წითელი“, ნათ. **წდე-ჩუნ** || **წდე-ჩუნ**-ან, მოქმ. **წდე-ჩუნ**-ცა, მიმართ. **ლ** **წდე-ჩუნ**-გა); ჩაჩნურის ბარის კილოში (იაკოვლევი 1960: 40-41; მაციევი 1961: 587; ბიბულატოვი 1966: 148...), ქისტურში (ალიროვეი 1962: ფარეულიძე 1985: 128); ნოჟაი-იურთის თქმაში (ჯამირზაევი 1981: 16).

-ჩო შეინიშნება ჩაჩნური ენის გალანჟოჟური დიალექტის ნაშხოურ თქმაში (დიქავერგ „კარგი“, მოქმ. დიქა-ჩონ-ცა, მიმართ. **ლ** დიქა-ჩონ-გა) არსახანოვი 1969: 116); ჩაჩნური ენის ქისტური მეტყველებისთვის არ არის უცხო **-ჩო** (ალიროვეი 1962: 38; ფარეულიძე 1985: 128).

-ჩა თავს იჩენს მრ. რიცხვში (ჩაჩნ. სალიტ. ენა — ლევანიგ „მაღალი“, მრ. რ. ლევანამ, მოქმ. ლევა-ჩა-რ-ცა || ლევა-ჩუ-შ-ცა, მიმართ. **ლ** ლევა-ჩა-რ-გა || ლევა-ჩუ-შ-ქა (იაკოვლევი 1960: 45...).

უმლაუტები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარკვეულ (ნათესაობით, მოქმედებით, მიმართულებით) ბრუნვებში დაჩნდება.

ჩაჩნური ენის (უფრო იშვიათად ინგუშურის) სახელთა ბრუნებაში ისე, როგორც სხვა შემთხვევებში, სახელის ფუძის ანლაუტში პირველი ხმოვნის პა-

ლატალიზაცია მომდევნო **ი** ან **ე** ხმოვნებთან რეგრესული დისტანციური ასიმილაციის შედეგია (სახ. თურ „ხმალი“, ნათ. თურ-ა⁶ < თურ-ი⁶, მიც. თურ-ანა < თურ-ინა...) (იმნაიშვილი 1977: 62-63, 68, 72... მაჰომედი 1974: 145-156; ქუჩიყი 1979: 61-63...) ორმარცვიან სახელებში ფუძის მეორე ხმოვნის რეგრესული დისტანციური ასიმილაციის ნიმუშები არ არის ცნობილი და ჯერ-ჯერობით ვერც ჩვენ დავადასტურეთ.

-ჩ'V' სავრცობის პალატალიზებულ ხმოვანთა ასიმილაციის შედეგად მიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათს (-ჩ'V სავრცობის ხმოვანთა) ასიმილაციას ვერ ვადასტურებთ -ჩ'V სავრცობიან სახელთა ბრუნებისას ჩაჩნური ენის ზოგ დიალექტში, მაგალითად, ჭებერლოურში და ვერც ინგუშურ ენაში და სწორედ ჭებერლოურის სხვა სახელთა ბრუნებაშიც **ა**-ს ასიმილაციას მხოლოდ **ო** და **ე** იწვევენ (იმნაიშვილი 1966: 293), ინგუშურში ასიმილაციის (პალატალიზაციის) გავრცელების არე აგრეთვე საერთოდ შეზღუდულია (იმნაიშვილი 1977: 113-114).

მომდევნო **ი**, **ე** ხმოვნებთან ფუძისეული ხმოვნის ასიმილაცია, ჩვეულებრივ, ყველა ბრუნვის ფორმაში ხდება (იმნაიშვილი 1977; იაკოვლევი 1960...), -ჩ'V-სავრცობიანი ბრუნებისაგან განსხვავებით.

უნდა იახსნას, რატომ არის შემოფარგლული ზემოთ აღნიშნულ ბრუნვათა ფორმებით -ჩ'V-ს ხმოვნის ასიმილაციის შემთხვევები? — ეს ის ბრუნებია (მოქმედებითი ბრუნვა, მიმართულებითი I, ნათესობითი ბრუნვის შესახებ ქვემოთ), რომელთა დაბოლოებებში წარმოდგენილი ხმოვანი ან **ი** და **ე**-ა, ან **ი**-სა და **ე**-საგან მომდინარეობს, ან, შესაძლებელია, ამ (**ი**, **ე**) ხმოვნების, რომელთა განუცდიათ სრული რედუქცია, აღდგენა.

მოქმედებითი (< თანაობითისაგან(გაგუა 1983: 216...)) ბრუნვის დაბოლოებაა სალიტერატურო ჩაჩნურში, რიგ მის დიალექტსა და ინგუშურში -ცა (< || ცე⁶ || ცი⁶), მაგრამ ჩაჩნური ენის ზოგ დიალექტში, მაგალითად, ჭებერლოურში (იმნაიშვილი 1966: 293; მაციევი 1965: 44-45), პ. უსლართან (უსლარი 1888: 28) დასტურდება -ცე, -ცი, ბაცბურშიც -ცი⁶ არის თანაობითის დაბოლოება.

ჩაჩნურში -ჩ'V-ს ხმოვანს მოქმედებითი ბრუნვის -ცი, -ცე დაბოლოების ხმოვნებთან (**ი**, **ე**) განუცდია პალატალიზაცია და მერე ზოგან მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებაში **ი**, **ე** > **ა**-ში (სახ. წმენიგ „წითელი“, მოქმ. წმენიგცა < წმენიგცე < წმენიგცე).

მიმართულებითი I-ის დაბოლოებად გვევლინება ინგუშურსა და ჩაჩნურში (სალიტერატურო ენასა და დიალექტებში) — გა < || გე < || გი: გა დასტურდება ინგუშურსა და ჩაჩნურის რიგ დიალექტებში — შაროულში (იმნაიშვილი 1970: 213), აჯიურში (არსახანოვი 1959: 40); გალანჭოყური დიალექტის მელქიურ თქმაში (სალამოვა 1985: 18)... ჩაჩნურის ზოგ (მაგალითად, ჭებერლოურში...) დიალექტში გე-სა (იმნაიშვილი 1966: 293; დემერიევი 1967: 195; დემერიევი 1963: 436) და -გი-ს (იმნაიშვილი 1959: 242, 244) ადასტურებენ.

შენიშვნა: ბაცბურში მიმართულებითი I-ის დაბოლოებაა -გო (< გა < -გი, -გე, შდრ. დემერიევი 1963: 437).

მიმარკთულებითი I-ის ფორმაში ასიმილაცია (პალატალიზაცია) -ჩ'V-ს

ხმოვნისა უნდა მოეხდინა **-გე, -გი** დაბოლოებათა **ი, ე** ხმოვნებს (რომლებიც შემდეგ **ა** ხმოვანში გადასულან (წმენიგ „წითელი“; მიმართ. | წმეჩუნ-გა < წმენ-ჩუნ-გე < წმენ-ჩუნ-გე), შდრ. ასიმილაცია მოქმედებითი ბრუნვის ფორმაში (იხ. ზემოთ).

რაც შეეხება ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, ჩაჩნური ენის ზოგ დიალექტში **-ჩV-სავრცობიანი** სახელების ბრუნებისას მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაა ხმოვნიანი:

შენიშვნა: ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება სხვა სახელთა ბრუნებაშიც არც თუ იშვიათად განსხვავებულია დანარჩენ ბრუნვათა დაბოლოებათაგან ხმოვნის მიხედვით (მაგალითად, ორფუძიან სახელთა ბრუნებაში, სადაც მეორე ფუძე ერგატივია — სთაგ „კაცი“, ერგ. სთაგ-ა, ნათ. სთეგ-ა^ნ < სთეგ-ი^ნ < სთაგ-ი^ნ, მიც. სთაგ-ა-ნა, მოქმ. სთაგ-ა-ცა, გამსჭვ. სთაგ-ა-ხ).

დანარჩენ ბრუნვებში ბრუნვათა დაბოლოებების ხმოვანი არ ჩანს. საფიქრებელია, **-ჩV-სავრცობიანი** სახელთა ბრუნებაში, როგორც წესი, უხმოვნო (ოდენ თანხმოვანი — **C**) ბრუნვის ნიშნები უნდა გვქონოდა. **-ჩV** სავრცობის ხმოვნის ასიმილაციას (პალატალიზაციას), როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მოქმედებით და მიმართულებით | ბრუნვათა **-CV** სტრუქტურის დაბოლოების ხმოვნები იწვევდნენ.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში **-ჩV** სავრცობის ხმოვანი ასევე განიცდის ასიმილაციას (პალატალიზაციას) მაშინ, როდესაც წარმოდგენილია ნათესაობითის დაბოლოებაში **ა** (< **ი, ე**) ხმოვანი. თუ მხოლოდ თანხმოვანია ნათესაობითის ნიშნად, **-ჩV** სავრცობში ხმოვნის ასიმილაცია არა გვაქვს (ნათესაობითის დაბოლოებად ჩაჩნურში გვხვდება ხმოვნიანი **(-Vნ)** და უხმოვნო **(-ნ)** სუფიქსები (ამის შესახებ ცალკე).

ნათესაობითში **-ჩV** სავრცობის ხმოვნის პალატალიზაცია იშვიათად დასტურდება, მაგალითად, დიქანიგ „კარგი“, ნათ. დიქა-ჩუნ-ა^ნ (ჩაჩნური ენის ნოქაი-იურთის მეტყველება (მაგალითი მოგვყავს ს. ჯამირზაევის ნაშრომიდან — ჯამირზაევი 1981: 16). ასიმილაცია, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ნათესაობითი ბრუნვის პარალელურ ფორმებში, მაგალითად, ჩაჩნურ სალიტერატურო ენასა და ბარის კილოში: ბაცუო „ბაცბი (წოვა-თუმი)“, ნათ. ბაცუო-ჩუნ^ნ || ბაცუო-ჩუნ-ა^ნ... ნიმუში დასახელებულია ნ. ბიბულატოვის ნაშრომიდან (ბიბულატოვი 1966: 148), ბაცუო-ჩუნ^ნ < ბაცუო-ჩუნ-ა^ნ.

შენიშვნა: 1) ასიმილაცია არ ხდება ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებისას მხოლოდ ნათესაობითში, მოქმედებითსა და მიმართულებით | ბრუნვებში (თუ დანარჩენ ბრუნვებში ფუძისეული ხმოვანი ასიმილაციას არ ექვემდებარება); განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ რიგი ნაცვალსახელები: ასიმილაცია იჩენს თავს, **-ჩV-სავრცობიანი** სახელთა მსგავსად, ნათესაობით ბრუნვაში, მოქმედებითსა და მიმართულებით | ში, სხვა ბრუნვებში — არა: ა) | და || პირის ნაცვალსახელები — სუო „მე“, ჰუო „შენ“. მაგალითად, ჩაჩნური ენის ბარის კილო: სახ. სუო, ერგ. 'ასა, ნათ. სა^ნ, მიც. სუნა, მოქმ. სუ-ცა, გამსჭვ.

სტოხ, შედარებ. სტოლ, მიმართ. | სრ-გა; ბ) კითხვითი ნაცვალსახელი მილა „ვინ?“ მეორე ფუძეა ჰან, მაგალითად, ჩაჩხური ენის ბარის კილო: სახ. მილა, ერგ. ჰან, ნათ. ჰენ-ან⁵, მიც. ჰან-ნა, მოქმ. ჰან-ცა, გამსჭვ. ჰანახ, შდრ. ჰანალ, მიმართ. | ჰან-გა; გ) III პირის (resp. ჩვენებითი) ნაცვალსახელები — იზა/ი, აზ/ა, გზ, ო „ეს“ (მეორე ფუძეა ცუ). მაგალითად, ჩაჩხ. ენის ბარის კილო: სახ. იზა || ი, ერგ. (ო)ცუო, ნათ. (ო)ცუნა⁵, მიც. (ო)ცუნა, მოქმ. (ო)ცუნცა, გამსჭვ. (ო)ცუნახ, შდრ. (ო)ცულ., მიმართ. | (ო)ცუნ-გა; დ) ჩაჩხ. ენის ჩვენებითი ჰარა, დარა („ეს“) და განსაზღვრებითი ვაჟა („სხვა“) ნაცვალსახელების მეორე ფუძეა ჰუ „სავრცობიანი“, ორმარცვლიანი, აქაც, ჩუ „სავრცობის“ მსგავსად ჰუში უ ხმოვანი განიცდის ასიმინაციას. მაგალითად, ჩაჩხ. ენის ბარის კილო: სახ. ჰარა, ერგ. ჰოჟო, ნათ. ჰოჟნა⁵, მიც. ჰოჟუნა, მოქმ. ჰოჟუნცა, გამსჭვ. ჰოჟუნახ, შედარებ. ჰოჟუნალ, მიმართ. | ჰოჟუნ-გა; სახ. ვაჟა, ერგ. ვუჟო, ნათ. ვუჟნან, მიც. ვუჟუნა, მოქმ. ვუჟუნცა, გამსჭვ. ვუჟუნახ, მიმართ. | ვუჟუნ-გა.

შენიშვნა: 2) ბაცბურში -ჩV-სავრცობიანი ზოგი სახელის ბრუნებისას -ჩV სავრცობს წინ უძღვის α (< ი) ბგერა ყველა ბრუნვის ფორმაში. მაგალითად: ზორა⁵ „მამაცი“ (მეორე ფუძე — ზორად-ჩრ) ერგ. ზორად-ჩოგ, ნათ. ზორად-ჩოგ⁵, მიც. ზორად-ჩონ, გამსჭვ. ზორად-ჩოხ, მიმართ. | ზორად-ჩოგო, გარდაქც. ზორად-ჩოლ, თანაობ. ზორად-ჩი⁵. ასევე იბრუნვის დაჯო⁵ „დიდი“ (მეორე ფუძე — დაჯო-ჩო < დაჯო-ჩო), კაწკო⁵ „პატარა“ (მეორე ფუძე — კაწკო-ჩო < კაწკო-ჩო...)

α (ი)-ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (resp. მეორეფუძისეული) ხმოვანს უკავშირებენ (გაგუა 83, 243), შდრ. ზემოთ ჩაჩხურის -ან (< -ან⁵) დაბოლოებიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა -ჩV-სავრცობიან სახელთა ბრუნებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ბაცბურში, ჩაჩხურისაგან განსხვავებით, ბრუნვის ნიშნის (resp. მეორეფუძისეული) ი (უ) ხმოვანი რიგ სახელებთან ყველა ბრუნვაში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, იგი (α < ი) -ჩV-ს წინ ყველა ბრუნვაში დაჩნდება. ბრუნვისნიშნისული (resp. მეორეფუძისეული) ხმოვნის (ი ან უ-ს) ან მთლიანად ბრუნვის დაბოლოების (-ან⁵ ან -უნ⁵) დაკარგვას (ბაცბურში ბრუნვისნიშნისეული ი (უ) ხმოვნის ეპენტეზისი არ ხდება) უნდა გამოეწვია -ჩო-ს წინამავალი ხმოვნის დაგრძელება და შემდეგ გრძელი ხმოვანი გადასულა დიფთონგში: სახ. ზორა⁵, ნათ. ზორად-ჩო⁵ < ზორანჩო⁵ < ზორაჩონი⁵ < ზორაჩონინ).

უფრო ხშირად -ჩV-იან სახელთა ბრუნებაში α -ჩო-ს წინ არ შეინიშნება, მეორე ფუძეში ხდება ეპენტეზისი ან რედუქცია. ეპენტეზისი კანონზღომიერად იჩენს თავს -ან⁵-ზე დაბოლოებულ ზედსართავ სახელებში: დელან⁵ „სუსტი“, მალან⁵ „თბილი“, ნიწყლან⁵ „ლონიერი“, მაწრან⁵ „ტკბილი“, ყარჭან⁵ „მავი“ და სხვ. მა-

გალითად: ყარჭინ^ნ, ერგ. ყადრჭიოვ, ნათ. ყადრჭიონ^ნ, მიც. ყადრჭიონ... (მეორე ფუძე — ყადრჭიო < ყარჭიო < ყარჭინო).

ზოგი სახელის -ჩო-სავრცობით ბრუნებისას ასევე კანონზომიერად გავრცელებულია რედუქცია, მაგალითად: ყონო^ნ „ახალგაზრდა“, ერგ. ყონოვ, ნათ. ყონო^ნ, მიც. ყონონ... (მეორე ფუძე — ყონო < ყონოჩო). ასევე იბრუნვის: ჭჭალო^ნ „მაგარი“, ყურუ^ნ „ყრუ“, დაცუ^ნ „მოკლე“, ლახუ^ნ „დაბალი“, თუმცა დაცუ^ნ, ლახუ^ნ, ყურუ^ნ ზედსართავების ბრუნებისას უფრო მოსალოდნელი იყო ეპენტეზისი.

გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელი ღუჯ „ბევრი“ -ი^ნ-ზე დაბოლოებული ზედსართავი სხეულების (ყარჭინ^ნ...) მსგავსად იბრუნვის (მეორე ფუძეა ღუჯჩო^ნ < ღუჯიჩო, ეპენტეზისის შედეგად).

ეპენტეზისი და რედუქცია იმ სახელებშია გავრცელებული, რომლებთანაც უხმოვო ბრუნვის ნიშნები უნდა გვექონოდა. ეს ფონეტიკური პროცესები (ეპენტეზისი და რედუქცია) ბრუნებისას მეორეა ფუძეში -ჩო-ს დართვის შედეგს წარმოადგენს.

ამრიგად, ელემენტები -ჩო, -ჩ- ნახურ ენებში ნაწილობრივი (-ჩო) და სრული (-ჩ-) რედუქციის შედეგია. -ჩუ-, -ჩო-, -ჩა- რ ე გ რ ე ს უ ლ ი ა ს ი - მ ი ლ ა ც ი ი ს გ ზ ი თ ა რ ი ს მიღებული — ჩV ელემენტის ხმოვანთა ნაირგვარობას განაპირობებს ფონეტიკური ცვლილებები.

-ჩV-სავრცობი ნახურ ენებში -ჩVნ-ის (ნ ბოლოთანხმოვნით) სახითაც დასტურდება. -ჩV-ისა და -ჩVნ-ის გავრცელების თვალსაზრისით სხვადასხვაგვარი ვითარება გვაქვს ინგუშურსა და ჩაჩურის დიალექტებში: 1) რიგ სახელებთან -ჩVნ გვხვდება ყველა ბრუნვაში, გარდა ერგატივისა, ინგუშურ ენაში (მალსაგოვი 1963: 31; მალსაგოვა 1959: 38). მაგალითად: მადრა(ვარ) „მამაცი“, ერგ. მადრა-ჩო, ნათ. მადრა-ჩუნ < მადრა-ჩუნ-Vნ, მიც. მადრა-ჩუნ-ნა, მადრა-ჩო-ა, მოქმ. მადრა-ჩუნ-ცა, გამსჭვ. მადრა-ჩუნ-ახ, მადრა-ჩო-ხ, მიმართ. | მადრა-ჩუნ-გა, შედარებ. მადრა-ჩუნ-ალ, მადრა-ჩუნ-ლ... 2) ინგუშურში გამოვლენილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც -ჩVნ- გვაქვს ყველა ბრუნვის ფორმაში, გარდა ერგატივისა და შედარებითი ბრუნვისა (იმნაიშვილი 1940: 147; ახრევა 1972: 96...), მაგალითად: სახ. ბოლხლო „მუშა“, ერგ. ბოლხლო-ჩო, ნათ. ბოლხლო-ჩუნ < ბოლხლო-ჩუნ-Vნ, მიც. ბოლხლო-ჩუნ-ნა, მოქმ. ბოლხლო-ჩუნ-ცა, გამსჭვ. ბოლხლო-ჩუნ-ახ || ბოლხლო-ჩო-ხ, შედარებ. ბოლხლო-ჩუნ-ლ, მიმართ. | ბოლხლო-ჩუნ-გა... 3) -ჩVნ- თავს იჩენს მიცემითში, მოქმედებითსა და გამსჭვალვით ბრუნვებში, დანარჩენში -ჩV-ა აჯიურ დიალექტში (არსახანოვი 1959: 48, 111...). მაგალითად: სახ. ცჰაალდავერგ „პირველი“, ერგ. ცჰაალდა-ჩო, ნათ. ცჰაალდა-ჩო, მიც. ცჰაალდა-ჩან-ნა, მოქმ. ცჰაალდა-ჩან-ცა, გამსჭვ. ცჰაალდაჩან-ახ, შედარებ. ცჰაალდაჩალ, მიმართ. | ცჰაალდაჩაგა; 4) ჩაჩურ სალიტერატურო ენასა (მაციევი 1961: 505, 506, 587... ბიბულატოვი 1966: 198...) და მის დიალექტებში (შაროულში (არსახანოვი 1969: 74) ჭებერლოურში (მაციევი 1965: 52), გალანჭოყური დიალექტის ნაშხოურსა და ლამაჯიურ თქმებში (არსახანოვი 1969: 62, 107, 134, 150) -ჩVნ-ს ადასტურებენ მიცემითში, მოქმედებით ბრუნვასა და მიმართ. | -ში. სხვა ბრუნვებში -ჩV- „სავრცობია“, მაგალი-

თად, ჩაჩნურ სალიტერატურო ენაში: სახ. ლეგანიგ „მაღალი“, ერგ. ლეგა-ჩ'ურ, ნათ. ლეგა-ჩ'უნ, მიც. ლეგა-ჩ'უნ-ნა, მოქმ. ლეგა-ჩ'უნ-ცა, გამსჭვ. ლეგა-ჩ'უნ-ხ, შედა-რებ. ლეგა-ჩ'უნ-ლ, მიმართ. | ლეგა-ჩ'უნ-გა; ჩაჩნური ენის ზოგ დიალექტსა (გალანჭოყური დიალექტის მელქიურ თქმაში (სალამოვა 1985: 22); ქისტურში (ფარეულიძე 1985: 129-130); ჭებერლოური დიალექტის მაქაყოურ თქმაში (იმნაიშვილი 1966: 293) და ბაცბურში (გაგუა 1983: 249) მხოლოდ -ჩ'V- არის დადასტურებული, მაგალითად, ბაცბურში: სახ. ყონონ⁵ „ახალგაზრდა“, ერგ. ყონჩო-ვ, ნათ. ყონ-ჩო⁵, მიც. ყონ-ჩო-ნ, გამსჭვ. ყონ-ჩო-ხ, მიმართ. | ყონ-ჩო-გო, გარდაქც. ყონ-ჩო-ლ, თანაობ. ყონ-ჩო-ცი⁵.

როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, ინგუშურში დაჩნდება -**ჩ'V**- || -**ჩ'V**-იანი (პარალელური) ფორმები (იხ. ზემოთ). ჩაჩნური ენის დიალექტებისთვისაც არ არის უცხო -**ჩ'V**-ს პარალელურად -**ჩ'V**-ს პოვნიერება, მაგალითად, ჭებერლოურში: რასხანიგ „ქურანი, წაბლა“, მიმართ. | რასხა-ჩონ-გე || რასხა-ჩ-გე (მაცივეი 1965: 52).

ნახურ ენებში -**ჩ'V**-სთან **ნ**-ბოლოთანხმობის წარმოჩენის ზემოთ ნაჩვენები ვითარება, შეიძლება, იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ ამოსავალია -**ჩ'V**-: -**ჩ'V**- < -**ჩ'V**ნ-, ნ-ს დაკარგვის გზით, თუმცა ხმოვანფუძიან სახელთა (მეორე ფუძეში **ნ**-თანხმობიანი) ბრუნებასთან გვიანდელი ანალოგიაც არ არის გამორიცხული. ანალოგიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ -**ჩ'V**ნ- არ არის გამოვლენილი ბაცბურში, არც ჩაჩნური ენის ჭებერლოური დიალექტის მაქაყოურ თქმასა და ქისტურში, რომლებიც არქაულობით გამოირჩევიან.

ამდენად, ატრიბუტულ (*resp.* არსებით) სახელთა ბრუნებაში მეორე ფუძის მაწარმოებლად უნდა აღვადგინოთ -**ჩ'უა** (< ჩ'უნ(?)).

შენიშვნა: დ. იმნაიშვილი აღადგენს -**ჩ'უნ**-ს (იმნაიშვილი 1940: 150), ი. დეშერიევი — **ჩ**-ს (დეშერიევი 1963: 452).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა აზრი -**ჩ'V**ნ'- „სავრცობის“ გენეზისის შესახებ: 1. წარმოშობით ზმნური ელემენტი და გონიერთა (მამრობითი და მდედრობითი სქესის) სახელებისათვის მცირე გამონაკლისით — თემატური მარცვალი, რომელიც უპირისპირდება **ნ**, **რ** თემატურ თანხმობებს არაგონიერთა სახელებში (დიუმეზილი 1933: 71, 83); 2. ჩუ ზმნიზედა-თანდებულსა (იმნაიშვილი 1940: 151) და ჩე < ჩეჰ აბსოლუტივის მაწარმოებლებს უკავშირდება (იმნაიშვილი 1940: 151); 3. წარმოშობით ნაცვალსახელურ ფუძედ მიიჩნევენ (კიკვიძე 1959, 114; ჭრელაშვილი 1960; ჩოქაევი 1987: 209; არსახანოვი 1965; ფარეულიძე 1985: 129-130); 4. ყველა ირიბი ბრუნვის აფიქსია როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში (დეშერიევი 1953: 134); 5. ფუნქციურად ენაცვლება ზედსართავის **V**ნ დაბოლოებას (გაგუა 1983: 250); 6. ისტორიულად მომდინარეობს ჩა || ჩი („ადამიანი“, *resp.* „დათვი“) სიტყვიდან, რომელიც სემანტიკურად შეიძლება უკავშირდებოდეს დეიქტურ (ჩვენებით) ნაცვალსახელსაც (ჩიქაევი 1987: 207, 209)...

ამ თვალსაზრისთაგან ყველაზე მეტად მართებული ჩანს -**ჩ'V**-ს III პირის (*resp.* ჩვენებით) ნაცვალსახელთან დაკავშირება. კერძოდ: ა) -**ჩ'V**- სავრცობისათვის შა'რ' ნაცვალსახელური ძირია ამოსავალი (ჭრელაშვილი); ბ) -**ჩ'V**- ჩაჩნურ-ინგუშურში **ი/იზა** („ის“) ნაცვალსახელის მეორე საბრუნებელი ფუძისა-

გან არის მიღებული (ფარეულიძე).

პირველი თვალსაზრისის თანახმად **ჩუ** < **შა'რ'**, **ჩ** > **შ** ჩუ-ში **ნ**-ს მომდევნოდ: **წუ** > **წჩ** **შ**-ს აფრიკატიზაციის გზით **წ** თანხმოვნის წინ (ჭრელაშვილი 1960: 192-193). მართლაც, როგორც გაირკვა, ბრუნებისას აღდგება ატრიბუტულ სახელთა **წ**-ბოლოთანხმოვანი უშუალოდ **-ჩუ-** „სავრცობის“ წინ, იგი აქაიქ დღემდე შემორჩენილია (იხ. ზემოთ), რაც ამ თვალსაზრისს დამაჯერებლობას უფრო ჰმატებს, ოღონდ დასაბუთებულ უნდა იქნეს **ა** ხმოვნის (**შარ** (ნაცვალსახელიდან) გადასვლა **უ** (**-ჩუ-**ავრცობში) და **ო** (**-ჩო-**სავრცობში) ხმოვნებში: **-ჩუ-**ს ამოსავალი ფორმა **ჩუა'წ** ჩანს და **უა** > **ო**, **უ**, **ა** ნახურ ენებში გავრცელებული ფონეტიკური პროცესების შესაბამისად და არა პირიქით — **ა** > **ო**, **უ**).

მეორე თვალსაზრისი (ფარეულიძე 1985: 129-130) საყურადღებოა იმით, რომ დამოუკიდებელ ატრიბუტულ სახელთა ბრუნების მოდელი ემთხვევა **ი/იზა** ნაცვალსახელის ბრუნების მოდელს (ფარეულიძე 1985: 130): ერგატივი **წ** **ცუ**-სთან (ცუნ) არც **ი/იზა** ნაცვალსახელის ბრუნებისას არ არის წარმოდგენილი, **ჩო**-ში ხმოვნის ასიმილაცია შეინიშნება მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში, მოქმედებითსა და მიმართულებით I-ში.

აქაც, უნდა აღინიშნოს, გასარკვევია ხმოვანთა უთრეირთმიმართების საკითხი **-ჩუ-** „სავრცობსა“ და **ი/იზა** ნაცვალსახელის მეორე საბრუნებელ ფუძეში.

ამრიგად, ნახურ ენათა არსებით სახელებში დასტურდება **-ჩუ-**, **-ჩუწ** „სავრცობიანი“ ბრუნება.

-ჩუწ', როგორც წესი, დაერთვის პირველ საბრუნებელ ფუძეს, რომელსაც **წ** ბოლოკიდური თანხმოვანი ჩამომორებული აქვს. **-ჩუწ'** „სავრცობი“ იმთავითვე უნდა დართოდა **წ**-ბოლოკიდურიან პირველ ფუძეს, შემდგომში **წ** თანხმოვანი იკარგება.

ბაცტურისათვის უცხოა **-ჩუწ** „სავრცობი“. **-ჩუწ** არ შეინიშნება ჩაჩნურისა და ინგუშურის ერგატივიშიც. ახსნილ უნდა იქნეს ამ ენებში (ჩაჩნურსა და ინგუშურში) ერგატივისთვის მხოლოდ **-ჩუ-** „სავრცობის“ პოვნეირება, რაც თუმცა შესაძლებელია შემთხვევითი ფაქტი იყოს, არც ის არის გამორიცხული, **-ჩუწ** „სავრცობი“ გამოვლენილ იქნეს ერგატივიშიც შემდგომი კვლევის საფუძველზე.

-ჩუწ' სავრცობი საერთო-ნახურისთვის შეიძლება იქნეს აღდგენილი, ოღონდ **წ** თანხმოვნის საკითხი პრობლემატურია.

-ჩუწ' სავრცობისათვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ **ჩუა'წ**, იგი ნახური ენებისათვის კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად სხვადასხვა ფორმას იღებს — **ჩო**, **ჩუ**, **ჩა**. ამასთანავე ზოგჯერ ხდება ხმოვნის ნაწილობრივი ან სრული რედუქცია. გარდა ამისა, ხმოვნები გარკვეულ (ნათესაობით, მოქმედებით და მიმართულებით I) ბრუნებში განიცდიან ასიმილაციას (პალატალიზაციას), რომელსაც იწვევს ნათესაობითში ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოების (resp. მეორეფუძისეული) **ი** ხმოვანი, მოქმედებითსა და მიმართულებით I-ში **-ცო'** და **-გო/ე** დაბოლოებათა **ი/ე** ხმოვნები.

-ჩუაწ- სავრცობი ნაცვალსახელური წარმომავლობისაა.

-ჩუ- სავრცობიან ბრუნებას ნახურ ენებში ატრიბუტული სახელები განე-

კუთვნიება. იგი არსებით სახელებში ვრცელდება ატრიბუტული სახელებიდან. ეს, ჩვეულებრივ, გაარსებითებული ატრიბუტული სახელებია (საკუთარი, იშვიათად — ნასესხები), ისეთი არსებითი სახელები, რომლებიც ატრიბუტივების ფუნქციასაც ასრულებენ და ან ატრიბუტული სახელების მსგავსი გარეგანი ფორმა აქვთ (ბაცბ. **ფსტუანწ** „დედაკაცი, გათხოვილი ქალი, ცოლი“ (მდრ. ალ'უანწ (1. „სათქმელი“, 2. „მთქმელი“), მდრ. ფსტუ („ცოლი“) სახელის ბრუნებისას **-ჩო-** „სავრცობი“ არ ჩანს.

არსებითი სახელების მრავლობით რიცხვში ბრუნებისას **-ჩV-** სავრცობი არ გვხვდება არც ერთ ნახურ ენაში. ეს სახელები ატრიბუტულ ბუნებას ჯერ მრავლობით რიცხვში კარგავენ.

ბაცბური ენის არსებით სახელთა ბრუნებაში **-ჩო-** სავრცობი იშვიათად იჩენს თავს. იგი არც **-Vგ-**, **-ლოგ**, **-ხოგ** და არც **-რიკ** სუფიქსებიანი სახელების ბრუნებისთვისაა ნიშანდობლივი.

ბაცბურში იმ არსებით სახელთა რაოდენობის შემცირება, რომლებიც ჩაჩნურ-ინგუშურში **-ჩV'წ'**- სავრცობიანი ბრუნებისაა, მეორეული ფაქტია, ბაცბურ-ქართული ორენოვნებით გამოწვეული: ქართულში, როგორც ცნობილია, ატრიბუტივების ბრუნება არ განსხვავდება არსებით სახელთა ბრუნებისაგან (და არც დამოუკიდებელი ატრიბუტული სახელები არ არის გარჩეული დამოკიდებული ატრიბუტული (მსაზღვრელი) სახელებისაგან).

ისიც შესაძლებელია, რომ არსებით სახელთა, რომლებიც ატრიბუტულ სახელთა ტიპის ბრუნებას განეკუთვნებიან, არსებითი სახელების ტიპის ბრუნებაზე გადასვლის ნახურ ენებში გამოვლენილი ტენდენცია (**-ჩV-** სავრცობიანი ბრუნების არსებითი სახელების მრავლობით რიცხვში უსავრცობო (უ**-ჩV-**ო) ფორმები სამივე ნახურ ენაში, განსხვავებით ატრიბუტულ სახელთაგან, რომლებთანაც მრავლობითი რიცხვის ფორმები **-ჩV-** სავრცობიანია) დააჩქარა ბაცბურში ბაცბურ-ქართულმა ორენოვნებამ.

ლიტერატურა

ალიროვი 1962 — И. Ю. Алироев, Кистинский диалект чеченского языка, Известия ЧИНИИЯЛ, т. III, выпуск 2, языкознание, Грозный.

არსახანოვი 1959 — И. Арсаханов, Аккинский диалект в системе чечено-ингушского языка, Грозный.

არსახანოვი 1965 — И. Арсаханов, хИнчалера нохчий мотт, Грозный.

არსახანოვი 1969 — И. Арсаханов, Чеченская диалектология, Грозный.

ანრიევა 1972 — Р. Ахриева, Ф. Одзоева, Л. Мальсагова, П. Бекова, хИанзара гIалгIай мотт, Грозный.

ბიბულატოვი 1966 — Н. Бибулатов, Типы склонения имен существительных в говорах плоскостного диалекта чеченского языка, Известия ЧИНИИЯЛ, т. VII, вып. 2, Грозный.

გაგუა 1983 — Р. Гагуа, Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского имени, ЕИКЯ, т. X, Тбилиси.

დეშერიევი 1953 — Ю. Дешериев, Бацбийский язык, Москва.

დეშერიევი 1963 — Ю. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов. Чечено-ингушское книжное издательство.

დიუმეზილი 1933 — G. Dumézil, Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, Paris.

დოლაკოვა 1967 — Р. Долакова, Ингушский язык, в сборнике «Языки народов СССР, IV, Иберийско-кавказские языки, Москва.

დუტაევი 1975 — В. Дутаев, Классные качественные имена прилагательные вайнахских языков и их грамматические свойства, Известия ЧИ НИИИЯЛ, т. X, вып. 2, языкознание, Грозный.

ვაგაპოვა 1987 — Т. Вагапова, Образование и склонение числительных в чеченском языке с учетом диалектных данных. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси.

იაკოვლევი 1960 — Н. Ф. Яковлев, Морфология чеченского языка, Грозный.

იმნაიშვილი 1940 — დ. იმნაიშვილი, ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

იმნაიშვილი 1945 — დ. იმნაიშვილი, ერთი სუფიქსის გენეზისისათვის ჩაჩნური ჯგუფის ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №5, თბილისი.

იმნაიშვილი 1959 — დ. იმნაიშვილი, ქართული ენიდან სიტყვათა სესხების კანონზომიერებისათვის პანკისის ქისტურში, იკე, XI, თბილისი.

იმნაიშვილი 1966 — დ. იმნაიშვილი, ჩაჩნური ენის ჰებერლოური კილოს ზოგი თავისებურება ჩაჩნურ-ინგუშურის სხვა კილოებთან მიმართებაში, იკე, XV, თბილისი.

იმნაიშვილი 1970 — დ. იმნაიშვილი, ჩაჩნური ენის ძირითადი თავისებურებანი, იკე, XVII, თბილისი.

იმნაიშვილი 1977 — Д. Имнайшвили, Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тбилиси.

კიკვიძე 1959 — ბ. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თსუ შრომები, 71, თბილისი.

ლონგიშვილი 2001 — ი. ლონგიშვილი, ლექსები, ბალადები, პოემები, პარიზი-თბილისი.

მალსაგოვი 1963 — З. Мальсагов, Грамматика ингушского языка, Грозный.

მალსაგოვა 1959 — Л. Мальсагова, Грамматика ингушского языка для четвертого класса начальной школы (на ингушском языке), Грозный.

მაციევი 1961 — А. Мациев, Чеченско-русский словарь, Москва.

მაციევი 1965 — А. Мациев, Чеберлоевский диалект чеченского языка, Известия ЧИ НИИИЯЛ, языкознание, т. 6, вып. 2, Грозный.

მაჰომედოვი 1974 — А. Магомедов, Система гласных чечено-ингушского языка, ЧИ книжное издательство.

მიქელაძე 1978 — მ. მიქელაძე, ინტერფერენტული პროცესები ბაცბურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

სალამოვა 1985 — П. Саламова, Мелхинский говор чеченского языка, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Махачкала.

სანიკიძე 2001 — ლ. სანიკიძე, **-ნიგ, რიგ, -რიკ** სუფიქსთა გენეზისისათვის ნახურ ენებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

სმირნიცკი 1959 — А. И. Смирницкий, Морфология английского языка, Москва.

უსლარი 1888 — П. К. Усларь, Этнография Кавказа. Языкознание. I. Чеченский язык, Тифлис.

ფარეულიძე 1985 — რ. ფარეულიძე, არსებით სახელთა ბრუნების საკითხები ჩაჩნურში (ქისტური მეტყველების მონაცემთა მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), თბილისი.

ქადაგიძე 1984 — დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუმურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ქურქიევი 1979 — А. Куркиев, Основные вопросы лексикологии ингушского языка, Грозный.

შიფნერი 1856 — А. Schiefner, Versuch über die khistische Mundart in Thuschetien, St. Petersburg.

ჩოქაევი 1987 — К. Чокаев, К генезису одного форманта косвенных падежей в вайнахских языках, в сборнике, Падежный состав и система склонения в кавказских языках, Махачкала.

ჩუხუა 1992 — მ. ჩუხუა, ლაბიალიზებულ თანხმობანთა ისტორიისათვის ინგუშურში, იკეწ, XVIII-XIX, თბილისი.

ჭრელაშვილი 1960 — კ. ჭრელაშვილი, **-ჩა (ჩუ, ჩო)** ელემენტების გენეზისისათვის ნახურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 96, თბილისი.

ჭრელაშვილი 2002 — კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუმური ენა, თბილისი.

ჯამირზაევი 1981 — С. Джамирзаев, Ножай-юртовская речь в её отношении к чеченскому литературному языку (историко-сравнительный аспект), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси.

LATAVRA SANIKIDZE

**Declension with -čVⁿ "Expanding" in the Nouns
of the Nakh Languages**

S u m m a r y

Declension with **-čVⁿ** "expanding" is attested in the Nakh languages. An "expanding" **-čVⁿ** is unfamiliar for Bats.

For **-čVⁿ** "expanding", **-čuaⁿ** must be considered to be initial. An "expanding" **-čwan** is of pronominal origin.

Attributive nouns belong to declension with **-čVⁿ** "expanding" in the Nakh languages. From the attributive nouns it occurs in such nouns, which have the function of attributive nouns or have the similar forms of attributive nouns (e. g.: Bats **pstujnō** 'a woman, married-woman, wife'), cf.: **al'ujní** (1. a narrator. 2. to be said); cf.: during conjugation of a **pstu** 'a wife' **-čo-** "expanding" does not occur.

In numeral declension of nouns **-čVⁿ** "expanding" does not occur in none of Nakh languages. These nouns loose attributive nature first of all in numeral.

In declension of Bast nouns **-čo** expanding rarely occurs. It is not characteristic for the nouns with **-Vv**, **-lov**, **-xov** and **-riḳ-** suffixes.

Decreasing of a number of the Bats nouns, which are with **-čVⁿ** "expanding" declension, is caused by Bats-Georgian bi-lingualism.

მეფა სალომანი

**ზომა-წონის ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური
ანალიზისათვის ქართულურ ენაზე**

ზომა-წონის ერთეულებს, როგორც ცნობილია, შეისწავლის მეტროლოგია (ივ. ჯავახიშვილის ტერმინით, საზომთმცოდნეობა). ამ ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით კვლევა ენათმეცნიერული ინტერესის საგანია.

საზომი ერთეულები უძველეს პერიოდში შეიქმნა, თუმცა ძირითადი ცნობები ქართული ზომა-წონის სისტემების შესახებ მოგვებოვება IX საუკუნიდან. მათი წარმოშობა და განვითარება ადამიანის შრომით საქმიანობასთან არის დაკავშირებული. სათანადო ლექსიკური ერთეულები (*resp.* ტერმინები) ადგილობრივი წარმოშობისაც შეიძლება იყოს და ნასესხებიც.

ქართული მეტროლოგიის ისტორიულ ასპექტში შესწავლისას ძირითადი წყაროა წერილობითი ძეგლები და თანამედროვე ქართველურ ენებსა და დიალექტებში დაცული მასალა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით. მათ შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ივ. ჯავახიშვილს, ნ. ხანიკოვს, გ. ჯავარიძეს. სწორედ აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით იქნა შეკრებილი მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის¹.

მეგრულში საზომ-საწყაოს ლექსიკა მეცნიერული თვალსაზრისით მეტნაკლებად გაანალიზებულია (ბებია 2002, 28-31), ხოლო რაც შეეხება სათანადო სვანურ მასალას, იგი ამ კუთხით დღემდე შესწავლილი არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღეთ ის თითოეორთა ლექსიკური ერთეული, რომელიც განხილულია სხვადასხვა ავტორის სტატიასა თუ წიგნში. თუმცა მასალა თითქმის სრულად არის თავმოყრილი სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით ა. ჩარკვიანის წიგნში „სვანეთი“. როგორც ავტორი შენიშნავს, „რეფორმამდელი და რეფორმის მომდევნო დროის სვანეთში (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) ზომა-წონის ერთეულებს არ განუცდიათ რაიმე არსებითი ცვლილება (ჩარკვიანი 1967, 240). მანამდე, ჯერ კიდევ 1938 წელს აფხაზეთის სვანეთში (*resp.* დალში), ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის დავალებით, მივლინებით იმყოფებოდა მ. გუჯეჩიანი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა ესა თუ ის საზომ-საფასური დალის ხეობის სოფლების მიხედვით; მის მიერ შეკრებილი მეტროლოგიური და სხვა ტერ-

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925; თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1996; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. II, ნაწილი I, მეჭურჭლეობა, თბ., 1979 (აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით).

მინების (სივრცის საზომები, ნართის საზომები, მცენარეულობის, სახელდობრ: მარცვლეულისა და მასთან ერთად საზიდი საზომები, სითხის საწყევები, საჭმლის, დროის საზომები, გამომცხვარი პურის სახელები (მათ ფორმებთან დაკავშირებით) რიცხვი 250-ზე მეტი ყოფილა (გუჯეჯიანი 1938, 273-276).

საქართველოში საყოველთაოდ მიღებული მრავალფეროვანი საზომ-საწონი ერთეულების გვერდით, რალა თქმა უნდა, არსებობდა ადგილობრივი მნიშვნელობის საზომებიც, რომლებითაც იზომებოდა სიმძიმე, ტევადობა და სივრცე.

საუკუნეთა მანძილზე ქართულმა საზომებმა სხვადასხვა მიზეზების გამო ღრმა ცვლილებები განიცადა. ძველის გაქრობის პარალელურად ხმარებაში შემოდიოდა მრავალი ახალი ტერმინი თუ ერთეული. XIX საუკუნიდან განსაკუთრებით სწრაფად გავრცელდა და დაკანონდა რუსული ზომა-წონის ერთეულები, თუმცა ქართული საზომები მაინც განაგრძობდნენ არსებობას, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე დაცული ქართულ ყოფაში (ქსე, ტ. 6, 1973, 617-618).

სამიწათმოქმედო ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც ცნობილია, მარცვლეულის საზომ-საწყაოს ლექსიკა წარმოადგენს. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ამ კუთხეებისათვის დამახასიათებელი საზომ-საწყაო გამოიყენებოდა, მათი უდიდესი ნაწილი ადგილობრივ ნივთებზე იყო წარმომოხილი და შესაბამისად ამ კუთხის ყოფას უკავშირდებოდა (ჯაფარიძე 1973, 5).

წინამდებარე წერილში წარმოდგენილი იქნება როგორც საკუთარ ისე ნასესხებ საწონ-საწყაო-საზომ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში.

ზოგადი კლასიფიკაციის შესაბამისად, ქართველური ენებიც საზომ ერთეულთა სამ ჯგუფს წარმოგვიდგენენ:

1. საწონი (მკვრივი და მარცვლეული სხეულებისა და საერთოდ არასითხოვანი ნივთიერებისათვის მიღებული საზომი) ერთეულები: ქართ. კილო : ზან. (მეგრ.) კილო : სვან. კილო; ქართ. გრამი : ზან. (მეგრ.) გრამი : სვან. გრამ; ქართ. ფოხალ-ი : ზან. (მეგრ.) ფოხალ-ი : სვან. (ზს., ლნტ.) ფოხალ, (ლშხ.) ფოხალ; ქართ. კოდ-ი : ზან. (მეგრ.-ლაზ.) კოდ-ი „ხის ჭურჭელი (პატარა სატლი) : სვან. კუიდი|კუიდი-ოლ „გოდორი“; სვან. (ბზ., ლნტ.) კარან, (ბქ.) კარაჟა „ჩანახი (მარცვლეულის საწყაო, ნახევარი ბათმანის მოცულობისა“; ქართ. (გურ.) ბურწინ-ი „დიდი საღვინე ჭურჭელი, კასრი“ : ზან. (მეგრ.) ბურწინ/მ-ი „ხის დიდი კასრი“ და სხვ.

2. საწყაო¹ (სითხოვანი ნივთიერების საზომი) ერთეულები: ქართ. ლიტრა : ზან. (მეგრ.) ლიტრა : სვან. ლიტრა|ლიტრა|ნიტრა; ქართ. ჩარეჟა : ზან. (მეგრ.) ჩარეჟა : სვან. ჩარეჟ; ქართ. დორა : ზან. (მეგრ.) დორა : სვან. (ზს.) დორა-მ, (ლშხ.) დორა-მ, (ლნტ.) დორა; სვან. (ბზ.) ზეჟა-მ, (ბქ.) ზეჟა „შვიდლიტრიანი კოკა“; სვან. (ქს.) საწურ-იან „სამი ლიტრის მოცულობის“; სვან. (ქს.) დარაჩ „ოცდაათი ლიტრის მოცულობის“ და სხვ.

3. საზომი (სივრცის გასაზომად განკუთვნილი) ერთეულები²: ქართ. არშინ-

¹ სითხოვანი ნივთიერების საზომს „საწყაო“-ს გარდა „საწყაული“ და „საწყეო“-ც ეწოდებოდა (ივ. ჯავახიშვილი, ტ. IX, თბ., 1996, 595).

² საინტერესოა ჩოლურულში გავრცელებული ერთ-ერთი ლექსემა ჰინჭოლა „ერთი კაბისთვის საკმარისი ნაჭრის ფართობი“, თუმცა არ არის მითითებული კაბის ფორმა და ქალის ზომები.

: ზან. (მეგრ.) **არშინ**-ი : სვან. **არშინ**; ქართ. **მეტრ**-ი : ზან. (მეგრ.) **მეტრ-||მეტრა** : სვან. **მეტრ**; ქართ. **ალაბ-ი**¹ : ზან. (მეგრ.) **ალაბ-ი||ადაბ-ი** : სვან. (ზს., ლნტ.) **ალაბ**, (ლშხ.) **ალაბ**; სვან. (ზს.) **ირთხინ/დერთხინი**, (ქს.) **ირთხინ** „ციდა“; ზან. (მეგრ.) **ბურჭულიშ ტარი** „ოთხი მტკაველი და ერთი ხელის დადება“ (ზედმიწ. „წალდის ტარის ხელა“) (ქეცბაია 2005, 13); სვან. (ბზ.) **ცხუადეშ**, (ბქ.) **ცხუადიშ** „ერთი დღიური მიწა“ და სხვ.

საწონი ნივთიერების სიმძიმის დასადგენად, როგორც ცნობილია, ხმარობდნენ და დღესაც ხმარობენ სპეციალურ ხელსაწყოს, რომელიც „**სასწორ**“-ით აღინიშნება, სასწორი იყო ორსაკიდრიანი, ამ ორსაკიდრიანი სასწორის გარდა „**ცალ-სასწორი**“-ც არსებობდა, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „**ლოლარიკონი**“-ც ეწოდებოდა. ტერმინი „**ლოლარიკონი**“ საზომად მხოლოდ ლინთიმერეთის ძეგლებში დასტურდებოდა და XVI საუკუნიდან მოყოლებული სანთლისთვის იხმარებოდა. ჰყონდიდელ-ბედიელის XVII საუკუნის მესამე მეოთხედის შეწირულობის წიგნში კი „**ლოლარიკონ**“-ად ეწერა (ჯავახიშვილი 1996, 597; 621-622).

ქართულის გარდა წონის ერთეულის აღმნიშვნელად **ლოლარიკონი** მეგრულშიც გამოიყენება, რომელიც ასევე სასწორსაც ნიშნავდა. ხოლო უძველესი საბუთი, სადაც ეს სიტყვა პირველად არის მოხსენიებული, შედგენილია 1564 წელს. ეს არის ხობელ ნიკოლოზ წულუკიას შეწირულობის წიგნი — ხობის მონასტრისადმი, სადაც სკვამოჩა ფაციას გადასახადებს შორის აქ დასახელებულია „ერთი ლოლარიკონი სანთელი“ (ქ. ს. დ. III, 1970, 275). დოკუმენტებში კი ეს სიტყვა დასტურდება **ლოლარიკონის**, **ლოლარიკის**, **ლოლარიკის** ფორმით (ბეზია 2002, 31). მეგრულში დაფიქსირებულია **ლაღანკონ**-ი ფორმაც, რომელიც ი. ყიფშიძის აზრით 14 კვერცხს ანუ ორ გირვანქა წონით ერთეულს ეწოდებოდა (ყიფშიძე 1914, 271).

მართალია, ვერც ერთ სვანურ პუბლიკაციაში წონის აღმნიშვნელი ეს ტერმინი ვერ დავადასტურეთ, თუმცა ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ იგი სვანურშიც, კერძოდ ბალსქვემოურში², საკმაოდ იყო გავრცელებული და უფროსი თაობის მეტყველებამი დღესაც ფიქსირდება მისი ხმარების შემთხვევები³. ბალსქვემოური **ლაღანიკ** ადრე, როგორც ინფორმატორები აღნიშნავენ, იმავე მნიშვნელობის იყო, რაც ქართულში, ე. ი. ჰქონდა სასწორის მნიშვნელობა, თუმცა დღეს, როგორც ირკვევა, მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება, მაგ. **ლაღანიკობ** „გაიძვერობა, მერყეობა, ეშმაკობა...“.

ტერმინი **სასწორ**-ი მეგრულ-სვანურში შესულია ქართულიდან ფონეტიკურად უცვლელი სახით, მაგ.: მეგრ. **სასწორ**-ი (თუმცა პარალელურად **სახწორ**-ი ფორმაც დასტურდება, სადაც **ხ**, როგორც ჩანს, ფონეტიკური დანართია) : სვან. **სასწორ**.

სასწორის მნიშვნელობითვე გამოიყენება სვანურში ლა-**ზმ**-ძარ „გასაზომი“

¹ იგივეა, რაც არშინი.

² შესაძლოა სვანურის ყველა დიალექტში იხმარებოდა და დროთა განმავლობაში დაიკარგა ისევე როგორც უამრავი სხვა სიტყვა.

³ პირადად მე ბაბუაჩემისგან, მიხეილ საღლიანისგან, ბავშვობაში ბევრჯერ მსმენია, თუმცა მაშინ მისი მნიშვნელობა ჩემთვის გაუგებარი იყო.

ფორმაც, რომელიც ასევე ქართულიდან შემოსულად ითვლება.

ქართველურ ენათა საზომ ერთეულებში არსებული შესატყვისობათა გათვალისწინებით ზოგი საერთო-ქართველური დონის მონაცემებია:

ქართ. **კათხა||კართხა** „ხის მოზრდილი სასმისი“ : ზან. (მეგრ.) **კო(რ)თხო¹** „ხის ჭურჭელი (მარცვლეულის საწყაო)“ : სვან. **კათხ** „ხის ფეხებიანი სასმისი“, **კათხ-ტაბჰ** „ქელეხი“. საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***კათხ-ა** არქეტიპი (ჩუხუა 2002-2003, 116). რაც შეეხება ქართული ენის დიალექტებში გავრცელებულ (გურ., ზ. აჭარ., ლეჩხ.) **კოთხო-ს**, იგი ზანიზმად კვალიფიცირდება (შდრ. ქართ. ა — ა : ზან. ო — ო) (იხ. იქვე).

ქართ. **მტკავ- მ-ტკავ-ელ-** : ზან. (მეგრ.) **ტკო-/ტკუ- ტკო/ტკუ/ტკუ** : ზან. (ლაზ.) **მტკო- მტკო** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 337) : სვან. **კამ-გლ||კამ-ინ||კამ-ილ** ← **ტკავ-ელ** (ჩუხუა 2002-2003, 38).

ქართ. **ნა-ზომ-** : ზან. (მეგრ.) **ნა-ზემ-** „საზომი, საწყავი“ : სვან. (ზს.) **ნა-ლ-ჯუმე||ნა-ლ-ჯომ**, (ლშხ.) **ნა-ლ-ჯომ** „ფართობის საზომი ერთეული“, სვან. **ნა-ზემ**.

ზან. (მეგრ.) **ნა-ზემ-** და სვან. **ნა-ზემ** < ქართ. **ნა-ზომ-**ი, ხოლო, რაც შეეხება სვანურ **ნა-ლ-ჯუმე||ნა-ლ-ჯომ** ფორმას, იგი ქართული **ნა-ზომ-**ი ფორმის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს წარმოადგენს. **ნა-ლ-ჯუმე-**ში წარმოდგენილი **ჟე** კომპლექსი **ო** ხმოვნის ნაუმილაუტარია, ქართული **ზ** სვანურში, როგორც წესი, აფრიკატიზაციის შედეგად **ძ**-ში უნდა გადასულიყო (**ზ** ← **ძ**), შემდეგ კი **ჯ**'ს მოგვცემდა. სვანურში გამოვლენილი სონორი **ლ** ფონეტიკური დანართია.

ს.ქართ. ***ძომ-** „ზომა“ → ქართ. **ზომ-** : სვან. **ჯუმე-** ← ***ძუმე-** ← ***ძომ-** ← **ზომ-**.

შენიშ.: სვანურში, კერძოდ, ბალსქვემოურ დიალექტში (ცხუმარულში და ეცერულში), მიწის ფართობის საზომ ერთეულად დაფიქსირებულია ერთი მეტად საინტერესო ფორმულარი, მაგ.: **ჭანდანაშ ნალჯომ ცხუადიშ** „ჭანდანის 'გა'ნა-ზომი ქცევა“, სამივე ერთეული, როგორც ცნობილია, ცალ-ცალკე გამოიყენება სვანურში, როგორც მიწის ფართობის საზომ ერთეულებად და მათი ზომებიც ცნობილია. ერთ-ერთ სვანურ ლეგენდაში, რომელიც ეხება სალიანების გვარს და რომლის რამდენიმე ვარიანტი გვაქვს ჩაწერილი, სწორედ იქ არის ნახსენები ზემოთაღნიშნული მიწის ფართობის საზომი ერთეული. ლეგენდის თანახმად, ეცერულმა თავადებმა, დადემქელიანებმა, სალიანებს აჩუქეს მიწის ფართობი ცხუმარში, რომელიც ამ სახელწოდებით არის დღემდე შემორჩენილი. როდესაც ამ მიწის შესახებ ვიკითხე, რომ გამერკვია მისი ადგილმდებარეობა და აგრეთვე მისი დღევანდელი სახელწოდება, აღმოჩნდა, რომ ის მიწა **ჭანდან-**ის სახელწოდებით ცხუმარში ნამდვილად არსებობს. გამოდის, რომ **ჭანდან-**ი, რომელიც მიწის ფართობის საზომ ერთეულს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში ტოპონიმად იქცა, ან პირიქით, ტოპონიმი იქცა საზომ ერთეულად, არც ეს არის, ჩვენი ვარაუდით, გამორიცხული.

საერთოქართველური დონის მონაცემი შეიძლება იყოს ქართ. (გურ.) **ჩხაკ-** „ხილის საკრეფი კალათა“, (იმერ.) **ჩხაკ-** „წვრილი ტყეჩით ან წნელით მოწნული,

¹ იტევს ფუთის მეოთხედს; ძველებური ქილა ახლანდელზე მეტი იყო, იტევდა 16 ოყას (ოყა = 3 გირვანქას). კორთხო ხისგან კეთდებოდა. ზოგ ქილაში 6 კორთხო ჩადის, ზოგში — 4 (იხ. ივ. ჯავახიშვილი, 1979, გვ. 230).

საცრის მოყვანილობის ჭურჭელი, რომელშიაც ტყემალს წურავენ; ხახალი, ცხრილი“ : და სვან. (ზს.) **ცხი^რკ** „კალათი“, (ლზს.) **ცხიკ-ოლ** „გოდორი“ (მდრ. იმ., გურ. „ჩხ-ავ-ი“).

სვანურში საერთოქართველური **ჩხ** კომპლექსის შესატყვისად, როგორც ვხედავთ, **ცხ** დასტურდება (**ჩხ** → **ცხ**), რაც ასახსნელია (მდრ. ქართ. **ჩხიკვ**-ი, ზან. (მეგრ.) **ჩხვირკ**-ი, ჭან. **ჩხვიკ**-ი, სვან. **ცხეკჷ|ცხჷკჷ** „ქორი“ — იხ. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003, გვ. 340); ძირეული სონორი **ჩ**, რომელიც მხოლოდ ბალსქვემოურში იჩენს თავს, ფონეტიკური დანართია.

ს.-ქართვ. ***ჩხაკ**- „კალათა, გოდორი“ → ქართ. **ჩხაკ**-ი : სვან. **ცხი^რკ** ← ***ცხიკ**- ← ***ცხეკ**- ← ***ჩხჷკ**- ← ***ჩხაკ**-.

სვან. **შიგელ** „საწურიდან ამოდებული ჭყინტი ყველის შესანახი ჭურჭელი (შეიძლება იყოს ყუთის ფორმის, ან ტკეჩისგან მოწნული კალათი)“.

ქართ. **ცეკა** „კალათი“.

ზან. (მეგრ.) **ჩაკა** „დაწნული კალათი, გიდელი“.

ს.-ქართვ. ***ცეგ**-(ა) „ცეკა, კალათი, ყუთი“ → ქართ. **ცეკა** ← ***ცეგ**-ა : ზან. **ჩაკ**-ა ← ***ჩაგ**-ა : სვან. **შიგ-ელ** ← ***ჩეგ-ელ**.

ქართული **ცეკ**-ა ძირი, როგორც მ. ჩუხუა შენიშნავს, ძველმა ბერძნულმა შეთვისა **საკ**- „ტომარა“ სახით: **ცეკა** → **საკ** (ჩუხუა 2000-2003, 304).

ქართ. (გურ.) **ცეკა** „კალათი“ : ზან. (მეგრ.) **ცეკა** „დიდი დაწნული ჭურჭელი, რომელიც იტევს სამ კალათა სიმინდის ტაროს, მარცვლად კი — შვიდ ფუთს“. საინტერესოა ქართული ენის დასავლური დიალექტებიდან ისესხა მეგრულმა აღნიშნული ლექსემა თუ პირიქით მეგრულისგან?

ძვ. ქართ. **წონ**- ი-**წონ**-ს; აღ-**წონ**-ს; და-**წონ**-ს; მი-**წონ**-ა...

ზან. (მეგრ.) **წონ**- **წონ**-უ-ა „აწონა; შედარება“; ვ-**წონ**-გნ-ქ „ვწონ-ი“; დო-ვ-**წონ**-ი „ავწონე“; გე-**წონ**-უ-ა „შეფარდება“... (ჩიქობავა 1938, 401); ო-**წონ**-ალ-ი „ასაწონი, სასწორი“.

ზან. (ლაზ.) **წონ**-/**წინ**- ო-**წონ**-ავფ-უ/ო-**წინ**-ავფ-უ „აწონა“; ფ-**წონ**-ი „ავწონე“...

სვან. **წონ**-/**წუნ**-/**წნ**- ლი-**წუნ**-ელი-**წნ**-ელი-**წნ**-ი; ხტ-ა-**წუნ**-ელი-**წნ**-ი „ვწონ-ი“; ლუ-**წუნ**-ელი-**წნ**-ელი-**წნ** „აწონილი“... (Fährnich 1982a, 38); ბქ. ლა-**წნ**-ილა-**წნ**-მარ „ასაწონი, სასწორი“.

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის გ. კლიმოვმა აღადგინა ***წონ**- არქეტიპი (ყლიმოვ 1998, 301).

ძვ. ქართ. **წყრთ**- **წყრთა**-დ: ზან. (მეგრ.) **ჭყირთა**-/**ჭყერთა**- **ჭყირთა**-/**ჭყერთა** „წყრთა“ : სვან. **ჭითხ**- **ჭითხ** „წყრთა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 679) და სხვ.

ზომა-წონის ზოგიერთი ერთეული მხოლოდ ცალკეული ქართველური ენისათვის არის დამახასიათებელი: ძვ. ქართ. **ჭარიკ**-ი „ნახევარი კოკა“; ქართ. **გოზაური** „დიდი საღვინე“; ქართ. **ბორჩხულა** „დოქის ნახევარი“; ზან. (მეგრ.) **ხეშფორი**||**ხეშფორ**-იმ-ხელ-ა „ოთხი თითის დადება“ (ზედმიწ. „ხელის გულის ხელა“), **ართიხეშფორ**-ი „ერთი ხელის დადება“; ზან. (მეგრ.) **სარლა** „ხის დიდი გობი, თაბახი“; სვან. **ყუჩ** „გოჯი“; სვან. (ბქ.) **კურთხელან**-ი „მიწის ფართობის საზომი ერთეული“; სვან. (ბზ.) **ლერქუაშ** „ოთხი ლიტრის მოცულობის სითხის საზომი ერთეული“; სვან. (ბქ.) **ჭანდან**-ი „მიწის ფართობის საზომი ერთეული = 484 კვ. სა-

ქენს“; **ლედულიაქილედულიაქი**¹ (უშგ.) „მარცვლეულის საზომი ერთეული“ = 24 კგ.; სვან. (ეცერ.) **ჭებშიშ** = 400 კგ. საყენს; **ლაყულა** „მარცვლეულის საზომი ერთეული“ = ნახევარ კვიდოლას (მთელ სვანეთში) და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს სხვა ენათაგან ნასესხები ლექსიკური ერთეულები², რომელთაგან ზოგი უცვლელად შემოუნახავს სამსავე ქართველურ ენას, ზოგს კი ამა თუ იმ ენაში მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია³. ვფიქრობთ, რომ ბევრი მათგანი ქართულის გზით არის შემოსული მეგრულ-სვანურში, განსაკუთრებით კი სვანურში. მაგ.:

ქართ. **არშინ**-ი (< რუს. **аршин**): ზან. (მეგრ.) **არშინ**-ი : სვან. **არშინ**.

ქართ. **ბათმან**-ი „საწყაო (მარცვლეულის, ფქვილის...)“ (< თურქ. < საშ. სპარს. **ბატმან**, ახ. სპარს. **ბაიმან** „ზომა“) : ზან. (მეგრ.) **ბათმან**-ი = ნახევარ ფუტს, 8 კგ-ს : შდრ. ზან. (ლაზ.) **ბათმან**-ი „თიხის დოქი ხელიანი, სითხეთა საწყაო, რომლის ნახევარია ბარდალი“ (ანდრონიკაშვილი II, 1996, 216-217) : სვან. (ჩოლ.) **ბათმან** „მარცვლის საწყაო“.

ქართ. (გურ.) **ბურწინ**-ი „დიდი საღვინე ჭურჭელი, კასრი“ : ზან. (მეგრ.) **ბურწინ**-ი||**ბურწინ**-ი||**ბურწინ**-ი „ხის დიდი კასრი“ (მეგრულში შეინიშნება სონორ თანხმოვანთა (ნ/მ) მონაცვლეობა და ი/ე ხმოვანთმონაცვლეობა)⁴: შდრ. სვან. ფორმები: ლი-**ბგრწინ**-ე „გაწელვა, გადიდება, გაზრდა მიწის ფართობისა“, ლგ-**ბგრწინ**-ე „გაწელილი, გადიდებული მიწის ფართობი“, ლე-**ბგრწინ**-ე „გასაწელი, გასადიდებელი მიწის ფართობი“..., როგორც ჩანს, სემანტიკურ გადაწვევასთან გვაქვს საქმე.

ზან. (მეგრ.) **ბუყინ**-ი||**ბუყუნ**-ი||**ბუყუნ**-ი „ხისგან საგანგებოდ დამზადებული ჭურჭელი, კასრი, რომელსაც იყენებენ რძის ჩასახმელად, მაწვნის შესადედეზლად; ხშირად მარცვლეულის (სიმინდის), ფქვილის ჩასაყრელად“ : სვან. **ბუყუნ** „საზამთროდ ყველის შესანახი ხის კასრი“, ამკარაა მისი მეგრულიდან ნასესხობა.

საერთოდ ზან. (მეგრ.) **ბუყინ**-ი||**ბუყუნ**-ი||**ბუყუნ**-ი ფუძის შესატყვისად, სანათმეცნიერო ლიტერატურაში, გამოვლენილია ქართულ-სვანური ფუძეებიც. მაგ.:

სვან. (ზს.) **ბეყუ**, (ბქ., ლშხ.) **ბოყუ**, (ლშხ., ლნტ.) **ბეყუ**-ილ „ხის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი ხორბლისათვის“ : ქართ. (გურ., იმერ.) **ბოყუ**-ი „ხის ჩარჩო“, ზ. იმერ. „კრამიტის ყალიბი (კეთდება ხისაგან)“, აჭარ. ბოქლომი, კლიტე“ : ზან. (მეგრ.) **ბუყუნ**-ი||**ბუყუნ**-ი „ხის კასრი“ და საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ბოყუ**- არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003, 66).

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ დაფიქსირებულია **ბეცე** „დიდი როფი, ვარცლი საქონლის დასარწყულელად“ ფორმაც (ქაჯაია 2001, 236), რომლის ზემოთაღნიშნულ ფუძეებთან სიახლოვე ამკარაა.

¹ როგორც ცნობილია, შესაბამება ცხერის ღირებულებას.

² აქვე განვიხილავთ საკუთრივ ქართული წარმომავლობის ლექსიკურ ერთეულებსაც, რომლებიც დროთა განმავლობაში სხვა ქართველურმა ენებმაც ისესხეს.

³ ეს ცვლილებები განსაკუთრებით ხელშესახებია მეგრულ-სვანურისათვის.

⁴ კეთდება ცაცხვისგან. მრგვალ ხეს აქვს ამოღებული გული. მისი ზომა ასეთია: სიმაღლე — 170 სმ., გარშემოწერილობა — 3 მეტრი და 71 სმ. ბურწინს ხმარობენ სიმინდის ჩასაყრელად, იტევს 70 ფუტს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, 1979, გვ. 228).

ქართ. ვერს-ი (< რუს. верста) : ზან. (მეგრ.) ვერს-ი : სვან. ჟერს, (უშგ.) ჟერსტ.

ქართ. კუბურ¹-ი მეტრი : ზან. (მეგრ.) კუბა : სვან. კუბ|კუბამეტრ.

ქართ. ლიტრა, (კახ.) ნიტრა „საწყაოს ერთეული, დაახლოებით გირვანქა“ : ზან. (მეგრ.) ლიტრა|ნიტრა|ნიტრა : სვან. ლიტრა|ლიტრ|ნიტრა (ლ/ნ მონაცვლეობა თვალმისაცემია არა მხოლოდ ქართულში, არამედ მეგრულ-სვანურშიც).

ეს უცხოური წარმომავლობის ტერმინი უძველეს ნასესხობად ითვლება ქართულში, რომელიც საწონი ერთეულის მნიშვნელობით გამოიყენებოდა, რაც ისტორიული საბუთებითაც დგინდება. ჩვეულებრივი ლიტრის გარდა არსებობდა აგრეთვე „ქალაქური ლიტრა“ და „გორული ლიტრა“ (ფხაკაძე 2007, 285).

ტერმინი ლიტრა, როგორც ცნობილია, ნასესხებია სხვა ენათაგან. იგი არსებულა მრავალ ენაში, მაგ.: ბერძნულად „ლიტრა“, ლათინურად „ლიბრა“, ასურულად „ლიტრა“, სომხურად „ლიტრ“, არაბულ-სპარსულად „რიტლ“. ეს ტერმინი ბერძნებს რომაელებისაგან შეუთვისებიათ და ქართულში, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, ბერძნულიდან (ლიტრა) შემოსულა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, 72). „თავდაპირველად მას საზომ-საწონი ერთეულის მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგ კი ქრონოლოგიურად და ენობრივ ქვესისტემებშიც სემანტიკური ცვლილება განიცადა“ (ფხაკაძე 2007, 289).

ქართ. მისხალ-ი „დრამ-ნახევარი“ : ზან. (მეგრ.) მისხალ-ი|მირცხალ-ი, როგორც ჩანს, ქართულიდანაა ნასესხები დეზაფრიკატიზაციის (ც > ხ) საფუძველზე, სადაც რ ბგერა აშკარად ფონეტიკური დანართია : სვან. (ბქ.) მირცხალ მეგრული ენიდან უნდა იყოს შეთვისებული; აუსლაუტისეული ა ხმოვნის უმლაუტი სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგია.

ქართ. ქსან-ი „გვერდის ნაოთხალი“ (საბა) : სვან. (ჩოლ.) ქსან „კანაფის ბოჭკოს საზომი; სანთლის ცვილის საზომ-საწონი, სარწყავი“ (ლიპარტელიანი 1994, 288).

ქართ. ქცევა „ფართობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული, რომლის ოდენობა XIX საუკუნის დამლევს 900 კვადრატულ მხარს უდრიდა“ (ჯავახიშვილი 1925, 139) : ზან. (მეგრ.) ქცევა < ქართ. (იმერული ან გურული კილოდან) (ბებია 2002, 28).

ქართ. (ზ. რაჭ.) ყურიანა (ყურიანი სალობივე) : შდრ. (ქს.) ყურიანათ = 4 ძბ.

ქართ. ჩარეჟა „სითხის საზომი ერთეული“ (< სპარს.) : ზან. (მეგრ.) ჩარეჟა|ჩარეჟი-ი : სვან. (ქს.) ჩარეჟი.

ქართ. საჟენ-ი (< რუს. сажень „ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული, სამი არშინი) : ზან. (მეგრ.) საჯენ-ი (ჟ → ჯ პროცესით) = 2, 134 მეტრს : სვან. (ბზ., ლშხ.) საჯენ|საჟენ, (ბქ., ლნტ.) სჯენ|სჯენ (ჟ → ჯ). ჩოლურულში საჯინი-ან ფორმაც დასტურდება, რომელიც ორმეტრიანია.

ქართ. ფოხალ-ი : ზან. (მეგრ.) ფოხალ-ი : სვან. (ზს., ლნტ.) ფოხალ, (ლშხ.) ფოხალ (სვანურში ა-ს უმლაუტი მომხდარა დაკარგული სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით).

ქართ. კილო|კილოგრამ-ი : ზან. (მეგრ.) კილო : სვან. კილო.

სვანურში ფართობის საზომ ერთეულად გამოყენებული იყო აგრეთვე ქარ-

თული სვრელ-ის შესატყვისი (ბქ.) **ლუსნ**, (ჩოლ.) **ლუსნე** „ადრე დილიდან სადილობამდე სამი მამაკაცის მიერ დათოხნილი ფართობი“ ფორმაც, რომლის ზომაც სოფლების მიხედვით განსხვავებულია, რადგანაც მამაკაცები, ყველანი ერთნაირად ვერ მუშაობენ, აქედან გამომდინარე, ამ ერთეულის ფართობის ზომაც, რა თქმა უნდა, ყველგან სხვადასხვაა.¹

ქართ. **სველსვრელ**-ი, (ქართლ.) **სვრე**, (მოხ.) **სნე**, (ლეჩხ.) **სრ**-იელ-ი, (ხევს., რაჭ.) **ლე-სურ**-ი, (გურ.) **სრელ**-ი : ზან. (მეგრ.) **სველსვრელ**-ი : სვან. (ბქ.) **ლუ-სნ**, (ჩოლ.) **ლუ-სნე**-მ „ადრე დილიდან სადილობამდე სამი მამაკაცის მიერ დათოხნილი ფართობი“.

აღნიშნულ ფუძეთა საერთოქართველურ დონეზე აღდგენა არ ხერხდება, უფრო სესხებასთან გვაქვს საქმე. მეგრულში პირდაპირ არის შესული ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე, ხოლო, რაც შეეხება სვანურს, იქ ქართულიდან ნასესხები ძირი სვანური მორფოლოგიური ინვენტარითაა გაფორმებული. ფონეტიკურ ცვლილებას აქვს ადგილი მხოლოდ ბალსქვემოურ **ლუ-სნ** ფორმაში, სადაც ძირეული **-სნ**- დაკარგულია, ხოლო ქართული **ე** ხმოვანი სვანურში **ჲ**-შია გადასული.

ნასესხები მასალა სვანურში, როგორც ცნობილია, შესულია არა მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენიდან, არამედ დიალექტებიდანაც, სწორედ ამისი ნათელი დადასტურებაა სვან. (ბზ.) **ჩაბნანა**/ (ჩოლ.) **ჩაბნალ** „მარცვლეულის საწყაო“ < მესხ. **ჩანალი** < სალიტ. ქართ. **ჩანახ**-ი < თურქ. **ჩანაკ** „თიხის ჭურჭელი“. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია ქართული ენის დასავლურ კილო-თქმათა მონაცემების სიმრავლე. სხვაობაა თვით სვანური ენის დიალექტების შიგნითაც: ქვემოსვანურ დიალექტებში გაცილებით მეტია ქართული ნასესხობანი, ვიდრე ბალსქვემოურ დიალექტში, რაც შეეხება ბალსქვემოურს, იქ უფრო ჭარბობს მეგრული ლექსიკა (სალიანი 2004-2005, 150).

ამრიგად:

ზოგადი კლასიფიკაციის შესაბამისად, როგორც ვნახეთ, ქართველური ენებიც საზომ ერთეულთა სამ ჯგუფს წარმოგვიდგენენ: 1. საწონი (მკვრივი და მარცვლეული სხეულებისა და საერთოდ არასითხოვანი ნივთიერებისათვის მიღებული საზომი) ერთეულები; 2. საწყაო (სითხოვანი ნივთიერების საზომი) ერთეულები; 3. საზომი (სივრცის გასაზომად განკუთვნილი) ერთეულები.

ქართველურ ენათა საზომ ერთეულებში არსებული შესატყვისობათა გათვალისწინებით ზოგი საერთო-ქართველური დონის მონაცემი აღმოჩნდა, ზოგი მათგანი კი მხოლოდ ცალკეული ქართველური ენისათვის დამახასიათებელი. საკმაო რაოდენობით გამოვლინდა სხვა ენათაგან ნასესხები ლექსიკური ერთეულებიც, რომელთაგან ზოგი უცვლელად შემოინახა სამივე ქართველურმა ენამ, ზოგმა კი ამა თუ იმ ენაში მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა. ნასესხებ ფორმათა მეტი წილი, როგორც ჩანს, ქართულის გზით არის შემოსული მეგრულ-სვანურში.

¹ ცნობები ამ (და სხვა) ლექსიკური ერთეულის შესახებ მოგვაწოდა ჩოლურის — თეკალის საშუალო სკოლის ერთ-ერთმა დამსახურებულმა მასწავლებელმა, ქალბატონმა დოდო ბაბლუანმა, რომელიც დაინტერესებულია სვანური საზომი ერთეულებით და ცდილობს მათ სრულად აღნუსხვას და მათი მოცულობების განსაზღვრას.

ზომა-წონის ერთეულები¹

1. მოცულობის საზომი ერთეულები

ა) საწონი (მკვრივი და მარცვლეული სხეულებისა და საერთოდ არასითხოვანი ნივთიერებისათვის მიღებული საზომი) ერთეულები:

ქ ა რ თ უ ლ ი

ქართ.	მესხ.	ლენჩ.	გურ.	ზ. აჭარ.	იმერ.	ზ. რაჭ.
ბათმანი						
			ბურწინი „ლიდი საღვინე ჭურჭელი, კასრი“			
გრამი						
კილო						
კილოგრამი						
კოდი						
		კოთხო	კოთხო	კოთხო		
ლოღარიკონი ლაღარიკონი						
მისხალი = ღრამ-ნახევარი						
სასწორი						
ქსანი = გვერ- დის ნაოთხალი						
ფოხალი						
						ყურიანა „ყურიანი სალობივე“
ჩანახი „თიხის ჭურჭელი“	ჩანალი					
ჩარექა ჩარეჭი						
			ჩხავი		ჩხავი	
			ჩხაკ-ი „ნილის საკ- რეფი კალა- თა“			
ცალსასწორი						

¹ ქვემოთ წარმოდგენილ პარადიგმატულ სისტემებში მოცემულია მხოლოდ სტატიაში განხილული ზომა-წონის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.

ს ვ ა ნ უ რ ი

წს., ქს.	წს.	ბზ.	ბქ.	ლნტ.	ლშხ.	ჩოლ.
		აცხიშ მანეთი = 12 ფუთი				
						ბათმან „მარცვლის საწყაო“
	ბეყუ „ხის ქერქისაგან გაკეთებ- ული ჭურჭელი ნორბ- ლისათვის“		ბოყუ	ბეყუილ	ბოყუ ბეყუილ	
			ბუყუინ „საზამ- თროდ ყველის შესანახი ხის კასრი“			
გრამ						
				ღანლაშ = 24 კგ.	ღანლაშ = 24 კგ.	ღანლაშ = 24 კგ.
კარან = 5-14 კგ.		კარან = 5-14 კგ.		კარან = 5-14 კგ.		
კარუა = 5-14 კგ.						
კილო						კოლეფ = 8 კგ.
კუილ = 128 კგ.	კუილოლა/ = 32 (ეცერ., ცხუმ.) კუილოლა = 39.40 კგ. (ჩბხ., ჭუმბ.)	კუილოლა = 40 კგ.				
ლალაშ = 16 კგ.						ლალაშ = 8 კგ.
	ლალანიკ (ეცერ., ცხუმ.)					
ლაყულა = ნახევ- არი კვი- დოლა						
				ლანდილ = 32 კგ.	ლანდილ = 32 კგ.	ლანდილ = 32 კგ.
		ლედულიაქ ლედულიაქ = 24 კგ. (უმბ.)				
სასწორ			მირცხალ			
				ფონალ = 8 კგ.	ფონალ = 8 კგ.	ფონალ ფონლიან = 8 კგ.

¹ ჩოლურელი (ტვიბელი) გულა გაბლიანის თქმით, კოლოფში ჩადის ოთხი კილო, ხოლო ფონალში – ორი კოლოფი, ე. ი. = 8 კგ.

						ქსან „კანადის ბოჭკოს საზომი; სანთლის ცვილის საზომ- საწონი, სარწყავი“
				ყურიანათ =4 კგ.	ყურიანათ =4 კგ.	ყურიანათ =4 კგ.
				შიგელ „ყუთის ფორმის, ან ტკეჩისგან მოწნული კალათი“	შიგელ „ყუთის ფორმის, ან ტკეჩისგან მოწნული კა- ლათი“	შიგელ „ყუთის ფორმის, ან ტკეჩის- გან მოწ- ნული კალ- ათი“
ჩაბანად =5-14 კგ.		ჩაბანად				ჩაბანად
ჩაფლაში საჩფულ =6 კგ.		ჩარექ		ჩარექან	ჩარექად	
	ცხინ'კ „კალათი“				ცხიკ-რლ „გოდორი“	

მ ე გ რ უ ლ ი¹

ატარი	ბათმანი = ნახევ- არ ფუთს, 8 კგ-ს	ბარქაში	ბლიკვი = მჭილი, მუშტი, მუჭი	ბუყინი ბუყუნი ბუყუნი „კასრი მარცვ- ლეულის (სიმინდის), ფქვილის ჩასაყრე-ლად	ბურწემი ბურწემი =70 ფუთს.	გვერდი/ გუერდი
კალათი	კილო	კარაჩხა	კოთხო/ კორთხო	კოპეშია	ლაგუჯი	ლაღარკ ონი
ლიჯი	მანათელა	მისხალი მირცხალი	ნისორი	ოყა	ოგორდულო	საკი
სარლა „ნის დიდი გობი, თაბა- ხი“	სასწორი სახწორი	ტომარე	ურემი	ფონალი	ქილა	ცეკა
ძანძა	ძარა	ხართა				

¹ მეგრული მასალა ამოღებულია ი. ბეზიას სტატიიდან „საზომ-საწყაოს ლექსიკა მეგრულში“.

ბ) საწყაო (სითხოვანი ნივთიერების საზომი) ერთეულები:

ქ ა რ თ უ ლ ი

ძვ. ქართ.	ქართ.	კახ.	იმერ.
	ბორჩხულა „დოქის ნახევარი“		
	გოზაური „დიდი საღვინე“		
	დორა		
	თუნგი		
	კათხა კართხა „ნის მოზრდილი სასმისი“		
	ლიტრა „საწყაოს ერთეული, დაახლოებით გირვანქა“	ნიტრა	
	ჩარექა ჩარექი		
			ჩხაკი „წვრილი ტკეჩით ან წნელით მოწნული, საცრის მოყვანილობის ჭურჭელი, რომელშიაც ტყემალს წურავენ; ხახალი, ცხრილი“
ქარიკი-ი „ნახევარი კოკა“			

ს ვ ა ნ უ რ ი

ზს. ქს.	ბზ.	ბქ.	ქს.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
		აბზიშ = 1,5 ლიტრს				
			დარაჩ = 30 ლიტრს			
	დორაჲ	დორაჲ		დორაჲ	დორაჲ	
	ზექაჲ = 7 ლიტრს	ზექა = 7 ლიტრს				
თუინგ თუნგ „თუნგი“				თუნგუ „თუნგი“		თუნგ „თუნგი“ = 3,5-4 ლიტრს
კათხ „ნის ფეხებიანი სასმისი“						
			ლაზემ ლაზმა = 5 ლიტრს			
		ლაურაშ = ???				
	ლაყულიაშ = 6 ლიტრს		ლაყულილ = 12 ლიტრს			
ლანისგ = 3-3,5 ლიტრს						
	ლერქუაშ = 4 ლიტრს					

ლიტრა ლიტრ		ნიტრა				
			საწურთან =3 ლიტრს			
	შიყუთილ =მუჭს (უშგ.)			შიყუთილ' =პეშეს		
			ჩარეჭ			

მ ე გ რ უ ლ ი

ლაზ.	მეგრ.	მეგრ.	მეგრ.
ბათმანი „თიხის დოჭი ხელიანი, სითხეთა საწყაო, რომლის ნახევარია ბარდალი“	ბეცე =დიდი როფი, ვარცლი საქონლის დასარწყულეზლად	დორა	ჩარეჭა ჩარეჭი ჩარეჭი
	ბუყინ-ი ბუყუნ-ი ბუყუნ-ი „ხისგან საგანგებოდ დამზადებული ჭურჭელი, კასრი, რომელსაც იყენებენ რძის ჩასასხმელად, მაწვნის შესადღებლად“	ლიტრა ნირტა ნიტრა	ნიგა ნგა =ხის კასრი რძისათვის — სათლი

2. მიწის ფართობის საზომი ერთეულები:

ქ ა რ თ უ ლ ი

ქართ.	ქართლ.	მთხ.	ლენხ.	ხევხ.	რაჭ.	გურ.
გოჯი						
სვე სვრელი	სვრე	სუე	სრიელი	ლესური	ლესური	სრელი
ქცევა = 900 კვადრატ- ულ მხარს						

ს ვ ა ნ უ რ ი

ზს., ქს.	ზს.	ბზ.	ბქ.	ეცერ.	ლშხ.	ჩოლ.
		გეგი ნაღჯომ =156 კვ. საყენს (ლატ.)				
			კურთხე ლანი =441 კვ. საყენს (ბერ.)			
ლადლიშ =350 კვ.						

¹ ეშხუ შიყუთილ ლიცინლ „ერთი პეშეი წყალი“.

საყენს						
			ლუსან „სვე, სვრელი“			ლუსტეა „დრე დილიდან სადილობამდე სამი მამაკაცის მიერ დათონ- ნილი ფართობი“
	ნალჭემში ნალჭომ = 132 კვ. საყენს				ნალჭომ = ქცევა	
ყურ = გოჯს						
	ცხუადიშ = 144 კვ. საყენს ანუ „ერთი დღიური მიწა“	ცხუადეშ = 144 კვ. საყენს	ცხუადიშ = 100 კვ. საყენს (ლხმ.)			
				ქანდანი = 484 კვ. საყენს		
				ჭებშიშ = 400 კვ. საყენს		

მ ე გ რ უ ლ ი

მარგალი				
	ორთალი			
		სვე სვრელი		
			ქცევა	
				ყაზაყი

3. სიგრძის საზომი ერთეულები:

ქ ა რ თ უ ლ ი

ძვ. ქართ.	ქართ.
	ალაბი
	არშინი
	კუბი კუბური მეტრი
	ვერსი
	მეტრი
	მტკაველი
	საყენი = სამ არშინს
წყრთაჲ	წყრთა

ს ვ ა ნ უ რ ი

ზს., ქს.	ზს.	ქს.	ბზ.	ლშზ.	ბქ.	ლნტ.	ჩოლ.
ალაბ- არშინ = 71 სმ.							
	ალაბ = არშინს			ალაბ = არშინ- ნს		ალაბ = არშინს	
არშინ							
ბაჯ = ნაბიჯს							
ირთხენ = ციდას	ირთხინ/ დერთხილ = ციდას	ირთხინ = ციდას					
კამელ კამინ კამილ = მტკაველს							
კუბამეტრ კუბ							
					ლუსა „სვე სვრელი“		ლუსუეა = აღრე დილიდან სადილობამდე სამი მამაკაცის მიერ დათო-ხ- ნილი მიწის ფარ- თობი
მეტრ							
ფერს			ფერსტ (უშგ.)				
			საჯენ საჟენ	საჯენ საჟენ	საჯენ საჟენ	საჯენ საჟენ	საჯენ საჟენ
							საჯინიან „ორმეტ- რიანი“
ყურ = გოჯს					ყურ ყურ ¹ ჭითხ = წყრთა თითების მოღუნვით ანუ თითებ-		

¹ ყურ||ყურ ლექსემა სვანურის სხვა დიალექტებშიც დასტურდება სხვა მნიშვნელობით, კერძოდ:

1. ზს. ბლაგვი, თავმოკეცილი რამე, მომრგვალებული თავი; 2. ლშზ. მაგარი აგებულების უმწო არსება.

					ძოლუნ- ული წყრთა (ჩბხ., ლხმ.)		
ცერმგკან ცერმგკან =მუშტს გამლილი ხელით							
ჭითხ =წყრთას							
ვალ ვალ =ორივე გამლილ ხელს							

მ ე გ რ უ ლ ი

მეგრ.	მეგრ.	მეგრ.	ლაზ.
ალაბი ააბი	ვერსი	საჯენი =2,134 მეტრს	
არშინი	კუბა	ტკო/ტკუ /ტკუ	
ართინეშფორი „ერთი ხელის დადება“	მეტრ მეტრა	ორგია	
ბურჭულიშ ტარი „ოთხი მტკაველი და ერთი ხელის დად- ება“	ჭყირთა /ჭყრთა	ხეშფორი ხეშფორიშ-ხელა „ოთხი თითის დადება“	
			მტკო

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1996 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. II, თბილისი.

ბებია 2002 — ი. ბებია, საზომ-საწყაოს ლექსიკა მეგრულში, ქართველოლოგიური კრებული, I, თბილისი.

გუჯეჯიანი 1938 — მ. გუჯეჯიანი, საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში) მივლინების შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. IV3.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლოურული კილო), თბილისი.

სალიანი 2004-2005 — მ. სალიანი, ქართულის გზით ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში, ივერია, XII-XIII, პარიზი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფხაკაძე 2007 — ფხაკაძე, არქაული ნასესხობანი საწყლე ჭურჭლის ტერმინოლოგიაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, თბილისი.

ქაჯაია 2001 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.

ქეცბაია 2005 — ნ. ქეცბაია, სამშენებლო ლექსიკა მეგრულში, ავტორეფერატი, თბილისი.

ქსე 1973 — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6.

ქსდ. 1970 — ქართული სამართლის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა,

შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბილისი.

ყიფშიძე 1914 — ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამატიკა, ლექსიკონი — **И. Кипшидзе**, Грамматика менгрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб.

ჩარკვიანი 1967 — ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბილისი.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2002-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1925 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბილისი.

ჯავახიშვილი 1979 — ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. II, ნაწილი I, მეჭურჭლეობა, თბილისი.

ჯავახიშვილი 1996 — ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბილისი.

ჯაფარიძე 1973 — გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბილისი.

კლიმოვი 1998 — G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New York.

ფეინრიხი 1982a — H. Fähnrich, Kartwelischer wortschatz: Georgica, 5, Jena-Tbilissi.

MEDEA SAGLIANI

Towards the Structural-Semantic Analysis of Measure and Weight Units in the Kartvelian Languages

S u m m a r y

According to general classification, the Kartvelian languages represent three groups of measure units:

1. weight (for measuring solid and grains and generally non-liquid substance) units;
2. measure (for measuring liquid substance) units;
3. measuring (for measuring space) units.

Taking into account the word-correspondences existing in measuring of the Kartvelian languages, some of them appeared to be of Common-Kartvelian data and some are characteristic for separate Kartvelian language. A large number of lexical units borrowed from other languages, is manifested. Among them some are unchangeably preserved in three Kartvelian languages and some underwent meaningful phonetical changes in this or that language. As it is seen, the most part of borrowed forms are entered in Megrelian-Laz through Georgian.

ნატალია სპოსპერაკი

ენის შესახებ ქართულ ანდაზათა პრაგმატიკა

ადამიანის ქცევის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ქცევა, რომლის შედეგია სიტყვები და ფრაზები. მას სამეტყველო ქცევას (მოქმედებას) უწოდებენ. იგი მოიცავს თქმისა და გაგების ცალკეულ აქტთა ჯამს. სამეტყველო აქტის დიფინიცია გულისხმობს მიზანმიმართულ სამეტყველო მოქმედებას, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში, მოცემულ ენობრივ ერთობაში მიღებული პრინციპებისა და წესების შესაბამისად ხორციელდება. სამეტყველო აქტი ამავე დროს კომუნიკაციური აქტიცაა, რომელშიც მონაწილეობენ მოლაპარაკე და მსმენელი. რამდენადაც კომუნიკაცია ყველა შემთხვევაში შეპირობებულია გარეუბრის ფაქტორებით (სიტუაციური კონკრეტულობით, პრესუპოზიციით, ეროვნულ-კულტურული ტრადიციით), მისი ანალიზი გულისხმობს კონტექსტი, სიტუაციის, მოლაპარაკისა და მსმენელის ფონური ცოდნის გათვალისწინებას. ასე რომ, აქენის სემანტიკა პრაგმატიკასთანაა შერწყმული და სამეტყველო აქტი, როგორც სამეტყველო სოციალური ქცევის ნორმატიული ერთეული, პრაგმატიკული სიტუაციის ფარგლებში განიხილება.

ცნობილია, რა ადგილი უჭირავს ენას „ადამიანის“ ცნების განმარტებაში. თუ ადამიანს *Homo sapiens*-ს ვუწოდებთ, უწინარეს ყოვლისა ამიტომ, რომ ის *Homo loquens*-ია, ანუ მოლაპარაკე ადამიანია (აქეყი 2003, 12), რომლის ქცევათა შორის ენობრივი ქცევის ხანგრძლივობა და ოდენობა შეუდარებლად დიდია. ადამიანმა დიდი ხანია დაიწყო ფიქრი ენაზე, მის ფუნქციასა და გავლენაზე ცხოვრებაში. აღნიშნული რეფლექსები უნივერსალური ჩანს ისევე, როგორც ფუნქციურ-სემანტიკურ უნივერსალიას წარმოადგენს სამეტყველო ეტიკეტი, შემფასებლურ დაკვირვებას სიტყვის ძალაზე, მის სიკეთესა თუ სიავზე, გულწრფელობასა თუ სიყალბეზე, ჭეშმარიტობასა თუ მცდარობაზე, სიტკბოსა თუ სიმწარეზე, სარგებლიანობასა თუ ზიანზე და მისთ., აშკარად გამოხატული ეროვნული სპეციფიკა ახასიათებს, რაც დაკავშირებულია განუმეორებელ უზუსტურ სამეტყველო ქცევასთან, ადათ-ჩვევებთან, რიტუალებთან.

ზეპირსიტყვიერების თითქმის ყოველ ქანრის ნაწარმოებში გვხვდება ენისა და ლაპარაკის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, მოლაპარაკისა და მსმენელისათვის განკუთვნილი რჩევები, სამეტყველო ეტიკეტის წესები, შემფასებლური გამონათქვამები და სხვ. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ამ თვალსაზრისით ქართული ანდაზები, სადაც წარმოდგენილია სამეტყველო ურთიერთობის მომწესრიგებელი წესები. ამ თვალსაზრისით შეიძლება სამი ძირითადი

ჯგუფი გამოიყოს. პირველ ჯგუფში შემოდის ანდაზები, რომლებშიც მოცემულია ადამიანის შეფასება სამეტყველო ეტიკეტის ცოდნა-არცოდნის მიხედვით. აქ ლაპარაკია საუბრის ზრდილობიანად წარმართვის აუცილებლობაზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს არა მარტო ეტიკეტური ფორმების ცოდნას, არამედ სიტყვის შეურაცხყოფის აკრძალვასაც: ენა მუხჯი სჯობია ავმეტყველ მოსაუბრისა“, „ენის დანაკოდარი ხმლისაგან უარესიაო“, „ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგებისას შეგრცხვეს...“.

მეორე ჯგუფის პარემიები ეხება საუბრის წაყვანას. აქ შემოდის სამი რიგის გამონათქვამები: 1. გამონათქვამები სიტყვის უპირატესობის შესახებ უსიტყო მოქმედებასთან შედარებით: „უთქმელის პური მთქმელმა შეჭამაო“, „ვისი ენაც ჭარტალიო, მისი საქმეც მართალიო“; 2. გამონათქვამები მოსმენის უპირატესობის შესახებ ლაპარაკთან შედარებით: „მთქმელი ვინ დაღალა და მუხჯმაო“, 3. გამონათქვამები მთელი საუბრის ფონზე შესაძლო დუმის შესახებ: „დუმილი თანხმობის ნიშანია“, „დუმილი ოქროა“. საუბრის აგებისას დაშვებულ ტიპობრივ შეცდომებზე მიუთითებს ანდაზები, რომლებშიც დახასიათებულია ეს შეცდომები: ა) საუბრის წაყვანისა — „თავი არა თქვა და ბოლო არ იყო“, „ანის მთქმელმა ბანიც უნდა თქვასო“, საუბრის თემაში შეცდომაზე მითითებაა ანდაზაში „ერთი ერთს ამბობს, მეორე მეორეს“, განსაკუთრებით ბევრი ანდაზა ისეთი, რომელიც თანამოსაუბრის არჩევისას შესაძლო შეცდომაზე მიგვანიშნებს: „ურიკუნე კედელსაო, ელაპარაკე რეგვენსაო, გიყს ნურც რას ეტყვი, ნურც რას ათქმევინებო“, აღნიშნულმა შეცდომებმა შეიძლება საუბრის შეწყვეტა გამოიწვიოს (კვარაცხელია 2005).

ნათლად ემიჯნება ერთმანეთს მოლაპარაკისათვის განკუთვნილი და მსმენლისათვის განკუთვნილი წესები. ეს უკანასკნელი აზრობრივი მრავალფეროვნებით წარმოგვიდგებიან ანდაზებში:

1. პარემიები, რომლებიც მოგვიწოდებენ ყველაფერი მოვისმინოთ, რასაც გვეუბნებიან, ყოველი ნათქვამი ავწონ-დავწონოთ, რადგან შესაძლებელია მასში რაიმე ახალი ცოდნა იყოს ჩვენთვის: „ვისაც უფროსის სიტყვა არ ესმის, იმის ვენახს არ ესმის“, „ძველი კაცის ნათქვამიო ხშირად არის მართალიო“.

2. ანდაზები, რომლებიც შეტყობინებებს ყოფენ ჭეშმარიტად და სასარგებლოდ და ცრუდ და მავნებლად: „სიმართლე შვილიშვილამდეო, სიტყუენი კარებამდეო“, „ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო“, „თუ გინდა უკუღმა დაჯექი, ოღონდ სწორად კი თქვიო“.

3. ანდაზები, რომლებიც გვასწავლიან მოლაპარაკის ინტერესების გამოცნობას: „ყველა თავის ნაბადს აქებდაო“, „კოლოსაც თავისი მუცელი აბზუებსო“.

4. ანდაზები, რომლებიც მოლაპარაკის არა გულწრფელობას გვანიშნებენ: „ენის წვერზე შექარიო, ენის ძირში ხანძარიო“, „ენაზე თაფლი სდის, გულში — შხამი“.

5. ანდაზები, რომლებიც გამონათქვამის შინაარსის შეფასებას იძლევიან: „კვირაში შვიდი პარასკევი აქვს“, „ომიდან მოსულის ომის ამბავს უყვებოდნენო“.

ბ. პარემიები, რომლებიც მოლაპარაკის მხრივ საქმის ვითარებაში გაურკვევლობაზე მიუთითებენ: „კაცს თავს ჭრიდნენ და მუწუკს ჩიოდაო“.

მოლაპარაკის წესები აგებულია იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მოლაპარაკე უნდა ცდილობდეს ვნება არ მიაყენოს მსმენელს და არც თავს დამართოს ავი საკუთარი ლაპარაკის შედეგად. სიტყვის ხმარებასთან სიფრთხილის რჩევებია ანდაზებში: ისარი და თქმული სიტყვა გასტყორცნი, არ დაბრუნდება“, „ყველაფერი როგორც არ იჭმება, ისე არც ითქმება“, პირზე მომდგარსა სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა“... დაუფიქრებელმა სიტყვამ შეიძლება ავნოს თვით მოლაპარაკეს: „გრძელი ენა კაცს სიცოცხლეს უმოკლებს“, „კისერში ჩემმა ენამ წამითაქაო“, „ყარყუმი რამ მოკლა და თავისმა ენამაო“...

სიტყვის ნეგატიურ ძალას თანამოსაუბრისათვის ზიანის მოტანა შეუძლია, შეუძლია სახელი გაუტეხოს, გულის მოუკლას სხვას: თავს მოგჭრი განა ხმლითა — ენითაო“, „გული გაიჭრის სიტყვითა, ვითა აღმასის დანითა“, „კაცს ცუდი სიტყვა კლავს, განა ხმალიო...“ მაგრამ არსებობს ტკბილი სიტყვაც, რომელსაც ხშირად მიძიმე სიტუაციიდან გამოყვანაც შეუძლია: „ტკბილი ენა გველს ხვრელიდან გამოიყვანს“, „ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო“, „ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო“ და სხვ.

სიტყვის ამბივალენტურობა ჩანს შემდეგ ანდაზებში:

„ერთი პირიდან სიტბოც ამოდის და სიცივეცო“, „ენა მწარეც არის და ტკბილიცაო“, „ენა კაცის დამლუპველიც არის და ამშენებელიცო“, „კაცი თავის ენითა პატივს კიდევაც დაიყრის და კიდევაც აიყრისო“ და სხვ.

ქართული ანდაზები ენისა და საუბრის შესახებ ამ ჯგუფით არ ამოიწურება. ანდაზის განხილვა როგორც მეტყველების აქტისა, რომლის ძირითადი ნიშნებია განზრახვისობა (ინტენციურობა), მიზანმიმართულება და კონვენციურობა, საწუალებას იძლევა სრულად აღიწეროს, ქართული სამეტყველო ეტიკეტი და წარმოაჩინდეს მისი ისტორიული ჩამოყალიბების გზა.

ლიტერატურა

აუფეი 2003 — К. Ажеж. Человек говорящий. М.

კვარაცხელია 2005 — G. Kvaratskhelia. Conversation rules in Georgian proverbs || Language, history and cultural identities in the Caucasus. Malmö.

ქართული ანდაზები და გამოცანები, ჯ. სონდულაშვილის რედაქციით, თბილისი.

ქართული ანდაზები, ა. კანდელაკის რედაქციით, თბილისი.

NATALIA SEBISKVERADZE

Pragmatics of Georgian Proverbs About a Language

S u m m a r y

The proverbs, which concerns a language, a word, a talk, has an important place in the corps of the Georgian proverbs. The viewpoints on importance, power and usage of a word are expressed. The rules of conducting a talk, lingual means and advices characteristic for speech etiquette, and which are for a speaker as well as a listener, are given in the proverbs.

მურმან სუნიშვილი

ერთი ქართულური საემეციონო ტერმინის შესახებ:
მსხმო „მსხმო მუწუკი“

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში (1972 წ.) სალექსიკონო ერთეულად გამოტანილი -ოან (< -ოვან) სუფიქსიანი მხუევროან (ლევიტ. 21, 206) ფორმა ძველ ქართულში ჯერჯერობით ერთადერთი ჩანს. პარალელურ (AKSB) რედაქციაში მხუევროან-ის მონაცვლედ ნახევარჯმელი გვაქვს. ტექსტში ეს ადგილი ასე იკითხება: უფალი უცხადებს მოსეს „არქუ აპრონს“, რომ მის ტომელთაგან, თუკი ვინმეს რაიმე „ბიწი“ აქვს, უფლება არ ეძლევა, ღმერთს მსხვერპლი შესწიროს, „ანუ ზურგტეხილ იყოს, ანუ მხუევროან, ანუ შილიან თუალითა“ და ა. შ. (ლევიტ. 21, 206), მხუევროანი რედაქციული ვარიანტის ნახევარჯმელ-ის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „წმელი სენით“ ავადმყოფს აღნიშნავს, ეს სენი კი ჩვენს ძველ სამედიცინო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილია, შდრ., „[ოსპის ჭამა] ყოველსა ჯმელსა სენსა უძრავს, ვითამცდა მონობასა, სრსვილსა, მუნსა და მსხმოსა, კაცსა ტანზედა გაახმობს (ბაგრატიონი 1985, 164, 35-36, [მელისკუდას ყვავილი]... მუნისა, ქეცისა და ყოვლისა მხურვლისა და ხმელის სენის წამალი არის (ბაგრატიონი 1985, 208, 14-15)...

მხუევროან- ფუძის ამოსავალი, ძირეული ფორმა დამოწმებულია საბასთან: მხუევრი / მხუცერი. „მსხმო მუწუკი“ (2 სჯ.) ZAa. საბას განმარტებით მუწუკი მბმო-ა (ZA), C რედაქციაში: მუწუკი არს, რადცა მსხმო გამოვალს კაცსა ზედა, არამედ სახელნი სხვადასხვაა მათი, რაოდენ რიგია. ე. ი. მხუევრი ერთ-ერთი ნაირგვარობაა მუწუკისა, როგორც მბმო (E) || ბმო „დიდი მუწუკი“, მსხმო მუწუკი თუ ხორა რადც (რაც Ab) დაჰყაროს ZA“ ხორა „ხმელი მუწუკი“ ZABCD / მუწუკი, მღერი და ხორა (მუწუკი CDE) სამივე მღერია უადვილეს-უძნელესი ZAB, მღერი „ძნელი მუწუკი“..., შდრ.: კაცსა რომე მუწუკი ან სხვა მსხმო ესხას (ბაგრატიონი, 1985, 184), და თავად მჯდომსა და მერმე ყოველსა მუწუკსა და გამოსაბამსა და სიმსივნესა ვარამი ჰქვიან (ბაგრატიონი, 1985; 168, 6-7), მაგრა კაცი თუ ბევრსა ლელუსა სჭამს მუწუკებს გამოსახამს (ბაგრატიონი 1985: 194, 8)...

საბას ლექსიკონის მიხედვით მხუევრ- სიტყვის განმმარტველ და შემდგომ ამ განმმარტველის განმმარტველ და ა. შ. სიტყვათა მნიშვნელობების ურთიერთშეჯერებით სინონიმური რიგის ლექსიკურ ერთეულთა მჭიდრო, ე. წ.

„პარადიგმატული ჯაჭვის“ ტიპის (იხ. ფოჩხუა 1981, 16-29). სემანტიკური კავშირი იკვეთება (**მხუევი** — მ ს ხ მ ო მ უ წ უ კ ი, **მუწუკი** — მ ბ მ ო, **ბმო** — დ ი დ ი მ უ წ უ კ ი; **მსხმო** — მ უ წ უ კ ი, **ხორა**, **ხორა** — ხ მ ე ლ ი მ უ ნ ი, **მუნი**, **მღერი**, **ხორა** — მ ღ ე რ ი, **მღერი** — ძ ნ ე ლ ი მ უ ნ ი...), რაც საბასეული განმარტების — მ ხ უ ე ვ რ ი „დიდი მუწუკი“ რეალურობას ადასტურებს და რაც „იადიგარ დაუდის“ ზემოთმოყვანილი ილუსტრაციების ამონარიდებითაც მოწმდება: „მუწუკი ან სხვა მსხმო „ყოველსა მუწუკსა და გამოსაბამსა“, „სრსვილსა, მუნსა და მსხმოსა“...

როგორც ჩანს, მ - ხ უ ე ვ - რ - ი, ისევე როგორც მ ს ხ მ ო, მ ბ მ ო (შდრ., იადიგარ დაუდიდან: „მსხმო ესხას“, „ყოველსა მუწუკსა და გამოსაბამსა“) მიმღობის ფორმაა **ხუევა** ზმნისა: „დაეხვა მას ზედა არმური და ბნელი“ **ჯ**. „დაეცა მას ზედა არმური და ბნელი“ **ღ** საქ. მოც. 13, 11 (აბულაძე 1973), შდრ.: ფორმის თვალსაზრისით მიმღობათა ანალოგიური წარმოებები ძველ ქართულში: მ. კუეთ-რ, მ-ძლავ-რ, მ-ძოვ-რ... (ჩიქობავა 1942, 75-76).

მ ხ უ ე ვ რ - ის დამოწმებისას საბას მიერ დასახელებულ წყაროში — **II** სჯ. თავი და მუხლი არ არის მითითებული და ამდენად. ტექსტში იმ ადგილის დაძებნა, სადაც საბას მიერ ამოკითხული ვარიანტის მ ხ უ ე ვ რ ი სიტყვა ჩანაცვლდება, სააღბათო იქნება. ასეთი ჩანაცვლება აქ რამდენიმე ადგილას შეიძლება, მაგ.: „და გგუემოს შენ უფალმან სალმობითა ეგვბტელთაჲთა სენითა მით საგურკველისაჲთა და ს ი მ ღ ი ე რ ი თ ა უცხოჲთა, რომელსა ვერ განერე (**II** სჯ. 28, 27), „ყოველსა, რომელსა ფრთე ესხენ და ქეცი ეღვას, მისი სჭამო, და ყოველსა, რომელსა ფრთე არ ესხნენ და არცა ქეცი ეღვას, მისი არა სჭამო“ (**II** სჯ. XIV ABCD)...

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ მ - ხ უ ე ვ - რ - ფორმის პარალელურად მ - ხ უ ე ვ - ა რ ფორმაც დასტურდება (შდრ.: მ - ძ ო ვ - რ - და მ - ძ ო - ა რ - და მისთ.). მ ხ უ ე ვ რ ი დასახელებულია „სისხლის სენის“ ჩამონათვალში: „მ ხ უ ე ვ რ ი წითელი“ (ფანასკერტელი 1978; 79, 42; 80, 12) „ნავლის სენის“ ჩამონათვალში: „ქართლი და მ ხ უ ე ვ რ ი, შავი“ (ფანასკერტელი 1978, 80-13); ნავლის სენის რიგში გვხვდება მ ხ უ ე ვ ა რ ი ც: „და ოდეს იყოს რეულობა ნავლისა, შეიქნას მისგან მ ხ უ ე ვ ა რ ი შავი მის თანა“ (ფანასკერტელი 1978, 616-13), „და თუ იყოს განრყუნელობა დამწუარი შავისა ნავლისა, შეიქმნების მისგან მ ხ უ ე ვ ა რ ი შ ა ვ ი“ (ფანასკერტელი 1978, 615-30).

მ ხ უ ე ვ რ ი / მ ხ უ ე ვ ა რ ი არაა შეტანილი ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში; ამ მნიშვნელობით ის არაა დამოწმებული არც სალიტერატურო ქართულში და არც დიალექტებში, მაგრამ ხ ვ ე ვ ა - დან ნაწარმოები ამ ყალიბის მიმღობის ფორმები ფონეტიკური სახეცვლილებებით ქართული დიალექტებისათვის უცხო არ არის:

მ ხ ვ ე ვ რ ა (ფშ.) ამხვევი მცენარენი (თ. რაზიკ., „ივერია“, №123, 1900; ი. ჭყონ.) (ლლონტი 1984).

მ ხ ე ვ ა რ ა (ფშ., ხევსურ., მოხ., მთიულ.) ხ ვ ა რ თ ქ ლ ა; მცენარეა (ა. მაყ.) (ლლონტი 1984).

მ ხ უ ე ვ რ ა - ბ ო ტ. ხ ვ ე ვ რ ა, ხ ვ ა რ თ ქ ლ ა (ქავთარაძე 1984).

მ ხ ვ ე ვ რ ა 1. ამხვევი მცენარენი (რაზიკ., ჭყონ, ა. შან.): მაგალითად, ფათალო და სხვ. 2. კერვის სახეობა ერთგვარი (გოგატიშვილი 2006).

მ ხ ვ ე ვ ა რ ა... „ამხვევი მცენარენი“ (ა. შანიძე). ფათალო და მისთანანი. 2. კერვის სახეობა: ძაფი გარედან ეხვევა... (ხორნაული, 2000).

როგორც ვხედავთ, მ ხ ვ ე ვ რ - / მ ხ ვ ე ვ ა რ - ლექსემები ქართული ენის დიალექტებში ამხვევ, ხვიარა მცენარეთა კრებსით სახელადაც გვევლინება (ფშაური...) და სარეველა ხვიარა მცენარის — ხ ვ ა რ თ ქ ლ ა ს სინონიმაცაა (ხევსურული, მოხურული...). ამ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობაც აქვს — ნაქარგის ერთ-ერთი სახე, კერვის სახეობა (ხევსურული, ფშაური...), იხ. ფშაური ხ ე ვ ე ვ რ ა... 2. კერვის სახეობა: ძაფი გარედან ეხვევა (ხორნაული, 2000), შდრ.: **ხვიარა მცენარეები**. ბალახოვანი ან ხისებრი ლიანები, რ-თა ყლორტები ზრდის პროცესში წრიულად მოძრაობს და საყრდენს ეხვევა (ხვართქლა, სვია, ლობიო) ქსე, XI, 1987).

ამხვევი, ხვიარა მცენარის მნიშვნელობით განმარტებით ლექსიკონში დაფიქსირებულია მ ხ ვ ე ვ - ი (მნიშვ. 2) იხ. ხ ვ ი ა რ ა- ხშირი და დაბურვილი ტყე, რომელიც ხეობას აქეთ-იქით ფერდობზე მისდევს, გახლართულია სხვადასხვა მ ხ ვ ე ვ ი მცენარეებით (ა. ყაზბ.). (ქეგლ V, 1958).

თავად ხ ვ ი ა რ ა სალიტერატურო ქართულისთვის ბოტანიკური ტერმინია („ხვიარა მცენარეები“), დადასტურებულია დიალექტებშიც: კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ხ ვ ა რ თ ქ ლ ა (ქეგლ VIII), ქიზიყ. მ ხ ვ ი ა რ ა მცენარე თავისით რომ ვერ დგას და სხვა რამეს (ხეს, კედელს) ეჭიდება პწკლით... და ისე ადის მაღლა. მაგ., ვაზი, ფათალო და მისთ. (მენთეშაშვილი 1942).

ხ ვ ი ა რ ა (< მ ხ ვ ი ა რ ა) ხ ვ ე ვ ა ზმნის •-ხმოვნისანი ფუძიდან (ხვევ-/ხვივ-) მ- — -არ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა ჩანს. ხმოვან-მონაცვლე ზმნათათვის სახელზმნური ფუძეების საწარმოებლად ორივე ფუძის გამოყენება დიალექტებისათვის უცხო არ არის: მწლეკია / გამწლეკილი / გამწლეკიული, ჭყეტელა / ჭყიტა...) (ქურდაძე 2005, 151; 183...). შდრ., აგრეთვე, მომლხენი / მოლხინე, გადამფრენი / ფრინველი და სხვ.

მ ხ ტ ე ვ რ - / მ ხ ტ ე ვ ა რ -ის, როგორც ხვიარა მცენარეთა აღმნიშვნელი კრებსითი სიტყვის, სახელდებისას გათვალისწინებული ჩანს დენოტატის გარეგნული სტრუქტურაც (ხვეულა მცენარე) და სხვა საგანთან მიმართებაც (რადაცას ეხვევა, ედება) (მცენარეთა სახელდების შესახებ, იხ., ჯორბენაძე, 1990, 86), სემანტიკური ანალოგიისათვის, შდრ., რუს. повой (повивать ზმნიდან): 1. то что повито, головной убор женщины", 2. растение "Convolvulus arvensis вьюнок полевой (ფასმერი III, 1987, 294).

ეს Convolvulus arvensis-ი ჩვენებურად — ხვართქლა, ხვიარა მცენარეა „...მთელ საქართველოშია გავრცელებული, სარეველაა, იზრდება ნათესებში, გზის პირებზე, მთის შუა სარტყლამდე. შხამიანია...“ (ქსე, XI, 1087); **სარეველა მცენარეების** ენციკლოპედიურ განმარტებაში ხვიარა სარეველებს შორის დასახელებულია ხვართქლაც, ჩამოთვლილია ამ მცენარის მავნე თვისებებიც: „...ხ ვ ი ა რ ა ს ა რ ე ვ ე ლ ა (ხვართქლა, ყანის ჭლექი და სხვ.). ნათესების ჩაწოლას იწვევს... ზოგის (მაგ. ბუსუსნაყოფა ჰელიოტროპი) თესლი ადამიანისა და სას.-სამ. ცხოველისათვის მომშხამველია. სათიბ-საძოვრებზე შხამიანი ს.

მ.-ით იწამლება პირუტყვი და სხვ. (ქსე 9, 1986).

როგორც ზემოთ ვნახეთ, ხვიარა მცენარეების ფარდად დიალექტებში ზოგჯერ **ხ ვ ა რ თ ქ ლ ა** სახელდება (იხ. მაყაშვილი 1991, 98), ამ მცენარის უარყოფითი თვისებების გაცნობის მერე (სარეველაა, ნათესების ჩაწოლას იწვევს, შხამიანია, პირუტყვს წამლავს) გასაგები ხდება მეტყველებაში ამ სიტყვის ფუნქციონირების ზოგი თავისებურება, რომელიც ქიზიყურ ლექსიკონში **ხვართქლა** სიტყვის ცნებით დახასიათებას მოსდევს:

ხ ვ ა რ თ ქ ლ ა, ბადალო მხვიარა, პწკლიანი ბალახია, პატარ-პატარა შუბისნაირი ფოთოლი აქვს, პირგაშლილი მოზრდილი მოპირისფრო ყვავილი იცის, ყანაში თუ მოვიდა, და ე ხ ვ ე ვ ა, დააწვენს და დაღუპავს. ალბათ ამიტომაცაა, რომ ადამიანს, უმთავრესად ბავშვს, დასაქმებულის შესრულებაზე რომ უარს იტყვის — ოხ, ვერ წავალო, — მიაყვირებენ, **ხ ვ ა რ თ ქ ლ ა!** ან თუ ადამიანი არ ესამოვნებათ და იმას ცხვირს დააცემინებს, „ხვირის“ ნაცვლად ეტყვიან „**ხ ვ ა რ თ ქ ლ ა ო**“ (მენტეშაშვილი 1943).

„**ხ ვ ა რ თ ქ ლ ა!**“ აღწერილ სიტუაციებში საწყევარი შინაარსის მიგებითი სიტყვაა. მსგავს კონტექსტებში აქ მას სხვა, ასეთივე უარყოფითი შინაარსის, სიტყვა შეიძლება შეენაცვლოს. შდრ.: **არა-მარა** **ღ ა რ ა - მ ა რ ა** — და რ დ უ ბ ა ლ ა! **არა-მარა** შენს თავს! წყევლაა, ეტყვიან იმას, ვინც თხოვნაზე ან კითხვაზე ზედიზედ რამდენჯერმე არას უპასუხებს (ქეგლ I, 1950); **არა-მარა** და ჭირი და სხვ. რაც შეეხება მეორე სიტუაციას (ცხვირის დაცემინებაზე გაპასუხებას), აქ „**ხ ვ ა რ თ ქ ლ ა ს**“ პოზიციაში ასეთივე უარყოფითი მნიშვნელობით დატვირთული სიტყვა-გამოთქმები გამოიყენება: — ღვთის ცეცხლი! — ცეცხლი! — თხის კული! — თხის ქეცი! და ა. შ.

ასე რომ, **მ - ხ უ ე ვ - რ - / მ ხ უ ე ვ - ა რ -** მიმღობურ ფორმას, ზმნური და ხ უ ე ვ ა ფუძის შინაარსის გათვალისწინებით, დენოტატის რაობის კვალობაზე, ამოსავალწივე შეეძლო გასჩენოდა როგორც ხვიარა მცენარის აღმნიშვნელი სახელის, ასევე სხეულზე დახვეული, მოდებული, გამონაყარი რაიმე სენის მნიშვნელობა (მუნი, მღერი, მუწუკი... შდრ.: დაეხვია მატლი, ჭია **населა червь** (ჩუბინაშვილი 1984). სემანტიკური პარალელისათვის შდრ. **მ ს ხ მ ო** (ა ს ხ ს, და ა ს ხ ა ზმნიდან) „ნაყოფიერი, ნაყოფით სავსე“: „ვითარცა ზეთისხილი მსხმოჲ“ ფს. **ტ** 51, 10 (აბულაძე 1970) და **მ ს ხ მ ო** „მუწუკი თუ ხორა, რადე... დაჰყაროს“ (საბა), ასევე, საბასთან **მ ბ მ ო** „დიდი მუწუკი“ (ა ბ ს ზმნიდან). **მ ს ხ მ ო ც** და **მ ბ მ ო ც** მიმღობური ფორმებია: **მ-სხმ-ო** <***მ-სხმ-ე**, **მ-ბმო** < **მ-ბმ-ე** (უთურგაიძე 1976, 83-84), ასევე: **მ ჯ დ ო მ - ი** „მჯდომარე“ (სარჯველაძე, 1995) და **მ ჯ დ ო მ - ი** „კიბო, კირჩხიბი“: „დედაკაცსა მას ძუძუსა აჭ და მ ჯ დ ო მ ი“ ლიმ. 138, 6 (აბულაძე, 1970); გამორიცხული არ არის ასევე, რომ კანზე გამონაყარის, კანის დაავადების **მ ხ უ ე ვ რ -** სიტყვით სახელდება მცენარე **მ ხ ვ ე ვ რ -ის** თვისებებთან მსგავსებით (რალაცას ეხვევა, მავნეა) იყო მოტივირებული. მსგავსი სემანტიკური გადასვლა უჩვეულო არ არის. შდრ., ქართ. ყ ვ ა ვ ი ლ - ი, რომელიც მცენარეულ ყვავილთან ერთად ავადმყოფობასაც (**осла**) აღნიშნავს. ასე თურქულშიც: **çiçek** — „цветок“; „оспа“ (კარტოზია 1986, 15), იხ. სვან. მ უ ლ უ ე ა ბ ზ. ბოტ. ყვავილი; ყვავილი (ავადმყოფობა) (სვანური, 2002)

შდრ., აგრეთვე, გერმ. *die Blüte* 1. „ყვავილი“... რ. „მუწუკი, გამონაყარი (სახეზე)“ (გერმანულ-რუსული ლექსიკონი, I, 1980)... რომ მ-ხუევ-რ-ი ძველ ქართულში არ იძებნება, იმას არ ნიშნავს, რომ არც იყო, — სიტყვის ფორმა არქაულია და მის ოდინდელ არსებობას მხოლოდ ერთადერთი მაგალითით დამოწმებულ მ-ხუევროან „გამხმარი“, „ხმელი სენით ავადმყოფი“ ადასტურებს. ასე რომ, მ-ხუევ-რ სიტყვის მნიშვნელობის ამ რიგის ცვლილება — „მცენარე“ > „დაავადება“ თეორიულად დასაშვებია. შესაბამისად, მ-ხუევრ-ის როგორც სამედიცინო ტერმინის ჩამოყალიბების ორივე გზა სხვა დამატებითი არგუმენტების მოძიებამდე მისაღები ჩანს: მ-ხუევ-რ-ი 1. რაც ზედ ეხვევა > დაავადება: გამონაყარი, მუწუკი... (ტერმინოლოგიზაცია), 2. ხვიარა მცენარის სახელწოდება > დაავადება: ტანზე დახვეული, გამონაყარი, მუწუკი (რეტერმინოლოგიზაცია). ფაქტია, რომ მ-ხუევრ ლექსემის ტერმინოლოგიზაცია თუ რეტერმინოლოგიზაცია ტერმინოლოგიზაციის შეგნებულ და გააზრებულ სისტემურ პროცესს მიანიშნებს.

ვფიქრობთ, რომ ქართულის **მხუევრ / მხუევარ** ნაზმნარი სახელის შესატყვისი უნდა იყოს ზანური ხვარა || ხორა „მელოტი, ქაჩალი“ (ყიფშიძე, 1914), ხვარა || ხორა, ხარა „ქაჩალი“, „ხმელი მუწი“ (ჭარაია, 1997). ო. ქაჩაია ხვარა-ს ორ მნიშვნელობას გამოყოფს: ხვარა... იგივეა, რაც ხორა 1. ქაჩალი... 2. გადატ. ზარმაცი. ეფშა ქვარა — გურაფას ხვარა „სავსე მუცელი — სწავლისას ზარმაცი (ქაჩალი) (ქაჩაია, III, 2002):

ხვარას ირკოჩი ხვარა უჩქუდუა „ქაჩალს ყველა ქაჩალი ეგონაო“

ხვარა ქობუას ვარა ჭანდი ბაღდათიშე (გლახიშე) ქუმურცია
„თავზე მუწი მჭირდეს, თორემ მწერი ბაღდადიგან მონახავსო“

ხორაქ ხორას ხორა დუძახუა

„ქაჩალმა სხვას დაუძახა, ჰაი, შე ქაჩალოო (ხალხური სიბრძნე, I, 1994).

სემანტიკური თვალსაზრისით, ეს დაკავშირება — ქართ. მ-ხუევრ- „ხმელი მუწუკი (საბა): ზან. (მეგ.). ხვარა / ხორა „ქაჩალი“, „ხმელი მუწი“ თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს (სხვათა შორის, ქაჩალი თმის სენს აღნიშნავდა; იხ. საბა, შდრ.: „კაცსა რომე თავზედა ქაჩალი ესხას და ან სხვა მსხმო ესხას) (ბაგრატიონი 1985, 175, 7);

ფორმობრივი თვალსაზრისით, მეგრ. ხვარა ქართ. მ-ხუევ-რ. მიმდებარე სიტყვაფორმის ფონეტიკური შესატყვისია, დასაპირისპირებელ ქართულ-მეგრულ ფუძეებში რეალიზებულია შესატყვისობა — ქართ. ე: ზან. ა, მ-ხუევრ: მეგრ. ხვარ - < *მხვევრ - : ანლაუტში თანხმოვნების წინ მეგრულში იკარგება **მ** (გუდავა, 1979, 82-84), შდრ. ქართ. მხუელივი: მეგრ. ხვილ-არ-ი / ხოლ-არ-ი / ხველ-არ-ი... (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 698), ვც (ვს) მიმდევრობა დაუშვებელია მეგრულ თანხმოვანთა სინტაგმატიკაში და მისი დაძლევის ერთ-ერთი შესაძლებლობა **ვ**-ს ჩავარდნაა. ე. ი. **ვრ** > **რ** (გამყრელიძე, გუდავა 1984, 230); ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში ეს პროცესი კარგად ჩანს: ქართ. ჯავრი > მეგრ. ჯარი / ნჯარი (მაგრამ, ასევე: ქართ. ჯავრი > მეგრ. ჯაბრი > ჯაბი) (ქაჩაია, III, 2002). აუსლაუტის **ა** სუფიქსი მეგრულში (ხვარ-ა) ფუძის მაწარმოებელი ელემენტი ჩანს, რაიმე თვი-

სების მქონეობის ან მსგავსების მაჩვენებელი: ქორაგაიდა „მუცელი გიდელს რომ მიუგავს; მუცელგაბერილი“; თუმაქუჩურუა „თმახუჭუჭა“; თოლაგვირა „დიდი და ლამაზთვალეა“ (ქაჯაია, I, 2001, 161).

მ-ხუეე-რ - ფორმის პარალელურად ქართულში, როგორც ვნახეთ, მ- — -არ მაწარმოებლიანი მ-ხუეე-არ - ფორმაც დასტურდება. გამოთქმულია მოსაზრება ამგვარ ფორმათა მ-ძოგ-რ < მ-ძოგ-არ, მ-წუხ-რ < მ-წუხ-არ-ე უწინარესობა-შემდგომადობის შესახებ (ოსიძე 1957, 192) მიმდევრობის ეს არქაული წარმოება საკვლევი საერთო-ქართველური სონანტური თეორიის ფარგლებშიც.

როგორც არ უნდა გადაწყდეს მ- — რ და მ- — არ მაწარმოებელთა მიმართების საკითხი, ის ვერ შეცვლის დასაპირისპირებელ ქართულ-მეგრულ ფუძეთა შესატყვისობის რეალურობას: ქართ. მ-ხუეე-არ ფორმის შესატყვისად მეგრულში ასევე ხვარ(ა) <*მ-ხეე-ორ- წარმოგვიდგება. შდრ., ქართ. მძევალ - : მეგრ. ჯალ <*მჯავოლ. ავ-ო > ა (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 342).

რაც შეეხება ხვარა და ხორა ფორმათა მიმართების საკითხს მეგრულში. აქ შეიძლება ახლა ის ვთქვათ, რომ მეგრულისათვის ასეთი ფონეტიკურ-დიალექტური ვარიანტები უცხო არ არის: ქორა / ქვარა, გოლა / გვალა (ყიფშიძე 1914, 010), შესაბამისად ქართულში დადასტურებული ხორა „ხმელი მუნი“ (საბა...), ისევე როგორც ხვარავა „ხვარ-თქლა“ (ჩუბინაშვილი, 1984) ზანიზმად უნდა ჩაითვალოს.

ვფიქრობთ, რომ შესატყვისობა ქართ. მ-ხუეე^რ - : მეგრ. ხვარ - შესაძლებლობას იძლევა საერთო ქართველურში ადვადგინოთ კიდევ ერთი არქაული ტიპის აქტიური მიმდევრობის მ- — -^რ მაწარმოებლიანი *მ-ხუეე^რ ფორმა (შდრ., ქართ. მ-ზუ-არ-ე: ლაზ. მ-ჟორ-ა (ფენრიხი, საჯველაძე, 2000, 222-223), ქართ. მ-ცონ-არ (ძვ. ქართ. მ-ცონ-არ-ე): ლაზ. მ-ჩინ-ოჯ-ი (კარტოზია, 2005, 192-194). სხვა არქაული ტიპის მ- და მ- — -ე მაწარმოებლიანი (ქართ. მ-წერ-ი: მეგრ. ჭანჯი, ლაზ. მჭაჯი „ბუზი“: სვან. მერ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 307), ქართ. მ-ჭლ-ე: მეგრ. ჭკოლა (<*მჭკოლა) (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 685) ქართ. მ-ჭახე: ლაზ. მ-ჭოხ-ა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 345) აქტიური მიმდევრობების გვერდით (იხ. არაბული 2001, 296; 315).

ისმის საკითხი ქართ. მხუეე^რ: მეგრ. ხვარა/ხორა და სვან. ლიხერ „ფხანა“, მახერა „მღერი, მუნი“ (სვანური, 2000) სიტყვათა მიმართების შესახებ.

ლიტერატურა

აბულაძე 1970 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ბაგრატიონი 1985 — დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ლაღო კოტეტიშვილმა, თბილისი.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

გერმანულ-რუსული ლექსიკონი, I, 1980 — Большой немецко-русский словарь, М.

გოგატიშვილი 2006 — გ. გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, თბილისი.

გუდავა 1959 — ტ. გუდავა, ბაგისმიერი თანხმონები ჩქამიერთა წინ მეგრულში. — საენათმეცნიერო კრებული, თბილისი.

გუდავა, გამყრელიძე 1981 — ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმონ-თკომპლექსები მეგრულში, თბილისი.

კარტოზია 1986 — კარტოზია გ., რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში. — აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი.

ლევიტ. — ლევიტელთად, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 2 — ლევიტელთად, რიცხუთად, მეორისა სჯულისად. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI₂, თბილისი.

მაყაშვილი 1991 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, მესამე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო გ. ნახუცრიშვილმა, თბილისი.

მენტეშაშვილი 1943 — სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკა. — ქართველურ ენათა ლექსიკა, თბილისი.

ოსიძე 1957 — ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრ., ტ. 67, თბილისი.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. I — 1991, II — 1993, თბილისი.

სვანური 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

სარჯველაძე 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი.

II სჯ. — II სჯულისად, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 2 — ლევიტელთად, რიცხუთად, მეორისა სჯულისად. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI₂, თბილისი.

უთურგაიძე 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

ფანასკერტელი 1978 — ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი. ტექსტი მოამზადა, გამოკვეთვები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ; თბილისი.

ფასმერი III. 1987 — М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, издание второе, М.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფოჩხუა 1981 — ბ. ფოჩხუა, პარადიგმატული ჯაჭვი ლექსიკაში. — თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბილისი.

ქავთარაძე 1985 — ი. ქავთარაძე, მოხეური ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია III, 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბილისი.

ქეგლ I, VIII — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964 წ.წ. თბილისი.

ქურდაძე, 2005 — რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

ღლონტი 1984 — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა; თბილისი.

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI, მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე, 1975-1987, თბილისი.

ყიფშიძე 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем; С.-Петербург.

ჩუბინაშვილი 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, თბილისი.

ჭარაია 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. — სულხან-საბა ორბელიანის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა შრ., 2; თბილისი.

ჭინჭარაული 2005 — ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ხორნაული 2000 — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი.

ჯორბენაძე 1990 — ბ. ჯორბენაძე, მცენარეთა სახელდების პრინციპისათვის ქართული ენის დიალექტებში, იკე, XXIX, თბილისი.

MURMAN SUKHISHVILI

**On One Kartvelian Medical Term:
Mxuewri "Pimples"**

S u m m a r y

The participial form **mxuew^ṛa^ṛ**- ‘*pimple*’ has two meanings that occur during different periods of the Georgian language development: 1. **m-xuew-^ṛa^ṛ-i** ‘*pimples*’, ‘*skin eruption*’ - in Medial Georgian; 2. **m-xuew-^ṛa^ṛ-i** - ‘*creeper*’ (plant that creeps along the ground, over trees, etc. *lit.* plant that clasps around, embraces, encircles something) – in the dialects of Modern Georgian language.

There is no evidence of this form in Old Georgian.

The only example found in the Leviticus is a derivative adjective with a suffix **-oan** (< **-owan**): **mxuewr-oan** (Levit. 21, 20) ‘*dried*’, ‘*withered*’. The participle **m-xuew^ṛa^ṛ**- is considered to be the basic stem for the above mentioned form.

It cannot be excluded that the participial form **m-xuew-^ṛa^ṛ**- initially contained both meanings: 1. *creeper plant*; and 2. *pimples, skin eruption*.

The second meaning of the participle **mxuew^ṛa^ṛ**- comes from the Proto Kartvelian stem. The existence of the appropriate Megrelian correspondence supports this fact: Georgian **m-xuew-^ṛa^ṛ** : Megrelian **xwar-/xor-**, **xwara**, **xora** ‘*bald*’, ‘*itch*’.

თავორა უთურაიკა

ფუნიკული -ან დაბოლოება მედიუმთა ფორმებში

მედლიუმთა ერთი ჟგუფის ფორმებში შ³-ის **-ან** სუფიქსის წინ მდგომი **-ან** (მყვ-ან-ან, დგ-ან-ან, ჩ-ან-ან, ძვ. ქართ. მქონან ← მქუან-ან)... ერთი თვალსაზრისით, მიჩნეულია თემის ნიშნად (ლ. კიკნაძე, ა. შანიძე, ი. და ვ. იმნაიშივლები), სხვა თვალსაზრისით, **-ან** იშლება **-ა** და **-ნ** შემადგენლებად, **-ნ** სუბიექტური მესამე პირის ნიშანია (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია).

აღნიშნულ **-ან** სუფიქსს პირველად ა. შანიძე შეეხო 1920 წ.: „ამ ზმნას (ჰყვანან — თ. უ.), და რამდენიმე კიდევ სხვას, მრჩობლი დაბოლოება აქვს მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში (ან+ან) და ამ მჭრივ გამონაკლისს შეადგენს (მდრ. სძულ-ან)“¹. გვიან ა. შანიძემ **-ან** სუფიქსს მისცა თემის ნიშნის კვალიფიკაცია: „თემის ნიშანი **-ან** ნაშთის სახით არის შემონახული რამდენიმე ზმნაში. ეს ზმნებია: ჰ-ყავ-ს, ა-ქვ-ს (< ჰაქუს), ჩ-ან-ს, ჰ-გავ-ს. ამათ **-ან** სუფიქსი გამოაჩნდებათ სავრცობიან მწკრივებში: ჰ-ყვ-ან-და, ჰ-ყვ-ან-დეს, ჰ-ა-ქუ-ნ-და (*ჰაქუნდა), ჰ-ა-ქუ-ნ-დეს (*ჰაქუნდეს) და ჰ-გვ-ან-და, ჰ-გვ-ან-დეს. ამათგან ჰაქუნდა და ჰაქუნდეს ძველი ქართულის ფორმებია, რომელთაგან უა ჟგუფის ო-დ შერწყმის გამო მივიღეთ ჰ-ქონ-და (*ჰ-ქუ-ან-და), ჰ-ქონ-დეს (ჰ-ქუ-ან-დეს). („ჰ-ყვ-ან-და“-სა და „ჰგვან-და“-ში შერწყმა არ ხდება, რადგან ვა ჟგუფი იყო და არა უა. ამას გარდა, იგივე ან ჩანს აწყმოს მე-3 სუბ. პირის მრ. რიცხვში: ჰ-ყვ-ან-ან (*ჰ-ქუ-ან-ან >) ჰ-ქონ-ან, ჰ-გვ-ან-ან. „ჰქონან“ ძველი ქართულის კუთვნილებათა, „ჰყვანან“ და „ჰგვანან“ ეხლაც გვხვდება, თუმცა იშვიათად“².

ა. შანიძე აქ იზიარებს ლ. კიკნაძის თვალსაზრისს და ჩანს, რომ მისი საბოლოო დებულება დამყარებულია უწყვეტლის ფორმებზე, სადაც **-ან თემის ნიშანთა ადგილზეა**, წინ უძღვის სავრცობს.

განსხვავებული თვალსაზრისი ეკუთვნის არნ. ჩიქობავას: „ძველ ქართულში არის აშკარა ნიშნები იმისა, რომ **-ან** წინათ მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავდა, პირის ფორმანტი კი ცალკე იყო: დგან-ან: **-ნ** მესამე პირის სუფიქსი, **-ან** მრავლობითობის მაჩვენებელი; მდრ. ვ-დგა-თ, რომელშიც პირის მაჩვენებელიც არის (ოლონდ პრეფიქსი) და რიცხვისაც. ესე იგი მესამე პირი მრავლობითისა იმავე პრინციპის მიხედვით იყო აგებული, როგორითაც მეორე და პირველი“³.

¹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 72.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 416.

³ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968, გვ. 163.

ვ. თოფურია ამ საკითხს ქართველური მასშტაბით განიხილავს: „ძველ ქართულში III პირს გამოხატავს -**ფ** და -**ხ**. ამათგან -**ფ** ახალმა ქართულმა არ იცის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დგანან, ჩანან... შემთხვევებს...“¹ ცოტა ქვემოთ განაგრძობს: მეგრულ-ჭანურში „**წ**ს რიგიდან ცოცხალია ზმნაში III პირისა და მრავლობითობის -**ფ** და -**ან** პარალელურად -**ხ** და -**ეს**წისა (განაწილებული არიან დრო-კილოსა და გარდამავლობის მიხედვით)...“²

ქვემოთ წარმოვადგენთ ლ. კიკნაძის დებულებებსა და შესაბამის მასალას, რომელიც წარმოდგენილია ი. და ვ. იმნაიშვილების ერთობლივ ნაშრომში „ზმნა ძველ ქართულში“³. აქ არის ცდა — უარიჭოს -**ან** დაბოლოებიდან შვ-ის ნიშნად -**წ**ს გამოყოფა და -**ან** მიჩნეულ იქნეს ფუძის საწარმოებელ ერთიან სუფიქსად.

-ან -ან დაბოლოებაში ბოლო -**ან** დავას არ იწვევს, იგი შვ-ის ნიშანია, პრობლემას ქმნის მარცხნიდან პირველი -**ან** (დგ-**ან-ან**).

ვისაც -**ან** ფუძის საწარმოებელ ერთიან სუფიქსად (თემის ნიშნად) მიაჩნია, მათი აზრით, -**წ**ს შვ-ის ნიშნად გამოყოფას ხელს უშლის შემდეგი: (1) დგ-ან-ან ტიპის დაყოფა შესაძლებელია მხოლოდ საშუალო გვარის გარკვეული ჯგუფის ზმნათა I სერიაში. სუბიექტის პირისა და რიცხვის გამოხატვა კი ზმნის გვარზე და მწკრივზე არ არის დამოკიდებული; (2) სავრცობიან ფორმებში -**ფ** სავრცობის წინ (მარცხნივ) დგას, რაც ქართული ზმნის უღლების წესით გამოირიცხებულია (პირის ნიშანი სავრცობს უნდა მოსდევდეს). თანაც პირის ნიშანი თავის ადგილზეა (მყვანდ-**ა**) — სავრცობის მომდევნოდ. ეს არის სუფიქსი -**ა** და არა -**წ**! (3) -**წ**ს გვერდით არის შვ-ის ნიშანი (ჩან-**ხ**, ჩან-**წ**...). ორი ნიშანი რა საჭირო იყო! თანაც ეს -**ფ** I და II პირის ფორმებშიც არის (გჩან, შჩან). მესამე პირის ნიშანს I და II პირებში რა უნდა? (4) დგ-ან-ან და ჩ-ან-ან დაყოფით ამ ფორმებში რა როლი აქვს -**ან**? (5) რას წარმოადგენს ბოლო -**ან** დიალექტურ დგანა, ჩანა, წვანა ფორმებში? (6) რა უნდა პირის ნიშანს მასდარში: ჩენა, ქონა...?⁴

ვფიქრობთ, ქართული (რესპ. ქართველური) ზმნის სისტემაში მიმდინარე ისტორიული პროცესების გათვალისწინებით ყველა ამ ერთი შეხედვით უხერხულ კითხვას შეიძლება გაეცეს პასუხი.

მედიუმთა განხილულ ფორმებში -**ნ** ისტორიულად იყო შვ-ის ნიშანი, რომელიც ფუძესთან შეხორცების შემდეგ ემსახურებოდა სუბიექტის როლში მყოფ აქტანტთა როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმებს (**მაქუნ-ს** ~ **მაქუნ-ან**).

პირთა სიმრავლის მარკირება ზმნაში ახალი საფეხურია ქართული (რესპ. მეგრულ-ლაზური) ზმნის ისტორიაში. სწორედ ამ საფეხურის დასაწყისში უნ-

¹ ნ და ს ფენებისთვის ქართველურ ენებში, ვ. თოფურია, შრომები III, 1979, გვ. 139.

² იქვე, გვ. 141.

³ ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, მაინის ფრანკფურტი, 1996.

⁴ ი. იმნაიშვილი, ვახტანგ იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 412.

და მომხდარიყო დღევანდელი თვალსაზრისით უხერხული ფორმების წარმოქმნა.

საკითხის უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოსაჩენად მივმართავთ მეგრულ-ლაზურ ფორმებს.

მეგრულ-ლაზურში ერთპირიანი გარდაუვალი ზმნებისა და ორპირიანი მედიოპასიური ზმნების ფორმებში განსხვავებულ კვალიფიკაციას იღებს მრავლობითის **-ნან** დაბოლოება: ლურუნან, ხენან, მანჟირენან, მილუნან... (კვდებიან, სხედან; გვეძინება, გვაქვს...).

აღნიშნულ ტიპთა ზმნების უღლების პარადიგმები ფორმალურად (მასალობრივ) ერთნაირად არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში, განსხვავებულია ფორმათა ანალიზი: არნ. ჩიქობავა - **ნან** დაბოლოებაში **-ნ**-ს შვ-ის ნიშნად მიიჩნევს (ლურუნ-**ნ**-ან, მილუნ-**ნ**-ან), პარადიგმის განმარტებით ნაწილშიც ამბობს: „... მესამე პირის ნიშანიცაა შემონახული და მრავლობითობის აღმნიშვნელიც მოეპოვება“¹, რაც ძირითადი პრინციპის (პირის ნიშანი ცალკე, რიცხვისა — ცალკე) რეალიზაციად არის მიჩნეული (შდრ. **პ**-ტახუმ-**თ** „**ვ**-ტეხ-**თ**“). ი. ყიფშიძე, როგორც მის მიერ შედგენილი პარადიგმებიდან ჩანს, **-ნ** სუფიქსს, რომელიც მხოლოდით რიცხვში შვ-ს გამოხატავს, მრავლობით რიცხვში ფუძის დანამატად მიიჩნევს: **მ**-ილუნ-**ნ** ~ **მ**-ილუნ-**ან** „მაქვს“ ~ „გვაქვს“². კ. დანელიას პარადიგმები არნ. ჩიქობავას პარადიმებს მიჰყვება³. გ. კარტოზია **-ნან** დაბოლოებას ერთ სუფიქსად მიიჩნევს და ურთავს განმარტებას: „**-ნან** სუბიექტური მესამე პირის **-ნ** სუფიქსისა და **-ან** სუფიქსის შეერთებით არის მიღებული, მაგრამ, სინქრონიული ანალიზის თვალსაზრისით, ერთიან სუფიქსად განიხილება“⁴. ჩვენ ვიზიარებთ გ. კარტოზიას თვალსაზრისს. რა თქმა უნდა, ობიექტური წყობის მედიოპასივებსა და პასივებში **-ნ** შვ-ის ნიშნად **-ან** სუფიქსთან ერთად ვერ იარსებებდა, რადგან **-ან** სუბიექტური წყობის ზმნებში დამოუკიდებლად აღნიშნავდა მესამე სუბიექტურ პირსაც და მის რიცხვსაც ერთდროულად (ტახუმ-**ან** „ტეხ-ენ“, ჭარუნ-**ან** „წერენ“...).

დავუბრუნდეთ ძველ ქართულს, სადაც ადვილად დავინახავთ მეგრულ-ლაზურის მსგავს ვითარებას: (1) შვ-ის **-ნ** სუფიქსი ფაქტიურად ძველ ქართულშივე იწყებს ფუნქციის შესუსტება-დაკარგვას. ანალოგიურია -დ სუფიქსის (შვ) მდგომარეობაც. ძველ ქართულში სუბიექტური მესამე პირის „მოშლაზე“ მიუთითებს ზ. სარჯველაძე⁵.

მთის დიალექტები საკმაოდ ხშირად გვიჩვენებენ არქაულ ფორმებს

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 91.

² იოსებ ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. გვ. 124, 132.

³ კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, კრებულში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, 2006, გვ. 129.

⁴ გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, 2005, გვ. 93⁶³.

⁵ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, გვ. 406: „ამგვარი ფორმები (ითქნ, იყვინ — თ. უ.) მიუთითებენ, რომ მესამე სუბიექტური პირის **-ნ** ნიშანი ენაში საზოგადოდ იშლება“.

ოღონდ აქ არ დასტურდება არც **-ფ** და არც **-დ** შვ-ის ნიშნად, არც შვ-ის **-ედ** სუფიქსი. საერთოდ, მთის დიალექტების არქაიზმი არ სცილდება ძველი ქართულის მიწურულს (X-XI სს.), ამიტომ უთუოდ სიმპტომატურია, მთის დიალექტები რომ არ იყენებენ ამ სუფიქსებს. მათი ხმარება X-XI საუკუნეების სამწერლობო ქართულშიც ინერციითაა აიხსნება.

-ფ სუფიქსის მიერ ფუნქციის დაკარგვის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს ძველი ქართულის ისეთი ფორმები, რომლებშიც **-ფ** ფუძეს შეერთებია და შვ-ის ფუნქციას ასრულებს ან **-ს** სუფიქსი, ან დამატებითი **-ნ**. ძველ ქართულში შევხვდებით ვ-დგა, ს-დგა, დგა-ს; მესამე პირში დგა-ნ ფორმაც დასტურდება („რომელი დგან და ისმენ“, ი. 3,29ც), მეორე მხრით, ვ-ჩა, შ-ჩა, ჩა-ს გვერდით ვ-ჩან, შ-ჩან, ჩან-ს ფორმებიც არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ **-ფ** უკვე ფუძეს მიერთებია (ვჩან, შჩან), აღარ ფუნქციონირებს როგორც პირის ნიშანი და მესამე პირში საჭიროებს სხვა ნიშანს (ჩან-**ს**).

ანალოგიური ვითარებაა მაქუს ზმნასთან: ერთი მხრით, მაქუ-ნ, გაქუ-ნ, აქუ-ნ, სადაც **-ფ** შვ-ის როლშია, მეორე მხრით, მაქუნ-ს, გაქუნ-ს, აქუნ-ს, სადაც **ნ** უკვე ფუძეშია შესული. ეს ფორმები კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში¹, განსხვავებულია მხოლოდ მკვლევართა ანალიზის შედეგები.

თუ მაქუ-ნ, გაქუ-ნ, აქუ-ნ ფორმებში **-ფ** სუფიქსი შვ-ის ნიშანია, რომელიმე მაქუ-ნ-**ს** ან მაქუნ-**ნ** ფორმებში შვ, რა თქმა უნდა, ბოლო **-ს** ან **-ნ** სუფიქსებით გამოიხატება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მარცხნივ მდგომი **ნ** უკვე ფუძის კუთვნილებაა და მას პირის ნიშნად აღარ აღიქვამდნენ. ან როგორ შეიძლება დგან-ედ „დგანან“ ფორმაში არაფუძისეულ, დამოუკიდებელ სუფიქსად მივიჩნიოთ **-ნ**, როცა იქვე მხოლ. რიცხვში არსებობს დგან-ს ფორმა? ასევე დგან ფორმის **ან** დაბოლოება ვერ მიიჩნევა ერთიან სუფიქსად, როცა მის გვერდით არსებობს ვდგა და სდგა („ვდგავარ“ და „დგახარ“).

განხილულ ფორმათა მიხედვით უთუოდ ცხადია, რომ მაქუნ-**ს**, დგან-**ედ** და ჩან-**ს** ტიპის ფორმებში **-ფ** შვ-ის ნიშნად მხოლოდ **წარმოშობით ჩაითვლება**. ამ ფორმებში **ნ** ფუძის შემადგენლობაშია გადასული.

მეორეც: მორფოლოგიურ ცვლილებათა წესების გათვალისწინებით, რიგ ფორმებში **შეუძლებელია -ნ** ჩაითვალოს **-ან** სუფიქსის ნაშთად. მხედველობაში გვაქვს მაქუნ და, გაქუნ და, აქუნ და; მაქუნ დეს... ფორმები. ვფიქრობთ, ამოსავლად ნავარაუდებ ფორმებში **-ან** სუფიქსის რეკონსტრუქცია დაუშვებელია: ფონეტიკურად გაუმართლებელია „ჰ-ა-ქუნ-და (< *ჰაქუნდა), ჰ-ა-ქუნ-დ-ეს (< *ჰაქუნდეს)“². უწყვეტლის III პირის მხოლობითსა და მრავლობითში ან I კავშირებითის ამავე პირის მხოლ. რიცხვის ფორმებში არ არსებობს **-ან** → **-ნ** პროცესის განვითარების პირობა, რადგან **-დ** სავრცობი მოკლებულია მარედუცირებელ უნარს. მეორე მხრით,

¹ იხ. მაგალითად: ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, გვ. 209; ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, გვ. 404; ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I, 2005 (დგომა) და სხვ.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 416.

აწმყოს მესამე პირის ჰაქუნს ფორმა, რომელშიც **ნ** ფუძის ნაწილად არის ქცეული, უწყვეტელში სწორედ ჰა-ქუნ-დ-ა და ჰაქუნ-დ-ეს ხოლო კავშირებით-ში ჰა-ქუნ-დ-ეს ფორმებს გვავარაუდებინებს.

სხვა მხრივაც შევხედოთ ამ ფორმებს. რის საფუძველზე შეიქმნა რეკონსტრუირებული ***მ-ქუ-ან-ან**, რომლისგან მიღებულადაც მიიჩნევა ძვ. ქართულის მქონან?

ძველი ქართულის აწმყოს მხოლ. რიცხვში დასტურდება ფონეტიკური ჩაწერით: მ ა ქ უ ს, გ ა ქ უ ს, ა ქ უ ს (ჰაემეტობის დროს ჰ ა ქ უ ს), პარალელურად — მ ა ქ უ ნ, გ ა ქ უ ნ, ა ქ უ ნ ან მ ა ქ უ ნ ს, გ ა ქ უ ნ ს. **არსად ჩანს თემისნიშნაანი** მ ქ უ ა ნ -ს (მე იგი), გ ქ უ ა ნ ს, ჰ ქ უ ა ნ ს ან მ ქ უ ა ნ -ნ, გ ქ უ ა ნ -ნ, ჰ ქ უ ა ნ -ნ, რათა სუბიექტური მესამე პირისა და მისი მრავლობითობის **-ან** სუფიქსის დამატებით აღვადგინოთ სავარაუდებელი ***მ-ქუ-ან-ან** (მე იგინი), სადაც ხაზგასმული **-ან** თემის ნიშანი იქნება, როგორც ა. შანიძე ვარაუდობს მყვ-ან-ან ფორმაში. მ-ქუ-ან-ან ფორმის რეკონსტრუქცია, ჩვენი აზრით, ძველი ქართულის მონაცემებით შეუძლებელია. მქონან ფორმას, მაშასადამე, ამ გზით ვერ მივიღებთ. საძიებელია საიდან გაჩნდა მყვ-ან-ან?

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში შემონახულია არქაული ფორმები: ხ-ქონ (< ხ-ქუ-ან) „აქვს მას **ისინი**“, ხ-ყონ (ხ-ყუ-ან < ხ-ჰვ-ან) „ჰყავს **ისინი**“, გ-ი-გონ (< გ-ი-გუ-ან < გ-ი-გვ-ან) „გიგავს ისინი“, ანუ „გიგვანან“ და სხვ.

ხ ქ ო ნ, ხ ყ ო ნ, გ ი გ ო ნ ფორმებისთვის ამოსავალი არის მესამე პირის სუბიექტის მრავლობითი რიცხვის **-ან** სუფიქსიანი ფორმები, რომლებსაც დღესაც ვხვდებით გიგვან, გიდგან (ისინი) ფორმებში: „ბერის ჭიჭვის რქათ გიგონ წვერნიო“ (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 346); „სულეთს კოდნ გიდგან სამსვენნი“ (თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960; 150, 20).

ხევსურული არქაული ფორმების მიხედვით ისიც ჩანს, რომ ფუძისეულ [ჟ]-სთან შერწყმით **-ან** სუფიქსი იძლევა **ონ** დაბოლოებას: ხქონ, ხჭონ. ამ ფორმებს შენარჩუნებული აქვთ სუბიექტური მესამე პირისა და მისი მრავლობითობის გამოხატვის ფუნქცია, ე. ი. გიგუან და გიგონ, მყუან და მყონ პარალელური ფორმებია და სუბიექტს მრ. რიცხვში წარმოგვიდგენენ. ანალოგიური პროცესი უნდა ვივარაუდოთ ძველი ქართულის მქონან „მაქვს მე ისინი“ ფორმაშიც, იმ განსხვავებით, რომ სიმრავლე სუბიექტისა გვიან დართული **-ან** სუფიქსით არის გამოხატული. უთუოდ ამით უნდა აიხსნას ა. შანიძის თავდაპირველი დებულება მყვანან ტიპის ფორმებში მრავლობითი რიცხვის „მრჩობლი დაბოლოების“ შესახებ. ამას ის გავარაუდებინებს, რომ მქონ არქაული ფორმა აღარ დასტურდება ძვ. ქართულში, მაგრამ, მეორე მხრივ, მქონან ფორმის არსებობა, უთუოდ მიგვითითებს ხევსურულის ტიპის მქონ ფორმის არსებობაზე ძვ. ქართულშიც. გამოდის, მქონან ფორმის ამოსავალ მქონ-ს დაუკარგავს სუბიექტური პირის სიმრავლის გაგება და ამიტომ დართვია ხელმეორედ **-ან** სუფიქსი (მქონ-ან > მქონან).

რა თქმა უნდა, ა. შანიძის თავდაპირველი დებულება მყვ-ან-ან ფორმის შესახებ, როგორც „მრჩობლი მრავლობითის“ სუფიქსის მქონისა, ემყარებოდა მთის დიალექტებიდან მისთვის კარგად ცნობილ ფორმებს, რომლებიც მან და-

ლიან გვიან დაბეჭდა (თხზულებანი, I, 1984). ეს ტექსტები ა. შანიძემ ჩაწერა 1911 და 1913 წლებში, ე. ი. იმაზე ადრე, ვიდრე მუშაობას დაიწყებდა შ²O₃-ზე. მის მიერ ჩაწერილ ტექსტებში არის მიდგან (მ-ი-დგ-ან): „თუშნი აქ მიდგან მზასაო“ (I, 48, 19), გიგონ (< გ-ი-გუ-ან): „...გეჯას ლაშნ გიგონ (I, 53, ბ. 6). თუშურ ტექსტში არის გიდგან (გ-ი-დგ-ან): „სულეთს კოდნ გიდგან სამსენი“ (I, 233, 14), იქვეა ფორმა, რომელშიც მესამე პირის სუბიექტი მხოლოდ. რიცხვშია: „სუფრა გიდგ გარიგებული“ (I, 233, 16). გიდგ (< გიდგა), -ა (შ³) დაკარგულია, რაც ჩვეულებრივია ამ პოზიციაში მთის კილოებისთვის. **გიდგ** (ის) ~ გიდგან (ისინი) ნათლად წარმოაჩენს **-ან** სუფიქსის ფუნქციას. ამ ფორმათა მიხედვით ერთი **-ან** საკმარისი იყო შ³-ის აღსანიშნად. მაგრამ პარალელურად ნახმარი გიდგანან ფორმა უკვე ორგზის მიუთითებდა შ³-ზე, **თუშცა** მნიშვნელობა იგივე ჰქონდა, რაც გიდგან ფორმას: „კარზე, გიდგანან სტუმრები“ (I, 232, 35), პარალელურად გიდგენან ფორმაც ჩაუწერია: „კარზე გიდგენან სტუმრები“ (232, 3; 234, 11). ამ ფორმებს ის მეცნიერული მუშაობის დასაწყისში ეცნობა და, ბუნებრივია, შ²O₃-ზე მუშაობის დროს გასჩენოდა აზრი „მრავლობით რიცხვში მრჩობლი დაბოლოების“ შესახებ, სადაც ფუნქცია მხოლოდ ბოლო **-ან** სუფიქსს აქვს.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიხედვით ასეთი დასკვნა იქნება მართებული: სუბიექტური მესამე პირის -ნ სუფიქსი ძველ ქართულშივე კარგას თავის ფუნქციას, ამის გამო ძველსავე ძეგლებში ვხვდებით ასეთ ფორმებს: მაქუნ-ს II მაქუნ-ნ; დგან-ედ (შდრ. დგან- II დგან-ს II დგან-ს II დგან-ს).

აწმყოს მაქუნ-ს და უწყვეტლის მაქუნ-დ-ა, აგრეთვე კავშირებითის მაქუნ-დ-ე-ს (მაქუნ-დ-**ეს** შეიძლება უწყვეტლის მესამე პირის მრ. რიცხვშიც) ფორმები განამტკიცებს იმ აზრს, რომ **-ნ** არ მოდის **-ან** თემის ნიშნისგან: პირის ნიშანი **-ს** და საცობი **-დ** ვერ მოახდენდნენ **-ან** სუფიქსის შეკუმშვას — მათ არა აქვთ მარედუტირებელი ძალა. მაშასადამე ამ ფორმებში **ნ** უდავოდ ფუძეში შედის, დაკარგული აქვს პირის გამოხატვის (შ³) უნარი [შდრ. „დგან- და ისმენ-ნ“ (ი. 3, 29ც), სადაც -ნ ფუნქციის მქონეა].

შ³ ისტორიულად და ახლაც გარკვეული რიგის ზმნებში **-ან** სუფიქსით გამოიხატება: მიყვარ-ან, მინდ-ან, მძულ-ან (ისინი)...

მედოპასივებს, როგორცაა: მყავს, მგავს სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნად მესამე პირში ეს **-ან** ჰქონდათ: მ-ყავ-ან, მ-გავ-ან. **-ან**-ს შეეძლო ფუძის შეკუმშვა. ამას გვიჩვენებენ ხევსურულის არქაული ფორმები: მყონ, მგონ, სადაც განხორციელებულია შემდეგი სახის ფონეტიკური ცვლილებები: მ-ყავ-ან > მ-ყვ-ან > მ-ყუ-ან > მყონ; ასევე მ-გავ-ან > მ-გვ-ან > მ-გუ-ან > მგონ, ე. ი. მყონ მე **ისინი**, მგონ მე **ისინი**.

უთუოდ ანალოგიური გზა აქვს გავლილი ხქონ (მქონ, გქონ) ხევსურულ ფორმებსა და ძვ. ქართულის მქონან ფორმას, მაგრამ ხევს. ხქონ ფორმის მისაღებად აწმყოს მხოლობით რიცხვშიც უნდა დავუშვათ **ქუ** ფუძე (მ-ქუ-ს, გ-ქუ-ს), რაც იძლევა წარმოსათქმელად შეუძლებელ ფორმებს. იგივე ფუძე **-ან** (შ³) სუფიქსის წინ დასაშვებელია, რაც რეალიზებულია ხევსურულ **ხქონ** (< ხ-ქუ-ან) ფორმაში; ასევე ძველი ქართული მქონან ფორმის მქონ ნაწილის მიხედვით სავარაუდებელია **მ-ქუ-ან** ამოსავალი ფორმა.

არსებული ფორმების მიხედვით საქმე გვაქვს ა- ~ ო აბლაუტთან (**ა-ქუ** ~ **ქუ**), რაც რეალური ფორმებით არის დადასტურებული ხეცს. **ღ-ა-ქუ** || **ღ-ა-ქუ-ი-ს** (იმას ისი) ~ **ხ-ქონ** < **ხ-ქუ-ან** (იმას ისენი).

სამეცნიერო ლიტერატურიდან აქამდე ვიცნობდით მეაბლაუტე პარალელურ ფორმებს განურჩევლად რიცხვისა: **ღ-ა-ტეხს** ~ **ს-ტეხს**, **და-ღ-აკუეთს** ~ **და-ჰ-კუეთს**, **და-ა-წერს** ~ **და-ს-წერს**¹; **ვ-ა-რქუ** ~ **ჰ-რქუა**, **ვეც** ~ **ს-ცა**². ამათ რიგში ვერ შევა რიცხვის მიხედვით მეაბლაუტე ხეცს. **მაქუ** (ისი) ~ **მ-ქონ** (ისენი) და ძველი ქართულის **მ-ა-ქუ-ს** ~ **მ-ქონ-**, **მქონან** ფორმის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებლად ვეღარ ვხვდებით ძველ ქართულში, მაგრამ სავარაუდებელი კი არის, რაზეც ხეცსურულ დიალექტში შემორჩენილი **ხ ქონ** ფორმაც მიგვითითებს.

და ბოლოს: **-ანან** დაბოლოების მქონე ზოგი მედიოპასივი გვიანდელი ანალოგიით ჩანს წარმოქმნილი, ასეთია თუშური დიალექტის **მინდანან**, პარალელური **მინდან** ფორმისა: **მინდ(ა)** (ისი) ~ **მინდ-ან** || **მინდან-ან** (ისენი).

TEDO UTURGAIDZE

A Stem *-an* Ending in the Forms of Middle Voice

S u m m a r y

In the middle voice form of **mqvan-an**, **dgan-an** (cf.: old Georgian **mkonan** (< **mkuan-an**) type, according to some views **an** is a theme marker, and according to other ones, this **an** is decomposed into **-a** and **-n** elements; **-n** is a third person marker of a subject.

According to old Georgian forms **hakunda** and **hakundes** it is impossible to consider **-n** as a suffix marker as **-d** element has no reducing power.

In the middle voice of **mqvanan** type **-n** is historically considered as a subject person marker. In old Georgian fusing of this suffix with a stem took place, cf. old Georg. **makun-s** 'I have', **gakun-s** 'You have', **akun-s** 'he/she has'. This process also took place in old Georgian form **mkonan** (< ***m-kuan-an**).

Khevsurian dialectal **xqon** (**x-qw-an** < **x-qav-an**) "hqvanan" is an archaic form, in which **-an** (S^p₃) has not been fused yet to a stem (cf.: old Georg. **mkonan**). Khevsurian dialectal **xqon**, **xkon**, **gigon** "hqavs isini", "akvs isini" "gigavs isini" are the initial forms of these verbs. A subject third person marker does not occur here in singular, i. e. it has not been fused to a stem yet.

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 376 (§438) და 379 (§441).

² თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; გვ. 325₁.

მეფა ღლონტი

ცდის ლექსიკური ბუნებისათვის

სემანტიკური ანალიზი

სიტყვა, თავისი ფორმობრივი და შინაარსობრივი გენეზისით, ენისა და ამ ენის მატარებელი ერის ისტორიის უტყუარი მოწმე და საგულისხმო მაცნეა. სიტყვის წარმომავლობის ძიება, მისი წარმოშობის მოტივისა და მოტივირების დადგენა შუქს ჰფენს და ადასტურებს ფოლიანტებს მიღმა შეთნილ ისტორიულ უწყებას ენისა და ერის განვითარებაზე.

ქართველი ერის ისტორია კაცობრიობის ქრისტიანიზაციის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. საქართველოში ქრისტიანობა თითქმის ათას შვიდას წლოვანია და ქართულ სიტყვაშიც, შესაბამისად, ჩვენი ეთნოსის ძველისძველი ქრისტიანული საფეხურები აღიბეჭდება. ამიტომ, ქართული სიტყვის (resp. ენის) წარმომავლობის შესწავლა და დადგენა, მისი ლექსიკურ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური კვლევა, მრავლისმეტყველად წარმოაჩენს ქართველთა გაქრისტიანების პროცესს, ქართველთა ნიშანდობლივ ეროვნულ ფსიქოლოგიას და ტრადიციებს. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ქართული სიტყვის და, მასასადამე, ქართული ენის სულის სფეროს განეკუთვნება.

ყოველივე ამას საგულისხმოდ გვიმოწმებს **ცდის** ლექსიკურ ბუდეში შემავალი სალექსიკონო ერთეულების სემანტიკური განვითარების ანალიზი შესაბამისი საღვთისმეტყველო მასალის გათვალისწინებით წმიდა წერილიდან, ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებითურთ.

აღნიშნულ ლექსიკურ ბუდეში თავს იყრის **ცად-/ცდ-** ძირით გაერთიანებული ათეულობით ლექსიკური ერთეული:

ცდა, ცადება, ცდომა/ცთომა, შეცდომა, ცდენა, გაცდენა, მცდელი, მცდელობა, ცდუნება/ცთუნება, ცდილი, ცდილობა, განცდა, განცდილი, განცდილება, განცთომა, განსაცდელი, განმცდელი, განმცდელობა/განმცდელება, განუცდელი, განუცდელება, უგანსაცდელო, გამოცდა, გამოცდილი, გამოცდილებითი, გამოცდილ-ყოფა, გამომცდელი, გამომცდელობა, გამომცდელ-ყოფა, გამოსაცდელი, გამოსაცდელობა, გამოუცდელი, გამოუცდელობა, მაცდური/მაცთური, მაცთუნებლობა, მცთუნებელი, საცდური/საცთური, ცთომის მწუერვალი, ცთომილი, ცთუნებული, მცთომობა, მცთურება, შეცთომილი, შემცთომელი, შეცთუნება, შეცთუნებული, საცთომელი, საცთურეანი, საცთურეანობა/საცთურეანობა, საცთურ-გდება, მეცადინი/მეცადნი, მეცადინობა, წარმოცდა...

ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულები, უმთავრესად, სამი სემანტიკური მიმართულებით გადანაწილდება:

* ერთია მოქმედების გარკვეული ძალისხმევით შესრულება — „ცდა,

მცდელობა; გარჯა; მოჭირვებით საქმის შებმა“;

* მეორე კონკრეტული მიზნით, საგანგებოდ დანახვა და ხილვა მოვლენისა, რისამე მოვლენის დასარწმუნებლად და შესამეცნებლად გაწეული მოქმედება — „**დანახვა, ხილვა; სინჯვა; შემოწმება; ექსპერიმენტი**“;

* მესამე არა რისამე მოვლენის, არამედ ადამიანის ცოდნაში შესამოწმებლად ან მის ფათერაკში, ცოდვაში ჩასაგდებად გაწეული მოქმედება — „**გამოცდა; შეცდენა, ცდუნება**“.

* * *

ცდის ლექსიკური ბუდის სემანტიკური განვითარების თვალსაზრისით საგულისხმოა **ნ-/რ-** სონორთა ალტერნაციის ფაქტები ისტორიულ (არქაულ) ძირ-ფუძეებში, რომელთა შორის სახელდება **მაცთური/ცთუნება**. მსგავსი ალტერნაციის მიზანია ზმნურ და სახელურ ფუძეთა დიფერენციაცია, რასაც წმინდა სემასიოლოგიური მექანიზმი უდევს საფუძვლად (არაბული 2001, 108-111).

მეორე მხრივ, **ე/ა** ვოკალური ალტერნაციისთვის მოხმობილია **ცედ-: ცდენ-/ცდინ-** მონაცვლეობა. თუმცა მსგავს ალტერნაციაში საკვლევი ხმოვანთა პოზიციის დანიშნულება. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვარაუდი, რომლის თანახმად, **ე/ა** ვოკალურ ალტერნაციაში „უპირველესად ჩანს არა გრამატიკული, არამედ ლექსიკური დანიშნულების (ფუძედქმნადობის) მექანიზმი, რომელიც, თუმცა სპორადულად, ასევე იჩენს თავს ქართველური ენების ფუძე-რეფლექსების სახით“ (არაბული 2001, 127-129).

* * *

ცდის ლექსიკურ ბუდეში ხსენებული სამივე მიმართულების სემანტიკის შემცველია: **ცდა, განცდა, განცდილი, გამოცდა, გამოცდილი**. ქვემოთ წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური მონაცემები ამოგკრიბეთ ქველ-იდან, ილია აბულაძის, ივანე იმნაიშვილის, ზურაბ სარჯველაძის და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონებიდან (იხ. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა).

* * *

ცდა დღეს სამივე სემანტიკური მიმართულებით წარმოდგება: ერთი მხრივ: „მოქმედება რისამე შესასრულებლად (რის შესრულებაც ძნელია, საეჭვოა); მონდომება (ცდილობს); მეორე მხრივ: „მოვლენის გამოკვლევა ხელოვნურ პირობებში (ექსპერიმენტი)“; მესამე მხრივ: „შემოწმება ცოდნისა, გამოცდა“.

ძველ ქართულშიც **ცდა**, გარდა საკუთრივ „ცდისა“, ნიშნავდა „მცდელობას; გარჯას“, ასევე „დანახვას; სინჯვას; გამოცნობას“ და „გამოცდას; ცდუნებას“. სულხან-საბა ორბელიანისთვის **ცდა** არის „საქმის შებმა; ცდილობა საქმეთა“. **მეცადინობა** ძველ ქართულში აღნიშნავდა „მცდელობას“, **მეცადინი** კი „მცდელს“. თავის ლექსიკონში სულხან-საბა შენიშნავს: „**მეცადნი** მცდელო, იტყვის მოსესთვის“, ხოლო „**მცდელო** — ესე არს რა კაცსა საქმე რამე ენებოს და ნიადგ მისთვის იჭირვოდეს (მძვრელი)“. იგი შესაბამის ზმნურ ფორმებსაც განიხილავს: „**ეცადა** — ცდა ქნა“; „**ვცდილობ, ვცდილობდი** — ცდას ვყოფ, ცდას ვყოფდი“.

ყველა ეს შემთხვევა ხსენებული პირველი რიგის სემანტიკას განეკუთვნება. თუმცა ქართული ლექსიკოგრაფიის საგანგებო განმარტების ბოლოს დართული „და ეგვიტარნი“-თ **ცდის** სამივე სემანტიკურ მიმართულებას უნდა გულისხმობდეს: „**ცდა** არს რაჲ არა იცოდეს და მის სწავლას ეცადოს ანუ რაჲ არა აქენდეს შოება, მოიჭირვოს და ეგვიტარნი“.

* * *

განცდას დღეს მხოლოდ გრძნობისმიერი გამოხატვის აღნიშვნა ეკისრება: „რაიმე გრძნობით განმსჭვალვა; ძლიერი შეგრძნებითა და შთაბეჭდილებით გამოხატული სულიერი მდგომარეობა“. ძველ ქართულში ზემოხსენებული სამი მიმართულებიდან **განცდისთვის** პროდუქტიული იყო ორი:

ერთი მხრივ — „დანახვა-ხილვის“ სემანტიკა: „ხილვა, ხედვა, დანახვა, შეხედვა; ცქერა; გასინჯვა; გამოძიება; შენიშვნა; სწავლა; ცნობა; გონითი ჭვრეტა, სულიერი ხედვა“ (შდრ.: **განუცდელი** „უხილავი“; **გაცადება** „ნახვა; გაგებინება, შეტყობინება; გასინჯვა; გაცნობა“):

„**განცადენით** ყორანნი... **განცადენით** შრომანნი“ (ლუკა 12, 24. 27) — შეხედეთ და დააკვირდით ყორნებს და შრომანებს, — გვიბრძანებს უფალი. „მოსწრაფე იყვნეს **განცდად განუცდელსა** მას უფალსა ყოველთასა“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ) — უხილავი უფლის ხილვის მოსურნენი იყვნენ. „**განვიცადენ** საქმენი შენნი და დამიკურდა“ (ამბაკუმი 3, 2) — შენი საქმეები ვნახე. „**განვიცადეთ** და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“ (ფსალმუნნი 33, 9) — გამოიძიეთ უფალი და იხილეთ.

მეორე მხრივ, **განცდა**, ასევე **განმცდელი** და **განმცდელობა**, ნიშნავდა „გამოცდას; ავაზაკს; მაცდურს; მაცდურობას, ცთუნებას“: „არა **განსცადო** შენ უფალი ღმერთი შენი, ვითარცა-იგი **განსცადეთ** დღესა მას **განცდისასა**“ (2 მჯუღი 6, 16) — **განცდა** აქ სწორედ მკრეხელობასთან გათანაბრებული „გამოცდაა“.

სალექსიკონო განმარტებებით ვიგებთ, რომ **განცდა** „ტანჯვის“ და „ყურადღების მიქცევის“ მნიშვნელობას ფრაგმენტულად იძენს.

განცდიდან ნაწარმოები ნამყო დროის მიმღეობა **განცდილი (ცდილი)**, და ამ უკანასკნელისგან მომდინარე საწყისი **განცდილება**, ნიშნავდა როგორც „გამოცდას, გამოცდილს“, ასევე „ნახვას, ხილვას; დანახულს, ნანახს“, და „გამოძიებულსაც“ (შდრ.: ძვ. ქართ. **განუცდელი, განუცადებელი, განუცდელობა** „უხილავი, უხილველობა; დაუნახაობა“). თავის მხრივ, იმავე მნიშვნელობების („ნახვა, დანახვა; ხილვა; გამოცდა“) მქონე იყო ძველი ქართული **წარმოცდა** და **გამოცდილ-ყოფა**.

განცდიდან არის ნაწარმოები მომავალი დროის მიმღეობა **განსაცდელი**, რომელიც ძველ ქართულში სემანტიკურად ორი მიმართულებით განვითარდა: საკუთრივ „განსაცდელის“ გარდა, უპირატესად ნიშნავდა „ფათერაკს, ხიფათს“: „და აღასრულნა ყოველნი **განსაცდელნი** ეშმაკმან მან და განეშორა მას ვიდრე ჯამადმდე“ (ლუკა 4, 13) — შდრ.: **უგანსაცდელი** „უხიფათო“. სულხან-საბასთვის „**განსაცდელი** არის მოსანახვებელი“. იგი შეგვახსენებს „მამაო ჩვენოს“ ლოცვას: „და ნუ შემოიყვანებ ჩუენ **განსაცდელსა**“ (მათე 6, 13).

* * *

გამო- ზმნისწინიან ქვეჯგუფში ხსენებული სამი მიმართულებიდან აშკარად ჭარბობს ერთი — „დანახვა-ხილვის, სინჯვა-შემოწმების“ სემანტიკა, შდრ.:

ერთი მხრივ — **გამოცდა** მნიშვნელობებით: „გამოცდა; განცდა; გასინჯვა, გამოძიება; გამოორჩევა; აწონ-დაწონა; ტვირთვა; ცნობა, გამოცნობა“: „**გამომცადე**, უფალო, და **განმცადე** მე“ (ფსალმუნნი 25, 2) — გამომცადე, განსაცდელი მომივლინე და შემაძოწმე.

და მეორე მხრივ — **გამოცდი-**დან ნაწარმოებნი: **გამოცდილი** „გამრჯე; მარჯვე; გამოწრთობილი; მცოდნე; რჩეული, ხალასი; გასინჯული; განწმენდილი; გამოჩხრეკილი“; **უგამოუცდეღესი** „უფრო გამოწრთობილი“; **გამოუცდეღი, გამოუცდეღლობა** „გამოუცდეღი; გამოუცდეღლობა“; **გამოცდილება** „ცდა; განხილვა, განსჯა; ცოდნის შემოწმება; ცოდნა; **გამოცდილებითი** „აშკარა“; **გამოცდილ-ყოფა** „გამოცდა; დანახვა“; **გამომცდეღი, გამომცდეღ-ყოფა** „განმხილველი; გამომკვლეველი; განმცდეღი; გამოცდა“; **გამომცდეღობა** „ზედამხედველობა; გამოცდა“; **გამოსაცდეღი** „გამოსაცდეღი“.

ყოველი მათგანის სალექსიკონო განმარტებებს უხვად ახლავს შესაბამისი საილუსტრაციო მასალა ძველი ქართული ენის ძეგლებიდან.

* * *

მრავალრიცხოვანია **ცთ-** ძირის შემცველი **ცთომა** ტიპის ქვეჯგუფი, რომელიც, თავისი ცალსახა სემანტიკით განკერძოებით დგას **ცად-/ცდ-** ძირისგან ნაწარმოებთა შორის.

ეს არის, ერთი მხრივ — **ცთომა, ცთომილი** („შემცდარი; ციური სხეული“), **მცთომი, მცთომარე, მცთომობა** („შეცდომა“), **შეცთომილი, შემცთომელი, უცთომელი, ნაცთომი**, („წაცთენილი; დაშავებული, წაცდენით დაშავებული“); **ცთომისმწუერვალი** („უდიდესი შეცდომა“); **მცთარი, შემცთარი; მაცთური/მაცდური, მცდური, მცთურება** („მოტყუება, შემცდენლობა“), **საცთური, საცთურენი** („მცდარი“), **საცთურენობა/საცთურიანობა** („სიმცდარე“), **საცთურ-გდება** („შეცდენა“); **განცთომა** („სიგიჟე, შეშლილობა“); **ცთენა, გაცთენა, საცთენი**.

მეორე მხრივ — **ცთუნება, ცთუნებული, შეცთუნება, შეცთუნებული, მცთუნებელი, მაცთუნებლობა/მაცთუნებლობა**.

უაღრესად საგულისხმოა სულხან-საბასეული განმარტებანი **ცთომისა, შეცთომილისა** და **შემცთარისა**: „**ცთომა** — გზის გამრუდება; წესის გამრუდება“; „**შეცთომილი** — გზა-დაკარგული“; „**შემცთარი** — მცთარი; გზა-დაკარგული“.

წმინდა ქრისტიანული შინაარსისაა **საცთურისა** და **საცთომელის** განმარტებანი: „**საცთომელი** — კეთილზე მოსაცთენელია“; — ბრძანებს სულხან-საბა, ანუ **საცთომელი** ის არის, რაც კეთილს მოგვაცდენს და განგვაშორებს. **მაცდური** და **მაცდენელიც** სულხან-საბასეულის სინონიმებია მნიშვნელობით: „სწორის შემწველი, მართლის შემაცდენელი, კეთილის მომცდენი“.

სულხან-საბა მისთვის ჩვეული ლაკონიურობით, ამომწურავად გვისაბუთებს, რომ **ცთომა, ცთუნება, შეცთუნება** მართალი საქმისგან შეცდენა, ანუ

ღვთის წინაშე გამტყუნების მცდელობაა. ამავე რიგში ღვება **ცდენა** („მართალი შეაცდუნოს; მართლის საქმისაგან შეცდენა“), **ცდუნება** („მართლის შეცდუნება; მართლის შეცდენა“).

მათ უერთდება მსგავსი სემანტიკის მქონე ღღევანდელი **ცდენა, გაცდენა, მოცდენა**: გზას **ასცდა**, ანუ ცხოვრება გაუმრუდდა; ხელი **აუცდა**, ანუ ვერ მოარტყა, ვერ გააკეთა; დრო **გავაცდინე**, — ვამბობთ ხოლმე დანანებით, ანუ დრო ფუჭად განვვლე; საქმეს **მოვცდი**, ანუ საქმის კეთებისას ხელი შემეშალა (შემიშალეს), და სხვა. კეთილგონიერი ქრისტიანი ამ დროს სწორედ „კეთილის მომცდენ“, „შემაცდენელ“ სემანტიკას მონიშნავს, ვინაიდან ყოველი ჟამი, რომლის განმავლობაშიც არ გაკეთდა კეთილი საქმე, მისთვის **გაცდენილი დრო და მოცდენილი საქმეა — განსაცდელია**, რომლის ხილვა, ანუ განცდა, მას ღირსეულად მართებს.

„განსაცდელის“ საღვთისმეტყველო მნიშვნელობა

ცდის ლექსიკური ბუდის სემანტიკური განვითარების ანალიზი გვარწმუნებს, რომ მასში შემავალი ყველა სალექსიკონო ერთეული მისტიკურად გულისხმობს ორ უდიდეს სათნოებას — სიფხიზლეს და მოთმინებას. როდესაც **საცდურთან** ან **მაცდურთან** გვაქვს საქმე, როცა **განსაცდელი** გვეწვევა, სიფხიზლე და ფრთხილად ყოფნა გვმართებს. **განსაცდელს**, ამასთან ერთად, სიმშვიდით, მოთმინებითა და მალღიერებით უნდა შევეგებოთ და იგი **კეთილად მოვითმინოთ თავის შესაცნობად**, როგორც წმიდა იოანე ოქროპირი გვასწავლის.

განსაცდელი არჩევანის ერთგვარი რეალიზატორია: მე ვერ გავაკეთებ არჩევანს (ვერც კეთილს და ვერც ბოროტს), თუ **განსაცდელი** არ დამატყდა თავს **„სახილველად“** (სულხან-საბა), ესე იგი, თუ არ დავინახავ, არ ვიხილავ, არ გავარჩევ ავსა და კარგს, კეთილსა და ბოროტს. და როცა **ვიხილავ, განვიცდი** მას, ვხდები **გამოცდილი**, ვიძენ **გამოცდილებას**, რაც კეთილია.

პირველდაცემის შემდეგ უფალმა კაცთა მოღვმას **სინანულის გამოცდილება** მისცა, რომელიც არის გზა და საშუალება ცხოვრებისათვის, კვლავ სამოთხეში დაბრუნებისათვის.

„გამოცდადეთ, რაჲ-იგი არს სათნო უფლისა“ (ეფესელთა მიმართ 5, 10) — გვმოდგრავს წმიდა პავლე მოციქული. **რა არის განსაცდელი ქრისტიანისთვის?** ამ შეკითხვაზე პასუხს გვაწვდის იმერეთის ეპისკოპოსი წმიდა გაბრიელი (ქიქოძე):

„განსაცდელი ეწოდება ისრეთს შემთხვევას, რომელიც შთააგდებს კაცსა რომელსამე ცოდვაში“ (ეპისკ. გაბრიელი, I, 519). წმიდა ეპისკოპოსი განსაცდელის სარგებლიანობაზეც მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას: **„განსაცდელი არის ისრეთი გარემოება, ანუ შემთხვევა, რომელსა შინა კაცმან უნებლივად უნდა გამოიჩინოს ნამდვილნი თვისებანი სულისა მისისანი: სიმტკიცე, ანუ სისუსტე მისისა სათნოებისა, უღონოება მისისა სარწმუნოებისა, სიმაგრე, ანუ უღონოება მისისა სათნოებისა და კეთილობისა. მრავალნი არიან ესრეთნი შემთხვევანი და გარემოებანი ცხოვრებასა შინა ყოვლისა კაცისა: სიზარული და მწუხარება, ბედი და უბედურება, შიში,**

დევნა, სნეულება, სიკვდილი მოყვასთა და სხვა“ (ეპისკ. გაბრიელი, II, 240).

ეკლესიის მამები განსაცდელს **ბოროტ დღეებს** უწოდებენ, ვინაიდან ღვთის დაშვებით მოვლენილი განსაცდელის ჟამს ბოროტი განსაკუთრებული მონდომებით გვესხმის თავს. წმიდა წერილში ამის თვალსაჩინო მაგალითია მართალი იობის თავს დატეხილი უძძიმესი განსაცდელი (იხ. იობი თ. 1-2).

ღმერთი განსაცდელებით ჩვენივე თავისკენ გვახედებს, რათა ჩვენ თვითონვე შევიტყოთ საკუთარი ღირსება, და საკუთარი უღირსობაც თავადვე დავინახოთ. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვარწმუნებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის — ვხედავდეთ ჩვენს ღირსებას და ვიცოდეთ, რა არის ჩვენი ფასი, ჩვენი სიცოცხლის აზრი: **„არაოდეს არ მომხდარა, რომ კაცი შეიქმნეს სათნო და წმიდა გარეშე განსაცდელისა“** (ეპისკ. გაბრიელი, II, 240-241).

რაკი განსაცდელმა რომელიმე ცოდვაში შეიძლება ჩაგვაგდოს და, თან, ღმერთი განსაცდელს სასიკეთოდ მოგვივლენს, რათა ჩადენილი ცოდვა თვითონვე დავინახოთ — მაშ, უნდა ვეცადოთ, რომ ცოდვასაც გაგუმკლავდეთ და განსაცდელსაც. როგორ? — **„ვისარგებლოთ განსაცდელით“** (ეპისკ. გაბრიელი, II, 241). ამ მიზნით წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი, მზრუნველი და გონიერი მკურნალის მსგავსად, საკურნებელ „რეცეპტს“ გვაწვდის: შიშმა არ მოვიცვას; წუხილსა და წუწუნს არ აპყვე; მხნეობა არ დაკარგო; სასოება არ წარიკვეთო; მოითმინე; გაფრთხილდი, რადგან ბოროტი გესხმის; აღიარე, რომ ეს განსაცდელი შენი ცოდვების გამო გეწვია; მაღლობა შესწირე უფალს.

ყველაზე მთავარი კი ეს არის — განსაცდელის ჟამს საკუთარ თავს არ ვენდოთ. განსაცდელში ცოდვილი კიდევ უფრო უძლურდება. ამიტომ შემწეობა ყოვლადმოწყალე უფალს უნდა შევთხოვოთ, რათა თავისი მაღლით გაგვაძლიეროს სულითაც და ხორცილთაც. ამის მაგალითი თავად უფალმა იესომ მოგვცა, როცა წმიდა იოანესგან ნათლისღების შემდეგ იგი **„აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან“** და ეშმაკისაგან გამოიკადა უდაბნოში (მათე 4, 1-11).

წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, უფალი იესო ქრისტეს უდაბნოში გამოცდა მრავალმხრივ არის საყურადღებო ყოველი ქრისტიანისათვის. გონიერ ქრისტიანს, წმიდა მამის რწმუნებით, უნდა აშინებდეს განსაცდელის გარეშე განვლილი დრო-ჟამი, რომელიც იმის ნიშანია, რომ იგი ეშმაკისათვის სასურველი სულიერი დაცემის მდგომარეობაშია.

დაბოლოს, კიდევ ერთი შეკითხვა ითხოვს პასუხს განსაცდელებთან დაკავშირებით. თუკი უფალი გვასწავლის: **„იდუქებდით და ილოცევდით, რადთა არა შეხვდეთ განსაცდელსა“** (მათე 26, 41), მაშინ რატომღა მოგვივლენს ხოლმე განსაცდელებს?

წმიდა იოანე ოქროპირი პასუხად შეგვაგონებს, რომ ეს არის უფლის გაფრთხილება, რათა განსაცდელისკენ არ ვისწრაფოდეთ და თვითონვე, საკუთარი თაოსნობით არ შევიქმნათ და არ ჩავიგდოთ თავი განსაცდელში; და თუ ღვთის ნებით გვეწვევა განსაცდელი, ბოროტს მხოლოდ საკუთარ თავს მინდობილნი არ შევებრძოლოთ (წმიდა იოანე ოქროპირი 1996).

გავიხსენოთ, რას ვევედრებით უფალს „მამაო ჩუენოს“ ლოცვით: **„და ნუ შემეყვანებ ჩუენ განსაცდელსა“**. ამ დროსაც იგივე სათქმელი გვაქვს: ეს არის ვედრება ცოდვათა თავიდან ასაცილებლად. განსაცდელი ერთგვარი სა-

სჯელია, ცოდვილის დამსჯელი საშუალებაა. თუკი მოითმენ — გაიმარჯვებ ცოდვაზე! არ მოითმენ? — მაშინ ცოდვა გძლევს და ეშმაკი გაიმარჯვებს. როგორც ითქვა, განსაცდელის მოვლინებაც და მისი ღირსეულად მიღებაც საკუთარი ძალისხმევით შეუძლებელია. ჩვენ მარხვა-ლოცვით, მოთმინებითა და მადლიერებით უნდა მივმართოთ უფალს შეწვევისათვის, ამ უხილავი ბრძოლის სასიკეთოდ დასრულებისთვის.

წმიდა იაკობ მოციქული შენატრის იმას, ვინც მოითმინა და ღირსეულად გამოიარა განსაცდელი: **„ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქნეს და მოიღოს გვრგვნი ცხორებისაჲ, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“** (იაკობი 1, 12).

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

არაბული 2001 — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, „ქართული ენა“, თბილისი.

ახალი აღთქმამ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი 1995 — საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.

იმნაიშვილი 1986 — ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონიკალური ლექსიკონი, აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ქდაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა 1913 — ტ. I, II, ქუთაისი.

მცხეთური ხელნაწერი — (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელენე დოჩინაშვილმა, თბილისი, 1981. (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები — ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), „მეცნიერება“, თბილისი.

ს.-ს. ორბელიანი 1991-1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტორგაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, I და II ტ., „მერანი“, თბილისი.

წმიდა იოანე ოქრობირი — თარგმანებად მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I, წიგნი II, თბილისი.

წმიდა იოანე ოქრობირი — განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა, ნაწილი I, ნაწილი II, თბილისი.

სარჯველაძე 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სარჯველაძე 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ქეგლი 1950-1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

MEDEA GLONTI

Towards the Lexical-Semantic Entities of the Family of Word *cda*

S u m m a r y

The history of the Georgian nation is an important part of the history of Christianity in the whole world. Christianity in Georgia counts about 1 700 years and thus, old Christian footprints of our ethnos are engraved in the Georgian word. Therefore, identifying the genesis of the Georgian word (resp. language), and researching of its lexical-semantic and etymological fields reveals the historical process of Christianization of the Georgian nation, remarkable national psychology of Georgians and Georgian traditions in its full spectrum. All the above mentioned belongs to the Georgian word's and respectively, to the spiritual sphere of Georgian language.

All this is evidenced through analysis of the lexical-semantic entities of the family of word **cda**, considering the appropriate theological texts from holy scripts, including the translations by the Saint Fathers of the Church.

Dozens of the lexical entities, tied together with the root **cad/cd-** are assembled in the mentioned family of words. These entities are generally distributed in three directions: first is **to attempt (to make certain efforts)**, the second – **to try (to see some events with a specific aim, to make actions in order to recognize and get convinced)** and the third is **to tempt (to make efforts to test or to bring someone to sin)**.

Analyzing semantic development of the lexical family of the word **cda** we can convincingly say that all its entities, from the theological viewpoint, show us lexical meanings of great virtues: alertness, patience, gratitude.

What is an ordeal for Christians? We can find the answer to this question in the works of St. Gabriel (Kikodze), Bishop of Imereti: “An ordeal is an event which leads a man into temptation”. Further, the Saint Bishop tells us about benefit of ordeal and explains: “An ordeal is such an event, such a case, in which a man reveals his true essence, his features.”

The important thing is that we became witnesses of evil and good deeds. Chief priests of Church call ordeals **evil days**, because when God sets ordeals on us, much evil happens (see Job, ch. 1-2).

During ordeal the one who begins to recognize oneself first of all, will become bestowed by God. This is the goal of the ordeal.

მეცნიერება

ქართულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ადგილი და ისტორიულ-შეფასებითი ანალიზის საკითხები. I-III

I. ქართველური მიცემითი ფორმანტი -ს და ჩერქეზული ერგატივის -შ

იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების დამახასიათებელ ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად მიჩნეულია ამ ენებში ერგატიული ბრუნვის არსებობა. ამასთან, გარჩეულია ორგვარი ერგატივი: მონოფუნქციური (თავისთავადი, დამოუკიდებელი) და პოლიფუნქციური (საზიარო, შემთავსებელი); ამჟამად ერგატივის ფუნქციონირება თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიურ ენებში საკმაოდ სხვაობა შეინიშნება, ამასთან, წარმოქმნის დროის მიხედვითაც სხვადასხვა ფორმაციის ერგატივი გამოიყოფა (ჩიქობავა 1979, 135-147).

თავისებური ვითარებაა მიცემითი ბრუნვის ფუნქციონირების თვალსაზრისითაც. ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი პოლიფუნქციურობით გამოირჩევა; მთავარია სამი ფუნქცია: გარდამავალი ზმნის რეალური სუბიექტის აღნიშვნა III სერიის ნაკვთებში და ე. წ. ინვერსიულ ზმნებში, პირდაპირი ობიექტისა — გარდამავალი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან, ირიბი ობიექტის გამოხატვა; ამასთან, მიცემითი ბრუნვა ადგილისა და დროის გარემოებასაც გადმოსცემს. რაც შეეხება ერგატიულ ბრუნვას (მოთხრობითს) ქართულში, მას ერთადერთი ფუნქცია მოეპოვება — იგი მეორე სერიაში წარმოდგენილი გარდამავალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს; სუბიექტს წარმოადგენს ერგატივის ფორმა, აგრეთვე, ორ გარდამავალ ზმნასთან (იცის, უწყის), როდესაც ეს ზმნები აწმყოში, ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში დგას (ჩიქობავა 1968, 128-144; იმნაიშვილი 1957, 682-699).

მიცემითის ფუნქციონირება მხრივ მეგრულ-ლაზურსა და სვანურში ფაქტობრივ ქართულსებური ვითარება გვაქვს, ერგატიული ბრუნვის ფუნქციონირება თვალსაზრისით კი ქართველურ ენებში მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნება: მეგრულში ერგატივი სუბიექტია II სერიის ყველა ზმნასთან, ლაზურში — გარდამავალ ზმნასთან ყველა დროსა და კილოში; სვანური ბრუნვის ერთ — ქართველურ ტიპს ერგატივისა და გარდაქცევით ბრუნვისათვის ერთი, საზიარო ფორმანტი -ღ გააჩნია, სხვა ტიპებში კი ქართულსებური ვითარებაა (ჩიქობავა 1968, 128;144; თოფურია 2002, 210-211; კიზირია 1967, 73-74...).

არნ. ჩიქობავას აზრით, გარდამავალ ზმნასთან სუბიექტის ბრუნვის თვალსაზრისით იმ მთის იბერიულ-კავკასიური ენების მსგავსი ვითარება უნდა გვეჩვენოს, რომლებსაც ბრუნვა მოეპოვება, ე. ი. გარდამავალი ზმნის სუბიექტ-

ტის ერთადერთი ბრუნვა ერგატივი უნდა ყოფილიყო (ჩიქობავა 1948, 128).

აფხაზურ-აბაზურ ენათაგან აფხაზური და აბაზური ძირითად ბრუნვებს არ განარჩევენ, ხოლო ჩერქეზულ ენებში ოთხი ბრუნვა გამოიყოფა — სახელობითი, ერგატივი, მოქმედებითი და გარდაქცევითი. ერგატივი აქ პოლიფუნქციურია; მის ფუნქციათაგან მთავარია ორი: გარდამავალი ზმნის სუბიექტისა და ირიბი ობიექტის აღნიშვნა, ე. ი. ამ ბრუნვას მოთხრობითის ფუნქციაც და მიცემითისაც; ამასთან, ამ ბრუნვით გადმოიცემა ინსტრუმენტალისი, მოქმედების აღვლილი და ღრო (როგავა 1939, 101-114; როგავა, კერაშევა 1966, 65-66; კუმახოვი 1971, 101-129). უბიხურ ენაში ჩერქეზულის მსგავსი ვითარება გვაქვს, ე. ი. ერგატივი მოთხრობითისა და მიცემითის ფუნქციებს ითავსებს (დიუმეზილი 1931, 19-20; კუმახოვი 1907, 695).

ყურადღებას იქცევს ერთი **ტიპოლოგიური პარალელი**, რომელიც არსებობს სვანურ და ჩერქეზულ ენებს შორის: სვანურში მიცემითია ის ძირითადი ბრუნვა, რომელსაც თანდებული დაერთვის, ხოლო ჩერქეზულ ენებში ერთადერთი ბრუნვა, რომელთანაც თანდებული გვხვდება, არის ერგატივი, რომელსაც მიცემითი ბრუნვის გამოხატვის ფუნქციაც აკისრია (თოფურია 2002, 203; კუმახოვი 1971, 117; შენგელია 1979, 16; შენგელია 1981, 16-17).

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ფაქტების კონტექსტში (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ქართველურ ენათა მიცემითის მიერ გარდამავალი ზმნის III სერიის ნაკვთებთან სუბიექტის აღნიშვნა, ჩერქეზული და უბიხური ერგატივის მიერ მოთხრობითისა და მიცემითის ფუნქციათა შეთავსება), და გ. როგავას მიერ ქართველურ და ჩერქეზულ ენებს შორის გამოვლენილი შესატყვისობის — ქართვ. **ს** : ჩერქ. **შ** გათვალისწინებით (როგავა 1955, 13) შეიძლება დაისვას საკითხი ქართული მიცემითი ბრუნვის **-ს ნიშნისა და ჩერქეზული ერგატივის -შ სუფიქსის გენეტიკური ერთიანობის შესახებ**.

ადილური **-შ**, რომელიც ჩვენებით ნაცვალსახელთა ერგატივს აწარმოებს, გ. როგავას აზრით, გაქვავებული სახით მოიპოვება, აგრეთვე, ერთ ჩერქეზულ სიტყვაში — ადილ. ჩაშგ-, ყაბ. ჟაბ' „ღამე“; ყაბ. ს' <*შ (როგავა 1964, 240).

ერგატიული და მიცემით ბრუნვათა ნიშნების დაკავშირებას მხარს უჭერს მოსაზრება იბერიულ-კავკასიურ ენათა თავდაპირველ სისტემაში ბრუნვათა ბინარული სისტემის — არამარკირებული სახელობითისა და სათანადო სუფიქსით გაფორმებული პოლიფუნქციური ბრუნვის — არსებობის შესახებ. ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა გ. მაჭავარიანმა გასული საუკუნის 60-იან წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტში წაკითხულ მოხსენებაში. საკითხი სპეციალურად შეისწავლა გ. თოფურიამ და დალესტნურ ენათა მასალაზე ვრცელი დასაბუთებაც წარმოადგინა, ხოლო ბრუნების ამოსავალი ორწევრა სისტემის პოლიფუნქციურ ერგატივს **პალეოერგატივი** უწოდა (თოფურია 1995, 76-78, 159-160).

გ. როგავას შესაძლებლად მიაჩნდა ჩერქეზულ ენათა ნაცვალსახელური ერგატივის **-შ || -ს'** აფხაზური ენის ვითარებითობის მაწარმოებელ **-ს' || -ს** სუფიქსთან, აგრეთვე, ნახური და დალესტნური ენების ერგატივის **-ს** აფიქსთან დაეკავშირებინა, და ერთიანი წარმოშობის ერგატივის ნიშანზე წარმოედგინა მსჯელობა (როგავა 1964, 243).

ჩვენ ვცადეთ საერთოქართველური მიცემითის ნიშანი **-ხ** ჩერქეზული ერგატივის **-შ** || **-ხ'** ნიშანთან დაგვეკავშირებინა, აფხაზურ ვითარებით-გარდაქცევითი ფორმის მაწარმოებელთან მათ კავშირზე მსჯელობისაგან კი თავი შევიკავეთ, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება მისი ქართულიდან შეთვისების შესახებ (ჩიქობავა 1942ა; ლომთათიძე 1954, 61-62).

დასასრულ, გვინდა გამოვთქვათ ვარაუდი ქართველური მიცემითის **-ხ**-სა და ჩერქეზული ერგატივის **-შ** || **-ხ'**-ს აბაზური ენის ვითარებით-გარდაქცევითობის **-შ** || **-შთა** სუფიქსთან კავშირის შესახებ.

II. ქართული ძალ- და ჩერქეზული ძხ

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისით გაანალიზებულია ქართული **ძალ**- ფუძე (**ძალ**-ი, **ძალ**-ა) და მასთან დაკავშირებული სახელური და ზმნური ფუძეები (ჩიქობავა 1942, 25; არაბული 2001, 120-121); აღნიშნულ ფუძეს შესატყვისები მეგრულ-ლაზურსა და სვანურში ეძებნება, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქმე გვაქვს საერთოქართველურ ფუძესთან (ჩუხუა 2000-2003, 165-166; შენგელია 2002, 79).

ნ. იაკოვლევისა და დ. აშხამაფის გრამატიკაში ქართულ **ძალ**- ფუძესთან დაკავშირებულია ჩერქეზულ ენათა **ძხ** „ჯარი“ და ჩერქეზულში ქართულ ნასესხობად მიიჩნევა (იაკოვლევი, აშხამაფი 1941, 239-240); ამ დაკავშირებაში ეჭვი შეიტანეს სემანტიკაში არსებული სხვაობის გამო (როგავა 1956, 120-121; შაგიროვი 1977, 165).

ვფიქრობთ, ჩერქეზული **ძხ**-სა და ქართველური **ძალ**-ის დაკავშირებისათვის ფონეტიკური თუ სემანტიკური ხასიათის დაბრკოლება არა გვაქვს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ი. აბულაძის ლექსიკონში **ძალ**-ისათვის „ჯარის“ მნიშვნელობაც არის წარმოდგენილი (აბულაძე 1973, 523).

საქმე გვაქვს საერთო ქართველურ-ჩერქეზულ ლექსიკურ ერთეულთან, თუ ეს სიტყვა ერთი ენიდან მეორეში შესულად უნდა მივიჩნიოთ? თუ მეორე შესაძლებლობას მივიღებთ, ქართულიდან სესხების ვარაუდი უფრო რეალურია, რადგან ჩერქეზულში ბოლოკიდური სონორის დაკარგვა მოულოდნელი არ იქნება, ქართულში კი იმავე პოზიციაში **ლ**-ს გაჩენა ძნელად დასაშვებია.

ჩვენ უფრო პირველი თვალსაზრისი გვგონია მისაღები, რომელიც ამ ქართველურ და ჩერქეზულ სიტყვათა კავშირს ქართველურ-ჩერქეზულ გენეტიკურ შეხვედრათა რიცხვს მიაკუთვნებს.

III. ქართული ჯვარ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

ჯვარ სიტყვისათვის ქართულშიც (ახალშიცა და ძველშიც) ძირითადია ქრისტიანული სიმბოლოს აღნიშვნა, თუმცა მას ზოგი სხვა მნიშვნელობაც აქვს (საბა 1928, 471-472; ქეგლ 1964, 1580-81; აბულაძე 1073, 575...). თვითონ საგანი, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს, წარმოიდგინება როგორც ორი, ერთმანეთის გადაკვეთი, ერთმანეთზე გადაჭლობილი ძელი, ღერო, ჯოხი...

სამეცნიერო ლიტერატურაში გვაქვს გარკვეული თვალსაზრისი **ჯვარ** სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ, კერძოდ მიჩნეულია, რომ, ფონეტიკურ შესატყვისობათა გათვალისწინებით, იგი უკავშირდება მეგრულ **ჯგუნჯ**-სა და ლაზურ **მზგუჯ**-ს, რომელთა მნიშვნელობაა „სარი, პალო“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1964, 289; კლიმოვი 1964, 269). მკვლევართა ნაწილი არ უჭერს მხარს ამ მოსაზრებას, მაგრამ არც ქართული **ჯვარ** სიტყვის შესატყვისებს წარმოგვიდგენს ქართველურ ენებში, დასახელებულ მეგრულ-ლაზურ სიტყვებს კი ქართულ **ჯოჯ**- („საყრდენი ბოძი“) ფუძეს უკავშირებს (გიგინეიშვილი 1984; ფენრიხი, სარჯველაძე, 729).

შესაძლებლად მიგვაჩნია სხვაგვარი თვალსაზრისი წარმოვადგინოთ: ვფიქრობთ, ქართული **ჯვარ** სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ **ძგორ**-ს, რომელიც ო. ქაჯაიას მეგრული ლექსიკონის მიხედვით „(წამახულ) კუთხეს, წიბოს“ აღნიშნავს (ქაჯაია 2002, 382). სემანტიკურად მათი დაკავშირება რთული არ უნდა იყოს. რაც შეეხება ფონეტიკურ მხარეს, ამოსავალი ვითარება (**ჯჷარ** || **ჯვარ**-) ქართულს შემოუნახავს, მეგრული **ძგორ**- კი გარკვეული ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგია: თავკიდურმა **ჯ**-მ მოსალოდნელი **ჯგ**-ს ნაცვლად, დადგენილი კანონზომიერების შესაბამისად, **ძგ** მოგვცა, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც დისიმილაციური დელაბიალიზაცია (გამყრელიძე 1959, 75).

მომხდარი ფონეტიკური პროცესი **ჯგ > ძგ** სხვაგვარადაც შეიძლება აიხსნას, კერძოდ, შესაძლებელია აღნიშნული კომპლექსის მომდევნოდ ბაგისმიერი თუ კბილბაგისმიერი ბგერის **ჷ** || **ვ**-ს **ასიმილაციური გავლენით** (რეგრესული ასიმილაცია) არტიკულაციის წინ გადმოწევასთან გვქონდეს საქმე. აქ შეიძლება გავიხსენოთ ი. ყიფშიძის მიერ წამოყენებული ცნობილი დებულება, რომლის თანახმადაც ქართველური ენებისათვის უპირატესი და დამახასიათებელი რეგრესული ასიმილაცია და პროგრესული დისიმილაცია (ყიფშიძე 1919, 8).

მთლიანობაში პროცესი სქემატურად ასე წარმოგვიდგენია: ***ჯჷარ > *ჯგჷარ > *ძგჷარ > ძგორ** (ჷა || ვა > ო მეგრულში ჩვეულებრივი პროცესია).

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

არაბული 2001 — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნალობის პრობლემა, თბილისი.

გამყრელიძე 1959 — თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უფველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

გიგინეიშვილი 1984 — ბ. გიგინეიშვილი, დამატებანი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკურ ფონდში. — თსუ შრომები, ტ. 245, თბილისი.

დიუმეზილი 1931 — G. Dumézil, La langue des Oubykhs, Paris.

თოფურია 1995 — Морфология склонения в дагестанских языках, Тбилиси.

იაკოვლევი, აშხამაფი 1941 — Н. Ф. Яковлев, Д. А. Ашхамаф, Грамматика адыгейского литературного языка, Москва-Ленинград.

იმნაიშვილი 1959 — ი. იმნაიშვილი, სახელის ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

კიზირია 1967 — А. И. Кизирия, Занский язык. — ЯН СССР. IV. Иберийско-кавказские языки, Москва.

კლიმოვი 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

კუმახოვი 1967 — М. А. Кумахов, Убыхский язык. — ЯН СССР. IV. Иберийско-кавказские языки, Москва.

კუმახოვი 1971 — М. А. Кумахов, словоизменение адыгских языков, Москва.

ლომთათიძე 1942 — ქ. ლომთათიძე, ბრუნების საკითხი აფხაზურში. — ენიმკის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ლომთათიძე 1954 — ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი.

როგავა 1939 — ქვემოადიღურის ბრუნვათა საკითხისათვის. — ენიმკის მოამბე, ტ. IV₂, თბილისი.

როგავა 1955 — გ. როგავა, ბგერათა ფარდობის ზოგი საკითხი ქართველურსა და ადიღურ ენებში. — ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

როგავა 1956 — Г. В. Рогава, К вопросу о структуре именных основ и категории грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тбилиси.

როგავა 1964 — გ. როგავა, ერგატივის საკითხისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში. — იკე, ტ. XIV, 1964.

როგავა, კერაშევა 1966 — Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

საბა 1928 — სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ყიფშიძე 1919 — ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში. — ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №1, ტფილისი.

ქეგლ 1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქაჯაია 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

შაგიროვი 1977 — А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, т. I, Москва.

შენგელია 1979 — В. Г. Шенгелиа, К истории послелогов в картвельских языках. — VIII региональная научная сессия по изучению системы и истории иберийско-кавказских языков. Тезисы докладов, Черкесск.

შენგელია 1981 — В. Г. Шенгелиа, К истории дательного падежа в картвельских языках. — IX региональная научная сессия по изучению системы и истории иберийско-кавказских языков. Тезисы докладов, Махачкала.

შენგელია 2002 — ვ. შენგელია, ერთი ქართველური ფუძის ეტიმოლოგიისათვის. — XXII რესპ. დიალ. სამეცნ. სესიის მასალები. თბილისი.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩიქობავა 1942ა — А. С. Чикобава, Морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками. — ენიმკის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ჩიქობავა 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში (II გამოცემა), თბილისი.

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

VAZHA SHENGELIA

Issues of Descriptive and Historical-Comparative Studying of the Kartvelian and Abkhaz-Circassian Languages. I-III

S u m m a r y

1. Among the functions of an ergative of the Circassian languages, two ones are principle - denoting of a subject and an indirect object of a transitive verb (relevant personal markers occupy different place in a verb). In the Kartvelian languages an ergative has only one function – it expresses only a subject (exception is a noun with **-d** case marker in Svan), an indirect object is expressed by a noun in a dative case in three Kartvelian languages. In this context, the author supposes that an archaic formant **-š** of a Circassian poly-functional ergative and a dative formant **-s** of the Kartvelian languages can be connected with each other. This expressed viewpoint is supported by the corresponding manifested by G. Rogava: Kartv. **s**: Circ. **š**.

2. A Circassian **zā** 'army' must be connected with Georgian **zala** 'power' and its corresponding Megrelian **žolo**, which is represented in a composite word **žoloḳet-i** 'lever'.

3. The author connects a Georgian **žvari** 'cross' with Megrelian **žgori** which according to O. Kajaia's explanation means "a pointed corner".

მანანა ჩაჩანიძე

**სინქრონის ცნების საკითხისათვის თანამედროვე
ლექსიკოგრაფიაში**

სინქრონის ცნების საკითხი უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში. აღნიშნული საკითხი უმჭიდროესად უკავშირდება თანამედროვე ინტეგრაციული ლექსიკოგრაფიის თეორიის საფუძვლებსა და პრობლემატიკას. იმის გათვალისწინებით, რომ ახალმა ლექსიკოგრაფიულმა სიტუაციამ ახლებურად დასვა არაერთი საკითხი ლექსიკოგრაფიის თეორიის სფეროში და, ფაქტობრივად, მოშალა მკაფიო საზღვრები აკადემიურ, დარგობრივ, გამოყენებით და საგამომცემლო ლექსიკოგრაფიის შორის, სინქრონის ცნების საკითხი ერთგვარ ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს, ამასთან მიმართებით სულ უფრო და უფრო ხელშესახებად მოტივირებული ხდება ლექსიკოგრაფიის ევოლუციის განმაპირობებელი ოთხი ძირითადი კომპონენტი:

- 1) საზოგადოების მოთხოვნები;
- 2) ლექსიკოგრაფიის მიმართება თეორიულ ენათმეცნიერებასთან;
- 3) ლექსიკოგრაფიის განვითარების შინაგანი კანონები;
- 4) ლექსიკოგრაფიისა და სალექსიკონო ინდუსტრიის ურთიერთმიმართება.

სწორედ ამ ძირითად კომპონენტთა ფარგლებში ჯგუფდება მეტ-ნაკლებად რიგი იმ საკითხებისა, რომელსაც თანამედროვე ზოგადი ლექსიკოგრაფია კვლავ პრობლემურად მიიჩნევს (დაწვრ. იხ. ჩაჩანიძე 2005ა; ბ. ჩაჩანიძე 2006).

ჩვენ ამჟამად საკუთრივ სინქრონის ცნება გვანტერესებს. მოკლე ისტორიული ექსკურსი სათანადო სამეცნიერო ლიტერატურიდან გვეუბნება, რომ ლექსიკას (ენის ლექსიკურ შედგენილობას) იკვლევს ლექსიკოლოგია; აღწერს ლექსიკოგრაფია. ლექსიკა იცვლება განუწყვეტლივ. მისი ნებისმიერი გამოკვლევა და მით უფრო ფრონტალური აღწერა ჩამორჩება, მაშასადამე, ცოცხალი ენის ლექსიკის მყისიერი სურათი პრაქტიკულად შეუძლებელია როგორც კვლევა-ძიებით (ლექსიკოლოგიურ), ისე აღწერით (ლექსიკოგრაფიულ) პლანში. ეს ნიშნავს, რომ სინქრონიული ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია თეორიულად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ხდება. ეს ხანდაზმული პრობლემა ლექსიკოგრაფიის თეორიისა და პრაქტიკის მკვლევართა ყურადღებას ყოველთვის ჯეროვნად იპრობდა, ამ თემას უკავშირდება არაერთი სერიოზული ნაშრომი, რომელთაგან ყველაზე არგუმენტირებული პ. დენისოვის, ვ. ბლანარის, ვ. მორკოვკინისა და ე. აგრიკოლას გამოკვლევებია. პ. დენისოვი, განიხილავს რა სინქრონიული ჭრილისა და ენის სინქრონიული მდგომარეობის ცნებებს ლექ-

სიკასა და ლექსიკოგრაფიაში, გვთავაზობს ამ ცნებათა დეტალიზაციას ენის ლექსიკურ სისტემასთან მიმართებით. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თეორიული საფუძვლების განვითარების საჭიროება გვაიძულებს ჩვენ დავაზუსტოთ როგორც შინაარსი მითითებული ორი ცნებისა, ასევე მათი ურთიერმიმართება“ (დენისოვი 1986: 89). ამ პრობლემის ანალიზისას მკვლევრისათვის პრინციპული მნიშვნელობის მქონეა ენის სტრატეფიკაციის (ბირთვისა და პერიფერიის) საკითხი და ლექსიკური სისტემის სოციოკულტურული ჩარჩოები. მკვლევარი საგანგებო ყურადღებას უთმობს დოკუმენტირების პრობლემას ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მიკროდიპტონის ფონზე, რაც, თავის მხრივ, სვამს ლინგვისტური რეკონსტრუქციების დაშვებისა და კორექტულობის საკითხს და დასძენს, რომ: „დოკუმენტირება თავისთავად არ არის ანი და ჰოე, არც სინქრონიულ-ნორმატიული და არც საცნობარო-ისტორიული ლექსიკოგრაფიისათვის. საქმე ეხება არა დოკუმენტის ობიექტურობას ან რეკონსტრუქციის სუბიექტურობას, არამედ ორივე მათგანის მტკიცებულებებს... თანამედროვე მდგომარეობა ენისა არა მარტო ფიქსირდება, არამედ რეკონსტრუირდება“ (დენისოვი 1986: 94).

ვ. ბლანარი ლექსიკოგრაფიულ აღწერაზე მსჯელობისას წერს, რომ: „ენობრივ განვითარებას აქვს უწყვეტი ხასიათი და მისი შედეგია დინამიკური მიმართებები ენობრივი ელემენტებისა და მოვლენებისა თითოეულ სინქრონიულ ჭრილში. ლექსიკოგრაფიულ აღწერაში მოვლენები და მიმართებები კლასიფიცირდება და მოწოდებულია პრინციპში როგორც დისკრეტულები. ჩვეულებრივ, დოკუმენტირდება ტიპური მოვლენები, ნაკლები ყურადღება ეთმობა პერიფერიულ და გარდამავალ მოვლენებს. ამით საკმაოდ იზრდილება ენობრივი სისტემის მეტად დამახასიათებელი თვისება, კერძოდ, მისი დინამიკური ხასიათი. ამიტომ თეორიული (ლექსიკოლოგიური — მ. ჩ.) კვლევების შედეგები გადატანილ უნდა იქნეს პრაქტიკაში. ლექსიკოგრაფიული აღწერის დახმარებით უნდა მოხდეს გამოკვლევა სისტემური (ცენტრალური — მ. ჩ.) და პერიფერიული მოვლენებისა მათი ფარდობითი სისრულითა და დინამიკური წინააღმდეგობებით“ (ბლანარი 1985: 77-82).

წარმოდგენილი ამონარიდების მიხედვით, თითქოსდა, ცალსახად იკვეთება ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ობიექტურად არაერთგვაროვანი ხასიათი და სინქრონიულობის საკითხიც ნაკლებ პრობლემური ჩანს. თუმცა ეს ზედაპირული შთაბეჭდილება იმწამსვე ქარწყლდება, როგორც კი ლექსიკოგრაფიის თეორიის შეფასებაზე მიდგება საქმე. მკვლევრები ხაზგასმით მიანიშნებენ ზოგადი ლექსიკოგრაფიის არაბალანსირებულ თეორიულ საფუძვლებზე. ამ თვალსაზრისით, პრობლემა არა საკუთრივ არაერთგვაროვნება ლექსიკოგრაფიის თეორიისა (შდრ. პრაქტიკის არაერთგვაროვნება), არამედ, ზოგადად, დამოუკიდებელი თეორიის უქონლობა. მაგალითად, ვ. მორკოვკინი წერს, რომ „დამოუკიდებელი თეორიის უქონლობა ხელს უშლიდა და უშლის ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ნათელ პერსპექტივებს და სავსებით მტკიცებულად აისახება ლექსიკოგრაფიული ნაშრომების ხარისხობრივ მხარეზე“ (მორკოვკინი 1987: 33). ე. აგრიკოლა კი მეტად კრიტიკულ კითხვებს სვამს, კერძოდ: „რამდენადაც ლექსიკოგრაფიას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ ჰქონდა შესაძლებლობა დაყრდნობა

საკუთარ ლექსიკოგრაფიულ კონცეფციას, მართლზომიერია მივიჩნიოთ, რომ მას ისტორია აქვს საერთოდ? როგორი შეიძლება იყოს ყოფილიყო ლექსიკოგრაფია, თუკი ის დაეყრდნობოდა სოლიდურ თეორიულ საფუძველს?“ (აგრიკოლა 1984: 72-82).

ვფიქრობთ, ამ კრიტიკულ კითხვებს ამომწურავად თუ არა თითქმის ამომწურავად სათანადოდ დასაბუთებულ პასუხს სცემს ლექსიკონთა ტიპოლოგიის ერთი ახალი უბანი, რომელიც საერთო ენის განმარტებით ლექსიკონს განიხილავს როგორც ენის ლექსიკოგრაფიულ მოდელს (ვრცლად იხ. ჩაჩანიძე 2005 ა: 21. ჩაჩანიძე 2008). თანამედროვე ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა მისთვის ნიშანდობლივი ყოველგვარი ტენდენციით, მთელი სისავსით მოწმობს სწორედ იმას, რომ ლექსიკოგრაფიის თეორიის სიმძიმის ცენტრი არც მეტი და არც ნაკლები პირობადებულია ლექსიკონთა ტიპოლოგიის მიმართებით კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიასთან. ამ უკანასკნელში არსებითია არა ლექსიკონთა ტიპები ტრადიციული გაგებით, არამედ ლექსიკონები, როგორც მონაცემთა ბაზები და ამ ბაზებთან მიმართვის განსხვავებული რეჟიმები. საბოლოოდ კი როგორც ტრადიციული, ისე კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის მიხედვით სტრუქტურულად გვაქვს ერთი ტიპი უნივერსალური ლექსიკონისა, ე. ი. ლექსიკონური ბაზა მონაცემებისა, რომლის ტიპურ სქემაში ცვლადებად მოცემულია ობიექტთა ტიპები, ატრიბუტთა ტიპები და ობიექტების ატრიბუტთა მიმართების ტიპები ენობრივ სისტემასთან (სისტემებთან). ამ ერთგვარი შემოსაზღვრულობის მიუხედავად, ლექსიკონთა ფენომენოლოგიური ტიპები (ენის, როგორც სისტემის, ფუნქციონირების მიხედვით: სინქრონია, დიაქრონია, გეოგრაფია, ქრონოლოგია, სტილებრივი დიფერენციაცია და მისთ.) უაღრესად მრავალრიცხოვანია, რასაც ფაქტობრივად ადასტურებს თანამედროვე ლექსიკოგრაფიული სიტუაცია.

თანამედროვე ლექსიკოგრაფიული ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ახალმა ლექსიკოგრაფიულმა სიტუაციამ, ერთი მხრივ, ახლებურად დასვა არაერთი საკითხი ლექსიკოგრაფიის თეორიისა და პრაქტიკისა, ამასთან გადაწყვეტა მოუნახა არაერთ პრობლემას, თუმცა, მეორე მხრივ, ახალი სირთულეებიც შექმნა (მხედველობაში გვაქვს, უპირატესად, ლექსიკოგრაფიული ინდუსტრიის პრობლემა და მასშტაბურად მზარდი ლექსიკოგრაფიული რეესტრი). საინტერესოა საკითხთა ამგვარი დანაწილებისას რა ვითარებაა სინქრონის ცნებასთან დაკავშირებით, ახალმა ლექსიკოგრაფიულმა სიტუაციამ შესძინა თუ დააკლო რამ სინქრონული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თეორიულ საფუძველიანობას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია და იგი წარმატებით დაძლეულ პრობლემურ საკითხთა რიგს განეკუთვნება. ახალი ლექსიკოგრაფიული სიტუაციის მეოხებით სწორედ რომ თეორიული დასაბუთება შეიძინა ამ საკითხმა, უფრო მეტიც, ახალი ლექსიკოგრაფიული სიტუაცია თვით გამოდგება ამ საფუძველად. კომპიუტერული ლექსიკოგრაფია, როგორც მეცნიერული მიმართულება, ამის საუკეთესო დადასტურებაა.

ლიტერატურა

აგრიკოლა 1984 — აგრიკოლა, Агрикола Э., Микро-, меди- и макро-структуры как содержательная основа словаря, ВЯ.

ბლანარი 1985 — ბლანარი, Бланар В., Лексикология лексикографии, ВЯ, 3.

დენისოვი 1986 — დენისოვი, Денисов П. Н., О понятии синхронного среза и синхронного состояния языка в лексике и лексикографии, ВЯ, 3.

მორკოვკინი 1987 — Морковкин В. В., Об объеме и содержании понятия «теоретическая лексикография», ВЯ, 6.

ჩაჩანიძე — მ. ჩაჩანიძე, ა. ენის ლექსიკოგრაფიული მოდელი და ლინგვისტურ მონაცემთა ბაზები. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №12.

ბ. კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის ადგილისათვის ლექსიკოგრაფიის ტექსტონომიურ სისტემაში. საენათმეცნიერო ძიებანი, XX, თბილისი.

კომპიუტერული ლექსიკოგრაფია და ლექსიკონთა ტიპოლოგიის საკითხი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 7.

ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაში. იკე, XXXVI, 2008.

MANANA CHACHANIDZE

Towards the Conception of Synchrony in the Modern Lexicography

S u m m a r y

The issue of conception of synchrony is topical in the modern lexicography. The mentioned issue is connected with fundamentals and problems of theory of the modern integrative lexicography.

The article represents the role of computeral lexicography for theoretic thoroughness of synchronic lexicology and lexicography on the basis of the modern lexicographic situation.

ნიწო ცინიშვილი

ბრძანებითის ფორმები საშუალო ქართულში

ძველ ქართულში ბრძანებითი კილოს ფორმები განსხვავებულია თხრობითი კილოს ფორმებისაგან. როგორც ცნობილია, **II** ბრძანებითის ფორმები პირნაკლია და წყვეტილისაგან მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის ნიშნებით განსხვავდება (შანიძე 1976). „**II** ბრძანებითს მხოლოდ ორი პირი მოეპოვება: მეორე და მესამე სუბიექტური... მეორე პირის ბრძანებითი იყენებს წყვეტილის სათანადო ფორმას სუბიექტური პირის ნიშნის ჩამოკლებით (წყვ.: დასწერე, შეკრიბე, დასწერეთ, შეკრიბეთ; ბრძ.: დასწერე, შეკრიბე, დასწერეთ, შეკრიბეთ). **III** პირის ბრძანებითში კი წყვეტილის ფუძეზე ერთვის **ნ** და **ედ** პირის ნიშნები: მან იგი დასწერე-**ნ**, შეკრიბე-**ნ**; მათ იგი დასწერე-**ედ**, შეკრიბე-**ედ** (← *დასწერე-ე-ედ, *შეკრიბე-ე-ედ“ (იმნაიშვილი, იმნაიშვილი 1996: 170).

ახალ სალიტერატურო ქართულში ბრძანებითის ამგვარი გამოხატვა აღარ ხდება. „მესამე პირის ფორმები საზოგადოდ დაიკარგა. **II** ბრძანებითის მწკრივი წარმოების თვალსაზრისით ისეთივეა, როგორც წყვეტილი“ (შანიძე 1980: 431).

ბრძანებითის ფორმათა განკერძოებულად მიმოხილვა ემსახურება მიზანს, საშუალო ქართულის მასალაზე დაყრდნობით წყვეტილის ფორმებთან მათი იდენტურობა ვაჩვენოთ: განსახილველ ფორმათა წარმოება წყვეტილის წარმოების ანალოგიურია. ბრძანებითის ფორმები იზიარებენ თითქმის ყველა იმ თავისებურებას, რაც წყვეტილის მწკრივისთვისაა დამახასიათებელი. გვინტერესებს, საშუალო ქართულის ძეგლებში გვხვდება თუ არა ბრძანებითის ძველი ქართულისეული ფორმები, თუ ახალი ქართულისებურია ვითარება.

I ყალიბით წარმოებული წყვეტილის (ყალიბის შესახებ იხ.: გ. გოგოლაშვილი 1984) სხვა დანარჩენ ზმნათა მსგავსად ბრძანებითის ფორმებშიც იშვიათია მხ. რიცხვის ნართაულხმოვნისანი „მოკვალი“ ტიპის ზმნები. ისინი აქაც ძირითადად მხატვრულ ტექსტებშია. პოეზიაში მათი გამოვლენა უმეტეს შემთხვევაში სალექსო საზომით აიხსნება. ნართაულხმოვნისან ფორმათა დამოწმება უმთავრესად **XVII** საუკუნიდანაა შესაძლებელი. თუმცა „ვეფხისტყაოსანშიც“ ვნახეთ „მოკვალი“ ტიპის ზმნა, რომელიც მხოლოდ სარიტმო ერთეულადაა აქ გამოყენებული:

ამას გკადრებ, არ ეგების მარტოსაგან წასლვა შენი,
თანა ყმათა წამოგატან იმსახურენ, **იახლენი** (ვეფხ., 1006, 2).

პოეტური აუცილებლობა შეაპირობებს ამგვარი ფორმების გამოჩენას თეიმურაზ **II**-ის, ბესიკის, დავით გურამიშვილის, არჩილის პოეზიაშიც:

უბრძანა: რადგან ცოდნა გაქვს, ლექსები **გამოსთქვენო**

გინახავს ყველას, მოგწონსცა სულ ჩემნი დანაწერნიო (თ. II, გვ. 123. 15, 3);

სად ფერნამკრთალსა მარტორქის ძალსა,
ძლითლა უპყრიან სიკვდილნი მზანი!

გაწირვად მისულს სოფლის განსასრულს
მუშთარი შვებად **შეამეცანი** (ბეს., გვ. 63. 6, 8);

ამას გწერ გრიგოლ კრემენ-ჩუკელი,

გიორჩევ, ცოტადრე ჭამას **უკელი** (ბეს., გვ. 78);

კარგად განწყობით მაგრად **შეკარი**

იგვრივად უქმენ კიდობანს კარი (დავითიანი, გვ. 253. 521, 1);

ქნა შიშით კანკალი

თქვა: „ღმერთო, **მამკალი** (დავითიანი, გვ. 226. 315, 4);

მაგით სხვას ნუ ემსგავსეთ, თქვენ მაღალ-ხართ და სხვა ქენი,

თვარ კაცობას ნულარ იტყვიოთ და პირუტყვი **დაირქვენ** (არჩ., I, გვ. 28. 69, 4);

სახლი დავადლო, დამრჩება, ვით მონაგლეჯი, ნახევი,

ეს შენი უსამართლობა, უწყალოვ, მოდი, **ნახევი** (არჩ., I, გვ. 38. 154, 4).

დასახელებულ შემთხვევებში რითმაც „მოვკალი“ ტიპის ზმნათა გამოვლენის საფუძველი, მომდევნო ტაეებში კი მუხლთა თანაბარზომიერება:

ტანსა რაც გინდა **უყავი**, თავს ნუ შემირყეო (დავითიანი, გვ. 82. 395, 1);

უთხარ: უკანვე **ქენი** ნავარდი (დავითიანი, გვ. 244. 454, 2);

ნოემ გაუშვა სარკმლით ყორანი,

სცანი, თუ ღმერთმან წყალთ უყო რანი (დავითიანი, გვ. 257. 550, 2);

ბატონი თუ ჯდეს მოწყენით, უთქმელად დასულელებული,

ნურც შენ იცინი, მათთანა **დუმენი** სულდაღებული (არჩ., I, გვ. 9. 54, 2);

თათბირი **ჭქენი**, მანდ იხმე, ღრუბლით მზე აღარ დაჭმუნდეს (არჩ., I, გვ. 153. 146, 3).

I ყალიბის ზმნათა მხ. რიცხვის ფორმებთან ნართაული **-ი** კიდევ უფრო იშვიათად პროზაულ ტექსტებში შეგვხვდა:

რაცა გთხოვოს ფასი, **მიეცი** (თ. II, 193, 17);

მოიქეცი, ცხოვარო წარწყმედილო (საბა, სწავლ., გვ. 49);

თუცა რისხვა გნებავს ჩემი, **მომკალი** და ამიკლე (საბა, ს.ს. გვ. 149);

მე შენგან გამიგონია სანდურავი ჩემზედ, და რა არის საგანი, **მიოხარი** მე (ბატონიშ., II, გვ. 232).

საინტერესოა, რომ ბრძანებითის არქაულ ფორმათაგან „მოვკალი“ ტიპის იშვიათი ზმნები უმეტესად პროზაულ თხზულებებში დასტურდება, პოეზიაში კი მათი გამოჩენა თითქმის ყველა შემთხვევაში ლექსთწყობის საკითხია.

ისტორიული და სამართლებრივი ხასიათის ძეგლებში ასეთი ფორმები აქა-იქაა შემორჩენილი.

ლეონტი მროველის თხზულებაში „მოვკალი“ ზმნა მარიამისეულ (XVII ს.) ხელნაწერშია:

ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, **მოკალი** იგი (ქ. ცხ., I, 20, 11).

ჯუანშერის ისტორიაშიც შეგვხვდა ასეთი ზმნები. მარიამისეულ ნუსხაში დადასტურდა ამგვარი წარმოება:

ჩემ ზედა და თქუენ ზედა სწორად მოწევნული არს განსაცდელი ესე, არამედ ესრეთ **იბყართ**, ვითარცა არა მოწევნულ არს თქუენ ზედა (ქ. ცხ., I, 148, 1);

უთხართ მეფესა ხუასროს: პირველად განემზადეთ ბრძოლად ჩუენდა (ქ. ცხ., I, 200, 10).

ეს უკანასკნელი XVIII საუკუნის I მეოთხედის თეიმურაზისეულ ხელნაწერში უკვე ნართაული ხმოვნით არის წარმოდგენილი (უთხართ).

XVI საუკუნის ანასეულ ხელნაწერში ძველი ქართულისეული ფორმაა, რომელსაც XVII საუკუნის მარიამისეულ და XVIII საუკუნის მაჩაბლისეულ ნუსხებში ახალი წარმოება ენაცვლება:

თაყუანის-ეცით ჯუარსა და ვსძლოთ მტერსა, რომელმან არა თაყუანის-ეცეს, **მოკალო** (ქ. ცხ., I, 174, 1).

ვატანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, კერძოდ, ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში დადასტურდა „მოკალო“ ტიპის ზმნა:

რამეთუ ესე, რომელი ვსთქუა, **გულისნმა ყავთ** და დაიდევით გონებასა თქუენსა (სამ. ძეგლ., I, 132).

სულხან-საბას ნაწარმოებებიდან მხოლოდ „სწავლანში“ შეგვხვდა ამ ტიპის არქაული ფორმები. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სტილისა და გრამატიკულ ფორმათა არქაიზაციას აქ სხვა დანიშნულება აქვს, შექმნას ძველი ქართული სალიტერატურო ენის ილუზია. ამიტომაც გვერდი-გვერდაა ძველი და ახალი წარმოება:

გულისნმა-ყავთ ლოცვასა ზედა, მოუბარნო, თუ ვითარისა სატანჯველისა თანა-მდედ ხართ! (საბა, სწავლ., გვ. 26);

გულისნმა-ყავით, ვითარ სანატრელ არს ადგილი უფლისა და სახლი ღმრთისა (საბა, სწავლ., 164, 503);

საყვარელნო, ამით **სცანთ** სიბოროტე მემთვრალობისა (საბა, სწავლ., 217, 676);

და **სცანთცა** მართლმადიდებელთა, რამეთუ სამნი საწმარ არიედ პური, ღვინო და წყალი ზიარებად (საბა, სწავლ., გვ. 42);

სცანით, რამეთუ ესე იგი არს განზავება (საბა, სწავლ., გვ. 43).

პოეზიაში მოძიებული ბრძანებითის ძველი ქართულისეული ფორმებიდან თითქმის ყველა მათგანი ლექსის საზომს ემსახურება.

მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმის გამოყენება თექვსმეტმარცვლიან ტაეპში მუხლთა („რუულთა“) თანაბარმარცვლიანობას დაარღვევდა, ამიტომაც ავტორმა ძველ ფორმას მიმართა:

მართალ ხართ, **მომკალო**, რა გესმას ამბავი გაკვირვებული (ვეფხ., 744, 2).

ასეთივე საფუძველი აქვს „მომკალო“ ტიპის ზმნათა გამოჩენას თეიმურაზ I-ის პოეტურ ნაწარმოებებში:

ჰქენთ, წადით გალილიასა, მუნ ნახოთ — მიელოდებით (თ. I, გვ. 152. ქ-4);

სცანთ, უცილოდ გარდახდების — კაცი იქმსო რასაც ავად (თ. I, გვ. 41. 126, 4);

იცანთ ღმერთი უკეთესი, სჯობს კერპთაგან განყენება (თ. I, გვ. 95. 282, 2).

იგივე ითქმის ბესიკის პოეზიაში დადასტურებულ არქაულ ფორმებზეც. მარცვალთა თანაფარდობა შეაპირობებს მათ არსებობას როგორც „რძალ-დე-დამთილიანის“ თექვსმეტმარცვლიან სტრიქონში, ისე მუხამბაზის ფორმით დაწერილი „ტანო ტატანოს“ ტაეპის მონაპირე მუხლებში:

მიუბყართ ყური მთქმელსაცა, ამისა წარმომჩენელსა (ბეს., გვ. 48. 1, 4);

მკვდარი მიჯნური დამითირეთ, **დამფალთ** სამარეს (ბეს., გვ. 7. 5,4).

ანალოგიური ვითარებაა დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსში“:

სცანთ, მათ ქნეს სარფა რა, აჭამვა ფანფარა

ედემთ ხილთ ნაცვლად (დავითიანი, გვ. 243. 442, 3).

როცა ქრისტიანობასთან დაკავშირებულ თემებს ეხება „კალმასობაში“, სასულიერო ჟანრისათვის ნიშანდობლივი ენისა და სტილის მისადაგებას იოანე ბატონიშვილი ამგვარი ფორმებითაც ცდილობს:

ყოველთა მამათ ანუ **უარჰყავთ** ქრისტეა და ანუ შეკრულნი შეგიყვანეთ შინაგან ეკლესიისა თქვენისა (ბატონიშ., II, გვ. 129);

ჰყავთ იგი, ჩვენ უკვე ხრწნადისა სოფლისა ამის დიდებამან ვერა განგვაყენოს სიყვარულსა მას ქრისტესა (ბატონიშ., II, გვ. 129).

რაც შეეხება ნაწილობრივ რედუცირებადი საყრდენი მორფემის მქონე უნიშნო ბრძანებითის ფორმებს, როგორც მოსალოდნელი იყო, ძველი ქართულიდან შემორჩენილი ეს იშვიათი ზმნები დადასტურდა „ქართლის ცხოვრებაში“ და სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანში“. თითო-თითო ზმნას იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ და არჩილის პოემებშიც შევხვდით.

ლეონტი მროველის მარიამისეულ ხელნაწერში ორიოდ ფორმა ვნახეთ:

მიართუ მცხეთას მეფესა მას წარმართთასა (ქ. ცხ. I, 86, 7);

და სადა პოვნი ვნებანი იგი ცეცხლისანი, ცეცხლითა დაწუნენ, და ნაცარი **შეასუ** რომელნი მათ ესვიდენ (ქ. ცხ., I, 130, 2).

XVIII საუკუნის მაჩაბლისეულ და დადიანისეულ ნუსხებში ამ ზმნას „შეასვ“ ფორმა სცვლის.

ასეთივე ზმნის ფორმებია ჯუანშერის ისტორიაშიც:

რეცა ეგვივითარივე გვრგვნი მისცა ვახტანგს, და რქუა: „**დაარქუ** ეგე პეტრეს“ (ქ. ცხ., I, 167, 17);

უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გვრგვნი, **აღუთქუ** ვინ ესე დგას ჩუენ ზედა, რათა ჰბრძოდი მტერსა მისთა და მიიღე მისგან გვრგვნი (ქ. ცხ., I, 167, 22);

დადეგ წინაშე პირსა მტერისასა და ერისა ჩუენისასა, და **არქუ** ყოველთა: „თაყუანის-ეცით ჯუარსა და ვსძლოთ მტერსა (ქ. ცხ., I, 173, 20);

რა გნებავს **სთქუ**, და ყოველი მიგცე (ქ. ცხ., I, 214, 15).

ჟამთააღმწერლის თხზულებაშიც ვნახეთ ნახევრად რედუცირებადი საყრდენი მორფემის შემცველი ზმნა:

წარვედ და **თქუ**, რამეთუ შენ მოჰკალ კაცი იგი (ქ. ცხ., II, 210, 15).

სულხან-საბა ორბელიანი ამ ტიპის არქაულ ფორმას „სწავლანში“ მიმართავს იქ, სადაც რელიგიურ საკითხზე მსჯელობს:

მითხარ მე, სხვა რალა მოითმინენ ესეთი, რომელ ჯოჯოხეთისა სატანჯვე-

ლთა მსგავსი იყოს ანუ სასუფეველთა სიხარულის დამვიწყები, — **სიქუ** აწ (საბა, სწავლ., 177, 544).

ბრძანებების ანალოგიური ფორმა დადასტურდა პოეზიაშიც, თუმცა არჩილის „ვისრამიანში“ მის გამოვლენას პოეტური აუცილებლობით ვერ ავხსნი:

უთხრა: „**არქუთ** ვის აქ მოსულს, ნუმც ექნება დღე მოწყენის“ (არჩ., I, გვ. 187. 431, 3).

საშუალო ქართულის ენობრივ მასალაში ასევე იშვიათია უმარცვლო საყრდენი მორფემის შემცველი ბრძანებების ფორმებიც. პოეზიაში თუ პოეტური აუცილებლობითაა ისინი გამოყენებული, პროზაში მათი გამოვლენა მიეწერება ავტორისეულ ცდას, შექმნას ძველი ქართული ენის ილუზია:

გარდაეთს უხვად, ნუგეშის მქუხვად

მას მიახმარენ ზენარი ცანი (ბეს., გვ. 63. 6, 3);

შეირტეთ სარტყელი სჯულისა, სიმხნისა, გულადობისა (არჩ., I, გვ. 53. 286, 1);

ავის სიტყვის აღმოშვებად ენას შენსა კბილნი **დაადგ**,

გიჯობს, იწვრთნა, დაადუმო, გარედამაც ბაგე **მოადგ** (არჩ., I, გვ. 92. 80, 1-2);

დაართს, უკვე **დაართს** მანოეს ძის ძლიერისებრ ლომ-ლეკვი მყვირალი თამნად ჩვენ შორის ძლევით (ბეს., გვ. 85. 24);

მარქვ, რომელიდა მოგიტეოს მამამან? (საბა, სწავლ., 163, 500);

დაადგ თავსა მისსა გვრჯვნი ქვისა მისგან პატიოსნისა (სამ. ძეგლ., II, 53);

მივედ და აცნობე ჩემი ქიზიყის ქვეყანით მისგლა მონასტერს და **არქვ** ლოცვა-კურთხევაცა (ბატონიშ., I, გვ. 11);

ნუ გეშინინ, განვედ და ზედან **დაესხ** მტერთა მათ შენთა (ბატონიშ., II, გვ. 84).

საინტერესოა, რომ უმწკრივისნიშნოდაა წარმოდგენილი ბრძანებების ისეთი ფორმებიც, რომელთა საყრდენი მორფემა ასევე უმარცვლოა, მაგრამ მწკრივის ნიშნად **-ე** სუფიქსი ივარაუდება, ე. ი. უნიშნო წარმოება IV ყალიბის ზმნებთან დასტურდება. ამგვარი რამ უცხოა ძველი ქართულისათვის.

თეიმურაზ II-ის პოემაში IV ყალიბის უმწკრივისნიშნო ბრძანებების ფორმა სალექსო საზომის სამსახურშია:

ადიმსთვ, ადკარვდი, მიგვალე, ღამე ვლენ, ანუ დღისია! (თ. II, გვ. 12. 93, 2).

ენისა და სტილის არქაიზაციით გატაცების უფრო ცხადი მაგალითია III ყალიბის უმწკრივისნიშნო ზმნის დადასტურება. თუმცა არჩილთან ასეთი ფაქტის არსებობა პოეტური აუცილებლობითაა განპირობებული:

ღმერთო ძლიერო, გულთ მეცნიერო,

მომხედ წყალობით შენ-მიერთია (არჩ., I, გვ. 243. 90, 2).

ძველ ქართულში წყვეტილის მწკრივში თხრობითი და ბრძანებითი კილოს II პირის ფორმებს ურთიერთისაგან მხოლოდ სუბიექტის ნიშანი განასხვავებდა — ბრძანებითს სუბიექტური ნიშანი არ ჰქონდა, თხრობითს კი ჰქონდა:

ბრძ. მო-კალ! თხრ. მო-ჰ-კალ
 მო-კალ-თ! მო-ჰ-კალ-თ

ძველი ქართულსიუელი დაპირისპირება ახალ სალიტერატურო ენას აღარ შემორჩა. ფორმობრივი განსხვავება „ამჟამად მხოლოდ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებში ხერხდება (§ 52): მეორე სუბ. პირს წყვეტილში ნიშანი უნდა, ბრძანებითი — არა. ესეც იმ შემთხვევაში თუ ზმნა ერთ-პირიანია ან ორ-პირიანი, მაგრამ გარდამავალი, თანაც პირდ.-ობიექტური პირი მესამეა... ფორმობრივი განსხვავება წყვეტილსა და ბრძანებითს შორის დაიკარგება, ა) თუ ზმნა ორ-პირიანია და პირდ.-ობიექტური პირი პირველი,... ბ) იგივეა მაშინაც, თუ ზმნა სამ-პირიანია და პირდ.-ობიექტური რომელიც უნდა იყოს, თუნდაც მესამე, რადგანაც აქ ორგანვე ფორმაში მესამე პირის ობიექტური ნიშანი ექნება“ (შანიძე 1980: 431-432).

„ჯერ კიდევ ძველ ქართულში დაიწყო გაუგებრობა და ფორმების აღრევა. ეს გაუგებრობა თანდათან იზრდებოდა და მატულობდა საშუალო ქართულში... წაიშალა ფორმალური განსხვავება ბრძანებითსა და თხრობითს შორის“ (შანიძე 1981: 218). გათანაბრების პროცესი საშუალო ქართულში უკვე დაწყებულია. ამიტომაც ჩვენ მიერ შესწავლილ სამწერლობო ძეგლებში სუბიექტური პირის ნიშანი ბრძანებითის ხსენებულ ფორმებთან იშვიათობას არ წარმოადგენს. იგი ძირითადად XVII საუკუნიდან გვხვდება. თეიმურაზ I-ისა და თეიმურაზ II-ის პოეზიაში ალაგ-ალაგ დადასტურდა ბრძანებითის პრეფიქსიანი (S₂) ფორმები:

ჰქენთ, წადით გალილიასა, მუნ ნახოთ — მიელოდებით (თ. I, გვ. 152. ქ-4);

სცანით, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა (თ. I, გვ. 3. 3, 1);

ჰრქვა მათ იესო: **„განჰხსენით**, ვილოდეს ჩემის ძალითა! (თ. II, გვ. 34. 269, 4);

გულისხმა ჰყავით, ჩემგნითა შესხმა რით გაიბეღოთა (თ. II, გვ. 117. 3, 1);

მიბრძანა: „რადგან ცოდნა გაქვს, ლექსები **გამოსტქვენით** (თ. II, გვ. 123. 15, 3).

ბესიკის, დავით გურამიშვილის, არჩილის შემოქმედებაში კი ამგვარი ფორმები საკმაოდ ხშირია:

აღლესე ენა დამამშვიდარო,

დასტერ სავსენი გამაფლიდარო! (ბეს., გვ. 62. 2, 6);

ძოწნი ბაგენი ჩემნი მდაგენი,

ჩემდა საუბრად **აღსძარ** ენანი! (ბეს., გვ. 95. 8, 2);

მიჰგვალენ, მზეო, მზისად აზიით სიმდაბლის-ქვაბად ოქროის

ძღვნობით მურ-გუნდრუკების კმევად მეფეთ მეფისად (ბეს., გვ. 86, 33);

გასწვერ, **დასტერ** და დახივე მტყუვანთ ტყუილის გულები (დავითიანი, გვ. 65. 275, 2);

სცან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე თუ გიყვარდეო (დავითიანი, გვ. 79. 373, 2);

აწ **დასწენარდი**, ნუ შეფოთავ-ბორგავ, ნუ გაქვს ზმირინთ ზინზლად შვე-ბა (დავითიანი, გვ. 148. 1, 2);

სოლადის ციხე მოშალეთ, **დასცალეთ** გაღმა მჯარია (დავითიანი, გვ. 99. 514, 2);

მტანჯვენ, **სთმეო**: აწ ვით დავთმო, ვით უმანკოვ ტრედო-გვრიტო (დავითიანი, გვ. 73. 335, 1);

სცან, იტალიას მარკოზს სწერს, ვიტყვი იმასთან მომტანსა (არჩ., II, 173, 2);

თანა **წარპვედ** წარმავალსა, წარუვალი მოიგონენ (არჩ., I, გვ. 247);

მეფევ, **დასწენარდი**, ნუ სჯავრობ, ყური მამიგდე, გონია (არჩ., II, 102, 1);

გზა კაპნოვანი **დასტოვე**, შეიტკბე ცად აღმავალი! (არჩ., I, გვ. 109. 107, 3).

თხრობითისა და ბრძანებითის ხსენებულ ფორმათა ძველი ქართულისეული გარჩევა კიდევ უფრო ხშირ შემთხვევაშია უგულებელყოფილი სულხან-საბას თხზულებებში და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“:

მჰადს რად სჰამთ, კიღობანში ორი თეთრი ფუნთუშა ძევს და ისა **სკამეთო** (საბა, ს.ს. გვ. 101);

სადაც ხელი ჯდეს მელნიანი კართა, იგი იქმნება და შევიპყრათ, და რაც გენებოს, **ჰქმენო** (საბა, ს.ს. გვ. 108);

მითხარ მე, სხვა რაღა მოითმინენ ესეთი, რომელ ჯოჯოხეთისა სატან-ჯველთა მსგავსი იყოს ანუ სასუფეველთა სიხარულის დამვიწყები, — **სთქუ** აწ (საბა, სწავლ., 177, 544);

ცეცხლისა აღნო, მსწრაფლ **დასწვენით** ჯორცნი ჩვენნი! (საბა, სწავლ., გვ. 64);

გამოსცან, თუ რისათვის უწოდეთ სახელი ესე? (ბატონიშ., I, გვ. 66);

და **ჰევენ** ასონი ჩვენნი მკურნალ ყოველთა სენთა (ბატონიშ., II, გვ. 80);

დასტკბი განსვენებით წიალთა შინა მიყრდნობილი ახლისა მეუღლისა თანა (ბატონიშ., II, გვ. 38).

პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები ზოგჯერ ერთსა და იმავე თხზულებებშია:

ამით ავი კაცია ლეონ, ნუ გინებს სიცოცხლე მისი და **მოკალ** (საბა, ს.ს. გვ. 66);

მოჰკალთ და სისხლს მე გარდავიხდიო (საბა, ს.ს., გვ. 56);

ჩვენ რაც გითხრათ, ის **დაწერე** (ბატონიშ., II, გვ. 24);

ბერო, რას დასდევ, **დასწერე**, რაც გითხრან, საძღვნო კი ავილოთ (ბატონიშ., II, გვ. 25).

ბრძანებითის სუბიექტური ნიშნის მქონე ფორმათა დაძებნა აქა-იქ ისტორიულ საბუთებში, სამართლის ძეგლები და „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ თხზულებაშიცაა შესაძლებელი:

შემცვალებელნი ამისნი **შესცვალენ** ღმერთო, სჯულისაგან შენისა (ისტ. საბ., I, 156, 33);

ესე რომ თქუას სჯულმა, რომე დამნაშავე კაცს თავი მოსჭერ ანუ **გასტანჯეო**... (სამ. ძეგლ, I, 212);

უკეთუ მეფემან შეცვალოს მეფობისა და ჯელმწიფობისა მისისათვის, მეფეო ყოველთა მეფეთა ქრისტე, შენ იგი **შესცვალე** მეფობისა და პატრო-

ნობისა მისისაგან (სამ. ძეგლ., II, 197);

ჰეაგ ადრე ბრძანებული შენდა (ქ. ცხ., I, 214, 3);

რა გნებავს, **სთქუ** და ყოველი მიგცე (ქ. ცხ., I, 214, 15);

ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო და, თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით **მოჰკალო** (ქ. ცხ., II, 401, 18);

დასწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი (ქ. ცხ., II, 209, 3).

წყვეტილის თხრობითი და ბრძანებითი კილოს ფორმათა გარჩევის ძველი წესი ნაშთის სახით შემონახულია მხოლოდ „ვედ“ ძირის მქონე ზმნებში:

თხრ.: მო-ხ-ვედ-(ი) — ბრძ.: მო-ვედ-(ი) → მო-დი

გამოთქმულია აზრი (შანიძე 1980: 177), რომ „მოდი“ მიღებულია „მოვედ“ ზმნის ფონეტიკური ცვლილების შედეგად, სხვა თვალსაზრისით (გოგოლაშვილი 1984: 65-66), ამგვარი ვარაუდის დაშვებას რამდენიმე წინააღმდეგობა ახლავს, კერძოდ: ა) ზმნური ფუძის გამარტივება მოსალოდნელია მხოლოდ ბოლოკიდურ პოზიციაში; ბ) თუ **ვ**-ს დაკარგვა შესაძლებლად ითვლება, ძირისეული **ე** ხმოვნის გაუჩინარებისათვის ფონეტიკური საფუძველი არ არსებობს; გ) „მოდი“ ფორმაში **-ი** ხმოვანი არ შეიძლება ჩაითვალოს „მოვედ(ი)“ ზმნაში გამოვლენილი **-ი** ელემენტის ტოლფასად, რადგან პირველი მათგანი ნულთან არ მონაცვლეობს და ამ ნიშნით **II** ყალიბის ზმნებთან დადასტურებულ **-ი** ნიშანს ესადაგება. მეორე ფორმაში კი ის თავისუფლად ვარირებს ნულთან და **I** ყალიბის **-ი** ელემენტადაა მიჩნეული.

ბრძანებითის „მოვედ(ი)“ ფორმის „მოდი“ ზმნით ჩანაცვლება ჯერ კიდევ საშუალო ქართულშია ჩვეულებრივი მოვლენა. მათი დამოწმება ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში სისტემებზე ხერხდება, თუმცა ზოგიერთ ძეგლში ახალი ფორმა არ ჩანს.

მაგალითად, „მოდი“ ფორმა „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ახალ ნაწილში, სახელდობრ, ბერი ეგნატაშვილის ტექსტში დადასტურდა:

მოდი ჩუენ თანა და გათათრდი (ქ. ცხ., II, 336, 25).

ძველი „ქართლის ცხოვრების“ გადამწერნი ცდილობენ, დაიცვან დედნი-სათვის დამახასიათებელი სტილი და გრამატიკული ფორმები. მაგრამ ამგვარი მცდელობის მიუხედავად, იშვიათად ცოცხალი ენისათვის ნიშანდობლივი წარმოებაც იჩენს თავს. ზოგჯერ კი ძველი ნორმისა და თანამედროვე მეტყველებისათვის ნიშნეული ფორმის თავისებურ ნაზავს ვხვდებით. მაგალითად, „მატიანე ქართლისას“ ჭალაშვილისეულ ხელნაწერში „გამოვედ“ ზმნა იკითხება. ამავე თხზულების მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში კი მას „გამოდ“ ფორმა სცვლის, სადაც **-ი** ელემენტი გაუჩინარებული. ხელნაწერის შემსრულებლებმა ახალ ფორმას **-ი** ელემენტი ჩამოაცილეს და ამგვარად შეეცადნენ ძველი წარმოებისათვის მის მორგებას:

გამოვედ, ჩუენ წარგიყვანოთ აფხაზეთად, შენ დაჯდე მეფედ და მამა შენი დარჩეს გარეგნით (ქ. ცხ., I, 267, 10),

XII — XIII საუკუნეთა ძეგლებში „მოვედ(ი)“ — „მოდი“ ზმნები შემდეგნაირად ნაწილდება. „ვისრამიანში“ ძველი წარმოების ფორმები 4.ჯერ აღემატებიან ახალს. მაგრამ ძველი ქართლისეული ფორმები აქ ფონეტიკურად სა-

ხეცვლილია, ზოგი მათგანი ძირეული **გ** თანხმოვნის გარეშეა, ზოგსაც **გ**-სთან ერთად ასევე ძირეული **-დ** თანხმოვანი აქვს ჩამოკვეცილი. არ დასტურდება ძველი ლიტერატურული ფორმები:

აწ ადრე **მოედ**, დიდხან ერთად ვინადიროთ და გავიხარნეთ (ვის., 102, 18);

წაე, ძიძო, სამახარობლო სთხოე შაპროს (ვის., 110, 2);

ჰე გულმაგარო, ადევ და **წამოდი** (ვის., 218, 7).

„ამირანდარეჯანიანში“ ძველი და ახალი ფორმები თითქმის თანაბრად გვხვდება. აქაც ძველი წარმოების ზმნები ძირეული **გ** თანხმოვნის გარეშეა:

თუ ჰაბუკი ხარ, **გამოედ** და შემაქციეო! (ამ., 36, 11);

აწე, ჩემსა მზესა, **წადით** და ახლოს ნადირი მომინახეთო! (ამ., 4, 10).

რუსთაველი აღნიშნული ზმნის ბრძანებითს ახალი ფორმით წარმოადგენს:

ფატმან უხმო: „**მოდი**, მნახე, მარტო ვარო თავის წინა (ვეფხ., 1247, 4).

მხოლოდ ოთხიოდე ზმნა თუ ვნახეთ ძველი წარმოებით და ოთხივე შემთხვევაში — ფონეტიკურად სახეცვლილი. ორგან ძველი ფორმის გამოყენება ტაეპში მუხლთა თანაბარმარცვლიანობას ემსახურება:

ნულარა სდგათ, **წადითო**, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან (ვეფხ., 442, 2);

ჩაეპარენით, **ჩაედით** წყნარად, ნუ ჩქარად მხლტომელნი (ვეფხ., 1121, 3).

სხვაგან ასეთი ფორმა სარიტმო ერთეულია:

დაბნედილსა ნუ დამაგდებ, მიშველე რა, მარგე, **მოვე**.

სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შევეპოვე (ვეფხ., 498, 3).

ერთ შემთხვევაში კი ძველი წარმოების ზმნის ჩართვა პოეტური აუცილებლობით არ უნდა იხსენებოდეს:

რაცა ვითხრა, ჩემ მაგიერ როსტანს ჰკადრე, **მიედ** სრასა (ვეფხ., 728, 1).

აბუსერიძე ტბელის XIII საუკუნის თხზულებაში, ძველის მოცულობიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო ბრძანებითის მხოლოდ ერთი ფორმა შეგვხვდა და ისიც ძველი წარმოებით:

ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, და **წარვედ** უდაბნოსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰრქვან ოპიზაე (აბუს. ტბ., 57, 37).

რაც შეეხება XVII — XVIII საუკუნეთა ძველებს, აღნიშნულ ფორმათა გადანაწილების თვალსაზრისით აქაც არაერთგვაროვანი ვითარებაა;

თეიმურაზ I-ის პოეზიაში მხოლოდ ახალ წარმოებას შევხვდით:

წადი, რას ჰყოფნი, რასა მრჯი შენ სულო ამოსულო და (თ. I, გვ. 20. 44, 4).

თეიმურაზ II-ისა და ბესიკის ნაწარმოებებში ორივე წარმოება დასტურდება. თეიმურაზ II პოემებში უფრო ძველ ფორმებს მიმართავს, „თიმსარიანში“ კი — ახალს:

ჰრქვა კაენ თვის ძმას აბელსა: „**მოვედ**, განვიდეთ ველობით (თ. II, გვ. 7. 53, 3);

მიდი და უჩუმრად იმის ლოგინს ქვეშ შეწევ (თ. II, 211, 29);

მივედ, ყარიბო, უთხარ ბულბულსა (ბეს., გვ. 5. 3, 1);

ბულბულო, **გადი**, ამ ბადილამ შენის ნებთა (ბეს., გვ. 6. 1, 3).

დავით გურამიშვილის პოეზიაში ძველი წარმოება თითქმის არ დასტურდება:

წადი და მასვე ევედრე, დაეჭსენ ცუდსა ბორგვასა! (დავითიანი, გვ. 66. 286, 2).

არჩილი კი ძველ ქართულისეულ ფორმებს იშვიათად მიმართავს და მაშინაც ყოველთვის ლექსის საჭიროებითაა განპირობებული მათი გამოყენება:

სიხარულით **წადით** ლაშქარს, თუცა სისხლი გენთხოვდეს (არჩ., I, გვ. 54. 287, 1).

მოვედითო, შეიყარეთ უმანკოთ და უბიწოდა (არჩ., I, გვ. 137. 21, 3).

მოვედით, დაიმკვიდრენით, ეს თქვენთვის განმზადებული (არჩ., I, გვ. 44. 205, 2).

სულხან-საბას თხზულებებში ნაცნობი სურათია: „მოგზაურობა ევროპაში“ მხოლოდ ახალი წარმოების ფორმები გვხვდება, „სწავლანში“ ახალ წარმოებას თითქმის ვერსად ვხვდებით, „სიბრძნე სიცრუისაში“ კი უამრავი ახალი ფორმის გვერდით ძველი ქართულისეული მხოლოდ რამდენიმე ზმნა დასტურდება:

წადით, ჯერ უწინ ჩემი თავი ნახეო და მერმე მე მნახეო (საბა, მოგზ., გვ. 162);

უკეთუ სასიხარულო რამე მოგცეს ღმერთმან, **მოვედ** ეკლესიად (საბა, სწავლ., გვ. 24);

წარვედ ბაღდადად ხურო ნაზარისასა, ეს უძღვენ (საბა, ს.ს., გვ. 13);

წადი, ასეთი საჭმელი მომიტანეო (საბა, ს.ს., გვ. 21).

იოანე ბატონიშვილი მხოლოდ ძველ წარმოებას არჩევს:

მოვედ, გეამბორო, უფალმან წარგიმართოს ყოველნი ქმნულნი ხელთა შენთანი! (ბატონიშ., I, გვ. 2).

ძველ ქართულში წყვეტილის მწკრივის ბრძანებითი კილოს ფორმებთან მესამე სუბიექტურ პირს მხ. რიცხვში **-ნ**, ხოლო მრავლობითში — **-ედ** სუფიქსები გამოხატავდა. როგორც ლ. ბარამიძე ვარაუდობს, „მათ კავშირი უნდა ჰქონდეთ სხვა სისტემასთან, რომელიც გადმონაშთის სახით გვხვდება ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი სხვადასხვა სისტემას წარმოადგენდნენ. ძველი ქართულის ძირითადი სისტემის პარალელური სისტემა, შესაძლოა, მართლაც დიალექტური წარმოშობისა იყოს (ვ. თოფურია, ბ. ფოჩხუა ზ. სარჯველაძე).

ამ პარალელური სისტემიდან უნდა იყოს ნასესხები **ნ** და **ედ** აწმყოს ხოლმეობითში და ბრძანებითში. შესაძლებელია, ძირითად სისტემაში ბრძანებითებს არც ჰქონოდათ საგანგებო პირის ნიშნები, რადგანაც ბრძანებითი ისედაც გამოირჩეულია ინტონაციით, რაც ახალ ქართულში მათი გამოკვეთის საშუალებაა“ (ბარამიძე 2003: 34, 39).

ახალ სალიტერატურო ენას **III** პირის ბრძანებითი აღარ შემორჩა. მისი ფუნქციები სხვა მწკრივებს დაეკისრა.

საშუალ ქართულში **III** პირის ბრძანებითის ფორმათა უმეტესობა ისტორიული და სამართლებრივი ხასიათის ძეგლებში შეგვხვდა. ლაპიდარულ წარწერებსა და ისტორიულ საბუთებში, სამართლის ძეგლებსა თუ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში ისინი ძირითადად დალოცვისა და წყევლა-შეჩვენების შინაარსის მქონე ფრაზებში დასტურდება:

ადიდენ ღმერთთან მეფეთა მეფე კოსტანტინე, ძე დავითისი, ამენ! (ლაპიდ. წარწ. II, 176, 216);

ვინცა ესე განგებული ჩუენი სალოცველი მეფობისა მათისაჲ შეცვალოს, **იყავნ წყეულ** (ექვთ. თაყ., 27, 5);

შემცვალებელნი ამისნი იყვენნ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ და დამამტკიცებელნი ღმერთთან **აკურთხენ** და წმიდამან დედაქალაქმან (ისტ. საბ., I, გვ. 184);

ვინც ეს ჩემგან ქმნილი საცილობელად შეჰქმნათ: ანუ საქმითა, ანუ სიტყვითა, ღმერთთან **მოგკადენ** პატიჟი შეუნდობელი (ისტ. საბ., I, გვ. 124);

იკვალბიედ და განვარდენ იგინი ნატამალისაგან მათისა, და შვილნი მათნი **დაითნიედ** (სამ. ძეგლ., II, 379).

სამართლის ძეგლებში ბრძანებითი III პირის ფორმები გვხვდება ისეთ კონტექსტებშიც, რომლებიც მითითების, ბრძანების, შეგონების შინაარსისაა:

განვედინ ბრძოლისაგან და **მიიქეცინ** სახედ თვისად (სამ. ძეგლ., I, 109);

არამედ უხუცესი იგი ნაწილი მას საძულელისასა **მიეცინ** (სამ. ძეგლ., I, 119).

მსგავსი სემანტიკის მქონე III პირის ბრძანებითი ფორმებია „ქართლის ცხოვრებაშიც“:

რომელი იტყოდა ქუეყანასა ზედა თავსა თვსსა ძედ ღმრთისად, **მოკუე-დინო** (ქ. ცხ., I, 96, 4);

და **კმა გეყავნ** ჩემგან ბრძანება ესე (ქ. ცხ., I, 107, 3);

გრწმენინ იესო ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოვრებისათჳს ყოვლისა სოფლისა ჯორცითა მოსრული (ქ. ცხ. I, 115, 10);

და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკუდილი ცხოვრებად **გინდინ**, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიგო (ქ. ცხ., I, 129, 23);

ადიდენ ღმერთთან და **დაამყარენ** ორთავე ცხოვრებათა შინა პატრონნი (ქ. ცხ., I, 363, 23);

უკეთუ ვისმე ნებავნ, **დაუტევენ** მამული და **წარმოვედინ** ჩემ თანა (ქ. ცხ., II, 239, 3).

საშუალო ქართულის მხატვრულ ტექსტებში აღნიშნული ფორმები არქაული სამკაულია, რომელსაც ავტორი საჭიროებისამებრ მოიხმარს. როგორც პოეზიაში, ისე პროზაში III პირის ბრძანებითი ფორმები თითქმის ყოველთვის იმ შესიტყვებაშია, სადაც უფლისადმი თხოვნაა აღვლენილი:

ღმერთთან ათასწულ **აცოცხლენ** მეფობა თქუენი (ამ., 325, 1);

დაუსრულებელ **ყავნ** ღმერთთან დიდება და გამარჯუება მეფობისა თქუენისა (ამ., 360, 3).

როგორც ცნობილია, „ამირანდარეჯანიანის“ XVII საუკუნეზე უადრესი ხელნაწერი არ მოგვეპოვება. სხვა ნუსხებში ამ ძველ ფორმებს ახალი წარმოება ენაცვლება.

შვილო, **მოვეცინ** შენ ღმერთთან მსთვად ცვარისაგან ცითაო (თ. II, გვ. 15. 118, 2);

მოვედინ, ევა, ტირილითა არს მოწვევა! (ბეს., გვ. 37. 2, 1);

შენი უხვი მოწყალება შორს ნუ წამგვარეო,

მოვედინ მოწყალებითა, ისევ შემყარეო! (დავითიანი, გვ. 80. 377, 4);

ღმერთმან **განაგენ** მეფობა თქვენი, მრავალწელ გრძელობდეს (არჩ., II, 875, 4).

ამავე ფუნქციით დასტურდება ისინი „კალმასობაში“ და „სწავლანში“:

ჰოი დედოფალო, სასოებითა ძისა შენისა და ღვთისა ჩვენისათა, მისა შესწირე ოხად ჩვენთვის და **თანამავალ მეყავნ** ჩვენ წყალობად შენი (ბატონიშ., II, გვ. 84);

ნუმცა დაითხევა ნელსაცხებელი, არამედ გლახაკთა **მიეცინ** განვაჭრებულნი ღრაჰკანი (საბა, სწავლ., 220, 686);

მოვედით, ცოდვილნო, **მოისწრაფედ** უფლისა მიმართ, დაუტევენით ძველნი იგი ნაქმარნი თქვენნი (საბა, სწავლ., 160, 488).

ამ უკანასკნელში III პირის ბრძანებითის ფორმა კონტექსტთან შეუსაბამოა, რაც ნიშნავს, რომ სულხან-საბას თანამედროვე ენაში ჩვენთვის საინტერესო ფორმათა ფუნქცია უკვე საკმაოდ ბუნდოვანია.

კიდევ უფრო ხელოვნურია „იპოედ“ ზმნა არჩილის ლექსში:

მანს ვიტყვი ძნელს სათარგმნოსა, შემდგომი ასო იონებს,

მამულად არა თარშე აქვს, **იპოედ** წარსვლად იონებს (არჩ., I, გვ. 280. 28, 2).

ამგვარად, ბრძანებითის ფორმები საშუალო ქართულის ენობრივ მასალაში უმთავრესად ახალი წარმოებით გვხვდება, თუმცა ამავე ძეგლებში დასტურდება ბრძანებითის ძველი ქართული ფორმებიც. მათი ნაწილი პოეზიაში თუ უმეტესად ლექსის საჭიროებით გამოიყენება, სხვაგან მათი ფუნქცია ძველი კოლორიტის შექმნაა. ზოგჯერ კი მათ გამოჩენას ასეთი მიზეზებით ვერ ავხსნით.

ლიტერატურა

ბარამიძე 2003 — ლ. ბარამიძე, სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის ძველ ქართულში. თბილისი.

გოგოლაშვილი 1984 — გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში. თბილისი.

იმნაიშვილი... 1996 — ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი ზმნა ძველ ქართულში. მაინის ფრანკფურტი, I.

შანიძე 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, თბილისი, III.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, თხზულებანი, თბილისი, I.

დამოწმებული წყაროები და შემოკლებათა განმარტებანი

ვეფხ. 1966 — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ვის. 1962 — ვისრამიანი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ამ. 1967 — მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

აბუს. ტბ. 1941 — აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მათიანე, 1233 წ. ტექსტი. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ქ. ცხ. I 1955 — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: „სახელგამი“, I.

ქ. ცხ. II 1959 — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, II.

სამ. ძეგლ. I 1963 — ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I.

სამ. ძეგლ. II 1965 — ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, II.

ისტ. საბ. 1984 — ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, I.

ლაბიდ. წარწ. 1980 — ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ექვთ. თაყ. 1960 — ექვთიმე თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხ. საქართველოში. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია.

თ. I 1934 — თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი: „ფედერაცია“.

თ. II 1932 — თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. თბილისი: „ფედერაცია“.

არჩ. I 1936 — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I,

აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფილისი: საქართველოს მუზეუმი.

არჩ. II 1937 — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

საბა, ს.ს. მოგზ. ეგრ. 1959 — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

საბა, სწავლ. 1963 — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, სწავლანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ბეს. 1932 — ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით. ტფილისი: „ფედერაცია“.

დავითანი 1955 — დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ი. აბაშიძის, აღ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით. თბილისი: „სახელგამი“.

ბატონიშ. I 1936 — იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით. ტფილისი: „სახელგამი“.

ბატონიშ. II 1948 — იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით. ტფილისი: „სახელგამი“.

NINO TSIKHISHVILI

Imperative Forms in Middle Georgian

S u m m a r y

Formation of imperative is different in old and new Georgian. In old Georgian imperative has own forms. It differs from permansive by person markers. Old Georgian formation occurs in the middle Georgian monuments, though they basically reflect a new Georgian situation.

როინ ჭიკაძე

დროის გარემოება მიმართებით კავშირის ფუნქციით
კანონი დიალექტის ტექსტების მიხედვით

დროის ზმნიზედა, როგორც წესი, სინტაქსურად დროის გარემოებაა. თუმცა „სხვა გარემოებებთან შედარებით დროის გარემოებას ის თავისებურება ახასიათებს, რომ მას ორგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ერთი — დაასახელოს დრო (სხვანაირად — დაათარილოს მოქმედება), მეორე — აჩვენოს ასპექტი — დაახასიათოს მოქმედება მისი გრძლიობის, პერიოდულობის, ინტენსივობის მიხედვით“ (აფრიდონიძე 1986, 39).

ამ მხრივ გამოირჩევა დროის ზმნიზედა „მერე“, რომელიც როგორც წინდადების წევრი, დროის გარემოებაა, გაბმულ მეტყველებაში კი ხშირად გამოიყენება როგორც მიერთებითი კავშირი, რაც ცხადად იკვეთება კახური დიალექტის ტექსტების გაანალიზებით. ეს ფაქტორი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დებულების ჭეშმარიტებას, რომ „ნებისმიერი ენობრივი ფუნქცია დგინდება და რეალურად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტში“ (ჯორბენაძე 1980, 379).

„მერე“ როგორც დროის გარემოება განიხილება სინტაქსში, ხოლო როგორც მიერთებითი კავშირი — ტექსტის ლინგვისტიკაში.

საერთოდ ტექსტი, როგორც ენობრივ-სამეტყველო ერთეული, ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის — ტექსტის ლინგვისტიკის საკვლევი სფეროა. ტექსტის ლინგვისტიკურ შესწავლას საკმაოდ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხს მიეძღვნა სპეციალური შრომები, სადაც გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ენათმეცნიერების ცალკე დარგად გამოიყოფა „ტექსტის ლინგვისტიკა“, რომელიც შეისწავლის ტექსტს, როგორც ენისა და მეტყველების ერთეულს (სერგია 1997, 24).

ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების თაობაზე არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი: ერთნი მიიჩნევენ, რომ „ტექსტის ლინგვისტიკა“ შეისწავლის მეტყველებას და არა ენას (ენუქიძე 1987, გვ. 54), ხოლო მეორენი იცავენ შეხედულებას, რომ „ენათმეცნიერების ობიექტი ერთია და ერთიანი. ეს არის ენა როგორც აზროვნებისა და ურთიერთობის საშუალება“ (შარაძენიძე 1974, 143).

ვფიქრობთ, არ არსებობს საფუძველი ენისა და მეტყველების გამიჯვნისა და ურთიერთდაპირისპირებისა. თვითონ მეტყველება უცილობლად გულისხმობს ორ კომპონენტს — ადამიანს და ენას (resp. სიტყვას): „მეტყველების ყოველს ფაქტში ჩვენ საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, ისტორიულად და სოციალუ-

რად განსაზღვრულ ადამიანთან და, მეორე მხრივ, სიტყვასთან. მეტყველების მთელი შინაარსი ამ ორი მონაცემის გარეშე არ წარმოიდგინება, მეტყველებაში ამ თუ იმ სახით თავს იჩენს ის თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს ადამიანს და ენას, როგორც სამეტყველო საშუალებათა ჩამოყალიბებულ სისტემას“ (კიკნაძე 1957, 31-32).

ამასთანავე, ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელია თხრობის აქტუალიზაცია, რისთვისაც გამოიყენება როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი საშუალებები. „აქტუალიზაციის გარეშე წინადადება მხოლოდ ფორმობრივ ერთეულთა ნაკრები, სტრუქტურული ფორმულა იქნება“ (დავითიანი 1973, 142).

თხრობის აქტუალიზაციას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უწყობენ აგრეთვე **მიერთებითი კავშირები**, რომლებსაც ლექსიკურ აქტუალიზატორებს უწოდებენ (კვანტალიანი 1990, 98).

თხრობით ტექსტებში მიერთებით კავშირებად უმთავრესად გამოიყენება ზმნისართები და ნაწილაკები: ბოლოს, შემდეგ, მერე, მაშინ... აი, აი ეს, დიახ, ხომ... ზოგჯერ ამავე ფუნქციას ასრულებს მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები: და, მაგრამ, კი, რომ... (შენგელაია 1987, 124-126; სერგია 1997, 163).

დასახელებული „მიერთებითი კავშირები“ ფუნქციონირებას იწყებენ დასრულებული დამოუკიდებელი წინადადებების თუ მეტატექსტების გასაყარზე, რათა მიუერთონ ისინი წინამავალ ასეთივე სამეტყველო ერთეულებს და ამით შექმნან სპეციფიკური თანმიმდევრობა — ტექსტი“ (სერგია 1997, 154).

ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია ისეთი ტექსტი, სადაც მიერთებით კავშირებად გამოიყენებულია ზმნიზედა **„მერე“**, რომელიც მორფოლოგიურად დროის ზმნიზედაა, მაგრამ თხრობით ტექსტებში იგი ხშირად აღნიშნავს არა კონკრეტულად რომელიმე დროს, არამედ წინამავალი ამბის შედეგს, მოქმედების პროცესის თანამიმდევრობას, ზმნა-შემასმენელთა დროით მიმართებათა მიმდევრობას, მოქმედების ინტენსივობას, რაც განპირობებულია მისი სემანტიკით; კერძოდ, „იგი უფრო წინადადების დროითი მსაზღვრელია, ვიდრე შემასმენლისა“ (აფრიდონიძე 1986, 39).

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულსა და მის დიალექტებში ეს ზმნიზედა გვხვდება **მერე||მერმე||მემრე||მამრე** ვარიანტებით. ძველ ქართულში დამკვიდრებულია **„მერმე“** ფორმა; გამოთქმულია მოსაზრება, რომ **მერმე** ფორმას წინ უსწრებს ადრინდელი **მემრე**, რომელიც ახლა არალიტერატურულად ითვლება და დიალექტებშია დაცული (შალამბერიძე 1959, 72). მისი ძირითადი მნიშვნელობაა **შემდგომ, ამის შემდეგ, ამის მერე**. მათ ჩართულადაც მიიჩნევენ (კვაჭაძე 1996, 340), თუმცა გაბმული მეტყველების ტექსტებში ხშირად ასრულებს მიერთებითი კავშირის ფუნქციას.

ასე რომ, **„მერე“**, როგორც დროის გარემოება, სინტაქსურად და სემანტიკურად უკავშირდება ზმნა-შემასმენელს და აღნიშნავს დროს, ხოლო იგივე **„მერე“** როგორც მიერთებითი კავშირი მთელი წინადადების დროითი მსაზღვრელია და თხრობით ტექსტებში გვიჩვენებს წინამავალი ამბის შედეგს ან მოქმედების პროცესის ინტენსივობას, რასაც თან ახლავს სათანადო ინტონაცია.

დროის გარემოება **„მერე“**, როგორც მიერთებითი კავშირი, უხვად პოვნიერდება დიალექტურ ტექსტებში; საკითხის შესასწავლად შევარჩიეთ კახური

დიალექტი („კახური დიალექტი“ 1956, 3-160; „ქართული დიალექტოლოგია 1961, 179-211).

საილუსტრაციოდ გთავაზობთ გამოკრებულ ტექსტებს კახური დიალექტის გამოქვეყნებული მასალებიდან.

„ხემწიფე და ჭკვიანი გლეხი“

ერთ ხემწიფესა—მყვანდა კარგი ხარები. ძალიან გათამამებული ხარები იყვნენ, ხემწიფე ვერა—აქნიდა. **მივიდა მერე** გლეხი და უთხრა: რატო ვერა—აქნიო?

ხემწიფემ უთხრა: — წაასხი ხარები და შენ გამოაქნიო!

გლეხმა **შარკა** გომურში და სამი დღე-ღამე მშივრები **ამყოფა**. **მემრე** მეოთხე დღეს **გამორეკა** ამ გლეხმა და ურემში **შააბა... მემრე** გლეხმა ბალახი **დაიჭირა** ხელში და **გაუზღვა** წინ... **მემრე** ხარები კარგათ **გამაიქნენ...** (ქართული დიალექტოლოგია 1961, 180).

ცოცხალ მეტყველებაში საკმაოდ ხშირია წარსულში მომხდარი რაიმე ფაქტის აღსანიშნავად წყვეტილის ნაცვლად **I** თურმეობითის გამოყენება, როგორც მისი უფრო ექსპრესიული ცალისა (ფხაკაძე 1984, 138). „ასეთ ვითარებაში **I** თურმეობითი განხაზავს არა დამთავრებულ მოქმედებას, როგორც ეს წყვეტილს ახასიათებს, არამედ უჩვენებს მოქმედების შედეგს, ე. ი. აქ ერთგვარად შედეგობითი ფუნქციაა მთავარი“ (ფეიქრიშვილი 1974, 57). მიუხედავად იმისა, რომ, „**I** თურმეობითი შედეგობითი მნიშვნელობის ნაკვითა, მისი ძირითადი და ამოსავალი მნიშვნელობა არის აწმყო მდგომარეობის ჩვენება“ (ფხაკაძე 1984, 79), რაც ნამყო ძირითადისთვისაც არაა უცხო (გოგოლაშვილი 1984, 21):

... **მერე მიუციათ** ადგილები თითო კომლისთვისა, **ჩამოხვეწილან** და ამ ჭალაში **გაუშენებიათ** ბაღები... **გამოუთხრიათ** პატარა ბუდრუგანა, მიწა **გამოუთხრიათ...** **უტეხიათ** ტყე და **უჩენიათ**. **მერე** ცოლებიც **მოუყვანიათ** ამ ჩამოსახლებულებსა, **მერე გაყრილან...** (ქართული დიალექტოლოგია 1961, 204).

შედეგობითი ფუნქციისაა აგრეთვე **II** თურმეობითიც „მერე“-ს შემცველ ტექსტში:

... მამაჩემი ენისელში **შასულიყო** მამულზე, ენისლური ნაცვლიანთ ქალი **შეერთო...** **მერე** ცოლი **მოაკვდომოდა** მამაჩემს და ბალლი **დარჩომოდა...** მამაჩემი **მემრე** იქიდან **გადმოსულიყო** გრემში... ახლა ის დედაკაცი **მოაკვდომოდა** მამაჩემს და ის ბალლი **დარჩომოდა**. **მემრე**, ახლა დედაჩემი **მეეყვნა** მესამე ცოლად... (კახური დიალექტი 1956, 18).

ამრიგად, **მერე** როგორც მიერთებითი კავშირი, მონაწილეობს წინადადებასა და ტექსტში, რომელიც გადმოგვცემს წინამავალი ამბის შედეგს; ამიტომაცაა, რომ მასთან ერთად შედეგობითი ფუნქციით ხშირად გვხვდება წყვეტილი, **I** და **II** თურმეობითი.

როგორც აღინიშნა, დროის ზმნიზედა ხშირ შემთხვევაში გამოხატავს არა რომელიმე კონკრეტულ დროს, არამედ იგი ზმნა-შემასმენლებთან ერთად გადმოგვცემს მოქმედების ინტენსივობას, ჩვეულებითობას...

ვინაიდან დროის გარემოება უფრო მთელი წინადადების დროითი მსაზღვრელია, ვიდრე შემასმენლისა, ამიტომაცაა, რომ „როცა საუბარი ეხება

მომავლისა და წარსულის ფორმებს, ივარაუდება არა წმინდა **ფორმა**, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მასში ჩადებული დროითი **შინაარსი**; ამიტომაც წარსულის ფორმებში, ისევე როგორც მომავლისაში, იგულისხმება რამდენიმე ფორმა, შესაბამისი დროითი გაგების შემცველი (აფრიდონიძე 1986, 99). ამასთანავე, დროის გარემოებას ძალუძს „დაახასიათოს მოქმედება მისი გრძლიობის, პერიოდულობის, ინტენსივობის მიხედვით“ (აფრიდონიძე 1986, 39). სწორედ ასეთი სიხშირითი მოქმედების გამომხატველია მყოფადის მწკრივის ფორმები **მერე||მერემე||მემრე||მამრე** მიერთებითკავშირიან ტექსტებში:

„მარცვლის მოყვანა“

მიწად **მოხნამენ** შამადგომობითა და გაზაფხულზე **გადანამენ** ტრაქტორით ან გუთნით. ამაღ **ეძახიან** ნახნავსა. **მერე** მინამ არ **გაავდარდება**, არ **დაათესამენ**. **მემრე** სათესლე პურ **დაათესამენ**. **მემრე** იმ დათესილზედა **გადაატარებენ** ფარცხ საქონლით... თავთავ რო **გაიკეთებს**, **მამრე** უკვე ყანაა... **მემრე** მეძნეული **გააკეთებს** ულოდ... ერთ ხაზ **გააყვებიან** და **მოპკიან**, ახლა კიდე სხვასა... **მემრე** **გააღლეწამენ**...

ახლა კალოზე კევრ რო **გაატარებენ** და თან დედაკაცები **უქცევენ** ჯერ ორ თითითა და **მემრე** კი, როცა **გააბზევებენ**, — ნიჩფითა... **მემრე** **გაანიავებენ** ნიჩფითა... **მემრე** გაცხავებულ პურ **დაახოვებენ**... **მემრე** ცხრილში **გაატარებენ**... **მემრე** **გაარჩევენ** ხელითა... **მამრე** **გაათიბამენ** და იმ ნათიბ **დააბულულებენ**... **მამრე** **გადანამენ**... **მამრე** **დაათესამენ** სიმინდ... **მემრე** იმაღ **გაათონიან**... **მემრე** ტაროდ **გაიკეთებს**... **მემრე** **შამუა** სიმინდი, **განმება**... **მემრე** **დაამტვრევენ** ტაროებ... **მამრე** **მოსჭრიან** ფუჩიჩ ნამგლითა... **მემრე** ამ ფუჩიჩ **შააკონამენ**... (კახური დიალექტი 1956, 38-39).

„პურის თესვა, მკა და ლეწვა წინათ“

... მეხრეების მოვალეობას შეადგენს: საქონელი უნა გარეკონ საძოვარზე, **აძოვებენ** და **მერე** **მოარეკავენ** ისევე იმ ნაკვეთზე. **მერე** **ჩამაიღებენ** ხურჯინს, **შჭამენ** და **დააჭლევენ**. **მერე** **შეაბავენ**, ისევე **შაუდგებიან** მოხვნას...

... **მერე** **შაატყობინებს** გუთნისდედა პატრონს... **მერე** **შემოირტყავს** გუთნისდედა წინსაფარს, **ჩაიყრის** წინსაფარში თესლს და **დაუწეებს** თესვას. **მერე** ფარცხია გაკეთებული ფიჩხისაგან, წნელისაგან. იმ ფარცხში **შეაბავენ** მყევარ საქონელს... **ამოვა** ჯეჯილი, **გაიკეთებს** მუხლს, **მერე** თავთავს, **მერე** **აყვავდება**...

... **მერე** უნა გადაიფხიკოს საკალოვე ადგილი. **გაიგვება**, **მაირწეება** და **გადაიგვება**... **მერე** ფიწლებით **ჩაიშლება** ის ძნა და **მერე** **შევაბავთ** სამუღელა ან ოთხუღელა საქონელს... **მერე** **გამოუშვებენ** საქონელს დასასვენებლათ...

... რო **გაბზევდება** კარგათ, **შაიხვეტება** არნადით... **მერე** **დგანან** ქალები და **ჭვიან** კალოს... **მერე** ნიჩბებით **დაიწეებენ** განიაგებას... **მერე** ის ჯალდი **გაიღეწება**... ამით **დამთავრდება** ლეწვა (ქართული დიალექტოლოგია 1961, 184-185).

საყურადღებოა ამავე ტექსტებში დამოწმებული „ჩვეულებითი მოქმედების“ გამომხატველი ე. წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობის ზმნა-შემასმენელთა მიმდევრობა: **მერე**... **გაიგვება**, **მაირწეება**, **დაიგვება**, **გაიღეწება**... **გაბზევდება**, **შაიხვეტება**...

„ჩვეულებითი მოქმედების“ პროცესის მაჩვენებელი მყოფადის მწკრივებიან კონტექსტშივე გვხვდება ზმნა-შემასმენელთა „ზოგადი აწმყო“ ნიმუშები, რომლებსაც ასევე მრავალგზისობის მნიშვნელობა აქვთ: **მერე დგანან** ქალები და **ჰგვიან** კალოს...

ასეთი აწმყო „მერე“-ს შემცველ ტექსტში შედეგობითობის აღმნიშვნელი-ცაა: თავთავ რო გაიკეთებს, **მამრე უკვე ყანაა... მერე ფაცხაა გაკეთებული...**

განმეორებადი და მრავალგზისი შინაარსის მატარებელია აგრეთვე მყოფადის ხოლმეობითის ფორმები, რომლებსაც ხშირად ახლავს „მერე“:

„ჩვენი საქმიანობიდან“

მოვიტანდით მოსავალსა... **შავხვეტამდით, მერე**, არნად ვეძახით, იმით **შავაქურბდით... მერე გავატარებდით** ცხრილში... **მერე გავლენამდით...**

რო **გამოუშვებდით** გუთანს, **მემრე დავაძლოდით... მერე** სათამაშოს **ვიმღერებდით... მერე წამოვწვებოდით... ზღაპრებსაც ვიტყვოდით...** (ქართული დიალექტოლოგია 1961, 205).

ასე რომ, „მერე“-ს მნიშვნელობა და ფუნქცია დგინდება ტექსტით და განისაზღვრება ზმნა-შემასმენელთა თანამონაწილეობით; კერძოდ:

მომხდარი ამბის შედეგის საჩვენებლად „მერე“-სთან ერთად გამოიყენება ზმნა-შემასმენელთა **ნამყო წყვეტილი** და **თურმეობითები**:

მერე ადგნენ, გააღეს ქვაბი და **გააცოცხლეს** ი ბიჭი...

მერე ცოლებიც **მოუყვანიათ** და **მერე გაურილან...**

მერე ცოლი **მოაძვდომოდა** მამაჩემს და ბალღი **დაძრომოდა...**

მოქმედების ინტენსივობასა და მრავალგზისობას გადმოგვცემს „მერე“-ს მიმყოლი შემდეგი ნაკვებები: ე. წ. „**ზოგადი აწმყო**“, **მყოფადი, ხოლმეობითი** და **I თურმეობითი**:

მერე დგანან ქალები და **ჰგვიან** კალოს...

მერე საკალოე ადგილი **გაიგვება, მაირწვება** და **გადაიგვება...**

მერე მეძნეური **გაიკეთებს** ულომ... **მემრე მომკიან** და **გაიღენწამენ...**

მერე მოვიტანდით მოსავალსა... **შავხვეტამდით... შავაქურბდით** და **გავლენამდით...**

მერე... უტენიათ ტყე და **უჩენიათ...**

დასახელებული მაგალითებიც მოწმობს, რომ „ის რაც მუდმივია, ჩვეულებრივ ხდება, მეორდება კიდევ, მრავალგზისია“ (მაჭავარიანი 1974, 124).

ამასთანავე, ე.წ. ჩვეულებითი საქმიანობა, სიხშირითი მოქმედება უმთავრესად გადმოცემულია „მერე“-ს შემცველ ისეთ ტექსტებში, სადაც მოთხრობილია ამა თუ იმ საქმიანობის ჩვეულებითობა, თანამიმდევრობა, მისი რიტუალი; ასეთი ტექსტებია: „ბურის თესვა, მკა და ლეწვა წინათ“, „მარცვლის მოყვანა“, „ჩვენი საქმიანობიდან“...

ამრიგად, კახური დიალექტის ტექსტებზე დაკვირვებით დადასტურდა, რომ დროის ზმნიზედა „მერე“ თხრობით ტექსტში ასრულებს მიერთებითი კავშირის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში იგი აღნიშნავს არა კონკრეტულ დროს, არამედ თანამონაწილე ზმნა-შემასმენლებთან ერთად გვიჩვენებს წინამავალი ამბის შედეგს ანდა მოქმედების პროცესის თანამიმდევრობასა და ინტენსივობას.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1986 — შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბილისი.

გოგოლაშვილი 1984 — გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა II სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბილისი.

დავითიანი 1973 — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ენუქიძე 1987 — ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბილისი.

კახური დიალექტი 1956 — ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

კვანტალიანი 1990 — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი.

კვაჭაძე 1996 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კიკნაძე 1957 — გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები. თბილისი.

მაჭავარიანი 1974 — გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი.

სერგია 1997 — გ. სერგია, ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი.

ფეიქრიშვილი 1974 — ჟ. ფეიქრიშვილი, თურმეობითის მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი.

ფხაკაძე 1984 — დ. ფხაკაძე, I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბილისი.

ქართული დიალექტოლოგია 1961 — ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

შალამბერიძე 1959 — გ. შალამბერიძე, ზმნისართი ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი.

შარაძენიძე 1974 — თ. შარაძენიძე, ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, თბილისი.

შენგელაია 1987 — ნ. შენგელაია, ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები, თბილისი.

ჭუმბურიძე 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

ROIN TCHIKADZE

**Adverbial Modifier of Time in the Function of Linking Word
According to the Texts of Kakhetian Dialect**

S u m m a r y

Adverbial modifier has got two types of meaning as well as corresponding functions: syntactically it is the member of the sentence denoting the tense expressed by the verb-predicate. Though in the context of the long text it is very often used as the linking word/conjunction characterized to the action according its result and intensity and is analyzed it the linguistic of the text.

From this view point it is worth mentioning adverb of time "merc" (then), which, as the member of the sentence, represents the adverbial modifier of time, but in the full text it serves as a linking word.

For further study of the abovementioned problem we have used the materials, having Kakhetian dialect which has revealed the following fact: when in the narrative text the adverb "merc" (then) serves as the linking word, in such situation, it denotes not a certain time but the result of the previous event, the succession or the intensity of the action with the help of the following verb-predicate.

რომანა ჭკალუა

კონვერსიისათვის სვანურში

სვანურ ენაში კონვერსიის (აქტივ-პასივის დაპირისპირების) მექანიზმი იგივეა, რაც დანარჩენ ქართველურ ენებში, გამოხატვის ფორმა კი რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა.

ქართულში უპრეფიქსო (**resp.** ნულოვანალომორფიან)¹ მოქმედებითს, როგორც წესი, პრეფიქსიანი ვნებითი უპირისპილება; პრეფიქსიანი მოქმედებითს კორელაციური ვნებითი ან სუფიქსიანია, ან უნიშნო; ნულოვანალომორფიანი მოქმედებითი და უნიშნო ვნებითი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან.²

სვანურში აქტივ-პასივის დაპირისპირებას სრულიად სხვადასხვაგვარად გამოხატავენ ფუძედრეკადი და არაფუძედრეკადი ზმნები.

არაფუძედრეკადი ზმნების, ნეიტრალური ვერსიის, ორპირიანი (ა-, ა-, ა-, ფორმანტიანი) მოქმედებითს საპირისპირო ვნებითი ო-, ი- პრეფიქსებით არის წარმოდგენილი.

აქტ.: ზს. ა-ნმგუ-ე, ლშხ. ა-მენმგუ-ე, ლნტ. ა-მენმგუ-ე „არბილებს“ (ის მას)

პას.: ზს. ი-ნმგუ-ი, ლშხ. ი-მენმგუ-ი, ლნტ. ი-მენმგუ-ი „რბილებს“ (ის).

აქტ.: ზს. ა-ნმყ-ე, ლშხ. ა-ნმყ-ე, ლნტ. ა-ნმყ-ე „ასუქებს“ (ის მას).

პას.: ზს. ი-ნმყ-ი, ლშხ. ი-ნმყ-ი, ლნტ. ი-ნმყ-ი „სუქდება“ (ის).

აქტ.: ზს. ა-ტყბ-ე, ლშხ. ა-ტყბ-ი, ლნტ. ა-ტყბ-ე/ი „შეუწვავს“ (ის მას)

პას.: ზს. ლშხ. ი-ტყბ-ი, ლნტ. ი-ტყბ-ი „შეიწვება“ (ის).

სამპირიანი მოქმედებითს ოპოზიციური ვნებითის ფორმათა ანლაუტში **ხ-ე** გვაქვს (აწმყოს III პირის პრეფიქსისეული **ხ-** ირიბი ობიექტის ნიშანია), „...ორპირიანი ვნებითი **ე-** ალომორფით გამოიხატება ყოველგვარ ზმნაში“ (ონიანი, 235).

ზს. ხ-ა-კი-ე, ბქ. ხ-ა-კი-ი, ლშხ. ხ-ა-კი-ე, ლნტ. ხ-ა-კი-ე „აწყვეტს“ (ის მას მას).

ბზ. ლშხ. ხ-ე-კი-ი, ბქ. ლნტ. ხ-ე-კი-ი, „ეძრობა, ეწყვიტება“ (ის მას).

¹ მკვლევართა ერთ ნაწილს აპრეფიქსი მოქმედებითი გვარის გამოხატვლად მიაჩნია. რადგანაც სემანტიკური ერთეულებით გამოხატულ ალომორფებთან ერთად ნულოვანი ალომორფიც მორფოლოგიური ნიშანია, ამიტომ უპრეფიქსო აქტივ-პასივის ფორმებს ნულოვანალომორფიანებს უწოდებენ (ონიანი 1998, 229).

² ტეხს — ტყდება ტიპის წყვილებში დ-ს პასივის ნიშნად არ გამოყოფენ (უთურგაიძე 1976, 200, ნებეირიძე 1984, 147).

ბზ. **ხ-წ-კლინ-ე**, **ხ-წ-კლინ-ე**, ლშხ. **ხ-ა-კჷდუნ-ე**, ლნტ. **ხ-წ-კჷედნ-ე** „აკლებს“

ბზ. **ხ-ე-კლინ-ი**, ბქ. **ხ-ე-კლინ-ი**, ლშხ. **ხ-ე-კჷდუნ-ი**, ლნტ. **ხ-ე-კჷედნ-ი** „აკლებს“ (ის მას).

ბზ. **ხ-ა-ცხწმპ-ე**, ბქ. **ხ-ა-ცხამპ-ე**, ლშხ. **ხ-ა-ცხწმპ-ე**, ლნტ. **ხ-ა-ცხპპნ-ე** „უნასკვავს“ (ის მას მას).

ბზ. **ხ-ე-ცხწმპ-ი** ბქ. **ხ-ე-ცხამპ-ი**, ლშხ. **ხ-ე-ცხამპ-ი**, ლნტ. **ხ-ე-ცხპპნ-ი** „უნასკვება“ (ის მას).

-ე- გვაქვს ისეთ ვნებებშიც, რომელთა საპირისპიროდ მოქმედებითი გვარის საობიექტო ქცევის -ი-, -ო- ფორმატიანი ფორმებია.

სუბ. წყობა

ხ-ო-კრ-ე	„ვულებს“	(მე მას მას)	ხ-ე-კრ-ი	„ელება“	(ის მას)
ხ-ო-კრ-ე	„ულებს“	(შენ მას მას)	ხ-ე-კრ-ი	„მელება“	(ის მას)
ხ-ო-კრ-ე	„ულებს“	(ის მას მას)	ხ-ე-კრ-ი	„გელება“	(ის მას)

ობ. წყობა

მ-ი-კრ-ე	„მილებს“	(ის მე მას)	მ-ე-კრ-ი	„მელება“	(ის მე)
ჯ-ი-კრ-ე	„გილებს“	(ის შენ მას)	ჯ-ე-კრ-ი	„გელება“	(ის შენ)
ხ-ო-კრ-ე	„ულებს“	(ის მას მას)	ხ-ე-კრ-ი	„ელება“	(ის მას)

ფუძედრეკადი ზმნები სვანურში, როგორც ცნობილია, აქტივ-პასივს შინაგანი ფლექსიით განარჩევენ, თუმცა აღნიშნული ტიპის ზმნებში აბლაუტი დამახასიათებელია, როგორც ჰარბი მორფოლოგიური ნიშანი. „სვანურში II-ჯგუფის (resp. ფუძედრეკადი) ზმნათა აქტიური და პასიური ფორმები გარჩეულია ერთმანეთისაგან **აფიქსებთან** (ხაზგასმა ჩვენია) ერთად ფუძის ფლექსიით“ (თოფურია 2002, 40).

აქტივის ფორმები ძირისეული **ი-გ-** ხმოვნის გარდა აწმყოს ნაკვეთებში **ე-** ბოლოსართით ხასიათდებიან, პასივის ფორმებისთვის **-ე-** შიგნიხმოვანთან ერთად, სპეციფიკურია **ენ** → **ნ**, ელემენტი და **ი-** ბოლოსართი.

ზს. ლნტ. **ფხიჟ-ე**, ლშხ. **ფხჟ-ე** „ფანტავს“ (ის მას).

ზს. ლშხ. **ფხეჟ-ი**, ლნტ. **ფხეჟ-ენ-ი** „იფანტება“ (ის)

ბზ. **შდიხ-ე** || **შდგხ-ე**, ბქ. **შდიხ-ე**, ლნტ. **შტიხ-ე** „ამთავრებს“ (ის მას).

ზს. ლშხ. **შდეხ-ი**, ლნტ. **შტიხ-ენ-ი** „ამთავრდება“ (ის).

-ი, -ე ბოლოსართები აწმყოს თემის ნიშნებად არის მიჩნეული (ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი...). ვ. თოფურიას ამოსავლად მიაჩნია -ი, ხოლო -ე მიღებული უნდა იყოს „...ფუძისეული -ა-სა და -ი სუფიქსის კონტრაქციით (თოფურია 2002, 181).

გ. მაჭავარიანი -**ე** სუფიქს ფუნქციურად ქართულის -**ებ**-თან აკავშირებს (მაჭავარიანი 1988, 62-107).

საყურადღებოა, რომ ფუძედრეკადი ზმნების -**ე**- შიგნიხმოვნიანი პასივის ფორმების პარალელურად სვანურში გვაქვს **ი** — **ი**, **ე** — **ი** ყალიბიანი ვნებითებიც.

დიგ-**ე** „აქრობს“ (ის მას),
დიგ-**ნი** „აქრება“ (ის), **ი**-დიგ-**ი** „იქრობა“ (ის).

ტიხ-**ე** „აბრუნებს“ (ის მას)
ტიხ-**ნი** „აბრუნდება“ (ის), **ი**-ტიხ-**ი** (ის).

სავარაუდოა, რომ -**ე**- შიგნიხმოვნიანის პარალელურად **ი**-, **ე**- ალომორფიანი პასივის გაჩენა მოხდა არაფუძედრეკად ზმნათა ვნებითის ფორმების ანალოგიით.

ცალკე უნდა გამოიყოს ფუძედრეკად ზმნათა ორპირიანი მოქმედებითებისაგან ნაწარმოები სამპირიანი ფორმები, რომელთაც საზედაოსაც უწოდებენ, (თუმცა ამ ფორმებით ყოველთვის არ არის საზედაობის სემანტიკა გამოხატული. **ბეფშ ფაყვს იმთე დერ ხსკჷე... ბქ. ბავშვი ქუდს სად მიაკარგავს...**)“ აღნიშნულ მოქმედებითა საპირისპიროდაც -**ე**- პრეფიქსიანი ვნებითები გვაქვს.

ხ-**წ**-**ი** „აწვავს“ (ის მას მას) ხ-**ე**-**წ**-**ი** „ეწევა“ (ის მას).
ხ-**წ**-**კ**-**ე** „ატეხს“ (ის მას მას) ხ-**ე**-**კ**-**ე** „ატყდება“ (ის მას).

რაც შეეხება საობიექტო ქცევის ფუძედრეკადებს, ორპირიანი ვნებითები სათანადო სამპირიან მოქმედებითაგან -**ენ**- ელემენტითა და ბოლოსართებით განსხვავდება. აქტივები -**ე**-თი ბოლოვდება, პასივები კი -**ი** ხმოვნით.

ხ-**ლ**-**ხ**-**ტ**-**ე** „ამო¹უწყვეტს, ამოუყლებს“ (ის მას მას), ზს. ლშხ. ხ-**ლ**-**ხ**-**ტ**-**ენ**-**ი**, ლნტ. ხ-**ლ**-**ხ**-**ტ**-**ენ**-**ი** „უწყდება, ეყლიტება“ (ის მას)

ხ-**ლ**-**ხ**-**ე** „უბობს, უხეთქს“ (ის მას მას), ზს. ლშხ. ხ-**ლ**-**ხ**-**ენ**-**ი**, ლნტ. ხ-**ლ**-**ხ**-**ენ**-**ი** „ეპობა, უსკდება“ (ის მას)

ხ-**ლ**-**ქ**-**ე** „უჭრის, უწყვეტს“ (ის მას მას), ზს. ლშხ. ხ-**ლ**-**ქ**-**ენ**-**ი**, ლნტ. ხ-**ლ**-**ქ**-**ენ**-**ი** „უწყდება“ (ის მას).

საზედაო ფორმათა ვნებითებში **ა**-ს მაგივრად **ე** არის გამოყენებული. ვ. თოფურის აზრით იგი ვნებითის -**ე**- არის და „... საზედაოს მიმართ იმავე როლს ასრულებს, რასაც I-ჯგუფის ზმნათა ვნებითში“ (თოფურია 1967, 50).

ზს. ლნტ. ხ-**ა**-**ყ**-**ე**, ლშხ. ხ-**ა**-**ყ**-**ე** „ატეხს“ (ის მას მას).
ზს. ლშხ. ხ-**ე**-**ყ**-**ენ**-**ი**, ლნტ. ხ-**ე**-**ყ**-**ენ**-**ი** „ატყდება“ (ის მას).
ზს. ლნტ. ხ-**ა**-**ქ**-**ე**, ლშხ. ხ-**ა**-**ქ**-**ე** „აჭრის“ (ის მას მას)
ზს. ლშხ. ხ-**ე**-**ქ**-**ენ**-**ი**, ლნტ. ხ-**ე**-**ქ**-**ენ**-**ი** „ეჭრება“ (ის მას).

ზს. ლნტ. ხ-ჰ-ყულ-ე, ლშხ. ხ-ა-ყულ-ე „აშორებს, აცილებს“ (ის მას მას)
 ზს. ლშხ. ხ-ე-ყულ-ენ-ი, ლნტ. ხ-ე-ყულ-ენ-ი „შორდება, სცილდება (ის მას).

ვნებითის ფორმებს სვანურში, ისევე როგორც ქართულში, გარდა ამო-სავალი (ბაზისური) სემანტიკისა, სხვადასხვა ნიუანსების გამოხატვის უნარი აქვთ. მაგ. 1. შესაძლებლობის (პოსიბალიტიური): ი-მ-ი „იჭმევს“, ხ-ე-მ-ი „ეჭმევს“; ი-შტ-ი „ისმევს“, ხ-ე-შტ-ი „ესმევს“. 2. უნებლიობის: ხ-ე-დგპრ-ი „შემოაკვდება“, ხ-ე-ჯჩენ-ი „შემოაკვდება“ და სხვ.

არც დეპონენსებია უცხო სვანურისათვის. მაგ. ი-წხტ-ი „იცოხნება“, ი-წიკუარ-ი „იჭყიტება“, და სხვ.

მრავლად გვაქვს აქტიური მოქმედების გამომხატველი რელატიური ე-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები, რომელთაც საპირისპიროდ აბსოლუტური ი-პრეფიქსიანები გვაქვს. მაგ.

ხ-ე-მზირ „ლოცავს“ (ის მას) ი-მზირ „ილოცება“ (ის)
 ხ-ე-მსახტირ „ემსახურება“, ი-მსახტირ „მსახურობს“ (ის).
 ხ-ე-თეფ „თოფს ესვრის“, **ზედმიწ.** „ეთოფება“ (ის მას) ი-თეფ „თოფს ისვრის, **ზედმიწ.** „ეთოფება“ (ის).
 ხ-ე-წყაჭ „ემასლაათება“ (ის მას) ი-წყაჭ „მასლაათობს“ (ის)

გვაქვს ისეთი წყვილიც ი და ე პრეფიქსიანი ფორმებისა, როდესაც ორივეს აქტიური სემანტიკა აქვს. მაგ.:

ხ-ე-ლჩ-ე „იცავს“ (ის მას) ი-ლჩ-ე „იცავს“ (ის მას)
 ხ-ე-ლდედ „მწყემსავს“ (ის მას) ი-ლდედ „მწყემსავს“ (ის მას)

აკ. შანიძე წერს რომ „...თუ ზმნას ი პრეფიქსი აქვს და შეიძლება მისი ე-დ შეცვლა, პასივის ფორმებთან გვაქვს საქმე“. პატივცემულ მეცნიერს მაგალითად მოაქვს „ი-სვრის“ და „ე-სვრის“ წყვილი, რომელთაც გაგება აქტიური აქვთ და მათ დეპონენსებად არ მიიჩნევენ, რადგან II სერიაში სუბიექტი ერგატივშია. ზუსტად ასეა სვანურშიც.

მეთხუიარ ხეთუეფ დვაშს „მონადირე თოფს ესვრის ჯიხვს“.
მეთხუიარდ ახთოფე დვაშს „მონადირემ ესროლა ჯიხვს“

აქ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ქართულში დეპონენსურად გამოყენებული „უყვება“ ზმნა, რომელსაც ორი ობიექტი აქვს ირიბი და პირდაპირი, მაგრამ აკ. შანიძის მიხედვით ეს პირდაპირი წარმოშობით ირიბია. **ამბავს ჰყვება** — **ამბავს მოჰყვა**. „პირდაპირად გახდომასთან დაკავშირებით მან შეიძლება ფორმაც იცვალოს: **ამბავი მოჰყვა, ამბავი მოუყვა** (შანიძე 1980, 299). სვანურში იგივე ზმნა გვაქვს -ე- პრეფიქსით „ხ-ე-მბაუ“ „უყვება“. II სერიაში გვექნება: **ო-ხ-უ-მბაუ-ე**.

დადა ბეფშს ცინგილს ხემზაგ „ბებია ბავშვს ზღაპარს უყვება“

დადად ბეფშს ცინგილს ოხუმზაგე „ბებია ბავშვს ზღაპარი მოუყვება“.

ცალკე განხილვის საგანია **-წლ**, **-წლ**, **წლ-**, **-ელ**... სუფიქსიანი ფორმები, რომლებიც **ი-** და **ე-** პრეფიქსებით უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ტიპის ზმნებში **ი-** და **ე-** პრეფიქსების ვნებითობის ნიშნად კვალიფიცირება ეჭვქვეშ არის დაყენებული „ჩვენი აზრით, ხეჭმინწლ „ედევნება“ (ის მას) ტიპის ზმნებთან **ე** პრეფიქსი ისევე არ მიიჩნევა ვნებითის ნიშნად, როგორც იმავე აფიქსებიან ერთპირიან მედიოაქტივებთან **ი** არ არის ვნებითის ნიშანი (გაგუა 1976, 236)“. ლ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ თუკი ახასიათებს რამე სპეციფიკური აღნიშნულ ფორმებს, იგი **-წლ**, **წლ-**, **-ელ**... სუფიქსების გამოყენებასთან არის დაკავშირებული (ნოზაძე 2008, 88). ეს საკითხი საკმაოდ რთულია და უფრო საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

სვანურში არაფუძედრეკად ზმნათა კორელაციური წყვილები აქტივის **ა-** - **ე**, **ა-** — **ი** და პასივის **ი-** — **ი**, **ე-** — **ი** ყალიბებით უპირისპირდებიან ერთმანეთს. ფუძედრეკადები კი გარდა შინაგანი ფლექსიისა, აქტივ-პასივის დასაპირიპირებლად, დამატებით აფიქსებსაც გამოიყენებენ.

ვნებითის დეპონენსურ ფორმებში **ი-** და **ე-** ფორმანტები კი გამოიყენება, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი ერგატიული კონსტრუქცია დეპონენსობას ეჭვქვეშ აყენებს.

ლიტერატურა

გაგუა 1988 — რ. გაგუა, საშუალო გვარის ზმნათა ერთი სახეობისათვის სვანურში, იკე XXVII, თბილისი.

თოფურია 1967 — გ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი.

თოფურია 2002 — გ. თოფურია, რ და ნ თანხმოდანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში, შრომები. ტ. III, თბილისი.

ნებიერიძე 1984 — გ. ნებიერიძე, გვარისა და კაუზატივის ურთიერთმომართება ქართულში, საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი.

ნოზაძე 2008 — ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.

ონიანი 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

უთურგაძე 1976 — თ. უთურგაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

შანიძე 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ROENA CHKADUA

Towards the Conversion in Svan

S u m m a r y

In Svan mechanism of conversion (opposition of active-passive) is the same as in other Kartvelian languages, but a form of expressing shows a little different picture. In Svan ablautive and non-ablautive verbs express active and passive opposition differently.

Non-ablautive verbs oppose each other through the following forms: e. g.: passive of act neutral version **a/ā/ā - -e, a/ā/ā - i, i- - -i, ī- - i** (US. **ā-nšgw-e**, Lashkh. **a-mēnšgw-e**, Lent. **ā-mneškw-e** "He/She softens it" - US **i-nšgw-i**, Lashkh. **i-mēnšgw-i**, Lent. **i-mneškw-i** - "It is softened").

Passives of **e- - -i** model opposes with **i- - -e, o- - -e** forms of an objective version.

Ablautive verbs differentiate active-passive by inflexion of a stem and affixes. Besides a specific root vowel, a marker **-e** always occurs as a present verb stem marker for active forms, while in passive forms **-en** element and **-i** final vowel as a verb stem marker occur along with vowel-changing.

In parallel with passive with **-q-** inner-vowel, the forms with **i- - -i, e- - -i** (which is characteristic for non-ablautives) occur in all Svan dialects. It is assumed, that occurring of passive with **i-, e-** allomorphs took place through analogy of non-ablautive verbs (**dig-e** "He/She extinguishes" - **deg-n-i** "It is extinguished", **i-dig-i** "It is being extinguished", **x-e-dig-i** "It is extinguished him/her").

So called superesive passive forms of conversion manifest peculiarities.

In Svan, the passive forms, like in Georgian, besides a basic semantics have different nuances (of possibility, involuntarity). Neither deponenses are unfamiliar for Svan (**i-çxw-i, i-çikw-är-i...**). The verbs with **-äl, -äl, -äl, -ēl** suffixes, which manifest some peculiarities, are the objects of separate discussion.

ენო ხასიაზილი

ცისარტყელას აღნიშნული ლექსიანობის

ენის მეცნიერული შესწავლა გულისხმობს მიმართებას კულტურასთან და აზროვნებასთან, ენის ისტორიის მიმართებას — კულტურისა და აზროვნების ისტორიასთან. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „ენობრივი ფაქტის მეცნიერული შესწავლა მისი ისტორიის შესწავლას გვერდს ვერ აუვლის: ენის ისტორიის შესწავლა — კულტურის ისტორიასა და აზროვნების ისტორიასთან კავშირში (ასევე: ენის შესწავლა კულტურასა და აზროვნებასთან კავშირში) — ესაა ენის ენათმეცნიერულ შესწავლაში ყველაზე არსებითი“ (ჩიქობავა 1979: 9).

ენაში თავს იყრის ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის მიერ შექმნილ ცივილიზაციათა მონაპოვარი. უძველესი მითოლოგიური და რელიგიური აზროვნების (შეხედულებების) კვალი ყველაზე მკაფიოდ ენას ატყვია.

ცნობილია, რომ ნებისმიერ ენაში პირობითად შეიძლება გამოიყოს ორი ფენა: მითოსური და ისტორიული. პირველი ანუ მითოსური ასახავს სიმბოლოებად გარდაქმნილ გარესამყაროს, მეორე, ისტორიული კი — შესაბამისი საზოგადოებრივი ფორმაციისათვის დამახასიათებელ რეალიებს აქცევს ენობრივ სინამდვილედ. „მითოსური აზროვნების“ გამოვლინება არსებითად ესაა გარესამყაროს კონკრეტულ მოვლენათა აღქმა სიმბოლური განზოგადებების სახით და მათი გარდაქმნა შესაბამის გამოხატულებად, ენაში ხდება მითოლოგიური ტრანსფორმაცია ადრეული კოსმოგონიური წარმოდგენებისა (ჯორბენაძე 1997: 46).

ამის ნათელი მაგალითია ცისარტყელა: მატერიალურ სამყაროში არსებობს შეიდეგა რკალი, რომელიც ჩნდება მზის მოპირდაპირე მხარეს წვიმის წვეთებში მზის სხივების გარდატეხით... (ქეგელ 1964).¹ ესაა ობიექტური, რეალური მონაცემი, რომლის შესაბამისი ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მოტივაციას ეფუძნება (ფორმას, ფერს და ა. შ.).

ცისარტყელა, მითოლოგიაში, ხიდია ცასა და დედამიწას, ზებუნებრივსა

¹ ლექსიკონში ასეთი განმარტებაც გვხვდება: „ცისარტყელა (თიან). შრილა ბალახი... შრილა ბალახი канареечник садовый, шелковая трава. Digraphis arundinacea... ჰრელფოთოლა, ლენტისალადა, ფარჩისყვავილა; თიან. ცისარტყელა; იმ., გურ. მაკოცე, მაკოცია; მეგრ. მაჯული, სირმაში ვარდი, ჩინთიში ვარდი“ (მაყაშვილი 1961).

და მიწიერს, საკრალურსა და ყოფითს შორის.¹

მითოლოგია, — აღნიშნავს ზ. კიკნაძე, — მოიცავს თავის თავში სიტყვიერ ტექსტებს და ასევე, რწმენა-წარმოდგენებს, რომელთაც შეიძლება არ ჰქონდეთ სიუჟეტური გამოხატულება. მითოსი შეიძლება გადმოიცეს ვრცელი ეპიური თხრობის ან იგავის სახით, და შეიძლება უკიდურესად შემჭიდროვდეს ანდაზაში. **იგი შეიძლება გამოხატოს ერთმა სიტყვამ² (მაგალითისათვის, ცისარტყელამ, — იმ წარმოდგენამ, რომ ცას გარს არტყია შვიდფერი სარტყელი) (კიკნაძე 2004: 3).**

ბიბლიური ტრადიციით, ცისარტყელა ჩნდება წარღვნის შემდეგ, როგორც მიტევების, ადამიანებთან ღმერთის შერიგების სიმბოლო. ბიბლიური ტრადიცია ბაბილონური „გილგამეშიდან“ უნდა მოდიოდეს.³

იღვამ, რომლის მიხედვით ცისარტყელა ზეციური საიდუმლო ნიშანია, გამომხატურება ჰპოვა უძველესი დროის წარმართულ უნივერსალურ მითებში. ამ მითებში ცისარტყელა უმეტეს შემთხვევაში ზეციურ დესპანს წარმოადგენდა, რომელსაც მიწაზე მოჰქონდა მშვიდობა და ღმერთების კეთილი ნება (ლოპუხინი 2000: 122).

ანტიკური ტრადიციით, ოლიმპოს მკვიდრთა შორის, ცისარტყელას თავის ღმერთქალი ჰყავდა — ირისი || ირიდა (ბერძნ. Iris, Iridos), ცისარტყელას ცვარ-ნამის მოსასხამით შემოსილი, რომელიც შუამავლობდა ღმერთებსა და

¹ ქართულ მითოლოგიაში ასეთი მკავშირებელი **შიბი-ა**: „ჭაჭვი“; ცის და მიწის კავშირის ერთ-ერთი საშუალება. ფსევდო-ხევისურთა წარმოდგენით ოქროს „შიბით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ღვთისშვილები. შიბები მათთვის ბილიკებია... შიბით ადიან ღვთისშვილები მორიგე ღმერთის კარამდე...“ (მითოლ. ენციკლ. 2004: 100).

² აქვე, შეიძლება, გავიხსენოთ **ირმის-ნახტომი** „ღამით ცის თაღზე გადაჭიმული მკრთალად მოელვარე ზოლი, შედგენილი მილიარდობით ვარსკვლავებისაგან (სინონ. **ხარის-ნავალი, იერუსალიმის გზა, დათვის-ფეხა, ცის-იკანკლედი, დევის ნამუნლარი... ირმის ნაფრენი** (ფშ.) იხ. ირმის-ნახტომი“... (ქეგლ 1955). მართლაც, თითოეული ამ სინონიმთაგან ცალკე მითოსია... აი, რას მოგვითხრობს ქართული ფოლკლორი: „ღმერთმა ქვეყანა და ადამიანი რომ გააჩინა, დაიწყო იმაზე ფიქრი, რომელი პირუტყვი გამოადგებოდა ადამიანს. დაუძახა ირემსა და ხარს. უბრძანა, ვინც მალე გადაურბენს ცას, იმას დავასაჩუქრებო. ირემმა დაჰკრა ქუსლი და გაფრინდა. უნდოდა, ხარისთვის ევობნა. მაგრამ ბევრი სირბილისაგან გაიბერა და მოკვდა. ცაზე მხოლოდ მისი ნაკვალევი დარჩა, რომელსაც **ირმის ნახტომი** ჰქვია. ხარი კი დინჯად წავიდა, გვიან მიადწია, მაგრამ მაინც მივიდა. ხარის ნაკვალევიც დააჩნდა ცას, რომელსაც **ხარის ნავალი** ეწოდება. ამის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ხარი, დაულოცა ქედი და ისიც ადამიანს ეხმარება. ეს ლექსიც ამაზეა: „ადამიანის შენახვა ვერავინ იღვა თავზედა, / ხენა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა გაჭირდა მეტად ძალზედა. / ხარმა თქვა, პირნათლიერმა, მე დამაწერეთ რქაზედა. / მოცვივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა, / ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორსავ რქაზედა, / **შვიდიც უბოძეს სარტყელი**, გაგზავნეს ქვეყანაზედა...“ (მითოლ. ენციკლ. 2004: 112).

³ ის, რომ ბიბლიური ამბავი წარღვნის შესახებ ძველებრეელთა მიერ შექმნილი ლეგენდა არ არის, ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჯორჯ სმიტმა გაშიფრა ბაბილონური „გილგამეშის ეპოსის“ XI ფირფიტა. მაგრამ თვით ბაბილონური მითი წარღვნის შესახებ უშემერული წარმომოხისაა (კრამერი 1988: 187).

ადამიანებს შორის, ის განუტყხადებდა ხოლმე ცისიერთა (ზევისისა და ჰერას) ნებას მიწიერთ. მას ღმერთების ფრთიან მაცნესაც ეძახდნენ. ირისს, ჩვეულებრივ, ჰერას გვერდით გამოსახავდნენ ხოლმე ფრთაშესხმული ქალბატონის სახით, რომელსაც ხელში თასი ეკავა. ამ თასით ირისს წყალი მიჰქონდა ღრუბლებისათვის.

აგრეთვე, ძველბერძნულსავე მითოლოგიაში **ირისი** — **ცისარტყელა** მოი-აზრება, როგორც 1. უზარმაზარი გველი¹, 2. ლენტი, 3. ზევისის საბრძოლო ალაში (დროშა). ჰესიოდედან მოყოლებული, ცისარტყელა გაიგივებულია ღმერთების ფრთიან მაცნესთან, ქალღმერთ ირიდასთან და მიჩნეულია მის სარტყელად ან მოსასხამად, ანდა ბილიკად, რომლითაც ის (ქალღმერთი) დე-დამიწაზე ეშვება.

ავსტრალიელი ტომების მითოლოგიაში ცნობილია **ცისარტყელას გველი** — „კაცთა მოდგმის (კაცობრიობის) მამა“, დემიურგი და ნაყოფიერების ღმერთი.

ამერიკელ ინდიელთა წარმოდგენაშიც ცისარტყელა გველია, რომელიც ზღვის წყალს სვამს.

ასევე, სლავური გადმოცემით, ცისარტყელა, გველშაპივით სვამს წყალს ტბებიდან, მდინარეებიდან და ზღვებიდან, და შემდეგ, წვიმად მოდის.

ძველინდურ მითოლოგიაში ჰეჰა-ჰუხილისა და ელვის ღმერთის, **ინდრას მშვილდია**, მისი „მიწიერი სალამი“.

სკანდინავიურ მითოლოგიაში ცისარტყელა — ესაა ხიდი „ბიფრესტი“, რომელიც აერთიანებს ორ სამყაროს: ადამიანთა საცხოვრისს, „მიდგარდს“ — „ასგარდთან“, ღმერთების საუფლოსთან. ამ ხიდს იცავს მზის ღმერთი ხეიმალი, სამყაროს დასასრულს **ხიდ-ცისარტყელაზე** დემონური „მუსპელის შვილები“ გაივლიან, რომელთა ფეხქვეშაც ეს ხიდი ჩაინგრევა. კელტური „ბიფრესტი“ („ბეწვის ხიდი“) წითელი ფერისაა. ის აღმოდებულია, „ცის სარტყელის მეშვეობით მთის გოლიათებმა ცაზე რომ არ გადაინაცვლონ...“

ბუდიზმში ცისარტყელა — ბუდას „**შვიდფეროვანი კიბეა**“, და, როგორც წესი, ბედნიერების მომასწავებელი ნიშანია.

ცისარტყელა, როგორც „ზეციური გადაადგილების“ უნივერსალური საშუალება, აღმოსავლურ მითოლოგიასაც ამშვენებს.

საყურადღებოა, აგრეთვე, ცისარტყელას ფერები და მათი სიმბოლური დატვირთვა: ჩინელები ცისარტყელაში ხუთ ფერს ხედავდნენ, რომელთა კომბინაციაც ინისა და იანის ერთობის აღმნიშვნელი იყო (ინი და იანი — ორი, ერთმანეთის საპირისპირო საწყისის — მდებარეულისა და მამრულის, სიბნელისა და სინათლის, სიცოცხლისა და სიკვდილის და სხვა დაპირისპირებულ წყვილთა სიმბოლოებია).

ისლამური ტრადიციით, ცისარტყელა ღვთაებრივ თვისებებს ასახავს და მისი ოთხი ფერი (წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი) სამყაროს ოთხ სტიქიას შეესატყვისება.

¹ საგულისხმოა, რომ სვანურის ბალსქვემოურ (ლხმ.) დიალექტში ცისარტყელას **გელარშაპ** „გველშაპი“ ჰქვია.

შუასაუკუნოვან ქრისტიანულ სიმბოლიკაში ცისარტყელას სამი ძირითადი ფერი ახსნილია როგორც წარღვნის (ლურჯი), მსოფლიო ხანძრის (წითელი) და აღორძინების (მწვანე) განსახიერება; ხოლო შვიდი ფერი — როგორც სულიწმიდის შვიდი ნიჭისა (მადლისა) და საიდუმლოს განსახიერება, აგრეთვე, სამოთხის გზისა და ღვთისმშობლის, როგორც მიწისა და ზეცის შემრიგებლის სიმბოლო.

წმიდა წერილში ჩვენ ცისარტყელას სხვა სიმბოლურ მნიშვნელობებსაც ვხვდებით: ის არის ღმერთის სიდიადისა და წმიდა სამების ნიშანი, ელვასთან ერთად იგი წარმოადგენს ბოლოჟამის (მაცხოვრის მეორედ მოსვლისა) და მსოფლიო (დიდი) სამსჯავროს ერთ-ერთ ატრიბუტს: ქრისტიანულ იკონოგრაფიაში გვხვდება ცისარტყელაზე მჯდომი მაცხოვარი — მსაჯული (განმკითხავი). სწორედ ამიტომაც არის, ალბათ, სხვადასხვა ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი შიში ცისარტყელას გამოჩენისას.¹

სამხრეთამერიკელი ინდიელებისა და აფრიკის, ინდოეთის, აზიის მოსახლეობის ნაწილის რწმენით, **ცისარტყელა** — **გველი** სიკეთის გარდა, უბედურების მომტანიც შეიძლება იყოს²...

ჩინეთში არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად, ცისარტყელა ჰარმონიას არღვევს...

თუმცა, ტრადიციულად, ცისარტყელა — მზისა და წყლის „თანხვედრის“ ეს ნიშანი, სასიკეთო მინიშნებად ითვლება (ტრემდერი 2001: 301; ენციკლ. 2005: 490; სიმბ. ენციკლ. 2007: 121; ლობუხინი 2000: 122).

ეს მითოლოგიური თუ რელიგიური ცოდნა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად აღსახა (შესაბამისად მათი წარმოდგენებისა) და დამკვიდრდა.

ამ მხრივ, ქართულის ენობრივი მონაცემები ძალიან საინტერესო სურათს იძლევა: ქართ. **ცისარტყელა**,³ მეგრ. **ცაშორტყაფუ**, ლაზ. **ცაშ ოტკაფუ** სვან. **დეცე(შ) ლორტყ...** ნ. მარს ჭანურში დამოწმებული აქვს სიტყვა **რუნცი** „ცისარტყელას“ მნიშვნელობით, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „შუქრი-ეფენდი უარყოფს ამ სიტყვის არსებობას, არ იცისო არც ფ-ბემ, მხოლოდ ამ უკანასკნელის მამა, 70 წლის მოხუცი ამტკიცებს, რომ ეს სიტყვა (**რუნცი**) არსებობს...“ შდრ. **ხუნც** (მარი 1910: 182). ჭან. **ხონც, ხუნც: ხონცუნ** ჭეჭა-ჭუხილია, აორ. **ხონცუ**, ხუნცასუნონ, ხონცასე, შდრ. გურგულამს, ა. **ხუნცამს A** ელავს, აორ. ხუნცუ (იქვე, მარი 1910: 233).

¹ საინტერესოა, რომ სვანეთში დღემდე შემორჩენილი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, თუ ცისარტყელა რომელიმე სახლთან დაბოლოვდა, იმ სახლს უბედურება ელის... (რ. ჭკადუას ინფორმაციით). შდრ. სრულიად საწინააღმდეგო გადმოცემები: იქ, სადაც ცისარტყელა ბოლოვდება, განძია ჩაფლული, ანდა კარგი მოსავალი იქნება. არსებობს ასეთი ირლანდიური თქმულება: ლებრეკონი (მითოლოგიური გმირი) განძით (ოქროთი) საგსე ქოთანს სწორედ იმ ადგილას მალავს, სადაც ცისარტყელა ეშვება დედამიწაზე.

² ვფიქრობთ, აქაც ფარულად (თუ ცხადად) ტრადიციული ხსოვნა წარღვნისა უნდა იყოს შემონახული: გველი II გველეშაპი ხომ წყლის სტიქიის ნიშანია, წყალი კი, ერთდროულად ქმნის (წარმოშობს) და სბობს კიდევ სიცოცხლეს...

³ შეიძლება ასევე შეგვხვდეს ბ **სარტყელი ცისა** „მსწრაფლ გადმოეშვა ცისა ლაყვარდსა შვიდფეროვანი სარტყელი ცისა“ (ილია). (ქეგლ VI).

მეგრულში ცისარტყელას აღსანიშნავად **ცაშქელი-ც** („ცის მშვილდი“), იხმარება.¹ სვანურის ბალსქვემოურ დიალექტებში ცისარტყელას აღსანიშნავად გამოიყენება **გჷეღერშაპიშ ლარტყ** (ცხუმ.) „გვეღერშაპის სარტყელი“ || **„გელარშაპ** (ლზმ.) „გვეღერშაპი“² და, აგრეთვე, **მარიამიშ ლარტყ** „მარიამის სარტყელი“.

საყურადღებოა ქართული ენის დიალექტური მონაცემებიც: ფერეიდნელი ქართველები ცისარტყელას **ცის კიბეს** ეძახიან: „ფერეიდნელი ქართველი ვარ, არ მინახავ საშობლო, დედინაცვალთანა ვარ, არ მინახავ დედაო... ქართველებო, დაქუჩდით, დღეს წამოვა წიმაო, ნამაი (კარგი) სიზმარი მინახავ, დაგუძახებს დედაო! ღმერთო, შენამც გენაცვლები, გაძაბე **ცის კიბეო, გამატარე კიბეში**, დამანახე დედაო!“ (თათარაშვილი 2005).³

აკაკი შანიძის მთის კილოთა ლექსიკონში „**ცისარტყელას**“ მნიშვნელობით დადასტურებულია: „ხევს. **მშვილდ-ისარანი**, გუდამაყრ., მთ., მოხ. **მარიამის სარტყელი**, თუშ. **თითბეჭედა...**“ „**მარიამის სარტყელი** გუდ., მოჯ., **მარიამის სარტყელი** მთ. ცისარტყელა, **მშვილდ-ისარა** ფშ., **მშვილდ-ისარანი** ჯ., **თითბეჭედა** თ.“ აკ. შანიძე წერს: „გაჯმატში (ჯვესურეთში) გავიგონე **ცის გირკალაჲ**, მაგრამ უარყოფენ“ (შანიძე 1984: 368).

აღ. ჭინჭარაულის ხევსურულის ლექსიკონშიც **ცისარტყელას** აღსანიშნავად „მშვილდ-ისარანი“-ა: „მშვილდ-ისარანი ჩამადგეს, ეტყობ აკარებას აპირობს“ (ჭინჭარაული 2005).

აკაკი შანიძე ხევსურულ **მშვილდ-ისარანს** („ცისარტყელას“ მნიშვნელობით) წოვა-თუშურის კალკად მიიჩნევს: „ხევსური რომ ცისარტყელას „მშვილდ-ისარანს“ დაუძახებს („მშვილდ-ისარანი“) ეს წოვა-თუშურის კალკია [წ.-თ. **სატყ-წაქი** (სიტყვა-სიტყვით: მშვილდ-ისარანი)]“ (შანიძე 1953: 257).

დავით და ნიკო ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (რედაქტორი — არნ. ჩიქობავა) ცისარტყელას შესატყვისია წოვა-თუშ. **დაღენ ატყ-წაქი**, სადაც **დაღენ** არის „ღმერთი“, **ატყ-წაქი** „მშვილდ-ისარები“ (დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე 1984), ე. ი. სიტყვა-სიტყვით „ღვთის მშვილდ-ისარები“. თუ გავითვალისწინებთ ბიბლიურ სწავლებას და ძველი ქართულის ლიტერატურულ ტრადიციებს (წყაროებს), შესაძლებელია, რომ ხევსურულსა და წოვა-თუშურში „მშვილდ-ისარანი“ ცისარტყელას მნიშვნელობით დამოუკიდებლად იყოს დამკვიდრებული.

უძველეს ქართულ ტექსტებში (თითქმის ყველგან)⁴ **მშუღდი** გვაქვს:

¹ ე. შენგელიას ინფორმაციით.

² სვანურის ეს მონაცემები მოგვაწოდეს რ. ჭკადუამ და მ. საღლიანმა.

³ ფერეიდანში ასე სწამთ — თუკი ცისარტყელას ქვეშ გავილი, საქართველოს ნახავ! ე. ი., სანუკვარი სურვილი აგისრულდება...

⁴ აქვე მინდა ვთქვა, რომ ძველ ქართულში დასტურდება **ცის საქანელი** — „ცის სარკმელი“ (ილ. აბულაძე). საბას განმარტებით კი: „**ცის საქანელი** კარად ითქმის გინა სარკმლად (სულხან-საბა), თვით **საქანელი** კი ნიშნავს „ნიღვარს“ (შდრ. **წყლის საქანელი** — „ჩანჩქერი“). შესაძლებელია, **ცის საქანელი** „ცისარტყელასაც“ აღნიშნავდა, თუმცა ჯერ-ჯერობით ამ მნიშვნელობით არ შეგვხვდრია.

„და თქუა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: ესე სასწაული აღთქმისა ჩემისა, რომელსა მე მოვსცემ შორის ჩემსა და შორის თქუენსა და შორის ყოვლისა სულისა. რომელი არს თქუენ თანა ნათესავად საუკუნოდ. რამეთუ მ შ ვ ლ დ ს ა ჩ ე მ ს ა დაესდებ ღრუბელთა შინა და იყოს სასწაული აღთქმისა ჩემისა, რომელ არს შორის ჩემსა და თქუენსა და ქუეყანასა (შესაქმე IX, 12-13). და იყოს ოდეს მოვაწიო ღრუბელი ქუეყანასა ზედა, და გამოჩნდეს მ შ ვ ლ დ ი ჩ ე მ ი ღრუბელთა შინა, და მოვიცენებ აღთქმასა ჩემსა, რომელ არს შორის ჩემსა და თქუენსა (შესაქმე IX, 14-15). და იყოს მ შ ვ ლ დ ი ჩ ე მ ი ღრუბელსა შინა და ვიხილვიდე მოსაჯენებლად აღთქმისა საუკუნოდსა შორის ჩემსა და შორის ყოვლისა სულისა ცხოველისა ყოველსა შინა ჯორცსა, რომელ არს ქუეყანასა ზედა...“ (შესაქმე IX, 16).

ე. ი. **ცისარტყელა** — **უფლის მშვილდია**, საუკუნო აღთქმის სიმბოლო — სასწაული (სასწაული ე. ი. ნიშანი).

სულხან-საბას განმარტებით, „**ცისარტყელა** (ცისარტყელი) **ცის მშვილდი**... ნ. ირისე, ცის-მშვილდი... **ცის მშვილდი** († დაბად. A). რა ნისლი ამალღებების და ღრუბელთამდისინ მიიწევის, ცვარნი ნისლთანი განზრქელდებიან და მზის(ა) შარავანდელისა მიერ შეიმკობიან... ფერად-ფერადად სახილველ იქმნებიან. კეთილი ნიშანია მრავალგზისი მისი გამოჩინება... (სულხან-საბა, II). **ირისე** (10, 1 გამოცხ.) ცისმშვილდი ბერძულად (სულხან-საბა, I).

დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მონაცემებით: **ცის სარტყელა**, **ცის მშვილდი**, **ირისე**. ნაწვიმარზედ ღრუბელთა შორის გარდავლებული კამარა ფერად-ფერადი; радуга; დაბად. 9-13, 14;... **ირისე** (ბერძნ.) ცის მშვილდი, ცის სარტყელა, радуга, ტიმ. 25, 114; მარტ. 1, 112, დან. 4, 20, გამოცხ. 10-1... **მშვილდი**... იარაღი ხისა, რქისა ან მეტალისა მოხრილი და ლამბით გაჭიმული სასროლი ისართა; ფსალმ. 7, 11; 10-2... **ცის სარტყელი** დაბად. 9-13; лук; дуга; радуга; გამოცხ. 10-1... (დ. ჩუბინაშვილი 1887).

დავით ჩუბინაშვილისავე „ქართულ-რუსულ-ფრანციულ“ ლექსიკონში **ცის-მშვილდი**, **ცის-სარტყელი** дуга, радуга, arc-en-ciel ... ეს ტერმინი აგრეთვე განხილულია ცის, ზეცის ბუდეში: „ცა, ზეცა... небо; воздухъ; царство небесное... ciel, cieux; air, royaume du ciel... **ცის სარტყელი** ცის მშვილდი, радуга, arc-en-ciel“. ასევე, სარტყელთან: **სარტყელი** поясъ, ceinture. **ცის სარტყელი**, — **სარტყელა**, радуга, arc-en-ciel, iris" (დ. ჩუბინაშვილი 1840).

საგულისხმოა ნიკო ჩუბინაშვილის განმარტება: „**ცის-მშვილდი** მ დ ა - ბ ი უ რ ა დ ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა , ბ ე რ ძ უ ლ ა დ ი რ ი ს ე , ნ ა წ ვ ი მ ა რ ზ ე დ ღ რ უ ბ ე ლ თ ა შ ო რ ი ს გ ა რ დ ა ვ ლ ე ბ უ ლ ი კ ა მ ა რ ა ფ ე რ ა დ - ფ ე რ ა დ ა დ შ ე მ კ ო ბ ი ლ ი (და - ბ ა დ . 9 , 13-14) . ა მ განმარტებაში, ტერმინში მ დ ა ბ ი უ რ ა დ , იგულისხმება არასალიტერატურო, ცოცხალი მეტყველება, რადგანაც ბიბლიის უძველეს ქართულ ხელნაწერებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **მშვილდი** დასტურდება „ცისარტყელას“ აღსანიშნავად შესაქმეს IX თავის 13-16 მუხლებში, სადაც უფალი ნოეს უდებს აღთქმას, რომ აღარასოდეს აღარ იქნება წარღვნა, და

ნიშნად ამისა: „მ შ ვ ლ დ ს ა ჩ ე მ ს ა დავსდებ ღრუბელთა შინა...“¹
 „გამოცხადებაში“ **ცისარტყელას** ბერძნული სინონიმია გამოყენებული: „და ვი-
 ხილე ანგელოზი ძლიერი, გარდამომავალი ზეცით, და ემოსა ღრუბელი, და
ირისე, რომელ არს **მშვლდი ცისაჲ** ბერძულებრ, იყო თავსა ზედა მისსა; და
 პირი მისი ვითარცა მზე“... (გამოცხ. 10, 1).

ებრაული ტრადიციით, საიდანაც „შესაქმის“ ტექსტი ითარგმნა სხვა
 ენებზე, ცისარტყელას აღნიშნავს ტერმ. **qāšāt**, რომლის ამოსავალი მნიშვნე-
 ლობაა „მშვილდი“: ებრ. **qešet** (მრ. **qāšāt**) 1. მშვილდი (სასროლი); 2. ცი-
 სარტყელა; 3. მათ. რკალი; 4. ხემი. უდრ.: **qaššat** რკალისებური; **qaššīn** მორკა-
 ლული, მოლუნული... **w'hišim qaššīn** მშვილდი და ისრები; **qaššītiy** ცი-
 სარტყელა (შაპირო 1963).

არაბულში ცისარტყელას აღნიშნავს სიტყვა **qawsulsamā'** (**qawsul** „ცა“ +
samā' „თალი, მშვილდი“); აგრეთვე, არაბ. **qawsuquzahī** „ცისარტყელა“, სადაც
quzahī მითოლოგიური გმირი კუზახია; ა) ეშმაკის სახელი; ბ) ღრუბელთა წი-
 ნამძლოლი ანგელოზის სახელი; **qaws** 1) მშვილდი, 2) თალი, 3) ხიდის
 (კამარა) მალი, 4. რკალი... (ბარანოვი 1977).

სპარსულში **ranginkamān** „ცისარტყელა“ ← **rangin** „ფერადი“, **kamān** 1.
 მშვილდი, 2. რკალი, 3. თალი“... (რუბინჩიკი 1985), ე. ი. ფერადი რკალი, თუ
 მშვილდი... აქ აქცენტი ცისარტყელას ფერებზეა...²

ოსურშიც, **arvyrdyn** „ცის მშვილდია“: **arv** „ცა“; **wælarv** „ზეცა“; **arv**:
oervon „ციური“, **arvnœryn** „ჭექა-ქუხილი“, **arvyrttyvd** „ელვა“ (блеск неба),
arvyrdyn „ცისარტყელა“ (ცის მშვილდი), **arv** ← ***avr** ← ირან. ***abra** —
 „ღრუბელი“; სხვა ირანულ (და ინდოევროპულ) ენებში სიტყვა **arv** აღნიშნავს
 არა „ცას“, არამედ „ღრუბელს“, „საწვიმარ ღრუბელს“... (აბაევი I, 1958: 71).

¹ ბერძნულში ამ ადგილას **τοζοβ** „მშვილდი“ დასტურდება... (დანელია 1987: 424).

² სიჭრელის, ფერადოვნების აღსანიშნავად ქართულშიც გვაქვს ასეთი გამოთქმა:
ცისარტყელას ფრთა — „ატმის ყვავილს ფერმა დაჰკრა ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა ს ფ რ თ ი ს“ —
 ე. ი. სახეზე ცისარტყელას ფერებმა გადაუარა, აჭრელდა (მ. ქურდიანი).

ძველ ქართულშიც, „დავითის და კონსტანტინეს ცხოვრებაში“ გვითხულობთ: „**ირისებრ
 ჭრელებს** სისხლი მათი, რომელი **მშვლდ არს საქურულელ წმიდა ურჩთადმი** ეკკლესიისათა, ხოლო
 ჩუენდა ღმრთისა **მიმართ ნიშად მშვდობისა** 168,6 „ვითარცა ფერთა სახილავთავან **ირისე** ღრუბლით
 წჳმეირით **ღმერთ-შარაგანდედი** იგი ჩუენდა ჳორციელად დაიხატა... 208, 30 (ძვ. ქართ. აგიოგრ. VI,
 1980. იქვე, „სიტყუა მესამე... არჩილისათვის:“ „...მსხუერპლი წმიდა დაყენებს რისხუასა ღმრთი-
 აღძრულსა, ხოლო თვთ [არჩილი] უკუე **იქმნეს ნიშან მშვდობისა ირისედ ღმრთისა** მიერ ერისა-
 დმი თვისისა... იქმნა ჳემმარტად ნიშან **მშვდობისა ირისედ განჭრელებულ: წითლად** — სისხლი-
 თა ვნებისათა წმიდითა, **მზისფერ** — ყოველთა სათნოებათა მოგებისა ძლით მზის ღმრთისა თავსა
 შორის თვისსა დახატუთა, **მწუანედ** — ნიადავ არეობითა და დაუბერებელითა კეთილობისათს შო-
 რის მოგებითა, **იისფერ** — მგლოვარებისაცა თვის შორის ქონებითა, ვინიცა ამით დასდუა სული
 თვისი ღმრთისა შორის და ეკკლესიათა თვისთა ნიშად მშვდობისა... [შესხმა და მოთხრობა ღუაწლ-
 თა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა არჩილ მეორისა, მეფისა ყოვლისა ჳემომსა და ქუე-
 მომსა საქართუელომსა და აფხაზეთისა, ხოსროვანისა, ქმნილი ანტონისაგან არხიეპისკოპოსი ყოვ-
 ლისა ჳემომსა საქართუელომსა, დავით — ბაგრატიონისა]).

სომხურში „ცისარტყელას“ აღსანიშნავად სიტყვა **წიაწან** იხმარება, მისი სინონიმებია **ბაკმი** და **ირისი...** „წიაწან“ სიტყვის ეტიმოლოგიას სომხური ლექსიკონები (პრ. აჭარიანის ლექსიკონი, ჰაიკაზიანთა ახალი ლექსიკონი) უკავშირებენ „წრე“-ს (რკალს).

თურქულ ენაში ცისარტყელას რამდენიმე სახელი აქვს: 1) ტერმ. **gökkuşağı** („ცისარტყელა“) — ეს კომპოზიტი ისეთივე შედგენილობისაა, როგორც ქართული ცისარტყელა: **gök** „ცა“, **kuşak** (-ği) 1. „სარტყელი“ (Турецко-русск. слов.; 1977). 2. თურქ. **ebekuşağı** „ცისარტყელა“, სადაც **ebe** „ბებიაქალია“, ე. ი. „ბებიაქალის სარტყელი“; 3. **yağmur kusağı** „წვიმის სარტყელი“; 4. **hular kusağı**, სადაც **hular** არაბ. **haci**-ის (**ჰეჯი** — ვინც მექა მოიარა) მრ. რიცხვის ფორმაა; ძველად „ცისარტყელას“ აღსანიშნავად იხმარებოდა ასევე არაბ-სპარს. **alâimisema** (სიტყვასიტყვით „ცის ნიშანი“) (თურქულ-ქართული ლექსიკონი 2001).

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში სხვადასხვაგვარი ვითარება გვაქვს: აფხაზ. **აцәушә** „ცისარტყელა“ (ჯანაშია 1954), ეტიმოლოგია ჩვენთვის უცნობია. ადიღურში **ლ̄ნღოფფ გ̄ანფს** „ცისარტყელა“ (სიტყვასიტყვით „ქვების ყური“).

ჩეჩნ. **სთმელანად** „ცისარტყელა“ (**სთმელა** „ჭექა-ქუხილის ღვთაება + **ნად** „მშვილდი“, ე. ი. „ჭექა-ქუხილის ღვთაების (სთმელას) მშვილდი“), ჩეჩნ. **სთმელანაშთიგ** „ელვა, მეხი“, სიტყვასიტყვით „ზეციური ჩირაღდანი“ (მაციევი 1961).

ხუნძური **ნურალ'ულ კამური** „ცისარტყელა“, ზედმიწევნით „შუქის (სინათლის) თაღი“, შემოკლებით შეიძლება ითქვას, აგრეთვე **ნურ** (ელიფსისის მოვლენა). ხუნძ. **ნურ** (ნასესხებია არაბულიდან) „შუქი“, „სინათლე“, „სხივი“, „ნათება“ (ნათ. ფორმაა ნურალ'ულ), **კამური** „თაღი“, "арка", შდრ. ქართ. **კამარა**. ხუნძურის დიალექტებში (ანდალალური დიალექტის სალტის კილოკავში: **ბიჩასულ ხვალჩენ**, ზედმიწევნით „ღვთის მახვილი“... აულ შულანბის მეტყველებაში **ბიჩასულ ბულჯ** („ღვთის მშვილდი“), ყვლებურში **ილიამასულ ჭორბუტა** („ილიასის ე. ი. ელიას მშვილდ-ისარი“), ჭარულ დიალექტში (აზერბაიჯანი, ზაქათალის რ-ნი): **ზუდულ რაკიჩ** ზედმიწევნით „ცის სარტყელი“ (საიდოვა 2008). ეს სახელწოდება ხუნძურში ერთადერთი ჩანს ქართულის ანალოგიური... და ა. შ.

რაც შეეხება რუსულ **радуга**-ს, მის ამოსავალ მნიშვნელობად მიჩნეულია „სიხარული“ ***raduga** ← **радъ** დიალ. **весѣлка** „ცისარტყელა“, კურსკ., უკრ. **веселица, веселка**, ლიტ. **linksmynė** „ცისარტყელა“; **liñksmas** „მხიარული“... თუმცა ფასმერს მიაჩნია, რომ **радуга** ← **райдуга** ხალხური ეტიმოლოგიით „სამოთხეს“ (**рай**) შეიძლება დაუკავშირდეს; სობოლევსკის, პრეობრაჟენსკისა და კალიმას მიხედვით კი, ეს უძველესი სიტყვა „ჭრელ, მბრწყინავ თაღს (**дуга**)“ უნდა ნიშნავდეს... (ფასმერი III, 1971).

ინგლისურში „ცისარტყელა“ **rainbow** „წვიმის მშვილდია“, ინგლ. **rain** „წვიმა“, **bow**-ს ცხრაზე მეტი მნიშვნელობა აქვს: „რკალი, თაღი, (ისრის სასროლი) მშვილდი...“ და ა. შ., საგულისხმოა, რომ **rainbow** „ცისარტყელას-თან“ ერთად „თვალწარმტაცს, მშვენიერსაც“ ნიშნავს (ინგლისურ-ქართული

ლექს. 1975). გერმანულში **regenbogen** „ცისარტყელა“ (**regen** „წვიმა“ + **bogen** „თალი“ (Wörterbuch 1962). ფრანგულში **arc-en-ciel** „ცისარტყელა“, სიტყვა-სიტყვით „ცის თალი“ (**arc** „1. მწვილდი, 2. თალი, 3. რკალი“. **ciel** „ცა“) (ფრანგულ-ქართული ლექს. 1962). ესპანურში „ცისარტყელას“ აღნიშნავს **Arco iris** (ირისის თალი), **Arco del cielo** (ცის თალი), აგრეთვე, **Arco de San Martin** (წმინდა მარტინის თალი) (Enciclop. 1979) ბასკური **ostadar** „ცისარტყელა (**ost** „ცა“, **adar** „თალი, კამარა“)“ შდრ. ბასკური **ostiri** „ცის კამარა“ (დლონტი 1988: 75). იტალიური **arcobaleno** „ცისარტყელა“, აგრეთვე სიტყვებისა და ბრწყინვალეების აღმნიშვნელია (**arco** „თალი“ + **baleno**). **baleno**-ს ეტიმოლოგია საკამათოა: მოდის სიტყვიდან **balena** „ჯაღოსნური, ამოუცნობი არსება, რომელიც ცაში დანავარდობს ან ფრენს, ან გაიელვებს ცაში“; ნიშნავს (სინათლის || შუქის) კაშკაშს რისამე ზედაპირზე (Vocabolario 2002).

საყოფადღებოა ლათინური ენის მონაცემებიც: ლათ. **arcus** „ცისარტყელა“ (**arcus** — ძირითადი მნიშვნელობით „თალი“): **arcus caelestis** „ცისარტყელა“, სიტყვა-სიტყვით „ციური თალი“ (პლინუს უფროსი); **arcus imbrifer** „ცისარტყელა“, სიტყვასიტყვით „წვიმისმოტანი“, „ღრუბლიანი თალი“ (ტიბელიუსი); **arcus coloratus** „ცისარტყელა“, „ფერადოვანი თალი“ (ციცერონი); **arcus pluvius** „ცისარტყელა“, „წვიმიანი თალი“ (პორაციუსი); **arcus purpureus** „ცისარტყელა“, „მეწამულ-იისფერი თალი“ (პროპერციუსი)...¹ როგორც მაგალითებიდან ჩანს, ლათინურშიც მრავალფეროვანი სურათია.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **ცი-სარტყელას** სახელდებისას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მოტივაციაა გამსაზღვრელი. ძირითადი, არსებითი მაინც არის ფორმა (რკალი, თალი — შესაბამისად, მწვილდი, სარტყელი...), წარმომავლობა (ანუ ზეციურობა), წვიმისა და მზის ერთობა; და ფერადოვნება (სიტყვულე)... შემდეგ კი ეს ყველაფერი, ჩანს, მეტაფორიზებული მითოლოგიური სიმბოლოების სახით დამკვიდრდა ენაში.

ლიტერატურა

დანელია 1987 — კ. დანელია, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ტ. I, ნაწ. I. თბილისი.

თათარაშვილი 2005 — გაზ. „მცხეთა“, 2005 წ. 1-15/IX თამარ თათარაშვილის წერილი.

კრამერი 1988 — სემიუელ ნოა კრამერი, ისტორია იწყება შუმერიდან, თარგმ. მ. სოხაძემ, სპეცრედაქტორი ზ. კიკნაძე; თბილისი.

ლოპუხინი 2000 — ბიბლიის განმარტებანი, წ. I, ლოპუხინი ა. პ.,

¹ ლათინური ენის მასალა მოგვაწოდა თსუ პროფ. ი. გაგუამ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას. აგრეთვე, მადლობას ვუხდით არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყველა იმ თანამშრომელს, რომელთაც გამოიჩინეს გულისხმიერება და მოგვაწოდეს მთის იბერიულ-კავკასიურ, ინდო-ევროპულ, სემიტურ და თურქულ ენათა მასალები.

თარგმ. თ. მეტრეველმა; თბილისი.

შანიძე 1984 — აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი.

შანიძე 1953 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

შესაქმე 1989 — წიგნი ძუელისა აღთქმისანი (შესაქმისად, გამოსლვა-თად). ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბ. გინეიშვილმა და ც. კიკვიძემ. თბილისი.

ძვ. ქართ. აგიოგრ. VI, 1980 — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, რედაქტორი მზექალა შანიძე, თბილისი.

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი; თბილისი.

ჯანაშია 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჯორბენაძე 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა; თბილისი.

მარი 1910 — Н. Я. Марр; Чанско-русский словарь... Грамматика чанского (лазского) языка, СПб 1910

თურქულ-ქართული ლექსიკონი 2001 — თურქულ-ქართული ლექსიკონი (A—j), სტამბოლი.

მაყაშვილი 1961 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

მითოლოგ. ენციკლ. I 2003 — მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის, წ. I (ა—ლ), ავტორები: ნ. ტონია, ზ. კიკნაძე, თბილისი.

მითოლოგ. ენციკლ. III 2004 — მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის (ქართული მითოლოგია), წ. III, ავტორი: ზ. კიკნაძე; თბილისი.

სიმბ. ენციკლ. 2007 — სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, ტ. II (ნ—ჰ), თბილისი.

სულხან-საბა I 1991, II 1993, — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II, თბილისი.

ფრანგულ-ქართული ლექს. 1963 — ფრანგულ-ქართული ლექსიკონი (შედგ. ი. გვარჯალაძის მიერ), თბილისი.

ქადაგიძე დ., ქადაგიძე ნ. 1984 — დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუ-შურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი. 1984 (გამოსაცემად მოამზადა დოც. რ. გაგუამ, არნ. ჩიქობავას რედაქციით).

ქეგლ IV 1955 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბილისი.

ქეგლ VI 1960 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბილისი.

ქეგლ VIII 1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, თბილისი.

ჩუბინაშვილი დ. 1840 — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანციკული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ, სანკტპეტერბურგი.

ჩუბინაშვილი დ. 1887 — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექს-

სიკონი, სანკტპეტერბურგი 1887 წ., თბილისი.

ჩუბინაშვილი ბ. 1961 — ბ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

აბაევი I, 1958 — В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I (А—К), Москва-Ленинград.

ათაევი 1992 — Атаев Б. М. Русско-аварский разговорник, Санкт-Петербург, 1992

აჭარიანი 1927 — Р. Ачарян, Этимологический словарь армянского языка, Ереван.

ბარანოვი 1977 — Х. К. Баранов, Арабско-русский словарь.

ენციკლ. 2005 — Энциклопедия символов, знаков, эмблем. М. "ЭКМО", СПб "Мидгард".

თურქულ-რუსული ლექს. 1977 — Турецко-русский словарь, М.

ინგლისურ-ქართული ლექს. 1975 — ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თ. და ი. გვარჯალაძეები, თბილისი.

მაციევი 1961 — Чечено-русский словарь, составил А. Г. Мациев. М.

რუბინჩიკი 1985 — Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика. М.

საიდოვა 2008 — П. А. Саидова, Диалектологический словарь аварского языка, М.

ტრემდერი 2001 — Джек Трэмдер, Словарь символов, М.

ფასმერი III, 1971 — М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, М.

შაპირო 1963 — Иврит-русский словарь, составил Ф. А. Шапиро, под редакцией проф. Б. М. Гранде, М.

Enciclop. 1979 — Enciclopedia concisa Sopena, I, Diccionario ilustrado de la lengua española, Barcelona.

Vocabolario 2002 — Vocabolario della lingua italiana, Zingarelli.

Webster's 1971 — (Webster's New World Thesaurus) by Charlton Laird. New American library.

Wörterbuch 1962 — Russih-Dautshes Wörterbuch, von Prof. Dr. Hans Holm Bielfeldi. Leipzig.

NINO KHAKHIASHVILI

Towards the Vocabulary Denoting *Rainbow*

S u m m a r y

“To study a language, its past and future in connection with culture and history – it means, to study the most essential, the most valuable what we have in a language – as in social phenomenon” (Arn. Chikobava).

It is well-known, that two levels can be conditionally distinguished in any language: **mythic** and **historic**. The first (mythic) reflects the world through symbols, the other (historic) – transforms the reals characteristic to a relevant social formation into a language reality. Manifestation of a “mythic thinking” – it is the perceiving of concrete phenomena of the world in the forms of symbolic generalization and their transforming into relevant depict. Mythic transformation of earlier cosmogonic images takes place in a language.

A clear example of this is the **rainbow**: in the material world there is a seven-coloured arch, which appears in the opposite of the sun in rain-drops through refracting of the sun rays. This is an objective, real data, the corresponding lexical units of which are built on different motivation in different languages (according to a form, colour and others). For the Georgian language reality, it is a ‘**cis sartqeli**’ – “a belt of the sky”, **cisartqela** (Zan-Megr. **cašortqapu**, Svan. **deceš lartq / dece lartq**). The following synonyms are evidenced in dictionaries: **mšvildi** – ‘bow’, **cis mšvildi** ‘the sky-bow’, **irise**; e. g. Sulxan-Saba’s dictionry “**siṭqvis ḵona**” “Glossary”: “**cisartqela (cisartqeli BC) cis mšvildi...** ḵetili nišania mravalgzis misi gamočineba. see irise, cismšvildi...”.

Niko Chubinashvili’s explanation is noteworthy: “**cismšvildi** mdabiurad cisartqela, berzulad irise, načvimarzed ḡrubelta šoris gardavlebuli ḵamara perad-peradad šemḵobili” (Genesis, 9-13, 14), dyga, raduga (N. Chub., Georg. dic. with Russ. trans.) – “**cismšvildi**” simply **cisartqela**, in Greek **irise** a coloured arch after rain among the clouds”. In this explanation in the word **simple** N. Chubinashvili means non-literary, living speech, as in the ancient Georgian manuscripts of the Bible “**mšvildi**” ‘a bow’ is attested: “[hrkua upalman ḡmertman noves:]... **mšwildsa** čemsa davsdeb ḡrubelta šina da iqos sasčaulad aṭkumisa čemisa šoris čemsa da šoris tkuens. da iqos, ražams movačio ḡrubeli kuečanasa zeda da gamočndes **mšmvildi** igi čemi ḡrubelta šina, da movixseno aṭkumaj igi čemi...” “[As God said to Noe:]... I set Me **bow** in the cloud, and it shall be for a sign of a covenant between Me and the earth. And it shall come about when I bring a cloud over the earth, that the **bow** shall be seen in the cloud..” (Genesis, 9, 13-15).

“da vixile angelozi zlieri, gardamomavali zecit, da emosa ḡrubeli, da irise, romel ars **mšvildi cisaj** berzulebr, iqo tavsa zeda missa; da piri misi, vitarca mze...” – “And I saw another strong angel coming down out of heaven, clother with a

cloud and the **rainbow** was upon his head, and his face was like the sun..." (Revelation, 10, 1) and others.

In the Khevsurian dialects the rainbow is called "**mšvild-isarani**" – "a bow and arrows": "**mšvild-isan** čamadges, eḡob, aḡarebas apirobs" (cf.: A. Shan. "mšvild-isarani") (Al. Chinch., "Khevs. vocab.").

Akaki Shanidze writes in the dictionary of mountainian sub-dialects which is added to dialectal texts: "**mšvild-isari** q., **mariamis sartḡeli** Gud., Mt. Mokh., **tit-beḡeda** t. cisartḡela"... "**mariamis sartḡeli** Gud., Moq., **mariemis sartḡeli** Mt., **mšvild-isara** Psh., **mšvild-isarani** q., qaqmaḡḡši (qevsureḡši) gavigone cis girḡlaj, magram uarḡopen" (Ak. Shanidze, I)

Akaki Shanidze considers **mšvild-isarans** (with the meaning of "rainbow") as a calque of Tsova-Tushian, though it is possible, that the mentioned lexical units are established in different languages independently.

In Davit and Niko Kadagidzes' "Tsova-Tushian-Georgian-Russian dictionary", which was published under Arn. Chikobava's editorship in 1984, a corresponding word of "**cisartḡela**" is Tsova-Tushian **daleⁿ aḡ-ḡaki**, in which **daleⁿ** is 'the God', **aḡ-ḡaki** – "a bow and arrows", i. e. word for word "the God's bow and arrows".

The rainbow – as the God's (or the sky's, or angels' and other heaven beings or phenomena's) weapon (a bow) a sign, a way, an arch, etc. is reflected in different peoples' mythological and religious oral traditions and a language, relevantly to a language perception of a nation.

სირა ჯანჯღავა

პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციონირების
უმსახეობა იმერულში

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია მეგრულ-ლაზური (ზანური) ენის პირველი სუბიექტური პირის **ვ-** ნიშნისა და მისი პოზიციური ვარიანტების (**ბ-, ფ-, ჰ-, მ-**) გამოვლენის პირობები (მარი 1910, 24; ყიფშიძე 1914, 040; ჩიქობავა 1936, 87-88, 96, 99; კიზირია 1967, 68-69; გუდავა, გამყრელიძე 1981, 215-219; დანელია 2006, 125-126; ჯანჯღავა 1989, 44-45...). ზოგი საკითხის დაზუსტება მაინც საჭიროდ მიგვაჩნია; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ პირველი სუბიექტური პირის ორმაგი აღნიშვნის საკითხი.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ პირველი სუბიექტური პირის ნიშნად კბილბაგისმიერი **ვ-**ს პარალელურად და თითქმის ყველა იმ პოზიციაში, რომლებშიც ის გვაქვს, წყვილბაგისმიერი **ჟ-**ც გამოვლინდება, როგორც **ვ-**ს ფაკულტატური ვარიანტი: ვაკეთენქ || ჟაკეთენქ „ვაკეთებ“, ვენდებუქ || ჟენდებუქ „ვენდობი“, ვიჭარუნქ || ჟიჭარუნქ „ვიწერ“, პტახუნქ || ჟტახუნქ „ვტეხ“, ვთხინქ || ჟთხინქ „ვთხოვ“, ვდინუქ || ჟდინუქ „ვიკარგები“... უ ხმოვნის წინ ან **ვ-** გვაქვს ან ნული: ვუჭარუნქ || უჭარუნქ „უწერ“, ვურკიანქ || ურკიანქ „უკვივი“, ვურდუნქ || ურდუნქ „ურზრდი“...

ზმნის ფუძის თავკიდურ ჩქამიერ თანხმოვანთა წინ (ბაგისმიერების გარდა) მეგრულში, განსაკუთრებით — ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში პირველი პირის ნიშანი **ვ-**, აღნიშნულ თანხმოვანთა მყდერობა-ფშვინგვიერობა-სიმკვეთრის შესაბამისად, გვაძლევს ფაკულტატურ **ბ-, ფ-, ჰ-** ალომორფებს: ვძირუნქ || ბძირუნქ „ვნახავ“, ვგორუნქ || ბგორუნქ „ვეძებ“, ვჯანუქ || ბჯანუქ „ვწევარ“, ვთირანქ || ფთირანქ „ვცვლი“, ვჩირთუქ || ფჩირთუქ „ვცდები“, ვქიმინუნქ || ფქიმინუნქ „ვაკეთებ“, ვცალუნქ || ფცალუნქ „ვთიბავ“, ვწილუნქ || პწილუნქ „ვკრეფ“, ვკირუნქ || პკირუნქ „ვკრავ“ და სხვ. ყრუ თანხმოვნებთან შესაძლებელია **ბ-** ალომორფის ხმარებაც: ბთირანქ „ვცვლი“, ბჩირთუქ „ვცდები“, ბქიმინუნქ „ვაკეთებ“, ბცალუნქ „ვთიბავ“, ბწილუნქ „ვკრეფ“, ბკირუნქ „ვკრავ“, ე. ი. ხდება **ბ-** ალომორფის განზოგადება (გუდავა, გამყრელიძე 1981, 217).

სონორი თანხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში ისევე, როგორც საზოგადოდ მყდერი თანხმოვნების წინ, დასტურდება **ვ-**ს თავისუფალი მონაცვლეობა **ბ-**სთან: ვლახუნქ || ბლახუნქ „ვცემ“, ვრაზუნქ || ბრაზუნქ „ვრაზავ“, ვნახუნქ || ბნახუნქ „ვრეცხავ“... (გუდავა, გამყრელიძე 1981, 217); უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია **მ-** ვარიანტიც გვქონდეს: მნახუნქ „ვრეცხავ“ (დანელია 2006, 126). ამასთან, საინტერესოა ერთი გარემოება: თუ ზმნის ფუძის

თავკიდური სონორის მომდევნოდ ყრუ ჩქამიერები მოიპოვება, **გ**-ს პარალელურად წარმოჩნდება ამ თანხმოვანთა შესაბამისად — ფშვინვიერი ან მკვეთრი ვარიანტიც: **ვრჩხუნქ** || **ფრჩხუნქ** „ვრეცხავ“, **ვრჩუნქ** || **ფრჩუნქ** „ვძარცვავ“, **ვრქალუნქ** || **ფრქალუნქ** „რქაზე თოკს ვახვევ“, **ვწყუნქ** || **პწყუნქ** „ვხსნი“, **ვრკიანქ** || **პრკიანქ** „ვკვივი“, **ვრტებუქ** || **პრტებუქ** „ვავექცევი“; ასეთ შემთხვევებში გვხვდება **ბ**- ალომორფიც (გულავა, გამყრელიძე 1981, 217).

სენაკური კილოკავში, ზუგდიდურ-სამურზაყანულისაგან განსვავებით, **ბ**-, **ფ**-, **პ**-, **მ**- ვარიანტების ნაცვლად ყველგან **გ**-ს გამოვლინება ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული დიალექტების გავლენას მიეწერება (ჩიქობავა 1936, 96).

ცნობილია, რომ, თუ ზმნას ვნებითი გვარისა და ქცევის **ი**- პრეფიქსი დაერთვის, პირველი პირის ნიშანმა შეიძლება ამ პრეფიქსის მომდევნო პოზიციაში გადაინაცვლოს (ე. ი. მოხდეს მისი გაინფიქსება) და მომდევნო თანხმოვნის შესაბამისად გარდაიქმნას — ჰომოგენურობის პრინციპის შესაბამისად: **ვიგარქ** || **იბგარქ** „ვტირი“, **ვითხორუნქ** || **იფთხორუნქ** „ვითხრი“, **ვიტახუნქ** || **იტახუნქ** „ვიტეხ“, **ვირდუნქ** || **ირდუნქ** „ვიზრდი“, **ვითბუანქ** || **იტბუანქ** „ვითბობ“... (ყიფშიძე 1914, 055; ჩიქობავა 1936, 96).

ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როდესაც პირის ნიშნის გადასმის დროს ზმნას **ი**- პრეფიქსის წინ კვლავ დაერთვის პირველი პირის ფორმანტი და ვიღებთ პირველი პირის ორმაგ ნიშანს: **ი**-ს წინ **გ**-ს და მის მომდევნოდ — **ბ**-, **ფ**-, **პ**-, **მ**-ს (მომდევნო თანხმოვნის შესაბამისად):

- ვიგურუნქ** || **იბგურუნქ** || **ვიბგურუნქ** „ვისწავლი“
- ვიხონუნქ** || **იფხონუნქ** || **ვიფხონუნქ** „ვიხნავ“
- ვითახუნქ** || **იტახუნქ** || **ვითბუნქ** „ვიტეხ“
- ვიციქ** || **იპციქ** || **ვიპციქ** || **ვიპიქ** „ვიყიდე“
- ვიცივილუნქ** || **იპცივილუნქ** || **ვიპცივილუნქ** || **ვიპცივილუნქ** || **ვიპივილუნქ** „თავს ვიკლავ“

ვიცოთანქ || **იპცოთანქ** || **ვიპცოთანქ** || **ვიპოთანქ** „ჩემს თავს ვესვრი“ და მრავალი სხვა.

ოდენ **გ**- პრეფიქსიანი ვარიანტი დამახასიათებელია სენაკური კილოკავისთვის, გადასმული პირის ნიშნები და ორმაგი აფიქსაცია — ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავისთვის (კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენი დაკვირვების საგანი იყო სენაკისა და ჩხოროწყუს რაიონების მცხოვრებთა მეტყველება).

ბაგისმიერი თანხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში პირველი პირის ნიშანი ფუძის შიგნით გადაისმის (ინფიქსად იქცევა) და მომდევნო თანხმოვანს მჟღერობა-სიყრუის მიხედვით შეეწყობა; გვექნება პარალელური ფორმები: **ვბონუნქ** || **ბობნუნქ** „ვბან“, **ვბინუნქ** || **ბინუნქ** „ვბანევ“, **ვფიქრენქ** || **ფიფქრენქ** „ვფიქრობ“, **ვფორუნქ** || **ფოფორუნქ** „ვფარავ“, **ვპატიყენქ** || **პაპტიყენქ** „ვპატიყებ“... ეს მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია როგორც არაბუნებრივი (არაკანონიკური) კომპლექსის თავიდან აცილება (გულავა, გამყრელიძე 1981).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როდესაც განხილული გადასმის შემდეგ ზმნას თავში კვლავ დაერთვის პირველი პირის ნიშა-

ნი **ვ**, ე. ი. გვექნება ორმაგი აფიქსაცია:

ვბარგნქ || ბა**ბ**რგნქ || **ვ**ბა**ბ**რგნქ „ვბარავ; ვბერავ“

ვმანგნქ || მა**მ**ნგნქ || **ვ**მა**მ**ნგნქ „ვტრუსავ“

ვფიქრენქ || ფი**ფ**ქრენქ || **ვ**ფი**ფ**ქრენქ „ვფიქრობ“

ვპუტორუნქ || პუ**პ**ტორუნქ || **ვ**პუ**პ**ტორუნქ „ვგლეჯ“, ვპუტავ“.

ვბისკონუნქ || ბი**ბ**სკონუნქ || **ვ**ბი**ბ**სკონუნქ „ვჩქმეტ“

და სხვ.

პირველი ვარიანტი სენაკურში გვხვდება, უკანასკნელი ორი კი — ზუგდიდურ-სამურზაყანულში.

პირველი პირის სუბიექტის ორმაგი აღნიშვნა, რასაკვირველია, ახალი მოვლენაა და იმის მიმანიშნებელია, რომ გადასმული ნიშნის ფუნქცია ერთგვარად იჩრდილება და ამიტომ ხდება პირის პრეფიქსისათვის ბუნებრივ ადგილას (ნიშნის თავიკიდურ პოზიციაში) **ვ**-ს ხელახლა დართვა.

ლიტერატურა

გუდავა, გამყრელიძე 1981 — ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოდანთ-კომპლექსები მეგრულში. — კრებ. „აკაკი შანიძეს“, თბილისი.

დანელია 2006 — კ. დანელია, კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბილისი.

კიზირია 1967 — А. Кизирия, Занский язык. — Языки народов СССР. IV. Иберийско-кавказские языки, Москва.

მარი 1910 — Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Петербург.

უიფშიძე 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

ჩიქობავა 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

ჯანჭღავა 1989 — ც. ჯანჭღავა, პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ფონეტიკური ვარიანტებისათვის ზანურში. — ასპ. და ახალგ. მეცნიერ-მუშაკთა სამეცნ. კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

TSIRA JANJAVA

**On the Functioning of the First Subject
Personal Marker in Megrelian**

S u m m a r y

In Megrelian along with **v-/w-** prefix its phonetical variants **b-, p-, p-, m-, Ø** occur in some positions as personal markers of the first subject.

In the verb with **i-** prefix, a personal marker of the first subject occurs after this prefix and if a verb stem begins with a labial consonant the mentioned marker occurs as an infix in a verb stem.

The fact is noteworthy, that in the case of moving the first subject personal marker a verb can be added a personal marker at the beginning and double denoting of a person takes place (e. g.: **vip**'ik "I'll be" and **vibibrk** "I'm singing"), which is the result, that the function of a moved personal marker is shaded.

ნილო ჯორჯანიანი

სინტაქსურ-სემანტიკური დიფერენციაციის
ფორმობრივი გამოხატულების რაოდენივე უამთხვევისათვის
თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულში ყურადღებას იქცევენ საშუალო გვარის **-ულ** სუფიქსიანი ზმნები (**ლოცულობს, სესხულობს, კადრულობს, პოულობს, კისრულობს**), რომელთა რაოდენობაც რამდენიმე ათეულს ითვლის და რომელთაც რიგი თავისებურება ახასიათებთ; მაგ.:

1) პირდაპირი ობიექტის მქონებლობა: *სესხულობს ის მას*;

2) მყოფადის წრისა და II–III სერიის ფორმების **-ულ** სუფიქსის გარეშე წარმოება: *სესხულობს – ისესხებს – ისესხა – უსესხია...*

დ. მელიქიშვილის აზრით, აღნიშნული ზმნები წარმოშობით აქტივის სასუბიექტო ვერსიის აწმყოს მწკრივის ფორმებია (აქტივებად მიაჩნია ისინი ბ. ჯორბენაძესაც), რომელთაც მყოფადის შინაარსი მიიღეს და ამიტომ საჭირო გახდა ახალი აწმყოს (*სესხულობს*) წარმოება (ჯორბენაძე 1980, 121; დ. მელიქიშვილი 2001, 167). ამათგან ზოგიერთს დღესაც შენარჩუნებული აქვს აწმყოს მნიშვნელობა: *იგებს / გებულობს – გაიგებს – გაიგო*.

აქტივებია უთუოდ ზმნისწინიანი (*იღებს / ლებულობს – აიღებს – აიღო*), მაგრამ არა – უზმნისწინო (*ნატრულობს – ინატრებს – ინატრა*) ფორმები.

ი- / უ- პრეფიქსიანი მყოფადი, როგორც წესი, საშუალო გვარის ზმნებს ახასიათებთ. რატომ უნდა გვქონდეს ის აქტივის ფორმებში? რა უშლის ხელს მათ, რომ მყოფადი და წყვეტილი ზმნისწინით აწარმოონ? შეიძლება ითქვას – არაფერი. მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ზმნები საშუალო გვარის ფორმებია, რომელთაც პი განივითარეს. ასეთი შემთხვევები კი მრავლად გვაქვს (მაგ.: *დარდობს, თამაშობს, ლაპარაკობს... ის მას*).

ჩნდება კითხვა: რატომ დაიმატეს აღნიშნულმა ზმნებმა აწმყოში **-ულ** სუფიქსი? ვ. კალანდაძე აღნიშნავს (კალანდაძე 1972, 169-172), რომ უღლების ახალი სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, როცა ბევრი ფორმა II სერიაში სრულასპექტიანი დარჩა (ზმნისწინის გარეშეც), ხოლო აწმყომ კი მყოფადის მნიშვნელობა შეიძინა (რადგან ისიც სრულასპექტიანი გახდა), აწმყოს ცარიელი ადგილის შევსება **-ილ / -ულ** სუფიქსიანი მომღეობის დახმარებით გახდა შესაძლებელი:

წყვეტილი: ნახა, იკითხა, იყიდა

მყოფადი: ნახავს, იკითხავს, იყიდის

აწმყო: ნახულობს, კითხულობს, ყიდულობს

ეს მოსაზრება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ საინტერესოა, რატომ დარჩა რამდენიმე უზმნისწინო ფორმა მაინც სრულასპექტიანი II სერიაში და რატომ არ გამოიყენეს უღლებიას მათ ზმნისწინი სხვა ზმნათა მსგავსად? საქმე ის არის, რომ უზმნისწინო და ზმნისწინიან ვარიანტებს შორის აქ შინაარსობრივი სხვაობაა. შდრ.:

- ნახა — მონახა
- ჰკითხა — წაიკითხა
- სთხოვა — მოსთხოვა

მართალია, საშუალი გვარის ფორმები უღლების ახალ სისტემაზე გადასვლისას მწკრივთა საწარმოებლად ზმნისწინს ვერ გამოიყენებდნენ, მაგრამ ამისათვის მათ პრეფიქსს მიმართეს:

- აწმყო: საყვედურობს
- მყოფადი: უ-საყვედურებს

-ულ სუფიქსიან წარმოებას კი საშუალი გვარის ფორმებიც მხოლოდ დამთხვევის საშიშროების თავიდან ასაცილებლად მიმართავენ:

- აწმყო: ყიდ-ულ-ობ-ს (შდრ.: ყიდ-ი-ს)
- მყოფადი: ი-ყიდ-ი-ს (შდრ.: გა-ყიდ-ი-ს)

დაახლოებით იგივე ვითარებაა **ლოცავს** ტიპის ფორმებთან: **ლოცავს** ორპირიანი აქტივია, ერთპირიანი საშუალისათვის კი ჩვენ აწმყოში გვჭირდება განსხვავებული ფორმა. ამისათვის „ლოცულობს“ შინაარსის გამოსახატავად თავდაპირველად შეიქმნა **ილოცავს (ი-** პრეფიქსი კარგად ეგუება საშუალის შინაარსს; ამ მხრივ საინტერესოა ივ. ჭავთარაძის მიერ მოხმობილი მაგალითები (ივ. ჭავთარაძე 1954, 260): ორპირიანი: **რეკავს ის მას** და ერთპირიანი: **ირეკს ის**); მაგრამ შემდეგ ეტაპზე, როდესაც საშუალი გვარის ზმნები **ი-**პრეფიქსიან ფორმებს მყოფადის წრისათვის გამოიყენებენ, საჭირო გახდება ახალი წარმოება, რადგან **ი-ლოც-ავ-ს** ტიპის ყალიბი მყოფადის (და II სერიისაც, ოღონდ აქ უთემისნიშნოდ) კუთვნილება გახდება. ამიტომ ენა მიმართავს სხვა ხერხს და **-ულ** სუფიქსის საშუალებით აწარმოებს საშუალი გვარის ერთპირიან ფორმებს:

- აქტ.: ლოცავს / დალოცავს (ის მას)
- მედ.: ლოცულობს / ილოცებს (ის)
- აქტ.: *სესხავს (ის მას)
- მედ.: სესხულობს / ი-სესხ-ებ-ს (ის მას)

სავარაუდოდ, ***სესხავს** ფორმასთან პო გაჩნდა (ან იყო თავიდანვე) და **-ულ-** სუფიქსიანი **სესხულობს** ერთპირიანი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენა ენამ. მაგრამ შემდეგ ამ ერთპირიანმა ფორმამაც განივითარა პო, რის გამოც დაიკარგა ***სესხავს** ორპირიანი ფორმა (განსხვავებით **ლოცულობს** ფორმისაგან, რომელმაც შეინარჩუნა ერთპირიანობა.)

სინტაქსურ-სემანტიკური დიფერენციაციის ფორმოზრივ გამოხატულებასთან უნდა გვქონდეს საქმე **ინანის-ნანობს** ტიპის ზმნებთანაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის მიხედვით, **ი-** პრეფიქსი ამ ზმნებში თავიდანვე იყო და შემდეგ დაიკარგა.

ივ. ქავთარაძის აზრით, **ი-** უძველესი პრეფიქსია, რომელსაც თავდაპირველად დეიქტური ნაწილის ფუნქცია ჰქონდა, შემდეგ კი რეფლექსური, უკუქცევითი მნიშვნელობა შეიძინა. **ი-** პრეფიქსს მკვლევარი ორგანულად მიიჩნევს **იცინის, ინანის, ივაჭრის, იშიშვის** ტიპის საშუალო გვარის ფორმებში (ივ. ქავთარაძე 1954, 274).

მეცნიერის ვარაუდით, შემდეგ, როდესაც პრეფიქსული წარმოება სუფიქსურზე გადავიდა, **ი-** პრეფიქსიანი ფორმების გვერდით ჩამოყალიბდა უპრეფიქსო **მღერის, ნანობს, ბორჯავს** ტიპის ვარიანტები; მეტიც, ივ. ქავთარაძე ვარაუდობს, რომ **ი-** პრეფიქსი შესაძლებელია დაკარგული იყოს თვით ისეთი ტიპის ზმნებშიც კი, რომლებიც ჩვენთვის მხოლოდ უპრეფიქსო წარმოებით არის ცნობილი. **ი-** პრეფიქსის აღდგენა მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია **დუმს** (შდრ.: *ი-დუმ-ალ*), **შურს, დუღს, წუხს** ფორმებშიც.

ი- პრეფიქსიანი ფორმები მიაჩნია ამოსავლად ლ. ნოზაძესაც (ნოზაძე 1974, 36). მისი აზრით, პრეფიქსიანი წარმოება უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამგვარ ზმნათა აწმყოსა და ნამყო ძირითადის წყებისათვისაც. **ი-** პრეფიქსის დაკარგვა ფონეტიკურ პროცესებს უნდა გამოეწვია. **მეფობს-იმეფა** ტიპის წარმოება მიღებული უნდა იყოს **იცინის-იცინა** ტიპის წარმოებისაგან. ამ თეორიის სასარგებლოდ ლ. ნოზაძე მიუთითებს სხვა ქართველური ენების მონაცემებზეც (მეგრული, ჭანური, სვანური), სადაც ასევე გვაქვს **ი-** პრეფიქსიანი საშუალო გვარის აწმყოს ფორმები.

ი- პრეფიქსი საშუალო გვარის ზმნებში შემდეგ დაკარგულად მიაჩნია ბ. ჯორბენაძესაც (ჯორბენაძე 1975, 80). მისი აზრით, ძველი ქართულის, სხვა ქართველური ენებისა და ზოგი თანამედროვე დიალექტის მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ზმნებს ეს **ი-** პრეფიქსი მოეპოვებოდათ და შემდგომ დაკარგეს; უკუქცევითობის **ი-** პრეფიქსი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო იმ ზმნებისათვის, რომელთაც საშუალო გვარის ფორმებს უწოდებენ. ამასთან, მკვლევარის აზრით, ზოგიერთმა მათგანმა უბრალოდ დაკარგა **ი-** (*ი-გლოფ-ს > გლოფ-ს*), ზოგმა წარმოების მოდელიც შეიცვალა (*ი-ნან-ი-ს > ნან-ობ-ს*), ზოგმა იცვალა ფორმა, მაგრამ შეინარჩუნა **ი-** პრეფიქსი (*ი-ცინ-ის > ი-ცინ-ებ-ს*), ზოგი კი ძველი წარმოებით შემოგვრჩა (*ი-სწრაფ-ე-ი-ს*).

სხვა შემთხვევაში პრეფიქსიანი ფორმა მყოფადმა გამოიყენა: **სტვენ-ს — ი-სტვენ-ს**.

ჩვენი აზრით კი, ამ ტიპის ფორმებში **ი-** პრეფიქსი შემდგომ უნდა გაჩენილიყო, რადგან:

1. თუ გავიზიარებთ მოსაზრებას პრეფიქსიანი ფორმების პირველადობაზე, მოსაძებნია **ი-მღერის > მღერის** ფონეტიკური პროცესის გამომწვევი მიზეზი. ლ. ნოზაძე ვარაუდობს, რომ თემატური სუფიქსის დართვას უნდა გამოეწვია თავკიდური ხმოვნის მოკვეცა, ანუ რედუქცია იმ ხმოვნებისა, რომელთა ფუნქციაც დაჩრდილულია (ნოზაძე 1974, 36; მისივე 2001, 223). მაგრამ მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ არ იწვევს ეს **ი-**

რედუქციას მყოფადის წრის მწკრივებში? ან რატომ იყო ძველ ქართულშივე ასე გავრცელებული **ი-** პრეფიქსიანი და თემატურნიშნისანი **იმღერის, ინანის, ილოცავს** ფორმები? მათი მეორეულობით ამის ახსნა (როგორც მკვლევარი ვარაუდობს), ვფიქრობთ, არადამაჯერებელია;

2. რა აუცილებელი იყო პრეფიქსი ამ ტიპის ფორმებში? საშუალო გვარის ზმნები უძველესი ზმნებია, რომელთათვისაც არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი რთული (სხვადასხვა აფიქსიანი) წარმოება. თუ გავითვალისწინებთ ბ. ჯორბენაძის მოსაზრებას, რომ ე. წ. საშუალო გვარის ზმნები იგივე მოქმედებითი გვარის ფორმებია, ოღონდ უკუქცევითი შინაარსისაა, მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ერთი გვარის შიგნით საჭირო ყოფილიყო ფორმოზრივად გარჩევა გარდამავალი (აქტიური) და გარდაუვალი (მედიალური) ზმნებისა. ამ ფორმებს შორის (*წერ-ს ის მას და წუხ-ს ის*) სხვაობა მხოლოდ პო-ის უქონლობაა; აქედან მოდის მათი „უკუქცევითი“ შინაარსიც (თუმცა, ბევრი ფორმა საერთოდ არ იძლევა ამგვარ გაგებას — *ლაპარაკობს, ნანობს* — ამიტომაც გახდა შესაძლებელი ბევრი საშუალო გვარის ზმნისთან პო-ის ობიექტის დამატება).

მაშ, რა არის **ი-** პრეფიქსი აღნიშნულ ფორმებში და რატომ დაიკარგა ის? ანალიზისას აღმოჩნდება, რომ იმ ზმნების, რომელთაც **ი-** პრეფიქსი აწმყოშივე მოეპოვება (როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში; თუმცა, ახალში ამ ზმნათა რაოდენობა ბევრად მცირეა), აბსოლუტურ უმრავლესობას (**ინანის, იცინის, ივაჭრის, იშიშვის, იგლოვს, ისტუნს, იმარხავს, ილოცავს, ილაღადებს, ინადირებს, იმღერის** — ესენი ძველ ქართულში ყველანი აწმყოს ფორმებია) მოეპოვება უპრეფიქსო ცალი (როგორც ახალ, ისე ძველ ქართულშიც) — **ნანობს, (და)სცინის, ვაჭრობს, შიშობს, გლოვობს, სტუნს, მარხავს, ლოცავს, ღაღადებს, ნადირობს, მღერის**. აქედან, უპრეფიქსო ზმნათა უმრავლესობა ისევ საშუალო გვარის ფორმებია, ხოლო ორიოდ (**მარხავს, ლოცავს**) — მოქმედებითისა. სავარაუდოდ, **ი-**პრეფიქსიანი ფორმები სწორედ აქტივსა და საშუალოს, ერთი მხრივ, და საშუალის ფორმებს შორის, მეორე მხრივ, განსხვავების დასამყარებლად შეიქმნა. მოქმედებითსა (**ლოცავს, მარხავს**) და საშუალოს (**ილოცავს, იმარხავს**) შორის სინტაქსურ-სემანტიკური სხვაობა აშკარაა, მაგრამ რა საჭირო იყო საშუალო გვარის შიგნით უპრეფიქსო და პრეფიქსიანი ვარიანტების (**ინანის / ნანობს**) გარჩევა?

როგორც ცნობილია, საშუალო გვარის ზმნები წარმოშობით (და უმრავლესობა ახლაც) გარდაუვალი ფორმებია. მაგრამ მათთან პო-ის გაჩენა ჯერ კიდევ ძველ ქართულშივე ფართოდ გავრცელებული მოვლენაა: ამგვარად, ერთ ფორმას ეკისრება გარდაუვალი და გარდამავალი შინაარსის გამოხატვა. ენა ცდილობს მათ შორის განსხვავების დამყარებას და ამისათვის მას ყველაზე უკეთ **ი-** პრეფიქსი ესადაგება, რომელსაც არც ზედმეტი პირი არ შემოჰყავს ზმნაში (პირიქით, აკლებს კიდევ მას, განსხვავებით **-ა / -ე / -უ** პრეფიქსებისგან, რომელთაც პირზე მინიშნების ფუნქცია მკვეთრად აქვთ ჩამოყალიბებული

(ჯორბენაძე 1983; მაჭავარიანი 1980)); და მისი უკუქცევითი შინაარსიც მეტ-ნაკლებად ესადაგება საშუალის ერთპირიანი ფორმების სემანტიკას.

არსებითად, ამავე მოვლენასთან გვაქვს საქმე ე. წ. დეპონენსებთან: **ილანძღება, იგინება, იცოხნება, იმუქრება, ირქინება, ილიმება** (შდრ.: **იცინის**), **იყფება, იჭყიტება**, რომლებიც, ფაქტიურად, აქტიური, ერთპირიანი საშუალის ტოლფარდი ფორმებია (შანიძე 1973, 296-300; ჯორბენაძე 1975, 129, 145, 160-170). სიმპტომატურია, რომ დროთა განმავლობაში ამ ფორმებსაც უჩნდებათ პირდაპირი ობიექტი: **იწერება ის წერილს — მოიწერა მან წერილი** (ჯორბენაძე 1975, 145, 160); აღსანიშნავია დეპონენსებისა და საშუალის ერთპირიანი ფორმების პარალელური გამოყენების შემთხვევები: **იგინება = ბილწსიტყვაობს; ილიმება = ილიმის / იცინის; იბღვირება = ქუშობს**.

მართალია, ძველ ქართულში სისტემური ხასიათი არა აქვს უპრეფიქსო და პრეფიქსიან ფორმებს შორის ასეთ სხვაობას:

<i>გლოვ-ი-ს</i> <i>ნატრ-ი-ს</i>	}	ის მას	<i>ი-გლოვ-ს</i> <i>ი-ნატრ-ი-ს</i>	}	ის
------------------------------------	---	--------	--------------------------------------	---	----

მაგრამ ახალ ქართულში ერთპირიან ფორმებს **ი-**პრეფიქსიანი წარმოება ახასიათებს, ორპირიანებს კი — უპრეფიქსო:

ი-ნან-ი-ს ის (სინანულშია)
ნან-ობ-ს ის მას

(ნიშანდობლივია, რომ **ინანის** ძველ ქართულშიც, უმეტესად, ერთპირიანია, **ნანობს** კი უკვე ახალ ქართულში იხმარება ორპირიანად)

ი-ხარ-ი-ს ის (ხარობს, გახარებულია)
ხარ-ობ-ს ის მას (თუმცა ეს ფორმა ერთპირიანიც არის ხშირად)
ი-ნაღვლ-ი-ს ის (დაღონებულია)
ნაღვლ-ობ-ს ის მას
ი-ციინ-ი-ს ის

(და)-ს-ციინ-ი-ს ის მას (თუმცა აქ ობიექტი ირიბია და არა პირდაპირი)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ი-** პრეფიქსიანი ერთპირიანი საშუალი გვარის ფორმები შეიქმნა მათსა და ამავე ფუძის უპრეფიქსო ორპირიან საშუალებას (ან მოქმედებითი გვარის ზმნებს) შორის განსხვავების დასამყარებლად.

ახალ ქართულში **ი-**პრეფიქსიანი ზმნები იშვიათად იხმარება. მეორე მხრივ, უპრეფიქსო ფორმებმა თავის თავზე აიღეს როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი შინაარსის გამოხატვა:

<i>ნანობს</i>	}	ის /
<i>მღერის</i>	}	ის მას

ამათ მიჰყვებიან ფორმები, რომელთაც **ი-** პრეფიქსი აწმყოში არასდროს ჰქონიათ (ოღონდ აქ ობიექტი ირიბია და მისი ნიშანი ახალ ქართულში იკარგება); მაგ.:

მკითხაობს ის / ის მას

აწმყოს **ი-** პრეფიქსიანი ფორმების გადავარდნის ძირითადი მიზეზი, როგორც აღნიშნულია, უღლებების ე. წ. „ბერძნული“ სისტემიდან „სლავურ“ სისტემაზე გადასვლა უნდა ყოფილიყო (შდრ.: ნოზაძე 2001, 223). გარდა ამისა, ამავე დროს უნდა გასჩენოდა პრეფიქსიან ზმნებს 30 და უპრეფიქსო (**ნანობს**) და პრეფიქსიან (**ინანის**) ფორმებს შორის შინაარსობრივი სხვაობა აღარ იქნებოდა სისტემებზე გატარებული.

აქედან გამომდინარე, **ი-** პრეფიქსი აწმყო-წყვეტილში თავიდანვე კი არ უნდა ჰქონოდა ამ ზმნებს და შემდეგ კი არ უნდა დაკარგულიყო; არამედ, სავარაუდოდ, — იგი გაჩნდა აწმყოში (ფორმების განსასხვავებლად) და წყვეტილსა და მყოფადში (მწკრივების საწარმოებლად).

რადგან **ი-** პრეფიქსიანი საშუალის ფორმები მყოფადის წრეს განეკუთვნა, აწმყოში **ი-ნან-ი-ს** ტიპის ყალიბის არსებობა შეუძლებელი გახდა და ასეთი ფორმები ან თითქმის საერთოდ გადავარდა ხმარებიდან, ან შეიცვალა სხვა ყალიბით (**ი-ლოც-ავ-ს** > **ლოც-ულ-ობ-ს**).

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1998 — შ. აფრიდონიძე, ერგატიული და ფსევდოერგატიული კონსტრუქციების შემქმნელი გარდაუვალი ზმნების მორფოსინტაქსის საკითხები. — არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

ენუქაშვილი 1974 — რ. ენუქაშვილი, საშუალი გვარის ზმნები ძველ ქართულში. — საკანდიდატო დისერტ. ავტორეფერატი, თბილისი.

კალანდაძე 1972 — ვ. კალანდაძე, *გებულობს*, *ღებულობს* ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში. — ქსკს, I, თბილისი.

მაჭავარიანი 1980 — მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის. — იკე, XXII, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლებების სისტემა, თბილისი.

ნოზაძე 1974 — ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში. — იკე, XIX, თბილისი.

ნოზაძე 2001 — ლ. ნოზაძე, ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში. — იკე, XXXV, თბილისი.

ქავთარაძე 1954 — ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

ჯორბენაძე 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

ჯორბენაძე 1983 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი.

ჯორბენაძე 2008 — ნ. ჯორბენაძე, საშუალო გვარის ზმნათა უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში. — იკე, XXXVI, თბილისი.

NINO JORBENADZE

Towards Some Cases of Formal Expressing of Syntactical-Semantical Differentiation in Modern Georgian

S u m m a r y

In modern Georgian the forms with **-ul** suffix (**scsx-ul-obs**) and **-i** prefix (**i-nanis**) focus our attention. A question arises: what caused the necessity of the mentioned formation?

We think, that the mentioned formation was created for the syntactical-semantic differentiation of forms, in particular, there is a semantic difference between the variants with **-ul** suffix and without it:

naxa – **monaxa**
hkitxa – **çaiçitxa**
stxova – **mostxova**

And there is a syntactic difference between the variants with prefix and without it:

i-nan-i-s is (sinanulšia)
nan-ob-s is mas.

ჟილბერ ლაზარი

ქართული ენა: ფუალური („აქტიური“) აქტანტი თუ
 მრგობიანი? ანტი-იპერსონალური ზენების ტიპოლოგია*

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ჟილბერ ლაზარი გამოჩენილი ფრანგი ირანისტია. მისი შრომები უპირველეს ყოვლისა ეძღვნება სპარსულს, ამ ენის ფორმირებისა და სტრუქტურის საკითხებს.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი მონოგრაფია: *Grammaire du persan contemporain*, Paris, Klincksieck, 1957,¹ და *La langue des plus anciens monuments de la prose persane*, Paris, Klincksieck, 1963.

ჟ. ლაზარის, როგორც ფართო დიაპაზონის ფილოლოგის, კვლევის სფერო თანაბრად მოიცავს სხვა ირანულ-არიული ენების როგორც ისტორიული გრამატიკისა და სინტაქსის, ასევე ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის, პროსოდიისა და დიალექტოლოგიის საკითხებს.² არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები კლასიკური სპარსული ლიტერატურისა და თანამედროვე სპარსული მწერლობის შესახებ. მეტად ღირებულია მისი მხატვრული თარგმანებიც.

ე. ბენვენისტის ლინგვისტური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელს, ჟ. ლაზარს, ეკუთვნის მთელი რიგი ზოგადლინგვისტური და ტიპოლოგიური ხასიათის შრომები. მათგან მეტად მნიშვნელოვანია ინდოევროპული და სხვა ენების მასალის მიხედვით, სხვადასხვა კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები აქტანტებისა და მათთან დაკავშირებული ზმნური უნივერსალიების შესახებ (როგორცაა, გარდამავლობა, კილო, ასპექტი, დრო და სხვ.).

აქტანტების თეორიას ჟ. ლაზარმა ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა, ხოლო მისი სტატიები გაერთიანდა ერთ კრებულად.³

* Le géorgien : actance duale («active») ou ergative? Typologie des verbes anti-impersonnels, *Études de linguistique générale. Typologie grammaticale*, Leuven-Paris, 2001, p.243-263.

¹ ამ ნაშრომის ახალი გამოცემა განხორციელდა 2006 წელს, თეირანში, ირანული კვლევების ფრანგული ინსტიტუტის მიერ, იხ. G.Lazard, *Grammaire du persan contemporain*. Nouvelle édition avec la collaboration de Y. Richard, R. Hechmati et P. Samvelian, IFRI, Téhéran, 2006.

² იხ. ჟ. ლაზარის ძირითადი შრომების სია: *Études irano-aryennes offertes à Gilbert Lazard*, réunies par C.-H. de Fouchécour et Ph.Gignoux, *Studia Iranica*, cahier 7, Paris, 1989, p.XI-XVII.

³ G. Lazard, *L'actance*, Presses Universitaires de France, Paris, 1994; იხ. ასევე G. Lazard, *Études de linguistique générale. Typologie grammaticale*. Collection linguistique publié par la Société de Linguistique de Paris, LXXXII, Leuven-Paris, 2001.

წინამდებარე სტატია, რომლის ქართული თარგმანია წარმოდგენილი, ეხება ქართული ზმნის ტიპოლოგიის საკვანძო საკითხებს, რომლებსაც ყ. ლაზარის ახლებურად სვამს და სათანადოდ წყვეტს.

აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემატიკას თავიდანვე ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა ქართულ საენათმეცნიერო ტრადიციაში.¹

დასასრულ უნდა ითქვას, რომ დიდი მეცნიერის ინტერესი ქართული ზმნისადმი და ზოგადად, ქართული ენისადმი არ არის შემთხვევითი: მას ხანგრძლივი სამეცნიერო კონტაქტები აკავშირებს საქართველოსთან, ქართველ აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტებთან და ლინგვისტებთან.²

ვფიქრობთ, ყ. ლაზარის ამ ნაშრომის ქართული თარგმანი საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება როგორც თანამედროვე, ისე მომავალი ქართველოლოგიური და ტიპოლოგიური კვლევებისათვის.

ელენე გიუნაშვილი

¹ ამ საკითხებს მიეძღვნა ა. ჩიქობავას, ხოლო შემდეგ — ქ. ლომთათიძის, გ. თოფურის, გ. როგავას, ი. მელიქიშვილის, რ. ასათიანის, მ. სუხიშვილის, მ. სახოკიას და სხვათა გამოკვლევები.

² ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, გამოქვეყნებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა სერიაში, რომელიც მიეძღვნა დ. კობიძეს, შდრ. G. Lazard, La source en "Farsi" de "Vis-o Ramin", *ოსტუ შრომები*, 241, აღმოსავლეთმცოდნეობა, 1983, გვ.34-39.

რეზიუმე

ეგრეთ წოდებული „მედიალური“ ზმნები ქართულში საკამათო საკითხი გახდა ამ ენის აქტანტების სტრუქტურის ბუნების განსაზღვრისას; ისინი „აქტიური“ (უკეთესია ეწოდოს „დუალური“) Hariss-ის თვალსაზრისით, ხოლო ერგატიულია Hewitt-ის მიხედვით. წინამდებარე სტატია ამ საკითხს სხვაგვარად სვამს და აჩვენებს, რომ აღნიშნულ ფორმებს იგივე ფუნქცია აქვთ, როგორც სხვა გარკვეული ტიპის ზმნებს ერგატიულსა და ნახევრად-ერგატიულ ენებში — ინდო-ირანულ, (ჩრდილო) კავკასიურსა და ბასკურში. ისინი გამოხატავენ ერთი პარტიციპანტის ქმედებას და ამ მხრივ ემსგავსებიან გარდაუვალ ზმნებს. მაგრამ მათი მორფოსინტაქსი ორაქტანტიანია: ანუ შედგება აგენსისაგან, რომელიც ერთადერთ პარტიციპანტს გამოხატავს და მისი ნომინალური (ფიქტიური) ობიექტისგან.

რადგანაც ისინი ანარეკლია ობიექტისა და ნომინალური აგენსის მქონე „უპირო“ („იმპერსონალური“) ზმნების*, მათ შეიძლება ეწოდოს „ანტი-იმპერსონალური“. პროცესები, რომლებსაც ისინი გადმოსცემენ ქართულსა და სხვა ენებში, იმავე სფეროს მიეკუთვნება, რომელიც დაახლოებით განისაზღვრება, როგორც ქცევათა გამომხატველი. ანტი-იმპერსონალურ ფორმას აქვს (სტრუქტურულ-ტიპოლოგიური) მსგავსება დუალურთან და ასევე „არაკუზატიურ ჰიპოთეზასთან“ დაკავშირებულ ფაქტებთან, მაგრამ იგი მათ უნდა გაემიჯნოს.

1. შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე აქტიური დისკუსია მიმდინარეობს აქტანტების ბუნების შესახებ ქართულში, და უფრო ზოგადად, ქართველურში. ამისი საფუძველი გახდა Harris-ის წიგნი (1981) და მასზე გამოქვეყნებული Hewitt-ის რეცენზია (1983). წიგნის ძირითადი დებულებები, რომლებიც ასევე შემდგომ დაიბეჭდა (1982), ხელახლა იყო განხილული Hewitt-ის მიერ (1987a), და რომლებიც Hariss-მა სათანადო არგუმენტაციით დაიცვა (1990). Harris-ის მეორე წიგნი (1985), სადაც ავტორი ავრცელებდა თავის მტკიცებას ქართველურ ენათა სტრუქტურული ერთიანობის შესახებ, მისი დი-აქრონული ანალიზის ჩვენებით, ასევე იქცა Hewitt-ის კრიტიკული განხილვის საგნად (1987 b, გამოიცა 1989), რასაც, თავის მხრივ მოჰყვა Harris-ის საპასუხო ნოტა (1989, გამოქვეყნდა 1991).

Harris-ის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ქართული და სხვა თანამედროვე ქართველური ენები „აქტიური“ სტრუქტურის ენათა ნიმუშია, რომელსაც მე ვუწოდებ „დუალურს“ (იხ. Lazard 1986); ეს სტრუქტურა, თავის მხრივ, მომდინარეობს უფრო ძველი, ერგატიული ფორმიდან. ეს დებულება ჩამოყალიბდა „რელაციური (რელატივისტური) გრამატიკის“ ფარგლებში. მაგრამ თვითონ Hewitt-ი მომხრეა იმისი, რომ ეს ფორმები ტრადიციულად განხილული იყოს, როგორც „ერგატიული“.

* შდრ. ინგლ. "impersonal verbs" (ე. გ.).

იმედი მაქვს, რომ ლინგვისტს, რომელიც ქართველოლოგი არ არის, ეპატიება ამ სამეცნიერო კამათში ჩაბმა. ვფიქრობ, ნამდვილად შევძლებ ამ საკითხების ორგვარად ახსნას ზოგადი ლინგვისტიკის შემდეგი თვალთხედვის მიხედვით: ერთი მხრივ ამ საკითხთან დაკავშირებულ ცნებათა დაზუსტებით, ხოლო მეორე მხრივ — ქართულ ენაში დამოწმებული ფაქტების სხვა ენათა მონაცემებთან მიმართებებისა და შედარებათა საფუძველზე. თავი რომ დავიზღვიო შეცდომისაგან, ჩემი არაკომპეტენტურობის გამო, არ შევიჭრები არც დიაქრონიასა და არც დიალექტოლოგიაში: ჩვენი შენიშვნები შეეხება მხოლოდ სასაუბრო ქართულ ენაში დადასტურებულ კონსტრუქციებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის ეს წარმოდგენილი Hariss-ისა და Hewitt-ის შემოაღნიშნულ შრომებში.

ამრიგად, დავიწყებ (§ 2) „ერგატიული“ და „დუალური“ სტრუქტურების დეფინიციით. ეს ცნებები კარგად არის ცნობილი, მაგრამ აშკარაა, რომ ყველა ავტორთან ერთსა და იმავე გაგებით არ გამოიყენება.

ზოგად-ტიპოლოგიური კვლევები, როგორც ყველა სხვა სისტემური სტრუქტურა თავისი არსით მიმზიდველია მასში წარმოდგენილ განხილვათა რაოდენობით, რომელსაც ის მეტ-ნაკლებად კარგად ითავსებს, მაგრამ ისე, რომ ისინი ხშირად ტენდენციურად გადადის არასწორად განსაზღვრულ და ბუნდოვან დებულებებში. ამიტომაც, მე საჭიროდ ვთვლი, რომ ეს საკითხი თავიდან დაისვას, ელემენტარული ჭეშმარიტების მხილების რისკით. შემდეგ (§ 3) მე განვსაზღვრავ თუ როგორ და რა ოდენობით შეესაბამება ქართული ფორმები აღნიშნული კონსტრუქციებიდან ერთს ან რომელიმე სხვას. აქაც ზუსტი დეფინიციის დადგენის მიზნით, მე ვაღიარებ ვარ გავიხსენო ქართული ზმნის მორფოლოგიის ცნობილი კომპონენტები. ისინი შედარებული იქნება სხვა ენათა მონაცემებთან, რითაც საშუალება მექნება სხვაგვარად დავსვა ქართული ენის ეს საკამათო საკითხები. წინა განხილვათა გათვალისწინებით, რომლებიც უმთავრესად შემოიფარგლებოდა მორფოსინტაქსური ანალიზით, მე შევეხები (§ 4) გრამატიკულად აღნიშნულ კატეგორიებს, მორფოსინტაქსურ მიმართებათა განსხვავებების სემანტიკური კორელატების გამიჯვნის უშუალო ცდის მიზნით. მე ვაჩვენებ, რომ ქართულის მონაცემები იგივე ტიპის არის, რაც დასტურდება სხვა ენებში, მეზობელსა და არამეზობლებში, და რომ ყველას იგივე განპირობებულობა აქვს. მე დავასრულებ (§ 5) უფრო ზოგადი ხასიათის მოკლე შეფასებით, რომელიც შეეხება ქართულ ზმნათა კლასიფიკაციასა და მათი ფორმების ცვალებადობებს ტიპოლოგიური შედარებების შუქზე.

2. ერგატიული, დუალური სტრუქტურა

აქტანტების სტრუქტურა, „აკუზატიური“, „ერგატიული“ და სხვ. ყოველთვის განსაზღვრულია ბიაქტანტური კონსტრუქციის ერთაქტანტიან ფორმასთან შედარების საფუძველზე.¹ ტრადიციულად ითვლება, რომ აკუზატიური სტრუქტურა არის ის, რომელშიც „გარდაუვალი სუბიექტი“, ანუ ერთაქტანტური სტრუქტურის (ე. ი. ერთადერთი აქტანტის მქონე) აქტანტი ფუნქციონირებს, როგორც „გარდამავალი სუბიექტი“, ანუ როგორც ბიაქტანტური ფორმის „სუბიექტი“, მაშინ როდესაც „ერგატიული“ კონსტრუქცია ის არის, სადაც „გარდაუვალი სუბიექტი“ ფიგურირებს, როგორც ბიაქტანტური კონსტრუქციის „ობიექტი“. ეს დეფინიციები, რომლებიც პრაქტიკულად მისაღებია, ამავე დროს სვამს მნიშვნელოვან თეორიულ პრობლემებს. „სუბიექტის“ ცნება ასე თავისთავად არ იგულისხმება. მეორე მხრივ, ყოველ ენაში ალბათ ბევრია ერთი მხრივ ერთაქტანტიანი, ხოლო მეორე მხრივ — ორაქტანტიანი სტრუქტურები: რომელი მათგანი უნდა განვიხილოთ?

ეს დეფინიციები თუ პრაქტიკულად გამოსადეგია, იმის გამო, რომ ემყარება ზოგად, მაგრამ იშვიათად ზუსტად განსაზღვრულ ფაქტს: ყველგან, გარდა დუალური ენებისა, არსებობს ყველაზე მთავარი ერთაქტანტიანი სტრუქტურა, ანუ ის, რომელსაც შეესაბამება ერთაქტანტიანი ზმნათა უმრავლესობა და, მეორე მხრივ, ყველგან დასტურდება მთავარი ორაქტანტიანი ფორმა, რომელშიც ყოველთვის მოქმედების ამსახველი ზმნებია, და რომლის აქტანტები უმთავრესად აგენსისა და პაციენის გამომხატველია; ბევრ ენაში ეს კონსტრუქცია ასევე სხვა, მეტნაკლებად მრავალრიცხოვან ზმნათა მომცველია, რომლებიც მოქმედებას არ გამოხატავს. აქტანტების სტრუქტურები განისაზღვრება ამ ორი მთავარი კონსტრუქციის შედარების საფუძველზე. იმას რასაც ჩვენ უბრალოდ ვუწოდებთ „სუბიექტს“, არის ის, რაც მთავარ ბიაქტანტურ სტრუქტურაში, ანუ ორაქტანტიანში, წარმოადგენს აგენსს ან ის, რაც მოქმედების გამომხატველი ზმნების გარდა არსებულ სხვა ზმნებთანაც განიხილება როგორც აგენსი.

ერთადერთი აქტანტის და ბიაქტანტურ წინადადებათა აქტანტების შედარებისას განსაზღვრული გრამატიკული მახასიათებლები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ბრუნვითი კოდიფიკაცია, აქტანტური მაჩვენებლები, რომლებიც ინტეგრირებულია ზმნურ ფორმაში (და რომელთაც ხშირად არასწორად ეწოდება „ნაცვალსახელები“), სინტაგმატური წყობა. აქტანტების სტრუქტურა მოცემულ ენაში განსაზღვრულია ამ ენისათვის რელევანტურ აქტანტთა მახასიათებლების კომპლექსით. აკუზატიური სტრუქტურაა ის, სადაც ერთადერთ

¹ მე აქ შეგნებულად ვიფარგლები იმით, რასაც ეწოდება მორფოლოგიური ერგატიულობა (*morphological ergativity*, მეტად უიღბლო სახელწოდება, ვინაიდან ის ასევე ეხება სიტაქსს) და რომელსაც მე უპირატესად ვუწოდებ აქტანტების სტრუქტურის „პირველად ფაქტორებს“ (Lazard 1994, თავი 2). ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ „მეორეული ფაქტორები“ (სინტაქსური ერგატიულობა — *syntactic ergativity*) უმნიშვნელო და არასაინტერესო იქნება, უბრალოდ ამჯერად არ შედის ამ სტატიის განსახილველ საკითხებში.

აქტანტსა და იმას, რომელიც ბიაქტანტურ ფორმაში გამოხატავს აგენსს (ან მისი მსგავსია) აქვთ ერთი და იგივე მახასიათებლები; ერგატიულია ის სტრუქტურა, რომელშიც ერთადერთი აქტანტია პაციენსის (ან მსგავსი კატეგორიის) გამოხატველი. თუ, როგორც მე ამას ჩვეულებსამებრ ვაკეთებ (Lazard 1978, 1994), სიმბოლურად გამოვხატავთ აგენსს (ან მასთან ახლოს მდგომ კატეგორიას) **X**-ით, **Y**-ით პაციენსს (ან მსგავსს ცნებას) და **Z**-ით მთავარი კონსტრუქციის ერთადერთ აქტანტს, აქტანტების ეს ორი სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სქემის სახით:

აკუზატიური სტრუქტურა **X = Z**

ერგატიული სტრუქტურა **Y = Z**

ქვემოთ მოტანილი წინადადებები (1 აბ) ჩერქეზულ ენაში (Paris 1991:37) ერგატიული სტრუქტურის მაჩვენებელია:

(1) ა. $\lambda'e-m$ $\acute{s}'e\acute{z}e-r$ $\phi-ye-\lambda e\gamma^{\circ}e-\gamma$
 კაცმა-ირ. ბრ. ქალი-პირდ.ბრ. მას (ქალს)-ის-ხედავს-წარსული დრ.
X **Y** **y** **x**
 „კაცმა ქალი ნახა“

ბ. $\lambda'e-r$ $\phi-sa-ge$
 კაცი-პირდ.ბრ. ის-რბენა-წარსული დრ.
Z **z**
 „კაცმა (გა)ირბინა“

ერთადერთი აქტანტი (**Z**) (1 ბ)-ში პირდაპირ ბრუნვაშია და კორეფერენტულია აქტანტის მარკერისა — ϕ ზმნაში, ისევე როგორც აქტანტი, რომელიც პაციენსს (**Y**) გამოხატავს (1 ა)-ში, ხოლო აგენსის გამოხატველი აქტანტი (**X**) ირიბ ბრუნვაშია და კორეფერენტულია აქტანტის მარკერ — ye -სი. ეს სტრუქტურა ერგატიულია: **Y = Z**. ფრანგულ თარგმანში პირიქით, კაცი (**Z**) (1აბ)-ში წინ უსწრებს ზმნას და მართავს შეთანხმებას, როგორც კაცი (**X**) 1 ა-ში. ეს სტრუქტურა აკუზატიურია: **X = Z**.

როგორც ეს აღნიშნული აქვს Hariss-ს, დუალური სტრუქტურა თავდაპირველად თვალნათლივ ნაჩვენები იყო ამერიკელ ინდიელთა ენებში Sapir-ის მიერ (1917). ამ ენებში, როგორც ეს ჩანს, დასტურდება არა მხოლოდ ერთაქტანტიანი მთავარი კონსტრუქცია, არამედ ორი, რაც კვლავ იმაზე მიუთითებს, რომ ერთაქტანტიანი ზმნები ორ ჯგუფად იყოფა, რომლებიც შედარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან განსხვავებული კონსტრუქციების შემცველია. ერთში ერთადერთი აქტანტი ისე ფუნქციონირებს, როგორც აგენსის გამოხატველი აქტანტი ბიაქტანტურ კონსტრუქციაში (**Z = X**); ხოლო მეორეში — როგორც პაციენსის გამოხატველი აქტანტი (**Z = Y**). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორი სტრუქტურა — აკუზატივი და ერგატივი თანაბრად გამოიყენება. აი, ერთი ნიმუში ჩიკასავეური ენიდან (Munro /Gordon 1982:81, 83).

(2) ა. *chi-ssoli*

შენ-დარტყმა-მე

y	x
---	---

 „მე შენ გარტყამ“
ბ. *is-sa-thaana*

შენ-მე-ცნობა

x	y
---	---

 „შენ მე მიცნობ“
გ. *malili-li*

გაქცევა-მე

z

 „მე გავიქეცი“
დ. *sa-hotlhko*

მე-დახველება

z

 „მე დავახველე“

აქტანტები აქ გამოხატულია მხოლოდ აქტანტური მარკერების საშუალებით. (2გ)-ში ერთადერთ აქტანტს (Z) ისეთივე ფორმა აქვს, როგორც აგენსის გამომხატველ აქტანტს (X)-ს ნიმუშში — (2 ა): Z = X. მაგრამ, (2დ)-ში მას იგივე ფორმა აქვს, როგორც პაციენსის გამომხატველ აქტანტს (Y)-ს (ნიმუშში — 2ბ): Z = Y. ამგვარად, წინადადებათა წყვილში (2 ა—2გ), (სინტაქსური) მიმართება აკუზატიურია, ხოლო წყვილში (2ბ — 2დ) ერგატიული.

ამ ენაში სინტაქსური კავშირი გამოხატულია მხოლოდ აქტანტური მარკერებით, ხოლო სხვებში ბრუნვათა ფორმებით, ან ერთდროულად ბრუნვებითა და აქტანტური მაჩვენებლებით. ეს არის, მაგალითად, ბაცბურის (ანუ წოვა-თუმურის) მაგალითი, შდრ. წინადადება (3) (Holisky 1987:105).

(3) ა. (<i>as</i>)	<i>dah</i> ”	<i>japx-jailn-as</i>
მე (ერგ.)	პრეგ.	გახდა-აორისტი-მე (ერგ.)
Z		z
„მე გავიხადე“		

ბ. (<i>so</i>)	<i>xe-n-mak</i>	<i>qac'-u-so</i>
მე-ნომინატ.	ხე-დატ.-ზე	დაკიდება-აწმყო დრ.-მე (ნომინატ.)
Z		z
„მე მივეყუდე ხეს“		

ნიმუშში (3ა) ერთადერთი აქტანტი წარმოდგენილია ერგატიულ ბრუნვაში მყოფი ნაცვალსახელის სახით და აქტანტური მარკერით, რომელიც ბიაქტანტურ კონსტრუქციაში ასრულებს აგენსის ფუნქციას ($Z = Y$); ნიმუშში — (3ბ) ის აბსოლუტივის ბრუნვის ფორმაში მდგარი ნაცვალსახელით გამოიხატება და აქტანტური მარკერით, რომელიც ბიაქტანტურ ფორმაში პაციენსია ($Z = Y$). ჩიკასავური და ბაცბური დუალური აქტანტური სტრუქტურის მქონე ენებია.²

ამ ტიპის ენებში ერთაქტანტიან ზმნათა ორი ჯგუფი გამოჩნეულია იმით, რომ ერთადერთი აქტანტი ზოგთან გამოხატავს (მაგ. (2 გ), (3 ა)), „აქტივ“ მოქმედს („პარტიციპანტს“, ანუ მონაწილეს, შდრ. ინგლ. *participant*), ხოლო სხვებთან (მაგ. (2 დ), (3 ბ)), „არააქტივ“-ს. ეს ტერმინოლოგია, როგორც ჩანს, Uhlenbeck-ის მიერ იყო შემოტანილი (იხ. Sapir 1917: 84). იგი მიღებული და გენერალიზირებულია Klimov-ის მიერ (1977), რომელმაც ეს აქტანტური სტრუქტურა განსაზღვრა, როგორც „აქტიური/არააქტიური“, ან უბრალოდ „აქტიური“. აღნიშნული სახელწოდება წარუმატებელია, ვინაიდან შეიძლება არეული იყოს ტერმინ „აქტივის“ ტრადიციულ მნიშვნელობასთან, რომელიც „პასივის“ („ვნებითი გვარის“) საპირისპირო დიატეზის სახელწოდებაა.³ ამიტომაც ვარჩიე ტერმინი „დუალური“ (Lazard 1986), რომელიც გულისხმობს აქტანტების დაყოფას ორ მთავარ ტიპად- ერთაქტანტურ და ბიაქტანტურად.

ეს ტერმინოლოგია არა მხოლოდ არ იწვევს ორაზროვნებას, არამედ ის უპირატესობაც აქვს, რომ წინასწარ არასოდეს შეფასდეს სემანტიკური მიმართებები. ტრადიციულად აღიარებული ოპოზიცია „აქტივი“ და „არააქტივი“ ნამდვილად მოითხოვს სერიოზულ დაზუსტებას (ანუ, უნდა იყოს უფრო გამოკვეთილი): ამ საკითხის შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი.

3. აქტანტების სტრუქტურა ქართულში: მორფოსინტაქსური ანალიზი

დავუბრუნდეთ ქართულს. აქტანტების მიმართებები იქ ერთდროულად მარკირებულია ბრუნვითი მახასიათებლებით და ზმნური აქტანტების მაჩვენებლებით. ნომინალური ტერმინები შეიძლება იყოს *ა*-ზე დასრულებულ ნომინატივში, ბრალდებით-მიცემითში (ტრადიციულად მიცემითში), რომელიც ბოლოვდება *-ბ*-ზე ან ერგატიულ (ასევე მოთხრობით (*narratif*)) ბრუნვაში, რომლის აღმნიშვნელია *-მა/-მ*. ზმნური აქტანტური მაჩვენებლები, რომლებიც სამ სერიად იყოფა, Harris-ის აღნიშვნის მიხედვით შემდეგია:

² მაგრამ, ბაცბურში განსხვავებებია მხოლოდ 1 და 2 პირის აქტანტებში. ამით ეს ენა სცილდება დუალური ენის იდეალურ ტიპს.

³ კანონზომიერია ბაზობრივი (არამარკირებული) კონსტრუქციის აღნიშვნა ტერმინით „აქტიური“, მისი ოპოზიციური მიმართებით პასივთან, ანტიპასივთან, ან ორივესთან. იგი აკუზატიურია ეგრეთ წოდებულ აკუზატიური წყობის ენებთან, მაგრამ არ ჩანს იმის მიზეზი, რომ არ ვუწოდოთ აქტიური არამარკირებულ ერგატიულ ფორმას, რომელიც ეგრეთ წოდებული ერგატიული ენებისათვის არის დამახასიათებელი.

ცხრილი 1

	{A}	{B}	{C}
მხ. 1	გ—	მ—	მ—
2	∅	გ—	გ—
3	—ს/ა/ო	∅	ს/პ/∅—
მრ.1	გ—თ	გვ—	გვ—
2	—თ	გ—თ	გ—თ
3	—ენ/ეს/ნენ....	∅	ს/პ/∅—თ

A სერიის კომბინირება B-სთან, მორფოლოგიური წესების გათვალისწინებით გვაძლევს შემდეგ ფორმებს:

ცხრილი II

B სერია \ A სერია	მხ. 1	2	3	მრ. 1	2	3
მხ. 1	მ—	გ—	გ—	გვ—	გ—თ	გ—
2	მ—ს/...	გ—ს/....	∅	გვ—ს/....	გ—თ	∅
3	მ—ს/...	გ—ს/....	—ს/...	გვ—ს/....	გ—თ	—ს/...
მრ. 1	გ—თ	გ—თ	—თ	გ—თ	გ—თ	—თ
2	მ—თ	გ—ენ/...	—თ	გვ—თ	გ—ენ/....	—თ
3	მ—ენ/...	გ—ენ/...	—ენ/...	გვ—ენ/....	გ—ენ/....	—ენ/....

მეორე მხრივ, ეს კონსტრუქცია დრო/ასპექტის მიხედვით ცვალებადია. ამ თვალსაზრისით, დროისა და კილოს პარადიგმები, რომელთაც **Harris**-ი და **Hewitt**-ი ქართველი გრამატიკოსების მიხედვით, უწოდებენ *შწკრივებს (screeves)* და რომელსაც მე სხვადასხვა ფრანგი გრამატიკოსების ტერმინოლოგიით, ვუწოდებ ე.წ. „უჯრებს“ (*"tiroirs"*), ჯგუფდება სამ „სერიებად“: **I** სერია, რომელიც აწმყოს უჯრის შემცველია, **II** სერია, რომელშიც აორისტია და **III** სერია, რომელშიც შედის ევიდენციური მნიშვნელობის მქონე პერფექტი (შდრ. ფრანგ. *"médiatif"*; ინგლ. *evidential*). და ბოლოს, გამოირჩევა ზმნათა ოთხი კლასი, რომლებსთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა სახის კონსტრუქციები.⁴

⁴ ეს კლასები განსაზღვრულია მორფოლოგიურად, მაგრამ ერთი და იმავე კლასის ზმნების სინტაქსი, მცირედენი გამონაკლისის გარდა, იგივეა. აქედან გამომდინარე, ამ გამონაკლისებს არ

3.1. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები

დავიწყეთ 1 კლასის „გარდამავალი“ ზმნებით, რომლებიც ორაქტანტიანია, და მე-2 კლასის, ეგრეთ წოდებული „გარდაუვალი“ ზმნებით, რომლებიც, ბუნებრივია ერთაქტანტურია. მათ საილუსტრაციოდ (4–6) მე მოვიტანე Hewitt-ის (1987a: 322) მიერ შერჩეულ მაგალითებს:

(4) ა. კაც-ი ქალ-ს \emptyset -კლავს (I)
 ნომინატ. დატ. მას-მოკვლა-ის
 X Y y x

ბ. კაცი კვდებ-ა
 ნომინატ. კვდომა-ის
 Z z

(5) ა. კაც-მა ქალ-ი მო- \emptyset -კლ-ა (II)
 ერგ. ნომინატ. პრეგ-ის (ანუ ქალი)-მოკვლა-მან
 X Y y x

ბ. კაც-ი მო-კვდ-ა
 ნომინატ. პრეგ-კვდომა-ის
 Z z

(6) ა. კაც-ს ქალ-ი მო- \emptyset უ-კლავ-ს (III)
 დატ. ნომინატ. პრეგ-მას-პრეფ-მოკვლა-ის
 X Y x y

შდრ. ფრანგული თარგმანი : "L'homme a, paraît-il, tué la femme"

ბ. კაცი მო- მ- კვდარ-ა
 ნომინატ. პრეგ-პრეფ-კვდომა-ის
 Z z

შდრ. ფრანგული თარგმანი: "L'homme, paraît-il, est mort"

(ა) ნიმუშები ბიაქტანტური წინადადებებია (1 კლასის ზმნა), ხოლო (ბ) ნიმუშები — ერთაქტანტური წინადადებები (2 კლასის ზმნა). [4აბ] აჩვენებს I სერიის მწკრივთა (ანუ უჯრათა) ფორმას, [5 აბ] II სერიისას, [6 აბ] III სერიისას. როგორც ვხედავთ [4 აბ]-ში მიმართება აკუზატიურია: X და Z ორივე დასტურდება სახელადი ტერმინის სახით, რომელიც სახელობით ბრუნვაშია და კორეფერენტია A სერიის (X = Z)-ის აქტანტური მაჩვენებლის; Y სახელია მიცემითში, B-სერიის აქტანტური მაჩვენებლით.

მივაქცევთ ყურადღებას და ამ კლასებს სინტაქსური თვალსაზრისით განვიხილავთ ერთგვაროვნად.

[5 აბ]-ში X და Z გამოხატულია A სერიის იმავე აქტანტური მაჩვენებლით, მაგრამ სახელადი სიტყვები სხვადასხვა ბრუნვაშია: X ერგატიულშია, ხოლო Z-ნომინატივში. თავის მხრივ Y გამოხატულია B სერიის აქტანტური მაჩვენებლით (მოცემულ შემთხვევაში — \emptyset), რომელიც განსხვავდება Z-ისაგან, მაგრამ, სამაგიეროდ იგი ნომინატივშია, როგორც Z. ამრიგად, თუკი განვიხილავთ აქტანტურ მაჩვენებლებს, (სინტაქსური) მიმართება აკუზატიურია ($X=Z$); მაგრამ, თუკი განვიხილავთ ნომინალურ ტერმინებს, ის ერგატიულია ($Y=Z$).

წინადადებათა განხილვისას საერთო ჯამში, შეიძლება იმის კონსტატაცია, რომ X და Y-სთვის ნაწილობრივ ორივეა დასაშვები, მაგრამ განსხვავებულად, როგორც ეს ხდება Z-ში, რაც შეიძლება სიმბოლურად გამოიხატოს შემდეგი ფორმულით: $X \approx Z$ და $Y \approx Z$. ეს მიმართებები ქმნიან ისეთ აქტანტურ სტრუქტურას, რომელსაც მე „შერეული“ ვუწოდებ (Lazard 1978:79; 1994:31-33).

ახლა განვიხილოთ [6 აბ]. ამჯერად X მიცემითშია და კორეფერენტულია C სერიის აქტანტური მაჩვენებლის (მოცემულ შემთხვევაში- \emptyset), მაშინ როდესაც Y და Z ორივე ნომინატივშია და A სერიის აქტანტური მაჩვენებლის კორეფერენტია: ამრიგად, მიმართება ერგატიულია ($Y=Z$). ეს კონსტრუქცია ტრადიციული დეფინიციით, „ინვერსიულია“: იგი მართლაც, I სერიის ფორმებთან შედარებით თითქმის ინვერსიულია.⁵ [6ა] შეიძლება იყოს შემდეგნაირად გადმოცემული კალკირებული თარგმანით: „კაცისთვის ქალი მოკლულია (მოკლული იყო)“ შდრ. "à l'homme la femme est/ a été tuée".

თუკი ფორმები, რომლებშიც 1 და 2 კლასის ზმნები შედის, მთავარი კონსტრუქციებია და შესაბამისად ბიაქტანტური ან ერთაქტანტურია, ქართული შეიძლება იყოს აღწერილი, როგორც „განშტოებული“ აქტანტების“ ("fracture d'actance") მქონე ("split ergativity") და ასევე ორმაგად განშტოებული აქტანტების ("double fracture d'actance") მქონე ენა, ვინაიდან მათმა შედარებამ გამოავლინა აკუზატიური სტრუქტურა I სერიის „უჭრებში“, შერეული სტრუქტურა II სერიაში და ერგატიული სტრუქტურა III სერიაში.

3.2. აფექტური ზმნები

მე-4 კლასის ზმნები არ მოითხოვს გრძელ კომენტარებს. ისინი იქმნება ყველა სერიაში, როგორც 1 კლასის ზმნათა III სერია, ანუ, მხოლოდ „ინვერსიული“ კონსტრუქციის მქონეა, მაგ.აწმყოში, (7) (Harris 1981:127).

(7) გელა-ს \emptyset -უყვარ-ს ნინო
დატ. მას-ყვარება-ის

ამ წინადადების კალკირებული თარგმანია ფრანგულად: "à Gela Nino est chère" — „გელასთვის ნინო ძვირფასია“. მე ცოტა ქვევით (§ 5) ვიმსჯელებ ამ კონსტრუქციის სემანტიკურ კორელატზე. ამჯერად ავლნიშნოთ მხოლოდ, რომ მე-4 კლასის ზმნათა შორის არის იმპერსონალური ზმნებიც, შდრ. მაგ. (8) (Harris 1981:136).

⁵ „თითქმის“ ვინაიდან ის არ იქნებოდა ზუსტად ინვერსირებული, თუკი X კორეფერირებული იქნებოდა B სერიის აქტანტური მაჩვენებლის საშუალებით.

ერგატ.	ნომინატ.	მან-პრეფ-თამაში-ის	
X	Y	y	x
გ. კაც-ს	(ბურთ-ი)	ფ-უ-თამაშ(ნ)ი-ა	
დატ.	ნომინატ.	მას-პრეფ-თამაში-ის	
X	Y	x	y

(III)

ეს კონსტრუქცია ზუსტად იგივე რჩება და გულისხმობს ბურთის თამაშს (შდრ. ფრანგ. *jouer au ballon*) ან მხოლოდ თამაშს.

ეს არის ის ფაქტები, რომელიც მოჰყავს Harris-ს ქართულის, როგორც დუალური აქტანტის მქონე სტრუქტურის, განსაზღვრისთვის.

სინამდვილეში ქართულში არის ერთაქტანტიან ზმნათა ორი კატეგორია: ერთი მხრივ მე-2 კლასის ზმნები, როგორცაა *კვდობა* და ისინი, რომელთაც ერთი და იგივე კონსტრუქცია აქვთ უკრათა (მწკრივთა) სამივე სერიაში; მეორე მხრივ—მე-3 კლასის ზმნები, რომელთაც როგორც ზმნას ტირილი, კონსტრუქციათა ისეთივე ნაირსახეობები აქვთ, როგორც ბიაქტანტურ ზმნებს, ანუ რომელთა ერთადერთი აქტანტი ისევე ფუნქციონირებს, როგორც ორაქტანტიან წინადადებაში აგენსი. ამრიგად, არსებობს ერთადერთ აქტანტიან ფორმათა ორი კატეგორია: მე-2 კლასის ზმნების, რომლებიც ყოველთვის ნომინატივშია და სავარაუდოდ „არააქტიურია“ და მე-3 კლასის ზმნების, რომლებშიც გამოიყენება ერგატივი II სერიის ზმნათა უკრებთან (მწკრივებთან) და მიცემითის III სერიის ზმნურ ფორმებთან და რომლებიც, სააღბათოდ „აქტიურია“. ამ თვალსაზრისით, ქართული როგორც ჩანს, (ტიპოლოგიურად) შესაძარბებელია დუალური ტიპის ენებთან.

ამავე დროს, მნიშვნელოვანი განსხვავებებია ქართულსა და ისეთ ენებს შორის როგორცაა, მაგალითად, ჩიკასავური ან ბაცბური. ჩვენ ახლა დავყარდნობით მორფოსინტაქსურ მონაცემებს. ქართულში ერთაქტანტური ორი ტიპის ზმნათა შორის განსხვავება უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მხოლოდ ზმნური სისტემის ერთ ნაწილში, კერძოდ, II და III სერიის უკრებში (მწკრივებში). მეორე მხრივ, II სერიაში ეს განსხვავება ეხება მხოლოდ ნომინალური წევრის ბრუნვითი აღვნიშვნის სისტემას და არა ზმნურ მორფოლოგიას.

მაგრამ, მესამე მხრივ ზმნურ აქტანტურ მაჩვენებლების დისტრიბუციას არავითარი მსგავსება არა აქვთ ზემოთ ხსენებულ დუალურ ზმნებთან.

განვიხილოთ ეს უფრო დეტალურად. ჩიკასავურში დასტურდება აქტანტური მაჩვენებლების ორი სერია, რომლებიც ერთად გამოიყენება ბიაქტანტურ წინადადებაში და უმთავრესად გამოხატავს აგენსსა და პაციენს; ერთიც და მეორეც ასევე გამოიყენება დამატებითი დისტრიბუციისას, ერთაქტანტიან ზმნებთან, პირველი ერთადერთი „აქტივი“ პარტიციპანტის გამოსახატავად, ხოლო მეორე ერთადერთი „არააქტიური“ პარტიციპანტის აღსანიშნავად (მაგ. (2გ) და (2დ), (3ა) და (3ბ), იხ. ზევით). ქართულში მსგავსი არაფერია. ერთადერთი პარტიციპანტი, რომელიც სავარაუდოდ „არააქტიურია“, და შესაბამისად მე-2 კლასის ზმნასთან გამოხატულია A სერიის აქტანტური მაჩვენებლით (შდრ. მაგ. (4ბ), (5ბ) (6ბ) იხ. ზევით), ანუ როგორც ბიაქტანტურ წინადადება-

თა აგენსი! რაც შეეხება მე-3 კლასის ზმნურ ფორმებს, მათში ასევეა A სერიის აქტანტური მაჩვენებელი, მაგრამ საკითხავია შეიცავენ თუ არა ისინი ასევე B სერიისას, ანუ ხომ არ არიან ისინი მორფოლოგიურად ბიაქტანტური.

სინამდვილეში, B სერიაში მე-3 პირის აქტანტური მაჩვენებელია — *ფ*, ისე, რომ შეხამება A-ს მაჩვენებლისა B-ს მე-3 პირის მაჩვენებელთან, იდენტურია მხოლოდ A მაჩვენებლის (იხ. I და II ცხრილი ზევით). ზმნური ფორმები (9ა) და (9ბ) შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს ორგვარად, როგორც:

ტირი-ს	ი-ტირ-ა
ზმნ-z	პრეფ-ზმნ-z

ან როგორც:

ფ-ტირი-ს	ფ-ი-ტირ-ა
y-ზმნ-x	y-პრეფ-ზმნ-x

ანუ, როგორც ერთაქტანტიანი ან ბიაქტანტური. მეორე ინტერპრეტაციის თანახმად, ისინი მე-3 პირის მეორე არაექსპლიციტური აქტანტის შემცველია. მისი ფრანგული თარგმანი—კალკი შემდეგია: ("l'homme le pleure/pleura" — „კაცი ტირის, ან კაცი იტირებს“), სადაც *le-* არაფრის გამომხატველია.

მაგრამ, ეს მეორე ინტერპრეტაცია ერთადერთი შესაძლო ვარიანტია, III სერიის ფორმათა შემთხვევაში. ზმნური ფორმა (9გ)-ში შეიცავს A სერიის III პირის აქტანტურ მაჩვენებელს (განსაზღვრულს, როგორც „?“), რომელსაც შეუძლია მხოლოდ არაექსპლიციტური აქტანტის აღნიშვნა. შესაბამისად, ის უნდა იყოს შემდეგნაირად განხილული:

ფ-უ-ტირ(ნ)ი-ა
x-პრეფ-ზმნ-y

„ცარიელი“ აქტანტით Y ვინაიდან ეს ინტერპრეტაცია III სერიის შემთხვევაში სავალდებულოა, მართებულია მისი დატოვება I და II სერიებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს წინადადებები სემანტიკურად ერთი პარტიციპანტის მქონეა, ხოლო მორფოსინტაქსური თვალსაზრისით არ ჩამოუვარდებიან ბიაქტანტურებს.

ეს ბიაქტანტური წინადადებები ცარიელი აქტანტით, გარკვეული თვალსაზრისით შესადარებელია ეგრეთ წოდებულ „იმპერსონალურ“ წინადადებებთან როგორც ეს მაგალითად, ლათინურშია (11).

(11) <i>me</i>	<i>pude-t</i>
მე-აკუზატ.	გაკეთება-სირცხვილი-(მ)ის
Y	X
„მე მრცხენია“	

მე-(11) წინადადებაში ერთადერთი პარტიციპანტი გამოხატულია აკუზატივის ფორმის ნაცვალსახელით, ხოლო ზმნური ფორმა აგენსის აქტანტური მაჩვენებლის შემცველია, რომელიც არ შეიძლება ექსპლიციტური იყოს. წინადადებები, რომელიც აღნიშნულია (11)-ით, X ცარიელ აქტანტს შეიცავს.

(12ა)-ში X აქტანტი პირდაპირ ბრუნვაშია და კორეფერენტულია ზმნურ აქტანტურ მაჩვენებელთან, როგორც ეს არის Z ნიმუშში — (12ბ) (X = Z: აკუზატიური კონსტრუქცია); (13ა)-ში, X ირიბ ბრუნვაშია და აქტანტის მაჩვენებელი Y აქტანტს განეკუთვნება, როგორც ის განეკუთვნება Z-ს (13ბ)-ში (Y = Z: ერგატიული კონსტრუქცია). ამრიგად, გვაქვს აკუზატიური კონსტრუქცია აწმყოში, ხოლო ერგატიული — წარსულში. ახლა განვიხილოთ ნიმუში (14), სადაც მხოლოდ ერთი პარტიციპანტია. (14ა)-ში ამჯერად კონსტრუქცია ერთაქტანტურია, როგორც (12ბ)-ში.

(14ბ)-ში ის ბიაქტანტურია, ერთი ცარიელი Y აქტანტით, რომელიც გამოხატულია მე-3 პირის მრ. რიცხვის აქტანტური ნიშნით; ფრანგული კალკირებული თარგმანია: "l'homme les riait". (9აბ)-ში მოტანილი ქართული აწმყო და აორისტის ფორმათაგან განსხვავებით, პაშტოს ზმნური ფორმა (14ბ) არ არის ორაზროვანი: (ცარიელი) აქტანტი Y იქ მშვენივრად ფიგურირებს ექსპლიციტური აქტანტური მაჩვენებლის სახით.

იგივე კონსტრუქცია გვხვდება სხვადასხვა ენებში, სადაც ზოგადად Y ცარიელი აქტანტი დასტურდება მე-3 პირის მხოლოდობითის მაჩვენებლის ფორმით (პაშტოსაგან განსხვავებით, სადაც ამ ფუნქციით გამოიყენება მე-3 პირის მრავლობითი). (16 აბ) ამის მაჩვენებელია ქურთულში (სორანის დიალექტი), ბიაქტანტურ წინადადებასთან მიმართებით (15 აბ)].

(15) ა. *pyaweke segeke e-kuž-ê*
 კაცი დალი აწმყო დრ.-მოკვლა-ის
 X Y x
 „კაცი კლავს დალს“

ბ. *pyaweke segeke-y kušt- ø*
 კაცი დალი-მან* მოკვლა-ის
 X x y
 „კაცმა დალი მოკლა“.

(16) ა. *eh>îlên-in*
 აწმყო-ხვიხვინი-ისინი
 z
 „ისინი ხვიხვინებენ“

ბ. *h>îlan-ø-yan*
 ხვიხვინი-მას-ისინი
 y x
 „ისინი ახვიხვინდნენ“

* ფრანგულ ორიგინალშია *lui*, ხოლო ქართულში შეესაბამება „მან“ (ე. გ.).

(15ა)-ში, აწმყო დროში, X აქტანტური მაჩვენებლის კორეფერენტია, რომელსაც აქვს ზმნის პირიანი მარკერის ფორმა (აკუსატიური კონსტრუქცია); (15ბ)-ში კონსტრუქცია ერგატიულია: ზმნური პირის ნიშანი (ამ შემთხვევაში — *ø*) განეკუთვნება Y-ს და X კორეფერენტულია კლიტიკის, რომელიც ერთვის ზმნის წინ გამოყენებულ ტერმინს, ან მისი ნაკლულობის შემთხვევაში, თვითონ ზმნას, პირის ნიშნის შემდეგ (ერგატიული კონსტრუქცია). (16ბ)-ში, სადაც პარტიციპანტი არ არის, ეს კონსტრუქცია მაინც ერგატიულია: მე-3 პირის მრავლობითის ბოლოკიდური კლიტიკური ნიშანი, რომელიც განეკუთვნება X-ს, გულისხმობს მის წინ ნიშან *ø*-ს, რომელიც გამოხატავს ცარიელ Y-ს; აი, ფრანგული კალკირებული თარგმანი: "ils le hennirent" — „ისინი მას ახვიხვინდნენ“.

ეს კონსტრუქცია ასევე არსებობს სხვადასხვა ინდო-არიულ ენებში, რომლებშიც აქტანტური განშტოება არის, კერძოდ, ჰინდიში, მარათჰიში, ნეპალურში (Montaut 1991:107). ის ასევე დასტურდება ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ, ერგატიული ტიპის ენებში: მაგალითად, ბეჟიტურში, ისეთი ზმნები, როგორცაა *კიკინი*, *ზმული*, *ყვირილი*, *დაცემინება*, *სიცილი*, და სხვ. ყოველთვის შედგება ერგატივში მდგომი ერთი აქტანტისაგან, რომელსაც არა-ექსპლიციტური აქტანტური ობიექტის ნიშანი აქვს (Kibrik-Testele 1993). ხინალუგურ ენაში იგივე ტიპს განეკუთვნება ზმნები „დაცემინება, შარდვა“ (Kibrik 1994:399). ავარულში ასევე დასტურდება რამდენიმე ანტი-იმპერსონალური ზმნა, რომელშიც დასაშვებია ერთზე მეტი, ირიბ ბრუნვაში მდგომი აქტანტი, მაგ. (17) (Charachidzé 1981: 158).

(17) *bac'-icca weñ-assda*
მგელმა-ერგ. წყემსი
X

ø-xanč'-ana
მან-კბენა-აორისტ.
y

„მგელმა მწყემსი დაკბინა“ (შდრ.ლიტ. „მან [იმპერს.] უკბინა მწყემსს/ მას უკბენია მწყემსისთვის“ (ანუ მწყემსი დაკბენილია, (ე. გ)).

ეს კონსტრუქცია გვხვდება ბასკურშიც: ეგრეთ წოდებული „დეპონენტურ“ ზმნებში ("déponents"), „რომელთაც აქვთ გარდამავალ ზმნათა მახასიათებლები, მაგრამ თავისი არსით გარდაუვალია“ (Lafitte 1962:189). (20), ანტი-იმპერსონალური წინადადება, შეიცავს მხოლოდ ერთ პარტიციპანტს, როგორც ეს არის (18)-ში, მაგრამ მას აქვს მორფოლოგიურად ბიაქტანტური ზმნა და ერგატივში მდგომი აქტანტი (19).

(18) *Yon etorri d-a*
საკ.სახ. (აბსოლუტ.) მოსული ის-დამხ.ზმნ.
Z z
„იონი მოვიდა“

- (19) *ama-k* *Yon* *bialdu* *d-u-ø*
 დედა-ერგ.ბრ. საკ.სახ. (აბსოლუტ.) გაგზავნილი ის-დამხ.ზმნ.-მან*
 X Y y x
 „დედამ გაგზავნა იონი“
- (20) *ura-k* *irakitsen* *d-u-ø*
 წყალი-ერგ.ბრ. მდულარე ის-დამხ.ზმნ.-ის (წყალი)
 X y x
 „წყალი დულს“ (ლიტ. ის დულს, შდრ.ფრანგულად "le bout")

ყველა ამ ენაში ანტი-იმპერსონალური კონსტრუქციის აქტანტი, რომელიც გამოხატავს ერთადერთ პარტიციპანტს, წარმოდგენილია როგორც აგენსი და ეს კონსტრუქცია შეიცავს ცარიელ აქტანტს, რომელიც განიხილება როგორც პაციენსი.

ცხადია, რომ მე-3 კლასის ზმნათა კონსტრუქცია იმავე ტიპის არის, და ამ კონსტრუქციასთან შედარების მიხედვით, (რომელიც საკამათო გახდა ქართველი გრამატიკოსებისთვის და რომელსაც მოჰყვა Harris-ის დებულებები და Hewitt-ის კრიტიკული შენიშვნები), ქართული განეკუთვნება ამ განხილულ ენათა კატეგორიას.

ეს დასტურდება ამ კონსტრუქციის სემანტიკური კორელატების გამოკვლევის საფუძველზე.

4. სემანტიკური კორელატები

4.1. ოპოზიცია დუალურ ენებში

დუალურ ენებში ორი სახის გარდაუვალ წინადადებათა შორის განსხვავება ტრადიციულად გააზრებულია, როგორც „აქტიურ“ და „არაქტიურ“ ზმნებს ან მონაწილეთა შორის არსებული. ეს განსაზღვრა უზუსტო და მიახლოებითია და განსხვავებულია კონკრეტული შემთხვევის მიხედვით. საკუთრივ ბაცბურისთვის Holisky-მ (1987:113) დაადგინა, რომ ორ კონსტრუქციათაგან ერთ-ერთის შერჩევა დამოკიდებულია „თავდაპირველადი მიახლოებით“ იმაზე, არის თუ არა „სუბიექტის რეფერენტი პარტიციპანტი, რომელსაც შეგნებულად მინიჭებული აქვს ზმნით აღნიშნული სიტუაციის მართვის (*controlling*) ნება“. მაგრამ, მან მაშინვე ძალიან მოხდენილად აჩვენა, რომ ეს პრინციპი არ არის მკაცრად გრამატიკალიზებული და მისი გამოყენება, რომელიც მექანიკურად არ ხდება, სხვადასხვა სემანტიკური და პრაგმატული ფაქტორებით არის განპირობებული.

Mithun-ი (1991) თავის მხრივ, ამერიკელ ინდიელთა მრავალი ენების განხილვისა და კვლევის შედეგად მივიდა მსგავსს დასკვნამდე. გურანიში ოპოზიცია არსებითად ეხება დინამიკურ პროცესსა და სტატიკურ სიტუაციებს

* ფრანგულ ორიგინალშია elle — „ის“, მაგრამ ქართულად იქნება „მან“ (ე. გ.)

შორის დაპირისპირებას. ლახოთაში ეხება იმ პროცესებს, რომლებშიც ერთადერთი პარტიციპანტი აგენსია და იმათ, სადაც ის პაციენსია. გარდა ამისა, აგენსურობის ცნება თავისთავად კომპლექსურია: van Valin-ის მიხედვით, უნდა განვასხვაოთ მოქმედების ინიციატივა (*instigation*), შესრულება (ეგზეკუცია) (ფრანგ. *l'exécution*, ინგლ. *performance*), რეალიზაცია (*effect*) და მართვა (ფრანგ. *la commande*, ინგლ. *control*). ეს განსხვავებული კომპონენტები ყოველთვის არ შეიძლება იყოს ერთად თავმოყრილი და კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად დომინირებს ან ერთი ან მეორე. ალბათ გადამწყვეტია მართვა; მაგრამ ის ფაქტი, რომ პაციენსი ასე თუ ისე განსაზღვრულია, ასევე ქმედითი ფაქტორია. იგივეა კადოურ და მოჰავკურ ენებში; ამ უკანასკნელში (ანუ მოჰავკურში) ანგარიშგასაწევია ასპექტი: პერფექტის ფორმებს ყოველთვის თან ახლავს პაციენსის გამომხატველი ნიშანი (რაც თავისთავად იგულისხმება, ვინაიდან პერფექტი სტატიკურია). გარდა ამისა, ყველგან შესამჩნევი გამოხატვის დეტალებია, რომლებიც აიხსნება გრამატიკული დატვირთვით, წინა ვითარებათა მარკერით.

ამრიგად, ორი ტიპის კონსტრუქციათა დისტრიბუცია არსად არ არის არბიტრარული: "they form fairly well-defined semantic groups whose makeup is not arbitrary" (Holisky 1987: 113); "the active and agentive case systems described here are grammaticized, but they are certainly not arbitrary" (Mithun 1991:537).^{*} ეს დისტრიბუცია ყოველთვის ექვემდებარება ოპოზიცია — „აქტიური/არააქტიურის“ ერთ, ან მეორე სახეობას.

მაგრამ, არც ერთი ამ ნაირსახეობათაგანი სათანადოდ ვერ ხსნის ქართული მედიალური ზმნების სემანტიკურ დისტრიბუციას. Harris-მა (1982:299-304) გამოიტყუა, რომ ოპოზიცია დინამიკური/სტატიკური რელევანტური ფაქტორია, ისევე როგორც ოპოზიცია სულიერი/უსული. მაგრამ ის აგენსურობას გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს, სინტაქსური წესების საფუძველზე, რასაც რელატივისტური გრამატიკული ტერმინოლოგიით შემდეგნაირად გამოხატავს: "the active case (-ma) is assigned to those nominals which are initial and final subjects" და "initial subjects in Georgian include agents, cognizers, experiencers, and possessors"^{**} მაშინ როდესაც, "initial direct objects include patients, stimuli and possessed nominals".^{***} ამრიგად, მე-3 და მე-2 კლასის ზმნათა შორის არსებული ოპოზიცია ემყარება აგენსების (ან მსგავსი კატეგორიების: შემმეცნებლების, განმცდელებისა და მფლობელების) და ასევე პაციენსების (ან მსგავსი კატეგორიების: პერცეპციისა და ფლობითი ობიექტების გამომხატველი სტიმულატორების) ოპოზიციას. სინტაქსური ნორმების შუამდგომლობითი ფუნქცია მდგომარეობს

^{*} „ისინი ქმნიან საკმაოდ კარგად განსაზღვრულ სემანტიკურ ჯგუფებს, რომელთა შემადგენლობა არ არის არბიტრარული“: „აქ აღწერილი აქტიური და აგენსური ბრუნვათა სისტემები გრამატიზირებულია, მაგრამ რასაკვირველია, არ არის არბიტრარული“ (ე. გ.).

^{**} „აქტიური ბრუნვა (-მა) განეკუთვნება იმ ნომინალურ ფორმებს, რომლებიც საწყისსა და ბოლოკიდურ პოზიციაში მდგომი სუბიექტებია“; „საწყისი სუბიექტები ქართულში მოიცავს აგენსებს, შემმეცნებლებს, განმცდელებსა და მფლობელებს“ (ე. გ.).

^{***} „საწყისი პირდაპირი ობიექტები მოიცავს პაციენსებს, სტიმულატორებს (ანუ გამომწვევებს) და კუთვნილებითი ღირებულების მქონე ნომინალურ ტერმინებს“ (ე. გ.).

იმაში, რომ „საწყისი პირდაპირი ობიექტები“ გადადის „არაკუზატიურობის“ წესების თანახმად ნომინატივში მდგარ „ფინალურ სუბიექტებში“, და ეს არის მე-2 კლასის ზმნათა კონსტრუქცია (აორისტში), მაშინ როდესაც „საწყისი სუბიექტები“ „ფინალური სუბიექტებია“, ერგატიულ ბრუნვაში, და ეს არის მე-3 კლასის ზმნათა კონსტრუქცია.

ამ თეორიას რიგი სირთულეები ახლავს. **Hewitt**-მა მის საწინააღმდეგოდ მრავალი დებულება წამოაყენა. მათ შორის მთავარი არგუმენტი ის არის (მე განზე ვტოვებ ფაქტებს, რომლებიც ძველ ქართულსა და მის დიალექტებს ეხება), რომ მე-2 კლასის, ანუ სავარაუდოდ „არააქტიური“ ზმნების კატეგორია, ისეთ ფორმებს შეიცავს, რომლებშიც პარტიციპანტის აგენსურობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგალითად, *ადგომა*, *დაჯდომა*, *წასვლა*, *დაპირება*, *გასვლა*, *დევნა*, *ბრძოლა*, *ბრძოლის დაწყება*, *იერიშის მიტანა*, *დაჭერა*, *ვედრება*, *დახმარება*, *დალოდება*, და სხვ. (**Hewitt** 1987a:327-328). ინცეპტიური ზმნები, რომელთაგან ყველა მე-2 კლასს განეკუთვნება, და სააღბათოდ „არააქტიურია“, შეიძლება შეხამებული იყოს ზმნიზედასთან, რომლის მნიშვნელობაა „გადაწყვეტილად, შეგნებულად“, რაც ბუნებრივია ნებაყოფლობით აგენსს გულისხმობს (*ibid.* 334). უეჭველია, ყველა სახის გენერალიზაციას შეიძლება ახლდეს თავისი გამონაკლისებიც, მისი მთლიანობის დარღვევის გარეშე. უეჭველია ასევე, რომ ასეთი ტიპის ზმნას შეიძლება ჰქონდეს ნუანსი, რომელიც ამ კლასიფიკაციას ამართლებს, მაგრამ ჩვენ გვრჩება მხედველობიდან: **Mithun**-ი (1991:535) იძლევა ამის კარგ მაგალითს ზმნა „მუშაობის“ მიხედვით, რომელიც მოჰკავკურ ენაში „არააქტიურია“. მაგრამ იქ გამონაკლისები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ შესაძლოა საფრთხეში ჩავაგდოთ მთელი სისტემა.

Harris-ი უახლოვდება თავისი თვალსაზრისით **Hewitt**-ს იმით, რომ აღარ თვლის მისაღებად ახალ იდეებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო მის 1985 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, სადაც ის აღნიშნავს: **"I made clear my revised view that it is not semantics, but morphological class, that determines case marking"***. მაგრამ, თუ თვითონ მორფოლოგიური კლასია, როგორც ჩანს, სემანტიკურად განსაზღვრული, **Hewitt**-ს სრული უფლება აქვს განაცხადოს ზემოაღნიშნული მსჯელობის „ცირკულარობა“ და თუ მორფოლოგიური კლასიფიკაცია არბიტრარულია (რაც, ნაკლებად მართებულია), მაშინ არ უნდა ჰქონდეს ადგილი „აქტიური“ და „არააქტიური“ ზმნების ოპოზიციასა და „აქტიურ“ სტრუქტურაზე მსჯელობას; ასევე არ ჩანს საჭიროება ყველა „საწყისი სუბიექტების“ და „საწყისი ობიექტების“ და სხვა კატეგორიების მქონე კონსტრუქციების. საკმარისია ფაქტების დადგენა და ამა თუ იმ კლასში შემავალ ზმნათა სიის შექმნა.

ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა ვეძიოთ სხვაგან.

* „მე უფრო მეტად გამოკვეთე ჩემი გადამოწმებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ არა სემანტიკური, არამედ მორფოლოგიური კლასია ბრუნვითი აღნიშვნის მაჩვენებელი“ (ე. გ.).

4.2. ანტი-იმპერსონალურ ზმნათა სფერო

მე ვფიქრობ შევძელი იმის ჩვენება (Lazard 1985 a), რომ მიახლოებით მაინც შესაძლებელია ერგატიულსა და ნახევრად-ერგატიულ ენებში დადასტურებული „ანტი-იმპერსონალური“ ზმნების სემანტიკური ველის განსაზღვრა.

ჩემს მიერ გამოყენებულმა შეზღუდულმა დოკუმენტირებულმა მასალამაც კი გამოავლინა, რომ ისინი თითქმის იგივეა, რაც დასტურდება სხვადასხვა ენებში. ინდო-ირანულში ასეთი ზმნები აღნიშნავს:

- ცხოველთა ყვირილს: *ყეფა*, *ყროყინი*, *ღრიალი*, *ხვიხვინი*, და სხვ;
- ნახევრად-ნებაყოფლობითი ფიზიოლოგიური გამოვლინებებს: *სიცილი*, *ტირილი*, *(და)ცემინება*, *(და)ხველება*, და სხვ;
- მოძრაობებს: *ტომბა*, *ცეკვა*, *ხონვა*, და სხვ;
- მიზანმიმართულებას: *ყურება*, *დარტყმა*, *ცემა*;
- ბანაობა (*აბაზანის მიღება*) (პაშტოსა და ჰინდიში).

იგივე ცნებები ნაწილობრივ დასტურდება ბასკურშიც: *ყეფა*, *ყურება*, *რბენა*, და სხვ. ზოგიერთი მათგანი აკლია, კერძოდ, *ხველა*, და სხვ. რადგან, ამ ენაში ისინი გამოიხატება თხუთლი ფორმით, როგორცაა „ხველების გაკეთება“, რომლებიც ბუნებრივია, შედის ბიაქტანტურ სტრუქტურაში. სამაგიეროდ, ანტი-იმპერსონალურ ზმნათა შორის ისეთებია, როგორიც „სადილობა“ (*სიტყვ. „სადილის მიღება“ — prendre un repas*) (შდრ. *აბაზანის მიღება* ინდო-ევროპულში), *დახმარება* (მიზნის აღმნიშვნელი ზმნა), და უსულო პარტიციპანტის მქონე ზმნები, როგორცაა, *ბრწყინვა*, *ღუღება*, *აღმოცენება*, და ასევე *ხანგრძლივობა*.

არის თუ არა ეს შესაბამისობა ისტორიულად განპირობებული? დასაშვებია ინდო-არიულ ენებსა და ასევე მათი და პაშტოს შორის არსებული კონტაქტები, მაგრამ ჩვენთვის მისაწვდომი წარსულიდან თუ ვიმსჯელებთ, მიმართება არ იყო პაშტოსა და ქურთულს შორის, და უფრო ნაკლებად სავარაუდოა ბასკურსა და სხვა ენებს შორისაც. ამ დროს, კორელაცია მყარდება დამოუკიდებლად სხვადასხვა ენებში, ერთ გამონაკლისის სახით არსებულ კონსტრუქციასა და გარკვეულ სემანტიკურ ველებს შორის, რომლებიც მეტ ნაკლებად მოიცავს ენიდან ენას და ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. ამრიგად, დასაშვებია, რომ ანტი-იმპერსონალური კონსტრუქცია სემანტიკურად განპირობებულია.

რა არის საერთო აღნიშნულ სემანტიკურ ველებს შორის? აღნიშნული პროცესებიდან დიდ ნაწილს ალბათ შედეგად აქვთ მახასიათებლები, რომლებიც აღიქმება მგრძობელობით დონეზე, განსაკუთრებით ხშირია მხედველობითი და სმენითი აღქმები (*ყეფა*, *ხველება*, *ცეკვა*, *ბრწყინვა*, და სხვ.); სხვები გამოიყენება საკუთრივ პარტიციპანტის სხეულთან მიმართებაში (*აბაზანის მიღება*, *სადილი(ს მიღება)*), ანუ ბანაობა, *ჭამა*), ან მისი სხეულის რომელიმე ნაწილის ან ინსტრუმენტის (მოძრაობების) აღსანიშნავად; სხვები ასევე გულისხმობს გარკვეული დროის მსვლელობას. ისინი ყველა სპონტანურია, იმ გაგებით, რომ არ გულისხმობს არავითარ გარეშე აგენსს, გარდა ერთადერთი პარტიციპანტისა, რომელიც ან იქნება ან არა ნებაყოფლობითი აქტის გამააზ-

რებელი ანდა მისი განხორციელების უნარის მქონე პირი. ამ ყველას, როგორც მე მიმაჩნია, აქვთ იმპლიციტური ობიექტი, რომელიც ან მათი (აღქმის) უშუალო გამოვლენაა, ან სხეულის ნაწილია, ან ინსტრუმენტი, ანდა ხანგრძლივობის გამომხატველი: ძალი ყეფს საყეფს, ახველებენ ზველებას, დარბიან სირბილი(თ), ცეკვავენ ცეკვას — შესაძლოა, მისი ფეხები, ან მისი სხეული, ბანენ თავიანთ სხეულს, არტყამენ (სიტყვ. დარტყმას აყენებენ) ან იარაღით, ან მუშტით, უყურებენ (მზერას აპყრობენ), წყალი დუღს დუღილით, სანათური ანათებს ბზინვით, მცენარე იზრდება ზრდაში, პროცესი გრძელდება ხანგრძლივობაში. შეიძლება ერთი სიტყვით შევაჯამოთ ყველა ამ ზმნის საერთო მახასიათებლები, იმის აღვნიშნოთ, რომ ისინი ასახავენ ადამიანებისთვის, ან არა ადამიანებისთვის დამახასიათებელ ქცევებს.

ანტი-იმპერსონალური ზმნებით გამოხატული პროცესის არსის გამოვლენით, გასაგები ხდება მათი შემცველი კონსტრუქციებიც. თუ ყველა ეს ზმნა ბიექტანტური მორფოსინტაქსის მქონეა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათში ორი აქტანტია: ერთი იმპლიციტური, რომელიც ობიექტია და ხშირად შიდა ობიექტი; ხოლო მეორე ექსპლიციტური, რომელიც პირველის საპირისპიროა, და განიხილება, როგორც აგენსი.

4.3. მედიალური ზმნების სემანტიკა

ქართული ენის მედიალური ზმნები ძალიან კარგად თავსდება ამგვარად განსაზღვრული ანტი-იმპერსონალურ ზმნების კატეგორიაში.

თავისი წიგნის (1981) ბოლოს Harris-ი იძლევა ნიმუშების სახით ოთხი კლასის ზმნათა სიებს. ის აზუსტებს (Harris 1981:261), რომ **"the verbs selected are typical: they illustrate the generalizations made in the text above. At the same time, the lists contain examples of every kind of exception to the generalizations"**.* (კურსივით აღნიშვნა ავტორისეულია).

ამრიგად, ეს არის სრული სია მე-3 კლასის „ტიპიური“ ნიმუშებისა (*ibid.* 265-266); მე ისინი ხელახლა დავახარისხე, რომ მათი შედარება გამარტივებულიყო:

— (ძირეული ზმნები): ზუილი, ზუზუნი, ჩხავილი, ჟღერტული; — სუნთქვა, ტირილი, ხარხარი, ყვირილი, ყმუილი, ღრუტუნნი, სტვენა, სიცილი, ოხვრა, ჩივილი, ხრინვა, ჩასუნთქვა; — ცეკვა, სიმღერა, თამაში, ვარჯიში, სრიალი, ცურვა, რბენა, გორვა, ხოხვა, დასრიალება, მოტრიალება, ადვილზე მოძრაობა; — ჩხუბი, დარტყმა, ცემა; — ლაპარაკი, საუბარი, ლაყბობა, პასუხის გაცემა; — დაფიქრება.

— (დენომინატივები): მეფობა, მუშაობა, სწავლა, დაცვა, შენახვა, მოვლა, ბავშვურად მოქცევა, ბებიაქალის ხელობის განხორციელება, თამამად მოქცევა, ზეიმის მოწყობა, მოგზაურობა, კარისკაცის (დარაჯის) თანამდებობაზე

* „შერჩეული ზმნები ტიპურია : ისინი აჩვენებს იმ გენერალიზაციებს, რომლებიც მოტანილია ზემოთ აღნიშნულ ტექსტში. ამავე დროს, ეს სია ამ გენერალიზაციებისაგან არსებული ყველა სახის გამონაკლისების შემცველია“ (ე. გ.).

ყოფნა, პირფერობა, ფარისევლობა, ქართულად თავის დაჭერა, (მოქცევა);

— (ადამიანის არააღმნიშვნელი პარტიციპანტის მქონე ზმნები): ბრწყინვა, ბზინვა, ელვარება, დუღილი, წვეთება, შეხეება, რეკვა.

თვალში საცემია სხვა ენათა ანტი-იმპერსონალურ ზმნებთან მსგავსება. თუ ზოგიერთი ზმნა, როგორცაა დაფიქრება, პასუხის გაცემა შეიძლება საკამათო ჩანდეს და მოითხოვდეს უფრო ღრმა განხილვას, რომ თანმხლები (სემანტიკური) ნიუანსის დადგენა შეგვეძლოს, ამ ზმნათა დიდი ნაწილი სემანტიკის იმ სფეროებს განეკუთვნება, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული, შდრ. § 4.2.

აქვე შეიძლება დაემატოს დადასტურების მიზნით რამდენიმე ზმნა, რომელთა მორფოლოგია განეკუთვნება 1 კლასს, მაგრამ რომელთაც იგივე სინტაქსი აქვთ, როგორც მედიალურებს: *მოქნარება, ხველება* (Harris 1981:262), *დაბანვა* (Harris 1990:218), *შარდვა* (Hewitt 1987b:1191). მათგან ყველა ქცევის გამომხატველია.

Holisky-ს (1981) დესკრიპციული ანალიზი და კომენტარები, რომელიც მოცემულია მის ნაშრომში, სადაც მედიალური ზმნებია დეტალურად შესწავლილი, ამ ინტერპრეტაციას ნათლად ადასტურებს.* ნიშანდობლივია, რომ მაგალითად, მე-3 კლასის ზმნებს შორის არ ფიგურირებს ისეთი ზმნები, როგორცაა *წასვლა, მოსვლა*, რომლებიც უბრალოდ გადაადგილების აღმნიშვნელია. მოძრაობის აღმნიშვნელი მედიალური ზმნები — *რბენა, ცურვა, ხოხვა, დაცურება*, და სხვ. "all characterize the manner of motion".** თუ ისინი გულისხმობს გადაადგილებას, ისინი აღწერენ მანერას, რომლითაც ხორციელდება ეს გადაადგილება, და არა თავისთავად გადაადგილებას. ასევე დენომინატივების დიდი რაოდენობა გამოხატავს ქცევით მოქმედებას. N სახელის მედიალური დერივატი არ ნიშნავს „N-ად ყოფას“, არამედ „მოქცევას N-ად“ (შდრ. ზემოთ „ბავშვად, თამამად, ქართულად“), ანუ, ხშირად „N-ის საქმიანობის განხორციელება“ (შდრ. ზემოთ „ბებია-ქალის საქმიანობა“ და აგრეთვე „გამეფება“), და კიდევ, თუ N ობიექტს აღნიშნავს, „იმ ქცევისათვის, როგორსაც ჩვეულებრივ აკეთებენ N-ის შემთხვევაში“.

ექსპრესიული ზმნები, როგორცაა *ბრწყინვა, დუღილი, დაზარინება* და სხვ., რომლებიც Harris-მა (1985:354-355) განიხილა, როგორც მე-3 კლასში არსებული გამონაკლისები, იქ შესანიშნავად თავსდება. Merlan, რომლის ნაშრომიდან ციტატა აქვს მოტანილი Hewitt-ს (1987a:331), წერს: "All the expressive verbs taking inanimate subjects denote events with perceptible consequences such as displays of light, noise, or motion. The occurrence of these events is not prompted by any outside agency, but emanates from the entities themselves".***

* ამ ნაშრომის შესახებ რეცენზია ეკუთვნის W. Boeder-ს, იხ. *Kratylos, Jahrgang 30*, 1985, s.162-167; მოგვიანებით მასზე ასევე გამოქვეყნდა რეცენზია ქართულად, იხ. თ. ვაშაკიძე, იკვ. ტ. XXIX, 1990, გვ. 260-268 (ე. გ.).

** „ყველა მოძრაობის მანერას ახასიათებს“ (ე. გ.).

*** „ყველა ექსპრესიული ზმნა, რომელთაც უსულო სუბიექტი აქვთ, გამოხატავს პერცეპციული შედეგის ამსახველ მოვლენებს, როგორცაა სინათლის, ხმაურის ან მოძრაობის აღნიშვნა. ამ მოვლენათა გადმოცემა არ არის განპირობებული გარეშე აგენსით, არამედ თვით მათ არსში მდგომარეობს“ (ე. გ.).

პერცეპციული შედეგები და არა გარეშე აგენსი, სწორედ ესენია ის თავისებურებები, რომლებიც მე შევიცანი (იხ. § 4.2), როგორც ანტი-იმპერსონალური ზმნების მახასიათებლები.⁶

რაც შეეხება გრძნობათა გამომხატველ ზმნებს, არის ისეთები, რომლებიც მე-3 კლასში დასტურდება და პირველი შეხედვით შეიძლება იყოს განმაცვიფრებელი, ვინაიდან აფექტური ზმნები მოსალოდნელია მხოლოდ მე-4 კლასში. მაგრამ, საკითხავია, ხომ არ გამომხატავს მე-3 კლასის ზმნები საკუთრივ გრძნობებზე უფრო მეტად, მათ პერცეპციულ გამოვლენას?

ეს შეკითხვა დასმულია სპეციალისტებისათვის.

ამრიგად, ქართული მედიალური ზმნები თავსდება ანტი-იმპერსონალურ ზმნათა გვერდით ზემოთ აღნიშნულ ენებში: მათ იგივე სინტაქსი აქვთ და იგივე სემანტიკური ველები. მათ, ისევე, როგორც ამ კატეგორიის ზმნებს, იმპლიციტური ობიექტი აქვთ. ეს დასკვნა, რომლისკენაც ჩვენ მივყავართ ტიპოლოგიურ შედარებას, უერთდება ზოგიერთი ქართველი სპეციალისტის თვალსაზრისს: "Nebieridze [...] proposes that all Class 3 verbs have a deep structure direct object. If the direct object and the verb have „the same referential meaning“, as [.....]"he prayed a prayer", the direct object is deleted in Modern Georgian" (Harris 1985:352).^{*} Boeder-ი (1979:463 და შემდეგ) ასევე თვლის, რომ მედიალურ ზმნებს აქვთ შიდა იმპლიციტური ობიექტი. "Medials are, underlyingly at least, transitive, whether or not they can ever appear with a surface direct object" (1987b:182).^{**} ის თვლის, რომ ექსპლიციტური ობიექტის უქონლობის შემთხვევაში შეიძლება იმპლიციტური ობიექტის ფუნქციით გამოყენებული იყოს რეფლექსივი. შიდა ობიექტი, რეფლექსივი, ორივე ჰიპოთეზა დასაშვებია: ორივე ალბათ მართებულია, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

როგორც უნდა იყოს, ყოვლად შეუძლებელია ქართული ენის ამ ზმნათა კვლევა სხვა ენებში დადასტურებულ ერთგვარი ზმნებისაგან დამოუკიდებლად. ისინი იმავე პრობლემატიკას წამოჭრიან, რაც მათ ასევე მნიშვნელოვნად გაამდიდრებს.

⁶ Dominique Gauthier-Eligoulashvili-მა შემატყობინა, რომ მთის ქართულ დიალექტებში ასევე დასტურდება აორისტის ფორმა: *ითოვა, თოვლი ითოვა, თოვლმა ითოვა*; ანალოგიური ფორმებია ზმნისა „წვიმა“. ამრიგად, ამ დიალექტებში მეტეოროლოგიური ზმნები შეიძლება იყოს იმპერსონალური, ერთი (ან ორი) ცარიელი აქტანტით, იმპერსონალური ცარიელი აგენსით და ანტი-იმპერსონალური ცარიელი ობიექტით. ბუნებრივი ფენომენები შეიძლება განხილული იყოს ინდიფერენტულად, როგორც გარკვეული შედეგობითი ეფექტი, ან როგორც ქმედითი ძალები.

^{*} „ნებიერიძის [...] ჰიპოთეზის თვალსაზრისით, მე-3 კლასის ყველა ზმნას აქვს სილრმისეული სტრუქტურის პირდაპირი ობიექტი. თუ პირდაპირ ობიექტსა და ზმნას აქვთ იგივე რეფერენციული მნიშვნელობა, როგორც არის[...] მაგალითად, „მან ილოცა ლოცვა“, მაშინ პირდაპირი ობიექტი თანამედროვე ქართულში ამოღებულია“. (ე. გ.).

^{**} „მედიალური ზმნები ძირითადად მაინც გარდამავალია, განურჩევლად იმისა, დასტურდებიან თუ არა ისინი ზედაპირული პირდაპირი ობიექტით“ (ე. გ.).

4.4. ანტი-იმპერსონალური, „აქტიური“ და „არაერგატიული“ ზმნები

ამრიგად, ქართულში, ისევე როგორც ამ სხვა ენებში, დასტურდება ორი კატეგორიის ზმნები, ერთი პარტიციპანტი, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს დუალურ ენებს და ასევე იმ განსხვავებას, რომელიც აღნიშნულია განსაკუთრებით აკუზატიურ ენებში, „არაკუზატიურსა“ და „არაერგატიულ“ ზმნათა შორის. არის, რა თქმა უნდა, მსგავსებებიც: ანტი-იმპერსონალური ზმნებით გამოხატული ცნებები ზოგადად დუალურ ენებში აღნიშნულია „აქტიური“, ხოლო აკუზატიურ ენებში — „არაერგატიული“ ზმნებით; ყველა ეს ზმნა, როგორც ჩანს, ატელურია (შდრ. ინგ. **atelic**, ფრანგ. **atélique**, გერმ. **atelisch** (ე. გ.)) (ეს არის ის მთავარი მახასიათებელი, რომელსაც **Holisky** გამოყოფს ქართული მედიალური ზმნებისათვის)*. ამგვარად, შეიძლება იმის დაშვება, რომ ზმნურ ფუნქციონირებათა სამი ტიპი ემყარება ერთსა და იმავე წინა-ლინგვისტურ საფუძველს.

მაგრამ, თავი უნდა დავიზღვიოთ მათი არევისაგან. ისინი განსხვავდება გრამატიკული ფორმით და აწმყო დროის ზმნური კლასების შედარებით უფრო ფართო სისტემით. დუალური ენების გრამატიკაში რადიკალური განსხვავება მყარდება ზმნათა ორ კლასს შორის. „არაერგატიულსა“ და „არაკუზატიურ“ ზმნათა შორის განსხვავება უფრო მოქნილი და დახვეწილია. რაც შეეხება ერგატიულ (ან ნახევრად-ერგატიულ) ენებს, რომლებშიც დასტურდება ანტი-იმპერსონალური ზმნები, იქ არსებული განსხვავება ნათლად გამოკვეთილია, მაგრამ დუალურ ენებთან შედარებით, ნაკლებად სიმეტრიულია, ვინაიდან ეს ზმნები, მსგავსად გარდამავალი ზმნებია, მორფოლოგიურად ბიაქტანტურია. გარდა ამისა, ეს განსხვავება ცალკე გამოყოფილია მხოლოდ იმ გარდაუვალ ზმნებთან, რომლებიც გარკვეულ სემანტიკურ ველს განეკუთვნება და რომლებიც, როგორც ჩანს, დუალური ენების „აქტიური“ ზმნების ნაწილია.

შეიძლება დავუშვათ, რომ არსებობს ენების მიერ გამოხატული კონცეპტუალური ველი და ეს არის ცნებათა თანამიმდევრული წყება, სადაც ხდება ერთადერთი პარტიციპანტის მქონე პროცესების დისტრიბუცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: დინამიურობა/სტატიკურობა, აქტივობა/არააქტივობა, და სხვ. ენები ან ასახავს ან არა ამ კონცეპტუალურ განსხვავებებს, და მათში, რომლებშიც ისინი აისახება, ეს ხდება სხვადასხვანაირად: სამი ტიპის ზმნური მორფოსინტაქსი წარმოადგენს ერთსა და იმავე ცნებითი სივრცის სხვადასხვა ფრაგმენტებს.

ზოგად სინტაქსური კვლევის ერთ-ერთი საკითხს შეადგენს მათ შორის არსებული მიმართებების ზუსტი დადგენა, რაც წინდაწინ გულისხმობს, რომ ყოველი მათგანი განხილული იყოს დეტალურად, ყველა ნაირსახეობათა გათვალისწინებით. შეიძლება მე ერთ დღეს ვცადო ამის განხორციელება.

* ატელური კატეგორიის ზმნების განსაზღვრა და მათი დაწვრილებითი მიმოხილვა **Holisky**-ს ნაშრომის მიხედვით, მოცემულია **W. Boeder**-ის რეცენზიაში, გვ.163-164 (ე. გ.).

5. ქართული ზმნები და ტიპოლოგია

მე დავასრულებ რამდენიმე შენიშვნით, რომლებიც ეხება ქართულ ზმნათა კლასიფიკაციის პრინციპებსა და მათ კონსტრუქციათა მდიდარ ნაირსახეობებს. ეს ნაირსახეობები შეიძლება უცნაური და საუცხოოდ რთული ჩანდეს. სინამდვილეში, ისინი ზოგად ენათმეცნიერებაში არსებული ინვარიანტული ტენდენციების შესაბამისია.

უადგილო იქნებოდა მე-3 კლასის ზმნებს რომ მივუბრუნდეთ, რომელთა შესახებაც ბევრი ვიმსჯელებ ზემოთ. ზმნათა მე-2 კლასი შეიცავს სხვა, ერთადერთი პარტიციპანტის მქონე ზმნებს, იმპერსონალურ ზმნათა გამოკლებით, რომლებიც მე-4 კლასს განეკუთვნება, იმ ტიპის, რომლებიც მოტანილია [8] მაგალითში. მე-2 კლასის ზმნები ისინია, რომლებსაც მართებულად შეიძლება ეწოდოს გარდაუვალი.

1 კლასი არის გარდამავალი ზმნების. აქტანტთაგან ერთ-ერთი ტიპურად აგენსია, ხოლო მეორე — პაციენსი. აქტანტების განშტოება, ანუ I სერიის უჭრათა (მწკრივთა) კონსტრუქციის გადასვლა II სერიის ფორმებში და შემდგომ — III სერიაში, არ უნდა იყოს ძალზე საკვირველი. I და II სერიათა შორის არსებული ცვალებადობა იმ კატეგორიის არის, რომელიც სხვა ენებიდანაც ცნობილია.

ყველა ენებში, სადაც კი აქტანტური კონსტრუქცია იცვლება დროის/ასპექტის მიხედვით, ეს ხდება ერთსა და იმავე მნიშვნელობით: აწმყოსა და იმპერფექტში კონსტრუქცია აკუზატიურია, ხოლო წარსულსა და პერფექტში — ერგატიული. ქართულის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ II სერიაში კონსტრუქცია საკუთრივ არა ერგატიულია, არამედ „მერეული“: (სინტაქსური) მიმართება ერგატიულია სახელად ტერმინში, ხოლო ზმნურ ფორმაში — აკუზატიური. მაგრამ, თვით ეს თავისებურება ერთი რეგულარული მნიშვნელობის მქონეა: ის ასევე დასტურდება სხვა, კერძოდ ავსტრალიულ ენებში, და მასში ყოველთვის (არსებითი) სახელი აჩვენებს ერგატიულ მიმართებას, ხოლო ზმნა — აკუზატიურს.

რაც შეეხება III სერიას, რომელშიც პერფექტია, Hewitt-მა (1987b:193) აჩვენა ძალიან კარგად, თუ როგორ მიიღება ის სტატიკური ვნებითისაგან. იგივე პროცესს ჰქონდა ადგილი ინდო-ირანულ ენებში, სადაც თანამედროვე პრეტერიტი (მარტივი წარსული დრო (ე. გ.)) მომდინარეობს ვნებითი გვარის მიმღობიდან, რომელიც მიღებულია ძველი პერფექტისაგან და პაციენსის მდგომარეობის ამსახველია; რაც შეეხება აგენსს, მისი მიმართება მდგომარეობისადმი გამოხატულია როგორც მისი მფლობელის (*possesseur*), როგორც ეს კარგად აჩვენა Benveniste-მა (1952, ხელახლა გამოქვეყნდა 1966:176-186; შდრ. Lazard 1984:240-244). იგივეა ქართულშიც: შდრ. ფრანგული თარგმანი—კალკი [ბა] წინადადების: "*à l'homme la femme est tuée*" („კაცისთვის ქალი მოკლულია“) და ვინაიდან „ქონა, ყოლა“ არის ინვერსია „ყოფნის“ (*être-à*), ამიტომაც ეს წინადადება ეკვივალენტია ფრაზის — „კაცს ქალი ჰყავს მოკლული“, საიდანაც მიღებულია — „კაცმა ქალი მოკლა“. რაც შეეხება ამ ფორმის ევიდენციურ ღირებულებას, („როგორც ჩანს, თურმე“) ის განვითარდა საკუთ-

რივ პერფექტის მნიშვნელობიდან, როგორც ეს ბულგარულში, სპარსულში (Lazard 1985b), და ასევე სხვა ენებშიც გვხვდება (Guentchéva, იბეჭდება). (იხ. ბიბლიოგრაფია).

მე-4 კლასის ზმნათა სემანტიკური ველის გამოიკვანა არ არის ძნელი. ისინი გამოხატავენ ფიზიკურ ან მენტალურ მდგომარეობებს ან იმ სიტუაციებს, რომლებიც აუცილებლობით განპირობებულია პარტიციპანტისათვის. მაგალითად, Harris-ის (1981:267) მიერ მოცემული „ტიპიური“ სიიდან გამოიყოფა ზმნები, რომლებიც აღმნიშვნელია:

— შეგრძნების: *შიმშილი, წყურვილი, ძილი, ცეკვის, სიმღერის სურვილის ქონა, გრძობა (სუნის, გემოსი, და სხვ.);*

— ფიზიკური მდგომარეობების: *აფექტურის ან ინტელექტუალურის: სიყვარული, სიძულვილი, შიში, საჭიროება, სურვილი, სინანული,-მოგონება, დავიწყება, ვაგება;*

— ობიექტური სიტუაციების: *შეძლება, აუცილებლად, ძნელად, შესარცხვენად მიჩნევა.*

ყველა ამ პროცესების ან უფრო მეტად მდგომარეობათა საერთო ნიშანია ის, რომ პარტიციპანტს, რომელიც როგორც წესი, ადამიანია, არა აქვს მათზე ძალაუფლება, ის მათ ექვემდებარება. კონსტრუქცია აღიქმება აქედან მომდინარე. პარტიციპანტი, რომელიც პაციენსია და აქტანტი, რომელიც მას ასახავს, არ შეიძლება იყოს განხილული გრამატიკულად როგორც აგენსის გამომხატველი. მაგრამ სხვა აქტანტი, თუ იქ ასეთი რომელიმეა, ასევე ვერ იქნება. ასე რომ, გარდამავალი კონსტრუქცია (რომელიც 1 კლასს განეკუთვნება) გამოირიცხება. „ინვერსიულ“ კონსტრუქციაში ადამიანის აღმნიშვნელი პარტიციპანტი უბრალოდ განიხილება, როგორც დაინტერესებული პირი; სხვა აქტანტი იქ ისე ფიგურირებს, როგორც გარდაუვალ ზმნაში და თუკი სხვა აქტანტი არ არის, კონსტრუქცია იმპერსონალურია, როგორც ეს მე-[8] ნიმუშშია მოცემული. ასეთი ტიპის კონსტრუქციები კარგად არის ცნობილი სხვადასხვა ენებში, რომლებშიც ზმნები განეკუთვნება სემანტიკის ამ სფეროებს.

ამრიგად, მე-3 და მე-4 კლასის ზმნათა კონსტრუქციები რამდენადმე შუალედური ფორმებია 1 კლასის ბიაქტანტურ კონსტრუქციასა და მე-2 კლასის ერთაქტანტიან კონსტრუქციას შორის. საკუთრივ მედიალური ზმნები გულისხმობს ორ აქტანტს, მაგრამ მათგან ერთი ცარიელია; ის „ინვერსიული“ ორაქტანტიანი ზმნები, რომელთაგან ერთი შეიძლება ცარიელი იყოს, ყველა შემთხვევაში არ განიხილება როგორც ეს ხდება კანონიკურ ბიაქტანტურ კონსტრუქციაში. კონსტრუქციათა ეს იერარქია კორელაციაშია სემანტიკურ იერარქიასთან: 1 კლასის ზმნები ტიპობრივად ერთ აგენსიანი და ერთ პაციენსიანია; მედიალური ზმნები ერთი აგენსის მქონეა, მაგრამ არა პაციენსისა, ხოლო ინვერსიულ ზმნებს აქვთ პაციენსი, მაგრამ არა აგენსი. გარდამავლობის კონცეპციის მიხედვით, რომელიც შეიძლება შკალის სახით წარმოვსახოთ, ზმნათა 1 კლასი თავსდება მის ერთ ბოლოში, მე-2 კლასი — მეორე ბოლოში, ხოლო მე-3 და მე-4 კლასი—შუაში (მათ ინტერვალში). მთელი ეს სისტემა ხასიათდება მწყობრი რეგულარობით.

აბრევიატურები

აბსოლუტ.	აბსოლუტივი
აკუზატ.	აკუზატივი
აწმყო დრ.	აწმყო დრო
დამხ. ზმნ.	დამხმარე ზმნა
დატ.	დატივი
ერგ.	ერგატივი
ზმნ.	ზმნა
ირ. ბრ.	ირიბი ბრუნვა
ნომინატ.	ნომინატივი
პირდ. ბრ.	პირდაპირი ბრუნვა
პრევ.	პრევერბი
პრეფ.	პრეფიქსი
წარსული დრ.	წარსული დრო
X	აგენსი ან მსგავსი კატეგორია
x	აგენსის აქტანტური მაჩვენებელი
Y	პაციენსი ან მსგავსი კატეგორია
y	პაციენსის აქტანტური მაჩვენებელი
Z	ერთადერთი აქტანტი
z	ერთადერთი აქტანტის აქტანტური მაჩვენებელი

ლიტერატურა

- Benveniste, Emile (1952[1966]): La construction passive du parfait transitif, *Bulletin de la Société de Linguistique* 48. 1.52-62. [ხელახლა დაიბეჭდა კრებულში — Benveniste 1966, 176-186].
- (1960): "Etre" et "avoir" dans leurs fonctions linguistiques, *Bulletin de la Société de Linguistique* 55/1, 113-134. [ხელახლა დაიბეჭდა კრებულში — Benveniste 1966, 187-207].
- (1966): *Problèmes de linguistique générale*. Paris : Gallimard.
- Boeder, Winfried (1979) : Ergative syntax and morphology in language change: the South Caucasian languages, in: Plank, Frans (ed.). *Ergativity. Towards a theory of grammatical relations*, 435-480. London/New York: Academic Press.
- Charachidzé, Georges (1981): *Grammaire de la langue avar*. Saint-Sulpice de Favières: Editions Jean-Favard.
- Guentchéva, Zlatka (éd.): *La catégorie grammaticale du médiatif* (იხ. Guentchéva, Zlatka, La catégorie grammaticale du médiatif et les mécanismes perceptifs, *Langues et langage (Problèmes et raisonnement en linguistique)*, *Mélanges offerts à Antoine Culio-li/J. Bouscaren ; J. J. Franckel; S. Robert* (eds.), Paris, PUF, 1995, p. 301-315 (ე. გ.).
- Harris, Alice C. (1981): *Georgian syntax. A study in relational grammar*. Cambridge: Cambridge University Press.
- (1982): Georgian and the unaccusative hypothesis, in : *Lingua* 58, 290-306.
- (1985): *Diachronic syntax: the Kartvelian case*. (Syntax and Semantics, 18). New York/London : Academic Press.
- (1989): Reply to B. George Hewitt, in: *Revue des études géorgiennes et caucasiennes* 5, 203-225.
- (1990): Georgian: a language with active case marking, in: *Lingua* 80, 35-53.
- Hewitt, Brian G. (1983): რეცენზია ნაშრომზე: Harris, Alice C. (1981), in: *Lingua* 59, 247-274.
- (1987a): Georgian: ergative or active ? in: *Lingua* 71, 319-340.
- (1987b): რეცენზია ნაშრომზე: Harris, Alice C. (1985), in: *Revue des études géorgiennes et caucasiennes* 3, 173-213.
- Holisky, Dee A. (1981): *Aspect and Georgian medial verbs*. Delmar, NY : Caravan Press.
- (1987): The case of the intransitive subject in Tsova-Tush (Batsbi), in: *Lingua* 71, 103-132.
- Kibrik, Aleksandr, E. (1994): Khinalug, in: Smeets, Rieks (ed.), *The Indigenous Languages of the Caucasus*, vol. 4, 367-406. Delmar, NY : Caravan Books.
- Kibrik, A. E./Testele, Ia. G. (1993): *Bezhta* [EUROTYP-ის კითხვარებზე პასუხი, ჯგუფი 4, Actance et valence.]
- Klimov, G. A. (1977): *Tipologija jazykov aktivnogo stroja*. Moskva: Nauka.
- Lafitte, Pierre (1962): *Grammaire basque*. Bayonne: Editions des "Amis du Musée basque" et "IKAS".
- Lazard, Gilbert (1978): Eléments d'une typologie des structures d'actance: structures er-

- gatives, accusatives et autres, in: *Bulletin de la Société de linguistique* 73, 1, 49-84.
- (1984): Deux questions de linguistique iranienne: la construction passive du parfait transitif, la versification du moyen-iranien occidental, in: Sebrat, Guy (éd.), *E. Benveniste aujourd'hui*, t. II, 239-248. Paris / Louvain: Peeters.
- (1985a): Anti-impersonal verbs, transitivity continuum and the notion of transitivity, in Seiler, Hansjakob/Brettschneider, Gunter (eds.), *Language invariants and mental operations*, 115-123, Tübingen: Gunter Narr.
- (1985b) : L'inférentiel ou passé distancié en persan, in: *Studia Iranica* 14, 27-42.
- (1986): Le type linguistique dit "actif": réflexion sur une typologie globale, in: *Folia linguistica* 20, 87-108.
- (1994): *L'Actance*. Paris: Presses Universitaires de France.
- Mithun, Marianne (1991): Active/agentive case marking and its motivations, in: *Language* 67, 510-546.
- Montaut, Annie (1991): *Aspects, voix et diathèses en hindi moderne*. Paris/Louvain: Peeters.
- Munro, Pamela/Gordon, Lynn (1982): Syntactic relations in Western Muskogean: a typological perspective, in: *Language* 58, 81-115.
- Paris, Catherine (1991): L'abzakh (dialecte du tcherkesse occidental), in: *Actances* (Paris) 5, 27-66.
- Rebuschi, Georges (1978): Cas et fonction sujet en basque, in: *Verbum* (Nancy) 1, 69-98.
- Sapir, Edward (1917[1990]): რეცენზია ნაშრომზე: Uhlenbeck, C. C. Het passieve karakter van het verbum transitivum of van het verbum actionis in talen van Noord-Amerika, in: *International journal of American linguistics* 1. 82-86, [ხელახლა დაიბეჭდა — Sapir (1990), 69-74].
- (1990): *The collected works*. t.V. Berlin/New York : Mouton de Gruyter.

G. LAZARD

**Georgian: Dual ("active") Actancy or Ergative?
Typology of Anti-Impersonal Verbs**

S u m m a r y

The so-called „medial“ verbs in Georgian have aroused a controversy about the nature of the actancy structure of this language, „active“ (better called „dual“) according to HARRIS, ergative according to HEWITT. This article puts the question on other terms. It shows that these verbs behave like certain verbs in other, ergative or semi-ergative, languages, Indo-Iranian and Caucasian languages and Basque. They represent one-participant processes, and, in this respect, they are similar to intransitive verbs. But their morphosyntax implies two actants: an agent, which represents the only participant, and a dummy object. As they are the mirror image of the „impersonal“ verbs, which have a object and a dummy agent, they may be called „anti-impersonal“. The processes they express, in Georgian and other languages as well, belong to the same sphere, which may be approximately defined as indicating behaviours. The anti-impersonal construction has affinities with the dual actancy structure and also with the fact concerned by the „Unaccusative Hypothesis“, but it must be distinguished from them.



ოტია კახაძე

2003 წლის 26 ოქტომბერს გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოტია ილარიონის ძე კახაძე**.

ო. კახაძე დაიბადა 1918 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხა-იშში. 1937 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1941 წელს გაიწვიეს ჯარში. მონაწილეობდა სამარ ოპერაციებში. შემდეგ ისევ განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1945-1948 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის ასპირანტურაში (ხელმძღვანელი — აკად. არნოლდ ჩიქობავა). 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს — სადოქტორო დისერტაციები.

1948 წლიდან მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მას დიდი წვლილი მიუძღვის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის შედგენასა და გამოცემაში. ბატონ ოტიას, როგორც ამ ლექსიკონის ერთ-ერთ რედაქტორს, 1971 წელს მეცნიერების დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ო. კახაძე ავტორია 200-მდე მაღალი მეცნიერული დონის ნაშრომისა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-

შედარებითი შესწავლის აქტუალურ საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სამი მონოგრაფია: ფუნდამენტური ნაშრომი „არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის“ (1979), რომელშიც განხილულია დაღესტნის ერთ-ერთი უმწერლობო ენის — არჩიბულის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები; ამ ფუნდამენტურმა ნაშრომმა, რომელიც გამოქვეყნებამდე ექვსი წლით ადრე იყო დასრულებული, დიდი და დამსახურებული ავტორიტეტი შესძინა მის ავტორს; მეორე მონოგრაფიაში „გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში“ (1984) წარმოდგენილია კლას-კატეგორიის სისტემისა და ისტორიის ანალიზი დაღესტნურ ენათა ერთ-ერთი ქვეჯგუფის ათსავე ენაში, წარმოჩენილია ის საერთო და განსხვავებული, რასაც ეს ენები ავლენენ, აღდგენილია გრამატიკულ კლას-ნიშანთა ამოსავალი სისტემა. მესამე მონოგრაფია „პურეულის ლექსიკა ქართულში“ (1987) განიხილავს ქართული ლექსიკის ერთ-ერთი უძველეს და უმნიშვნელოვანეს ჯგუფს სხვა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით. ო. კახაძისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ სამივე ამ წიგნის რედაქტორი იყო მისთვის ყველაზე ძვირფასი მასწავლებელი აკად. არნ. ჩიქობავა.

ო. კახაძე აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო, რეგიონალური, რესპუბლიკური და საინსტიტუტო სამეცნიერო სესიების მუშაობაში, ხელმძღვანელობას და კონსულტაციებს უწევდა მაძიებლებს სადისერტაციო ნაშრომების დამუშავებაში, ოცი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი და საერთაშორისო ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ო. კახაძე იყო გულანთებული მოყვარული თავისი ქვეყნისა; იგი აქტიურად ეხმიანებოდა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ყველა მოვლენას და მუდამ იქ იდგა, სადაც ქართველი ადამიანი უნდა მდგარიყო...

ო. კახაძეს მრავალი წლის განმავლობაში გვერდში ედგა მისი თანამოაზრე და მეგობარი, სიკეთითა და გონიერებით გამორჩეული მეუღლე **მაცვალა გალდავაძე** (1921-2001), რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტში მიმდინარე ლექსიკოლოგიურ სამუშაოებში (განსაკუთრებით — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მომზადებისა და გამოცემის საქმეში).

წავიდა ჩვენგან გამორჩეული მეცნიერი და შესანიშნავი მოქალაქე. მისი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს კოლეგების მეხსიერებაში, ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის
განყოფილება
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი**



ალექსანდრე მაჭომეტოვი

2004 წლის 17 ივნისს გარდაიცვალა გამოჩენილი დაღესტნელი ენათმეცნიერი-კავკასიოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ამარის ძე მაჭომეტოვი**, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში.

ა. მაჭომეტოვი დაიბადა 1917 წლის 12 ივნისს ოქრომჭედლების ცნობილ აულ კუბაჩიში (დაღესტანი), ხელოსნის ოჯახში. 1940 წელს დაამთავრა მაშინდელი საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი ლითონთა მექანიკური დამუშავების სპეციალობით. 1940-1944 წლებში მუშაობდა ვორონეჟისა და მოსკოვის საავიაციო ქარხნებში ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე, 1944 წლიდან კი გადმოყვანილ იქნა თბილისში სახელმწიფო მატერიალური რეზერვების საქართველოს სამმართველოში.

და, აი, აქ ცხოვრებამ იგი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას შეახვედრა. ამ შეხვედრამ კიდევ გადაწყვიტა ალექსანდრე მაჭომეტოვის მომავალი: როგორც დარგული ენის (კუბაჩური დიალექტის) მცოდნე, იგი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის ასპირანტურაში კავკასიური ენების სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1948 წელს და დაიცვა კიდევ საკანდიდატო დისერტაცია „დარგული ენის კუბაჩური დიალექტის ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი“. ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი იყო. ამავე წლიდან გარდაცვალებამდე იგი წარმატებით და ნაყოფიერად მუშაობდა ენათმეცნიერების (ყოფილი ენის) ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს და წამყვან მეცნიერ

მუშაკად. 1965 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „თაბასარანული ენა“.

ალექსანდრე მაჰომეტოვი ავტორია 150-ზე მეტი ნაშრომისა, მათ შორის ოთხი ფუნდამენტური მონოგრაფიისა, რომლებშიც რამდენიმე დაღესტნური ენის სრული აღწერითი ანალიზია მოცემული (ისტორიზმის ელემენტით): „კუბაჩური ენა“ (1963), „თაბასარანული ენა“ (1965), „აღლული ენა“ (1970) და „დარგული ენის მეკებური დიალექტი“ (1982). ყველა ეს ნაშრომი დიდად ფასიანი შენაძენია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა. მისი ცალკეული გამოკვლევები კი მოიცავს დაღესტნურ ენათა გრამატიკის ყველა უბანს — ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის სინქრონიული (აღწერითი) თუ დიაქრონიული (ისტორიული), ტიპოლოგიური შესწავლის საკვანძო და კერძო საკითხებს, ამ ენათა კონტაქტებს მეზობელ არამონათესავე ენებთან. ამ შრომებმა ალექსანდრე მაჰომეტოვს დიდი ავტორიტეტი და მეცნიერული აღიარება მოუტანეს, როგორც მკვლევარსა და ენათმეცნიერ-კავკასიოლოგს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. იგი სისტემატურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის კავკასიოლოგიურ შეხვედრებში, სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, რომლებიც ტარდებოდა საქართველოში, ჩრდილო კავკასიაში, რუსეთსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში; მონაწილე იყო ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების მიერ ჩატარებული კოლოკვიუმებისა პარიზში (1988), ლონდონში (1990), მარბურგში (1994). იგი ორჯონის იყო მომხსენებელი და თანათავმჯდომარე ბონის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი კონფერენციებისა — „კავკასიური ენათმეცნიერების პრობლემები“ (1988, 1992). იგი მონაწილეობდა, აგრეთვე, ლუნდის უნივერსიტეტში (შვედეთი) მოწყობილ შეხვედრაში „საქართველოს დღეები“ და სხვ.

მნიშვნელოვანია მეცნიერის ღვაწლი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის საქმეში. უპირველესად, უნდა ითქვას იმ დიდი და ფრიად შრომატევადი სამუშაოს შესახებ, რომელიც მან გასწია XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი კავკასიოლოგის პ. უსლარის დაუმთავრებელი შრომის — „კავკასიის ეთნოგრაფია. ენათმეცნიერება. VII. თაბასარანული ენა“ — აღმოჩენის, ენობრივი მასალის ადგილზე შემოწმების, ნაშრომის სასტამბოდ მომზადებისა და გამოცემისათვის. ეს 1070-გვერდიანი შრომა დაიბეჭდა 1979 წელს გამომცემლობა „მეცნიერების“ გრიფით. პ. უსლარისავე მეცნიერულ ღვაწლს ეძღვნება მისი მონოგრაფიული ნაშრომი „პ. უსლარი — კავკასიური ენების მკვლევარი“ (მაჰაჩყალა, 1979). მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ამ ენათა შესწავლის ისტორიისადმი მიძღვნილი ალექსანდრე მაჰომეტოვის ცალკეული წერილები.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი დიდ და სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა, როგორც იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილ რეგიონალური სამეცნიერო სესიების კომიტეტის მუდმივი საორგანიზაციო მდივანი. ეს სესიები, 1965 წლიდან დაწყებული, ორ წელიწადში ერთხელ სისტემატურად ტარდებოდა კავკასიის სხვადასხვა ქალაქში — თბილისში, სოხუმში, ნალჩიკში, მაიკოპში, ჩერკესკში, კარაჩევსკში, ვლადიკავკაზსა და მაჰაჩყალაში. ჩატარდა 13 ასეთი სესია. ამავე დროს ა. მაჰომეტოვი იყო თბილისში 1974 წლიდან გამომავალი საერთაშორისო ჟურნალის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულის“ რედ-

კოლეგიის წევრი და, დღიდან დაარსებისა, წლების მანძილზე — ამ ჟურნალის სწავლული მდივანი და შემდეგ — მთავარი რედაქტორის მოადგილე. იგი კარგი პედაგოგიც იყო. 1951-52 წლებში კითხულობდა ლექციებს თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1951-53 წლებში — ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1968 წლიდან კი, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ასწავლიდა ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების ქართულ და რუსულ ჯგუფებს. აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა მომზადების საქმეში, სისტემურად უწევდა კონსულტაციებს დაღესტნური ენებით დაინტერესებულ პირებს საკვალიფიკაციო ნაშრომებისა და ცალკეული გამოკვლევების დამუშავების დროს, ხელმძღვანელობდა ასპირანტების მუშაობას, როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ისე უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე პირმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ხშირად იყო ხოლმე ოფიციალური ოპონენტი როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციებისა ჩვენში თუ რუსეთში. მას კონსულტაციებისთვის ზშირად მიმართავდნენ უცხოელი კოლეგები. სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის თხოვნით მუშაობდა ბიბლიის თარგმანზე დარგუთელი ენის კუბაჩურ დიალექტზე.

მიუხედავად იმისა, რომ ა. მაჰომეტოვი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე მშობლიური დაღესტნის სამეცნიერო-საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, არჩეული იყო დაღესტნის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

ა. მაჰომეტოვი ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი იყო ქართველ და დაღესტნელ მეცნიერთა შორის, იგი ხელს უწყობდა მათ მეცნიერულ ურთიერთობებს, კავშირებს, რასაც დღეს განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება, ამიტომ სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ იგი იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე როგორც საქართველოსი, ისე დაღესტნის რესპუბლიკებისა. დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის მედლით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი



ელიზბარ ლომთაძე

2005 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი კავკასი-ოლოგი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ელიზბარ ანდრიას ძე ლომთაძე**.

ე. ლომთაძე დაიბადა 1913 წლის 14 სექტემბერს სენაკის მაზრის სოფელ ძველ სენაკში. 1921-23 წლებში სწავლობდა ძველი სენაკის ორკლასიან სასწავლებელში, 1923-32 წლებში — ახალი სენაკის ჯერ შვიდწლიან, შემდეგ ცხრაწლიან სკოლაში; აქვე 1930 წელს შევიდა პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1932 წელს სასწავლებლად გადავიდა თბილისის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1933 წელს. 1933-35 წლებში ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას აბაშის რაიონში; აქ დაიწყო მან ფოლკლორული მასალის შეკრება და დაბეჭდა რამდენიმე წერილი ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

1935 წელს ე. ლომთაძე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან სწავლა გააგრძელა ფილოლოგიის ფაკულტეტის აღმოსავლურ და კავკასიურ ენათა განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1939 წელს. სტუდენტობის დროსვე დაიწყო საენათმეცნიერო მუშაობა.

1940 წლის იანვარში ე. ლომთაძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში (კავკასიურ ენათა კათედრა), სადაც სწავ-

ლობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. 1941-46 წლებში იმყოფებოდა მოქმედი არმიის რიგებში და, როგორც ოფიცერი, მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. დაჯილდოებული იყო მედლებით.

დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, რომელიც დაასრულა 1947 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1952 წლიდან იყო ამავე განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1972 წლიდან მუშაობდა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში ჯერ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ხოლო 1992 წლიდან წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1950 წელს ე. ლომთაძეს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (დისერტაციის თემა იყო „სახელის მორფოლოგიური კატეგორიები ხვანურ (კაბუჭურ-ჰუნზიბურ) ენაში“). 1992 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „დიდოურ ენათა ვოკალიზმის დიაქრონიული ანალიზი“.

ე. ლომთაძე ავტორია ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან შვიდი ცალკე მონოგრაფიის სახით დაიბეჭდა: „დიდოური ენის პინუხური დიალექტი“ (1963), „სიტყვათმხვილი დიდოურ ენებში“ (1984), „დიდოურ ენათა ვოკალიზმის დიაქრონიული ანალიზი“ (1994), „სახელის მორფოლოგიური კატეგორიები ბეჟიტურ ენაში“ (1996), „ხვარშიული ენა. I. ფონეტიკა“ (1998), „ზმნა და ნაზმნარი სახელები ბეჟიტურ (ბეჟიტურ-ჰუნზიბურ) ენაში“ (2000), „ბეჟიტური (ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენის სინტაქსი და ტექსტები“ (2003). ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა ზანური ენის მეგრული დიალექტის შესახებ.

ნაყოფიერმა სამეცნიერო მოღვაწეობამ ე. ლომთაძეს მაღალი და დამსახურებული ავტორიტეტი დაუმკვიდრა როგორც ქართველ, ისე უცხოელ სპეციალისტებს შორის; მისი სახელი, როგორც გამოჩენილი მეცნიერი-კავკასიოლოგისა, მუდამ დარჩება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი



გენადი ბურჭულაძე

2006 წლის 14 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი **გენადი ბურჭულაძე**.

გენადი თორნიკეს ძე ბურჭულაძე დაიბადა 1940 წლის 11 აპრილს ქ. ოზურგეთში. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის კავკასიურ ენათა განყოფილებაც 1963 წელს დაასრულა. 1964-1967 წლებში სწავლობდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში კავკასიური ენების სპეციალობით (ხელმძღვანელები: აკად. ვ. თოფურია, პროფ. ი. ცერცვაძე). 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1981 წელს — სადოქტორო დისერტაცია. 1988 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

გ. ბურჭულაძე 1968-71 წლებში მუშაობდა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, ხოლო 1972 წლიდან ცხინვალის სახელმწიფო პედინსტიტუტში ჯერ დოცენტის, 1986 წლიდან — პროფესორის თანამდებობაზე. 1992 წლიდან 2005 წლამდე იყო ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი.

გ. ბურჭულაძე 1976 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჯერ უფროსი, შემდეგ წამყვანი, ხოლო 1992 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მთავარი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობაზე.

პროფ. გ. ბურჭულაძემ ნაყოფიერად იღვაწა სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე და თვალსაჩინო კვალიც დატოვა. მისი რამდენიმე მონოგრაფია და 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატია მოიცავდა დაღესტნური და ქართველური ენათმეცნიერების მნიშვნელოვან საკითხებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. გ. ბურჭულაძის სამი მონოგრაფია ლაკური სახელისა და ზმნის სისტემისა და ისტორიის საკვანძო საკითხების შესახებ. ამ მონოგრაფიებმა დამსახურებული აღიარება მოუტანა ავტორს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის საენათმეცნიერო წრეებში. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია, რომელიც მას 2005 წელს მიენიჭა ნაშრომთა ციკლისათვის ლაკური ენის შესახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი პატივისცემა, რითაც იგი სარგებლობდა დაღესტნელ კოლეგებს, საერთოდ დაღესტნელებს შორის.

პროფ. გ. ბურჭულაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ისე საერთაშორისო სამეცნიერო სესიებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში. იყო მრავალი სამეცნიერო კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი, წიგნების რედაქტორი.

თვალსაჩინოა მისი ღვაწლი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. იყო მრავალი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი, რეცენზენტი, ოფიციალური ოპონენტი.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი დამსახურება სამეცნიერო მიღწევათა პოპულარიზაციის საქმეში, ის დიდი პატივისცემა და მოკრძალება, რასაც იგი იჩენდა მასწავლებლებისა და კოლეგებისადმი, სხვათა სამეცნიერო ღვაწლის დაფასების უნარი. ასეთი დამოკიდებულება ნათლად წარმოჩნდა მის წიგნებში: „შეიცან თავი შენი“ (192003) და „დიდ წინაპართა ნაკვალევზე“ (2005).

ბოლო წლებში ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი. წავიდა ჩვენგან ნაღვაწი და დამსახურებული მეცნიერი, რომლის სახელიც უეჭველად დაიმკვიდრებს ადგილს ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენისა და
ლიტერატურის განყოფილება
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**



გურამ თოფურია

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 2007 წლის 31 მაისს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გამგე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გურამ თოფურია**. წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მეცნიერი, რომელსაც მაღალი ავტორიტეტი დამსახურებულად ჰქონდა მოპოვებული არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის, ევროპისა და ამერიკის ქართველოლოგთა და კავკასიოლოგთა შორის.

გურამ თოფურია დაიბადა 1930 წლის 27 მარტს ქ. თბილისში სახელოვანი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ოჯახში. მშობლებისგან მიიღო მან მემკვიდრეობით დიდი ნიჭი, არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება; ამ თვისებებითა და ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი ქართულ მეცნიერებაში.

1949 წელს გ. თოფურიამ ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მეშვიდე საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის კავკასიურ ენათა განყოფილება დაასრულა 1954 წელს. 1954-57 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში (ხელმძღვანელი — აკად. არნ. ჩიქობავა).

1957 წლიდან მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომ-

ლის თანამდებობაზე. 1960-66 წლებში იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ხოლო 1966 წლიდან — აღნიშნული განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1973-1987 წლებში გ. თოფურია მუშაობდა სამეცნიერო დარგში ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, 1998 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გამგედ.

დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა 1959 წელს, სადოქტორო დისერტაცია — 1988 წელს.

50 წელზე მეტხანს იღვაწა გ. თოფურიამ ქართულ მეცნიერებაში და ენათმეცნიერების საგანძურს 150-მდე მალალკვალიფიციური ნაშრომი შესძინა, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის გამოცემებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიები „ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ (1959) და „ბრუნების მორფოლოგია დადესტნურ ენებში“, რომლისთვისაც მის ავტორს 1996 წელს არნ. ჩიქობავას პრემია მიენიჭა.

საზოგადოდ, გ. თოფურიას ნაშრომები ისეთი დონისაა, რომ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი მეცნიერის ბიოგრაფიას დაამშვენებდა.

გ. თოფურია სისტემატურ და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მასშტაბის თუ რეგიონალური და საერთაშორისო სამეცნიერო სესიების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და კოლოკვიუმების მუშაობაში.

გ. თოფურია, რომელიც იყო ღირსეული მამის ღირსეული შვილი, გამოირჩეოდა არა მხოლოდ ნიჭიერებითა და ერუდიციით, არამედ ქართული სიდარბაისლითა და კეთილშობილებით, სიტბოთი და კეთილგანწყობით, საქართველოსა და მთელს კავკასიაში სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით როგორც მეცნიერი და როგორც მოქალაქე. მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ჩრდილოეთ კავკასიის (განსაკუთრებით — დადესტნის) სამეცნიერო ცენტრებთან და ჩრდილოეთკავკასიელ სპეციალისტებთან კავშირის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეში.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, გ. თოფურია 40-ზე მეტი წლის განმავლობაში ეწეოდა ფართო სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას, როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, სწავლული მდივანი, განყოფილების გამგე, ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი, სწავლული მდივანი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მრავალი სამეცნიერო კრებულისა და პერიოდული გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამეცნიერო სესიათა საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. დიდია მისი ღვაწლი საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

აღარ არის ჩვენს შორის ბატონი გ. თოფურია, მაგრამ მისი სახელი მუდამ იცოცხლებს ქართველოლოგიურ და კავკასიოლოგიურ ენათმეცნიერებაში.

თ. გამყრელიძე, გ. თევზაძე, ზ. აღიქსიძე, მ. ანდრონიკაშვილი, რ. გორდეზიანი, გ. თოთიბაძე, ა. კალანდაძე, გ. კვარაცხელია, ქ. ლომთათიძე, მ. მერაბიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, მ. შანიძე, გ. შარაძე, ე. ხინთიბიძე, ე. ჯაველიძე, ნ. ჯუსოითი, ა. არაბული, თ. უთურგაიძე, ვ. შენგელია, ზ. წერეთელი, ა. ჭინჭარაული, რ. ჯანაშია



ქეთევან ლომთათიძე

ქართულმა მეცნიერებამ, საქართველოს მთელმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 2007 წლის 22 სექტემბერს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **ქეთევან ლომთათიძე**.

ქ. ლომთათიძე დაიბადა 1911 წლის 9 თებერვალს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება, ხოლო საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა 1926 წელს. 1927-31 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ენათმეცნიერების განხრით.

1932-34 წლებში ქ. ლომთათიძე მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში.

1934-1937 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში აფხაზური ენის სპეციალობით (ხელმძღვანელი — პროფ. ს. ჯანაშია). 1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ძირითად დროთა წარმოება აფხაზურში“; 1945 წელს — სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ეძღვნებოდა აბაზური ენის ტაპანთური დიალექტის თავისებურებებს. ეს იყო ჩვენში პირველი სადოქტორო დისერტაცია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ.

აკად. ქ. ლომთათიძე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების და, საერთოდ, ქართული ენათმეცნიერების არა მხოლოდ დიდი წარმომადგენელი იყო, არამედ წლების განმავლობაში მისი განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელიც.

სრულიად განსაკუთრებულია ქ. ლომთათიძის ღვაწლი აფხაზური ენის კვლევის საქმეში. ის სამართლიანად მიაჩნიათ აფხაზური ენის ყველაზე დიდ და ავტორიტეტულ სპეციალისტად. აფხაზურსა და მის ახლომონათესავე აბაზურს, იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ურთულესი ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის ენებს ეძღვნება ქ. ლომთათიძის ექვსი მონოგრაფია და 150-ზე მეტი სამეცნიერო სტატია.

მონოგრაფიებმა, რომლებშიც ქ. ლომთათიძემ აბაზური ენის ტაპანთური (1944) და აზხარული (1954) დიალექტების გამოწვლილვითი ანალიზი წარმოადგინა, მსოფლიო აღიარება მოუტანა მეცნიერს. ეს წიგნები ყველა კავკასიოლოგის სამაგიდო წიგნებად იქცა.

ფუნდამენტური მნიშვნელობისაა მისი გამოკლევა „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“, რომელშიც აფხაზურ-აბაზურ სალიტერატურო ენათა და კილო-კილოკავთა მონაცემების გათვალისწინებით (აგრეთვე, მეტყველების ინდივიდუალურ თავისებურებათა მოხმობით) განხილულია ამ ენათა ფონეტიკის ყველა ძირითადი საკითხი. ნაშრომი გამოირჩევა როგორც ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიური პრინციპების თანმიმდევრული გამოყენებით და საანალიზო მასალის სიუხვით, ისე მეტად მნიშვნელოვანი ორიგინალური დასკვნებით. შეიძლება ითქვას, არც ერთი სხვა მთის იბერიულ-კავკასიური ენის ფონეტიკა ასეთი ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის საგანი არ ყოფილა.

სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა ქ. ლომთათიძის მონოგრაფიებმა დრო-კილოთა წარმოებისა და ლოკალური პრევერბთა სახეობების შესახებ აფხაზურსა და აბაზურში.

თვალსაჩინო მოვლენა იყო 1988 წელს სოხუმში აფხაზურ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფია „აფხაზური ენის საკითხები“, რომელშიც თავმოყრილია აფხაზური ენის სფეროში ქ. ლომთათიძის მრავალწლიანი მუშაობის შედეგები. ნაშრომი სრულ და ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს აფხაზური ენის აგებულების ყველა საკვანძო საკითხის შესახებ.

სულ ახლახან ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოსცა ქ. ლომთათიძის ნაშრომი „აბაზური ენა“, რომელშიც მოკლედ არის განხილული აბაზური ენის ფონეტიკისა და გრამატიკის არსებითი საკითხები.

დიდია ქ. ლომთათიძის წვლილი ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში. ამ სფეროში მას ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი მონოგრაფია: „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“ და „სონანტთა მეზობლად ხშულთა გამკვეთება (დაყრუება) ქართველურ ენებში“.

მეტად მნიშვნელოვანია ქ. ლომთათიძის ღვაწლი საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის საენათმეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელშეწყობით ჩაება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ათობით ახალგაზრდა ქართველი და აფხაზი, აბაზი და ჩერქეზი, ჩეჩენი და ხუნძი... მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მომზადდა 30-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

მეტად ნაყოფიერი იყო ქ. ლომთათიძის სამეცნიერო-საორგანიზაციო მუ-

შაობა: ოცდაორი წლის განმავლობაში ედგა სათავეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს; წლების განმავლობაში იყო ზოგადი ენათმეცნიერებისა და მთის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილებათა ხელმძღვანელი, იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ რეგიონალურ სამეცნიერო სესიათა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საერთაშორისო ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულის“ მთავარი რედაქტორი, მრავალი სამეცნიერო საბჭოს, ავტორიტეტული სამეცნიერო ორგანოსა თუ კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის აქტიური წევრი...

ქ. ლომთათიძე თითქმის 70 წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას: კითხულობდა ლექციებს აფხაზურ ენაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე; 1938-40 წლებში უძღვებოდა ზოგადი ენათმეცნიერების კურსს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

აკად. ქ. ლომთათიძე ეროვნული სულისკვეთებით მოღვაწე მეცნიერი იყო, ქართული ენისა და ქართული ცნობიერების სადარაჯოზე ფხიზლად მდგომი.

აკად. ქ. ლომთათიძის ღვაწლი დაფასებულია ქართველი და მოძმე კავკასიელი ხალხების მიერ: საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდებასთან ერთად, მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთისა და ყაბარღობალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკათა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, იყო სახელმწიფო პრემიის ორჯონის ლაურეატი (ერთხელ — როგორც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთ-ერთი რედაქტორი და მეორედ — ნაშრომთა ციკლისათვის ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა კვლევის სფეროში), დ. გულიას პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი...

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი და სახელოვანი მეცნიერი. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა არასოდეს იქნება დავიწყებული.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



**სრულიად საქართველო ეთნოვება
დიდ პოეტს...**

2008 წლის 11 მარტს ოთხმოცდასამი წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი ანა კალანდაძე. წავიდა ჩვენგან სიცოცხლეშივე ქართული პოეზიის კლასიკოსად აღიარებული, ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, ვისაც ერი უდიდესი სიყვარულისა და თაყვანისცემის ნიშნად მხოლოდ სახელით მოიხსენიებს; ქართველმა ხალხმა ასეთი პატივი ურჩეულებსა შორის მხოლოდ რამდენიმეს მიაგო.

ანა კალანდაძე 1924 წლის 15 დეკემბერს სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი) დაიბადა. პირველდაწყებითი და საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო; 1941-1946 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე; დაამთავრა კავკასიურ ენათა განყოფილება — „ჩემი არჩევანი ჩემი პოეტური მოწოდებით იყო ნაკარნახევი: საოცრად მიზიდავდა კავკასიონის შორეული მწვერვალები და იდუმალ ხეობებში შეყუჟული აულები“, — წერდა იგი. პოეტური მოწოდებისათვის არც მაშინ უღალატია, როცა 1952 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა — იმ ხანებში ლექსიკოლოგიის განყოფილებაში — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციის მეთხე ტომი მზადდებოდა. მისვლის პირველი დღიდანვე ჩაერთო ანა განყოფი-

ლების საერთო საქმიანობაში, რაც მას მუდმივად ამყოფებდა ქართული სიტყვის საოცარ სამყაროში; შემდეგ იყო ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის მასალების მოპოვება-დამუშავება... ლექსიკოლოგიურ სამუშაოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მივლინებები ახლდა. ერთ-ერთი ასეთი მივლინების დროს მოხვდა ანა პირველად ფშავში; სწორედ მაშინ შეიქმნა მისი ფშავური ლექსების მშვენიერი ციკლი. ამ საოცარ მხარეს შემდეგაც ხშირად უბრუნდებოდა თავის პოეზიაში.

ანამ ლექსების წერა ადრევე დაიწყო. პირველი ლექსი („ბადრი მთვარე“) თერთმეტი წლისამ დაწერა, უკანასკნელი — ოთხმოცს გადაცილებულმა. მისმა დიდმა ნიჭმა და განსაკუთრებულმა პოეტურმა შთაგონებამ პირველი ლექსებიდან დაატყვევა ქართველი მკითხველი. მან მაშინვე ამოიცნო თვითმყოფადი ხმა, რომელსაც თვისებრივად ახალი შეგრძნებები მოჰქონდა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. მკითხველმა იგრძნო, რომ მის წინაშე ინდივიდუალობით გამორჩეული ახალგაზრდა შემოქმედი, რომელსაც თავის თანამედროვეებთან უშუალო და გულში ჩამწვდომი საუბარი სურს მშვენიერებაზე, სიყვარულზე, გარდაუვალ სულიერ ფასეულობებზე... ქართველმა ხალხმა იმთავითვე დიდი სიყვარულით შეიყვარა ანა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად დაუდგა გვერდში. როცა 1946 წელს საკავშირო პრესაში ანა ახმატოვასა და მიხეილ ზომჩენკოს ბრალი დასდეს „გამხრწნელი უიდეობის, უზნეობისა და აპოლიტიკურობის ქადაგებისთვის“, გაზეთმა „კომუნისტმა“ ყურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული ანას ლექსები გააკრიტიკა: „ახალგაზრდა ავტორს აკლია ჩამოყალიბებული ცოდნა ცხოვრებისა, უნარი მოვლენების სწორად დანახვისა. არ ხელმძღვანელობს მოწინავე იდეებით. დეკადენტური მოტივების ტყვეობაშია მოქცეული“. ამის გამო პირველი წიგნის გამოსვლამ შვიდი წლით დაიგვიანა. ამ პერიოდში ანას ლექსების ხელნაწერები მთელს საქართველოში ვრცელდებოდა, მკითხველი ზეპირად სწავლობდა მათ, ლექსების ტექსტებზე სიმღერები ითხზებოდა...

კლასიკური სისადავითა და სპეციფიკურად ანასეული ეგფონიით ნათელი, გამჭვირვალე სახეებითა და ქართული სიტყვის სასწაულმოქმედებით ანა კალანდაძემ ულამაზესი ესთეტიკური სამყარო შექმნა, სადაც მაღალი ეთიკური კანონები მეფობენ, სადაც ვერ ეგუებიან „ჭეშმარიტების ყალბად მქცეველთ“, „უძღებ ფიტულებსა“ თუ „სიწმინდეთა წამბილწველთ“, სადაც სამართალს ეძებენ და ამკვიდრებენ განურჩევლად ყველასათვის და საკადრის პასუხს სცემენ ჭეშმარიტების წინააღმდეგ ამხედრებულ ცილისწამებას. როცა საქართველოს „მცირე იმპერია“ უწოდეს, არ დააყოვნა ანას სამართლიანმა და მოსწრებულმა სტრიქონმა: „ვართ იმპერია! ჰე, ბიზანტიავ... ოღონდ ვიკითხოთ, იმპერიები... თუ ჰყმობდნენ ვინმეს?“

ანა კალანდაძე ორ ათეულზე მეტი პოეტური კრებული ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ესტონურ, პოლონურ, უნგრულ, სლოვაკურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ნორვეგი-

ულ ენებზე. თავად ანას ნათარგმნი აქვს მალარმეს, პუშკინის, ბელა ახმადუ-ლინას, კოსტა ხეთაგუროვისა და სხვათა პოეზიის ნიმუშები.

1993 წლის 18 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ ანა კალანდაძე მისი უდიდესი დამსახურებისათვის ქართული კულტურის წინაშე აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) აირჩია.

1994 წელს იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით — „ქართული პოეზიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, დიდი საზოგადოებრივი ღვაწლისა და მოქალაქეობრივი თავდადებისათვის“.

ანა კალანდაძეს მიღებული აქვს ქართველ მწერალთათვის განკუთვნილი უმაღლესი ჯილდოები: 1981 — წელს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება, ხოლო 1985 წელს იგი ხდება შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

„1993 წელს მქონდა პატივი, გავმხდარიყავი თბილისის საპატიო მოქალაქე“, — წერს იგი „ავტობიოგრაფიაში“.

თბილისი და სრულიად საქართველო ეთხოვება დიდ პოეტს, გამორჩეულ პიროვნებასა და სანიმუშო ზნეობის ადამიანს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ღვთით მომადლებულ საკუთარ ნიჭიერებას, რადგან იგი მოვალედ გრძნობდა თავს მშობლიური ქვეყნისა და მისი მდიდარი კულტურის წინაშე.

ანა უკომპრომისოდ იდგა ზნეობრივი საქართველოს სადარაჯოზე... დღე-იდან მის საქმეს მისი ლექსები გააგრძელებენ, ვიდრე იარსებებს საქართველო, ქართველობა და ქართული ენა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ა ნ ა

საქართველომ — მართლაც ერთობილმა საქართველომ და ქართველობამ — აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ქართული პოეტური სიტყვის საოცარი მესაიდუმლე, ქართული პოეზიის დედოფალი — ანა (ანა კალანდაძე)!

ამიერიდან მისი განუმეორებელი და დაბადებიდან ქართველთა ბაგეს მოუწყვეტელი ლექსები მხოლოდ ერის კუთვნილება იქნება, თუმცა განგების ნებით პოეტის სიცოცხლეშივე „მიისაკუთრა“ ხალხმა მისი უმშვენიერესი პოეზია. მხოლოდ ერთი რამ შეიცვლება: ცოცხალი კლასიკოსის ნაცვლად პოეტის სახელს უკვდავი კლასიკოსის „წოდებით“ მოვიხსენიებთ...

დიდი პოეტის ღვთაებრივი ნიჭის ერთი განსაკუთრებული ნიშანი იყო ერთგულება და მისი თავმდაბალი მამულიშვილობისა და მოქალაქეობის მთავარ ღირსებად შეიძლება ითქვას ის, რომ მას ამ ერთგულებისთვის არასოდეს უღალატია:

11 წლის გოგონამ პირველი ლექსი რომ დაწერა, მას მერე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ოქროს მელანი არ დაშრეტია.

ქართული ენის მძლავრი გულისცემის, მის უმშვენიერეს მიქცევ-მოქცევათა, განსაკუთრებით — ღრმა და მაღლიანი ძველი ქართულის ცინცხალი შეგრძნება არ განელებია.

სამშობლოს მრავალტანჯული ისტორიის, საქართველოს ისტორიული კუთხეების — ტაოს, მესხეთის, აფხაზეთის, ფხოვის... სიზმარ-ცხადი მის ფიქრსა და სათქმელს წამითაც არ მოსცილებია.

მასწავლებლებისა და მეგობრების ზვედრი და არჩევანი გადასასინჯად არ გახდომია.

და — მას მერე, რაც მზუნველი და დამფასებელი მასწავლებლის — არნოლდ ჩიქობავას, წინადადებით ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომელი გახდა, ამ ინსტიტუტის გარეშე სიცოცხლის ბოლომდე ერთი დღეც არ უცხოვრია.

1952 წლის 2 იანვრის №1 ბრძანება გვამცნობს მის დანიშვნას ლაბორანტის თანამდებობაზე.

1957 წელს ირჩევენ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

მხოლოდ 1973 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო თანხმობით გახდა ქალბატონი ანა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1998 წელს დამტკიცდა მთავარ მეცნიერ თანამშრომლად.

ანა კალანდაძეს იმდენად ეძვირფასებოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომ 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ეს ინსტიტუტი მისი ტრადიციული შენობიდან გაასახლეს, ითხოვა, ამ ისტორიული შენობის სურათი გადამიღეთო... მაგრამ, როდესაც ორი წლის წინ რეფორმამ შტატების მსხვერპლი მოითხოვა, მან უმძიმესი, მაგრამ ზნეობრივი მსხვერპლი გაიღო — ადგილი მომავალს დაუთმო!

ეს — რიგითი საინსტიტუტო მუშაკის გზის საჩვენებლად.

რაც მთავარია, ქალბატონ ანას არასდროს უთხოვია შეღავათი თავისი გამორჩეული ნიჭისა და საყოველთაო პატივისცემის გამო. პირიქით, იგი ყოველთვის მოითხოვდა სხვათა თანასწორ სალექსიკონო დავალებებს და დიდი პროფესიონალიზმითა და სიყვარულით ასრულებდა მათ. მისი ცოდნისა, ენობრივი გრძნობისა და შრომისმოყვარეობის მაღლი მისდევს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის IV-VIII ტომებს, ამავე ლექსიკონის ერთტომეულს, ძველი ქართულის სალექსიკონო ფონდს, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის სამუშაოებს...

დიდად ნაყოფიერი იყო პოეტის სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს რეგიონებში — ქართლში, ფშავში, სვანეთში, ხევსურეთში — როგორც ლექსიკოლოგიური, ისე, განსაკუთრებით, შემოქმედებითი აღმაფრენის თვალსაზრისით.

ამიტომაც მეცნიერული ღვაწლის წილიც იყო იმაში, რომ 1993 წელს იგი პოეტ-აკადემიკოსად აირჩიეს.

70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქალბატონი ანას კალამი ძველი და მადლიანი ქართული პოეზიის დაუმრეტელ ოქროს წყაროს მოადენდა.

იშვიათად რგებია პოეტს ერის ასეთი ერთსულოვანი და გაუნელებელი პატივისცემა და სიყვარული — ლექსების პირველივე წაკითხვის დღიდან, 1946 წლის 25 მაისიდან.

ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, — საუკუნის პოეტი იყოო. ანა კალანდაძე იყო არა მხოლოდ საუკუნის, არამედ თხუთმეტი საუკუნის ქართული პოეზიის დედოფალი.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი სამართლიანად ამაყობდა, რომ ერის სიყვარული — ანა კალანდაძისადმი მიმართული — მასაც ეკუთვნოდა, მასაც უნაწილებდა... და მთელი ქვეყნის სულისტქმას გამოხატავდა, როდესაც მას „დღევანდელად დღედმდე“ მთაწმინდის ბინადრად მიიჩნევდა და იმათ რიგში მიუჩენდა ადგილს, ვისი მთაწმინდა უპირველესად ხალხის გულშია, ვისაც ერი მხოლოდ სახელით მოიხსენიებს: ილია, აკაკი, ვაჟა... ამიტომაც აწერია ინსტიტუტის მიერ პოეტის 80 წლის საიუბილეოდ მომზადებულ რჩეულს გარეკანზე მხოლოდ ეს ყოვლისმთქმელი — **ანა...** და განმარტებით ლექსიკონშიც საილუსტრაციო ციტატებს მისი შემოქმედებიდან ასე მიეთითება — **ანა!..**

მადლიერებისა და ერთგულების ცრემლით გემშვიდობება შენი აზრისა და გულის რჩეული ინსტიტუტი — დედოფალო ანა!

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



ალექსანდრე ონიანი

2008 წლის 13 მაისს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი **ალექსანდრე ონიანი**.

ალექსანდრე ონიანი დაიბადა 1926 წლის 16 აპრილს ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშში. 1944 წელს დაამთავრა ლენტეხის რაიონის სოფელ ჟახუნდრის საშუალო სკოლა, ხოლო 1949 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სრული კურსი.

1949-1951 წლებში ალექსანდრე ონიანი ჟახუნდრის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია; 1951-54 წლებში კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ასპირანტი, 1956 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

ალექსანდრე ონიანმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1955 წელს, ხოლო სადოქტორო — 1973 წელს.

სამოციანი წლებიდან მოყოლებული იგი მოღვაწეობდა აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობდა, როგორც კათედრის გამგე, 1996-2003 წლებში; მიჰყავდა სალექციო კურსები: თანამედროვე ქართული ენა, ქართველოლოგიის შესავალი, სვანური ენა, ენათმეცნიერების შესავალი, ზოგადი ენათმეცნიერება

და სხვა; სიცოცხლის ბოლომდე, როგორც საპატიო პროფესორი, კითხულობდა ლექციებს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ალექსანდრე ონიანმა ქართველოლოგიური მეცნიერება გაამდიდრა მრავალი საინტერესო მონოგრაფიით, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ქართული იდიომები“ (1966 წ.), „ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები“ (1978 წ.), „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“ (1989 წ.), „სვანური ენა“ (1998 წ.), რომელიც გერმანულ ენაზე თარგმნა გერმანელმა ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა და იენაში გამოსცა ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტმა 2005 წელს), „თანამედროვე სალიტერატურო ენა“ (2003 წ.) და სხვა.

ალექსანდრე ონიანი იყო აფხაზეთის მეცნიერებათა რეგიონალური აკადემიის აკადემიკოსი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი. 2001 წელს ნაშრომსათვის „სვანური ენა“ მიენიჭა აკაკი შანიძის სახელობის სამეცნიერო პრემია. იგი გახლდათ მრავალი სამეცნიერო გამოცემის რედაქტორი, რეცენზენტი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ალექსანდრე ონიანი იყო ნაყოფიერი პუბლიცისტი. აღსანიშნავია მისი პრინციპული დისკუსიები და პუბლიკაციები საქართველოს ისტორიისა და ქართველოლოგიის მრავალ საკვანძო საკითხზე.

ღირსეული კოლეგისა და მეგობრის, კარგი მეცნიერის, სანიმუშო მამისა და მეუღლის და თბილი ბაბუის ხსოვნა მარად დარჩება ახლობლების გულში.

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევის ფაკულტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორები